

როზა ბიძინაშვილი
ნინო ფრაბე

სამკურნალო მცენარეების კულტურა

სალეექციო
კურსი





როზა ბიძინაშვილი, ნინო ერაძე
სამკურნალო მცენარეების კულტურა
(სალექციო კურსი)



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2021

ავტორები: საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარები:

როზა ბიძინაშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების სექტორის ხლმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერების აკადემიური დოქტორი

ნინო ერაძე, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ეთნობოტანიკის გამყოფილების უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების აკადემიური დოქტორი

რედაქტორი: **ნონა ანთაძე,** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერების აკადემიური დოქტორი

რეცენზენტები:

ლამარა ასიეშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერების აკადემიური დოქტორი

ეთერ გოგიტაშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერების აკადემიური დოქტორი

დიზაინერ-დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპირიძე**

ტექსტში მოყვანილი ფოტოსურათები ამოღებულია
<https://www.google.com/> ღია წყაროებიდან.

© **როზა ბიძინაშვილი**

© **Roza Bidzinasvili**

© **ნინო ერაძე**

© **Nino Eradze**

ISBN 978-9941-498-03-9

„ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა - ნამალია, თქვენ უბრალოდ უნდა შეიცნოთ იგი და გამოიყენოთ სწორად“ –

აიურვედა

წინასიტყვაობა


დედამიწის ფლორა მედიკამენტების უზარმაზარი, ამოუწურავი საუნჯეა. უხსოვარი დროიდან ჩვენს წინაპრებს ბალახეულით მკურნალობდნენ, საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა ვაცობრიობის უზარმაზარი გამოცდილება, რომელიც მრავალი თვალსაზრისით დაკარგული აღმოჩნდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა. ოფიცინალური მედიცინის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით მეცნიერებამ და საზოგადოებამ XX-XXI საუკუნეებში განახლებული ენერჯით დაიწყო არა მხოლოდ სამკურნალო მცენარეებით მკურნალობა, არამედ ადამიანის ორგანიზმზე მათი მოქმედების შესწავლაც.

ამჟამად, რომ სამკურნალო მცენარეების გამოყენებას მედიცინაში ღრმა ფესვები აქვს. სამკურნალოდ გამოყენებული ხერხები და მეთოდები სამკურნალო მცენარეული საშუალებების მეშვეობით საკმაოდ ეფექტურია, იმ პირობით, თუ სწორადაა გამოყენებული და შერჩეულია დობა. ისინი ბევრად უსაფრთხოა, ვიდრე სინთეზური წამლები, რის გამოც ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ ხალხურ მედიცინაში, არამედ სულ უფრო პოპულარული ხდება ოფიცინალური მედიცინის სპეციალისტებს შორის.

ჯანმრთელობა - ეს არის ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია. რის გამოც სამკურნალო საშუალებების არჩევისას შეცდომის დაშვება შეიძლება მეტად სავალალო აღმოჩნდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ამჟამად წარმოდგენილი თემა **“სამკურნალო მცენარეების კულტურა”**, რომელშიც განხილულია 181 სახეობის მცენარეების სამკურნალო თვისებები და ძირითადი მაჩვენებლები, სადღეისოდ ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია.

ვფიქრობთ ჩვენს მიერ შეკროვილი ცნობები დაგეხმარებათ უკეთ შეიცნოთ ის მცენარეები, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობაში გამოიყენება და ჩვენი არსებობისა და ჯანმრთელობის განმსაზღვრელია.

წიგნი განკუთვნილია მოსწავლე-ახალგაზრდობის, სტუდენტებისა და სამკურნალო მცენარეებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.



*“თუ მიმოვიხედავთ ირგვლივ ექიმის მზერით, რომელიც ეძებს
სამკურნალო საშუალებებს, მაშინ შეიძლება ითქვას,
რომ ჩვენ ვცხოვრობთ წამლების სამყაროში”.*

(ძველი ბუდისტური გამონათქვამი)

შესავალი

მედიცინა ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, რომლის სათავე კაცობრიობის გარიჟრაჟიდან იწყება. ის უმჯობესდებოდა საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ხოლო დამწერლობის დადგომისთანავე იწყება სამკურნალო ხასიათის სხვადასხვა ნამუშევრების შექმნა. ეგვიპტის, ინდოეთის, ტიბეტის, საბერძნეთის, არაბეთის, შუა აზიის, ევროპის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების უძველესი ხალხის დამწერლობის მემკვიდრეობაში სამედიცინო ძეგლებს საპატიო ადგილი უკავია.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მედიცინის ორი ცნება: ოფიცინალური (ტრადიციული) და ხალხური (არატრადიციული).

ოფიცინალური მედიცინის ქვეშ ძირითადად იგულისხმება მკურნალობა იმ ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოითხოვს სამრეწველო წარმოებით მიღებული წამლების გამოყენებას.

ტერმინი "ხალხური მედიცინა" თავის თანამედროვე ინტერპრეტაციაში აღნიშნავს ე.წ. ალტერნატიული მედიცინის ყველა სახის მთლიანობას, რომელიც ძირითადად აერთიანებს აღმოსავლეთის სამედიცინო სკოლებს, მკურნალებს (ექიმბაშები) და მკურნალობას იმ ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ საჭიროებს წამლების სამრეწველო წარმოების გზით დამზადებას.

ხალხური მედიცინის მეთოდები მოიცავს ისეთ განაცხადებს, როგორცაა:

- * არომათერაპია (სურნელით მკურნალობა)
- * ორგანიზმის გაკაჟება
- * მასაჟი, მათ შორის წერტილოვანი (acupuncture)
- * სწორი კვება (ცალკეულის ჩათვლით)
- * თვითრეგულირება (აუტო ტრენინგი)
- * ბალახით მკურნალობა და სხვ.

ბალახებით მკურნალობა - ხალხური მედიცინის უძველესი მიღებული წესია, თერაპიის ისეთი სახე, რომელშიც გამოიყენება მცენარეული ნედლეული და მისი დამუშავების პროდუქტები. ეს არის ე.წ. ბუნებრივი მედიცინის ძირითადი ნაწილი, ამასთან ყველაზე უძველესი და მეცნიერულად დადასტურებული. გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბალახით მკურნალობა გაჩნდა კაცობრიობის ცივილიზაციასთან ერთად.

ადამიანი საუკუნეების განმავლობაში უშუალო კავშირში იყო ბუნებასთან და მისგან ნაბოძებ მცენარეულ სიმდიდრეს იყენებდა როგორც ვიტამინიზირებულ საკვებს და სხვადასხვა ტრავმითა თუ დაავადებებით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქების სამკურნალო საშუალებას.

მოსახლეობის ინტერესი მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებებისადმი დღითიდღე იზრდება (მიუხედავად არსებული სინთეტიკური პრეპარატების სიუხვისა), რის გამოც ყოველწლიურად მატულობს სააფთიაქო ქსელისა და სამედიცინო სფეროს დაკვეთები მცენარეული ნედლეულისადმი; ამ ბოლო წლებში კი მოთხოვნილება მათ მიმართ ერთი ორად გაიზარდა.

არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ სამკურნალო საშუალებათა მესამედზე მეტი მცენარეული წარმოშობისაა, ანდა უშუალო კავშირშია მცენარეებთან; მაგალითად, ისეთი მალაქეფექტური პრეპარატები, როგორცაა სტრიქნინი, ატროპინი, პლატიფილინი, რეზერპინი და სხვა ალკალოიდები, ისინი კი მრავალ ათეულს შეადგენენ, მიიღება მცენარეებიდან. არსებობს სამკურნალო საშუალებათა დიდი ჯგუფი, რომლებშიც მცენარეულ პრეპარატებს დომინირებული მდგომარეობა ან ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია. ესაა უპირველეს ყოვლისა გულ-სისხლძარღვთა, მატონიზირებელი, სედატური, შემკვრელი, ამოსახველვებელი და სხვა სამკურნალო საშუალებები. თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია სათითურას, ცხვირისატეხელას, შროშანას, სტროფანტის გლიკოზიდებისა და სხვა ნივთიერებათა კომპლექსების გარეშე, რომლებსაც შეიცავს, მაგ., კატაბალახას ფესვები. ჯერ ძნელად შესაცვლელია ისეთი ცნობილი ანტიარითმული საშუალებები, როგორცაა ქინიდინი და აიმალინი, რომლებიც ასევე მცენარეებისგანაა მიღებული. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება.

სამკურნალო ნედლეულის დამზადებისათვის გამოიყენება ველურად მოზარდი და კულტივირებული სამკურნალო მცენარეები, ამ უკანასკნელის წილი ყოველწლიურად მატულობს და სადღეისოდ საერთოდ დამზადებული ნედლეულის 60% შეადგენს.

სამკურნალო მცენარეთა კულტივირება აქტუალური ხდება იმ ფონზე, როდესაც ბუნებაში მნიშვნელოვნადაა შემცირებული ტაქსონთა რაოდენობა, მრავალი სახეობა იშვიათია და გადაშენების საფრთხის წინაშე დგას, განსაკუთრებით კი ეკონომიკური (სამკურნალო, საკვები, დეკორატიული, არომატული, საღებავი და სხვ.) მნიშვნელობის მცენარეები. მათი გადარჩენის ერთ-ერთი გზა (ბუნებაში დაცვასთან ერთად) კულტურაში გამრავლება და სანარმოო პლანტაციების შექმნაა.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (*International Union for Conservation of Nature; IUCN*) 2010 წლის მონაცემებით აღწერილია 320000 სახეობის მცენარე, მათ შორის მხოლოდ 21000 სახეობის მცენარე გამოიყენება სამკურნალოდ.



ნაწილი I

საერთო ცნობები სამკურნალო მცენარეებზე

სამკურნალო მცენარეების გამოყენებისა და კულტივირების ისტორია
(ფარმაკოგნოზის ისტორიის მოკლე მიმოხილვა)



თანამედროვე მეცნიერული ევროპული და საერთაშორისო მედიცინის მიერ გამოყენებული სამკურნალო მცენარეების ასორტიმენტი თანდათანობით ყალიბდებოდა. მათ დიდ ნაწილს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და უძველესი დროიდანაა ცნობილი. სამკურნალო საშუალებებით აღამიანები სარგებლობდნენ ათასწლეულების მანძილზე და თვით ცხოვრებამ აჩვენა მათი მეტ-ნაკლები ეფექტურობა.

პირველყოფილი აღამიანები, ითვისებდნენ რა ადგილობრივ ფლორას, არჩევდნენ მათთვის სასარგებლო მცენარეებს - საკვებს, ტექნიკურს, აგრეთვე მრავალრიცხოვან სამკურნალოს; ასევე იცნობდნენ შხამიან მცენარეებსაც. ხალხთა კულტურის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა გამოყენებულ მცენარეთა რიცხვიც. თავდაპირველად ძველთაძველი ხალხები იოლად გადიოდნენ ადგილობრივი ფლორით, შემდგომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად ქვეყნები ამყარებდნენ საერთაშორისო და სავაჭრო ურთიერთობებს, ახდენდნენ სამედიცინო მონაცემების გაცვლას, საკვები, სამკურნალო და სანე-

ლებელი მცენარეებისა და სხვა ნივთიერებების იმპორტს; დამწერლობის წარმოქმნის შემდგომ ხდებოდა დაგროვილი სამედიცინო ცოდნის ჩანწრა. პირველყოფილი ადამიანი საკუთარი გამოცდილებით შეიცნობდა ცალკეული მცენარის - ჭრილობების შემახორცებელ, ოფლმდენ, ტკივილგამაყუჩებელ, ძილისმომგვრელ, სასაქმებელ, შხამიან და ა.შ. მოქმედებას. არ რჩებოდა შეუმჩნეველი ასევე ცხოველებში განვითარებული თავდაცვის ინსტიქტი, რაც საშუალებას აძლევდა მათ შეუმჩნევლად მოეძიათ ჯანმრთელობისათვის სასარგებლო მცენარეები. უნდა ითქვას, რომ დაავადებები ადამიანებს არ ინდობდა დედამიწაზე მათი წარმოქმნისთანავე. სწავლობდნენ რა ძველ სამარხებს, სწავლულები ძვლების ნარჩენებზე ნახულობდნენ პოლიომიელიტის, რაქიტისა და სხვა დაავადებების ნიშნებს. შესაბამისად არსებობდა მათი განკურნების მცენარეული საშუალებებიც.

მრავალი ეთნოგრაფის შრომების საფუძველზე მკვლევარები სამართლიანად თვლიან, რომ როგორც ჩანს დედამიწაზე არ არსებობდა ისეთი ტომი, როგორც პრიმიტიულიც არ უნდა ყოფილიყო მისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მატერიალური კულტურა, რომელიც არ იცნობდა მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობას.

ჯერ კიდევ ძველთაძველ ბუდისტურ მედიცინაში წარმოიშვა განონათქვამი: **“თუ მიმოვიხედავთ ირგვლივ ექიმის მზერით, რომელიც ეძებს სამკურნალო საშუალებებს, მამინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ წამლების სამყაროში”**.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში ჩნდება პროფესიონალური მედიცინა და სამკურნალო სკოლები, დაავადებებზე მოქმედი სამკურნალო ხერხებითა და საიდუმლო წამლებით, რომლებიც მემკვიდრეობით გადაიცემოდა. პარალელურად ვითარდება სატაძრო მედიცინა. ტაძრებში მედიცინის ხელოვნების შესასწავლად იხსნებოდა სკოლები. არსებობს მონაცემები ასეთი სკოლების არსებობისა ბაბილონში, ეგვიპტეში, ინდოეთში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ინდოეთისა და ჩინეთის ფლორა, რომელიც განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მრავალი ათასწლეულის მანძილზე წამლების დაუმრეტელ წყაროს წარმოადგენდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.



უძველესი სამკურნალო მცენარეები

ხალხური სიბრძნე და გამოცდილება საფუძვლად დაედო ფარმაკოგნოზიას. ხალხთა კულტურის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა სამკურნალოდ გამოყენებულ მცენარეთა რიცხვიც. თავდაპირველად ძველთაძველი ხალხები იოლად გადიოდნენ ადგილობრივი ფლორით, შემდგომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად ქვეყნები ამყარებდნენ საერთაშორისო და სავაჭრო ურთიერთობებს, ახდენდნენ სამედიცინო მონაცემების გაცვლას, ზოგიერთი სამკურნალო და საწვავი მცენარეებისა და სხვა ნივთიერებების იმპორტს; დამწერლობის წარმოქმნის შემდგომ ხდებოდა დაგროვილი სამედიცინო ცოდნის ჩანერა. სხვადასხვა ხალხის კულტურის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა განსხვავებული ფილოსოფიური სამედიცინო თეორიები, რომელიც ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმსა და ავადმყოფობის წარმოქმნას ეხებოდა.

ეთნოგრაფიული მასალებით მტკიცდება, რომ უძველესი წამალთმკეთებლები ამზადებდნენ ნაირსახოვან ნაყენს, მალამოს, ფხვნილსა

და სხვ. მატრიარქატის დროს პირველი მკურნალნი ქალები იყვნენ. ხალხურ გადმოცემებში უხვად გვხვდება ცნობები მკურნალი ქალების შესახებ, მაგ., ჰომეროსის „ილიადაში“ იხსენიება „ოქროსკულულებიანი“ აგამედა, რომელმაც „იცოდა თვისებები უსაზღვრო დედამიწაზე არსებული ყველა ბალახისა“. ამავე თხზულებაში მოხსენიებულია ეგვიპტელი მკურნალი ქალი პოლიდამნა, რომელიც მშვენიერ ელენეს ასწავლიდა სამკურნალოდ ან ადამიანის გონების დასახშობად ბალახთა გამოყენების წესებს.

ჩვენამდე მოღწეულ სამედიცინო ტრექტატებიდან უძველესია მესოპოტამიის ხალხის მონაცემები მედიცინა ახალ საფეხურზე ავიდა პატრიარქატის დროს, როცა გვარში მამის უფლებამოსილება გაბატონდა და სამეურნეო ცხოვრებაში ძირითად საარსებო დარგად მესაქონლეობა იქცა.



სხვადასხვა სახის ცხოველთა მოშენებით ადამიანებს საშუალება ეძლეოდათ უფრო ფართო და ინტენსიური დაკვირვებები ეწარმოებინათ მეცხოველეობის პროდუქტების სამეურნეო თვისებებზე. ამავე დროს მესაქონლეობა დიდად უწყობდა ხელს ახალ ბალახეულ სამკურნალო

საშუალებათა მოპოვებასაც. მწყემსები აკვირდებოდნენ სხვადასხვა ბალახის დადებით და უარყოფით მოქმედებას ცხოველებზე, შემდგომ ბალახებს თვითონაც ხმარობდნენ. ძვ. წ. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე მოგვითხრობს მწყემსთა მიერ მთელ რიგ სამკურნალო ბალახთა მიგნების შესახებ, მაგ., მწყემსი მელამპე აკვირდებოდა ცხოველებს ბალახის ჭამისას და აღმოაჩინა შხამა ბალახის (*Herba Helleboris*) სასაქმებელი თვისება. ბევრი ბალახეულის ნაყენის დამზადება მიიწერება მწყემს ქირონს, ბერძენ კენტავრს. ბერძნული მითის შინაარსის მიხედვით მკურნალობის ღმერთი - აპოლონის შვილია, რომელიც აღსაზრდელად კენტავრ ქირონს მიაბარეს. ამ უკანასკნელმა შეასწავლა მას მკურნალობა და საოცარი წამლების დამზადება.

რომში ასკლეპიოს ლათინურად ესკულაპეს უწოდებდნენ. მისი ქალიშვილები ჰიგია და ჰანაცეა მამის დამხმარენი იყვნენ სამკურნალო ხელოვნებაში. ცნობები უძველეს დროში მცენარეთა სამკურნალო მიზნით გამოყენების შესახებ შეიძლება მოძებნილ იქნას ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებში. ასე მაგ., შეისწავლიდნენ რა ავსტრალიურ ტომებს, ცალკეულ ტომებს ცენტრ. და სამხრ. აფრიკისას, ამაზონის ინდიელებისას, ეთნოგრაფებმა დაადგინეს, რომ, როგორც ჩანს, დედამიწაზე არ ყოფილა ისეთი ტომი, როგორი პრიმიტიულიც არ უნდა ყოფილიყო მისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მატერიალური კულტურა, რომ არ სცოდნოდა სამკურნალო მცენარეები. როგორც წესი, ცნობები მცენარეთა სამკურნალო თვისებების შესახებ არ იყო ცნობილი ტომის ყველა წევრისათვის. იგი უმთავრესად თავს იყრიდა გარკვეულ ოჯახებში, საიდანაც ეს ცოდნა დიდი საიდუმლოებით გადაეცემოდა მამიდან შვილს – ვაჟს (ან დედიდან ქალიშვილს), რადგანაც ზოგიერთ ტომში მკურნალობა ქალთა პრივილეგია იყო.) უძველეს წარსულში მცენარეთა გამოყენების შესახებ მასალას იძლევიან აგრეთვე არქეოლოგები. მაგ., თიხის ნაკეთობების წარჩენებზე არქეოლოგები ნახულობენ მატერიალურ ცნობებს ჩვენი წინაპრების მკურნალობის ხელოვნებისას - სპეციალურ ჭურჭელს სამკურნალო მცენარეთა დანაყვისა და მოხარშვისათვის. უფრო მეტ ცნობებს მოიცავს პირველი წერილობითი წყაროები.

არქეოლოგიური გამოკვლევებით ვლინდება სულ ახალ-ახალი ცნობები შუმერების და მსოფლიოს სხვა უძველესი ხალხის მიერ მცენა-

რეგების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ. შუამდინარისპირეთში შუმერების ქალაქ ნიპურის (III ათასწლეული ახალ ერამდე) არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ფირფიტაზე - 145 სტრიქონზე შუმერულ ენაზე მოცემულია 15 რეცეპტი, საიდანაც ვგებულობთ, რომ სამკურნალოდ იყენებდნენ სხვადასხვა მცენარეულ საშუალებებს; ფესვებიდან და სხვა ნაწილებიდან ამზადებდნენ ფხვნილებსა და ნაყენებს. მაგ., მათ მიაჩნდათ, რომ მსხალი და ლელვი, ტირიფისა და ქლიავის ნორჩი ყლორტები, ფიჭვის და სოჭის წიწვები სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა, მათ იყენებდნენ მშრალი და დასრესილი სახით, კომპრესებისა და სალბუნების შემადგენელ კომპონენტებად; გამხსნელად წყლის გარდა ღვინოსა და ლუდსაც ხმარობდნენ, ფხვნილს უმატებდნენ ცხოველური და მინერალური წარმოშობის მინარევებს. ამდენად, უკვე 80 საუკუნის წინ ადამიანები იყენებდნენ მცენარეულ სამკურნალო პრეპარატებს სხვადასხვა სახით.

შუმერები უკვე იცნობდნენ შირბახტის (*Sesamum indicum* L.) ზეთს, და თვით მცენარის ლათინური სახელწოდება *Sesamum* წარმოსდგება ბაბილონურიდან “შემ-შემი” (ან სემ-სემი).

ძველი შუმერების კულტურისა და ცოდნის მემკვიდრეები ბაბილონელები (XI ს ახ.წ.ა-მდე), შემდგომ კი ასირიელები ასეულობით მცენარეს ხმარობდნენ სამკურნალო მიზნით, მათ შორის ძირტკბილას ფესვებს, ლემას, ლენცოფას, სელის თესლს, სხვადასხვა მცენარის კვირტებს. გაჰქონდათ მცენარეები სხვა ქვეყნებშიც, მათ მიერ იყო შენიშნული მზის სხივების უარყოფითი მოქმედება ზოგიერთი მცენარის სამკურნალო თვისებებზე, რის გამოც ჩრდილში აშრობდნენ და ზოგიერთს ღამით აგროვებდნენ. ამასთან სხვადასხვა სამკურნალო მცენარის აღწერასთან ერთად აღნიშნულია რომელი დაავადების წინააღმდეგ გამოიყენება (Мазнев, 2003).



სამკურნალო და არომატული მცენარეები

ბაბილონში გათხრებისას ნაპოვნია ვაზა, რომლის ასლიც ბაღდადის მუზეუმში ინახება. ვაზაზე ოთხ მწკრივად, მთელი სამყაროა წარმოდგენილი. ზედა იარუსი უჭირავს მცენარეებს, სადაც გამოსახულია უმდაბლესი (წყალმცენარეები, სოკოები, სპოროფიტები) და უმაღლესი მცენარეები (შიშველთესლოვნები და ფარულთესლოვნები), მეორე იარუსზეა - ცხოველები, მესამეზე - ადამიანი, ცხოველები და მცენარეები (ხენა-თესვა, ნადრობა), მეოთხეზე - ღმერთები. აქ ყველაფრის საწყისი მცენარეებია, დანარჩენი ღმერთის ბრძანებით ხდება (შენგელია, 1983). ასირიელებმა ცნობები სამკურნალო მცენარეთა შესახებ გადმოიღეს უმთავრესად შუმერებისა და ბაბილონელებისაგან. ცხრილებზე, რომლებიც ასირიელი მწერლების მიერაა შედგენილი, მცენარეთა დასახელება მოცემულია ასირიულ, ბაბილონურ და შუმერულ ენებზე. როგორც ჩანს ასირიელები საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ სამკურნალო მცენარეებს. ცნობილია, რომ ასირიის დედაქალაქ ნინევიამი არსებობდა ბაღი, საიდანაც მათ ამრავლებდნენ. ძველი ნინევიის გათხრებისას მიკვლეულ იქნა ასირიელების მეფე აშურბანიპალას (სანდანაპალი, ახ.წ.აღ.-მდე 688 წ.) დროინდელი უძველესი “ბიბლიოთეკის” ლურსმული დამწერლობის თვალსაჩინო ნიმუშები 33 თიხის ფირფიტის სახით, რომელიც სხვა მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად, შეიცავს მონაცემებს სამკურნალო საშუალებებზე; ამასთან სხვადასხვა სამკურნალო მცენარის აღწერასთან ერთად აღნიშნულია რომელი დაავადების წინააღმდეგ გამოიყენება. ირკვევა, რომ იმ დროისათვის ასირიელებს სამკურნალო მცენარეების ბაღიც ჰქონიათ გაშენებული. მჭიდრო ურთიერთკავშირში ვითარდებოდა შუამდინარეთის ხალხებისა და უძველესი ეგვიპტური მედიცინა. სამკურნალო მცენარეებს იყენებდნენ ეგვიპტელებიც. აქაც ფართოდაა ნასესხები ბაბილონელებისა და ასირიელებისაგან ბალახების სამკურნალო გამოყენების მნიშვნელობა და მრავალი მცენარე მათთან ფიგურირებს ბაბილონური სახელწოდებით, ამასთან ბაბილონური დასახელებებს იყენებენ ისეთ მცენარეებთან მიმართებაში, რომლებიც ბაბილონში არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან არ გვხვდება დასავლეთ აზიის ფლორაში.



ძველი ეგვიპტის მედიცინა

ეგვიპტელებმა ჯერ კიდევ 4000 წლით ადრე ჩვენს ერამდე შექმნეს ფარმაკოპეის მსგავსი თანმიმდევრული აღწერა ეგვიპტეში გამოყენებული სამკურნალო მცენარეებისა. მკვლევარები ცნობებს ამ ფარმაკოპეების შესახებ ნახულობენ პაპირუსის ფურცლებზე. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, იმ სამკურნალო მცენარეთა გამოსახულებები ჩვეულებრივია ეგვიპტელთა ტაძრებსა და პირამიდებზე. ამ ნახატების მიხედვით ზოგიერთი მათგანის ცნობა მეტად ადვილია. ეგვიპტელების მიერ გამოყენებული მრავალი მცენარე დღესაც იყიდება ჩვენს აფთიაქებში, მაგ., აბუსალათინი. ეგვიპტელები აწყობდნენ სპეციალურ ექსპედიციებს მემობელ ქვეყნებში, სამკურნალო და არომატული მცენარეების შემოტანის მიზნით. ცნობილია მაგ., ექსპედიცია 5 ხომალდით 1500 წ. ჩ.წ.-ამდე ქვეყანა პუნეტში (ეხლანდელი სომალი). სამკურნალო მცენარეები მოხსენიებულია ძველი ბერძნების მითებშიც. მცენარეთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები და ჩანაწერები აღმოჩენილია ეგვიპტურ ტაძრებზე, პირამიდებსა და აკლდამების კედლებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემები სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ წარმოდგენილია დამწერლობის უძველეს ძეგლებში - ეგვიპტურ პაპირუსებში. ყველაზე დიდი ძველი ეგვიპტური

პაპირუსი, რომელიც მიეკუთვნება ახ.წ.აღ.-მდე 1570 წ. და ცნობილია ებერსის პაპირუსის სახელით (გეორგ ებერსმა 1872 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა) წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სამედიცინო ტრაქტატს, შეიცავს ადრინდელი თხზულებების 40-მდე ამონაწერს. მას ეწოდება “წამლების მოსამზადებელი წიგნი სხეულის ყველა ნაწილისათვის”. აქ მოცემულია სხვადასხვაგვარი ფორმის 800-მდე რეცეპტი, აბები, ნაყენები, მალამოები, წვენები, მოსაწვევი საშუალებები; ისინი კლასიფიცირებულია ფარმაკოლოგიური მოქმედებით: სასაქმებელი, შარდმდენი, ოფლმდენი და სხვ. ეგვიპტელები იცნობდნენ ალოეს, ანისულის, შმაგას, პიტნის, აბუსალათინის, მრავალძარღვას სამკურნალო თვისებებს. წამალთა მომზადების უფლება კი ქერუმთა უმაღლესი წოდების ადამიანებს ჰქონდათ მინიჭებული. ეგვიპტელების აზრით სამკურნალო საქმიანობის მფარველი იყო ღმერთი ტოტა, რომელსაც “ფარმაცის” უწოდებდნენ, აქედანაა წამალთმცოდნეობასთან დაკავშირებული თანამედროვე სახელწოდებები – ფარმაცია, ფარმაკოპეა, ფარმაკოგნოზია.

ეგვიპტურმა მედიცინამ დიდი გავლენა მოახდინა უძველესი საბერძნეთისა და რომის მედიცინის განვითარებაში. აღმოსავლური მედიცინით ინტერესდებოდნენ ძველი ბერძნები და რომაელები. მრავალი საკვები, სამკურნალო თუ სანელებელი მცენარე იქნა შეგროვილი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებისას ინდოეთში და დანერგილი საბერძნეთში. მრავალი ინდური მცენარე (განსაკუთრებით სანელებლები) შეჰქონდათ რომის იმპერიაშიც; ასე მაგ., ბრინჯი, რომელიც ინდოეთში მნიშვნელოვან სასურსათო კულტურას წარმოადგენდა, აქ გამოიყენებოდა როგორც სამკურნალო საშუალება კუჭის დაავადებებისას, საშუალება, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

თანახმად ბერძნული მითოლოგიისა ექიმებისა და სამკურნალო ხელოვნების ღმერთი იყო **ასოლონის შვილი - ასკლეპიოსი**. ჰომეროსის მიხედვით ის ფესალიის მეფეა (1250 წ. ახ.წ.აღ.-მდე). მან ბავშვობა და ახალგაზრდობა პელიონის მთებში გაატარა, რომელიც ცნობილია მდიდარი მინერალური წყაროებითა და სამკურნალო ბალახების სიუხვით. მისი აღმზრდელი იყო ბრძენი კენტავრი ქირონი, დღემდე მოაღწია მისმა გამოსახულებამ ჩირაღდნით ხელში. ქირონი სამკურნალო


მცენარეების გამორჩეულ ცოდნასთან ერთად იყო ბრწყინვალე მასწავლებელი და აღმზრდელი. ასკლეპიოსმა გადააჭარბა თავის მასწავლებელს მკურნალობის ხელოვნებაში. თანახმად მითებისა, ის არა მხოლოდ კურნავდა ყველა დაავადებას, არამედ მკვდრებსაც უბრუნებდა სიცოცხლეს, რითიც დაარღვია დედამიწაზე დამყარებული წესები და კანონები; რამაც განარისხა მიცვალებულთა სამეფოს მბრძანებელი აიდა და ზევსი, რომელმაც მისი დამიზნებით მოკლა იგი. ხალხმა კი გააღმერთა ასკლეპიოსი, დაუდგა მრავალი სალოცავი, რომელთა შორის გამორჩეულია ეპიდავრეს სალოცავი. ტაძრებთან არსებულ სამკურნალო დაწესებულებებს კი ასკლეპიონებს უწოდებდნენ. მისი ქალიშვილები ჰიგეა და პანაცეა ითვლებოდნენ მედიცინის ცალკეული დარგების მფარველებად. ჰიგეამ სახელი გაითქვა გონიერი პროფილაქტიკური რჩევებით და ითვლებოდა ჯანმრთელობის ქალღმერთად, მას გამოსახავენ ნორჩი ქალწულის სახით ხელში გველიანი ფიალით. პანაცეა კი მკურნალობის მფარველი იყო და დაავადებებს კურნავდა. რის გამოც ყველა დაავადების სამკურნალო საშუალებას პანაცეას უწოდებენ.



ასკლეპიოსი ქალიშვილებთან - ჰიგეა და პანაცეასთან ერთად

<https://www.google.com/search>

ძველთაძველი ბერძნული ლიტერატურა მდიდარ მონაცემებს იძლევა იმ დროინდელ ევროპულ მედიცინაში სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ. ძველი საბერძნეთის მრავალი ექიმი თავს ასკლეპიოსის შთამომავლებად მიიჩნევდა, მათ შორის **ჰიპოკრატეც (460-77 წ. ახ.წ.აღ.-მდე)**. მისი სამშობლო იყო კუნძული კოსი, ცნობილი თავის სამედიცინო სკოლით.



ჰიპოკრატე (460- 370 წწ. ძვ. წ.აღ.)

ამ ადამიანზე, რომელსაც ერთხმად ეძახდნენ მედიცინის მამას და ბერძნულ სასწაულს, სამწუხაროდ ძალზე ცოტაა ცნობილი. იგი ძველი სამყაროს სახელგანთქმული ექიმი იყო. მისი ცხოვრება იდუმალეობითაა მოსილი, დაიბადა საბერძნეთში, კუნძულ კოსზე; იყო ასკლეპიადების წევრი და თვით ასკლეპიოსის მე-18 შთამომავალი. **ჰიპოკრატეს ოქროს წესი** შემდეგი იყო: **“თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და განსაკუთრებულ მკურნალობას მოითხოვს”**.

მან შექმნა სამედიცინო თხზულება **“Corpus Hippocraticum”**, რომელიც მრავალ ევროპულ ენაზეა თარგმნილი. წიგნში 236 სამკურნალო მცენარეა აღწერილი; ჰიპოკრატე თვლიდა, რომ სამკურნალო მცენარეები იმ სახით უნდა იყვნენ გამოყენებულნი, როგორითაც ბუნებამ შექმნა, ანუ ნატურალური ან წვენების სახით. **“მედიცინა არის ხელოვნება ბუნების**


სამკურნალო მოქმედების მიბაძვისა” - აღნიშნავდა მეცნიერი. მან უძველეს დროში გამოიგონა ხელსაწყოები მოტეხილობისა და ამოვარდნილობების სამკურნალოდ, რომლებიც დღემდე გამოიყენება. ჰიპოკრატეს ფიცი კი საუკუნეების განმავლობაში ექიმის მორალურ კოდექსს წარმოადგენდა.

ფიცის ტექსტის კლასიკური ვერსია შემდგნაირად უღერს: “ვფიცავ აპოლონ მკურნალს, ასკლეპიოსსა და ყველა ღვთაებას, მათ ვიმონებ, რომ ფიცს ისე შევასრულებ, როგორც შემეძლება. იმ ექიმს, რომელმაც ხელობა მასწავლა ისეთ პატივს მივაგებ, როგორსაც საკუთარ მამას, ჩემს შემოსავალსაც კი გავუნანილებ. ხელობას კი, რომელმაც მან მასწავლა, მის ვაჟებს ვასწავლი და მათ, ვინც ეს ფიცი დადო, სხვას - არავის. ავადმყოფობის განსაკურნებლად ყველაფერს გავაკეთებ, მათ ზიანს არ მივაყენებ. თუ რომელიმე მათგანი მომაკვდინებელ საშუალებას მომთხოვს, არ მივცემ, ჩემი ცხოვრება წმინდა და უმწიკვლო იქნება. რომელ სახლშიც არ უნდა შევიდე, ავადმყოფის საკეთილდღეოდ შევალ, ცუდი ამრები არ მექნება არც მისი და არც მისი ოჯახის წევრების მიმართ. არც სქესობრივ კავშირს დავამყარებ მასთან, თუნდაც მონა იყოს. რაც არ უნდა გავიგო სახლში, საიდუმლოდ შევინახავ. თუ ამ ფიცის ერთგული ვიქნები, ღმერთმა ბედნიერი სიცოცხლე და დიდება გამომიგზავნოს, თუ მას დავარღვევ საპირისპირო მოხდეს”!!!



ძველი საბერძნეთის მედიცინა

საბერძნეთში წარმოიშვა ჰიპოკრატეს თეორია, რომელიც შემდგომ გალენის მიერ იქნა დაზუსტებული. ამ თეორიის თანახმად, ორგანიზმი ოთხ ელემენტთანაა (ცეცხლი, მიწა, წყალი და ჰაერი) კავშირში, შესაბამისად ადამიანის სიცოცხლის წარმმართველი ოთხი მდგომარეობა - ცივი, თბილი, მშრალი და სველი შეესაბამება ოთხნაირ სითხეს - სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნალვლი, რომელთა თანაბომიერების მიხედვით წყდება ჯანმრთელობის მდგომარეობაც და ოთხი ტემპერამენტიც - სინგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატური და მელანქოლიური. ნორმალურ, ჯანმრთელ ორგანიზმში ეს ფაქტორები განზონანსწორებულია, დარღვევისას - წარმოიქმნება ესა თუ ის დაავადება.




პითაგორა (570-490 წწ. ძვ. წ.აღ.)

სამკურნალო მცენარეებსა და მათი გამოყენების ასპექტებს სწავლობდა **პითაგორა (570-490 წწ. ძვ. წ.აღ.)**, უდიდესი პიროვნება, ძველი ბერძენი, იონიელი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, მისტიური რელიგიური და სამეცნიერო საზოგადოების სახ. “პითაგორელების” დამფუძნებელი, რომელიც ყველაზე უკეთ ცნობილია „პითაგორას თეორემით“ და „რიცხვთა მამის“ სახელით. პითაგორას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფილოსოფიურსა და რელიგიურ სწავლებაში ძვ.წ. მე-6 საუკუნეში. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ლეგენდებისა და გაურ-

კვევლობის ბურუსითაა მოცული და ამგვარად რთულია დარწმუნებით მასზე ზუსტი ინფორმაციის მოყვანა. პითაგორასა და მის მოწაფეებს სწამდათ, რომ ყველაფერი დაკავშირებულია მათემატიკასთან და ასევე მიიჩნევდნენ, რომ ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელია ციკლთა რითმულობის განსაზღვრით.


ცოცხალი ბუნების უფრო დეტალურ და სისტემატიზებული შესწავლის საწყის ვხდებით არისტოტელეს (384-322 ძვ.წ.აღ.) შრომებში. ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი და მეცნიერ-ენციკლოპედისტი, პლატონის მოსწავლე, ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი, ძვ. წ. აღ. 343- 335 წლებში ათენში დააარსა ლიკეუმი (ლიკეიონი), რომელიც ცნობილია პერიპატეტიკური სკოლის სახელით. პლატონთან და სოკრატესთან (პლატონის მასწავლებელთან) ერთად წარმოადგენს თანამედროვე ფილოსოფიის დასავლური სკოლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დამფუძნებელს. არისტოტელემ არა მარტო შეისწავლა იმ დროისათვის შესაძლო ყველა დისციპლინა, არამედ მრავალ მათგანში მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა. ფიზიკის (ბუნებისმეტყველების) სფეროში არისტოტელემ დაამატა თავისი ნაშრომები შემდეგ დარგებში: ანატომია, ასტრონომია, ემბრიოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, მეტეოროლოგია, ფიზიკა (საკუთრივ ფიზიკა) და ზოოლოგია. ფილოსოფიის სფეროში (ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერების) მან დაამატა შრომები ესთეტიკაზე, ეთიკაზე, მმართველობაზე, მეტაფიზიკაზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ფსიქოლოგიაზე, რიტორიკასა და თეოლოგიაზე.





პლატონი და არისტოტელე (რაფაელი)

იგი აგრეთვე იკვლევდა აღზრდა-განათლებას, უცხოურ ადათ-წესებს, ლიტერატურასა და პოეზიას. ითვლება, რომ არისტოტელე, შესაძლოა, იყო ბოლო პიროვნება, რომელმაც იცოდა ყველაფერი, რაც შეიძლება ადამიანს სცოდნოდა თავისი თანამედროვე მეცნიერების შესახებ. პლატონისგან განსხვავებით, რომელიც იყო იდეალისტური სკოლის მამამთავარი, არისტოტელე ითვლება მატერიალისტური სკოლის მამამთავრად. თავის შრომებში არისტოტელე გამოდიოდა დებულებიდან, რომ „საჭიროა ჯერ თვითონ წარმოადგინო მოვლენა, შემდეგ მიუთითო მის მიზეზებზე“.



თეოფრასტე (371-287 წწ. ჩვ.წ.აღ-მდე.)

დაგროვილი ცოდნა თავის შრომებში განავრცო დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა და ბუნებისმეტყველმა **თეოფრასტემ (372-287 წწ. ძ.წ.აღ.)**, იყო პლატონის აკადემიის მოსწავლე, მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა არისტოტელეს ლიცეუმის მსმენელი. ლეგენდის თანახმად მისი დაბადების სახელი იყო ტირტამი, თეოფრასტი მას არისტოტელემ შეარქვა, რაც ნიშნავს “ღვთიურ ორატორს”. ცნობილია, რომ იყო უბრწყინვალესი ორატორი და არისტოტელეს საყვარელი მოსწავლე, სწორედ მას დაუტოვა ყველა თავისი ხელნაწერები და ბიბლიოთეკა. არისტოტელეს გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა პათეტიკოსთა სკოლას, მისი მოსწავლეების რიცხვი 2000 აჭარბებდა და ცნობილი იყო ქვეყნის გარეთაც. ითვლება, რომ იყო 227 თხზულების ავტორი, სამწუხაროდ ბევრმა მათგანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. შენარჩუნებულია 2 დიდი თხზულება ბოტანიკის შესახებ; პირველი, შედგება 9 წიგნისაგან - “მცენარეთა ბუნებრივი ისტორია”, სადაც განხილულია მცენარეთა სისტემატიკა, ანატომია და მორფოლოგია; ხოლო მეორე თხზულება “მცენარეების მიზგებებზე” ან “მცენარეთა სასიცოცხლო მოვლენები” - 6 წიგნს მოიცავს.

თეოფრასტეს „მცენარეთა გამოკვლევა“ დაწერილია 2300 წლის წინათ. მის მეცნიერულ გამოკვლევებში საბერძნეთის კულტურული და ველური მცენარეების და საერთოდ ხმელთაშუაზღვის აუზის მცენარეების გარდა, ძირითადად აღწერილია ის მცენარეები, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიაზე იზრდებოდა, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის მიერ ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ (327 წ. ძ.წ.აღ.), მისთვის ცნობილი გახდა ტროპიკული მცენარეებიც. მაგ., მან აღწერა სპარსეთის ყურეში მანგროს ტიპის ტყეები თავიანთი საჰაერო ფესვებით, ინდოეთის ლედვთა სახეობები და მთელი რიგი სხვა მცენარეები, გაგვაცნო მცენარეთა თესლების გავრცელების დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა საშუალება, ეკოლოგიური ფაქტორები და მრავალი სხვ. „მცენარეთა ისტორიაში“ მხოლოდ მცენარეთა პრაქტიკულ გამოყენებაზეა ლაპარაკი. მაგ., როგორ ხდება მცენარეული ნახშირის გამოწვა, როგორ იღებენ კუპრს, სურნელოვან და საწებლებელ საშუალებებს, სად რომელი სახეობის მცენარე ხარობს კულტურაში,

განასხვავებს ხმელეთისა და წყლის მცენარეებს. ავტორი არც დაავადებებს ივინყებს.

<https://zen.yandex.ru/media/philosophy/teofrast--filosof-myslitel-otec-botaniki-i-estestvoznaniia>

თეოფრასტეს დროს ხალხური წამალთმცოდნეები მცენარეებს ყოფდნენ სამკურნალო, შხამიან და სხვა სასარგებლო ნიშნების მიხედვით. ბევრი მათგანის ორგანიზმი შეჩვეული იყო შხამების მიღებას. ისინი აგროვებდნენ მცენარეებს, აშენებდნენ, ამზადებდნენ წამლებს და შემდეგ ბაზარში ყიდდნენ.

ევროპული ფარმაკოგნოზის “მამად” ითვლება **პედანიუს დიოსკორიდი (I ს. ახ.წ-ად.)**, დაიბადა ანაზარბეში (კილიკია, მცირე აზია). წარმოშობით ბერძენი, ძველ რომში იმპერატორ ნერონის არმიაში მსახურობდა სამხედრო ექიმად. იყო ფარმაკოლოგი და ნატურალისტი, ანტიკური მედიცინის რეფორმატორი, ბოტანიკის ერთ-ერთი დამაარსებელი. მოგზაურობდა რა რომის არმიასთან ერთად სხვადასხვა ქვეყანაში ლაშქრობებში, ახდენდა მცენარეების კოლექციის შეგროვებას, არკუვედა მათ. მისი ძირითადი შრომა “სამკურნალო საშუალებებზე” (“De material medica”), მოიცავს 1000-ზე მეტ სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატისა და 600-მდე სახეობის აღწერას, რომლებიც 4 - ჯგუფადაა დაყოფილი: სურნელოვანი, საკვები, სამედიცინო და საღვინე მცენარეები. აღწერას მან დაურთო სურათები, მოახდინა მათი დაჯგუფება მორფოლოგიური ნიშნებით, ბევრს მიუთითა გავრცელება, სინონიმები სხვადასხვა ენაზე, ჩამოაყალიბა სამკურნალო საშუალებების მიღებისა და დამზადების ხერხები, მონაცემები ქიმიურ პროცესებზე. ავტორია პირველი ნაშრომის, რომელიც ეძღვნება მედიცინისათვის მნიშვნელოვანი მცენარეების განსაზღვრას. მან ზუსტად მიუთითა მათი ბოტანიკური ნიშნები, განავრცო სამკურნალოდ გამოყენების გამოცდილებები, რომელიც დაგროვილი იყო ახალ ერამდე რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე.



ძველბერძენი მეცნიერი პედანიუს დიოსკორიდე (40-90 ახ. წ.აღ.)


წიგნი “Materia medica”, რომელიც მრავალრიცხოვანი ნახატებითაა გაჯერებული და მისი სიცოცხლის პერიოდშივე ითარგმნა ლათინურად, ასეული წლების განმავლობაში წარმოადგენდა ექიმებისა და ფარმაცევტების სამაგიდო წიგნს. თანამემამულეებისა და წინაპრების მსგავსად დიოსკორიდი თავის შრომებში ფართოდ იყენებდა ეგვიპტელებისა და აქედან გამომდინარე, ბაბილონელებისა და შუმერების ცოდნას მედიცინის შესახებ.

<http://www.physchem.chimfak.sfedu.ru/Source/History/Persones/Dioscorides.html>



მკურნალობა ძველ საბერძნეთში

ბერძნების მიღწევები თავის დროზე ცნეს რომაელებმა. მათ შორის გამორჩეულია **გაიუს პლინიუს სეკუნდუსი**, ცნობილია **პლინიუს უფროსის სახელით** - რომაელი მეცნიერი, დაიბადა იტალიაში ქ. კომოში, განათლება რომში მიიღო. სწავლის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახური დაიწყო ვალიციაში და ბელგიაში - სამხედრო ტრიბუნად. დაიღუპა ვეზუვის ამოფრქვევის დროს, სავარაუდოდ მომწამლველი გაზებისაგან. მრავალი ნაშრომიდან შემორჩენილია “ბუნების ისტორია” („*Naturalis Historiae*”) 37 ტომად, ეს არის ენციკლოპედიური ნაშრომი, რომელშიც აღწერილია იმ დროის დაგროვილი ცოდნა ბუნების შესახებ. სამედიცინო საკითხებს, მათ შორის სამკურნალო მცენარეებს 12 ტომი ეძღვნება, სადაც მოიხსენიებს ათასზე მეტ სასარგებლო მცენარეს. ნაშრომი გვანვდის პრაქტიკულად ამომწურავ ინფორმაციას იმდროინდელი საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების შესახებ.



პლინიუს უფროსი (24-79 წ.წ. ახ.წ.ად.)

რომში რომაელ ექიმებთან ერთად მოღვაწეობდნენ სირიელები და ბერძნები; რომაელ ექიმთა შორის განსაკუთრებულ სახელს მიაღწია წარმოშობით ბერძენმა კლაუდიუს გალენმა (ახ. წ. აღ. 130-200 წწ.). უძველესი დროიდან მოყოლებული ფარმაციისა და მედიცინის ცნობილ მეცნიერთა შორის მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან შემოიღო ფარმაციისა და მედიცინის სწავლება რომში. მეცნიერულად დაასაბუთა სამკურნალო მცენარეებიდან იმ ბალასტური ნივთიერებების გამოყოფა, რომლებსაც არ გააჩნია ღირებულება. გამოჰყოფდა რა მომქმედ ნივთიერებებს სუფთა სახით, სწავლულმა შეიმუშავა მცენარეული წამლების დამზადების ხერხები ნახარშების, მალამოებისა და ნაყენების სახით ღვინოზე, ზეთზე, ძმარზე; იმ დროიდან დღემდე მყარად დამკვიდრდა სამკურნალო ფორმების აღმნიშვნელი სახელწოდება “გალენური პრეპარატები”, რომლებსაც ღებულობენ სპეციალური დამუშავებით (ეთერთ, სპირტით, წყლითა და სხვა საშუალებებით) სხვადასხვა კონცენტრაციის აქტიური ნივთიერებებით. გალენის შრომებმა, რომლებიც 500 გრავნილს მოიცავს, რაც შეესაბამება დაახლოებით თანამედროვე 80 ტომს, ღრმა კვალი დატოვა მედიცინაში. ძველი დროის სახელგანთქმული მედიკოსი მეცნიერულად მიუდგა მცენარეების სამკურნალო ძალის განსაზღვრას. მან შემოიღო ფარმაციისა და მედიცინის სწავლება რომში. მისი პრინციპები პრეპარატების

მომზადებისა და შემადგენლობის შესახებ ფართოდ გავრცელდა და-სავლეთში და 1500 წლის განმავლობაში წარმატებით გამოიყენებოდა ევროპაში და ბოლო დრომდე არაბულ-ირანული მედიცინის მიერ იყო აღიარებული.



კლაუდიუს გალენი (122-199 წწ. ახ.წ.აღ.)

თვითმყოფადი და განსხვავებულია აზიის ქვეყნების ნაციონალური ტრადიციული სისტემები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. ინდოეთსა და ჩინეთში არსებობდა საკუთარი, განსაკუთრებული ფილოსოფიური სამედიცინო თეორიები, მათ შორის უძველესია ჩინური მედიცინა, რომლის “მამად” ითვლება ლეგენდარული თავადი შენ-ნუნი (ცხოვრობდა ძვ.წ.აღ.-ით 3000 წლის წინათ), გადმოცემის თანახმად ის სწავლობდა და იყენებდა სამკურნალო მცენარეებს. მისთვის ცნობილი იყო 230 სახეობის სამკურნალო და შხამიანი მცენარე, 65 - ცხოველური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერება და 48 - სამკურნალო მინერალი. დამწერლობის გამოგონების შემდეგ დაგროვილი მონაცემებით შეიქმნა ცნობარი “წიგნი ბალახებზე” (“ბენ-ცაო”). ყველა შემდგომ ჩინურ თხზულებებში ეს წიგნი გამოიყენებოდა როგორც საფუძველი და პირველი წყარო. ჩინური მედიცინა თვითმყოფადია, როგორც ფილოსოფიური წარმოდგენებით, ასევე წამლების ასორტიმენტით, რომელიც აღებულია ჩინეთის უმდიდრესი ფლორიდან. ყველაზე ფართოდ და ცნობილი ბალახების ცნობარი შედგენილი იყო XVI ს-ში

ლი ში-ჩუენის მიერ. აღნიშნული ცნობარი, სადაც განხილულია 1892 ობიექტი, დღევანდელ დღესაც უბაღლო ნიმუშად ითვლება. გარკვეულია 900 სახეობის ბოტანიკური ლათინური სახელწოდება. პეკინში არსებობს ჩინური ხალხური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ძველი სამედიცინო საშუალებები ისწავლება თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით. მრავალი სამკურნალო მცენარე ჩინური ფიტოთერაპიიდან ნასესხები იყო სხვა ქვეყნების მიერ. მაგ.: ჟენშენი, რომელიც ჩინეთში 4000 წლის წინათ იყო ცნობილი, ჩინური ლიმონურა, ეფედრა, ძირტუბილას ფესვი, შავბალახა, დემურა, რევანდი, ხახვი, ნიორი, სატაყური, ქაფური, დარიჩინი, ჯავზი და სხვა მრავალი. ჩინურ მედიცინაში გამოყენებული რიგი მცენარეები საერთოა ევროპულთან: ვირისტერფა, მრავალძარღვა, სალბი, ოროვანდი, ასკილი და სხვ.

<https://www.razberi.info/литература/163-клаудиус-гален-122-199>

ჩინურ მედიცინასთან ახლოა ვიეტნამური ტრადიციული მედიცინა. მის ფუძემდებლად ითვლება ტიუე ტიჰნი, რომელიც ცხოვრობდა ახ.წ-ის XIV-XV სს-ის მიჯნაზე; პირველი ბეჭდვითი წიგნი მის მიერაა გამოცემული 1429 წ. სადაც განხილულია 630-მდე სამკურნალო მცენარე. ყველაზე ვრცელი თხზულების (რომელიც 66 ტომს მოიცავს და გამოიცა 1772 წ.) ავტორად ითვლება ლან ონგა. 1957 წ. ჰანოიში ჩამოყალიბდა აღმოსავლური მედიცინის ინსტიტუტი, სადაც ავადმყოფებს მკურნალობენ დიპლომირებული ექიმები ტრადიციული მედიცინის საშუალებებით. სამკურნალო პრაქტიკით აპრობირებული საშუალებები მზადდება ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში, საიდანაც ვრცელდება სააფთიაქო ქსელსა და სამედიცინო დაწესებულებებში. ჰანოიში 1965 წ. გამოქვეყნდა ვიეტნამური ფარმაკოგნოზის 6 - ტომეული.




ძველი ჩინური მედიცინა

მეტად გამორჩეულია ინდური მედიცინა. მას გააჩნია ორიგინალური ფილოსოფიური წარმოდგენები და სამედიცინო თეორიები; წამლების ასორტიმენტი ბაზირებულია სამამულო ფლორაზე. ინდოეთის უძველესი სანსკრიპტული სამედიცინო წიგნი, რომელიც ახ.წ.აღ.-მდეა შედგენილი ითვლება “იადჯურ-ვედა” (აიურ-ვედა), ანუ “მეცნიერება სიცოცხლეზე”. წიგნი რამდენჯერმე იყო გადამუშავებული და შევსებული. ყველაზე ცნობილად ითვლება ინდოელი ექიმის ჩარაკის (I ს ახ.წ-აღ.) შრომა, სადაც 500-მდე სამკურნალო მცენარეა მითითებული და ექიმი სუშრუტასი, რომელიც 700 სამკურნალო მცენარეს აღწერს. სამკურნალო საშუალებებიდან ინდოელებს მეზობლებისაგან არაფერი არა აქვთ ნასესხები (თუ არ ჩავთვლით ერთეულ საშუალებებს, მაგ. ირანიდან *Asa foetida*-ს ფისს, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი); პირიქით, იქიდან წარმოებდა სამკურნალო საშუალებების ექსპორტი; ჯერ კიდევ უძველეს წარსულში გაჰქონდათ წინააღ და სხვა საწვავები. აიურ - ვედას სამკურნალო მცენარეები ღრემდე გამოიყენება ინდოეთის ტრადიციულ მედიცინაში, წარმოებს მათი აქტიური გამოკვლევები, თუმცა ჯერ კიდევ ფართოდ არაა დანერგილი საერთაშორისო მედიცინაში. მაგ.: ინდურ მედიცინაში რაუვოლფია თითქმის

2000 წელია გამოიყენება, ევროპელებმა კი მისი მაღალი მნიშვნელობა მხოლოდ XX ს-ის შუა პერიოდში აღმოაჩინეს.

სტროფანტის თესლები, რომელიც აფრიკელების მიერ იხმარებოდა მშვილდისრების შხამის დასამზადებლად და უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო როგორც საგულე საშუალება, ევროპულ ფარმაცოპეაში მხოლოდ XIX ს-ის დასასრულს იქნა შეტანილი; ის დღესაც გულის მოქმედების რეგულირების შეუცვლელ საშუალებად ითვლება. იგივე შეიძლება ითქვას იაპონურ ქაფურზე, ჩინურ უენშენზე და სხვებზე, რის გამოც აუცილებელია უძველესი კულტურული ხალხის სამკურნალო მცენარეების საფუძვლიანი შესწავლა.



ძველი ინდური მედიცინა


ტიბეტური მედიცინა წარმოიშვა ინდურ ბაზაზე, რომელიც ტიბეტში შეტანილი იყო ბუდიზმთან ერთად (V-VI ს ახ.წ-ად.). მრავალი სანსკრიპტული სამედიცინო წიგნი თარგმნილია ტიბეტურ ენაზე, რომლითაც დღემდე სარგებლობენ. ყველაზე მეტად ცნობილია წიგნი “ჯუდში” (“მკურნალობის არსი”), შედგენილია აიურ-ვედას საფუძველზე. ინდური ყველა სამედიცინო თეორიები სრულადაა შენარჩუნებული ტიბეტურ მედიცინაში, მაგრამ განსხვავებულია სამკურნალო საშუალებების ასორტიმენტი. უძველესმა ტიბეტურმა მედიცინამ დეტალურად

დაამუშავა სწავლება ყველა ცნობილი დაავადების მიზნებსა და ურთიერთკავშირზე, რაც წარმოდგენილი იყო “მედიცინის ხის” - სახით. ტიბეტურ მედიცინაში შესულია ჩინური მცენარეების 25% (თუმცა არც ოპიუმს, არც ჟენ-შენს ტიბეტური მედიცინა არ იყენებს).

ბუდიზმმა და მასთან ერთად ტიბეტურმა მედიცინამ შემდგომი ექსპანსიის შედეგად მიიღო საერთაშორისო ხასიათი და არ არის დაკავშირებული რომელიმე ეროვნებასთან, რომელიც შეიჭრა ჩინეთისა და იაპონიის სხვადასხვა რაიონებში, ჩრდილოეთით მონღოლეთში (XIII ს), მოგვიანებით - ბურიატსა და ყალმუხეთში.

პარალელურად სწრაფად ვითარდებოდა არაბული მედიცინა. ახლო აღმოსავლეთის დაპყრობის შემდეგ არაბებმა შექმნეს ვრცელი და ძლიერი არაბული სახელმწიფო. ისინი უფროთხილდებოდნენ მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობას, მათ შორის მედიცინასაც. ახ.წ.აღ. VI-VII ს-ში განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა ბერძნულმა სამედიცინო სკოლამ ირანში ჯუნდიშაპურში. ალექსანდრიასა და სხვა ქალაქებში იფურჩქნებოდა სამედიცინო სკოლები; მრავალი ბერძნული სამედიცინო წიგნი ითარგმნა არაბულ ენაზე, ამასთან ხშირად სარგებლობდნენ პირველი წყაროებით, სირიული თარგმანებით. მალე ბერძნულზე დაფუძნებულმა არაბულმა მედიცინამ მალალ დონეს მიაღწია. ცნობილია მთელი პლეადა არაბი ექიმებისა, რომლებმაც მდიდარი მემკვიდრეობა დატოვეს ფართო მოცულობის ორიგინალური თხზულებების სახით, სადაც ტრადიციულ ბერძნულ მონაცემებთან ერთად თავმოყრილია საკუთარი დაკვირვებებისა და კვლევის შედეგები.

მათ შორის ყველაზე გამორჩეულია X-XI ს-ში მოღვაწე არ-რაზი (რაზეს) ბალდადიდან და ტაჯიკი **აბუ-ალი იბნ-სინა ბუხარიდან** (980 - 1037 წ.წ.), რომელიც ევროპაში ცნობილია **ავიცენას** სახელით.



აბუ-ალი იბნ-სინა (ავიცენა) (980-1037 წწ.)

ავიცენა დაიბადა ქ. ბუხარასთან ახლოს სოფ. აფშანში. ფილოსოფოსი, ექიმი და პოეტი მოღვაწეობდა ბუხარაში, ხვარაზმსა და სპარსეთში.

მისი მთავარი შრომა ფილოსოფიური ენციკლოპედიაა, რომელიც მოიცავს ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკასა და მეტაფიზიკას. მისი უმნიშვნელოვანესი სამედიცინო თხზულებაა “სამკურნალო მეცნიერების კანონი,” რომელიც ლათინურ ენაზე XII ს-ში ითარგმნა და პირველად 1473 წელს გამოქვეყნდა მილანში; არაბულ ენაზე შედგენილი ორიგინალი კი 1593 წელს დაიბეჭდა რომში. არსებობს ამ ნაშრომის 30 გამოცემა. მასში ავტორი ეხება მედიცინის ზოგად თეორიას, ანატომიას, ფიზიოლოგიას, ქირურგიას, დიაგნოსტიკას, მწვავე და ქრონიკული დაავადებების განვითარებასა და მათ მკურნალობას, პროფილაქტიკას, სამკურნალო მეცნიარეების მოშენებასა და ფიზიოლოგიას. დაავადებების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა გარემო პირობებს. მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ გადამდებ სნეულებებს რაღაც უჩინარი ორგანიზმები იწვევენ და დაავადებები ჰაერისა და წყლის საშუალებებით ვრცელდება; ზუსტად აღწერა მრავალი დაავადება; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჰიგიენას და კვების რეჟიმს. შექმნა ახალი ფარმაცია. მის ფარმაკოპეაში შეტანილია ხალხური, განსაკუთრებით ჩინური მედიცინის მრავალი საშუალება. მან აღწერა წამლის ისეთი ფორმები, როგორცაა ნახარში, აბი, მალამო და

პირველმა მოითხოვა გამოეცადათ წამლის მოქმედება ავადმყოფ ცხოველებზე. ამ კანონების ორი ტომი (მე-2 და მე-5) მთლიანად ეძღვნებოდა ფარმაციას. მისი წიგნი “სამკურნალო მეცნიერების კანონი”, რომელიც ევროპაში ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა როგორც დიოსკორიდისა და გალენის თხზულებები, თარგმნილია ლათინურსა და მრავალ სხვა ენებზე.

ავიცენა ამბობდა, რომ “ყველა მცენარე შეიძლება იყოს წამლივც და შხამიც, ყველაფერი დამოკიდებულია დოზებზე, მიღების დროსა და ხანგრძლივობაზე, ადამიანის მდგომარეობაზე წამლის მიღების მომენტში”. არასწორმა გამოყენებამ კი შესაბამისად შეიძლება გამოიწვიოს უკუმოქმედებები.

<https://avicenna72.ru/abu-ali-huseyn-ibn-abdallah-ibn-sina>

არაბებმა დააფუძნეს საავადმყოფოები ინდური ნიმუშების მიხედვით და გახსნეს პირველი დამოუკიდებელი აფთიაქები. არაბებს ფართო საერთაშორისო კავშირები ჰქონდათ. მათ ქარავნებსა და ხომალდებს ბალდაღში სხვა მრავალ საქონელთან ერთად ჩამოჰქონდათ სამკურნალო მცენარეებიც. მაგ.; შუა აზიის დაშორებული რაიონებიდან ღებულობდნენ აბზინდას (*Artemisia absinthium*), ხოლო ირანის უდაბნოებიდან საკუინაჭის (*Ferula asafetida*) ფისს. ინდოეთში ხდებოდა ექიმების სპეციალური მივლინება ინდური საშუალებების გაცნობის მიზნით. რომელთა შორის უფრო მეტად ცნობილია აბუ-მანზურ-მუვაფაკი, რომელმაც 977 წელს გამოსცა წიგნი ფარმაკოგნოზიაზე, სადაც მითითებულია 466 მცენარე და 44 ცხოველური წარმოშობის საშუალება. ინდოეთიდან არაბების მიერ იმპორტირებულ იქნა *Semen Strychni*, *Fructus Cubebae* და სხვ.

იმ დროს, როდესაც არაბებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული ინდოეთთან, სიშორის გამო ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობები ვართულებული იყო. ჯერ კიდევ რომაელების ბატონობის დროს სირიაში ჩინური აბრეშუმის გარდა ჩამოჰქონდათ მიხაკ-დარიჩინი, რევანდი, სანდალოზი და სხვა მნიშვნელოვანი საშუალებები. არაბი ვაჭრები იშვიათად, მაგრამ მაინც აღწევდნენ ჩინეთს; ურთიერთობა გაუმჯობესდა XIII ს-ში ჩინგიზ-ხანის მონგოლი მემკვიდრეების დროს, რამაც სხვებთან ერთად საშუალება მისცა იტალიელ მოგზაურს მარკო პოლოს, ევროპელთაგანს ერთ-ერთ პირველს აბრეშუმის გზის გავ-

ლით მოენახულებინა ჩინეთი და გაეცნო ევროპისათვის იქ წარმოებული უმთავრესი საქონელი, მათ შორის მნიშვნელოვანი ნამლებიც.



მარკო პოლო, ვენეციელი ვაჭარი, მოგზაური, მწერალი (1254-1324)

„მარკო პოლოს წიგნი“ ძვირფასი წყაროა სხვადასხვა ქვეყნების გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. წიგნში მრავლადაა აგრეთვე ხალხური თქმულებები, ლეგენდები და ზღაპრები
https://ru.wikipedia.org/wiki/Поло,_Марко.

მცენარეული, ცხოველური თუ მინერალური წარმოშობის 1400-ზე მეტ სამკურნალო საშუალებებზე მიუთითებს თავის სამეცნიერო თხზულებებში უდიდესი არაბი ფარმაკოგნოსტი, ანდალუზიის მკვიდრი **იბნ-ალ-ბაითარი (XIII ს.)**. სამკურნალო საშუალებებზე ცნობების შეგროვების მიზნით მან მრავალწლიანი მოგზაურობები ჩაატარა ესპანეთიდან აფრიკის ჩრდ. საზღვარზე, ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში. მისი თხზულებები თარგმნილია გერმანულ ენაზე.



იბნ-ალ-ბაითარი (XIII ს. დასაწყისი)

არაბული ფარმაკოგნოზია სახელწოდებით “კარაბადინი” გამოცემულ იქნა XIII ს-ში. დღემდე “კარაბადინის” მრავალრიცხოვან ხელნაწერებს ნახულობენ მიმდებარე მთელ რიგ ქვეყნებში. უფრო გვიანი წარმოშობისაა ფარმაკოპეა “ტოფატ-ულ-მოვშინი”, გამოცემულია 1669 წელს და მოქმედებს ირანსა და მეზობელ ქვეყნებში. არაბულ ქვეყნებში მკურნალობა არაბული მედიცინის საშუალებებით დღესაც მიმდინარეობს. არაბულ მედიცინაზე არსებული ლიტერატურა მდიდარია და მრავალ ენაზეა თარგმნილი.

არაბულმა ფარმაკოპეიამ ფართოდ გამოიყენა რთული რეცეპტები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა ბალახეულობა განსხვავებული პროპორციებით. ასეთი რეცეპტები პოპულარული გახდა დასავლეთ ევროპის მედიცინაში. სწორედ ამ რთულმა რეცეპტებმა წარმოშვა ფარმაცევტების სპეციალური პროფესია. ამდენად ევროპული აფთიაქი შეიქმნა არაბულიდან, სადაც პირველ ხანებში სარგებლობდნენ არაბული ნედლეულით.

XII ს-დან არაბული მედიცინა იჭრება დას. ევროპაში ესპანეთისა და სიცილიის გზით. ევროპაში საავადმყოფოებისა და აფთიაქების ორგანიზება არაბული ნიმუშების მსგავსად წარმოებდა. ლათინურ ენაზე ითარგმნებოდა არაბული სამედიცინო წიგნები, მათ შორის ძველი ბერძნული თხზულებების არაბული თარგმანები. არაბ ვაჭრებს ევრო-

ჰაში შეჰქონდათ აღმ. არაბეთის ასორტიმენტის სამკურნალო ნედლეული. ამავდროულად ევროპელი ექიმები იყენებდნენ ადგილობრივი ჩრდილოეთის ფლორის მრავალ სამკურნალო მცენარეს. ბეჭდვის ხელოვნების წარმოქმნასთან ერთად ევროპაში იბეჭდება სამკურნალო ცნობარები ლათინურ ენაზე - *Hortus Sanitatis*, *Hortus amoenus* და სხვ. მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში დიდი როლი მიუძღვის იტალიის სალერნოს სამედიცინო სკოლას, რომის იმპერიის ამ სააგარაკო ქალაქში IX ს-ში ჩამოყალიბდა ექიმთა კორპორაცია, მთელს ევროპაში ერთადერთი სამკურნალო ცენტრი, რომელსაც ფრიდრიხ ბარბაროსის უამს უფლება ჰქონდა გაეცა ექიმის დიპლომი. XII ს-ის შუა პერიოდში სალერნოს სკოლაში შეიქმნა პირველი ევროპული ფარმაკოპეა. აქ დაწერილ შრომებს შორის ყველაზე ცნობილია არნოლდ ვილანოველის “სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი” - (“აფორიზმები”), რომელიც პირველად 1480 წელს დაიბეჭდა, 1504 წელს კი გამოიცა მისი თხზულებების სრული კრებული (*Opera omnia*), სადაც შესულია 65 ტრაქტატი, რომელიც შემდგომ წლებში 300-ჯერ იქნა გამოცემული.



არნოლდ ვილანოველი (1240-1311 წწ.)

არნოლდ ვილანოველი (1240-1313 წწ.) დიდი იტალიელი ექიმი და ფილოსოფოსი, ოკულტიستي, ჰუმანისტი დაიბადა პროვანსში, იყო ხელოვნების ლიცენზიატი პარიზში, მედიცინის პროფესორი მონპელიეში,

სადაც კითხულობდა ლექციების კურსს. ანვითარებდა გალენის კონცეფციას ადამიანის ორგანიზმის 4 საწყისი ელემენტის: სისხლის, ნაღველის, ასტრანალვლისა და ფლეგმის შესახებ, რაც შეესაბამება სიცხესა და სიცივეს, გვალვასა და წვიმას, მაგრამ უმატებდა მეხუთე პრინციპსაც “*Sprintus animals*” (“მაცოცხლებელი სული”), რომელიც მისი თეორიით ასრულებს მედიატორის როლს სულსა და სხეულს შორის, ვრცელდება ადამიანის ორგანიზმში მზის სხივების მსგავსად და განმსაზღვრელია, როგორც გონებრივი, ასევე მატერიალურის წარმონაქმნების. ამავდროულად იყო მკურნალიც, მრავალი სამედიცინო ტრაქტატის ავტორი; მოღვაწეობდა ქ. სალერნოში, რომის იმპერიის ამ სააგარაკო ქალაქში IX ს-ში ჩამოყალიბდა ექიმთა კორპორაცია, მთელს ევროპაში ერთადერთი სამკურნალო ცენტრი, რომელსაც ფრიდრიხ ბარბაროსის უამს უფლება ჰქონდა გაცეცა ექიმის დიპლომი. აქ დაწერილ შრომებს შორის ყველაზე ცნობილია ვილანოველის “სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი” - 102 ლექსი (“აფორიზმები”). 1504 წელს გამოიცა მისი თხზულებების სრული კრებული (*Opera omnia*), სადაც შესულია 65 ტრაქტატი, რომელიც შემდგომ წლებში 300-ჯერ იქნა გამოცემული. <http://gerontology.esrae.ru/1-8>

**“ორას ცხრამეტი ძვალი აქვს კაცსა,
ოცდათორმეტი კბილი აქვს პირში,
სამას სამოცდახუთი სისხლძარღვი –
რთულია, რთული ადამიანი,
მით უფრო რთული სიფრთხილზე ჰმართებს”
არნოლდ ვილანოველი.**

ამ ნაწარმოების რჩეული ადგილების ბრწყინვალე ქართული თარგმანი განახორციელა აკაკი გელოვანმა /არნოლდ ვილანოველი, 1989/. ქვემოთ გთავაზობთ მისეული თარგმნის ამონარიდებს ზოგიერთი საკვები მცენარის სამკურნალო მნიშვნელობაზე:

**“ალუბალს შეჭამ - სიკეთეს ნახავ:
გაგინმენდს კუჭს და დაგიშლის ქვებსა.
კენკრისგან სისხლი დაგენმინდება.”**

“შინდი ადიდებს შარდის სიუხვეს,
შინდი ამაგრებს ამასთან კუჭსაც.
მაგარი შინდი კარგია,
მაგრამ რბილი - ორმაგად სასარგებლოა.”

“სტომაქის ქარებს განაქარვებს თესლი კამისა,
კამის სიკეთე სამგვარია: კუჭს ასუფთავებს,
თვალს ამახვილებს და განდევნის ციების შხამსა”.

“ძველ მედიკოსთა აზრით, ბალბა არბილებს მუცელს,
ფეხვის ნაფხეკი ამსუბუქებს კუჭის განმნდას,
მშობიარესაც ეხმარება, თვიურს უხდება”.

“სნეულს აძინებს, წყვეტს ღებინებას,
ჭვალეებსაც არჩენს თესლი ჭინჭრისა.
თათლში გაურევთ - ხველებას შველის,
დევნის ფილტვებში შეჭრილ სიცივეს
და ამსუბუქებს სახსრების ტკივილს”.

“წიწმატის წვენი თავს დაიხსნით თმის ცვენისაგან,
ამ წვენს აქვს ძალა მოერიოს კბილის ტკივილსაც.
თათლს შეურევთ და თავს დაიშვით -
ქერტლი გაქრება”.

“არის აზრი, რომ ზატრანაა შვების მომცემი,
აძლიერებსო კიდურებს და ანახლებს ღვიძლსა”.

“პრასის მჭამელი ქალი ხდება ნაყოფიერი,
სისხლდენას შეწყვეტს ამნაირი ხახვის ხმარებით”.

“შავი წინაკა, რაც იოლად იხსნება წყალში,
წვენებს წმენდს და არის კარგი სახელმწიფელი.
თეთრია კუჭის სარგო,
აცხრობს ხველას და ტკივილს.
ციებიანსაც შეცივნების ტანჯვას არიდებს”.

“როგორც ეტყობა, ხახვზე არ არის
ეჭიმთა შორის აზრთა თანხმობა.
გალენი ამბობს, რომ სხვა მხრივ სარგო
ვერ უშველისო ქოლერიკს ხახვი,

სამაგიეროდ ფლეგმატიკს კურნავს.
ყველაზე კარგი გახლავთ კუჭისთვის,
და სახის ფერსაც აცოცხლებს ხახვი.
თუ ხახვის წვენი თმის ძირებს დაზელს,
მელოტს უბრუნებს ძველ სილამაზეს.
წყლულს, ძალის ნაკუნს დაბანენ ძმრითა,
თაფლს წააცხებენ, აღებენ ხახვსა”.

“თევზს დააყოლე ცოტა ნიგოზი,
ხორცს დააყოლე მცირედი ყველი.
ერთი ნიგოზი სასარგებლოა,
ორი - სამძიმო, სამი - საკვდავი.”

“მსხალი შეჭამე - შესვი რაიმე,
ნიგოზი გახლავთ შხამის წამალი.
მსხალი უღვინოდ - შხამია მხოლოდ,
და თუ შხამია, რაღა მსხალია!
ნახარში მსხალი შხამს უვნებელჰყოფს,
მოუხარშავი - თავად შხამია.
ახალი მსხალი - კუჭის ტვირთია,
ნახარში - კუჭის შემსუბუქება;
ჭამე მსხალი და შესვი რაიმე,
ჭამე ვაშლი და კუჭს არ შეგიკრავს”.

“ცერცვი ვაქოთ და ვაძავოთ კიდევ:
უჩინო ცერცვი მარგებელია,
ჩინო ბერავს და მავნებელია”.

„ძმარი აცივებს, უფრო მძლავრად აშრობს სხეულსა;
თესლსაც ამცირებს, თენთავს, იწვევს მეღანქოლიას;
მყესებს აწვალვებს, ძარღვებს ახმობს, სიმსუქნეს აცხრობს.”

“მას, ვინც სადილობს, სამარილე დაუდგით წინა,
შხამს ერევა და გემოს აძლევს საჭმელს მარილი.
უგემურია უმარილო კერძი ყოველი.
მაგრამ უზომო - თესლსა ვნებს და ასუსტებს მზერას,
კაცს აკანკალებს, კანს აქავეებს, ქეცის წყაროა”.

“სასმელად თეთრი ღვინო გერჩიოს!

წითელს თუ დაღვევ ზომამე მეტად,
კუჭს გაგიმაგრებს, ჩაგიხლექს ხმასა!”

“თუ ღამით ღვინო მავნეა და არ მოგვეცემს შვებას,
დღისით დალიე, მოგიხდება, მოგიყვანს ჯანზე.
რჩეული ღვინო გაგიმაგრებს, გადავა სისხლში;
თუ ის შავია, იცის ტანში მოთენთილობა.
სჯობს, იყოს თეთრი, ძველი, ნაზი, დაღვინებული,
თუნდაც ქაფქაფა, წყალნარევი - ოღონდ ზომამე!”

“წყლის დაყოლება ჭამის შემდეგ მავნეა მეტად,
კუჭი ცივდება, მონელება ძნელდება ხოლმე”.

“მაძრისად ჭამა, უხვი ვახშმობა
ჩვენი კუჭისთვის მავნეა ძალზე.
თუ გინდა, ღამე მშვიდად გეძინოს,
ძილის წინ საჭმელს ნუ დააძლები.”

სალერნოს სკოლის “აფორიზმების” (ლათინური ლექსი), ამ მარჯვე გამონათქვამებს 500 წლის განმავლობაში იგუპირებდნენ, მათ შორის ხშირად ფიგურირებს ბოსტნეული მცენარეებიც; მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს: “კომბოსტო - წვენი ასუსტებს კუჭს, ფოთლები - ამაგრებს”; “პრასა - ქალწულს ნაყოფიერს ხდის, აჩერებს ცხვირიდან სისხლდენას”; “უკეთესია ნედლი ხახვის ჭამა, ის დევნის ნალველს”; “კვლიავი - აღაგზნებს სიყვარულს, აძლიერებს მადას, ხელს უწყობს შარდის გამოყოფას, ფეხბძიმე ქალი, თუ ის კეთილგონიერია მას პირს არ მიაკარებს”. თანახმად “აფორიზმებისა”, დასაზღვრად იყენებდნენ ჯინჯარს ან შავ მღოვკს; ხველების დამამშვიდებელი საშუალებებიდან (ამოსახველებელი) მოიხსენიებენ კატაპიტნასა და სამკურნალო ტუხტს, ოფლმდენი საშუალებებიდან - ბოლოკსა და ეკალიფს. ჭრილობების შესახორცებლად იყენებდნენ სხვადასხვა მცენარეებს, მაგ.: ბერძნულ ულუმბოს (აღმოსავლეთში მას აფასებდნენ როგორც მადის მასტიმულირებელ და ქალის მკერდის გამამაგრებელ საშუალებას), გულყვითელას, კრაზანას, მრავალძარღვას, კომბოსტოს ფოთლებს. ითვლებოდა, რომ კაკლის ხის ფოთლები იძლევა შესანიშნავ შედეგს ეგზემის მდგრადი ფორმების განსაკურნავად. ცნობილი იყო ეფექტური

შარდმდენი საშუალებები: ალუბლის ხის ტოტები, ანწლის ფესვები, შვიტა და განსაკუთრებით ზღვის ხახვი. სასაქმებელი საშუალებებიდან - აბუსალათინის ზეთი, რევანდი, ხეჭრელის ქერქი, ალოე. კუჭის გამამგრებელ საშუალებებს მიეკუთვნებოდა - მუხის რკო და ფოთლები, მოცვის ნაყოფები, რომლებიც ამავე დროს აუშუაბესებს ღამის მხედველობას. გულის დაავადებების სამკურნალოდ ცნობილი იყო ნიორი, რომმარინი, ზღვის ხახვი; სისხლის მიმოქცევის დარღვევას, რომელსაც ხშირად ქალების სენად თვლიან, ასევე კურნავდნენ ბალახებით: ტეგანი, ბატის მარწყვაბალახი, აბზინდა, კამა; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და სასწაულმოქმედად მიიჩნევდნენ სალბის. მის შესახებ აღტაცებითაა ნათქვამი “აფორიზმებში“ - **“აღამიანო, რატომ კვდები შენ? შენს ბაღში ხომ სალბი იზრდება!”** იმ საშუალებებში, რომლებიც ნაღვლის ბუშტის მოქმედების რეგულირებას იწვევს განსაკუთრებული ადგილი ეკავა შავ ბოლოკს, არტიშოკსა და რომმარინს; შარდსასქესო გზების დაავადებებისას იყენებდნენ მოცვსა და შვიტას. ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას მიაკუთვნებოდნენ ბარამბოსა და ხაშხაშის ნაყენს. მსგავსი მონაცემების მოყვანა მრავლად შეიძლება (Салернский кодекс здоровья, 1970).

მნიშვნელოვანია გერმანელი მეცნიერის, ბოტანიკოსისა და ექიმის ლეონარდ ფუქსის მიერ (1542) შედგენილი გერმანული ბალახების ცნობარი (*De historia stirpium commentarii insignes*), სადაც აღწერილია და ილუსტრირებული მშვენიერი ნახატებით (გრავიურები ხეზე) ადგილობრივი ფლორის 400- მდე სახეობის სამკურნალო მცენარეები. ლ. ფუქსის საპატივცემულოდ ეწოდა გვარ ფუქსიას მისი სახელი (*Fuchsia L.*).

მცირე რაოდენობა და ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ის მედიცინის ასორტიმენტი შეადგენს არა უმეტეს 900 ობიექტს. დანარჩენი მცენარეები მიეკუთვნება სხვადასხვა ხალხის ხალხურ და ტრადიციულ ეროვნულ მედიცინას.

ევროპელები ტროპიკული აფრიკისა და ავსტრალიის ფლორის სამკურნალო მცენარეებს მოგვიანებით გაეცნენ (XIX ს.). ევროპულ ფარმაკოგნოზიაში ავსტრალიიდან აღებულია მაგ., ევკალიპტები, კაიანუსის ზეთი, ძალღყურძენა, ტროპიკული და სამხრეთ აფრიკიდან - სტროფანტი, ხე კოლას ნაყოფები, არნივის ხის მარცვალი, სხვადასხვა ფისები.

რუსეთში ხალხი ბალახებით ოდითგანვე მკურნალობდა. ამ მხრივ დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი ექიმბაშების მიერ, მაგრამ მონაცემების ჩანერა არ ხდებოდა. IX-X საუკუნეებში მყარდება ურთიერთობები კიევის რუსეთთან და ბიზანტიასთან, საიდანაც იწვევდნენ ბერძენ ექიმებს; მედიცინაში ყალიბდება ბერძნულ - სლავური მიმართულება, რომელიც XVI ს-მდე არსებობდა. თუმცა თათრების შემოსევამ კარგა ხნით შეაჩერა ქვეყნის კულტურული განვითარება.

XVI ს-ში თათრების უღლის გადაგდების შემდეგ რუსეთმა დაიწყო ურთიერთობები დასავლეთ ევროპულ ქვეყნებთან, დაიწყო ევროპელი ექიმების მონვევა. მოსკოვში მეფე ივანე IV-ის დროს (XV ს.) გაიხსნა პირველი აფთიაქი, რომელიც მონყობილი იყო დას. ევროპული ნიმუშების მსგავსად. დას. ევროპიდან შემოჰქონდათ სამკურნალო ნედლეული, რომელიც ამავდროულად არაბული მედიცინის მრავალ საშუალებას მოიცავდა. რიგი ლათინური და ევროპული წიგნები სამკურნალო მცენარეებზე ითარგმნებოდა რუსულად. შემდგომში რუსული და დასავლეთ ევროპული სამეცნიერო მედიცინა ერთობლივად ვითარდებოდა (Машковский, 1967; Муравьева, Гаммерман, 1974; Муравьева, 1978; Ладынина, Морозова, 1987;

ru.wikipedia.org/wiki/Фармакогнозия; www.medicflower.ru/history.htm; pharmakognoz.ru/Obschaya-farmakognozya/).

საექიმო ხელოვნება სომხეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, უძველესი დროიდან არსებობდა. დიდი რაოდენობითაა შემონახული ზეპირი გადმოცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სომ-


ხეთის უძველეს ფლორას ფართოდ იყენებდნენ სამკურნალო მიზნებისათვის. V საუკუნის ისტორიკოსი პორპსკი უძველესი სომხეთის ყოფილი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრის არარატის მხარის აღწერისას ამბობს: „იქ პოულობდნენ სხვადასხვა მცენარეთა ნაშთებს, რომლებსაც მცოდნე ექიმების ხელოვნებისა და განსწავლის მეშვეობით წამლის ან სწრაფად განმკურნავე სალბუნის სახით იყენებდნენ დაავადებით ხანგძლივად შეპყრობილ ავადმყოფთა ჯანმრთელობის აღსადგენად”.

პონტოს ცნობილი მეფე მითრიდატე, პლინიუსის და სხვა მრავალი ბერძენი ისტორიკოსის სიტყვით ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი მკურნალო ყოფილა მთელ აღმოსავლეთში; იგი ბალახებიდან რომელიც სომხეთში იზრდება, ამზადებდა პირსასაქმეველ საშუალებას, რომელიც დღესაც მითრიდატეს წამლის სახელითაა ცნობილი /წუნუნავა, 1966; შენგელია, 1946; 1983; Золотницкая, 1958; Гаммерман, Юркевич, 1965; Ковалева, 1972 /.



ანწლი

სამკურნალო მცენარეების კულტურა საქართველოში



ქვეყნის სახელწოდება „საქართველო“ მომდინარეობს „ქართ“ ძირისაგან, რაც უძველეს სატომო სახელს „ქართუ, კარდუ, ხალდუ“-ს უკავშირდება.

საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზეა განლაგებული და უძველესი ისტორიული მემკვიდრეობითა და უნიკალური კულტურით გამოირჩევა.

ისტორიული ჩანაწერები საქართველოს შესახებ 4 ათას წელზე მეტს ითვლის, ხოლო ქართული ანბანი მსოფლიოს 14 უნიკალურ ანბანთა რიცხვში შედის. საქართველო ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყნებს შორის, სადაც მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

გეოტექტონიკური თვალსაზრისით, საქართველოს ალპურ-ჰიმალაური დანაოჭების ვრცელ სარტყელში ცენტრალური მდებარეობა უკავია. იგი იწყება ატლანტის ოკეანის სანაპიროებიდან და მოიცავს ხმელთაშუა და შავი ზღვების მიმდებარე მთიან ნაწილებს, წინა აზიასა და ჰიმალაის მთიანეთს.

ცნობილია, რომ სუბტროპიკულ და ზომიერ კლიმატურ სარტყლებს შორის საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს, რის გამოც საქართველო მდებარეობს სუბტროპიკულ კლიმატური სარტყლის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში.

საქართველოში ჩამოყალიბებულია სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის ჰავის თითქმის ყველა ტიპი - ნოტიო სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო, ზომიერად მშრალი და მშრალი-კონტინენტური. ეს განპირობებულია მისი სუბტროპიკულ და ზომიერ კლიმატური სარტყლების მიჯნაზე მდებარეობით, ასევე ბუნებრივი ბარიერების - კავკასიონისა და სამხრეთ მთიანეთის არსებობითა და შავი ზღვის გავლენით.

ქვეყნის ტერიტორია ძირითადად მთებს უკავია, ბუნება მრავალფეროვანია - სუბტროპიკებიდან კავკასიონის მყინვარებამდე; უმაღლესი მწვერვალია მთა შხარა 5068 მ, უდაბლესი წერტილი - შავი ზღვა (0 მ) <https://ka.wikipedia.org/wiki/საქართველო>.

საქართველო სამკურნალო მცენარეთა შესწავლისა და წამალთმცოდნეობის თვალსაზრისითაც უძველესი და უნიკალური ქვეყანაა. ხალხური ფარმაკოლოგიისა და წამალთმცოდნეობის მდიდარი ტრადიციები

ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ისე როგორც მსოფლიოს სხვა უძველესმა ხალხებმა, ასევე ქართველებმაც ეთნიკური ფორმირების პერიოდში მკურნალობასა და სამკურნალო საშუალებებზე თავიანთი კონცეფცია შეიმუშავეს. ქართველი ხალხი ამ პერიოდისათვის უკვე იცნობდა როგორც მცენარეულ, ისე ცხოველური და მინერალური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერებებსა და საშუალებებს. საქართველოს მედიცინის ისტორიის მიხედვით მედიცინის განვითარება უფრო ფართო მასშტაბით იწყება II საუკუნეში ჩვ.წ-მდე, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრების წყალობით მოპოვებული მასალა ნათლად ადასტურებს, რომ სამკურნალო საშუალებებს II საუკუნეზე ადრეც ეძიებდნენ. საქართველოში მედიცინისა და განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეთა შესწავლის ინტერესს კიდევ უფრო აცხოველებდა ის დაუსრულებელი და სისხლისმღვრელი ომები, რომლებიც ქართველებს ჰქონდათ მოძალადეებსა და დამპყრობლებთან. საქართველო ალებ-მიცემობას აწარმოებდა იმ დროისათვის ისეთ კულტურულ და მონინავე ქვეყნებთან, როგორცაა ბაბილონი, ინდოეთი, არაბეთი, საბერძნეთი, რომი და სხვ. როგორც უცხოელებს, ასევე ქართველებს შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სამკურნალო ნივთიერებები და საშუალებები. ვანში ჩატარებული გათხრები და აღმოჩენები ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ანტიკური ხანის კოლხეთი უდიდესი კულტურის ქვეყანა ყოფილა. მის მახლობლად გადიოდა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ქ. ფოთში (ძველი ფაზისი) გაივლიდა და ამიერკავკასიის ქვეყნებს, მათ შორის კოლხეთსაც, ერთი მხივ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, ხოლო მეორე მხრივ, შუა აზიასა და ინდოეთთან აკავშირებდა.

საქართველოში თემური და ანტიკური პერიოდის მედიცინის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები, ქართული მითოლოგიური ეპოსი, არქეოლოგიური გათხრები და ეთნოგრაფიული კვლევის მასალები, ძველი ქართული სამედიცინო წყაროები.



კოლხა, ყველაზე ძველი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე

საქართველოს სამკურნალო მცენარეების გამოყენების ისტორიისათვის მნიშვნელოვანია თქმულება არგონავტების შესახებ, დიდი ლიტერატურულ-მეცნიერული ძეგლი, ალექსანდრიული ეპოქის მეცნიერი და ეპიკოსი მგოსნის აპოლონიოს როდოსელის (მოღვაწეობდა ძვ. წ. აღ. - ის III საუკუნეში) პოემა „არგონავტიკა“, რომლის სრული პოეტური თარგმანი აკაკი ურუშაძის მიერ ქართულ ენაზე მისი დაწერიდან დაახლოებით 2300 წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

ნაწარმოების სქოლიოებში დაცული მითითებებით ირკვევა, რომ ავტორმა მუშაობისას მრავალი წყარო გამოიყენა. დამონშეულია ელინური და ელინისტური პერიოდები, აპოლონიოსის წინამორბედი და თანამედროვე ავტორები, კერძოდ: ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდარე, ესქილე, სოფოკლე, პელანიკე, ჰეროდორე, ჰეროდოტე, ფერეკლი, ანტიმაქე, ასკლეპიადე, ვერიპიდე და მრავალი სხვა. არგონავტების ექსპედიციის ხანად ჩვ.წ.-მდე 1263-1257 ან 1189-1180 წლებს მოიანზრებენ (Չրիսტავი и др. 1967). თქმულება მიუთითებს ძველ კოლხეთში სამკურნალო მცენარეების ხელოვნურად გაშენების ფაქტზეც და საერთოდ ჩვენში უხსოვარი დროიდან მცენარის სამკურნალწამლად გამო-

ყენებაზე. აპოლონიოსის თანახმად, კოლხეთში, მეფე აიეტის სამფლობელოში, „არესის ველზე, არესის ქალაქში“ არსებობდა მისი მეუღლის (ჰეკატეს) და ქალიშვილის - მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღი, სადაც გაშენებული ყოფილა მრავალი სახეობის მცენარე (არგონავტიკა, 1975). მიიჩნევენ, რომ ეს იყო იმ დროისათვის ყველაზე მრავალფეროვანი და ფლორისტულად მდიდარი, თაქტიურად პირველი ბოტანიკური ბაღი მსოფლიოში (მ.შენგელია, 1979; 1981).



კოლხი მედეა /progressnews.press/

მეტად საინტერესო მონაცემები მოჰყავს აპოლონიოს როდოსელს, მედეას მიერ სამკურნალოდ გამოყენებული ერთ-ერთი ბალახის “პრომეთეს ყვავილის” შესახებ, რომლის იდენტირობაც დღემდე დაუდგენელია. კერძოდ:

„... ამბობენ, რომ ამ ჯადოსნურ ყვავილს „პრომეთეს წამალს“ უწოდებს ხალხი. თუ დედისერთა ქალწულის გულსა ღამის მსხვერპლებით მოიგებს ვინმე, პრომეთეს წამლით განიბანს ტანსა და საიდუმლოდ განიწმინდება, მას ვერც მახვილით განგმირავს ვინმე, ვერც შუბითა და სატევრით დაჭრის, არც მოგიბგიზე ცეცხლის წინაშე დაიხევს უკან ასეთი კაცი. იმ დღეს იმისი მძლეველი კაცი დედის მუცლიდან არა შობილა.

ყვავილი იგი გაჩნდა პირველად კავკასიონის მწვერვალთა შორის, როცა წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა კლდეზე მონამე პრომეთეს სისხლი, ტიტანს კორტნიდა ხარბი არწივი, მიწას ნამავდა უკვდავი სითხე, და წერთის სიმაღლის ორღეროვანი კობტა ყვავილი იზარდა მისგან, კორიკიოსის ზაფრანის მსგავსი, ღვთაების გულის სისხლით ნაკვები, ღრმად რომ გაუდგამს წითელი ფესვი, სადღაც მიწაში ღვივის უჩინოდ, ქორფა საკლავის ჯერაც სისხლიან ხორცის ნაჭერი რომ გვეკონება, და წვენი გასდის - მაღალი მთების მუხის წვენსა ჰგავს ის მუქი წვენი.“

(არგონავტიკა, 1975; გვ. 140)

ბაღში არსებულ მცენარეთა შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის „ორფიკული არგონავტიკის“ უცნობი ავტორიც (ახ.წ. III-IV ს-ის მიჯნაზე შეთხზული ნაწარმოები) მის მიერ, მედეას ბაღში მითითებულ მცენარეებს იმის განმარტებას ახლავს, თუ რისთვის იყენებდა მედეა მათ, მაგ., ასფოდელუსი - სამარხებზე რომ იზრდება და ჯადოსნურ სიზმრებს იწვევს; პეონია - ქალურ სწეულებათა მთავარი წამალი, სპაზმების საწინააღმდეგო საშუალება; იფენურა (დიქტამნუსი) - უებარი წამალი გველნაკბენისა; მანდრაგორი - გამაცოფებელი და დასაძინებელი; ძალყურძენა განსაკუთრებით გამოიყენებოდა გრძნეულთა ხელოვნებისათვის; ბალის არჯაკალი - რომლის ნაწური წვენი სისხლდენის საწინააღმდეგოდ იხმარებოდა, ფრინტა (ანემონე) - კბილის ტკივილის, ქარების, სურავანდისა და თავზე მუნის სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა; გონგოლის თესლი შხამსაწინააღმდეგო საშუალებად მიაჩნდათ; ყოჩივარდას იყენებდნენ როგორც მათრობელა და მუცლის მოწყვეტის ძლიერ საშუალებად; სალბი - ცხელი საფენებისა და გამოსავლების სახით იხმარებოდა; ლავანდა - შედიოდა ჩირქ-გროვების სამკურნალოდ ხმარებული წამლების შემადგენლობაში; პიტნა - ჭრილობის წამლად იყო მიჩნეული; თავშავა - გველნაკბენის უებარ წამლად ითვლებოდა; წინმატი - ნაქები იყო როგორც ვესლიან ქვემძრომთა ძლიერი შხამსაწინააღმდეგო საშუალება; ზაფრანას სამკურნალო ძალა ქალურ სწეულებათა საწინააღმდეგოდ იყო განთქმული და ა.შ. (ორფიკული არგონავტიკა, 1977).



კურტ შპრენგელი (1766-1833)

სწორედ ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით, XVIII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე, გერმანელი ბოტანიკოსი, ექიმი და ფილოლოგი, მსოფლიო მედიცინის ისტორიის მკვლევარი და სისტემატიკოსი კურტ შპრენგელი თავის 5 ტომიან შრომაში, რომლის I ტომი „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორია“ 1792 წელს გამოსცა, განსაკუთრებული ადგილი დაუთმო „უძველეს კოლხურ მედიცინას“, რომელსაც უძველესი ცივილიზირებული ხალხების მედიცინის გვერდით მიუჩინა საპატიო ადგილი. ავტორი ასახელებს „მედეას ბაღში“ მოზარდ სამკურნალო მცენარეებს ლათინური ტრანსკრიპციით: *Laurus nobilis* – დაფნა, *Cornus mas* – შინდი, *Platanus* – ჭადარი, *Asphodelus ramosus* – ასფოდელი, *Lathyrus chymenum* – არჯაკელი, *Adiantum capillus* – ვენერას თმა, *Cyperus rotundus* – მრგვალი თავნასკვა, *Verbena supina* – ვერბენა (ცოცხანა), *Anemone coronaria* – ფრინტა, *Salvia hovminum* – სალბი, *Sisymbrium policeratum* – გონგოლა, *Lavandula stoechas* – ლავანდა, *Cyclamen* – ყოჩივარდა, *Hedera folium* – სურო, *Paeonia officinalis* – იორდასალამი, *Mentha cervina* – პიტნა, *Origanum dictamnus* – თავშავა, *Lepidium sativum* – წიწმბა, *Crocus* – ზაფრანა, *Taxus baccata* – ურთხმელი, *Phaseolus vulgaris* – ჩვეულებრივი ლობიო, *Smilax aspera* – ეკალიჭი, *Anthemis nobilis* – ირაგა, *Pyrethrum parthenium* – გვირილა,

Matricaria chamomilae – სამკურნალო მატრიკარია, *Glaucium luteum* – ყაყაჩურა, *Malva taurina fortiana* – ბალბა, *Ferula opopanax* – საკპინაჭი, *Pastinaca lucida* – ძირთეთრა, *Valeriana tuberosa* – კატაბალახა, *Stelle* – უნურუკი, *Micropus erectus* – მიკროპუსი, *Corallina* – კორალინა, *Teucrium montanum* – ჭარელა, *Aconitum* – ტილჭირი, *Echinophora tenuifolia* – ეხინოპორა.

„პონტო განთქმული იყო მთელ ანტიკურ სამყაროში თავისი შხამიანი და სამკურნალო ბალახების სიუხვით, - წერს კურტ შპრენგელი; ფლობდნენ შხამსაწინააღმდეგო ანტიდოტურ საშუალებათა მომზადების ხელოვნებას, რომელსაც შემდგომ პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორიელი იყენებდა. ცნობილი ყოფილა ყურძნის წვენი და ღვინის გამოყენება მიკროდოზებით, ძალღყურძენასა და სხვა მცენარეების ნაყოფის მინარევებთან ერთად, როგორც ანალგეტიკური, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. იყენებდნენ წამლის მომზადებისას სინერგიზმის მეთოდს, იცნობდნენ წნევის და სიცხის დამწვეს, ოფლის მომდენ, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა საგულე - კარდიოლოგიურ საშუალებებს; გრძნეულების ხელოვნებისათვის განსაკუთრებით გამოიყენებოდა ძალღყურძენა, რომლის ფესვებიც ღვინოსთან შერეული არც თუ უსიამოვნო ზმანებებს იწვევდა, რაც ხშირად 3 დღეს გრძელდებოდა, ხოლო მისი დიდი დოზებით მიღება სიკვდილით მთავრდებოდა. მანდრაგორას (შეიცავს ჰიოსციამინსა და სკოპალამინს) გამაცოფებელი და დასაძინებელი ძალა კარგად იყო ცნობილი. ჩვეულებრივი ბელადონა (შმაგა, ანუ გიჟანა) ხშირად გვხვდება კოლხეთში, სამხრეთ ტავრიდასა და საერთოდ კავკასიაში. ასეთი და ამის მსგავსი ბალახებით ეწეოდა მედიას ოჯახი კოლხეთში თავის საქმიანობას. შხამსაწინააღმდეგო საშუალებებსაც ეძებდნენ ისინი და საამისოდ სათანადო მცენარეებიც მოჰყავდათ. აშენებდნენ 81 ისეთ მცენარეებსაც, როგორსაც მოგვიანებით მითრიდატე VI ევპატორიელი იყენებდა“ (ციტ.: სალუქვაძე, 1987).



კოლხეთის ტორფნარები

იმ პერიოდში უკვე ცნობილი იყო სამკურნალო მცენარეთა ისეთი ფარ-მაკოლოგიური თვისებები, როგორცაა კოაგულაცია და ანტიკოაგულაცია; ნარკოტიკული, სედატური, ანალგეტიკური, მომაკვდინებელი და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა მომზადების ხელოვნება. წარმატებით გამოიყენებოდა წნევისა და სიცხის დამწვევი, ოფლმდენი, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა კარდიოლოგიური საშუალებები (წუნუნავა, 1960; მ. შენგელია, 1979; სალუქვაძე, 1987).

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გამოკვლევებში უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ძვ. წ. ა. II ათასწლეულში კოლხეთის დაბლობზე 40-მდე სამკურნალო მცენარის კულტივირება ხდებოდა. ეს კი თავისთავად ძველი კოლხური მედიცინის მაღალ დონეზე მეტყველებს. დღევანდელი თვალთ დანახული ძველი კოლხეთი ბერძნულ მითად უკვე აღარ გვეჩვენება - იგი რეალობაა ყველასათვის, ვინც კი გარკვეულია ქართული არქეოლოგიის უკანასკნელი დროის ბრწყინვალე წარმატებებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ არგონავტულ ლიტერატურაში საკმაოდ დანვრილებით არის აღწერილი ის განსაცვიფრებელი ბაღი, რომელიც მრავალი დასახელების მცენარეს შეიცავდა. ბევრი მათგანი სხვა ქვეყნებიდან იყო ჩამოტანილი და ადგილზე კულტივირებული (მაგ.: მანდრაგორი, ლავანდა, საკუპინაჭი და სხვ.). თუ გადავხედავთ ამ ბაღში გახარებულ მცენარეთა სიას წარმოდგენილს ბერძნული სახელწოდებებით, დავასკვნით, რომ ეს ბაღი ხელოვნურად გაშენებული სამკურნალო მცენარეთა ცოცხალი კოლექცია ყოფილა თავის დროზე.

ისტორიამ შემოინახა მდიდარი ბაღების აღწერილობა უძველეს სახელმწიფოებში: ეგვიპტეში, ასირია-ბაბილონში, ინდოეთში და სხვ., მაგრამ ისინი დეკორატიული, გასართობი ხასიათის ბაღები იყო, განკუთვნილი მეფეებისა და რჩეულ პირთათვის. ჭეშმარიტი ბოტანიკური ბაღი ევროპაში დაარსდა მხოლოდ 1309 წელს (სალერნო, იტალია). ქართველ მეცნიერთა მიერ დადგენილ იქნა „მედეას ბაღის“ მდებარეობა და მისი საზღვრები. დადასტურებული მონაცემებით, იგი გაშენებული ყოფილა კოლხურ-გეოგრაფიულ პროვინციაში, რომელიც მოიცავს კოლხეთს და მცირე აზიას ლაზისტან-პონტოს ქედის გაყოლებით მდინარეების მეღვთ-ორდუს წყალგამყოფამდე. როგორც ცნობილია, საქართველოს ფლოროცენოტიკური კომპლექსებიდან სახეობრივი შემადგენლობით, ეკოლოგიურად და ბოტანიკურ-გეოგრაფიულად გამოირჩევა სწორედ კოლხეთის რეფუგიუმი, სადაც წარმოდგენილია უძველესი რელიქტური და ენდემური სახეობები. ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზით ვლინდება, რომ „მედეას ბაღში“ მცენარეთა შემადგენლობა კლიმატზე დამოკიდებულებით და ფლოროგენეზით ჰეტეროგენურია, ჭარბობს არიდული და ჰუმიდური ოლქების (ხმელთაშუაზღვისპირეთის, წინა და მცირე აზიის, აღმოსავლეთ აზიის) მცენარეები. მათ შორის გარკვეული მნიშვნელობა ხმელთაშუაზღვის აუზის ფლორისტული ცენტრების მცენარეებს ენიჭება. კერძოდ, უძველესი ხმელთაშუაზღვეთის სახეობათა ჯგუფს, რომელთა არეალი ერთ ან რამდენიმე ურთიერთმოსაზღვრე ბოტანიკურ-გეოგრაფიულ ოლქს მოიცავს (გაგნიძე და სხვ., 2009).



კოლხეთის ეროვნული პარკი

კოლხეთის ფლორის მრავალფეროვნებას უძველეს წარსულში ადასტურებს პალეობოტანიკური გამოკვლევებიც. XX ს-ის 60-იან წლებში სოხუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ თანამშრომლების მიერ დასავლეთ საქართველოს პონტური დანალექების ფლორისტულმა შესწავლამ შესაძლებელი გახადა დადგენილიყო უძველეს წარსულში მოზარდი რიგი სახეობებისა, რომელთა შორისაა „მედეას ბაღში“ მითითებული მცენარეებიც, რაც კოლხას სამეფოს მედეას წალკოტში მოზარდი მცენარეების რეალური არსებობის კიდევ ერთი დასტურია (Ратиани, 1979).

მეორე მომენტი, ეს არის ის ფარმაკოლოგიური და ფიტოთერაპევტული მემკვიდრეობა, რომელიც მედეამ დასტოვა საბერძნეთში. ეს მემკვიდრეობა იმდენად დიდია, რომ არსებობს მედიცინის ისტორიის გარკვეული დარგი „Cura Mediana“, რომელიც სპეციალურად სწავლობს მედეას საექიმო ხელოვნებას, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ეს იდეები ჩაისახა, სამედიცინო-პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მაღალ დონეზე არ მდგარიყო. ამ დარგში დიდი

ენერგიით მუშაობდნენ ჩვენი ქვეყნისა და სხვა უცხოელი მკვლევარები. ბერძენმა ექიმებმა უძველესი დროიდან მოყოლებული, გულდასმით შეისწავლეს მედიას სწავლების ძირითადი პრინციპები, შხამების, სამკურნალო მცენარეებისა და თვით დაავადებების შესახებ. მათ შორის იყვნენ ჰიპოკრატე და დიოსკორიდი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ანტიკური ხანის მოღვაწე დიოსკორიდი შხამიან მცენარეებს „კოლხიკონს“ უწოდებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ძველ ბერძენებს ამ მცენარეთა სამშობლოდ კოლხეთი მიაჩნდათ. საუკუნეების შემდეგ ბერძნული სამედიცინო თხზულებები არაბულ ენაზე ითარგმნა, შემდეგ სპარსულზე და საქართველოში შემოვიდა არაბულ-სპარსული მედიცინის სახით. დადგენა იმისა, თუ რა ადგილი უკავია აღმოსავლურ კარაბადინებში მედიას სამედიცინო კომპეტენციას, მეტად ძნელია მაგრამ ნაწილობრივ შესაძლებელი, რადგან ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ რიგი არაპირდაპირი მაჩვენებლებით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებით, ყველაზე მეტად კი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენებით. გამოკვლევები ამ მიმართულებით კვლავ გრძელდება, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ძველ კოლხურ-იბერიულ მედიცინის კულტურის შესახებ (მ. შენგელია, 1979; ბიძინაშვილი, 2011; 2014).

საქართველოში ფეოდალიზმის ჩასახვის პერიოდის (IV-V სს.) ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში მოიპოვება ცნობები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება იმ დროინდელი მედიცინის დონის განსაზღვრა. ხანძთის სავანეში (VIII-IX სს.) დიდ სამედიცინო - საექიმო პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფე ეპიფანე. სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებით ისინი მკურნალობდნენ ავზნეს, დამბლას და სხვ.

ათონის ივერთა მონასტერში, შემდგომ ვარძიაში, გელათსა და იყალთოს აკადემიაში, რომლებიც უმაღლესი სამედიცინო განათლების კერებს წარმოადგენდა, ფართოდ მისდევდნენ სამკურნალო მცენარეთა მოშენება-გამრავლებას (ფიცხელაური, 1982).

ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხშირად გვხვდება სამკურნალო მცენარეების მოხატულობა. ასე მაგ., V-VI სს. კლდეებში ნაკვეთ ქალაქ დავით გარეჯის კომპლექსში კლდეებზე გამოსახულია

სხვადასხვა მცენარე, კერძოდ: ბროწეული, მრავალძარღვა, ნიახური და სხვ.

სამკურნალო მცენარეებით არის მოხატული სვეტიცხოვლის (XI ს.) დასავლეთის კედელი. მათ შორის აღსანიშნავია კეთილშობილი დაფნა, ტიტა, ყაყაჩო და ზეთისხილის რტოები.



ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები



ხანძთა

შუა საუკუნეების ქართული მონასტერი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ტაოკლარჯეთში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). დააარსა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა. VII საუკუნის დასასრულს ააგეს ხის ეკლესია. შემდგომ ხანაში ადგილობრივი ფეოდალის ვაბრიელ დაფანჯულის მატერიალური დახმარებით დაიწყო ქვის ტაძრის მშენებლობა (ხუროთმოძღვარი — ამონა). ერისთავთერისთავმა აშოტ კუხმა (გ. 918) მშენებლობას დიდი მატერიალური სახსრები გამოუყო. მშენებლობა დაასრულა ერისთავთერისთავმა გურგენ IV-მ (გ. 941).



ოშკი

წმ. იოანე ნათლიმცემლის სახლობის X საუკუნის 50-60-იანი წლების უმნიშვნელოვანესი ქართული სამონასტრო ცენტრი ისტორიულ ტაოში, თორთომისწყლის მარცხენა მალალ ნაპირზე, სოფელ ჩემლიამაჩში, ამჟამინდელ თურქეთის პროვინცია ერზურუმში. ოთხ დიდ კათედრალთაგან პირველი.



ათონის ივერთა მონასტერი


ისტორიული ქართული მონასტერი. მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სვერილზე, აიონ-ოროსის ვიწრო, ვრძელი და მთავორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას. დაარსდა 980-983 წლებში.



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

მონასტრის ისტორია უკავშირდება ბიბლიურ თემულებას, როდესაც ლოთი დაეცა თავის შვილებთან, ღვთისგან შენდობის ნიშნად აბრაამმა მას გადასცა სამი ხმელი ტოტი: ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის. ლოთს უნდა მოერწყა ეს ტოტები და, ღვთისგან პატიების ნიშნად, ერთი ხე აყვავდებოდა, მუსტად ასე მოხდა: აქ ამოვიდა ხე, რომელიც მოჭრეს სოლომონის ტაძრის მშენებლობის დროს, მაგრამ, მერე დაიწუნეს და გადეს მდინარეზე, როგორც ხიდი. ღვთის განგებულებით სწორედ ამ ხისგან დამზადებულ ჯვარზე გააკრეს მაცხოვარი. ჯვრის მონასტერში შემონახულია ადგილი, სადაც ეს ხე გაიზარდა. პირველი ცნობები მონასტრის ტერიტორიის შესყიდვის შესახებ უკავშირდება მეფე მირიანს, რომელიც ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, წმიდა ნინოს რჩევით, ჩადის ბიზანტიაში, მოინახულებს კონსტანტინე დიდს, შემდეგ კი შეისყიდის ამ ტერიტორიას და იქ ააშენებს სამლოცველოს. ძეგლის არქეოლოგიურმა შესწავლამ (1969-1973 წწ.) ცხადყო, რომ პირველი ბაზილიკა ამჟამინდელი ტაძრის ადგილზე აიგო IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. იმ დროს პალესტინის დეუსი იყო იბერიელი მეფისწული ბაკური, პეტრე იბერის შაჰი. V საუკუნეში იერუსალიმში ჯარით შევიდა ვახტანგ გორგასალი, რომელსაც თან ახლდნენ დედა და და. სწორედ მის მიერ ხდება ჯვრის მონასტრის ადგილას არსებული სამლოცველოს გადიდება და დამშვენება. XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ჯვრის მონასტერი ქართველთა სულიერების, რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად იქცა.

https://ka.wikipedia.org/wiki/ჯვრის_მონასტერი




ვარძია

კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძიდან 30 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ზღვ.ღ. 1300 მ. ვარძიის უკიდურესი ზედა გამოქვაბული ზღვ.ღ. 1462 მ-ზე ძევს




იყალთოს მონასტერი

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს ჯახეთის მხარეში, თელავის ჩრდილოეთით, 7-8 კმ-ზე. მონასტერი VI საუკუნეში დააარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამათავანმა გენონმა, რომლის წმინდა ნაწილებიც ამავე მონასტერში განისვენებს. გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს (XI-XII საუკუნეები) აქ აკადემია დაუარსებია



დავით გარეჯის კომპლექსი

ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი. მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარეჯის სერზე; დაარსდა VI საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის მიერ. იგი თავის მონაფე ლუკიანესთან ერთად მოვიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა პატარა, ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით




სვეტიცხოველი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი საპატრიარქო საკათედრო ტაძარი, XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს ქალაქ მცხეთაში. აქ დაკრძალულია უფლისკუვართი და წმ. ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი. იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.



სვეტიცხოველის ფრესკის ფრაგმენტი



გელათის მონასტერი

ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აგებულია ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდინარე წყალწითელის ხეობაში. დაარსებულია 1106 წელს დავით აღმაშენებლის თაოსნობით



გელათის მონასტრის უნიკალური ფრესკის ფრაგმენტი



ყინწვისის მამათა მონასტერი (XIII ს.)

სოფ. ყინწვისიდან დაახლოებით 10 კმ-ზე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი - სამონასტრო ანსამბლი, რომლის ნაგებობათაგან დღემდე თითქმის თავდაპირველი სახით შემორჩა XIII საუკუნის დასაწყისის წმ. ნიკოლოზის ჯვაროვან-გუმბათოვანი მართკუთხა ტაძარი



ყინწვისის ტაძრის კედელზე გამოხატული ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის იკონოგრაფია

ყინწვისის ტაძრის კედელზე ზაზა ფანასკერტელის იკონოგრაფია დამ-
შვენებულია სამკურნალო მცენარეებით: ყაყაჩოთი, ბროწეულის ტო-
ტებითა და ნაყოფებით, ვარდკაჭაჭით. ქრისტიანული სარწმუნოების
გავრცელების შემდეგ ვაზი კიდევ უფრო პოპულარული კულტურა
გახდა. ცნობილია, რომ ნინო კაბადოკიელს ქრისტიანობის გავრცე-
ლებაში ხელს უწყობდა “ჯვარი ვაზისა”. ვაზი სამკურნალო ფარმაკო-
ბოტანიკური თვალსაზრისითაც საინტერესო მცენარეა.



ტიმოთესუნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი
*XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე აგებული ტაძარი. იგი მდებარეობს სამცხე-
ჯავახეთის მხარის ბორჯომის*
მნიციპალიტეტში სოფელ ტიმოთესუნში. აგებულ იქნა თორის
მფლობელ შალვა ერისთავთ-ერისთავ ახალციხელის მიერ

მეტად საინტერესოა „ტიმოთესუნის ეკლესია” (XII-XIII). აქ კედლის
მხატვრობაზე მარცხნიდან მარჯვნივ გამოსახულია შმაგა ანუ გიჟანა,
ბროწეული, ისარა, ადამის ხე, ავშანი – აბზინდა, მუხა, მის ქვევით ხაშ-
ხაში, ია-ყუყუნა ანუ სამფერა ია. ასევე ფრიალ საინტერესოა ნაბახტევის
ეკლესიის II იკონოგრაფიული მხატვრობა, სადაც წმინდანების ფონზე
გამოხატულია სამკურნალო მცენარეთა კომპოზიცია. ბროწეულის ნა-

ყოფები, ვაზის მტევნები, ციტრუსოვანი კულტურები - თურინჯის ტოტები და ნაყოფები /სალუქვაძე, 1981; შენგელია, 1983/.

ქართველი ხალხის მიერ მცენარეთა სამკურნალოდ გამოყენება ასახულია აგრეთვე ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებშიც. ამ მხრივ საინტერესოა ის ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლები, რომლებიც ჩვენს დროში უკვე გამოცემულია. ექიმ ლადო კოტეტიშვილის მიერ გამოკვლეული პირველწყაროების მიხედვით, საქართველოში უძველესი ხელნაწერი – ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ XI საუკუნითაა დათარიღებული. ასევე XII ს.-ის დასაწყისითაა დათარიღებული უნიკალური „წიგნი სააქიმოი“, რომელიც სასულიერო პიროვნების ანტონ ჭყონდიდელის დავალებითა და ინიციატივით გამოქართულებია ხოჯა-ყოფილს. XV ს.-ის ძეგლებს მიეკუთვნება ზაზა ფანასკერტელ - ციციშვილის „სამკურნალო წიგნი - კარაბადინი“, რომელშიც მოცემულია ცნობები: დიაგნოსტიკის შინაგან სნეულებათა და სხვადასხვა დაავადების ეთიოლოგიის, პედიატრიის, ემბრიოლოგიის, უროლოგიის, პროქტეოლოგიის, ოტოლარინგოლოგიის, ნევროპათოლოგიის, დერმატოლოგიის, ინფექციური დაავადებათა პროფილაქტიკის, თერაპიის, ქირურგიის, ონკოლოგიის, დიეტეტიკის, ფარმაკოგნოზის, ფარმაცევტული ქიმიის, კოსმეტოლოგიის შესახებ. წიგნში მოცემულია „კაცთა ყველა ჭირის“ და „თავით თმითგან“ ვიდრე ფეხისა ფრჩხილამდი სამკურნალო რეკომენდაციები. აღნიშნული წიგნი ძველი სამედიცინო ხელნაწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი გახლავთ შუა საუკუნეების ორიგინალური კონსტრუქციის უნიკალური ფარმაკოპეა (სალუქვაძე, 1987).


ხოლო დავით (დაუდ-ხანი) ლუარსაბის ძე ბაგრატიონის (მეფე დავით XI) წიგნი „იადიგარ დაუდი“ XVI ს-ში სამკურნალო წიგნის, კარაბადინისა და ფარმაკოპეის შერწყმის უნიკალური ნიმუშია.

ძველ საქართველოში ხმარებულ სამკურნალო მცენარეთა სახელების დასადგენად ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, რ. ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონი მცენარეთა და ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“.



დავით (დაუდ-ხანი) ლუარსაბის ძე ბაგრატიონი (გარდ. 1579 წ.)

მეტად მნიშვნელოვანია იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ შედგენილი ხელნაწერი ლექსიკონები, სადაც მრავალი მცენარის ძველი ქართული და ლათინური, ზოგჯერ რუსული და სხვა სახელწოდებებია მოცემული. იოანე ბაგრატიონი მკურნალი ექიმი და ბუნებისმეტყველი იყო. ცხადია, იგი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო და კარგადაც იცნობდა როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ სამკურნალო მცენარეებს. მასალა, ხელნაწერების სახით დაცულია აგრეთვე სანკტ-პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში და მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში.



«ეგრე მცდისა აბ მიქინის, ტაღგან
ცხადად მაწყინაბდმს, მდყაბრესა
მცდრსა უუტბთსი, მიმდყბრმა,
მიცინაბდმს; მცდრმან კიდი
მიმამინა, მდყაბრმან ვაბდის
კინა, ეგრე მცდრმან უბ მაცვინა,
მდყაბრმან დამალმნა!»
სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წ.წ.)

გარდა აღნიშნულისა, იქვე დაცულია მთელი რიგი მეტად საყურადღებო სამედიცინო ხასიათის წერილობითი ძეგლები. არსებობს აგრეთვე სხვა მკვლევარებისა და მოგზაურების შრომები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან შევიშაოთ წარმოდგენა ძველ საქართველოში სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეების შესახებ.

მრავალი სამედიცინო ხასიათის ხელნაწერია დაცული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერების ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდში, რომლებიც სათანადო შესწავლასა და დამუშავებას საჭიროებს.

ქართული მედიცინის ზემოთ ჩამოთვლილი კლასიკური ნაწარმოებები უკვე გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურის საგანძურში შევიდა როგორც შუა საუკუნეების მედიცინის უძვირფასესი ნიმუშები.

სამედიცინო ლიტერატურის მასიური ბეჭდვის დაწყებამდე ასეთი ვრცელი წერილობითი ძეგლების რიცხვი უკიდურესად შეზღუდული და მკურნალისათვის თითქმის მიუწვდომელი იყო. ამიტომ დიდი მასშტაბი მიიღო გადამწერლობითმა საქმიანობამ. საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში გამოჩნდა სამკურნალო ხელნაწერების ვარიანტები, “მცირე კარაბადინები”, რომლებიც დროთა განმავლობაში ივსებოდა მკურნალთა და ავტორ-გადამწერთა საკუთარი ცოდნით, ცალკეული ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობაში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ემპირიული გამოცდილებით.


ქართული კარაბადინების გაცნობით ირკვევა, რომ ძველ საქართველოში 1000-ზე მეტი სახეობის, მრავალი ბოტანიკური ოჯახის მცენარე გამოიყენებოდა სამკურნალოდ, უფრო მეტად კი გვხვდება რთულ-ყვავილოვნების, ჯვაროსნების, ჰარკოსნების, ქოლგოსნების, მარცვლოვნების, ვარდისებრთა, ტუჩოსანთა, შრომანისებრთა, ხვართქალასებრთა ოჯახების წარმომადგენლები (Яшвили, 1904; Ролловъ, 1908; ნუნუა, 1959; 1966; მ.შენგელია, 1970; ზ.შენგელია, 1983).



ადრე მკურნალები მონაზვნები და ბერები იყვნენ, რომლებიც მკურნალობასთან ერთად სამკურნალო მცენარეების კულტივირებასაც ახდენდნენ. სამკურნალო მცენარეთა კულტურამ თანდათან გადმოინაცვლა ქართველ მეფეთა სასახლის კარზე „სავარდეების“ სახით, ასე მაგ., ვახტანგ VI-ის „სავარდეში“ ადგილობრივი წარმოშობის სახეობებთან ერთად მრავლად ხაროდა ეგზოტური მცენარეები: ქაფურის ხე, ციტრუსები და სხვ., რომლის მსგავსი პეტრე დიდმაც შექმნა პეტერბურგში სამკურნალო მცენარეთა ბოსტნების სახით, რომლებიც დღესაცაა შემორჩენილი.

სასახლის კარის „სავარდეებიდან“ სამკურნალო მცენარეთა კულტურა ჯერ ფეოდალების, შემდეგ აზნაურებისა და ბოლოს გლეხთა კარზეც გაჩნდა. ამიტომ, საქართველოში, მართალია მცირედ, მაგრამ მაინც შემორჩა სამკურნალო მცენარეთა კულტურის კვალი საკარმიდამო ნაკვეთებზე. „სავარდეებში“ ადგილობრივი ფლორის მცენარეებთან ერთად ხარობდა უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი სამკურნალო მცენარეებიც, რომელთა დანერგვას ხელს უწყობდა ჩვენი ჰავა. ძველთაგანვე უცხოური ქვეყნებიდან შემოტანილმა სამკურნალო მცენარეებმა ჯერ კულტურაში მოიკიდეს ფეხი, ხოლო აკლიმატიზაციის შემდეგ

გაველურდნენ კიდევ. საქართველოს მრავალ კუთხეში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ზოგ მცენარეს შემორჩა უცხოური სახელი, მაგრამ ზოგიერთი მცენარის ქართული სახელწოდება პირიქით ჩვენგან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. უმრავლესობა სახელწოდებისა ქართული წარმოშობისაა. მაგ., სამეგრელოში, ყველში პიტნას ურევენ და მას „ყვავილმინთას“ ეძახიან, ყვალს - ყველს, ხოლო მინთას - პიტნას (პიტნის ლათინური სახელწოდებაა Mentha). მეგრულად ცინტურია ჰქვია მცენარე ასისტავას (რომლის ლათინურ - სახელწოდებაა Centaurium). ქართული მცენარე ძველქვასაც ლათინურად Zelcova ეწოდება. საქართველო ხორბლის სამშობლოა, გამომწვარ პურს არ გადაავადებდნენ, რადგან ის წმინდადაა მიჩნეული. ლათინურად Purus - წმინდას, სუფთას ნიშნავს, ყოველივე ეს რომაულ გავლენაზე მიუთითებს. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა კი მრავლად შეიძლება /წუნუნავა, 1966; მ.შენგელია, 1979; ზ.შენგელია, 1983; სალუქვაძე, 1987/.



ვახტანგ VI (1675-1737)

საყურადღებოა ვახტანგ VI -ის წვლილი ქართული მედიცინის განვითარებაში. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ მისი ზრუნვა ძველი ქართული მედიცინის აღრიხდელი ძეგლების შემცველი ხელნაწერების დაცვა-შენარჩუნებაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ორი უაღრესად საყურადღებო სამედიცინო ხასიათის თხზულების ხელ-

ნაწერები ვახტანგის სახელთანაა დაკავშირებული. XI საუკუნის „უსწორო კარაბადინის“ ხელნაწერის ანდერძში იკითხება: „ჩვენ, საქართველოს გამგებელმა ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, დავაწერიანეთ კარაბადინი ესე საკითხავად სამყოფად დარბაზ სეფეთა ჩვენთა. ერთი ფურცელი აკლდა და მისი ვერსად ვიპოეთ რომ დაგვეწერა“. როგორც ჩანს, ვახტანგმა გაითვალისწინა დასახელებული ძეგლის მნიშვნელობა და მისი ხელნაწერი საგანგებოდ დაამზადებინა. გულისტკივილი ერთი ფურცლის დაკლების გამო საკმაოდ ნათლად ამომებს მის დიდ ინტერესს ძველი ქართული მედიცინისადმი.

კიდევ უფრო მეტი ამაგი დასდო ვახტანგმა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის (XV ს.) ცნობილი თხზულების „სამკურნალო წიგნის“ შემსველ ხელნაწერს, რომელსაც ასეთი მინაწერი ამშვენებს: „ჩვენ, საქართველოს გამგებელმა ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, თვითოეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევანყობინე და შევაკვრევიანეთ სახმარად და სასარგებლოდ კაცთათვის და სახმარისად ყოველთა“. ცხადად ჩანს, რომ დაშლილი ხელნაწერის წესრიგში მოყვანა და აკინძვა ვახტანგის თაოსნობით მოხდა.

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვახტანგის თხზულებაში – „წიგნი ზეთთა შეზავებისა და ქიმიის ქმნის“, საკმაოდ ჭარბადაა სამედიცინო ხასიათის პარაგრაფები, განხილულია სამკურნალო პრეპარატების შედგენილობა, აღწერილია ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები და ა. შ. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს ვახტანგის განსწავლულობას მედიცინაში.

<https://ka.wikipedia.org/wiki/ვახტანგ-VI>

ვახუშტი საგანგებოდ განიხილავს საქართველოს მცენარეულ საფარს, ამასთანავე მცენარეებს ყოფს კულტურულ და ველურ ზონებად. მის ცნობილ შრომაში, პირველად იყო განხილული მცენარეული საფარის კლასიფიკაციის მეცნიერული ცდა და მათი გეოგრაფიული გავრცელება.

კავკასიის ფლორის სამკურნალო და სასარგებლო მცენარეების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანდის თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი 1898-1918 წლებში, ადოლფ ქრისტიან როლოვი 600 გვერდიან ფუნდამენტალურ ნაშრომში „*Дикорастущия растения Кавказа, ихъ распространение, свойства и применение*“ (Съ обозначением тузе-

мныхъ названий растений) – „კავკასიის ველურად მოზარდ მცენარეები, მათი გავრცელება, თვისებები და გამოყენება” (1908), სადაც განხილულია კავკასიის ფლორის 1700-მდე მცენარე, მათი მორფოლოგიური ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის, სიმაღლის, გავრცელების (უშუალოდ კავკასიასა და მსოფლიოში), მნიშვნელობის, აბორიგენული მოსახლეობის მიერ მეცნიერულ, ტრადიციულ და ემპირიულ მედიცინაში გამოყენების, ქიმიური შემადგენლობის და პერსპექტივების მითითებით, რომელიც დღესაც სამაგიდო წიგნს წარმოადგენს, როგორც ბოტანიკოსების, ასევე ტრადიციული მედიცინის მკვლევართათვის.

მკურნალობასთან დაკავშირებით უხსოვარი დროიდან ქართულ ხალხურ მედიცინაში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ისეთი ფიტონიმები, რომლებიც უშუალოდ მცენარის სამკურნალო თვისებებს გამოხატავენ. ასე მაგ.:

ბანგა - ლემა, *Datura stramonium*

ბამბა ბალახი - ვირისტერფა, *Tussilago farfara*

ბამბაძარღვა - მრავალძარღვა, *Plantago major*

ბალღამის ბალახი - რძიანა, *Euphorbia*

ბატიბალახი - ღორის ქადა, *Lactuca serriola*

გესლის წამალი - გველისკოვზა, *Cynanxhum funebre*

გველისმძივა - აბრეშუმა, *Cuscuta*

გველის წამალი - მაჟარა, *Thalictrum minus*

გიჟანა - შმაგა, *Atropa caucasica*

გულბანდი - კატაბალახა, *Valeriana officinalis*

გულბამბა - ვირისტერფა, *Tussilago farfara*

გულსატეხელა - ქვაყურა, *Bupleurum rotundifolium*

გულისატეხელა - ქვაპურა, *Bupleurum rotundifolium*

გულყურო - დიდგულა, *Sambucus nigra*

გულფილტვის ბალახი - ჯადვარი, *Orchis*

დაკოდილაი - ლანცეტა მრავალძარღვა, *Plantago lanceolata*

დაჭრილაის წამალი - მსუქანა, *Sedum stoloniferum*

დედამინის ნაღველა - ასისთავა, *Centaurium umbellatum*

დეესურა - შმაგა, *Atropa caucasica*

დეესურავანდა - შმაგა, *Atropa caucasica*

ერბოკარაქა - ჩანყობილა ბაია, *Ficaria*

ეშმაკს მათრახი - ასკილი, *Rosa canina*
 ეშმაკის მაშხალა - ლაქაში, *Typha*
 ეშმაკისფეხა - ქაცვი, *Hippophae rhamnoides*
 ვირგლა კამა - დიდი კამა, *Foeniculum vulgare*
 ვირიბალახი - თავკომბალა, *Echinops*
 ვირიპიტნა - ტყის პიტნა, *Mentha longifolia*
 ვირისკვერცხა - მთის შროშანი, *Lilium szovitsianum*
 ვირის საკვერცხელა - ბაძგი, *Ilex colchica*
 ვირიძუა - შვიტა, *Equisetum arvense*
 თაფლა - თაფლა - ქერიფელა, *Verbascum*
 თიაქარა - ქაფუნა, *Herniara glabra*
 მეჭეჭის წამალი - მეჭეჭა, *Dichrocephala bicolor*
 მთვრალა ბალახი - ღვარძლი, *Lolium temulentum*
 მირონის ხე - პირამიდული კვიპაროზი, *Cupressus sempervirens* L. var. *pyramidalis*
 მიწისქონა - ძაღლის სატაცური, *Tamus communis*
 მკვდრის ყვავილი - შროშანა, *Convallaria transcaucasica*
 მოჭრილის წამალი - ცხვარა, *Centaurea fischerii*
 მყრალა- ბალახი - მამულა და უჯანგარი *Artemisia vulgaris*, *Artemisia annua*
 მწვანე ლენცოფა - ლემა, *Datura stramonium*
 ნაწყენის ბალახი - შავბალახა, *Leonurus quiquelobatus*
 პირპილ - წინაკა, *Capsicum annum*
 რწყილის წამალი - წითელი გვირილა, *Pyrethrum roseum*
 საგიჟებელა - შმაგა, *Atropa caucasica*
 სათრობელა - ღვარძლი, *Lolium temulentum*
 სამარხვო - ცულისპირა, *Lathyrus sativus*
 სატკბურა - ძირტკბილა, *Glycyrriza glabra*
 საღვიძლა, ღვიძლა - ბაბუნავერა, *Taraxacum officinale*
 საყვითლო, სისხლაბალახი - ქრისტესისხლა, *Chelidonium majus*
 საყმანვილო - ყანის ია, *Viola arvensis*
 სიმჭლის ბალახი - აბზინდა, *Artemisia absinthium*
 სიციხის წამალი - ჭარელა, *Teucrium hamaedris*
 სიყვითლის წამალი - დათვის კანაფი, *Datisca cannabina*

სუნელი - ულუმბო, *Trigonella coerulea*
 სურავანდის ბალახი - ჭარელა, *Teucrium hamaedris*
 სურნელი ყვითელი - ხავერდა, *Tagetes patula*
 სუროვანდა - გველის სურო, *Vinca*
 სურსული წამალ - ქრისტესისხლა, *Chelidonium majus*
 უკვდავა ფხალ - მსუქანა, *Sedum stoloniferum*
 უუმურის ბალახი - კრაზანა, *Hypericum perforatum*
 უფლის ხე - ბზა, *Buxus*
 ფილტვის ბალახი - ორფერი, *Pulmonaria mollissima*
 ღვიძლა - ბურბუშელა, *Taraxacum officinale*
 შაქართაფლა - მთის სვინტრი, *Polygonatum verticillatum*
 შლევა - ბოლოკა, *Rapistrum rugosum*
 ცოფის ბალახი - შმაგა, *Atropa caucasica*
 ცხვირისატეხელა - ბაია, *Ranunculus*
 ცხრაძაღლა - მრავალძარღვა, *Plantago major*
 ცხვირსახოცელა - ქონდარა ნუში, *Amygdalus nana*
 ძირინამალი - ძაღლის სატაცური, *Tamus communis*
 წამალწვრილა - *Cyperus badius*
 წამალდიდი - ძირმწარა, *Aristolochia iberis*
 წყლულის ბალახი - ფასმანდუკი, *Achillea millefolium*
 ხაპუტრაკი - შხამა, *Veratrum lobelianum*
 ხარჩოს ყვავილი - ხავერდა, *Tagetes patula*
 ხელთოფა - დიდგულა, *Sambucus nigra*
 ხესურავანდა - ხებალახა, *Solanum dulcamara*
 ხველის წამალი - მსუქანა, *Sedum stoloniferum*

ა. მაყაშვილი, 1961; ზ. მაყაშვილი, 1996.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტიურად ძველი ქართული ფიტონიმები გამოხატავენ მცენარის ყველაზე თვალსაჩინო, წამყვან, ძირითად სამკურნალო თვისებებს და მათი გამოყენების შინაარსს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ დღევანდელ ქართულ მედიცინას წარსულში აქვს ფესვები და მდიდარ ტრადიციებზეა აღმოსაყენებელი. ამ საქმეში კი დიდი წვლილი სამკურნალო მცენარეებს

მიუძღვის, რომელთა ხვედრითი წილი მეცნიერულ მედიცინაში მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

ფარმაკოგნოზის ისტორიის შენახვა აჩვენებს, რამდენად დიდი როლდენობის სამკურნალო მცენარე აქვთ გამოვლენილი სხვადასხვა ხალხებს და რამდენად მცირეს იყენებს თანამედროვე მეცნიერული ევროპული საერთაშორისო მედიცინა. მათი წარმომადგენლები ჩვეულებრივ ნაკლებ ინტერესს იჩენენ ნაციონალური სამკურნალო საშუალებების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ნაკლებადაა შესწავლილი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამკურნალო მცენარეები, როგორც ნედლეული და უპირველესად მათგან გამოყოფილი აქტიური ნივთიერებები, იყვნენ, არიან და მუდამ იქნებიან ექიმების მნიშვნელოვანი დამხმარეები, რის გარანტიასაც წარმოადგენს მედიცინისა და ბიოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარება.



ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა სამკურნალო მცენარეებში

ვინაიდან თითოეული მცენარის მოქმედების განმსაზღვრელი მათში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის არსებობისათვის, მიზანშეწონილია თითოეული მათგანის დახასიათება.

მხოლოდ მცენარეებს შესწევს უნარი შექმნას სხვადასხვაგვარი ორგანული შენაერთები მინერალური ნივთიერებების, წყლისა და მზის ენერგიიდან, რაც მიუწვდომელია ადამიანებისა და ცხოველებისათვის. ნივთიერებებს, რომლებიც წარმოადგენს მცენარეების ცხოველ-მოქმედების პროდუქტებს და განსაზღვრავს მათ ფარმაკოლოგიურ თვისებებს, უწოდებენ მოქმედ ანუ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, მათი მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში განაპირობებს ამა თუ იმ ფიზიოლოგიურ ეფექტს, იწვევს განსაზღვრულ თერაპიულ და ტოქსიკოლოგიურ მოქმედებას. ამ ნივთიერებებს გააჩნიათ სხვადასხვაგვარი ქიმიური შემადგენლობა და მიეკუთვნებიან ნაერთთა სხვადასხვა კლასს.

ა ლ კ ა ლ ო ი დ ე ბ ი - რთული ორგანული შენაერთებია, ხასიათდება ძლიერი ფიზიოლოგიური მოქმედებით ორგანიზმზე; მათი ქიმიური სტრუქტურა ნაირგვარია და რთული; შეიცავენ აზოტს და აქვთ უნარი დაუკავშირდნენ სხვადასხვა მჟავებს (მჟაუნას, ვაშლის, ლიმონის, ღვინის და სხვ.) მარილთა წარმოქმნით. სადღეისოდ გამოყოფილია 5000-ზე მეტი სხვადასხვა სახის ალკალოიდი, რომლებიც მცენარეებში წარმოდგენილია ორგანული, ზოგჯერ არაორგანული მჟავების სახით. ალკალოიდების შემცველი მცენარეები მსოფლიო ფლორის 10 %-ს შეადგენს. მცენარეებიდან სუფთა სახით გამოყოფილი ალკალოიდები უმრავლეს შემთხვევაში არის უფერო, უსუნო და ჩვეულებრივ მწარე კრისტალური ნივთიერებები. უმთავრესად წარმოდგენილი არიან ყვავილოვან მცენარეების ყველა ან რომელიმე ერთ ორგანოში; მათი რაოდენობა ჩვეულებრივ მცირეა 2-3% (მშრალი წონის), მცენარეთა განვითარების სტადიებში იცვლება, მაქსიმუმს აღწევს კოკრიანობისა და ყვავილობის პერიოდებში.

ხასიათდება რა მნიშვნელოვანი თერაპიული მოქმედებით, ისინი მიეკუთვნებიან ძლიერმოქმედ ნივთიერებებს. ალკალოიდების შემცველი ზოგიერთი მცენარე ძლიერ შხამიანია, კერძოდ: თერმოპსისის ბალახი, შმაგას ფოთოლი და ფესვი, ლენცოფას ფოთოლი, ყაყაჩოს ნაყოფი, ქრისტესისხლას ბალახი, კონახურის ფოთოლი, ტილჭირის ტუბერი, ვნებისყვავილის ბალახი, შმაგას ფესურა, ყვითელი ღუმფარას ფესურა, უცუნას ტუბერი, კონიოს ბალახი, ეფედრას ყლორტები. ალკალოიდების შემცველობის დიდი რაოდენობა აღმოჩენილია პარკოსანთა (*Leguminosae*), ყაყაჩოსებრთა (*Papaveraceae*), ძალღუერძენასებრთა (*Solanaceae*), ბაიასებრთა (*Ranunculaceae*), ნაცარქათამისებრთა (*Chenopodiaceae*), რთულყვავილოვანთა (*Compositae*) ოჯახების შემადგენლობაში.

ალკალოიდებით მდიდარია ტენიანი ტროპიკული კლიმატის მცენარეები, რომელთა შორის მრავალი შხამიანია; თბილი ამინდი ხელს უწყობს მცენარეებში მათი შემცველობის ზრდას, ცივი - ამუხრუჭებს, ხოლო ყინვებისას საერთოდ არ აღინიშნება. კულტივირებულ მცენარეებში ალკალოიდების შემცველობა მატულობს აზოტისშემცველი მინერალური სასუქების შეტანის შემდეგ.

ალკალოიდების შემცველი მცენარეებიდან დამზადებული წამლები ახდენს უჯრედების დაყოფის აქტივიზაციას, ამაღლებს არტერიულ წნევას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს კუჭის წვენის სეკრეციას, იწვევს ფიზიოლოგიურ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა, მედიატორულ, კუნთების, ენდოკრინულ და სხვა სისტემებზე. ხასიათდება ფარმაკოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრით - სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი და აღმგზნები, ჰიპერტონიული და ჰიპოტენზიური, ნღველმდენი, შარდმდენი, სისხლძარღვების შემავიწროებელი, ამოსახველებელი. მცენარეების ცალკეული ნაწილები დიდი რაოდენობით შეიცავს ალკალოიდებს, მაგ. წინაკის ნაყოფებიდან (*Capsicum annum*) გამოყოფილია ალკალოიდი კაპსიცინი, კოკას (*Erythroxylon coca*) ფოთლებიდან - კოკაინი, ხაშხაშის (*Papaver somniferum*) კოლოფების რძისებრი წვენიდან - მორფინი, კოდეინი, ტებაინი, ჰაპავერინი, ნარკოტინი, ნარკეინი, კონახურის (*Berberis vulgaris*) ფესვებიდან - ბერბერინი, კორტიზინი, პროტობერბერინი, სტილოპინი, ქინაქინის ხის (*Cinchona*

succirubra) ქერქიდან - ქინინი, თეთრყვავილას (*Galanthus woronowii*) ბოლქვებიდან - გალანტიდინი, გალანტინი, გალანტამინი და გალანტამიდინი, ქუჩულას (*Strychnos nux vomica*) თესლიდან - სტრინინი, ჩინური ჩაის (*Thea sinensis*) ფოთლებიდან - კოფეინი, თეოფილინი და სხვ., კაკაოს ან "შოკოლადის" ხის (*Theobroma cacao*) ქერქიდან - თეობრომინი, ბრონეულის (*Punica granatum*) ქერქიდან - პელტერინი, შავი პილპილის (*Piper nigrum*) თესლებიდან - პიპერინი და სხვ. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

გ ლ ი კ ო ზ ი დ ე ბ ი - მცენარეული წარმოშობის რთული, უაზოტო ორგანული შენაერთებია რომლებიც ფერმენტების ან დუღილის გავლენით იშლება შაქრის (გლიკონი) და პოლისაქარიდულ (უშაქრო, აგლიკონი-გენინი) ნაწილებად. მცენარეებისაგან სუფთა სახით გამოყოფილი წარმოდგენს კრისტალურ ნივთიერებას მწარე გემოთი, რომელიც ადვილად იხსნება წყალში, მათ შორის მრავალი შხამიანია. სამკურნალოდ მცირე დოზები გამოიყენება, ახლოსაა ჰორმონებთან. გლიკოზიდების სამკურნალო მნიშვნელობა განისაზღვრება აგლიკონით.

მნიშვნელოვანი ბიოლოგიურად აქტიური ჯგუფია, ფართოდაა მცენარეებში წარმოდგენილი, განსაკუთრებით ოქსიგლიკოზიდების სახით, რომლებიც დიდი ნაირგვარობით განირჩევა, რაც განპირობებულია შაქრისა და აგლიკონის ხასიათზე, რომლებიც მათ ფარმაკოლოგიურ მოქმედებას განსაზღვრავს; იწვევს ადგილობრივ გამაღიზიანებელ მოქმედებას, ალაგზნებს მადას, აგრესიულები არიან პათოგენური მიკროორგანიზმების მიმართ, ახდენენ გულის კუნთის აქტივიზირებას. ამ ნიშნებით არჩევენ:

ც ი ა ნ ო გ ე ნ უ რ ი გ ლ ი კ ო ზ ი დ ე ბ ი - შეიცავენ სინილურ მჟავას, რის გამოც ითვლებიან შხამიანებად; გამოიყენება წვეთებისა და მიქსტურების სახით როგორც დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, გვხვდება ქლიავის, მწარე ნუშის, ატმის, გარგარის, შოთხვის, ჭერმის ნაყოფებში.

ს ა გ უ ლ ე გ ლ ი კ ო ზ ი დ ე ბ ი - მედიცინაში განსაკუთრებით ხშირად იყენებენ "გულის" გლიკოზიდებს, რომლებიც ხასიათდება სპეციფიური მოქმედებით გულის კუნთზე, თავისი მოქმედებით არ გააჩნიათ ანალოგიური შემცველები და მცენარეები წარმოდგენენ ერთადერთ

წყაროს მათ მისაღებად; გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, ახდენს შერჩევით კარდიოტონურ მოქმედებას, აძლიერებს გულის შეკუმშვით ფუნქციებს და ანელებს გულის რიტმს. სადღეისოდ გულის გლიკოზიდები აღირიცხება 45 ბოტანიკური გვარის წარმომადგენლებში, რომლებიც მიეკუთვნებიან ქენდირისებრთა (*Apocynaceae*), ღვედკეცისებრთა (*Asclepiadaceae*), ტუჩოსანთა (*Labiatae*), შროშანისებრთა (*Liliaceae*), ბაიასებრთა (*Ranunculaceae*), სტერკულიასებრთა (*Sterculiaceae*), საპოტასებრთა (*Sapotaceae*), შავნამალასებრთა (*Scrophulariaceae*), თუთისებრთა (*Moraceae*), ხარისძირასებრთა (*Helleboraceae*) და სხვ. ოჯახებს. საგულე გლიკოზიდები ტოქსიკურია და მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ექიმის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

ს ა პ ო ნ ი ნ ე ბ ი (წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან “sapo”, რაც საპონს ნიშნავს) - რთული უზოტო ნივთიერებებია გლიკოზიდების ჯგუფიდან, რომელთა წყლიანი ხსნარები ხასიათდება რიგი თვისებებით: ჰემოლიტიკური აქტივობით, ცივისსხლიანი ცხოველების მიმართ ტოქსიკურობით, შენჯღრევისას მდგრადი ქაფის წარმოქმნის უნარით. ყველაზე ხშირად გვხვდება პარკოსნების (*Leguminosae*), მიხაკისებრთა (*Caryophyllaceae*), კრაზანასებრთა (*Hypericaceae*), ფურისულასებრთა (*Primulaceae*), ტუჩოსანთა (*Labiatae*), არალიასებრთა (*Araliaceae*) ოჯახებში. საპონინების აგლიკონს საპოგენინს უწოდებენ, ანსხვავენ ორ ჯგუფს: სტეროიდულს და ტრიტერპენოიდულს, შესაბამისად მედიცინაში სხვადასხვაგვარად იყენებენ; მათი მნიშვნელოვანი თვისებაა, მოახდინოს წყალ-მარილების გაცვლის რეგულირება; გამოვლენილია მასტიმულირებელი, ადაპტოგენური, ჰიპოტენზიური, საერთო გამაძლიერებელი, ამოსახველებელი, შარდმდენი, ნღველმდენი, ანთებისა და სკლეროზის საწინააღმდეგო მოქმედება.

ანტრაგლიკოზიდები - წარმოადგენს ანტრაყენის წარმოებულს. უმრავლესი მათგანი ხასიათდება საფლარათო მოქმედებით. იყენებენ თირკმელების, ნიკრისის ქარების, კანის დაავადებებისა და ანთების საწინააღმდეგოდ. მცირედ ტოქსიკურია; შეიცავს რევანდი, ალოე, ხეშავი, ხეჭრელი, კასია, ნაცარქათამა, ენდროს ფესურა, ლოლოს ფესვი, სინამაქის ხის ფოთოლი.

მ წ ა რ ე გ ლ ი კ ო ზ ი დ ე ბ ი - უაზოტო მწარე ნივთიერებები; ფარ-
მაკოლოგიურად აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჭირკვლების სეკ-
რეტორულ აქტივობას, აღაგზნებს მადას და აუმჯობესებს საჭმლის
მონელებას. შეიცავს ბაბუანვერა, აბზინდა, ასისთავა და სხვ.

ფ ლ ა ვ ო ნ ო ი დ უ რ ი გ ლ ი კ ო ზ ი დ ე ბ ი - ბუნებრივი ფენოლური
შენაერთებია, რომლებიც გროვდება მცენარის ყველა ორგანოში გლი-
კოზიდების ფორმების სახით. ავლენს ანტიტოქსიკურ, ანტიასმატურ,
სიცხის დამწვევ, ანტიმიკრობულ, ბაქტერიოციდულ, ნაღველმდენ, ჭრი-
ლობების შემახორცებელ, სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას. მათ
იყენებენ ბრონქიალური ასთმის, მიოკარდიული ინფარქტის, შაქრის
დიაბეტის დროს. ფლავონოიდების წყაროს წარმოადგენს: ციტრუსები,
შავნაყოფა ცირცელი, კუნელი, შავბალახა, უკვდავა, წიწიბურა, ჩაის
ფოთლები, სვია, მათიტელა, ძირტკბილა, ფშნის ეკალი და სხვ.
ფლავონოიდები სხვა მცენარეულ პიგმენტებთან ერთად განაპირობებს
ყვავილების, ნაყოფების, ფესვების შეფერილობას.

ფ ე ნ ო ლ უ რ ი შ ე ნ ა ე რ თ ე ბ ი - მიეკუთვნება მარტივი ფენოლები,
ფენოლმჟავები, ფენოლსპირტები, ლიგნინები, კუმარინები და სხვ. ფე-
ნოლგლიკოზიდები ახდენს დემინფიცირებულ მოქმედებას სასუნთქ და
შარდმდენ გზებზე, თირკმელებზე; ხასიათდება შარდმდენი მოქმედე-
ბით; მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს დათვის კენკრა, მოცვი,
კუნელი, შავბალახა, სოფორა, წყლის წინაკა, ჩვეულებრივი მათიტელა,
უკვდავა, ასფურცელა, ჩაი და სხვ.

ლ ი გ ნ ი ნ ე ბ ი - ორგანული პოლიმერული შენაერთებია რომლებიც
შედის ჭურჭლოვანი მცენარეების უტრედის გარსში. გროვდება თეს-
ლებში, ქერქში, ფესვებში. ხასიათდება მასტიმულირებელი მოქმედე-
ბით სხვადასხვა სიმსივნის დროს.

კ უ მ ა რ ი ნ ე ბ ი და მათი წ ა რ მ ო ე ბ ე უ ლ ე ბ ი - მცენარეებში
გვხვდება სუფთა ან შაქართან ნაერთებში გლიკოზიდების სახით. ამ
ჯგუფიდან მედიცინისათვის მნიშვნელოვანია ნივთიერებები, რომლებიც
ფუროკუმარინებს მიეკუთვნება; ზოგიერთი მათგანი ახდენს ცენტ-
რალური ნერვული სისტემის სტიმულირებას, ამუღავნებს ბაქტერიულ-
სტატიკურ, ანტისოკოვან მოქმედებას, სიმსივნის საწინააღმდეგო აქტი-
ვობას; ზოგიერთი ამალლებს მგრძნობელობას ულტრაიისფერი სხივე-
ბის მიმართ. ფუროკუმარინების სხვა წარმოებულები ხასიათდებიან

სპაზმოლიტური და სისხლძარღვების გამათვართოებელი მოქმედებით, მესამენი მოქმედებენ ჭიებზე, სოკოებსა და სხვა უმდაბლესებზე, ხასიათდებიან ანტიბიოტური, შარდმდენი, ნალველმდენი, ჰიპოტენზიური მოქმედებით. ამცირებენ სისხლის შედედებას, რაც გამოიყენება ტრომბოფლებიტის, ენდარერიტების და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებებისას. სადღეისოდ ცნობილია 500-მდე ბუნებრივი კუმარინები, განსაკუთრებით ბევრია ქოლგოსანთა, ტეგანისებრთა, ჰარკოსანთა ოჯახების წარმომადგენლებში. შეიცავს სტაფილო, კამა, ძირთეთრთა, ამი, დათვისმარწყვა, ნაბლი, ანგელოზა და სხვ.

თ ი ო გ ლ ი კ ო ზ ი დ ე ბ ი - შეიცავს მდოგვის ზეთს, რომელშიც აღინიშნება გოგირდი და აზოტი. მდიდარია მდოგვი, ბოლოკი, პირ-შუშხა და სხვ., რომლებსაც იყენებენ გამაღიზიანებელ და შემომგარსველ საშუალებად.

მ თ რ ი მ ლ ა ვ ი ნივთიერებები ანუ ტანიდები - მიეკუთვნება პოლიმერულ ფენოლურ შენაერთებს, წარმოადგენს ფენოლების წარმოებულებს; აღინიშნება მცენარის უჯრედის წვენში თავისუფალ მდგომარეობაში. მათ შესწევთ უნარი მოახდინონ წებოვანი ხსნარების კოაგულირება და წარმოქმნან უხსნადი ნალექი ალკალოიდებთან. ტანიდები უკავშირდებიან ცილოვან ნივთიერებებს, რის შედეგადაც მცენარეებიდან გამოყოფილი მთრიმლავი ნივთიერებები წარმოადგენს მოყვითალო ამორფულ ფხვნილს, რომელიც ჰაერთან შეხებისას მუქდება. ამით აიხსნება დაჭრილი ვაშლის, კომშის გაშავება; განსაკუთრებით მრავლად აღინიშნება ვარდისებრთა (*Rosaceae*), მირტასებრთა (*Myrtaceae*), ჰარკოსანთა (*Leguminosae*) ოჯახებში, სადაც 20-30% აღწევს; უმთავრესად კონცენტრირდება ხე-ბუჩქების ქერქში, მრავალწლოვანი ბალახების ფესურებსა და ფესვში; დიდი რაოდენობითაა მუხისა და არყის ქერქში, თავისისხლას ფესვებში, მურყანის გირჩებში, მარწყვა-ბალახის ფესურაში, შოთხვის და მოცვის ნაყოფებში, აბზინდაში, კრაზანაში, რევანდის ფესურაში, ტირიფის ქერქსა და სხვ. გამოიყენება ნაყენების, ნახარშების სახით როგორც შემკვრელი, ბაქტერიოციდული საშუალება კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და ანთებითი პროცესების დროს; ხასიათდება ანთებისა და სოკოების საწინააღმდეგო და ადგილობრივი სისხლდენის შემაჩერებელი, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით.

ორგანული მუავეები - წარმოადგენს მცენარეთა მუდმივ შემადგენელ ნაწილს ნახშირბადასა და ცილებთან ერთად, განსაზღვრავს მცენარის გემოსა და სუნს. მცენარეებში გვხვდება თავისუფალი, მარილებისა და ეთერის სახით. ორგანული მუავეები მეტად ნაირგვარია, უფრო მეტად გავრცელებულია ვაშლის, ლიმონის, ძმრის, მუაუნას; ლიმონის მუავა განსაკუთრებით ბევრია ლიმონში, თამბაქოს ფოთლებში, ბრონეულში, მოცვი და სხვ.; ვაშლის მუავა მნიშვნელოვანი რაოდენობით აღინიშნება ვაშლში, კონახურში, შინდში, ცირცელში; მუაუნას მუავა - მუაუნაში, ისპანახში. მცენარის სუნს განსაზღვრავს მფრინავი მუავეები - ჭიანჭველას, ზეთის, ძმრის და სხვ.; არომატულ მუავეებს შორის მცენარეებში აღმოჩენილია ბენზონის, სალიცილის, გალური, დარიჩინის, კუმარინის, ყავის, ქინაქინის, ვალერიანის, იზოვალერიანისა და სხვ.; ორგანული მუავეები აქტიურად მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში, აქტიურებენ ნერწყვის ჯირკვლების მოქმედებას, ნაღვლის გამოყოფას, ამცირებენ ნაწლავებში ჩირქოვან პროცესებს; ზოგიერთი მუავა (ლიმონის, ასკორბინის, ნიკოტინის და სხვ.) ხელს უწყობს სავების მონელებას, აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას, რაც განსაკუთრებით ხნიერი ადამიანებისთვისაა მნიშვნელოვანი. სხვადასხვა ორგანული მუავეების წყაროს წარმოადგენს - ყოლო, შტოში, ლიმონი, ბრონეული, ქლიავი, მოცხარი, მაცვალი, ქსცივი, ვაშლი, მოცვი და სხვ.

ეთერზეთები - წარმოადგენს სხვადასხვა ორგანული სურნელოვანი ნივთიერებების შენაერთების რთულ ნარევს, რომლებიც მცენარეების სპეციფიურ სუნს განსაზღვრავს. მათ შემადგენლობაში შედის ტერპენოიდები, მონოტერპენები, სესკვიტერპენები, სპირტები, კეტონები, ალდეჰიდები, რთული ეთერები, ფენოლები. ზეთები სხვადასხვა შეფერილობით გამოირჩევა (უფერო, მოყვითალო, მომწვანო, მონითალო, ლურჯი). ზეთების სუნი არომატულია, გემო - სასიამოვნო, მწვავე, მკვეთარი. ფარმაკოლოგიურად ზეთები ავლენენ ანთების, ჭიისა და მიკრობების საწინააღმდეგო, ამოსახველებელ, გულის მუშაობის გამაუმჯობესებელ, ტკივილგამაყუჩებელ, საჭმლის მომწელებელი წვენების გამოყოფის გამაძლიერებელ, სპაზმოლიტურ და სხვა მოქმედებას.

ეთერზეთებით მდიდარია: ანისული, გერანი, რეჰანი, ქონდარი, სამკურნალო გვირილა, სამკურნალო კატაბალახა, პიტნა, თავშავა, ქინძი, კამა, კვლიავი, ოხრახუში, დიდი კამა, უსუპი, სალბი, სვია, დაფნა, ჩაი, მიხაკი, დარიჩინი, ციტრუსები, ლავანდა, როზმარინი, ვარდი, ფიჭვი, კედარი, ნაძვი, კვიპაროსი, ტუია, ევკალიპტი, ღვია და სხვა მრავალი.

ც ი ლ ე ბ ი - მაღალმოლეკულური ორგანული ნივთიერებებია, აგებულია 20 ამინომჟავისაგან, წარმოადგენს ყველა ორგანოს სასიცოცხლო პროცესების საფუძველს. ასრულებს სტრუქტურულ (ქსოვილებისა და უჯრედის კომპონენტების აგებულება) და ფუნქციონალურ როლს (ფერმენტები, ჰორმონები, სასუნთქი პიგმენტები და სხვ.). აღინიშნება მარტივი (პროტეინები) - შეიცავს მხოლოდ ამინომჟავების ნაშთებს და რთული (პროტეიდები) ცილები - რომელთა მოლეკულაში შედის არაცილოვანი ბუნების კომპონენტები. მარტივ ცილებს მიეკუთვნება ალბუმინები და გლობულინები, რომლებიც უმთავრესად მცენარეების მიერ გამოიშვებიან.

მცენარეული ცილები სადღეისოდ პრეპარატების სახით არ გამოიყენება, გარდა ფერმენტებისა, რომელთაც ცილოვანი ბუნება გააჩნიათ.

ფერმენტები ანუ ენზიმები - რთული ცილებია, შესწევთ უნარი ამორჩევით დააჩქარონ განსაზღვრული ბიოქიმიური რეაქცია ორგანიზმში, მიმართოს და არეგულიროს ნივთიერებათა ცვლა. მხოლოდ ფერმენტებთან ურთიერთობით აქტიურდება ვიტამინები, ჰორმონები და მიკროელემენტები; ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური და ბიოლოგიური რეაქციები უშუალოდ ფერმენტების მოქმედებით წარმოებს. მცენიერთა აზრით ადამიანის ორგანიზმში მოიცავს 3000-მდე ფერმენტს, ხოლო ერთი ნუთის განმავლობაში ერთი და იგივე ფერმენტი მონაწილეობას იღებს 36 მილიონ ბიოქიმიურ რეაქციაში. მრავალი ფერმენტი შედის განსაზღვრული ვიტამინების შემადგენლობაში, რის გამოც მათი აქტიურობა მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა ჰორმონთან. მაგ.: ჰორმონი ინულინი არეგულირებს ფერმენტ ჰექსიკონაზის აქტიურობას, რომელიც მონაწილეობს შაქრის რთულ გარდაქმნაში; ფერმენტატიული პროცესები მიმდინარეობს პურის ცხობის პროცესში, ღვინის წარმოებაში და სხვ. ფერმენტების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ქოლინი, რომელსაც B ჯგუფის ვიტამინებს მიაკუთვნებენ, აძლიერებს ასიმილაციისა და დისიმილაციის

პროცესებს, ამუხრუჭებს ათეროსკლეროზის განვითარებას, ალაგზნებს ნაღვლისა და შარდმდენი გზების პერისტალტიკას; მისი ბუნებრივი წყაროა - ხორბალი, შვრია, ქერი, ძროხის ღვიძლი, კვერცხის გული, ვარდკაჭაჭა, ბაბუანვერა, კრაზანა. მედიცინაში გამოიყენება ფერმენტი პეპსინი, ტრიპსინი, ვიალურონიდაზა; ხოლო ორგანიზმისათვის აუცილებელი ფერმენტები - კატალაზა, ლიპაზა, ამილაზა, პროტეაზა და სხვ. ხელს უწყობს წყლის, ცხიმების, სახამებლის, ცილების გახლეჩას, ხელს უშლის ორგანიზმში მათ დაგროვებას.

მეცნიერების აზრით, ადამიანის ორგანიზმში ფერმენტების ნაკლებობა იწვევს რიგი დაავადებების განვითარებას, როგორცაა დეგენერატიული დარღვევები, (ოსტეოართრიტი, ფილტვების ემფიზემა, ოსტეოპოროზი, საკვების მონელების დარღვევა და სხვ.), აგრეთვე აუტოიმუნური დაავადებები (რევმატოიდული არტრიტი, სისტემური წითელი ქარი, სკლეროდერმია) და კიბო.

ბიოქიმიკოსი ჯეიმს სამნერი აღნიშნავდა, რომ “ორმოცი წლის შემდეგ სიბერის შეგრძნება წარმოადგენს ორგანიზმში ფერმენტების და მათი გამომუშავების უნარის შემცირებას”.

ნ ა ხ შ ი რ წ ყ ლ ე ბ ი - დიდი ჯგუფია ბუნებრივი ორგანული შენაერთებისა, რომლებიც შედგება ნახშირბადის, ჟანგბადისა და წყლისაგან. არჩევენ მონო, ოლიგო და პოლისახარიდებს, აგრეთვე რთულ ნახშირწყლებს - გლიკოპროტეიდებს, გლიკოლიპიდებს, გლიკოზიდებს და სხვ. მცენარეებში ესენია ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტები და მთავარი საწყისი პროდუქტები სხვა ნივთიერებების ბიოსინთეზისა, შედის უჯრედოვანი გარსისა და სხვა სტრუქტურების შემადგენლობაში, მონაწილეობს ორგანიზმის დამცველ რეაქციაში (იმუნიტეტი), ამარაგებს ყველა ცოცხალ უჯრედს ენერგიით (ფრუქტოზა, გლუკოზა, და მისი სამარაგო ფორმები სახამებელი, გლიკოგენი). ნახშირწყლები წარმოადგენს მრავალი პროფილაქტიკური და სამკურნალო პრეპარატის ძირითად შემადგენელ ნაწილს. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება გლუკოზა, რომელიც აუმჯობესებს ღვიძლის მოქმედებას.

გ ლ უ კ ო ზ ა - მიიღება კარტოფილის, სიმინდის სახამებლიდან. აბების ან ინექციის სახით მისი გამოყენება აუმჯობესებს ღვიძლისა და გულის

მოქმედებას, ამალღებს სისხლის წნევას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას.

ს ა ხ ა რ ო ზ ა - შაქარია, უმატებენ სხვადასხვა სახის პრეპარატებს, განსაკუთრებით შხამიან და მწარე სამკურნალო კომპონენტებს.

ს ა ხ ა მ ე ბ ე ლ ი - მცენარეებში ნახშირმჟავების ასიმილაციის საბოლოო პროდუქტია, მნიშვნელოვანი სამარაგო ნივთიერებები, რომელთა 96-98 % შედგება პოლისახარიდებისაგან. სახამებლის შემცველია მარცვლოვნები (ხორბალი, ჭვავი, შვრია, ქერი, ბრინჯი), კარტოფილი. სახამებელი ფართოდ გამოიყენება კანის დაავადებებისას გამოყენებულ ფხვნილებსა და მალამოებში; განზავებული სახით გამოიყენება როგორც შემომგარსავი საშუალება კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს (კარტოფილის ნელი წვენი და კისელი), აქვეითებს ქოლესტერინის შემცველობას ღვიძლსა და სისხლის შრატში, ხელს უწყობს რიბოფლავინის სინთეზს ნაწლავების ბაქტერიებით.

გ უ მ ფ ი ს ი - მაღალმოლეკულური ნახშირწყლები, სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის ნახევრადგამჭვირვალე კოლოიდური წებოვანი ნივთიერებაა. წარმოიქმნება როგორც საპასუხო რეაქცია ქსოვილების გაღიზიანებისა და ფარავს მერქნის დაზიანებულ ნაწილებს დამწვრობის, ნაბზარების, დანასერის, ნაჭდევების შემთხვევაში. მათი წარმოქმნის მიზნად ითვლება მექანიკური და მწერების მიერ გამოწვეული დაზიანებები, ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებები. უძველესი დროიდანვე იხმარებოდა ტრადიციულ და არაბულ მედიცინაში. სადღეისოდ იყენებენ სამკურნალო საშუალებების წარმოებაში, აგრეთვე საკვებ, საფეიქრო და პოლიგრაფიულ მრეწველობაში.

ლ ო რ წ ო - უაზოტო ნივთიერებაა, წარმოადგენს პოლისახარიდებს, ადვილად იხსნება წყალში, ხასიათდება შემომგარსავი და დამარბილებელი ფარმაკოლოგიური მოქმედებით; ლორწოვანი მცენარეებით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა მაღალი მჟავიანობის გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისა და დამწვრობის, ცხვირ-ხახას დაავადებებისა და ბრონქიტის დროს. ლორწოს შემცველი მცენარეებია: სამკურნალო ტუხტის ფესვები, ბალბას ბალახი, მრავალძარღვას ფოთლები, ჯადვარის ტუბერები, სელის თესლი, კომპის თესლი, ჭვავის მარცვლები, ვირისტერფა, ზღვის კომბოსტო - ლამინარია.

პ ე ქ ტ ი ნ ე ბ ი - შედის უჯრედშორის წებოვან ნივთიერებებში, მიეკუთვნება პოლისაქარიდებს. ისინი აკავშირებენ ნაწლავებში შხამიან ელემენტებს, ახდენენ მათ გაუვნებლობას და ორგანიზმიდან გამოდევნას. გამოიყენება ენტეროკოლიტებისა და კოლიტების სამკურნალოდ, მათ რიცხვში დიზენტერიული წარმოშობის, გასტრიტებისა და შინაგანი სისხლდენისას; აფერხებს ზოგიერთი პათოგენური მიკრობების გამრავლებას ნაწლავებში, ორგანიზმიდან გამოაქვთ ჭარბი რაოდენობით ქოლესტერინი. პექტინებით მდიდარია: ტყის მარწყვის ნაყოფები, ასკილი, შტოში, შავი მოყვარო, ვაშლი, ლიმონი, ფორთოხალი, ალუბალი, მაცვალაი, ბოლოკი, ჭარხალი და სხვ.

უ ჯ რ ე დ ის ი ა ნ ც ე ლ უ ლ ო ზ ა - ფართოდ გავრცელებული პოლისახარიდია, მცენარეული უჯრედის გარსის ძირითადი ნაწილი. იგი მექანიკურად მოქმედებს ნაწლავების კედლების ნერვულ დაბოლოებებზე, ასტიმულირებს მის პერისტალტიკას, საკვების მომწელებელი წვენების სეკრეციას, ამადლებს საკვები პროდუქტების ბიოლოგიურ მნიშვნელობას, ხელს უწყობს ტოქსიკური პროდუქტებისა და ქოლესტერინის გამოყოფას, არტერიალური წნევისა და ღვიძლში ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაციას. მნიშვნელოვანია B ჯგუფისა და K ვიტამინების სინთეზისათვის.

ი ნ უ ლ ი ნ ი - პოლისახარიდია, წარმოიქმნება ფრუქტოზის ნარჩენებისაგან, უმთავრესად რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახშია წარმოდგენილი (კულმუხო, არტიშოკი).

ლ ი პ ი დ ე ბ ი - სხვადასხვა შემადგენლობის ბუნებრივი შენაერთებია, წარმოადგენს სამარაგო ნივთიერებებს, დიდი რაოდენობით გროვდება ნაყოფებსა და თესლეებში. ამინომჟავების წარმოებულებია, ალადგენს ნივთიერებათა ცვლას, ნერვულ უჯრედებს; თრგუნავს ნერვულ - ფსიქიურ დაავადებებს, როგორცაა ოლიგოფრენია, დაუნის სინდრომი, გაფანტული სკლეროზი, პარკინსონი.

ც ხ ი მ ო ვ ა ნ ი ზეთები და ცხიმისმაგვარი ნივთიერებები - წარმოადგენენ გლიცერინისა და უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების რთულ ეთერებს. სუფთა სახით ცხიმოვანი ზეთები (ქაცვის, ნუშის, ატმის, მიწის თხილის, სელის, აბუსალათინის, ზეთისხილის, სიმინდის, ბამბის, მგესუმზირის და სხვ.) გამოიყენება სამკურნალო პრაქტიკაში; პიტნის, ბეგქონდარას, დარიჩინის, მიხაკის, სალბის ზეთები ხასიათდება მნი-

შენელოვანი ბაქტერიციდული მოქმედებით ნაწლავების ჩხირებისა და ნაწლავების პათოგენური ფლორის მიმართ. იმ ქვეყნებში, სადაც საკვებად იყენებენ უმთავრესად მცენარეულ ზეთებს (ინდოეთი, იაპონია, ჩინეთი) ათეროსკლეროზი მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე ამერიკაში, ევროპაში, სკანდინავიაში, სადაც ჭარბობს ცხოველური ცხიმები.

ფისები და ბალზამები - ფისები ქიმიური შემადგენლობით ახლოსაა ეთერზეთებთან, ჩვეულებრივ ნახევრადთხიერი კომპლექსური წარმონაქმნებია, წებოვანი, გამჭვირვალე ნივთიერებები დამახასიათებელი სურნელით; უმრავლესობა არ იხსნება წყალში, იხსნება ეთერში, აცეტონში. ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში და სამედიცინო პრაქტიკაში. ხასიათდება ბაქტერიციდული, ლპობის საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, შარდმდენი, სედატური, საფლარათო ფარმაკოლოგიური მოქმედებით. ფისებს დიდი გამოყენება აქვთ საღებავების, ქალაღის, ლაქების, პლასტმასის წარმოებაში. ფისებს, რომლებიც დიდხანს ვერ შრებიან ბალზამებს უწოდებენ, მაგ.: ფიჭვის ფისი - ფიჭვის ბალზამი. განსაკუთრებით მდიდარია ფისებითა და ბალზამებით ტროპიკული სახეობები, მნიშვნელოვანი რაოდენობით აღინიშნება წიწვოვან მცენარეებში (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი), ხის კვირტებში (არყის ხე, ტირიფი) კრაზანას ბალახში, ღვიის ნაყოფებში, რევანდის ფესვებში და ა.შ.

ფიტონციდები (წარმოსდგება ბერძნული სიტყვებიდან “fiton” - მცენარე, “cido” - ვკლავ) - ბიოლოგიურად აქტიური ბაქტერიციდული აქროლადი ნივთიერებებია, რომლებიც ზოგიერთი მცენარიდან მიიღება: ნიორი, ხახვი, პირშუშხა, ბოლოკი, მდოგვი, ევკალიპტი, არყის ხის ფოთლები, წიწვოვანი მცენარეები და სხვ. ფიტონციდები კლავს სხვადასხვა მიკრობებსა და ბაქტერიებს, ამავე დროს ხელს უწყობს და ააქტიურებს ორგანიზმის იმუნიტეტს, რის შედეგადაც მუხრუჭდება კიბოს უჯრედების დაყოფა. გამოიყენება რიგი დაავადებების თერაპიისა და პროფილაქტიკისათვის (გრიპი, ადენოვირუსული ინფექციები, ანგინა, საკვებმომწელებელი ორგანიზმის, პირის ღრუს, ხახვის, სასუნთქი გზების დაავადებები, ჩირქოვანი ჭრილობები). ფიტონციდური მცენარეების პრეპარატებს უნიშნავენ ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის დროს. მათგან ამზადებენ ანტიბიოტიკებს, რომლებსაც იყენებენ ინფექციური და კანის და-

ვადებებისას, ფაქტიურად მათ შეიძლება ეწოდოს ანტიბიოტიკები, რომლებიც სინთეზირდება უმაღლეს მცენარეებში.

პ ი გ მ ე ნ ტ ე ბ ი - საღებავი ნივთიერებებია, რომლებიც წარმოადგენენ რთულ ორგანულ შენაერთებს. ამ ნივთიერებების შემცველი მცენარეები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც მადმინფიცირებელი და ჭრილობების შემახორცველი საშუალება. აღინიშნება 300-მდე სახეობის მცენარე, რომლებიც ამ ნივთიერებებითაა მდიდარი. მაგ.: ინა - გამოიყენება ფრჩხილების და თმის შესაღებად უმაჯრესად ჰიგიენური მიზნით, ვინაიდან ხასიათდება ბაქტერიციდული მოქმედებით; სამყურას, ნეკერჩხლის, კაკლის, თუთუბოს პიგმენტების წყლის ნაყენები დადებით შედეგს იძლევა დამწვრობისა და ინფიცირებული ჭრილობების შესახორცებლად. მცენარის მწვანე ნაწილები შეიცავს პიგმენტ - ქლოროფილს, რომელიც ქიმიური აგებულებით ახლოსაა ადამიანის სისხლის პიგმენტთან - ჰემოგლობინთან. დადგენილია ქლოროფილის სამკურნალო თვისებები, ხასიათდება მასტიმულირებელი და მატონიზირებელი მოქმედებით, ამალეებს ნივთიერებათა ცვლას, საშვილოსნოს, ნაწლავების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი ცენტრის ტონუსს, ასტიმულირებს ქსოვილების გრუნულირებასა და ეპითელიზაციას, გავლენას ახდენს სისხლის ფორმულაზე, ზრდის ლეიკოციტებსა და ჰემოგლობინს.

მ ი ნ ე რ ა ლ უ რ ი მ ა რ ი ლ ე ბ ი - ადამიანის საკვები მინერალური მარილების სახით უნდა შეიცავდეს 15 ქიმიურ ელემენტს, რომლებიც კვების მნიშვნელოვანი კომპონენტებია და ვიტამინებთან ერთად მონაწილეობენ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო და სხვა მნიშვნელოვან პროცესებში; რამდენადაც მარილები ორგანიზმიდან განუწყვეტლივ გამოიყოფა ოფლთან, შარდთან და ექსკრემენტებთან ერთად, მათი მარაგის შევსება აუცილებელია, დისბალანსი იწვევს მძიმე დაავადებებს. ჩვეულებრივ ცხოველური და მცენარეული საკვები მინერალური მარილების საკმაო რაოდენობას შეიცავს; არჩევნ მაკრო და მიკროელემენტების მინერალურ მარილებს.

ძირითადი მ ა კ რ ო ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი - კალიუმი (K), კალციუმი (Ca), მაგნიუმი (Mg), ნატრიუმი (Na), ფოსფორი (P), ქლორი (Cl), ოქრო (Au).

კალიუმი - მონაწილეობს ნატრიუმისა და კალციუმის ცვლაში; გამოიყენება კუჭის გამაგრების, სისხლის ცუდი ცირკულაციის, გულის დაა-

ვადებების, კანის ანთებითი პროცესების დროს. მის წყაროს წარმოადგენს ბოსტნეული, ხილი, განსაკუთრებით მშრალი ხილი ჩირის სახით (ქიშმიში, გარგარი, ქლიავი), ზღვის კომბოსტო, ბარდა, კარტოფილი, ოხრახუში, ბოლოკი, ატამი, მოცვი.

კალციუმი - კბილებისა და ჩონჩხის შემადგენლობის ძირითადი კომპონენტია, მონაწილეობს ცენტრალური ნერვული სისტემისა და კუნთების ფუნქციონირებაში, უჯრედის მემბრანების გამტარიანობის რეგულირებაში, სისხლის შედგებაში, აძლიერებს ლეიკოციტების აქტივობას, ხასიათდება ალერგიული რეაქციით, შეშუპებისა და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით (რძის პროლუქტები).

მაგნიუმი - ძვლების, კბილების კომპონენტი; მაგნიუმის მარილები ახდენენ ნახშირწყლებისა და ენერგეტიკული ცვლის ფერმენტების აქტივიზაციას, მონაწილეობს ძვლის ქსოვილების წარმოქმნაში, ამცირებს ნერვული სისტემის აღგზნებადობას, აფართოებს სისხლძარღვებს, აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, ქოლესტერინის გამოდევნას ორგანიზმიდან; გამოიყენება კრუნჩხვების პროოფილაქტიკისათვის (ყურძენი, პამიდორი, კაკალი, ხორბალი, ზღვის კონბოსტო, ქერი, ლობიო, კარტოფილი, კომბოსტო, გარგარი, მოცხარი, კამა, წიწიბურა, ბოსტნეულის მწვანე ფოთლები).

ნატრიუმი - უჯრედის წვენი ძირითადი კათიონია, არეგულირებს სისხლის პლაზმის ცვლას, მონაწილეობს ცენტრალური ნერვული სისტემისა და კუნთების ფუნქციონირებაში; მისი უკმარისობა ორგანიზმში იწვევს არტერიების კედლების გამაგრებას, ნაღვლისა და შარდის ბუშტი ქვების წარმოქმნას, გულის დაავადებებს. ძირითადი წყარო სუფრის მარილია.

ფოსფორი - ძვლებისა და კბილების მთავარი შემადგენელი კომპონენტია; მონაწილეობს ენერგეტიკულ ცვლაში, ღვიძლის ფუნქციონირებაში, თირკმელების, კუნთების, ძვლის ქსოვილების, ფერმენტების, ჰორმონების, B ჯგუფის ვიტამინების აქტიური ფორმების წარმოქმნაში; შედის ნუკლეინის მჟავებისა და შაქარფოსფატების შემადგენლობაში. ფოსფორის უკმარისობა ამუხრუჭებს ორგანიზმში ძვლების განვითარებას. შეიცავს თევზის ღვიძლი, კვერცხის გული, ყველი, მშრალი

ბარდა, კაკალი, ნუში, კიტრი, სალათა, ბოლოკი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ხახვი, ოხრახუში, გარგარი, ქიშმიში.

ქლორი - მონაწილეობს ოსმოსური წნევისა და წყლის ცვლის რეგულირებაში. დიდი რაოდენობით შეიცავს რძე, მანონი, კვერცხის ცილა, ჭვავის პური, ბანანი, კომბოსტო, ოხრახუში, ლოკოკინა.

ოქრო - ამ მეტალის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან იყო ცნობილი. მისით წარმატებით მკურნალობდნენ დიათეზის მძიმე ფორმებს, ხმარობდნენ წყლის გამწმენდად. აღინიშნება გონგოლაში.

მიკროელემენტები - ახდენს ორგანიზმის დამცავი ძალების სტაბილიზაციას; ძირითადი მიკროელემენტები: რკინა (Fe), იოდი (I), კობალტი (Co), კრემნიუმი (Cr), მანგანუმი (Mn), სპილენძი (Cu), მოლიბდენი (Mo), გოგირდი (S), სტრონციუმი (Sr), ფტორი (F), ქრომი (Cr), თუთია (Zn), ლითიუმი (Li), სელენი (Se), ნიკელი (Ni). მთავარ მიკროელემენტებს, რომლებიც ახდენენ სისხლწარმოქმნის სტიმულირებას წარმოადგენს რკინა და სპილენძი, მათი უკმარისობა არა მხოლოდ ამცირებს დაავადებებისადმი წინააღმდეგობას, არამედ იწვევს გონებრივ ჩამორჩენილობას, შენელებულ ზრდას, სისხლძარღვების ელასტიურობის დარღვევას. აღსანიშნავია, რომ მიკროელემენტები და მათი კომპლექსები, რომლებსაც მცენარეები შეიცავს, თვით მათი სიჭარბეც არ იწვევს გვერდით ტოქსიკურ მოქმედებას.

რკინა - ორგანიზმში მიმდინარე უანგვა-აღდგენითი პროცესების ძირითადი მონაწილეა, შედის სისხლის წითელი ბურთულების ერთ-როციტების ჰემოგლობინის მოლეკულის შემადგენლობაში და სასუნთქ ფერმენტებში. რკინით მდიდარია შავი ქლიავის ჩირი, ლობიო, ბარდა, წინიბურა, ტყის მარწყვი, საზამთრო, ხენდრო, ხახვი, შავი მოცხარი, სატაყური, ისპანახი, ენდრო, ძროხის ღვიძლი.

სპილენძი, ნიკელი, მანგანუმი - აუცილებელია ზოგიერთი ფერმენტის შექმნისა და აქტივიზაციისათვის; მონაწილეობენ სისხლის წარმოქმნაში. სპილენძს შეიცავს ალუბალი, შავნაყოფა ცირცელი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები.

თუთია - აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური განვითარებისა და სქესობრივი მომწიფების, სისხლწარმოქმნისა და ჭრილობების შეხორციებისათვის. შეიცავს პური, შვრიის ბურღული, წინიბურა, პარკოსანი მცენარეები.

იოდი - იწვევს ნერვულ სისტემაზე დამამშვიდებელ მოქმედებას, ხასიათდება ბაქტერიციდული მოქმედებით. მისი ნაკლებობა განაპირობებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევას, იმუნიტეტის შესუსტებას, ორგანიზმის ფიზიკური ძალების შემცირებას. იოდს შეიცავს - ჰამილორი, სალათა, ჭარხალი, ხახვი, ზღვის კომბოსტო, სტაფილო, ნიორი, ჩაი, ზღვის კიბორჩხალა, ქვის მარილი.

კობალტი - მისი ნაკლებობა ამცირებს ვიტამინ B₁₂ ის სინთეზს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სისხლნაკლებობის განვითარებას.

კრემნიუმი - აუცილებელია კუნთოვანი ქსოვილების ზრდისათვის, ცენტრალური ნერვული სისტემის, თმებისა და ფრჩხილების გამაგრებისათვის. დიდი რაოდენობითაა ნედლე ხილში, კიტრში, ტყის მარწყვში, ჭარხალში, სატაცურში, ოხრახუშსა და სალათაში.

ლითიუმი - ორგანიზმში მისი სიმცირე იწვევს ფსიქიური დაავადებების განვითარებას. შეიცავს ალოე, ლემა, შმაგა, ლენცოფა. ამ ელემენტის შემცველ პრეპარატებს მიეკუთვნება სკოპოლამინის ჰიდრობრომიდი, რომელსაც იყენებენ ფსიქიური და პარკინსონის დაავადებებისას. ლითიუმი წარმოადგენს ალკალოიდების ბიოსინთეზის სპეციფიურ რეგულატორს.

მოლიბდენი - ყველაზე მძიმე ბიომეტალია, აუმჯობესებს ატმოსფერული აზოტის დაკავშირების პროცესებს ბაქტერიებთან და მონანოლეობს ცილების სინთეზსა და ცვლაში. შედის მთელი რიგი ფერმენტების შემადგენლობაში, ხელს უშლის კბილების კარიების განვითარებას. მოლიბდენის დიდი კონცენტრაცია აღმოჩენილია ღვიძლსა და კანში. შეიცავს ჩვეულებრივი მათიტელა, ჯინჯარი, ბალის პიტნა, გველისურო, ხეშავი.

გოგირდი - წარმოადგენს ორგანული შენაერთების, კერძოდ ცილების მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტს.

ფტორი - ფტორიდ-იონის სახით შედის კბილის ემალისა და ძვლების, კუნთების, სისხლისა და ტვინის შემადგენლობაში. ორგანიზმში მისი ნაკლებობა იწვევს ძვლებისა და კბილების დაავადებებს, ხოლო სიჭარბე - კბილების დაშლას. შეიცავს მარვლოვანი კულტურები, პარკოსნები, მწვანე ბოსტნეული, ხილი, კაკალი, კვერცხის ცილა.

ქრომი - არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს, იწვევს დადებით მოქმედებას ინსულინის აქტივობაზე, ეწინააღმდეგება ათეროსკლეროზს.

როზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წარმოქმნას. მოსახლეობის ნახევარი განიცდის ორგანიზმში ქრომის დეფიციტს, განსაკუთრებით უფროსი და ასაკოვანი ადამიანები, ერთ-ერთი მიზეზია ზედმეტი რაფინირებული საკვები პროდუქტები. შეიცავს დიოსკორეა, ლობელია, ლუდის საფუარი.

მაკრო და მიკროელემენტები შერჩევით გროვდება ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოში: თუთია - სასქესო ორგანოებში, ჰიპოფიზში, კუჭისქვეშა ჯირკვალში; სპილენძი - ღვიძლში, ძვლის ტვინში; მოლიბდენი - თირკმელებში; ქრომი და მანგანუმი - ჰიპოფიზში; თუთია და ნიკელი - კუჭქვეშა ჯირკვალში: მძიმე მეტალები - სისხლის ელემენტებში; ალუმინი და კრემიუმი - სისხლის პლაზმაში; კობალტი აღმოჩენილია უმთავრესად ჰიპოფიზში; თავის ტვინის შემადგენლობაში აღინიშნება სხვადასხვა სახის მიკროელემენტები: სპილენძი, ტიტანი, ალუმინი და სხვ.

ვ ი ტ ა მ ი ნ ე ბ ი (წარმოსდგება ლათინური სიტყვებიდან “vita” - სიცოცხლე და “amin” - აზოტის შენაერთები) - ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, განსხვავებულია ქიმიური ბუნებით და ფიზიოლოგიური მოქმედებით, აუცილებელია ორგანიზმის მიერ ყველა საკვები ნივთიერებების შეთვისების პროცესებისათვის, უჯრედებისა და ქსოვილების ზრდისა და აღდგენისათვის და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესებისათვის. ვიტამინები შედის ადამიანის ორგანიზმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არიდებს ქოლესტერინის ჭარბ დალევას სისხლძარღვების კედლებზე და აქვს არსებითი მნიშვნელობა სისხლის ნორმალური შემადგენლობის შენარჩუნებისა და ორგანიზმის ფიზიოლოგიური ჭკნობის თავიდან აცდენისა. სადღეისოდ ცნობილია 30-ზე მეტი ვიტამინი, მათგან დაწვრილებითაა აღწერილი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და ფიზიოლოგიური მნიშვნელობა A (რეტინოლი), B₁, B₂, B₃, B₆, B₁₂, C, D, E, F, K, P, PP, U ვიტამინების, ფოლიევის, პანტოთენისა და პარამინობენზოინის მჟავები, ინოზიტი, ქოლინი, ბიოტინი და სხვ.

ყველასათვის ცნობილია, რომ სხვადასხვა დაავადებებისას, განსაკუთრებით ინფექციურის, ღვიძლის, ორსულობის დროს მოთხოვნილება მათ მიმართ იზრდება. ასე მაგ.: გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას მოთხოვნილება ასკორბინის მჟავის მიმართ მით მეტია, რაც უფრო

მძიმეა და აქტიური პროცესი. ყველაზე მეტად ვიტამინებს საჭიროებს კოლიტი, ფაღარათით, კუჭ-ნაწლავის წყლულით დაავადებულებები. ვიტამინების უკმარისობა იწვევს სწრაფ დაღლას, ნერვული სისტემის მდგომარეობის გაუარესებას, ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, ქვეითდება შრომისუნარიანობა და სხვა დაავადებებისადმი მდგრადობა.

პროვიტამინი A (აქსეროფტოლი, რეტინოლი) - აღინიშნება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში (ღვიძლი, თევზის ქონი, რძის პროდუქტები), თუმცა ვიტამინ A-ს სადღეღამისო მოთხოვნილების მხოლოდ ნახევარი იფარება ამ პროდუქტებით, დანარჩენი ნაწილი ანაზღაურდება პიგმენტ კაროტინის შემცველი მცენარეული პროდუქტებით, რომელიც ორგანიზმში ფერმენტ კაროტინაზის გავლენით ვიტამინ A გარდაიქმნება. კაროტინი დიდი რაოდენობითაა სტაფილოში, პამიდორში, წითელ წინაკაში, ღოღოში, ისპანახში, სალათაში, ჯინჯარში, ოხრახუში, მწვანე ხახვში, ატამში, გარგარში, ასკილში, ქაყცეში, ცირცელში და სხვ. ამ ვიტამინის ნაკლებობას მიყვავართ ნივთიერებათა ცვლის პროცესებისა და ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევებთან, მხედველობის დაქვეითებასთან, რომლის გამოვლინებაა ქსეროფტალმია, ჰემეროლოპია (“ქათმის სიბრმავე”), კანისა და ლორწოვანი გარსის დეგენერატიული ცვლილებები, ზრდის შეჩერება, გამოფიტვა, ღვიძლის ფუნქციებისა და ქოლესტერინის ცვლის დარღვევები.

B ჯგუფის ვიტამინები: B₁ (თიამინი, ანევრინი) - წარმოადგენს კოკარბოქსილაზის კოფაქტორს. ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდას, მოქმედებს ცხიმოვან ცვლაზე, გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებზე, აწესრიგებს კუჭის წვენის სიმუავსს.

უკმარისობა იწვევს ნახშირწყლებისა და ლიპიდების ცვლის დარღვევას, ნერვული სისტემის დაავადებებს (პოლინევრიტები, ნევროდეგენერაცია). გვხვდება ბევრ მცენარეში, გაცილებით მდიდარია ხორბლის ჩანასახი, ბრინჯის ქაქო, შვრიისა და წინბურას ბურღული, მწვანე ბარდა, ბოსტნეული, ლუდის საფუარი, ღორის ხორცი.

B₂ (რიბო და ლაქტოფლავინი) - ორგანიზმში გარდაიქმნება აქტიურ ლაქტოფლავინ - ფოსფოროვან მუავად. აუცილებელია ცილებისა და ცხიმების სინთეზისათვის, ღვიძლისა და კუჭის ნორმალური ფუნქციისათვის, გავლენას ახდენს ნაყოფის ზრდასა და განვითარებაზე, მხედველობაზე - იცავს თვალს ულტრაიისფერი სხივების მავნე გავ-

ლენისგან. უკმარისობა იწვევს ტუჩების, პირის ლორწოვანი გარსისა და ენის ანთებას, სინითლეს, შეშუპებას, წყლულებს, სახისა და მკერდის დერმატიტს, მადის დაქვეითებას, შრომისუნარიანობის შემცირებას. შეიცავს მწვანე ბარდა, ხორბლისა და ჭვავის აღმონაცენი, ლობიო, სოიას ფეხილი, ოსპი, ნუში, თხილი, კაკალი, ძროხის ხორცი, ძროხის რძე, ღვიძლი, თირკმელები, კვერცხი.

B3, B4, B5 – ჭვავის ვიტამინების ნაკლებობა იწვევს ზრდის პროცესების შეჩერებას, სახიფათოა ორსულობის დროს, შეიძლება გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა. ვიტამინ B3-ით განსაკუთრებით მდიდარია კაკალი, პარკოსნები, კარტოფილი და მარცვლოვანი პროდუქტები.

B6 (აღდრმინი, პირილოქსინი) – მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესში, კერძოდ ცილებისა და ცხიმების, ასტიმულირებს სისხლწარმოქმნას, აძლიერებს ორგანიზმის ბუნებრივ იმუნიტეტს, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას და კუჭის მუშავის წარმოქმნას. უკმარისობა იწვევს ახალშობილ ბავშვებში კრუნჩხვებსა და ჰიპოქლორემიულ ანემიას, დიდებში: მადის დაკარგვას, გულის რევას, გალიზიანებას, ანთებით პროცესებს, ფსიქიურ აშლილობას. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ცხოველურ პროდუქტებში, შედარებით მცირედ შემდეგ მცენარეებში: პარკოსნები, მარცვლოვნები, ბოსტნეული, ხილი; განსაკუთრებით ბევრია ბანანში.

B15 – ააქტიურებს ქსოვილთა უჯრედებში ნახშირბადის ცვლას, ასტიმულირებს თირკმელზედა ფუნქციას, ხელს უწყობს ღვიძლის ფუნქციის აღდგენას. გვხვდება ბევრი მცენარის ჩანასახსა და ღივებში, ნუშის, გარგარისა და სხვა კურკოვანი ნაყოფების გულში.

პანთოთენის მუავა – ახდენს ზრდის რეგულირებას.

ფოლიევის მუავა (B9) – მონაწილეობს სისხლის წარმოქმნის პროცესში, ცილოვან და ცხიმოვან ნივთიერებათა ცვლაში. შეიცავს სალათა, ოხრახუში, ისპანახი, ჭარხალი, კარტოფილი, პამიდორი, პარკოსნები, ხორბალი, ჭვავი, ლუდის საფუარი.

ქოლინი (B ჭვავის ვიტამინი) – მონაწილეობს ცხიმოვან და ქოლესტერინის ცვლებში, გვევლინება პერიფერიულ ნერვულ სისტემაში ნერვული იმპულსების გადაცემის შუამავლად. ამუხრუჭებს აორტისა და სისხლ-ძარღვების კედლებზე ათეროსკლეროზული ბალოების განვითარებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ათეროსკლეროზის პროფ-

ილაქტიკისა და მკურნალობისათვის. უმთავრესად ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში გვხვდება: კვერცხის გული, ძროხის ხორცი, ღვიძლი, თირკმელები, ქაშაყი, ორაგული; მცენარეულიდან - ხორბალში, ქერის, სოიოს, შვრიის ჩანასახებში.

ინოზიტი (B ჯგუფის ვიტამინი) - მონაწილეობს ცხიმის გადატანაში, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, შესაბამისად ათეროსკლეროზის განვითარების შესაძლებლობას. გვხვდება მწვანე და მშრალ ბარდაში, მწვანე ცერცვში, ნესვში, ფორთოხალში, კომბოსტოში, მსხალში, ჰამიდორში, სტაფილოში.

ვიტამინი C (ასკორბინის მჟავა) - მონაწილეობს ნუკლეინმჟავების ცვლაში, თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის და ფარისებრი ჯირკვლის სტეროიდული ჰორმონების ცვლასა და სინთეზში, უზრუნველყოფს კაპილარების გამტარუნარიანობას, სისხლძარღვთა ელასტიურობასა და სიმტკიცეს, წინააღმდეგუნარიანია ინფექციური დაავადებებისადმი და რაც მთავარია ძირითადი ფაქტორია ცინგის საწინააღმდეგოდ. ამ ვიტამინის უკმარისობა ორგანიზმში იწვევს შრომისუნარიანობის დაქვეითებას, აპათიას, სწრაფ დაღლილობას, წინააღმდეგობის დაკარგვას ინფექციური დაავადებებისადმი, რაც გამოიხატება ღრძილებიდან სისხლდენაში, ქსოვილებში სისხლჩაქცევებში, ჰემორაგიულ დიათეზის განვითარებაში; ხდება სისხლძარღვების კედლების ცვლილებები, რაც ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. დიდი რაოდენობით შეიცავს მწვანე და წითელი წიწკის ნაყოფები, კამა, ოხრახუში, მწვანე ხახვი, ისპანახი, ასკილი, მარწყვი, ლიმონი, ფორთოხალი, ვაშლი, ხურტკმელი, ქაყვი, შავი მოცხარი და სხვ.

ვიტამინი D - გამოირჩევა ანტირაქიტული მოქმედებით; ბავშვებში მის უკმარისობას რაქიტამდე მიყვება, მათში შეიმჩნევა კბილებისა და ფრჩხილების განვითარების მოშლილობა, კუნთების მოდუნება, მუცლის ზრდა, ფიზიკური და ფსიქიური ჩამორჩენილობა. შეიცავს თევზის ქონი.

ვიტამინი E (ალფა-ტოკოფეროლი) - მიეკუთვნება ცხიმების დამშლელ ვიტამინებს; ორგანიზმში მისი უკმარისობა იწვევს სასქესო ჯირკვლების ფუნქციების დარღვევას. მიიჩნევენ, რომ მას კავშირი აქვს სასქესო ჰორმონებთან. საუკეთესო წყაროა: ხორბლის, შვრიის და სიმინდის

აღმონაცენი, მწვანე ბარდა, ცერცვი, სალათა; ბევრია ქაცვის, სიმინდის, მგესუმზირის, ბამბის ზეთებში.

ვიტამინი F (კომპლექსი) - წარმოადგენს უჯერ უმაღლეს ცხიმოვან მჟავებს - ლინოლენმჟავასა და ლინოლენმჟავას; ხელს უწყობს ცხიმების ათვისებას, მონაწილეობს კანის ცხიმოვან ცვლაში, გადააქვს ქოლესტერინი ხსნად მდგომარეობაში, ამით აადვილებს მის გამოყოფას, გავლენას ახდენს ლაქტაციისა და გამრავლების პროცესებზე. ითვლება, რომ კანის ზოგიერთი დაზიანებები და თვით ნეკროზიც გამონვებულია ამ მჟავების უქონლობით. სხვადასხვა რაოდენობით გვხვდება მცენარეულ, განსაკუთრებით სელისა და მგესუმზირას ზეთებში.

ვიტამინი H (ბიოტინი) - მიეკუთვნება B ჯგუფის ვიტამინების რიცხვს, წყალში კარგად ხსნადი ამინომჟავებია, არსებობს ორი იზომერული ფორმის სახით. მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლაში და განსაკუთრებით - კანის ცვლის პროცესებში; ბავშვებს მისი უკმარისობისას უნვითარდებათ კანის ანთება აქერცვლით და ნაცრისფერი პიგმენტაციით. შეიცავს ხორბლის ქათო, კარტოფილი, ბარდა, ყვავილოვანი კომბოსტო, ხახვი, სოია, სოკო; ბევრია კვერცხის გულში, ძროხის ღვიძლში, ღორის თირკმელებში, გულში.

ვიტამინი K (ფილოქინონი) - ცნობილია K_1 და K_2 , ნაფტოქინონების წარმოებულების სახით; აუცილებელი კომპონენტია სისხლის ნორმალური შედედებისათვის, მონაწილეობს ღვიძლში პროთრომბინის წარმოქმნაში, ყველა უჯრედის სუნთქვასა და ნივთიერებათა შიდაუჯრედოვან ცვლაში. უკმარისობა იწვევს კანქვეშა ქსოვილებსა და კუნთებში სისხლჩაქცევებს. K_1 - წარმოიქმნება მცენარეთა მწვანე ნაწილებში, შეიცავს მდოგვი, კომბოსტო, ჯინჯარი, ჰამიდორი და სხვ. ხოლო K_2 - ადამიანის მსხვილ ნაწლავში დაბუდებულ ბაქტერიებში, გამოყოფილია თევზის ფეკილიდან.

ვიტამინი P (რუტინი, ჩაის კატეჩინები) - ამცირებს სისხლძარღვების კედლების გამტარიანობას, უნიშნავენ დიათემის, რევმატიზმის, ჰიპერტონიული, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, თვალის, კანისა და კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დავადებებისას. აღინიშნება ბოსტნეულში, კენკროვნებში, ციტრუსებსა და ჩაიში.

ვიტამინი PP (ნიკოტინისმჟავა) - ადამიანის ორგანიზმში სინთეზირდება საკვები ცილის ტრიფტოფენის შემადგენელი ნაწილიდან; შედის იმ ფერმენტების შემცველობაში, რომლებიც ჟანგვის პროცესებში მონაწილეობენ. მისი უკმარისობა იწვევს გულისრევას, პირღებინებას, ტკივილებს კუჭის არეში, ფაღარათს, მკვეთრ სისუსტეს, მესხიერების დაქვეითებას. შეიცავს ხილი, ბოსტნეული მარცვლეულები, პარკოსნები, უფრო მეტია ცხოველურ პროდუქტებში.

ვიტამინი U – ხასიათდება წყლულისა და კანის დაავადებების საწინააღმდეგო თვისებებით. დადებითად მოქმედებს ცხიმოვან ნივთიერებათა ცვლაზე, სისხლისმიმოქცევაზე. შეიცავს ბოსტნეული მცენარეები, განსაკუთრებით - კომბოსტო (Турова, 1967; Йорданов и др., 1976; Муравьева, 1978; ბიძინაშვილი, 2013).



ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეების დაჯგუფება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის მიხედვით

I. პოლისახარიდების შემცველი სამკურნალო მცენარეები და ნედლეული:

1. *Linum usitatissimum* – *semen Lini*, ჩვეულებრივი სელის თესლები.
2. *Althaea officinalis* – *radix Althaeae*, სამკურნალო ტუხტის ფესვები
3. *Tussilago farfara* – *folium farfarae*, ვირისტერფას ფოთლები
4. *Plantago major* - *folium plantagines majoris*, დიდი მრავალძარღვას ფოთლები
5. *Plantago psyllium* – *herba plantaginis Psyllii Recens*, *semen Psylli*-სარწყილე მრავალძარღვას ბალახი და თესლები
6. *Laminaria sachariensis*, *L.japonica* Aresch., *L. digitata* ზღვის კომბოსტოს თალუსი.

II. ვიტამინების შემცველი სამკურნალო მცენარეები და ნედლეული:

1. *Rosa cinnamomea*, *R. majalis*, *R.canina* – *Fructus Rosae*, ასკილის სხვადასხვა სახეობების ნაყოფები
2. *Sorbus aucupaia* - *Fructus sorbi* – ცირცელის ნაყოფები
3. *Calendula officinalis* – *Flores Calendulae* – გულყვითელას ყვავილები
4. *Urtica dioica* – *Folium Urticae* – ჭინჭრის ფოთლები
5. *Zea mays* L. - *Styli et Stigmata Maydis* – სიმინდის მტვრიანები
6. *Capsella bursa-pastoris*- *Herba Bursae Pastoris* – წინმატურას ბალახი
7. *Hippophae rhamnoides* – *frucus Hippophaes Recens* – ქაცვის ნაყოფები
8. *Viburnum opulus*- *fructus Viburni*, *Cortex Viburni* – ძახველის ნაყოფები, ქერქი
9. *Ribes nigrum*- *Fructus Ribes nigri*, შავი მოცხარის ნაყოფები

III. ტერპენოიდების (ეთერზეთებისა და მწარე ნივთიერებების) შემცველი სამკურნალო მცენარეები და ნედლეული:

1. *Coriandrum sativum* – *Fructus Coriandri* – ქინძის ნაყოფები
2. *Mentha piperita* – *Folium Menthae piperitae* – ბალის პიტნას ფოთლები
3. *Salvia officinalis*- *Folium Salviae* – სამკურნალო სალბის ფოთლები

4. *Eucalyptus viminalis*, *E. cynerea* – *Folium Eucalypti* - ევკალიპტის ფოთლები
5. *Carum carvi* – *Fructus carvi* – კვლიავის ნაყოფები
6. *Juniperus communis* – *Fructus Juniperi* - ღვის ნაყოფები
7. *Valeriana officinalis* – *Rhizoma cum Radicibus* – სამკურნალო კატაბალახას ფესურა ფესვებითურთ
8. *Pinus sylvestris* – *Gemmae pini* – ფიჭვის გირჩები და წიწვები
9. *Abies sibirica*, *A. nordmaniana* – წიწვები და ნორჩი ყლორტები
10. *Matricaria recutita* – *Flores chamomillae* – გვირილას ყვავილები
11. *Matricaria matricarioides* – *Flores Chamomillae* გვირილას ყვავილები
12. *Arnica montana*, *A. foliosa*, *A. chamissonis* – *Flores arnicae* – არნიკას ფოთლები
13. *Jnula helenium* – *Rhizoma et Radix Jnulae* – კულმუხოს ფესურა ფესვებითურთ
14. *Artemisia cina* – *Flores Cinae* – ხოროსანის ფოთლები
15. *Betula pendula*, *B. verrucosa*, *B. pubescens* – *Gemmae Betulae* – არყის სხვადასხვა სახეობის კვირტები
16. *Ledum palustre* – *Cormus Ledi palustris* – წელის იელის ყლორტები
17. *Anisum vulgare* – *Fructus Anisi* – ანისულის ნაყოფები
18. *Foeniculum vulgare* – *Fructus foeniculi* – დიდი კამას ნაყოფები
19. *Thymus serpyllum* – *Herba serpylli* – ბეგქონდარას ბალახი
20. *Thymus vulgaris* – *herba Thymi* - ბეგქონდარას ბალახი
21. *Origanum vulgare* – *Herba Origani* – თავშავას ბალახი
22. *Acorus calamus* – *Rhizoma Calami* – კოთხუკის ფესურა
23. *Achillea millefolium* – *Herba Millefolii*, *Flores Millefolii* – ფარსმანდუკის ბალახი, ფოთლები
24. *Artemisia absinthium* - *Herba et Folia Absinthii* – აბზინდას ბალახი
25. *Humulus lupulus* – *Strobili Lupuli* – სვის გირჩები
26. *Menianthes trifoliata* – *Folium Menianthidis* – წლის სამყურას ფოთლები
27. *Centaurium minor* – *Herba Centaurii* – ასისთავას ბალახი
28. *Taraxacum officinale* – *Radix taraxaci* – ბაბუანვერას ფესვები

IV. ალკალოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეები და ნედლეული:

1. *Senecio platyphylloides* – *Rhizoma cum Radicibus Senecionis Platyphylloides*, *Herba Senecionis Platyphylloides* – ხბოშუბლას ფესურა ფესვებითურთ და ბალახი
2. *Atropa bella-donna*, *A. caucasica* – *Folium Belladonnae*, *herba Belladonnae*, *Radix Belladonnae* – შმაგას ფოთლები, ბალახი და ფესურა ფესვებითურთ
3. *Hyosciamus niger* – *Folium Hyosciami* – ლენცოვას ფოთლები
4. *Datura stramonium* – *Folium Stramonii* – ლემას ფოთლები
5. *Datura innoxia* – *Semen Daturae innoxiae*, *fructus Daturae innoxiae* – ლემას თესლები და ნაყოფები
6. *Scopolia carniolica* – *Rhizoma Scopolae carniolicae* – სკოპოლიას ფესვები
7. *Thermopsis lanceolata* – *Herba Thermopsidis*, *Semen Thermopsidis* – თერმოსისის ბალახი და თესლები
8. *Sophora pachycarpa* – *Herba Sophorae pachicarpae* – სოფორას ბალახი
9. *Nuphar luteum* – *Rhizoma Nupharis lutei* – ყვითელი დუმფარას ფესურა
10. *Huperzia selago* (*Lycopodium selago*)
11. *Berberis vulgaris* – *Radix Berberidis*, *Folium berberidis vulgaris* – კონახურის ფესვები, ფოთლები
12. *Papaver somniferum* – *Capita papaveris* – ხაშხაშის ნაყოფები
13. *Chelidonium majus* – *Herba Chelidonii* – ქრისტესისხლას ბალახი
14. *Glaucium flavum* – *Herba Glauci* – ყვითელი ყაყაჩურას ბალახი
15. *Macleaya cordata* – *Herba Macleayae* – მაკლეას ბალახი
16. *Stephania glabra* – *Tuber cum Radicibus Stephaniae* – სტეფანიას ტუბერი ფესვებითურთ
17. *Ungernia victoris* – *Folium Ungerniae Victoris* – უნგერნიას ფოთლები
18. *Claviceps purpurea* – *Scaecale Cornutum*, ჭვაველა
19. *Strychnos nux-vomina* – *Semen Strychni* – ქურჩულას თესლები
20. *Rauwolfia serpentina* – *Radix Rauwolfiae serpentinae* – რაუვოლფიას ფესვები
21. *Vinca minor* – *Herba Vincae minoris* – გველისსუროს ბალახი
22. *Catharanthus roseus* – *Folium Catharanthi* – ვარდისფერი კატარანტუსი

23. *Passiflora incarnata* - *Herba Passiflorae* – ვნების ყვავილის ბალახი
24. *Solanum laciniatum* – *Herba Solani laciniati* – ძალღუპილ ბალახი
25. *Veratrum lobelianum* – *Rhizoma cum Radicibus Veratri* – შხამას ფესურა ფესვებითურთ
26. *Capsicum annuum* – *Fructus Capsici* – წითელი წინაკას ნაყოფები
27. *Ephedra equisetina* – *Herba Ephedrae* - ჯორისძუას ბალახი
28. *Colchicum speciosum*, *C. autumnale* – *Bulbotuber Colchici recens* – უცუნას ტუბერ-ბოლქვები.

V. გულის გლიკოზიდების შემცველი სამკურნალო მცენარეები და სამკურნალო ნედლეული:

1. *Digitalis purpurea* – *Folium Digitalis* – სათითურას ფოთლები
2. *Digitalis grandiflora* - *Folium Digitalis* - სათითურას ფოთლები
3. *Digitalis lanata* - *Folium Digitalis* - სათითურას ფოთლები
4. *Strophanthus kombe* - *Semen Strophanthi* - სტროფანტის თესვები
5. *Adonis vernalis* – *Herba Adonis vernalis* - ცხვირისსატეხელას ბალახი
6. *Convallaria majalis* – *Flores Convallariae*, *Folium convallariae*, *Herba Convallariae* – შროშანას ფოთლები, ყვავილები, ბალახი.
7. *Erysimum diffusum*, *E. canescens* – *Herba Erysimi Diffusi Recens* – ერიმუმის ბალახი.

VI. საპონინების შემცველი სამკურნალო მცენარეები და სამკურნალო ნედლეული:

1. *Dioscorea nipponica*, *D. caucasica* – *Rhizoma cum Radicibus Dioscoreae* – დიოსკორეას ფესურა ფესვებითურთ
2. *Glycyrrhiza glabra* – *Radix Glycyrrhizae* – ძირტკბილას ფესვები
3. *Polemonium coeruleum* – *Rhizoma cum Radicibus Polemonii* - ცისფერი პოლემინიუმის ფესურა ფესვებითურთ
4. *Echinopanax elatum* – *Rhizoma cum Radicibus Echinopanacis* - ეხინოპანაქსის ფესურა ფესვებითურთ
5. *Aralia mandshurica* - *Radix Araliae mandshurinae* – არალიას ფესვები
6. *Panax ginseng* – *Radix ginseng* – ჟენშენის ფესვები.

VII. ფენოლოური გლიკოზიდების და სხვა ფენოლოური შენაერთების შემცველი სამკურნალო მცენარეები და სამკურნალო ნედლეული:

1. *Arctostaphylos uva ursi* – *Folium uva ursi*, *Cormus uva ursi* - დათვის კენკრას ფოთლები და ყლორტები
2. *Vaccinium vitis idaea* – *Folium Vitis idaea*, *Cormus Vaccini vitis idaeai* – წითელი მოცვის ფოთლები და ყლორტები
3. *Rhodiola rosea* – *Rhizoma cum Radicibus Rhodiolae roseae* – ვარდის-ფერი როდიოლას ფესურა ფესვებითურთ
4. *Viola tricolor*, *V. arvensis* – *Herba Violae tricoloris et Violae arvensis* – იის ბალახი
5. *Dryopteris filix-mas* – *Rhizoma Filicis maris* – ჩადუნას ფესურა
6. *Schisandra chinensis* – *Fructus schisandrae* – ლიმონურას ნაყოფები
7. *Eleutherococcus senticosus* – *Rhizoma et radix Eleutherococci* – ელეუტეროკოკის ფესურა
8. *Podophyllum peltatum* – *Rhizoma cum Radicibus Podophylli peltati* – პოდოფილუმის ფესურა ფესვებითურთ.

VIII. ანტრაცინნარმოებულები და მათი გლიკოზიდების შემცველი სამკურნალო მცენარეები და სამკურნალო ნედლეული:

1. *Cassia acutifolia* – *Folium Sennae (Folium Cassiae)*, *Fructus sennae* – სიმა მაქის ხის ფოთლები და ნაყოფები
2. *Frangula alnus* – *Cortex Frangulae*- ხეჭრელის ქერქი
3. *Rhamnus cathartica* – *Fructus Rhamni catharticae* – ხეშავის ნაყოფები
4. *Rheum palmatum* – *Radix Rhei* – ნამდვილი რევანდის ფესვები
5. *Rumex confertus* – *Radix Rumicis Confertii* – ლოლოს ფესვები
6. *Aloe arborescens* – *Folium Aloes arborescens* *Regens* – ალოეს ფოთლები
7. *Rubia tinctorum* – *Rhizoma et radix Rubiae* – ენდროს ფესურა ფესვებითურთ.

IX. ფლავონოიდებისა და მათი გლიკოზიდების შემცველი სამკურნალო მცენარეები და სამკურნალო ნედლეული:

1. *Crataegus sanguinea*, *C. pentagina*, *C. monogina*, *C. curvisepala*, *C. chlorocarpa* – *Flores Crataegi*, *Fructus Crataegi* - კუნელის სახეობების ყვავილი და ნაყოფები
2. *Leonurus quinquelobatus* – *Herba Leonuri* – შავბლახას ბალახი
3. *Sophora japonica* – *Alabastra Sophorae Japonicae*, *Fructus Sophorae japonicae* – იაპონური სოფორას კოკრები და ნაყოფები
4. *Aronia melanocarpa* – *Fructus Aroniae melanocarpae Recens* – არონიას ნაყოფები
5. *Helichrysum arenarium* – *Flores Helichrysi arenarii* – უკვდავას ყვავილები
6. *Tanacetum vulgare* – *Flores Tanaceti* - ასფურცელას ყვავილები
7. *Polygonum hydropiper* – *Herba Polygoni hydropiperis* – წყლის წალიკას ბალახი
8. *Polygonum persicaria* - *Herba Polygoni persicariae* – ბოსტნის წალიკას ბალახი
9. *Polygonum aviculare* - *Herba Polygoni avicularis* - ჩვ.მატიტელას ბალახი
10. *Equisetum arvense* – *Herba Equiseti* – შვითას ბალახი
11. *Ononis arvensis* – *Radix Ononis* - ფშნის ეკალის ფესვები
12. *Centaurea cyanus* – *Flores Centaureae cyani* – ლურჯი ღიღილოს ყვავილები
13. *Bidens tripartita* – *Herba Bidens* – ორკბილას ბალახი
14. *Tilia cordata* – *Flores Tiliae* – ცაცხვის ყვავილები
15. *Gnaphalium uliginosum* – *Herba Gnaphalii* – ბერულას ბალახი
16. *Hypericum perforatum* – *Herba Hyperici* – კრაზანას ბალახი.

X. კუმარინებისა და ქრომონების შემცველი სამკურნალო მცენარეები და სამკურნალო ნედლეული:

1. *Ammi majus* – *Fructus Ammi majus* – ამის ნაყოფები
2. *Pastinaca sativa* – *Fructus Pastinacae Sativae* – ძირთეთრას ნაყოფები
3. *Ammi visnaga* – *Fructus Ammi visnagae* - ამის ნაყოფები

XI. მთრიმლაფი ნივთიერებების შემცველი სამკურნალო მცენარეები და სამკურნალო ნედლეული:

1. *Rhus coriaria* – *Folium Rhus coriariae* – თუთუბოს ფოთლები
 2. *Cotinus coggygria* – *Folium Cotini coggygriae* – თრიმლის ფოთლები
 3. *Quercus robur* – *Cortex Quercus* – მუხის ქერქი
 4. *Potentilla erecta* – *Rhizoma Potentillae* – მარწყვაბალახას ფესურები
 5. *Polygonum bistorta* – *Rhizoma Bistortae* – დვალურას ფესურა
 6. *Sanguisrba officinalis* – *Rhizoma et Radix Sanguisorbae* – თავისისხლას ფესურა ფესვებითურთ
 7. *Bergenia crassifolia* – *Rhizoma Bergeniae* – ჩაგირის ფესურა
 8. *Alnus incana* – *Fructus Alni* – მურყანის ნაყოფები
 9. *Vaccinium myrtillus* – *fructus myrtilli*, *Cormus Vaccini myrtilli* – მოცვის ნაყოფები და ყლორტები
 10. *Padus avium* – *Fructus Pruni padi* – შოთხვის ნაყოფები.
- (Муравьева, 1978: Ладьнина, Морозова, 1987).

შხამიანი მცენარეები და მათი როლი ფიტოთერაპიაში

დანვრილებითი შესწავლის საგანს ოდიოგანვე ე. წ. „მაგნე მცენარეები“ წარმოადგენდა. მსოფლიო ფლორა 10000-მდე შხამიან მცენარეს მოიცავს, რომელთა უმრავლესობა ტროპიკებსა და სუბტროპიკებსა თაგმოყრილი; 700-მდე სახეობის მცენარე, მათ შორის სოკოები, ადამიანებისა და ცხოველებისთვის სასიკვდილოდაა მიჩნეული. მაგალითად, ისეთი შხამიანი მცენარე, როგორცაა ციკუტა, ადრეულ პერიოდებში ითვლებოდა „ლეგალიზებულ“ სასიკვდილო იარაღად, საკმარისია სოკრატეს სიკვდილის გახსენებაც. ერთი შეხედვით ყველაზე ჩვეულებრივი მცენარე შეიძლება შეიცავდეს სასიკვდილო შხამს; მრავალ მათგანს არა აქვს არც სუნი, არც გემო, რაც მათ განსაკუთრებით ვერაგს ხდის. შხამიან ნივთიერებებს შეიცავს როგორც მთელი მცენარე, ასევე მისი ცალკეული ნაწილები. უმრავლესი მცენარის ტოქსიკური თვისებები არ ქრება შრობისა და თერმული დამუშავებისას.

არასწორმა გამოყენებამ და გამოუცდელმა თვითმკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს მონამლვა ზოგიერთი არაშხამიანი მცენარითაც. ერ-

თის მხრივ გათვალისწინებული უნდა იქნეს მათ ხარისხზე ეკოლო-
გიური გარემოს გავლენა და გადამუშავების პირობები, როდესაც ხდება
ბალახების დაბინძურება ტოქსიკური ინგრედიენტებით, მათ შორის
რადიოაქტიური ელემენტებით. მეორეს მხრივ, სამკურნალო მცენა-
რეების თვისებებისა და შემადგენლობის უფრო ღრმა შესწავლამ აჩ-
ვენა, რომ მრავალი მათგანი შეიცავს ნაერთებს, რომლებიც მავნეა
ადამიანის ორგანიზმის მრავალი ორგანოსა და სისტემებისათვის.

ბოლო წლების ლიტერატურაში გამოჩნდა მნიშვნელოვანი ცნობები,
სადაც მოყვანილია თანმდევი რეაქციები და გართულებების აღწერები,
დაკავშირებული სხვადასხვა ბალახით მკურნალობიდან გამომდინარე.
უფრო ხშირად ბალახების ტოქსიკური მოქმედება ადამიანის ღვიძლზე
და ნერვულ სისტემაზე აისახება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სამკურნალო მცენა-
რეებს, რომელთა შემადგენლობაშია პიროლიზიდინის (ჰეტეროციკ-
ლური ორგანული ნივთიერება) ჯგუფის ალკალოიდები. ცხოველებზე
ჩატარებული ცდებით მტკიცდება, რომ ისინი ხასიათდებიან მუტაგენური
და კანცეროგენური მოქმედებით. აღნიშნული ნივთიერებები აღმოჩნდა
ისეთ ფართოდ გამოყენებულ სამკურნალო ბალახებში, როგორცაა
სამკურნალო ლაშქარა, ჰელიოტროპი, თავყვითელას სახეობები და
სხვ. ამგვარად, სადღეისოდ მიღებული მონაცემები ადასტურებს ძლ-
იერი სიფრთხილით მათი გამოყენების აუცილებლობას. მცენარეული
პრეპარატების ხმარებისას უსიამოვნო მოვლენებისგან თავდაცვის
მიზნით ზედმეტი არ იქნებოდა ამ ჯგუფის მცენარეების მოქმედების
ცოდნა.

შხამიანი მცენარეები ის მცენარეებია, რომლებიც ცხოველმოქმედების
პროცესში გამოიმუშავენ და წარმოქმნიან შხამებს, რაც ინვესს
ცხოველებისა და ადამიანების მონამვლას. შხამიანი მცენარეები გვხვ-
დება სოკოების, შვითასებრთა, გვიმრანაირების, შიშველთესლოვანებსა
და ფარულთესლოვანებს შორის. ზომიერი კლიმატის ქვეყნებში, ისინი
ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი შემდეგ ბოტანიკურ
ოჯახებში: *Apocynaceae* - ქენდირისებრნი, *Araceae* - ნიუკასებრნი,
Euphorbiaceae - რძიანასებრნი, *Ranunculaceae* - ბაიასებრნი,
Papaveraceae - ყაყჩოსებრნი, *Solanaceae* - ძალყურძენასებრნი,
Scrophulariaceae - შავნამალასებრნი და სხვ. მრავალი მცენარეული შხა-

მი - მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებებს მიეკუთვნება, კერძოდ: მორფინი, სტრინინი, ატროპინი, ფიზოსტიგმინი და მრავალი სხვა.

შხამიანი მცენარეების ძირითადი მოქმედი ნივთიერებებია - ალკალოიდები, გლიკოზიდები (მათ შორის საპონინები), ეთერზეთები, ორგანული მჟავები და სხვ. მათ ჩვეულებრივ შეიცავს მცენარის ყველა ნაწილი, ხშირად განსხვავებული რაოდენობით და ტოქსიკურობით. მაგ.: ციკუტას, ტილჭირის, შხამას სახეობებში განსაკუთრებით შხამიანია - ფესურები, კარტოფილში - ყვავილები, კონიოს - ნაყოფები, სოფორას, ჭიოტას, ჰელიოტროპის - თესლები, სათითურას - ფოთლები და ა.შ. ზოგიერთი მცენარეული შხამები გროვდება და წარმოიქმნება მცენარის მხოლოდ ერთ ორგანოში (მაგ.: გლიკოზიდული ამიგდალინი - მხოლოდ მწარე ნუშის, ალუბლის, ქლიავის თესლებში). ისეც ხდება, რომ შხამიანი მცენარეების ზოგიერთი ნაწილი უშხამოა (კარტოფილის ტუბერები, უთხოვრის თესლის საბურველი, ხაშხაშის თესლები და სხვ.). მცენარეებში შხამიანი ნივთიერებების შემადგენლობა დამოკიდებულია ზრდის პირობებსა და მცენარის განვითარების ფაზებზე. როგორც წესი, სამხრეთში მოზარდი მცენარეები უფრო მეტ მოქმედ ნივთიერებებს აგროვებს, ვიდრე ჩრდილოეთში მოზარდი. ზოგიერთი მცენარე უფრო ტოქსიკურია ყვავილობამდე, სხვები - ყვავილობის პერიოდში, მესამენი - ნაყოფმსხმოიარობისას. განსაკუთრებით შხამიანია ნელლი მცენარეები. გაშრობის, მოხარშვის, დასილოსების შემდეგ ტოქსიკურობა კლებულობს, ზოგჯერ კი მთლიანად ქრება. თუმცა მრავალი შხამიანი მცენარე ტოქსიკურობას ინარჩუნებს გადამუშავების შემდეგაც, რის გამოც ფურაჟში მათი ნარევი არც თუ იშვიათად ცხოველთა ძლიერი მონამღვის მიზეზი ხდება. ცხოველები, როგორც წესი არ ეკარებიან შხამიან მცენარეებს, თუმცა გაზაფხულზე, ხანგრძლივი ბაგური კვების შემდეგ იკვებებიან ნელლი ბალახით, მათ შორის შხამიანი მცენარეებითაც.

მცენარეები, რომლებიც აბსოლუტურ შხამიანობას ფლობდეს ყველა ცოცხალი არსების მიმართ, ბუნებაში თითქმის არ არსებობს. მაგ.: შმაგა და ლემა, რომლებიც ადამიანისთვის შხამიანია, მღრღნელებისათვის, ქათმებისთვის, შაშვებისა და სხვა ფრინველებისათვის უსაფრთხოა. ზღვის ხახვი შხამიანია მღრღნელებისათვის, უსაფრთხოა სხვა ცხო-

ველებსთვის, პირეთრუმი შხამიანია მწერებისათვის, უსაფრთხოა ხერხემლიანებისათვის და ა. შ.

ჩვეულებრივ, შხამიანი მცენარეებით მონამლვა ხდება მათი პირის, სასუნთქი ორგანოების (მტვრიანების ან მათ მიერ გამოყოფილი მტრინავი ნივთიერებების - ფიტონციდების შესუნთქვით), ან კანის (მცენარის სხვადასხვა ნაწილზე შეხებისას) მეშვეობით. სასუნთქი გზების გზით მონამლვა აღინიშნება სხვადასხვა შხამიანი მცენარეების (სვია, შმაგა, ლიმონურა, სეკურიგენა და სხვ.) სამკურნალო მიზნით შეგროვებისას. იშვიათად, მაგრამ აღინიშნება საყოფაცხოვრებო მონამლვები მტრინავი ნივთიერებებით, რომლებსაც მცენარეები გამოყოფს. მაგნოლის, შროშანის, ყაყაჩოს, შოთხვის დიღმა თაიგულებმა შეიძლება გამოიწვიოს შეუძლოდ ყოფნა, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი. ხშირია ბავშვების მონამლვა მეტად მიმზიდველი მაცდუნებელი შხამიანი ნაყოფებით (ანწლი, დიდგულა, დათვის ყურძენი, შმაგა, მაჭალვერი და სხვ.). მონამლვა შხამიანი მცენარეების ჭამის შემდეგ, შეიძლება გამოვლინდეს რამდენიმე წუთში, მაგ.: უთხოვრის წინვების მიღების შემდეგ, სხვა შემთხვევაში - რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგაც. ზოგიერთი მცენარე (მაგ.: ეფედრა) შხამიანობას ამჟღავნებს ხანგრძლივი დროით გამოყენების შემდეგ, ვინაიდან მათი მოქმედი ნივთიერებები ორგანიზმში არ იშლება და არ გამოიღვენება, არამედ მასში გროვდება. შხამიანი მცენარეების უმრავლესობა ერთდროულად მოქმედებს სხვადასხვა ორგანოზე, მაგ.: ცენტრალური ნერვული სისტემა ჩვეულებრივ ზიანდება უფრო ძლიერად და ხშირად პარალიზდება შემდეგი მცენარეებით: ტილჭირის სახეობები, უცუნა, ლენცოფა, კონიო, ფრინტა, ციკუტა და სხვ.; გულზე მოქმედებს - შროშანა, სათითურა, ღვედკეცი და სხვ.; ღვიძლზე - შელიოტროპი, თავყვითელა, ბაია და სხვ.; სასუნთქ და საჭმლის მომწელებელ ორგანოებზე - მინდვრის მღოვკი, ცხვირის-სატეხელა და ა.შ.

შხამიანი მცენარეები, რომლებიც სხვებთან შედარებით უფრო ხშირადაა გავრცელებული საქართველოს ტყეებსა თუ ველებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას და სიფრთხილის დაცვას საჭიროებს, მათგან აღსანიშნავია:

- **აკონიტი**, ტილჭირი - ინვევს კრუნჩვებს, თავბრუსხვევას, ცნობიერების დაკარგვას
- **დეზურა** - მონამღვის ნიშნები - სუნთქვის დარღვევები და წნევის დაცემა, კრუნჩხვები, გულის მოქმედების დარღვევები.
- **კონიო** - დოზის სულ მცირე გადაჭარბება ლეტალურ დასასრულს იწვევს.
- **ლემა**, ინვევს პირღებინებას, თავბრუსხვევას, ჰალუცინაციებს, კრუნჩხვებს და სიკვდილსაც კი.
- **ლენცოფა** - მცენარე ძლიერ შხამიანია! ყველა პრეპარატი მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, რის გამოც მიღებისას უკიდურესი სიფრთხილეა საჭირო
- **მწვავე ფუნთუშა** - დოზის გადაჭარბება ინვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის აშლილობას, სუნთქვისა და გულის მოქმედების დარღვევას.
- **მაჯადვერი** - მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.
- **მარამსაკმელა** - ინვევს დეპრესიას, კრუნჩხვებს, ჰალუცინაციებს, სხეულის ტემპერატურის ვარდნას, მამოძრავებელი აპარატის დამბლას.
- **მინდვრის ხვართქლა** - მონამღვის შემდეგ იწყება გულისრევა და მუცლის ტკივილები.
- **სათითურა** - მისი მიღების შემდეგ იწყება კუჭის აშლილობა, ვლინდება შეშუპება და გულის კუნთის შეკუმშვა.
- **მედგარა** - აზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, არღვევს თირკმელების ფუნქციას, ინვევს კრუნჩხვებს და სუნთქვის დარღვევას.
- **საპონა** - მცნარის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით ფესვები **შხამიანია!** შინგანი მიღებისას იწყება პირღებინება, მუცლის ტკივილები, კუჭის აშლილობა, ხველება.
- **სკოპოლია** - ზოგიერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი დოზა ინვევს ალგზნებას, ჰალუცინაციებს და სხვა გვერდით მოვლენებს.
- **ტყის ჩიტისთვალა** - გადაჭარბება ინვევს პირღებინებას, თავის ტკივილებს, თავბრუსხვევას, ლეტალურ აღსასრულს
- **ჩაღუნა**, მონამღვის ნიშნები: კუჭის აშლილობა, კრუნჩხვები, მხედველობის დარღვევა, გულის მოქმედების დათრგუნვა.

- **ჭვაველა** - ინვესტორ ტვილიებს, კრუნჩხვებს და სიკვდილსაც.
- **ციკუტა** - ინვესტორს თავბრუსხვევას, კრუნჩხვებს, წყურვილს, სასუნთქი ცენტრის დამბლას.
- **შავთარა** - ინვესტორს ხშირ შარდდენას, მუცლის არეში ჩხვლეტივით ტვილიებს, დიარეის.
- **შხამა** - ინვესტორს კუჭის აშლილობას, სუნთქვისა და პულსის შენელებას, მხედველობის დასუსტებას.
- **შმაგა** - ინვესტორს პირღებინებას, თავბრუსხვევას, ჰალუცინაციებს, კრუნჩხვებს და სიკვდილსაც კი.
- **ხარისთვალა** - ინვესტორს მეტყველების დარღვევას, კრუნჩხვებს, გულის მოქმედების შევიწროებას.
- **ქრისტესისხლა** - ინვესტორს ნერვული დაბოლოებების დამბლას.

შხამიანი მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა

მრავალი მცენარეული შხამი მცირე დოზით (ე. წ. თერაპიული) გამოიყენება როგორც სამკურნალო საშუალებები (მაგ.: გულის გლიკოზიდები, რომლებსაც ღებულობენ შრომანასა და სათითურისგან, ატროპინი - შმაგასგან, ჰიოსცამინი - ლენცოფისგან, სკოპოლამინი - სკოპოლიასგან და ა.შ.). ზოგიერთ შხამიანი მცენარისგან ღებულობენ ინსექტიციდებს (მაგ.; პირეტრუმს - დაღმაცური და წითელი გვრილასგან).

მცენარეების შხამიანობა დამოკიდებულია მათში ქიმიური ნივთიერებების შემცველობაზე, უფრო ხშირად ისინი შეიცავენ ალკალოიდებს, საპონინებს, გლიკოზიდებს, ორგანულ მუავებს და სხვ. ამასთან ამ შენაერთებს შეიცავს როგორც მთელი მცენარეები, ასევე მისი ცალკეული ორგანოები. ეს ნივთიერებები და შესაბამისად მცენარეები ნაირგვარად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. გლიკოზიდების, ალკალოიდების დიდი ჯგუფი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული მოქმედებით გულზე, ფილტვებზე, ღვიძლზე. მცენარეები, რომლებიც ამ ნივთიერებებს შეიცავს ინვესტორს გულის მოქმედების დარღვევას, სუნთქვის შეფერხებას, ჰალუცინაციებს, ზოგჯერ სიკვდილსაც. ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება თეთრი აკაცია (შხამიანია თესლები, ფესვები და ქერქი),

ანაბაზისი (შხამიანია მთელი მცენარე), ლენცოფა, ლემა, ძირმწარა, შროშანა (ძლიერ შხამიანია ნაყოფები და თესლები) და მრავალი სხვ. შხამიანი მცენარეები მცირე დოზით იწვევს სამკურნალო მოქმედებას, ამდენად სახეობები რომლებიც შეიცავს ამ ნივთიერებებს, ერთდროულად წარმოადგენენ სამკურნალო მცენარეებსაც, რომელთა გამოყენება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და აუცილებელ რეკომენდაციებს სპეციალისტებისაგან.

ხალხურ მედიცინაში მცენარეების მძიმე დაავადებების მკურნალობის მრავალწლოვანი ცდები, მათ შორის შხამიანებისაც, გამოხატულია თანამედროვე ფარმაკოთერაპიაშიც. მცენარეულ შხამებს მცირე დოზებში აქვთ მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებები. მაგალითად, ცნობილი თანამედროვე სიმსივნის სანინალმდეგო პრეპარატები მცენარეულ საფუძველზე დაამზადებული: ვინკრისტინი - ვარდისფერი კატარანტუსის ალკალოიდიდან, კოლხისინი - უცუნას ტუბერბოლქვეების ალკალოიდიდან მზადდება, პოდოფილინი - შეიცავს ფარისებრი ფეხფოთოლას ფესვების ნივთიერებებს. გულსისხლძრღვთა დაავადებებისას გამოყენებული მრავალი პრეპარატი დაამზადებულია შხამიანი მცენარეების - შროშანას, სათითურას, ცხვირისატეხელას, ხარისძირასა და სხვ. მცენარეებისაგან. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება

ქართულ ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან სამკურნალოდ იყენებდნენ ძლიერმოქმედ შხამიან მცენარეებს: ტილჭირს, კონიოს, ციკუტას, ნემსინწვერას, ჩვეულებრივ მათიტელას, აბზინდას, ქრისტესისხლას და სხვ.

მძიმე დაავადებების ფიტოთერაპიისათვის, მათ შორის ძლიერმოქმედი ბალახებით, აუცილებელია სპეციალისტ-ფიტოთერაპევტის რეკომენდაცია, რომელიც შეარჩევს საბაზისო არატოქსიკურ ნაკრებს და აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით დაუნიშნავს ძლიერმოქმედი ბალახების ნაყენს, მკაცრად განსაზღვრული დოზით.



სასიკვდილო საფრთხის მომცველი სამკურნალო მნიშვნელობის
შხამიანი მცენარეები



სასიკვდილო საფრთხის მომცველი სამკურნალო მნიშვნელობის
შხამიანი მცენარეები

დაუშვებელია სახლის პირობებში ნაყენებისა და ნახარშების დამზადება იმ მცენარეებისაგან, რომლებიც შეიცავს ძლიერმოქმედ ნივთიერებებს, ესენია: დეზურა, ვეფდრა, იფნურა, იაპონური სოფორა, იპეკო, ლან-ცეტა თერმოფსისი, ლენცოფა, ლემა, ლიკოპოდიუმი, მაჯალვერი, ნიუკა, სკოპოლია, შმაგა, სტეფანია, ტილჭირი, ხე-ბალახა, ხარის-თვალა, ხარისჩლიქა, რძიანა, სათითურა, ტეგანი, ტყის ჩიტისთვალა, ციკუტა, შხამა, ჩვეულებრივი თავკომბალა, ქუჩულა, ძალღყურძენა და სხვ. ასეთი მცენარეებისაგან წამლები მხოლოდ აფთიაქებში მზადდება ან ამით დაკავებულნი არიან პრაქტიკული გამოცდილების პროფესიონალები - ჰომეოპათები და ფიტოთერაპევტები (ბიძინაშვილი, 2020).



შმაგა

სამკურნალო მცენარეების მნიშვნელობა ჩვენ დროში და მათი გამოყენების ასპექტები

სამკურნალო მცენარეებს მიეკუთვნება ის სახეობები და მათგან გამოყვანილი კულტურული ფორმები, რომლებიც თერაპიულად მომქმედდი ნივთიერებების წყალობით სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ იხმარება. ამავე ჯგუფს ეკუთვნის ის მცენარეები, რომლებიც ხასიათდებიან უფრო ფართო გამოყენებით. გარდა სამკურნალო მნიშვნელობისა, წარმოადგენენ არომატული ნივთიერებების წყაროს, გამოიყენებიან პარფუმერიაში და საკვებ მრეწველობაში. სამკურნალო მცენარეთა ზოგიერთი სახეობა იძლევა მერქანს, მთრიმლავე ნივთიერებებს ტყავის წარმოებისათვის, სართავ სელის ბოჭკოს საფეიქრო მრეწველობისათვის, საღებავებს, რომელთაც სადღეისოდ დაკარგული აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა სინთეტიკური საღებავების ფართოდ გამოყენების გამო. სამკურნალო მცენარეების სხვა სახეობები ამავე დროს მიეკუთვნება სასარგებლო მცენარეთა სხვა ჯგუფებს, ეთერზეთოვან, კაუჩუკისმატარებელ, ცხოველების საკვებს ან ადამიანის მიერ გამოიყენებიან როგორც ბოსტნეული, ხილი ან დეკორატიული მცენარეები.

ვინრო მნიშვნელობის სამკურნალო მცენარეებს, რომელთაც სხვა გამოყენება არა აქვთ, მიეკუთვნება ადამიანის ორგანიზმისათვის შხამიანი მცენარეები: *Hyoscyamus niger* – ლენსოვა, *Datura stramonium* – ლემა, *Veratrum lobelianum* – შხამა, *Digitalis lanata* – ფუტკარა, *Solanum nigrum* – ძალღუჯი და სხვ. აგრეთვე არაშხამიანი მცენარეებიდან *Ononis arvensis* – ფშნის ეკალი, *Plantago lanceolata* – მრავალძარღვა, *Pulmonaria officinalis* – ორფერი, *Artctostaphylos uva-ursi* – დათვის კენკრა, *Agrimonia eupatoria* – ბირკავა და სხვ.

იმ მცენარეთა რიცხვს, რომლებიც ხასიათდებიან ფართო გამოყენებით, მაგრამ უმთავრესად იხმარებიან სამკურნალო მიზნებისათვის მიეკუთვნება: *Sambucus nigra* – ანწლი (რომლისგანაც ამზადებენ უალკოჰოლო სასმელებსა და ღვინოებს), *Cnicus benedictus* – ძიძოს ბალახი, გამოიყენება ლიქიორების წარმოებაში, *Matricaria chamomilla* – გვირილა, რომლისგანაც ღებულობენ ეთერზეთებს, კოსმეტიკური პრეპარატების დამზადებისა და სამკურნალო ხასიათის აბაზანე-

ბისათვის, *Adonis vernalis* – ყვითელი ცხვირისატეხელა, რომელიც წარმოადგენს დეკორატიულ მცენარეს ალპინარიუმებისათვის, *Inula helenium* – კულმუხო – განსაზღვრული რაოდენობით იხმრება აგრეთვე ეთერზეთების მისაღებად საპარფიუმერიო წარმოებისათვის და ა.შ.

ზოგიერთი სამკურნალო მცენარე სამკურნალო მიზნებისათვის მცირედ გამოიყენება, იმ დროს, როდესაც სხვა მხრივ ფართოდ იხმარება: *Allium cepa* – ხახვი, *Allium sativum* – ნიორი, *Armoracia rusticana* – პირშუშხა, *Capsicum annuum* – წიწკა, *Anethum graveolens* – კამა, *Coriandrum sativum* – ქინძი, *Pastinaca sativa* – ძირთეთრა, *Petroselinum crispum* – ოხრახუში, რომლებიც პირველ რიგში ცნობილი არიან როგორც ბოსტნეული კულტურები; ამავე ჯგუფს მიეკუთვნებიან *Anisum vulgare* – ანისული, *Carum carvi* – კვლიავი, *Thymus vulgaris* – ბექონდარა და სხვა, რომლებიც ძირითადად როგორც საწვავები გამოიყენებიან.

მცენარეთა ზოგიერთი სახეობის სამკურნალოდ გამოყენებას ჭარბობს სხვა ძირითადი ასპექტი მათი გამოყენებისა – ეს ეხება სოფლის მეურნეობის ისეთ კულტურებს, როგორცაა *Papaver somniferum* – ხაშხაში, *Linum usitatissimum* – სელი, *Humulus lupulus* – სეია, *Brassica nigra* – შავი კომბოსტო; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი სამკურნალო მნიშვნელობა ადამიანისათვის უმნიშვნელოა. ავიღოთ ერთი მაგალითი: *Papaver somniferum* – ხაშხაში კულტურაა, რომლის 90% გამოიყენება თესვების მისაღებად, საიდანაც გამოყოფენ ზეთს ან სხვადასხვა სახით იხმარება კვების მრეწველობაში; წარმოებული ყაყაჩოს მხოლოდ 10% ემსახურება ოპიუმის მიღებას, მაგრამ ადამიანებისათვის უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვინაიდან თანამედროვე მედიცინას მის გარეშე არ ეწეებოდა ყველაზე აქტიური ტკივილგამაყუჩებელი, გაუმტკივნებელი და ყველაზე ფართო გამოყენების სპაზმოლიტური საშუალება. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამკურნალო მცენარეები წარმოადგენდნენ ძირითად წამლებს მაშინდელი სამედიცინო პრაქტიკისას. მეაფთიაქეებს ჰქონდათ არა მარტო მშრალი ნედლეული სხვადასხვა ჩაის დასამზადებლად, არამედ მათგან ამზადებდნენ მიქსტურებს, ექსტრაქტებს და სქელ წვენებს, რომლებიდანაც შემდგომში ამზადებდნენ წვეთებს, სიროფებს,

ნაყენებს, ნახარშებსა და სხვადასხვა მაღალმოებს. ეს იყო მათი ზენიტის პერიოდი, მაგრამ ერთდროულად სამკურნალო მცენარეების საუკუნეობრივი განდიდების დაცემის დასაწყისიც.

XIX საუკუნის II ნახევარში დაიწყო ქიმიის ინტენსიური განვითარება. სამკურნალო მცენარეები ხდება იმ დროის ქიმიკოსთა ყურადღების უმთავრესი ობიექტი; გამოყოფდნენ რა მათგან სუფთა ნივთიერებებს, უფრო სწორად ნივთიერებათა კომპლექსს, რომელიც ხშირად ცვლიდა სამკურნალო ნედლეულს. გამოჩნდა პირველი სინთეტიკური წამლები და როგორც ყველაფერი ახალი, მოდად გადაიქცა, გადაწია რა მეორე რიგში ადრე გამოყენებული ბუნებრივი ნედლეული და თერაპიაში დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა. ეს პროცესი ფაქტიურად ჩვენს დროშიც გრძელდება, თუმცა ის წარმოდგენა, რომ სამკურნალო მცენარეები თითქმის არავითარი მნიშვნელობით არ ხასიათდებიან და სრულად შეიძლება მათი შეცვლა სინთეტიკური სამკურნალო პრეპარატებით, არასწორია, მაგრამ ისეთივე სიჩქარით, როგორც 100 წლის წინათ მივაგდეთ სამკურნალო მცენარეები, ჩვენს დროშიც ვუბრუნდებით მათ, მართალია სულ სხვანაირად, გათვითცნობიერებულნი, ვფლობთ რა მათგან ნივთიერებათა გამოყოფისა და გამოცდის მეთოდებს და სრულ მეცნიერულ მონაცემებსა და საშუალებებს ფარმაკოლოგიის დარგში. სადღეისოდ დაწვრილებითი გამოკვლევები ტარდება არა მხოლოდ ტრადიციულ სამკურნალო მცენარეებზე, არამედ მათ მონათესავე მცენარეთა სახეობებზეც, რომლებშიც სისტემატიკური ნათესაობის კავშირების საფუძველზე განისაზღვრება ანალოგიური შემადგენლობისა და მოქმედების ნივთიერებების შემცველობა. ანალიზდება ამ მიმართულებით სუსტად შესწავლილი მცენარეები, პარციალური სინთეზის გზით ქიმიურად გარდაიქმნება აქტიური ნივთიერებები, ფარმაკოდინამიკური მოქმედების გაზრდის მიზნით წარმოებს მათ ქიმიური სტრუქტურის შეცვლა.

XX საუკუნის დასაწყისში ისე ჩანდა, თითქოს სამკურნალო მცენარეებსა და მათ მომხრეებს სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ შეგუებოდნენ წარსული დიდების ნელ, მაგრამ აუცილებელ დაღუპვას, მაგრამ საუკუნის მეორე ნახევარში გაირკვა, რომ ეს პროგნოზი მცდარია.

ამდენად, ისმის კითხვა, რამდენად მნიშვნელოვანია სამკურნალო მცენარეები ჩვენს დროში?

1. სამკურნალო მცენარეები, უფრო სწორად შეგროვილი და გამშრალი მათი ნაწილები (ფესვი, ღერო, ყვავილი, ბალახი) წარმოადგენს ნედლეულს, რომელსაც იყენებენ სუფთა აქტიური ნივთიერებების მიღების წარმოებისათვის, ამ გზით ღებულობენ ყველა ნივთიერებას, რომელთა სინთეზი სადღეისოდ ჯერ შეუსწავლელია, განუხორციელებელია ან ეკონომიურად არაეფექტურია. ეს ნივთიერებები შემდგომში გამოიყენებიან იმ სახით, როგორადაც ისინი იყვნენ მიღებული, ან იხმარება, როგორც საწყისი მასალა პარციალური სინთეზისათვის, რომელთა საშუალებითაც მიღებული სუფთა ნივთიერებების სტრუქტურის შეცვლის გზით, იქმნებოდა ახალი ნივთიერებები, რომლებიც ხშირად ხასიათდებიან უფრო მკვეთრად გამოხატული თერაპიული მოქმედებით.

მაგ., გულის დაავადებების ძირითად წამალს წარმოადგენს კარდიოტონური გლიკოზიდები - ბუნებრივი ნივთიერებები, რომლებიც უმთავრესად გამოყოფილია ფუტკარას (*Digitalis lanata*, *D. purpurea*), ცხვირისატეხელას (*Adonis vernalis*), შროშანას (*Convallaria majalis*) და ზოგიერთი სხვა სახეობიდან. ცალკეული ალკალოიდები, გამოყოფილი ჭვაველადან (*Claviceps purpurea*), მათი ნარევები ან წარმონაქმნები - წარმოადგენენ ძირითად სამკურნალო პრეპარატებს, რომელთაც იყენებენ მეანობაში, ნევრალგიასა და შინგანი დაავადებებისას. ალკალოიდები გამოყოფილი ხაშხაშიდან (*Papaver somniferum*), პირველ რიგში მორფი და მათი წარმოებულები, შედიან მრავალი ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმოლიტური საშუალებებისა და ხველების წამლებში. ყველა აღნიშნული მცენარეული წარმოშობის ნივთიერება წარმოადგენს ტკივილგამაყუჩებელს.

2. სამკურნალო მცენარეები და მათგან მიღებული ნედლეული მთელ რიგ შემთხვევაში იხმარება გალენური პრეპარატების მისაღებად, ექსტრაქტების (წყლიანი გამონაწურები, სპირტის ან ეთერის გამონაწველი, თავიანთი კონსისტენციით სქელი, თხევადი, ფხვნილისმაგვარი ან მაგარი) ან ტინქტურების სახით. ნედლი სამკურნალო მცენარეებიდან, ზოგჯერ დაპრესვის საშუალებით ამზადებენ წვენებს (Succus). გალენური

პრეპარატები ჩვენს დროში არ ასრულებენ ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორც წარსულში, მაგრამ ჯერ კიდევ მოიძებნება ისეთი მცენარეები, რომელთაგანაც ჯერჯერობით შეუძლებელია აქტიური ნივთიერებების გამოყოფა სუფთა სახით, ანდა მათგან მიღებული გამოწონიერი უკეთ მოქმედებს თავისი შემადგენლობის მთლიან კომპლექსში. მაგ., ცნობილ სამკურნალო საშუალებად ნერვული და ნერვოვეგეტატიური აშლილობისას ითვლება სამკურნალო კატაბალახა (*Valerium officinalis*) – მისგან მიღებული ტინქტურები ან ექსტრაქტები; სპირტული გამოწნვლილი - წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), ასისტავას ბალახი (*Centaurium umbellatum*), მწვანე ფორთოხლის (*Citrus aurantiacum*)-ის ნაყოფსათვარი (პერიკარპიუმი), ნაღველას (*Gentiana lutea*) ფესვები და სხვ.

3. მცენარეული სამკურნალო ნედლეული გამოიყენება ჩაის ნაკრებების (*Species*) მოსამზადებლად, რომელსაც ღებულობენ ნახარშის (*decoctum*) ან ნაყენის (*infusum*) სახით. სამკურნალო ჩაის ამზადებენ სულ განსხვავებული შემადგენლობით, იმაზე დამოკიდებულებით თუ რომელ დაავადებას მკურნალობენ, მის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მოქმედი ნივთიერებების მთლიანი კომპლექსის მოქმედება. ჩაის ღებულობენ უმთავრესად როგორც დამხმარე საშუალებას, რომელიც თავისი მსუბუქი ფიზიოლოგიური მოქმედებით ხელს უწყობს მთავარი წამლის ეფექტურ მოქმედებას. ზოგიერთ შემთხვევაში, უმთავრესად ქრონიკული დაავადებებისას, ჩაის გამოყენებამ შეიძლება უკეთესი შედეგები მოგვცეს, ვიდრე მედიკამენტების მალალმა დოზებმა. მაგ., ტიპურ სამკურნალო მცენარეთა რიცხვს, რომელთაც იყენებენ ნაკრებთა დასამზადებლად მიეკუთვნება: *Sambucus nigra* – დიდგულა, *Betula pendula* – არყის ხე, *Cnicus benedictus* – ძიძოს ბალახი, *Verbascum darsiflorum* – ქერიფელა, *Matricaria recutita (chamomilla)* – სამკურნალო გვირილა, *Crataegus monogyna* – კუნელი, *Iuniperus communis* – ღვია, *Ononis arvensis* – ფშნის ეკალი, *Plantago major* – დიდი მრავალძარღვა, *Plantago lanceolata* – ლანცეტა მრავალძარღვა, *Tilia cordata* – ცაცხვი, *Mentha piperita* – პიტნა, *Arctostaphylos uva ursi* – დათვის კენკრა, *Artemisia* – გვარი აბზინდას სხვადასხვა სახეობები, *Althaea officinalis* – სამკ. ტუხტი, *Herniaria glabra* – ქაფუნა, *Drosera rotundifolia* – დროზერა, *Agrimonia eupatoria* – ბირკავა, *Salvia officinalis* – სამკ.

სალბი, *Hypericum perforatum* – კრაზანა, *Centaureum umbellatum* – ასისთავა და სხვ.

4. სამკურნალო მცენარეთა წინაშე დგება რეალური პერსპექტივა მნიშვნელოვან ნედლეულად გარდაქმნისა კვების მრეწველობის ზოგიერთი ნაწარმის გასაუმჯობესებლად, კერძოდ დიეტური პროდუქტებისა, იგულისხმება მცენარეული სამკურნალო ნედლეულის სახეობები, რომლებიც შეიცავენ ვიტამინების კომპლექსს, კვების მონელების გაუმჯობესებისა და ორგანიზმის ზოგიერთი ფიზიოლოგიური ფუნქციების აქტივიზაციის ხელშემწყობ ნივთიერებებს. ამ შემთხვევაში იგულისხმება უმთავრესად ის სამკურნალო მცენარეები, რომლებიც შეიცავენ არომატული ნივთიერებების კომპლექსს, ვიტამინებს, მნიშვნელოვან ამინომჟავებსა და ენზიმებს.

5. მცენარეული სამყარო წარმოადგენს ახალი სახეობების გამოვლენის დაუშრეტელ წყაროს, რომლებიც შეიცავენ თერაპიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნივთიერებებს. ამ ფაქტს ცნობს მთელი მსოფლიო მეცნიერება. ამის გამო ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები და მათ მიერ შეგროვილი სუსტად შესწავლილი სახეობები გადიან ფარმაკოლოგიურ გამოკვლევას.

ფარმაკოლოგებისა და კლინიკური სპეციალისტების დახმარებით შესაძლებელი ხდება ახალი, სპეციფიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენა თვით ტრადიციულად გამოყენებულ სამკურნალო მცენარეებში ახალი მეთოდების გამოყენებისა და იდენტიფიკაციის გზით. მაგ., *Matricaria recutita (chamomilla)*- სამკურნალო გვირილას ეთერზეთებში აღმოჩენილია ნივთიერებები, რომლებიც ხასიათდებიან სპეციფიური ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით - ხამაზულენი და ბიზაბოლილი. ქოლგოსანთა ოჯახის წარმომადგენლებში აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი, თერაპიაში დიდი პერსპექტივის მქონე ნივთიერებები ფუროკუმარინების ჯგუფიდან და ა.შ.

6. სამკურნალო მცენარეთა დანვრილებითი ქიმიური და ფარმაკოლოგიური გამოკვლევების შედეგად მუშავდება მრავალრიცხოვანი მოდელები ახალი ნივთიერებების სინთეზისა, ანდა მიიღება ისეთი ნივთიერებები, რომელთა გარდაქმნითაც ღებულობენ წამლებს, რომლებიც მაღალი მოქმედების მაჩვენებლებით გამოირჩევიან. მაგ., ალკალოიდ ერგოტამინიდან (*Claviceps purpurea* – ჭვაველა) ჰიდ-

როგენიზაციის გზით შეიძლება მიღებულ იქნეს დიჰიდროერგოტამინი, ძვირფასი თერაპიული საშუალება შაკიკის სამკურნალოდ. ძალღყურძენასებრთა (*Solanaceae*), დიოსკორეასებრთა (*Dioscoriaceae*), ხახვისებრთა (*Alliaceae*) ოჯახების ზოგიერთ მცენარეში აღმოჩენილია ალკალოიდები სოლასოლინი, ტომატიდინი, დიოსგენინი და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ გამოსავალ ნივთიერებებს სტეროიდული ჰორმონების სინთეზისას, რასაც ადრე ღებულობდნენ მხოლოდ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან.

7. და ბოლოს სამკურნალო მცენარეები წარმოადგენენ საინტერესო კომერციულ საქონელს. როდესაც მცენარეული სამკურნალო ნედლეული მზადდებოდა მხოლოდ ბუნებრივი ადგილსამყოფელიდან, მისი მოსულობა მთლიანად მცირე იყო, ხოლო ფასი მნიშვნელოვნად მაღალი სხვა მცენარეულ პროდუქტებთან შედარებით; სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მსგავსად წარმოებაში მათმა დანერგვამ გამოიწვია მათი მოსულობის მკვეთრი ზრდა და აქედან გამომდინარე დადებითი ეკონომიკური შედეგები. ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში სამკურნალო მცენარეები ვაჭრობის მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა. მაგ., სამრეწველო ჯგუფის მცენარეებს, რომელთაც დიდი რაოდენობით ამზადებენ, მიეკუთვნება: სამკ. გვირილა - *Matricaria recutita*, სამკ. სალბი - *Salvia officinalis*, ბალის პიტნა - *Mentha piperita*, ხაშხაში - *Papaver somniferum*, ფუტკარა - *Digitalis lanata*, შმაგა - *Atropa belladonna*, ნამდვილი რეჰანი - *Rheum palmatum* და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამკურნალო მცენარეები, როგორც ნედლეული და უპირველესად მათგან გამოყოფილი აქტიური ნივთიერებები, იყვნენ, არიან და მუდამ იქნებიან ექიმების მნიშვნელოვანი დამხმარეები, რის გარანტიასაც წარმოადგენს მედიცინისა და ბიოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარება და მათ შორის ქიმიისაც.

ამგვარად, მიუხედავად ორგანულ-სინთეტიკური ქიმიის მნიშვნელოვანი მიღწევებისა სამკურნალო საშუალებების დარგში, ინტერესი სამკურნალო მცენარეებისადმი და მათგან მიღებული პრეპარატებისადმი არ მცირდება, პირიქით, XX საუკუნის ბოლო ათეულ წლებში აღმასვლა აღინიშნება.

(Карпович и др., 1977; Современная фитотерапия, 1988; Ладынина, Морозова, 1987; Кортиков В.Н., Кортиков А. В, 1998; Мазнев, 2003).

გასული საუკუნის 80-იან წლებში უნევეაში ჩატარებული ასამბლეს თანახმად, რომელიც ეძღვნებოდა სამკურნალო მცენარეების სელექციის საკითხებსა და მცენარეული წარმოშობის წამლების დახასიათებას, გაირკვა რომ სამკურნალო მცენარეები და მათგან მიღებული პრეპარატები გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განვითარებულსა და განვითარებადში, როგორც მეცნიერულ (ტრადიციულ), ასევე არატრადიციულ მედიცინაში. ასამბლეს დოკუმენტებში ყველაზე ფართოდ გამოყენებული სამკურნალო მცენარეები პირობითად კლასიფიცირებულია შემდეგ 3 ჯგუფად:

1. მცენარეები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება სამკურნალო მიზნებისათვის;
2. მცენარეები, რომლებიც გამოიყენება გალენური პრეპარატების მისაღებად, ოჯახური პირობების ჩათვლით;
3. მცენარეები, რომლებიც წარმოადგენენ ნედლეულის ძირითად წყაროს სამრეწველო გადამუშავებისათვის (*Современная фитотерапия*, 1988).

100 000 სამკურნალო საშუალებებიდან, რომლებიც იხმარება მსოფლიო მედიცინის პრაქტიკაში, მცენარეული პრეპარატები 30%-ზე მეტს შეადგენენ. ამასთან ერთად ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების დამზადების მოცულობის მუდმივი ზრდა, რომელიც ხშირად მიმდინარეობს ერთსა და იმავე ბუნებრივ ადგილებში, რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ამ სახეობების პოპულაციების სრული განადგურებისათვის.

ლიტერატურული მონაცემების თანახმად მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეების საერთო რიცხვი 2500 სახეობას აღემატება.

ბოლო წლების მონაცემებით საშუალოდ 60 მილიონი ამერიკელი მოზარდი სარგებლობს სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული პრეპარატებით და წლიურად ერთი მოზარდი საშუალოდ 54 დოლარს ხარჯავს, ხოლო ბაზრის წლიური ბრუნვა დაახლოებით 3,24 მილიარდ დოლარს შეადგენს და ეს მონაცემები ყოველწლიურად 20-25%-ით იზრდება. დღესდღეობით სამკურნალო მცენარეები მომხმარებელს

უფრო ჯანმრთელ და დაბალფასიან პროდუქტად მიაჩნია, ვიდრე სხვა ფარმაცევტული პროდუქტი.

ამერიკის ბოტანიკური საბჭო (*American Botanical Council*) სისტემატიურად აწვდის მოსახლეობას სპეციალისტების მიერ დამუშავებულ ინფორმაციას სამკურნალო მცენარეების გამოყენების (therapeutic) დადებითი შედეგების შესახებ.

ევროპაში მსგავს სამუშაოს ასრულებს გერმანული კომისია „E“ (*German commission E*), ბრიტანეთის სამკურნალო მცენარეთა კომპენდიუმი (*British Herbal Compendium*) და ევროპის საბჭო (*Escop*). გერმანული კომისია დაახლოებით 300 სამკურნალო მცენარეს და მცენარეული კომბინაციის მედიკამენტების ანალიზს ახორციელებს, რომლებიც არის გაყიდვაში გერმანიის მასშტაბით. ფიტომედიცინის ანუ სამკურნალო მცენარეების მედიცინის ცოდნა არის პირველადი მოთხოვნა იმ გერმანული ექიმებისათვის, რომლებიც აძლევენ რეკომენდაციებს მომხმარებელს ამა თუ იმ სამკურნალო მცენარისაგან დამზადებული პრეპარატის შეძენის დროს. გერმანული კომისია ყოველწლიურად აქვეყნებს მისი შეფასების შედეგებს სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების შესახებ. ბრიტანეთის სამკურნალო მცენარეთა ასოციაციამ (*BHMA*) გამოსცა ბრიტანეთის სამკურნალო მცენარეების კომპენდიუმი (*British Herbal Compendium*), სადაც 84 სამკურნალო მცენარეა აღწერილი და აღიარებული როგორც ჯანმრთელობისათვის დადებითი თვისებების დამახასიათებელი.

ESCOP (European Scientific Cooperative for Phytoterapy) – ევროპის ფიტოთერაპიის სამეცნიერო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა 1989 წელს. ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ევროპული ფარმაკოპეის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ევროპის სამკურნალო მცენარეული მედიკამენტების ერთობლივი ნუსხა. მედიცინისა და მეცნიერულად განხორციელებული დასაბუთებები თითოეული სამკურნალო მცენარის შესახებ არის საფუძველი ევროპული ფარმაკოპეის სრულყოფილი გამოცემის შესაქმნელად, რაშიც მონაწილეობის შესაძლებლობა ქართველ მკვლევარებსაც ეძლევათ.

სამკურნალო მცენარეთა მიმართ ინტერესი გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: მცენარეული სამკურნალო საშუალებები გამოირჩევიან შედარებით რბილი, კომპლექსური მოქმედებით, დადებითი

ეფექტით ისეთი მძიმე დაავადებების მკურნალობისას, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა, სიმსივნეების, ფსიქონევროლოგიური და ა.შ. აგრეთვე მცენარეებიდან გამოყოფილი თერაპიულად მნიშვნელოვანი ნაერთების მზარდი რიცხვით. ამის დამადასტურებლადაც შეიძლება ჩაითვალოს სამკურნალო მცენარეებზე მოთხოვნილების ყოველწლიური ზრდა. სამკურნალო მცენარეების საკავშირო ინსტიტუტის (ВИП)-ის მიხედვით 1990 წლისათვის ყოფილ საბჭოთა კავშირში სამკურნალო მცენარეების ნედლეულისადმი მოთხოვნილება 125 ათას ტონას შეადგენდა. ოფიცინალური სახეობების მნიშვნელობის ზრდა იმითაც აიხსნება, რომ მათგან მრავალი ბუნებრივი შენაერთი შეუცვლელ ჯგუფებს ქმნის და მათი სინთეზი მეტად ძვირია (გულის გლიკოზიდები, სტეროიდები, ფლავონოიდები, საპონინები და სხვ.). სამკურნალო სახეობების რესურსების გამოყენების ტემპების ზრდასთან დაკავშირებით დგება მათი რაციონალურად გამოყენების საკითხი. დღეისათვის ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების რესურსების გამოყენების ექსტენსიური სისტემა უნდა შეიცვალოს მეცნიერულით, რაც უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებას. ამგვარად, სამკურნალო მცენარეებთან მიმართებაში საკითხი დგას არა მარტო დაცვის, არამედ მათი რაციონალურად გამოყენების შესახებ.



ანტიბაქტერიალური მოქმედების არომატული სამკურნალო მცენარეების მზა ნედლეული

თანამედროვე მედიცინის მოთხოვნები და ფიტოთერაპია

სამკურნალო მცენარეებით მკურნალობამ წარმატებით გაუძლო ხანგრძლივ მრავალათასწლიან გამოცდას. ეს არის უძველესი, მაგრამ არა მოძველებული მკურნალობის ხერხი. სინთეტიკური სამკურნალო პრეპარატების შექმნის უდიდესი წარმატების მიუხედავად, სამკურნალო მცენარეები სადღეისოდ კვლავ რჩება მნიშვნელოვან, ეფექტურ სამკურნალო საშუალებად, რომელიც მოლიანად შეესატყვისება თანამედროვე მეცნიერული მედიცინის მოთხოვნებს.

როგორც ცნობილია, ადამიანი უძველესი წარსულიდან XIX საუკუნემდე ძირითადად სამკურნალო მცენარეებს ნატურალური სახით იყენებდა. ჯერ გალენის, შემდეგ პარაცელსის ცდები, რომლებიც ისწრაფოდნენ სამკურნალოდ გამოეყენებინათ მცენარეებიდან სხვადასხვა ხერხით გამოყოფილი ნივთიერებები, ხშირ შემთხვევაში იზღუდებოდა. XIX ს-ში ორგანულმა ქიმიამ შეძლო მცენარეებიდან გამოეყო ბიოლოგიურად აქტიური სუფთა ნივთიერებები: ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, რომლებმაც მედიცინაში ფართო გამოყენება პოვა. ხოლო მცენარეებისა და მათგან მარტივი გამონაწერების (ნაყენი, ნახარში) როლი სამედიცინო პრაქტიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა იქიდან გამომდინარე, რომ თითქოსდა მცენარეებისათვის დამახასიათებელია ნაკლოვანებები, რომლებიც ზღუდავენ ან მოლიანად გამორიცხავენ მათი გამოყენების შესაძლებლობებს. კერძოდ ა). ე.წ. ბალასტური ნივთიერებების არსებობა; ბ). უცნობი ქიმიური შემადგენლობის ნივთიერებების არსებობა; გ). მომქმედი ნივთიერებების დიდი რაოდენობა და მათი არამდგრადობა, რაც ართულებს დაკვირვებებს მათ მოქმედებასა და დოზირებაზე ადამიანის ორგანიზმზე. მცენარეებიდან სუფთა პრეპარატების გამოყოფის შემდეგ, მათი დარჩენილი ნაწილი იხილებოდა, როგორც უმნიშვნელო ბალასტი. ხოლო, სუფთა სამკურნალო საშუალებების მიმდევრები იცილებდნენ რა მათ, ხშირად “აბაზანიდან წყალთან ერთად ბავშვსაც ავდებდნენ”. ვინაიდან გამოყოფილი მომქმედი ნივთიერებების გარდა, შემდგომში, უკვე ჩვენს საუკუნეში, მცენარეებში აღმოჩენილი იქნა სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ნივთიერებები: ვიტამინები, ახალი ორგანული მჟავები, ანტიბიოტიკები (ფიტონციდების ჩათვლით), მიკროელემენტები და სხვ.

მეცნიერების განვითარებასთან ერთად, რაშიც ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით, ადამიანის დამოკიდებულება მცენარეულ სამყაროსთან სულ უფრო მრავალმხრივი ხდება და ე.წ. „ბალასტური ნივთიერებების“ ხარჯზე იზრდება ახალი მომქმედი ნივთიერებების რაოდენობა მცენარეებში. სხვანაირად უნდა შეფასდეს ახლა ის ნივთიერებებიც, რომლებიც ადრე ბალასტებს მიეკუთვნებოდნენ. მაგ., პექტინები, ლორწო, უჯრედულა და სხვ. ბოლო წლების გამოკვლევების თანახმად, ეს ნივთიერებები ასრულებენ მნიშვნელოვან, დადებით ფიზიოლოგიურ როლს ორგანიზმის ცხოველმოქმედებაში. ამდენად, შეცდომით უნოდეს „ბალასტური“ იმ ნივთიერებებს, რომელთა მნიშვნელობა იმ პერიოდისათვის არ იყო შესწავლილი და დადგენილი. არ შეიძლება სამკურნალო მცენარეთა გამოყენების შეზღუდვა იმიტომაც, რომ ისინი შეიცავენ უცნობი ქიმიური შედგენილობის ნივთიერებებს; ასეული წლებია რაც მედიცინაში გამოიყენება ეფექტური საგულე საშუალება ფუტკარა, მხოლოდ XIX ს-ში გახდა შესაძლებელი მისგან გამოყოფილიყო მომქმედი ნივთიერება სუფთა სახით, ხოლო ქინაქინისა და მორფინის ქიმიური შემადგენლობის გაშიფვრას ასზე მეტი წელი დასჭირდა. ცნობილია, რომ მცენარეები, ისევე როგორც ადამიანის ორგანიზმი, შეიცავენ ქიმიურ ელემენტებს და რომ ეს ელემენტები წარმოადგენენ არა შემთხვევით შენაერთებს, არამედ ასრულებენ განსაზღვრულ ბიოქიმიურ როლს. მრავალი მიკროელემენტის ფიზიოლოგიური მნიშვნელობა, რაოდენობრივი მოთხოვნილება, შხამიანობის საზღვრები, სამკურნალო ფასეულობა, ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამასთანავე, ასეულობით სამკურნალო მცენარე მეცნიერული მედიცინის მიერაა აღიარებული და შევიდა სახელმწიფო ფარმაკოპეაში. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე თვლიდა, რომ ექიმმა უარი არ უნდა თქვას სასარგებლო წამალზე მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის დაავადებაზე მისი მოქმედება. დაუსაბუთებელია თანამედროვე მედიცინის პოზიციაც და მოსაზრებაც მცენარეებში მომქმედი ნივთიერებების სიმრავლესთან დაკავშირებით, რაც ქმნიდა ზოგიერთ სირთულეს მკურნალობაში. როგორც ცნობილია, ხალხური მედიცინა სამკურნალოდ ხშირად იყენებდა რთული შემადგენლობის სამკურნალო საშუალებებს. ადამიანები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკვირდებოდნენ ავადმყოფებს, ესმოდათ რომ წარმატე-

ბული მკურნალობისათვის აუცილებელია ავადმყოფის ორგანიზმზე მრავალმხრივი მოქმედება, აუცილებელია, როგორც ჩვენ ვამბობთ, მომქმედი ნივთიერებების კომპლექსი. რაციონალური მკურნალობა მიმართული უნდა იყოს მთელი ორგანიზმის განსაკურნავად, დაავადებული ორგანიზმის დარღვეული ფუნქციების აღსადგენად, რთული ბიოქიმიური პროცესების ნორმალიზაციისათვის. ორგანიზმში ცალმხრივი მოქმედების რომელიმე ნივთიერების შეყვანა, ხშირად არასაკმარისია. აუცილებელია სამკურნალო ნივთიერებების კომპლექსურად გამოყენება განსაზღვრული შეფარდებით. მომქმედი ნივთიერებების მრავალფეროვნება - დიდი უპირატესობაა და არა ნაკლოვნება სამკურნალო მცენარეებისა, როგორც სამკურნალო საშუალებებისა. რაც შეეხება მომქმედი ნივთიერებების არამდგრადობას, იგი გამონეწეულია რიგი პირობებით: გეოგრაფიული ზონები, ნიადაგები, მცენარეთა განვითარების სტადიები და სხვ.

ფიტოთერაპია წარმატებით გამოიყენება ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ. ის მიეკუთვნება მკურნალობის ისეთ ტიპს, რომელიც მიმართულია მთელი ორგანიზმის სტიმულირებისაკენ და წარმოადგენს არა მხოლოდ სიმპტომატიკურ, არამედ პათოგენეტიკურ ხერხით მკურნალობას. სამკურნალო მცენარეები (განსაკუთრებით ნაკრებები), ძირითად დაავადებათა მკურნალობასთან ერთად, ორგანიზმს ანიჭებენ დამატებით სხვადასხვა ბუნებრივ ვიტამინებს, ქიმიურ ელემენტებს და აგრეთვე რიგ სხვა ნივთიერებებს, რომლებიც სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისათვის. ეს ნივთიერებები ინვევენ ნივთიერებათა ცვლის ფუნქციის ნორმალიზებას, ამალაუბენ ორგანიზმის წინააღმდეგობას, დადებითად მოქმედებენ ნერვულ სისტემაზე, აუმჯობესებენ სისხლის შედედების პროცესს, ანეიტრალაუბენ მავნე ნივთიერებებს და აჩქარებენ ორგანიზმიდან მათ გამოდევნას. ამ ბოლო პერიოდში, მონიავე აზროვნების ექიმები - თერაპევტები, დიეტოლოგები, ჰიგიენისტები და სხვ. სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს მცენარეული პროდუქტების ფართოდ მოხმარებას, განსაკუთრებით ნედლი სახით. აღსანიშნავია, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე სამედიცინო პრაქტიკიდან ამოღებულ იქნა 55-ზე მეტი პრეპარატი, რომლებიც მავნე გადახრებს ინვევდა. სამკურნალო მცენარეები კი ძირითადად არ ხასიათდებიან ორგანიზმზე გვერდითი მავნე მოქმედებით (ალკალოიდების შემცველი მცენარების

გარდა). ხალხური მედიცინა ფლობს უდიდეს ასორტიმენტს სამკურნალო საშუალებებისას, მათ შორის მრავალი მათგანი ასეული და ათასეული წლების განმავლობაში იქნა გამოცდილი ადამიანზე და მოითხოვს თავისი „ლეგალიზაციისათვის“ შედარებით მცირე ძალდატანებას. ცნობილი ფრანგი ფიტოთერაპევტი ექიმი ლეკლერი ფიტოთერაპიის IX საერთაშორისო კონგრესზე აფასებდა რა საფრანგეთის ფლორის თვისებებს, აღნიშნავდა, რომ ის ფლობს იმდენად ფართო ნაკრებს სამკურნალო მცენარეებისას, რომ შეუძლია წარმატებით უმკურნალოს განსხვავებული სახის დაავადებებს - უმნიშვნელოდან დაწყებული მეტად რთულამდე. ლიტვის ხალხური მედიცინის მკოდნენი აღნიშნავენ, რომ ბუნებაში არ მოიპოვება მცენარე, რომელიც სამკურნალოდ არ გამოიყენებოდეს; ასეთი მტკიცება უნიდაგო არ არის. აღსანიშნავია, რომ ლიტვის ფლორა ითვლის 2300 სახეობის მცენარეს, ხოლო ლიტვურ-ხალხური მედიცინა სამკურნალოდ იყენებდა 2000 სახეობას, ქართულ ხალხურ მედიცინაში -1000-მდე სახეობის მცენარე გამოიყენებოდა სამკურნალოდ.

თანამედროვე მეცნიერების მიერ მრავალი ახალი მცენარის სამკურნალო თვისებები იქნა გარკვეული. ზოგიერთმა მათგანმა რომელიც ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა, ვერ გაუძლო თანამედროვე სამედიცინო შემოწმებას. და მაინც მიუხედავად ამისა, სამკურნალო მცენარეთა რაოდენობა, აპრობირებული მეცნიერული მედიცინის მიერ, ბოლო წლებში კი არ კლებულობს, პირიქით, – იზრდება. შემდგომშიც ის შევსებული იქნება ახალ-ახალი სამკურნალო მცენარეებით.

<https://cyberleninka.ru/article/n/sovremennaya-fitoterapiya-kak-nauka-i-uchebnaya-distiplina-v-meditinskoi-i-farmatsevticheskoj-obrazovanii>



სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნება

<https://zen.yandex.ru/media/zozh74/dikorastuscie-lekarstvennye-rasteniia->

ახალი სამკურნალო მცენარეების გამოვლენის გზები და მეთოდები

მედიცინასათვის მნიშვნელოვანი მცენარეების გამოვლენის მიზნით ჩატარებულ გამოკვლევებში გამოიყენება სამი ძირითადი მეთოდი, რომელთა არსი შემდგომში მდგომარეობს:

I მეთოდი - ხალხური მედიცინის გამოცდილების შესწავლა და გამოყენება - საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელ ოფიცინალურ მედიცინაში ხმარებული თითქმის ყველა მცენარე თავის დროზე აღებული (ნასესხები) იყო ხალხურიდან. ხალხური მედიცინის შესწავლის საწყის ეტაპებს წარმოადგენს: ა. სპეციალური ან ერთობლივი (ეთნოგრაფიული და სხვ.) ექსპედიციების მოწყობა, მოსახლეობისგან მონაცემების შეგროვება, ნიმუშების შეგროვება და ა.შ.

ბ. საკარესპონდენტო ქსელის ორგანიზება. სახალხო მედიცინის შესწავლის პირველ ეტაპზე აუცილებელია შეკრებილი უხვი ინფორმაციიდან გადაჯარჩოთ ობიექტები, რომლებიც მნიშვნელოვან ინტრესს წარმოადგენენ თანამედროვე მეცნიერული მედიცინისათვის. აუცილებელია პირველ რიგში შემოწმდეს შესასწავლი ობიექტისათვის ძირითადი სამკურნალო მაჩვენებლების სიზუსტე. თუ პირველადი ფარმაკოლოგიური (ან ბიოლოგიური) ძიება დაადასტურებს ხალხური მედიცინის მონაცემების ჭეშმარიტებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიზანმიმართული მისი შემდგომი შესწავლა; ფარმაკოგნოსტიკური (პირველ რიგში ფიტოქიმიური), ტექნოლოგიური (ინდივიდუალური ნივთიერებების გამოყოფა ან სუმარული პრეპარატების შექმნა) და ბოლოს კლინიკური.

II მეთოდი - მცენარეთა მასიური ქიმიური გამოკვლევა განსაზღვრული ჯგუფის ნივთიერებათა შემცველობაზე. იგულისხმება განსაზღვრული ადგილმდებარეობის ან რაიონის მცენარეთა სახეობების ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფიტოქიმიური ანალიზი. ამასთან ერთად ვარაუდობენ, რომ ასეთ თანმიმდევრულად გადარჩეულ, გაანალიზებულ, თითქმის „ანალიტიკურ საცერში გატარებულ“ მცენარეებში ნაპოვნი იქნება ზოგიერთი პერსპექტიული ალკალოიდები, გულის გლიკოზიდები, საპონინები, ეთერზეთების და სხვა ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

III მეთოდი - ახალი სამკურნალო საშუალებების ძიება ფილოგენეტიკური ნათესაობის პრინციპით. უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ბოტანიკურად მონათესავე მცენარეები ფლობენ ანალოგიურ ან მონათესავე, ქიმიურ შემადგენლობას და შესაბამისად ხასიათდებიან მსგავსი ფარმაკოლოგიური მოქმედებით. ამ ბიოლოგიური კანონზომიერების ცოდნა უფრო მიზანმიმართულსა და ეფექტურს ხდის ახალი სამკურნალო მცენარეების ძიებას. მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ მცენარეთა სისტემატიკურ მდგომარეობასა და მის ქიმიურ შემადგენლობას შორის კავშირის პრობლემებს, ვინაიდან, თავისი უდავოდ საერთო თეორიული მნიშვნელობის გარდა, პრაქტიკული საკითხების გადანწყვის საშუალებასაც გვაძლევს. ამ პრობლემის შესწავლისას ყველაფერი არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა. მარტოოდენ ჰემოტაქსონომიური მოვლენების კანონზომიერების გამოვლენის ფაქტებთან ერთად, ადგილი აქვს რთული პარალელიზმის უქონლობას მცენარეთა ბიოქიმიურ ნიშნებსა და მათ ფილოგენეტიკურ ურთიერთობაში. აღინიშნება თვით ქიმიური კონვერგენციის მოვლენებიც კი, ანუ მცენარეთა ჯგუფში, რომლებიც ფილოგენეტიკურად ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი, მსგავსი ნივთიერებების გამოვლენა. მაგრამ მოცემულ ეტაპზე სამკურნალო მცენარეებზე დაგროვილი მონაცემები ჰემოტაქსონომიაზე უკვე საკმარისია ახალი სასარგებლო მცენარეების მიზანმიმართული ძიებისათვის. ფილოგენეტიკური პრინციპების გამოყენებისას, უპირველეს ყოვლისა საჭიროა შესწავლილ იქნეს ოფიცინალურად მიღებული სამკურნალო მცენარეები. ფილოგენეტიკური ძიებანი შეიძლება ჩატარდეს გვარის საზღვრებს გარეთ, ოჯახში და თვით რიგებშიც კი. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს მეცნიერთა გამოკვლევები ამარილისებრთა, შროშანისებრთა, ბაიასებრთა და ყაყაჩოსებრთა ოჯახებში, რაც დასრულდა რიგი საინტერესო ალკალოიდების მატარებელი მცენარეების გამოვლენით. ფილოგენეტიკურმა კანონზომიერებამ, რაც გამოვლინდა სისტემატიკურ მდგომარეობასა და მის ქიმიურ შემადგენლობასთან ურთიერთკავშირში, დასახა ძიების ახალი მიმართულებანი. კერძოდ, ფარმაკოგნოსტები სულ უფრო ხშირად უბრუნებიან ე.წ. დავინწყებულ მცენარეებს, რომელთა ქიმიური შემადგენლობა თავის დროზე არ იყო გამოვლენილი ქიმიის არასაკმარისი ცოდნისა და ფიტოქიმიური

მეთოდების დაუხვეწელობის გამო. ფილოგენეტიკურმა წარმოდგენებმა საშუალება მისცა ჩაეტარებინათ მიზანმიმართული ფიტოქიმიური გამოკვლევები და სამკურნალო გამოყენების ფართო გზაზე გამოეყვანათ „დავინყებელი მცენარეები“. მაგალითების სახით შეიძლება მოვიყვანოთ შავთარა, ფშნის ეკალი, ოხრახუში, გველის სურო, წიწნაური და სხვ. ამავე გარემოებით აღინიშნება რიგ შემთხვევაში მეცნიერულ მედიცინაში უკვე გამოყენებული მეტად მნიშვნელოვანი მცენარეების უფრო დეტალური და ღრმა კვლევა. ცნობილია მრავალი ფაქტი, როცა თანამედროვე მეცნიერულ დონეზე ჩატარებულმა მსგავსმა „რევიზიამ“ მნიშვნელოვნად გაათაროვა ფართოდ ცნობილ სამკურნალო მცენარეების სამედიცინო გამოყენების არე. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს თუნდაც ძირტუბილა (*Glycyrriza glabra*). ამის წყალობით, სულ უფრო მცირდება „დაუდგენელი“ ქიმიური შედგენილობის მცენარეული ობიექტები. მცენარეული უჯრედები, როგორც ცნობილია, წარმოქმნიან ხშირად ისეთი შემადგენლობის ნივთიერებებს, რომელთა სინთეზი ქიმიკოსებმა ჯერ ვერ განახორცილეს, მაგრამ რომლებიც წარმოადგენენ დიდ ფასეულობას განსაზღვრული სამკურნალო პრეპარატების ზოგიერთი საწყისი პროდუქტის სინთეზისათვის (უფრო სწორად ნახევრად სინთეზი). მაგ., ალკალოიდ სენეციფილინის მოლეკულის საფუძველზე შეიქმნა მნიშვნელოვანი პრეპარატი დიპლაცინი. ახლა აუცილებელია იმავე ფილოგენიის საფუძველზე, ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ მონაცემებთან კავშირის შეხამება, სამრეწველო გადამუშავებისათვის გამოსაყენებლად გადაირჩა სენეციფილინით უფრო მდიდარი გვ. *Senecio*-ს სახეობები. ციმარინიდან სტროფანტინის, ველზემინიდან სტრიხნინის და სხვა. მნიშვნელოვანი სამკურნალო ნივთიერებებიდან სინთეზის პრობლემა უფრო წარმატებით გადაწყდება, რაც უფრო ფართო ფილოგენეტიკური მონაცემები ექნებათ ხელთ მკვლევარებს. და ბოლოს, მცენარის ბუნების გადკეთება, რასაც ვაღწევთ მათი გადმოტანით კულტურაში, ეყრდნობა ფილოგენეზს. უფრო სწორად, ფილოგენები ხელს უწყობს კულტურაში გადასატან მცენარეთა გადარჩევას, ამასთან როგორც უცხო მხრის ეგზოტების, ასევე სამამულე ფლორის წარმომადგენლებისას (Мур-вѣва, 1978).

სამკურნალო მცენარეების სისტემატიზაცია ძირითადი დაავადებების მიხედვით

ავიტამინოზი

ავოკადო, გარგარი, წითელი მოცვი, ძახველი, ფორთოხალი, ლიმონი, მინის თხილი, ცირცელი, არყის ხე, კაკლის ხე, ვერხვი, ჰარკოსნები, წინიბურა, სოკოები, კუნელი, მაცვალი, ყოლო, ტყის მარწყვი, ანწლი, ალუბალი, მზესუმზირა, კომბოსტო, პომიდორი, ჭარხალი, მოცხარი, ასკილი, ისპანახი, ვაშლი, შტოში, ნუში, სტაფილო, პიტნა, ხახვი.

ალკოჰოლიზმი

ლიკოპოდიუმი, კულმუხო, ასისთავა, ხარისჩლიქა, კაკალი, აბზინდა, ნიახური, ბეგქონდარა, ხახამა, ცისკარა.

ალერგია

კრაზანა, ასისთავა, გულყვითელა, ჭინჭარი, დაფნა, მარწყვა-ბალახი, ხახვი, იასამანი, პირშუშა, თავყვითელა, ნიახური, კამა, სვია, ორკბილა, ასკილი, ბებრის კონკა.

ბუსილი

ანწლი, კურდღლისცოცხა, შავთარა, ძახველი, ცხენისნაბლი, ოროვან-დი, სელიჭა, მაცვალი, ორფერა, უნურუკი, ლაშქარა, ვერხვი, წინმატურა, ენდრონიკა, პომიდორი, ბირკავა, ფშნისეკალი, გრაკლა, ალვის ხე, ფარსმანდუკი, შვიტა.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები:

ათეროსკლეროზი

გარგარი, ავოკადო, არალია, საზამთრო, ბადრიჯანი, კუნელი, ბრონეული, გრეიფრუტი, მსხალი, დიოსკორეა, სამკ. ძიძო, ნესვი, უენშენი, მარწყვი, კრაზანა, ლამინარია, ლევზეა, ხახვი, ქაცვი, თავყვითელა, ფითრი, კაკალი, ოხრახუში, ჭარხალი, შავი მოცხარი, ლობიო, ფეიხოა, შვიტა, ნიორი, ელეუტერაკოკი, კუროსთავი.

ჰიპერტონია

გველის სურო, კონახური, ბუერა, კუნელი, სამკ. ბარისპირა, სამკ. კატაბალახა, წინიბურა, სამკ. ძიძო, დიოსკორეა, დემურა, უნურუკი, ტყის მარწყვი, კატაპიტნა, ძახველი, გულყვითელა, ხვართქლა, ლიმონი, მაგნოლია, ყაყაჩო, ბარამბო, სტაფილო, პიტნა, ფუტკარა, ლაშქარა,

ფიორი, წინმატურა, შავბალახა, ცირცელი, სალათა, ჭარხალი, შავი მოცხარი, სოფორა, სატაცური, მიწის ვაშლი, ფარსმანდუკი, კამა, შხამა, ნიორი, ლობიო, დედაფუტკარა.

ჰიპოტონია

არალია, უენშენი, თხანართხალა, ხარისჩლიქა, ყავა, ლევზია, ლიმონურა, თავკომბალა, ფუნთუშა, ლეშურა, ასფურცელი, როდიოლა, სეკურირიგენა, სტერკულია, ჩაი, ელეუტერაკოკი, ეფედრა.

გულის ქრონიკული უკმარისობა

გარგარი, ცხვირისატეხელა, კუნელი, კლდისდუმა, ხარისჩლიქა, შროშანა, ფუტკარა, ოლეანდრე, ლეშურა, შავბალახა.

სტენოკარდია, კორონარული უკმარისობა

საფარცხელა, კუნელი, ოშოშა, კატაბალახა, დიოსკორეა, ძიძო, ნესვი, ცხენისნაბლი, ჭინჭარი, შმაგა, ყაყაჩო, სტაფილო, შვრია, ოლეანდრე, ძირთეთრა, შავბალახა, კამა, ლობიო, ნიორი, ასკილი, დედაფუტკარა.

ვენების ვარიკოზული გაფართოება, წყლულები

მუხა, კრაზანა, თეთრი ტირიფი, კალანხოე, კომბოსტო, კარტოფილის სახამებელი, წაბლი, ჭინჭარი, სტაფილო, კაკალი, წყლის წინაკა, მრავალძარღვა, გვირილა, ტეგანი, ფარსმანდუკი, კამა, სვია, ორკბილა, სალბი.

ელენთის ტკივილები

ვარდკაჭაჭა, ფარსმანდუკი, თავყვითელი, ია, ორკბილა, ბრონეული, პირშუშა.

თავის ტკივილი

უენშენი, სამყურა, ლავანდი, ლიმონურა, ასფურცელი, რეჰანი, წყალნაწყენი, ხარისჩლიქა.

თვალეების დაავადებები

ლიმონურა, ლურჯი ღიღილო, წინიბურა, დემურა, კალანხოე, ლიმონი, სელიჭა, თავკომბალა, სტაფილო, ქაცვი, სოჭი, მრავალძარღვა, ხორბალი, მოცვი, თაფლი, დინდგელი, ელეუტერაკოკი.

თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებები:

მტკივნეული შარდის გამოყოფა

ტუხტი, კონიო, ცაცხვი, კიტრის თესლები, ლაშქარა.

გემატურია (სისხლი შარდში)

კონახური, მსხალიჭა, ენდრონიკა, ხარნუყა, ვერცხლისფერი მარწყვა-ბალახა.

შარდის შეკავება

ტუხტი, კონიო, სამკ. კატაბალახა, ბრონეული, კარდამონი, დარიჩინი, ბატის მარწყვა-ბალახი, ბარამბო, წინაკა, მინდვრის შვიტა, შვრიის თივა და სხვ.

შარდმდენი საშუალებები

საზამთრო, არყის ხე, ანწლი, წითელი მოცვი, ლურჯი ღიღილო, კულმუხო, ტყის მარწყვი, ძახველი, სამყურა, ხვართქლა, ჭინჭარი, ყვითელი დუმფარა, სიმინდი, ოროვანდი, ღვია, ლაშქარა, ძალყურძენა, ოხრახუში, ჭანგა, თალგამი, ძირტკბილა, სატაცური, ლობიო, ხვართქლა, დიდი კამა, შვიტა, ორკბილა, ქრისტესისხლა, ჩვ. მათიტელა, ქაფუნა, კლდისდუმა, ფშნის ეკალი, გრაკლა, დათვის კენკრა, შოთხვი, იფანი და სხვ.

შარდშეუკავლობა

ჭანგა, ბირკავა, ფარსმანდუკი, კამა, სალბი, ჭითელი მოცვი, ქაფუნა, ვერხვი, ლიკოპოდიუმი.

ნეფრიტი (თირკმელების ანთება)

აკაცია, არყის ხე, ლურჯი ღიღილო, უოლო, ტყის მარწყვი, ასისთავა, სამყურა, კანაფი, ჭინჭარი, სელი, ცაცხვი, ვირისტერფა, თაფლი, ღვია, თირკმლის ჩაი, ჭანგა, იასამანი, მოცხარი, ფიჭვი, სატაცური, ბეგქონდარა, ფეიხნა, დიდი კამა, შვიტა, პირმუშა, ასკილი, ჭითელი მოცვი, ბარისპირა, ჩვ.მატიტელა, ენდრონიკა, დათვის კენკრა, მსხალიჭა და სხვ.

ცისტეტი (შარდის ბუშტის ანთება)

აკაცია, საზამთრო, ბარისპირა, ლურჯი ღიღილო, მსხალიჭა, მინდვრის სამყურა, კანაფი, ვირისტერფა, ღვია, რძიანა, მრავალძარღვა, თირკმლის ჩაი, დინდგელი, სატაცური, ბეგქონდარა, გოგრა, ფარსმანდუკი, ორკბილა, სალბი, ჯადვარი, წითელი მოცვი, ქაფუნა, კურდღლისცოცხა, ვერხვი, წინმატურა, ლიკოპოდიუმი, ჩვ. მათიტელა, დათვის კენკრა და სხვ.

თმის დაავადებები

ტირიფი, აბუსალათინი, ჭინჭარი, ყვითელი ღუმფარა, ოროვანდი, სელიჭა, ვირისტერფა, ქაცვი, წინაკა, ხორბალი, მრავალძარღვა, გვირილა, მათიტელა, ვერხვი, ნიორი, დინდგელი, პირშუშა და სხვ.

კანის დაავადებები:

მეჭეჭი

წინმატელა, რძიანა, აბზინდა, ოროვანდი, ქრისტესისხლა.

ჭორფლი, ფერისმჭამელები

მარწყვი, ლიმონი, პირშუშა, თაფლი.

ვითილიგო

გარგარი, კრაზანა, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ძირთეთრა.

ღერმატიტები

სავარცხელა, ალოე, წყლის იელი, არყის ხე, ღიღილო, ნიგვზისძირა, მუხა, მარწყვი, ტირიფი, კალანხოე, ძახველი, ყვითელი ღუმფარა, ოროვანდი, ხახვი, სელიჭა, ორფერი, შვრია, თაყყითელა, ვერხვი, ძალყურძენა, ბუერა, მრავალძარღვა, გვირილა, ალვის ხე, ია, ორკბილა, ქრისტესისხლა, სალბი, ევკალიპტი, თაფლი, დინდგელი და სხვ.

ფსორიაზი

სამკ.ტუხტი, ოშომა, კრაზანა, ტყის მარწყვი, თეთრი ტირიფი, სელიჭა, ორფერა, ენდრონიკა, ბალბა, ცირცელი, დროზერა, მრგვალი ევკალიპტი, კუროსთავი და სხვ.

ფურუნკულები, ჩირქროვები

ალოე, არყის ხე, ოშოსა, მათიტელა, ძიძო, კლდისღუმა, კრაზანა, ტირიფი, ოროვანდი, ვირისტერფა, სტაფილო, მრავალძარღვა, საპონა, ქაცვი, გვირილა, იასამანი, ფიჭვი, გრაკლა, ბეგქონდარა, ვერხვი, ფარსმანდუკი, ია, ორკბილა, ქრისტესისხა, სალბი, ევკალიპტი, დინდგელი, თაფლი და სხვ.

დამწვრობა და ნაწოლები

კომში, ალოე, ოშომა, დიდგულა, კაკბისსაკენველა, ნიგვზისძირა, კრაზანა, გულყვიტელა, დიდბაია, ჭინჭარი, ბატის მარწყვა-ბალახი, ოროვანდი, ხახვი, თაფლი ქაცვი. შურო, ვერხვი, მრავალძარღვა, ბალ-

ბა, ხორბალი, თრიმლი, შავი მოცვი, სალბი, მრგვალი ევკალიპტი, ჭინჭრის-დედა და სხვ.

მუნი

ღორის ბირკა, მდელოს სამყურა, ლავანდი, ორფოთოლა, ენდრონიკა.

ეგზემა

სამკ. ტუხტი, ნიუკა, რეჰანი, ოშოშა, დედოფლისთითა, ქაფუნა, ღორის ბირკა, თავშავა, აუნჟურუკი, ტყის მარწყვი, თეთრი ტირიფი, სამკ. უსუპი, მდელოს სამყურა, ოროვანდი, ქაცვი, კაკალი, ულუმბო, ენდრონიკა, ბალბა, გვირილა, ცირცელი, დროზერა, ბრტყელეკალა, ია, შვიტა, შავი მოცვი. ქრისტესისხლა, სამკ. სალბი, მრგვალი ევკალიპტი, ჭინჭრის-დედა და სხვ.

კბილევის დაავადებები

ანწლი, კრახანა, ტირიფი, ოთხფურცელა მარწყვაბალახი, თავისხლა, ცაცხვი, გვირილა, ბეგქონდარა, დინდგელი, თუთა და სხვ.

მწვავე რესპირატორული დაავადებები:

გაციება

დიდგულა, დედოფლისთითა, ცოცხმაგარა, ჭინჭარი, თეთრი ტირიფი, ქაფურა, ცაცხვი, ხახვი, მაცვალი, ორფერი, პირშუშხა, ნიორი და სხვ.

სურდო, გრიპი

ანწლი, კულმუხო, თავშავა, ტყის მარწყვი, ასისთავა, ძახველი, წითელი წინკა, ცაცხვი, ხახვი, მაცვალი, ვირისტერფა, ბარამბო, მურყანი, ლაშქარა, გვირილა, ისამანი, მოცხარი, ფშნის ეკალი, გრაკლა, ორკბილა, მამულა, ნიორი, ფარსმანდუკი, თაფლი, დინდგელი და სხვ.

ფილტვების ტუბერკულიოზი, სისლიანი ნახველი

ალოე, სავარცხელა, არყის ხე, ქითელი მოცვი, ყურძენი, მსხალი, კულმუხო, მუხა, თავშავა, აუნშენი, აუნჟურუკი, კლდისდუმა, ტირიფი, შინდი, სამყურა, ასისთავა, ჭინჭარი, თავისხლა, ხურტკმელი, ლიმონურა, ვირისტერფა, სტაფილო, კიტრი, აბზინდა, ბოლოკი, ფიჭვი, მატიტელა, ბერულა, ბირკავა, დროზერა, შვიტა, ბეგქონდარა, ნიორი, სალბი, ასკოლი, ევკალიპტი, თაფლი, დინდგელი და სხვ.

სიცხისდამწევი

ჟოლო, ტირიფი, შტოში, ლიმონი, ცაცხვი, მაყვალი, შავი მოცხარი, ვერხვი, ასკილი და სხვ.

ოფლმდენი

ანწლი, კულმუხო, ანგელოზა, ტირიფი, სამყურა, ცაცხვი, მაყვალი, გვირილა, იასამანი, გრაკლა, ვერხვი, ორკბილა, თაფლი და სხვ.

ნერვული სისტემის დაავადებები:

გველის სურო, კუნელი, კატაბალახა, ცხვირისსატეხელა, თავშავა, კრაზანა, ჟენმენი, ძახველი, სამყურა, შროშანა, ცაცხვი, კატაპიტნა, ყაყაჩო, მინდვრის გვირილა, იორდასალამი, შავბალახა, გვირილა, სალათა, ბარამბო, პირშუშა, მამულა, ქრისტესისხლა, დეზურა, ელეუტერაკოკი, თაფლი და სხვ.

ნევრალგია, ნევრიტები, დამბლა, რადიკულიტი

ლენცოფა, ანწლი, მაჭალვეი, მდოგვი, ჭინჭარი, წითელი წინაკა, ყვითელი დუმფარა, ჟუნჟრუკი, თავკომბალა, პიტნა, ასფურცელა, მგესუმზირა, პომიდორი, ბოლოკი, იასამანი, ფიჭვი, ბეგქონდარა, პირშუშა, შხამა, ევკალიპტი და სხვ.

ეპილეპსია

ცოცხმაგარა, ლემა, ანგელოზა, ძახველი, ქერიფქელა, ლეშურა, ასფურცელა, შავბალახა, მამულა და სხვ.

კრუნჩხვები

სავარცხელა, ტილჭირი, ძახველი გვირილა, ძაღლის ენა, ნარშავი და სხვ.

ონკოლოგიური დაავადებები, სიმსივნეები

თეთრი სოკო, არყის ხის წვენი, ანწლი, ალოე, სისხლისებრწითელი ნემსინვერა, ძახველი, კარტოფილი, ღორის ბირკა, ოროვანდი, ბრტყელეკალა, ნიახური, მგესუმზირა, აბრეშუმა, ჩავა, მამულა, ქრისტესისხლა, დინდგელი და სხვ.

საკვებმომწელებელი სისტემის დაავადებები:

დიზენტერია გონგოლა, ცოცხმაგარა, მუხა, ტირიფი, თავსისხლა, მარწყვა-ბალახი, მურყანი, წინმატურა, მრავალძარღვა, მრავალძარღვა, დროზერა, გრაკლა, კვრინჩხი, ძაღლის ენა, თუთა, ჯადვარი, ხარწყა.

ენტეროკოლიტები (შემკვრელი საშუალება ფაღარათის დროს)

ჩაგირი, იელი, კონახური, ბარისპირა, დედოფლისთითა, ნიგვზისძირა, დვალურა, კაკალი, ქაფუნა, ლურჯი ღიღილო, კულმუხო, მუხა, კრაზანა, ტირიფი, თხანართხალა, სამყურა, თავსისხლა, ცაცხვი, ჟოლო, გულყვითელა, ქერი, მურყანი, ლაშქარა, წინმატურა, ასფურცელა, მრავალძარღვა, თალგამი, გვირილა, დროზერა, გრაკლა, კვლიავი, ფარსმანდუკი, მოცვი, შოთხვი, ნარშავი, სალბი, მჟაუნა, ჯადვარი.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები

ტუხტი, ბანანი, არყის ხე, ფრთათეთრა, თხანართხალა, ჭინჭარი, სელი, ბალაბა, ლაშქარა, მრავალძარღვა, ქაცვი, თალგამი, გვირილა, სალათა, იასამანი, მოცხარი, ძირტკბილა, ბერულა, მინის ვაშლი, ფარსმანდუკი, მოცვი, სალბი, ასკილი, თათლი, დინდგელი, თავყვითელა.

საფაღარათე საშუალებები

ალოე, ანისული, ფორთოხალი, თალგამურა, ანწლი, წყლის სამყურა, ყურძენი, ალუბალი, ხვართქლა, თავშავა, ხეშავი, მარწყვი, მაცვალი, სელიჭა, სელი, ხახვი, საპონა, მინდვრის გვირილა, კიტრი, ჭანგა, რევანდი, ძირტკბილა, კვლიავი, მიწავაშლა, გოგრა, კამა, დიდი კამა, სვია, ნიორი, ქრისტესისხლა, იფანი.

ქრონიკული გასტრიტი

ალოე, კოთხოჯი, სამკ. ტუხტი, ალუჩა, ანისული, საზამთრო, რეჰანი, ძალღისპიტნა, უკვდავა, ოშომა, კაკბისსაკენკელა, ნიგვზისძირა, ბრონეული, მსხალი, ქაფუნა, ცოცხმაგარა, თავშავა, ნესვი, მაცვალი, ჟუნურეკი, კრაზანა, ტყის მარწყვი, ასისთავა, სამკ. უსუპი, გულყვითელა, კომბოსტო, მდელაოს სამყურა, ქინძი, კატაპიტნა, ლავანდა, სელიჭა, სამკ. ბარისპირა, ბალის პიტნა, ასფურცელა, ულუმბო, მრავალძარღვა, აბზინდა, ბალბა, გვირილა, ცირცელი, ჭარხალი, ლურჯი ნარი, ბრტყელეკალა, კვლიავი, ფარსმანდუკი, ლობიო, პირშუშხა, ჩაგა, ნიორი, სამკ. სალბი, ფოლორცის ბალახი, ჯადვარი.

სასუნთქი გზების დაავადებები:

ანგინა და ტონზილიტი

თავშავა, ტირიფი, გულყვითელა, თავსისხლა, ლიმონი, ხახვი, ლაშქარა, კაკალი, პირშუშხა, ნიორი, ევკალიპტი, იფანი, თათლი, დინდგელი.

ბრონქიალური ასტმა

ანისული, ნიუკა, ბუერა, ოშომა, ვაზი, თავშავა ანგელოზა, სამკურნალო უსუპი, მდელოს სამყურა, კანაფი, კატაპიტნა, ლიმონი, ვირისტერფა, მრავალძარღვა, ბალბა, დროზგერა, ძირტკბილა, ბრტყელეკალა, ბეგქონდარა, ია, ნარშავი, ნიორი, ფოლორცის ბალახი, ასკილი.

მწვავე და ქრონიკული ბრონქიტი

კომში, ალოე, სამკ.ტუხტი, ანისული, ნიუკა, ბუერა, არცის ხე, ოშომა, დიდგულა, სამკ.ბარისპირა, დედოფლისთითა, ვაზი, ცხვირისსატეხელა, კულმუხო, სამკურნალო ძიძო, თავშავა, უუნყურეკი, სამკ.უსუპი, ქერიფელა, კატაპიტნა, ჭინჭარი, ცაცხვი, ხახვი, ვირისტერფა, საპონა, მრავალძარღვა, ძირტკბილა, ჩვ.ფიჭვი, ბრტყელეკალა, ბეგქონდარა, კამა, დიდი კამა, პირშუშა, ნიორი, სალბი, ფოლორცის ბალახი, იფანი.

ხველება

სამკ.ტუხტი, კულმუხო, თავშავა, სამკ. უსუპი, მდელოს სამყურა, კატაპიტნა, ხახვი, ვირისტერფა, ორთერი, საპონა, ჩვ.ფიჭვი, ბეგქონდარა, ია, დინდგელი

სასქესო ორგანოების დაავადებები:

მამრობითი წინამდებარე ჯირკვლის ადენომა

კუნელი, დედოფლისთითა, ძიძო, შავთარა, წაბლი, სიმინდი, ოროვანდი, ხახვი, თავყვითელი, ლაშქარა, ფითრი, ოხრახუში, სოჭი, შავბალახა, ჭანგა, ძირტკბილა, გოგრა, ლობიო, ჩავირი, ოქრონკეპლა. ჭინჭრის-დედა, კაკბისსაკენკელა, ვერხვი, ენდრონიკა, იფანი.

იმპოტენცია (სქესობრივი უძლურება)

არალია, უენშენი, კრაზანა, სამყურა, ჭინჭარი, ყვითელი ღუმფარა, ლევგეა, ხახვი, სელიჭა, ბარამბო, შიტნა, კაკალი, აბზინდა, სალეპი, ირმის ხავსი.

კლიმაქსი, (პათოლოგიური მამრობითი)

არალია, ყვითელი ღუმფარა, სვინტრი, ლევგეა, ხახვი, ჯადვარი, კლდისღუმა.

პროსტატიტი

კომბოსტო, კანაფი, ქინძი, სელი, ოროვანდი, ღვია, თხილი, სტაფილო, ოხრახუში, მრავალძარღვა, პომიდორი, დინდგელი, თალგამი, სატაყური, გოგრა, შვიტა, წინწინაური.

სახსრების დაავადებები

საზამთრო, ლენცოფა, არყის ხე, წითელი მოცვი, ანწლი, მაჯალვერი, მარიამსაკმელა, წინიბურა, ძიძო, ლემა, ანგელბა, უენშენი, მარწყვი, უუნურუკი, ტირიფის ყველა სახეობა, ნაბლი, კანაფი, ჭინჭარი, წითელი წინაკა, ყვითელი დუმფარა, ლაანდა, ცაცხვი, ოროვანდი, ხახვი, მაგნოლია, საპონა, შვრია, მურყანი, იფანი, ენრის გვიმრა, ძალლ-ყურძენა, წინმატურა, ლეშურა, ასფურცელა, სოჭი, ენდრონიკა, ხოროსანი, ჭანგა, ბოლოკი, თალგამი, დეკა, გვირილა, იასამანი, შავი მოცხარი, ფიჭვი, სატაცური, გრაკლა, მიწის ვაშლი, ვერხვი, ლობიო, ია, შვიტა, პირშუშხა, შხამა, ორკბილა, შოთხვი, შავი მოცვი, ნიორი, ქრისტესისხლა, სალბი, მუზარადა, ვაშლი, იფანი, დინდველი.

ნიკრისის ქარი

ლენცოფა, არყის ხე, ანწლი, ლურჯი ღიღილო, მაჯალვერი, ბარდა, მდოგვი, ქათუნა, მარწყვი, ჭუნჭრუკი, ოქროსკეპლა, ტირიფი, ჭინჭარი, წითელი წინაკა, ქერიფელა, ყვითელი დუმფარა, ოროვანდი, პიტნა, ღვია, მურყანი, იფანი, ლეშურა, ასფურცელა, მშესუმშირა, პომიდორი, ჭანგა, ბოლოკი, გვირილა, იასამანი, ფიჭვი, გრაკლა, ბეგქონდარა, გოგრა, ლობიო, ია, შვიტა, სვია, პირშუშხა, შხამა, ორკბილა, ოსპი, ისპანახი, მჟაუნა, ევკალიპტი, იფანი.

სისხლის დაავადებები, სისხლდენა:

ანემია

გარგარი, საზამთრო, ალუბალი, მოცვი, წინიბურა, ნესვი, სამკ.ძიძო, ტყის მარწვი, კარტოფილი, შინდი, სამყურა, ჭინჭარი, ხახვი, სტაფილო, თავყვითელა, აბზინდა, სალათა, ჭარხალი, მოცვი, გოგრა, კამა, ორკბილა, ბალი, მამულა, თუთა, ასკილი, ისპანახი, ვაშლი, თალგამურა, ხარისჩლიქა, ორფერი, შვრია, ცირცელი, მოცვი.

განგრენა

ანწლი, ყურძენი, ალუბალი, ბრონეული, ყოლო, კომბოსტო, შტოში, ჭინჭარი, ლიმონი, ოროვანდი, სტაფილო, ჭარხალი, თუთა, ნიორი, ბრტყელეკალა, ღოღო.

სისხლდენა

აკაცია, არნიკა, კონახური, ვაზი, ალუბალი, ნემსინვერა, მუხა, ტყის მარწყვი, ძახველი, ჭინჭარი, ოხრახუში, ბოლოკი, ფარსმანდუკი, სალბი, ასკილი, თავისისხლა, მუზარადა.

სისხლდენა (კუჭისა და ნაწლავების)

ტირიფი, ჭინჭარი, პიტნა, იაპონური სოფორა, ფარსმანდუკი, ნიგეზისძირა, თავისისხლა, კიტრისუნა, ხარნუყა.

სისხლდენა ცხვირიდან

უხა, კრაზანა, ძახველი, გუყვითელა, ფარსმანდუკი, შვიტა, თხანართხალა, მურყანი.

ტკივილგამაყუჩებელი

ლენცოფა, ლემა, შმაგა, ყაყაჩო, გვირილა პირშუშხა, დინდგელი.

ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები:

ბოტკინის დაავადება

შვრია, ასფურცელა, სოჭი.

ნაღვლის გზების დისკენზია (ნაღვლის წარმონაქმნის ამალღებისას)

კოთხოჯი. ალოე, კონახური, უკვდავა, წყლის სამყურა, სამკ. კატაბალახა, ანგელოზა, სიმინდი, ასფურცელა, აბზინდა, გვირილა, თუთა, ასკილი.

ნაღველმდენი საშუალებები

კონახური, არყის ხე, უკვდავა, ლურჯი ღიღილო, ქაფუნა, კულმუხო, კრაზანა, ტირიფი, ქინძი, ბუსუსტანა, ყვითელი ღუმფარა, სიმინდი, გულყვითელა, ასფურცელა, სოჭი, მზესუმზირა, აბზინდი, პირშუშხა.

ნაღველმდენი სადინარებისა და ნაწლავების სპაზმები

ლენცოფა, სამკ.კატაბალახა, ლემა, კრაზანა, შავთარა, ჭინჭარი, შმაგა, მარმუჭი, პიტნა, გვირილა, ბეგქონდარა, კამა, დიდი კამა, სალბი.

ქოლეცისტიტი დ ქოლანგიტი

ალოე, კონახური, არყის ხე, უკვდავა, მოცვი, ოშოშა, ლურჯი ღიღილო, ყურძენი, მარწყვი, კრადანა, ოქრონკეპლა, ფარსმანდუკი, ძახველი, ქერიფქლა, სიმინდი, სტაფილო, გულყვითელა, წინშაურა, ოხრახუში,

ასთურცელა, მზესუმზირა, ჭანგა, ბოლოკი, ბირკავა, გვირილა, გოგრა, სვია, ქრისტესისხლა.

ჰეპატიტი

ყვარგარი, საზამთრო, ბადრიჯანი, კონახური, უკვდავა, წითელი მოცვი, ოშოშა, დედოფლისთითა, ყურძენი, ალუბალი, ქაფუნა, მუხა, უნშენი, მარწყვი, ასისთავა, გულყვითელა, წერიფქლა, სიმინდი, ცაცხვი, ღვია, სტაფილო, ქაცვი, შვრია, წინმატურა, ასთურცელა, ბოლოკი, ბირკავა, ენდრონიკა, გვირილა, გოგრა, დათვის კენკრა, ვარდკაჭანა, ორკბილა, ნიორი, ქრისტესისხლა, თაფლი, დინდგელი.

ქალური დაავადებები:

(თეთრი შლა)

კრაზანა, მუხა, გულყვითელა, ვითელი ღუმფარა, ხახვი, მაცვალი, მარმუჭი, მინდვრის გვირილა, დინდგელი, როზმარინი, ფიჭვი.

საკვერცხების ანთება

ასისთავა, ძიძო, თავყვითელა, კომბოსტო, ვირისტერფა, სამკურნალო გვირილა.

საშვილოსნოს დაავადებები

ალოე, კონახური, ვაზი /ქერქი/, კრაზანა, ტყის მარწყვი, თავყვითელა, ლიმონი, თაფლი, ქაცვი, დინდგელი, ნიორი, ევკალიპტი, ჩავირი.

საშვილოსნოდან სისხლდენა

ბარისპირა, მუხა, ტყის მარწყვი, ასისთავა, თეთრი ტირიფი, კალანხოე, ძახველი, ჭინჭარი, სიმინდის ულვაშები, ბირკავა, ფარსმანდუკი, შვიტა, ჩვ, მათიტელა, ნიგვზისძირა, უნჟურუკი, თავსისხლა, წინმატურა, მინდვრის გვირილა, ცირცელი, გრაკლა, ბრტყელეკალა, მამულა, ხარწყა.

მეტუქურე დედების რძის უკმარისობა (ლაქტაციის გამუმჯობესებელი)

კოთხუჯი, აკაცია, კულმუხო, კანაფი, გულყვითელა, სალათა, იაპონური სოფორა, ფარსმანდუკი, კამა, ვერხვი, ჭვავი.

ქვები შარდის ბუშტში

საზამთრო, წითელი მოცვი, მარწყვი, ოქრონკეპლა, სიმინდის ულვაში, ლიმონი, ოროვანდი, ენდრო, ღვია, ოხრახუში, ჭანგა, მოცხარი, ფიჭვი, მათიტელა, დათვის კენკრა, შვიტა, პირმუხა, შავი მოცვი, ასკილი.

ქვები თირკმელებში

აკაცია, ლურჯი ღიღილო, ღორის ბირკა, ოროვანდი, ენდრო, ღვია, ოხრახუმი, მიწისვაშლი, იასამანი, ფიჭვი, შვიტა, ასკილი.

ქვები ნაღვლის ბუშტში

ჭინჭარი, ლიმონი, ზეთისხილის ზეთი, ჭანგა, ბოლოკი.

ქვები ღვიძლში

გვერდელა, მარწყვი, სიმინდის ულვაშები, თაფლი, შვრიის თივა, ჭარხალი, ფარსმანდუკი.

ციებ-ცხელება

არყის ხე, ყურძენი, ნიახური, ტირიფი, ჭინჭარი, სვინტრი, მგესუმზირა, იასამანი, ნიორი.

შაქრიანი დიაბეტი

ავოკადო, არალია, საზამთრო, წითელი მოცვი, დიდგულა, ლურჯი მოცვი, ცერცველა, ბარდა, წინიბურა, მსხალი, კულმუხო, უენშენი, კრაზანა, ტყის მარწყვი, კომბოსტო, კარტოფილი, შინდი, კანაფი, ქერიფელა, ჭინჭარი, დაფნა, ოროვანდი, ხახვი, ხანჭკოლა, ყოლო, შვრია, თავყვითელა, მურყანი, ფითრი, კაკალი, ვერხვი, კოლხური სურო, დროზგრა, თირკმლის ჩაი, სალათა, ნიახური, მიწისვაშლი, ლობიო, შვიტა, ვარდკაჭაჭა, შავი მოცვი, მამულა, ნიორი, ელეუტერაკოკი, ისპანახი, იფანი, ქერი.

ჭრილობები

კოთხოჯი, სავარცხელა, ალოე, ოშოშა, ანწლი, ცოცხანა, დედოფლის-თითა, ქაფუნა, გონგოლა, კულმუხო, ცოცხმაგარა, ჭარელა, უნჟურუკი, კრაზანა, ჭინჭარი, თეთრი ტირიფი, სამკ.უსუპი, სამყურა, კატაპიტნა, ხახვი, შავთარა, სელიჭა, მარმუჭი, ორფერა, ქაცვი, ლაშქარა, კაკალი, ასფურცელა, სურო, ენდრონიკა, ბალბა, ცირცელი, ჭარხალი, ბერულა, ბრტყელეკალა, ბეგქონდარა, ფარსმანდუკი, შვიტა, პირშუშხა, მოცვი, ქრისტესისხლა, მრგვალი ევკალიპტი, კუროსთავი, ჭინჭრის-დედა.

წყლულები

კოთხოჯი, სავარცხელა, ალოე, ოშოშა, სამკ.ბარისპირა, კაკბისსაკენკელა, ცოცხანა, მდელოს ნემსინვერა, ქაფუნა, გონგოლა, ცოცხმაგარა,

ჟუნჟრუკი, კრაზანა, სამკ. უსუპი, ჭინჭარი, ხახვი, სელიჭა, მარმუჭი, ორ-ფერი, ქაცვი, ლაშქარა, კაკალი, ასფურცელა, სურო, ენდრონიკა, ბალ-ბა, ცირცელი, ჭარხალი, ტყის წინმატი, ბერულა, ბრტყელეკალა, ბეგ-ქონდარა, ფარსმანდუკი, სამფერი ია, პირმუშა, მოცვი, ქრისტესისხლა, ასკილი, კუროსთავი, ბებრისკონკა.

(როლოვ, 1908; მაშკოვსკი 1967; მინაევა, 1970; მურავევა, 1978)

ცნება ფარმაკოპიის შესახებ



სამკურნალო მცენარეებისგან მიღებული სამკურნალო პრეპარატები

ფარმაკოპეა (ძველი ბერძნულიდან - $\Phi\alpha\rho\mu\alpha\kappa\omicron\nu$ "მედიცინა" + $\pi\omicron\iota\eta$ "ვაკე-თებ, ვაშაღებ") არის მარეგულირებელი დოკუმენტების (ფარმაკო-პეული სტატიების) კრებული, რომლებიც არეგულირებენ მედიკამენტების ხარისხის მოთხოვნებს. ფარმაკოპეული მონოგრაფიები იყოფა

ზოგად და კონკრეტულად. ზოგადი ფარმაკოპეული სტატიები შეიცავს სამკურნალო საშუალებების ანალიზის მეთოდების აღწერას, მონაცემებს ამისათვის გამოყენებული რეაგენტების და ინდიკატორების შესახებ. კერძო ფარმაკოპეული სტატიები-სამკურნალო საშუალებების სტანდარტები, შეიცავს მედიკამენტების ხარისხის კონტროლის ინდიკატორების და მეთოდების ჩამონათვალს და მედიკამენტების აღწერას, აგრეთვე დამხმარე ნივთიერებებსა და მათი წარმოების ნედლეულს. პერიოდულად განიხილება ზოგადი და სპეციფიკური ფარმაცევტული სტატიები.

ფარმაკოპეის დებულებები ემყარება ფარმაცევტული ქიმიის მიღწევებსა და ფარმაცევტულ ანალიზს, მისკრიტერიუმებს, საშუალებებსა და მეთოდებს ფარმაკოპეის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დგება შესაბამისი საცნობარო მასალების ჩამონათვალი.

სახელმწიფო ფარმაკოპეა (GF) არის ფარმაკოპეა, რომელსაც ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობა და აქვს იურიდიული ძალა. მისი მოთხოვნები სავალდებულოა ამ სახელმწიფოს მედიკამენტების მიმოქცევის ყველა სუბიექტისთვის, რომლებიც ეწევიან მედიკამენტების წარმოებას (დამზადებას), შენახვასა და გამოყენებას.

ისტორია

ფარმაციის შესახებ შეგროვილი მასალების კოლექციების ისტორია სათავეს იღებს ანტიკური ხელნაწერებიდან, მათ შორის ცნობილია ედვინ სმიტის პაპირუსი, პლინიუს უფროსის კრებული, პიტერ შეფელის „ჯანმრთელობის ბაღი“ და სხვები.

ფარმაკოპეების წინამორბედები იყო რეცეპტორების ცნობარები - მაგალითად, ნიკოლოზ სალერნოელის "ანტიდოტარი", რომელიც გამოიცა 1140 წელს. ტერმინ „ფარმაკოპეის“ გამოყენება იწყება დაახლოებით XVI საუკუნის შუა პერიოდში. პირველი სახელმწიფო ფარმაკოპეა გამოქვეყნდა 1698 წელს ბრანდენბურგში ლათინურად.

ეროვნული ფარმაკოპეები

XIX-XX საუკუნეების დასაწყისში ბევრ ქვეყანაში დაიწყო ეროვნული ფარმაკოპეების გამოცემა. უცხოეთის ყველაზე ავტორიტეტული ეროვნული ფარმაკოპეა ამერიკის შეერთებული შტატების ფარმაკოპეაა

(*United States Pharmacopoeia*) USP - 1820 წლიდან, 38-ე გამოცემა, 2015 წ.); (*British Pharmacopoeia*) - 1864 წლიდან; აქვს სახელმწიფო სტატუსი ავსტრალიაში, კანადაში, კორეის რესპუბლიკაში); იაპონური ფარმაკოპეა (JP, 1886 წლიდან, მე -17 გამოცემა, 2016 წ.)

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ფარმაკოპეა

არსებობს მემკვიდრეობითობა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ფარმაკოპეასა და სსრკ სახელმწიფო ფარმაკოპეას შორის, რაც, თავის მხრივ, რუსეთის სახელმწიფო ფარმაკოპეის შემდგომი განვითარების შედეგი იყო. პირველი ოფიციალური სახელმწიფო ფარმაკოპეა რუსეთში გამოქვეყნდა 1778 წელს ლათინურად.

საერთაშორისო და რეგიონალური ფარმაკოპეები

საქართველოს სახელმწიფო ფარმაკოპეა

საქართველოში წარმოებული სამკურნალო საშუალებების სტანდარტებისა და დებულებების კრებული.

საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. 1997 წლის 17 აპრილი, მუხლი 11.

ქართული მეცნიერული ფარმაციის აღორძინებას საფუძველი იოველ ქუთათელაძემ ჩაუყარა. დიდი საქმიანობა გაიშალა მზა წამალთა ფორმების კოეფიციენტის გაზრდისთვის. ხდებოდა ყველა ნედლეულის შესწავლა. მცენარეულის: ქობულეთში, ხობის რაიონში, შირაქის ველზე. ცხოველური წარმოშობის ნედლეულის (პიტუიტრინი, თვალის ბიოლოგიური სითხე და ა.შ.) შესწავლა-გამოყენება; მინერალური წყლების (ბაგიათა, სვარე, ბორჯომი) გამოყენება; რაჭაში მანგანუმის გამოყენება, ასკანეს თიხა გურიაში და ა.შ.

ბოლო წლებში, 1991 წლიდან ჩამოყალიბდა 38 დიდი და მცირე ფარმაცევტული წარმოება. უდიდესი გამოცდილების “ბაქტერიოფაგი”, სადაც მრავალი ინფექციური დაავადების სამკურნალო ფაგებს ამზადებდნენ. სადღეისოდ მუშაობს “ფარმიმპექსი”. აწარმოებს 12 პრეპარატს. მუშაობას განაგრძობს ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტი (ძირითადად, მცენარეული ნედლეულის ბაზაზე).

ქართული ფარმაციის ისტორია პირობითად სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს

- ძველი პერიოდი,
- ახალი (საბჭოთა) პერიოდი
- უახლესი პერიოდი

ქართული ფარმაციის ისტორიის ძველი პერიოდი, როგორც მედიცინის ისტორიის ნაწილი, საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედიცინის განვითარება ძველი ისტორიის გარკვეულ პერიოდებში გავლენას ახდენდა საერთოდ მედიცინის განვითარებაზე, ხოლო სხვა პერიოდებში კი არ ჩამოუვარდებოდა მგზობელი ქვეყნების მედიცინის დონეს. ფარმაცია სწრაფად განვითარდა მე-20 საუკუნეში, რაც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა პერიოდს დაემთხვა. ამ პერიოდში, საქართველოში ფუნქციონირებდა კვლევითი ინსტიტუტები, მუშაობდა რამდენიმე ქარხანა და მიიჩნეოდა, რომ საბჭოთა სივრცეში ფარმაცია საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. დღევანდელი ქართული ფარმაცია არ აღმოცენებულა საბჭოთა ფარმაციაზე და არ წარმოადგენს მისი განვითარების უწყვეტი ჯაჭვის ნაწილს. რეალურად, თანამედროვე ქართული ფარმაცია აღმოცენდა და განვითარდა რამდენიმე ინიციატივიან ჯგუფზე დაყრდნობით, რომელთა ბაზაზეც ნულიდან შეიქმნა ორი მსხვილი ფარმაცევტული ფირმა და სააფთიაქო ქსელები.

<https://openscience.ge/bitstream/1/76/1/Guram%20Gvenetadze.pdf>

საერთაშორისო ფარმაკოპეის (*The International Pharmacopoeia*) პირველი გამოცემის პირველი ტომი გამოიცა 1951 წელს, ხოლო მეორე ტომი 1955 წელს. 2006 წელს მე-4 გამოცემა გამოიცა 2 ტომად. 2008 წელს იგი ასევე გამოქვეყნდა პირველ დამატებებთან ერთად. საერთაშორისო ფარმაკოპეას იყენებენ ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი (ეროვნული) ფარმაკოპეა.

ევროპული ფარმაკოპეა (*European Pharmacopoeia*) შეიცავს ევროპის ეკონომიკური რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედ ნორმებს, რომელიც გამოქვეყნებულია ევროპის საბჭოს სახელით და მოქმედებს ევროპის უმეტეს ქვეყნებში.

ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფარმაკოპეა გათვალისწინებულია ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში მედიკამენტების მიმოქცევის ერთიანი პრინციპებისა და წესების შესახებ 2014 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულებით. 2017 წელს მისი მომზადებისთვის ევრაზიის ეკონომიკურ კომისიასთან შეიქმნა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფარმაკოპეული კომიტეტი. ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფარმაკოპეა დამტკიცდა ევრაზიის ეკონომიკური კომისიის მიერ 2020 წელს და ძალაში შედის 2021 წლის 1 მარტიდან.

მსოფლიოს ფარმაკოპეების ჰარმონიზაციის მიზნით საერთაშორისო ფარმაკოპეის მომზადება დაიწყო 1948 წელს, როდესაც შესაბამისი მანდატი მიიღო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამდივნომ (WHO). მომზადდა საერთაშორისო ფარმაკოპეის პირველი გამოცემის პირველი ტომი, რომლის მიზანი იყო ფარმაცევტული სუბსტანციების მიმართ საერთაშორისო მოთხოვნების ხარისხის ჰარმონიზაცია მთელ მსოფლიოში.

ფარმაკოპეების ჰარმონიზაციის მიზნით, 2012 წლიდან დაიწყო ჯანმოს ექსპერტული კომიტეტის ეგიდით სამკურნალო საშუალებების „ფარმაკოპეული პრაქტიკის (GPhP)“ „სტანდარტის შემუშავება, რომელიც სადღეისოდ დასრულებულია.

ფარმაკოპეების ჰარმონიზაციის ეფექტური მცდელობის ერთ-ერთი მაგალითია ფარმაკოპეული სადისკუსიო ჯგუფის (PDG) მუშაობა, რომელიც ახდენს ევროპული ფარმაკოპეის, ამერიკის ფარმაკოპეისა და იაპონური ფარმაკოპეის მოთხოვნების ჰარმონიზაციას.

ევროპული ფარმაკოპეა (*European Pharmacopoeia*) არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირში შემავალი ევროპის უმეტეს ქვეყნებში ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებისთვის. ფარმაკოპეა, რომელიც მოიცავს აქტიური და დამხმარე ნივთიერებების აღწერას, აგრეთვე ფარმაცევტული პროდუქტების ანალიზის მეთოდებს. მანამდე გამოქვეყნებულ საერთაშორისო ფარმაკოპეასთან ერთად იგი ავსებს მსოფლიო ფარმაკოპეების ჩამონათვალს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ააშ-ის ფარმაკოპეა, ბრიტანული ფარმაკოპეა, იაპონური ფარმაკოპეა, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ფარმაკოპეა და სხვ.

<https://ru.wikipedia.org/wiki/Фармакопея>

სამკურნალო მცენარეების დამზადების ორგანიზაციის სწორი პრინციპები

ა. ნედლეულის შეგროვება და აღების ტექნოლოგია

ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების შეკრების ან კულტურაში მოყვანილი მცენარეების აღებისას, ყოველთვის მზადდება მხოლოდ მცენარის განსაზღვრული ნაწილი ანუ განსაზღვრული ორგანო ან განსაზღვრული ორგანოები; იშვიათად გროვდება მთელი მცენარეები. ამ მიმართებით უფრო სშირად გვხვდება ნედლეულის შემდეგი დანაყოფები: 1. *მინისქვეშა ორგანოებიდან – ფესვები (radix), ფესურა (rhizoma), ფესურა ფესვებითურთ – (Rhizoma cum radicibus), ტუბერი (tuber), ბოლქვი (bulbus), ტუბერბოლქვები – (Bulbotuber).*

2. *მცენარის მინისზედა ორგანოებიდან – ფოთლები (folium), ბალახი (herbae), კვირტები (gemmae), ყლორტები (cormus), ყვავილი (ores), მტვრიანები სვეტებითურთ - (styli et stigmata maidis), თანაყვავილელები /ვირჩები/ - (strobili), კოკრები (alabastra), თესლები (semen), ნაყოფი (fructus), კოლოფი (capita), ქერქი (cortices-cortex).*

მთლიან მცენარეს ამზადებენ იშვიათ შემთხვევაში მაგ., დროზერა - *Drosera rotundifolia*, ფითრი - *Viscum album*, უმდაბლესი მცენარეები - რომელთაც არა აქვთ ცალკეული ორგანოები, ბუნებრივია, მზადდება მთლიანად: ჭვაველა - *Claviceps purpurea*, მღიერები - *Cetraria islandica*, სოკოები, წყალმცენარეები, რომელთაც თარმაცვეტული გამოყენება აქვთ.

ორგანოების გარდა მზადდება კვირტები, აგრეთვე, მცენარეთა ზოგიერთი სხვა პროდუქტები. მაგ. ბალზამები, ფისები, გუმფისი და ა.შ. ჩვეულებრივ ისინი ამორფული ნივთიერებებია, რომლებიც გამოიყოფა მცენარის ქერქის ან ქსოვილის დაზიანებისას. ამის მაგალითია ოპიუმი, რომელიც წარმოადგენს ყაყაჩოს მშრალი რძის წვენს, რომელიც გამოიყოფა მწვანე კოლოფის გადასერვისას. უმაღლესი მცენარეები იშვიათად მზადდება მთლიანად, ვინაიდან მათი შემცველი აქტიური ნივთიერებების კონცენტრირება უმთავრესად ხდება განსაზღვრულ

ორგანოებში ან რამდენიმე ორგანოში, ხოლო მთელი მცენარის შეკრებისა და დამზადებისას მოხდებოდა აქტიური ნივთიერებების გაზავება.

მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მოქმედებს ნედლეულის ხარისხზე წარმოადგენს შეკრების დრო. ცნობილია, რომ აქტიური ნივთიერებების რაოდენობა მცენარეში იცვლება მისი ინდივიდუალური განვითარების პროცესში. მცენარეები, რომლებიც გაზრდილნი არიან თესლიდან, ადრეულ ასაკში ჩვეულებრივ შეიცავენ იმ მეტაბოლიტების მინიმალურ რაოდენობას, რომლითაც ჩვენ ვინტერესდებით მათი თერაპიული მოქმედების თვალსაზრისით, მხოლოდ ზრდის პროცესში და უმთავრესად ყვავილების წარმოქმნისას, მატულობს მათი რაოდენობა, დაყვავილების შემდეგ კი კვლავ მცირდება. მაგრამ ამ მეტად მარტივ „წესებს“ აქვთ გამონაკლისიც. ამიტომ აუცილებელია თითოეული სახეობის შეგროვების ოპტიმალური ვადების ცოდნა.

მცენარის ცალკეული ორგანოების ან მისი ნაწილების დამზადებისას აღინიშნება საერთო კანონზომიერებები: **1. ჩვეულებრივ არ ხდება ერთწლოვანი ბალახოვანი მენარეების ფესვების შეგროვება. 2. ორწლიანი მცენარეების ფესვების შეგროვება უმრავლეს შემთხვევაში წარმოებს სიციხლის პირველსავე წელს შემოდგომით, სიციხის მეორე წელს კი გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყების წინ. 3. მრავალწლიანი მცენარეების ფესვებისა და ფესურების შეგროვება ხდება იმავე ვადებში.**

მიწისზედა ორგანოების დამზადება ნელა მზარდ მცენარეებში წარმოებს ორი, სამი და მეტი წლის ასაკში, ეს ეხება უმრავლეს ველურად მოზარდ მცენარეებს. კულტივირებულ სახეობებში კი საჭმე სხვანაირად დგას. ეკონომიკური თვალსაზრისით, მემცენარეს შეუძლია რამდენიმე წლით მინდორში დატოვოს ის კულტურა, რომელიც განკუთვნილია **ფესვების აღებისათვის**. ამიტომ, მაგ., შმაგას - *Atropa belladonna* ან სამკურნალო კატაბალახას - *Valeriana officinalis* ფესვებს ჩვეულებრივ აგროვებენ უკვე ერთი წლის შემდეგ, თუმცა მოსავლიანობა ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებია, ვიდრე მრავალწლიანი კულტივირებული მცენარეებისა. მრავალწლიანი კულტივირებული მცენარეების ფესვები ჩქარა იწყებენ ლპობასა და დაშლას, რაც ხშირად აღინიშნება

შემდეგ მცენარეებში: რევანდი - *Rheum palmatum*, ყვითელი ნაღველა - *Gentiana lutea*, შმაგა - *Atropa belladonna* და სხვ.

ტუბერები გროვდება ყვავილობის პერიოდში. იმ ტიპურ მცენარეთა რიცხვს, რომელთა ტუბერებსაც აგროვებენ, მიეკუთვნებიან ჯადვარის სახეობები (*Orchis*), ნიუკა - *Arum albispathum*, ყოჩივარდა - *Cyclamen*.

ტუბერ-ბოლქვები: ენძელა - *Merendera trigyna*, უცუნა - *Colchicum autumnale*, *C. speciosum*, ტილჭირი - *Aconitum nepellus*;

ბოლქვები გროვდება ნაყოფმსმობიარობის დასასრულს მიწისზედა ორგანოების გახმობის შემდეგ, როდესაც მცენარეები გადადიან ე.წ. მოსვენების პერიოდში. აგროვებენ შემდეგი მცენარეების ბოლქვებს: ხახვი - *Allium cepa*, ნიორი - *Allium sativum*. თეთრყვავილა - *Galanthus woronowii*, ცხენისკბილა - *Leucojum aestivum*, ყაზახა - *Muscari*, ძაღლნიორა - *Ornithogalum magnum*, შოვიცის შროშანი - *Lilium szovitsianum*, ცისთვალა - *Scilla siberica* და სხვ.

ფოთლები გროვდება მათი ფორმირების შემდეგ მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან ერთჯერადი აღება ვერ იძლევა სრულფასოვან ნედლეულს. ფოთლების შეგროვებისას მათ აცლიან ცალ-ცალკე ან ჭრიან მთელ ღეროებს და შემდეგ აცლიან ფოთლებს. აგროვებენ საკმაოდ მსხვილ სუფთა, ჯანსაღ ფოთლებს, რომლებიც დაზიანებული არ არიან მავნებლებით ან დაავადებებით.

ბალახს – ბალახოვანი მცენარეების მთელ მიწისზედა ნაწილს – აგროვებენ საყვავილედ ღეროებთან ერთად ყვავილობის დასაწყისში, ვინაიდან ყვავილობის პერიოდში შეგროვილი ბალახი, ნაწილობრივ უკვე შეიცავს ნაყოფებსაც, რაც არ არის სასურველი ბალახოვანი ნედლეულის დამზადებისას. ბოლო დროს საწარმოო და ეკონომიკური თვალსაზრისით გამოსაყენებელი ფოთლების ნედლეული იცვლება ბალახოვანი ნედლეულით. ბალახის შეგროვება მნიშვნელოვნად ადვილია ფოთლებთან შედარებით, ამ შრომატევადი სამუშაოების გამო ცდილობენ უარი თქვან ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დაშვებულია ხარისხისადმი მოთხოვნილებასთან კავშირში. ფოთლების ბალახით შეცვლა ძირითადად მიღებულია ბარამბოს - *Mellissa officinalis*, ბალის პიტნის - *Mentha piperita* დამზადებისას.

ბალახის შეგროვებისას, ღეროებს ჭრიან ნიადაგიდან რამდენიმე სმ-ის ზევით სეკატორით, კულტურაში კი მექანიზირებული სამკელი მან-

ქანებით. აგროვებენ მხოლოდ გაუმერქნებელ ღეროს ნაწილებს. ძალიან ბებერ და მსხვილ მცენარეებში, რომელთაც ღეროს ქვედა ნაწილები უკვე გამერქნებულია და ფოთლები არა აქვთ, მათ ჭრიან გამერქნებული ნაწილის ზევით.

ყვავილები და ყვავილელები გროვდება ყვავილობის საწყის ფაზაში, მათ სრულ გაშლამდე. სრული ყვავილობის დროს ან გადაყვავილების შემდეგ შეგროვილი ყვავილები ნედლეულის დასამზადებლად გამოუსადეგარია, ვინაიდან ისინი ადვილად იშლებიან და ამასთანავე მათი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. ყვავილებს აგროვებენ ჩვეულებრივ ხელით, ხოლო ზოგიერთი მცენარის მაგ. რთულყვავილოვანთა ოჯახის ყვავილელებს სამკურნალო გვირილა - *Matricaria chamomilla* აგროვებენ სპეციალური ფარცებით.

ნაყოფებსა და თესლებს აგროვებენ მათი სრული სიმწიფისას; კულტივირებული სამკურნალო მცენარეების მექანიკურ აღებას აწარმოებენ სრულ სიმწიფემდე, რათა არ დაცვივდეს თესლები და ნაყოფები. ისინი მწიფდებიან მინდვრებში ან საკუჭნაოებში ზვინებში გალენჯამდე. გასაღენი ნედლეული კალომდე გადააქვთ ტრანსპორტის საშუალებებით ბრეზენტებზე, რათა აცილებულ იქნას დანაკარგები. ნაყოფები და თესლები გროვდება ხელით, ხოლო კულტივირებული მცენარეების შემთხვევაში - ჩვეულებრივი საკრეფი მანქანებით ან კომბაინებით, იმის მსგავსი, რაც გამოიყენება მარცვლოვნების ასაღებად. ასეთი გზით გროვდება: ანისული - *Anisum vulgare*, დიდი კამა - *Foeniculum vulgare*, კვლიავი - *Carum carvi*, ქინძი - *Coriandrum sativum*, სელი - *Linum usitatissimum* და სხვ. ზემოთ დასახელებული ქოლგოსანთა ოჯახის წარმომადგენლების ნედლეულის შეგროვება აუცილებელია ჩატარდეს დროულად, ნაყოფების სრულ მომწიფებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ცვივა მინდორში, რასაც მიყვავართ არასასურველ დანაკარგებამდე. თესლები ლენვის ადვილამდე უნდა მიტანილ იქნეს ბრეზენტებით, რათა ასევე ავიცილოთ შესაძლებელი დანაკარგები.

ქერქებს აგროვებენ გაზაფხულზე წვენის მოძრაობის დაწყებამდე, ამ დროს ის ადვილად სცილდება ვარჯს, ან შემოდგომით, ფოთლების დაცვენის შემდეგ. ნედლეულის შეგროვების ტექნიკა განსხვავდება აღების ტექნიკისაგან. ქერქს აგროვებენ ხელით, მჭრელი დანით აკეთებენ განასერს ტოტებზე. ქერქი უფრო ადვილად სცილდება წვიმის შემდეგ,

ვიდრე მშრალ ამინდში. ქერქის მოსაგროვებლად გამოსადეგია მხოლოდ 3-4-წლიანი ტოტები და არა ერთწლიანი ყლორტები ან ბებერი სქელი ტოტები, დახეთქილი გამაგრებული ქერქებით. მასალის შეგროვებისა და აღების შემდეგ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად იქნეს მიტანილი გაშრობის ადგილზე. არ უნდა დავეუვათ, რომ გაშრობამდე დაობდეს, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე.

ფესურებსა და ფესვებს თხრიან სპეციალურად მიმავრებული განსაზღვრული სახის სათხრელებით, ხოლო კულტივირებულ მცენარეებში მინის ქვეშა ნაწილებს თხრიან გუთნით. ხშირ შემთხვევაში გაშრობამდე აჭრიან წვრილ ფესვებსა და მინისზედა ნაწილების ნარჩენებს; გაშრობის შემდეგ ბერტყავენ, რითაც აცილებენ მიწებებულ მინის ნაწილაკებს. თუ ფესვებს ეკვრის ძალიან ბევრი მინა, რეკომენდირებულია მისი ჩამორეცხვა წყლის ჭავლით, რის შემდეგაც მათ აშრობენ, ჭრიან დანებით ან სპეციალური მაკრატლებით ნაწილებად და აშრობენ.

ანალოგიურად ამუშავებენ **ტუბერებსაც**. რაც შეეხება **ბოლქვებს**, მათ არ რეცხავენ, აცლიან მხოლოდ ბაზალურ ნაწილებს (ფესვებს) და მინისზედა ნაწილების ნარჩენებს, აცილებენ გარეთა გაჭუჭყიანებულ მშრალ ქერქლებს. კულტურული მცენარეების ბოლქვების აღება სადღისოდ უკვე მექანიზირებულია.

მხოლოდ გაშრობის შემდეგ გადაიქცევა შეგროვილი მასალა მცენარეულ სამკურნალო ნედლეულად, რომელსაც შემდეგ ინახავენ მთლიანად, ან სათანადოდ გადამუშავებულს (განსაზღვრული სიდიდის ნაწილებად დაყოფილს, დაფქვილს და ა.შ.). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, იმისგან დამოუკიდებლად, მცენარის რა ნაწილი იქნება საჭირო (ფოთოლი, ყვავილი, ღერო, ფესვი და სხვ.), ქერქის გარდა, შეკრება უნდა წარმოებდეს მზიან, კარგ ამინდში. ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია მცენარის საჭირო ნაწილების შეგროვების დანყება ადრე დილით, თუ ნამი ჯერ კიდევ არ გამშრალა. ცვრიანი მასალის შეგროვების შემთხვევაში, მასალა გაშრობისას შავდება, იშლება მცენარის შემადგენელი მოქმედი ნაწილები და შეგროვილი მასალა უვარგისი ხდება. მოკრეფილი მცენარის ნაწილები გროვდება კალათაში ან გოდორში, არ უნდა დაიტკუნოს, რომ არ დაზიანდეს, ვინაიდან ნედლეული

ჩაშავდება და გაფუჭდება. ამასთანავე მასალას მზე არ უნდა მოხვდეს, რათა არ გაფუჭდეს.

ბ. გაშრობა და დაცვა

გაშრობა – ნედლეულის დამზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომელიც საწყისი მცენარის ნედლ მცენარეულ ორგანოებს მცენარეულ სამკურნალო საშუალებად გარდაქმნის. ნედლეული ითვლება სწორედ გამშრალად იმ შემთხვევაში, თუ ის მნიშვნელოვნად ინარჩუნებს თავის პირველდანიცებით ფერს. თუმცა შეფასების ეს ხერხი პრიმიტიულად ითვლება, ბევრ შემთხვევაში მაინც საშუალებას გვაძლევს საკმაოდ სწორად შევაფასოთ ნედლეულის მარაგი. გაშრობა – ეს უმარტივესი პროცესია დაკონსერვებისა, რის დროსაც მცენარიდან ან მისი ნაწილებიდან ცილდება ტენი, ამასთან გამორიცხულია ლპობის პროცესების მიმდინარეობა. სამკურნალო მცენარეებს აშრობენ კარგი ვენტილაციის მქონე დახურულ შენობებში. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვენიც, სადაც უნდა იყოს თაროებად გაკეთებული ჩელტები, ან უჟანგავი, წვრილად მოქსოვილი ბადეები. სხვენი გვერდებიდან უნდა ნიავედებოდეს. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ დღის განმავლობაში მზის გადახრისას, სხვენის ამა თუ იმ მხარეებიდან მზის სხივები არ მოხვდეს და არ დახედოს გასაშრობ მასალას. ყურადღება იმასაც უნდა მიექცეს, რომ სახლის სახურავებიდან წვიმა არ ჩავიდეს და არ დაასველოს მასალა, ვინაიდან იგი შეიძლება გაშავდეს. აღსანიშნავია, რომ გაშრობის ხერხისა და საშრობის ტიპს არჩევნ ნედლეულის თვისებებიდან გამომდინარე. გაშრობა უნდა ჩატარდეს სწრაფად, გაშრობისას მცენარეები არ უნდა ავურიოთ, რათა არ დაიმტვრეს. თაროებზე გაშრობისას ნედლეულს თხელ ფენებად აწყობენ, რათა არ დაობდეს და შრობა დაჩქარდეს. ზოგიერთი ბალახს კონებად კრავენ და თოკზე დაკიდებულს აშრობენ. ერთ-ერთი უმთავრესი პირობა შრობის ტექნოლოგიაში კარგი ვენტილაციაა. გაშრობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნედლეულის ხასიათზე (მასში ტენის რაოდენობასთან დამოკიდებულებაზე) და გაშრობის ტემპერატურაზე. ყვავილები და ფოთლები უფრო სწრაფად შრება, ვიდრე ბალახი. უფრო დიდხანს შრება – ფესვები, ფესურები, ტუბერები. გაშრობის

დამთავრებას განსაზღვრავენ შემდეგი ნიშნებით: ფესვები, ფესურები, ქერქი, ღეროები გადალუნვისას ტკაცუნით ტყდება; ფოთლები, ყვავილები და ყვავილედები ფხვნილად ისრისება. შრობის ტემპერატურის სწორ არჩევასთანაა დაკავშირებული გაშრობილი ნედლეულის ხარისხი. ჩრდილში, ბუნებრივი სითბოს პირობებში გაშრობისას და კარგი ვენტილაციისას ჩვეულებრივ ღებულობენ სანიმუშო ხარისხობრივ ნედლეულს. საშრობში შრობისას შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი ტემპერატურა, რომ ნედლეულის შრობის შედეგი ხარისხიანი იყოს და შეინარჩუნოს აქტიური ნივთიერებების მაქსიმალური შემცველობა. ზოგიერთი აქტიური ნივთიერება მაღალ ტემპერატურაზე იშლება ან ქროლდება, რის გამოც ეთერზეთოვანი მცენარეები აუცილებელია გააშროთ 40°C -ზე უფრო დაბლა, ვინაიდან ეთერზეთები უფრო მაღალ ტემპერატურაზე ქროლდება და მათი შემცველობა ნედლეულში მნიშვნელოვნად მცირდება. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც შეიცავენ კარდიოტონურ გლიკოზიდებს, საჭიროა გაშრეს არა უმეტეს 50°C -ზე. უფრო მაღალზე - მცირდება აქტიური გლიკოზიდების შემცველობა და გარდა ამისა, დენატურირდება ენზიმებით, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ზოგიერთი აქტიური ნივთიერებების შემდგომ გამოყოფაში. ეკონომიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ე.წ. მშრალი ნედლეულის გამოსავალი. ის გამოიხატება ნედლი მასალის წონის შეფარდებით მშრალი მასალის წონასთან. მშრალი მასალის გამოსავლის მაჩვენებელი იცვლება არა მხოლოდ ნედლეულის ხარისხთან დაკავშირებით, არამედ ნედლი მასალის მდგომარეობიდან გამომდინარეც. ქსეროფიტული სამკურნალო მცენარეები მშრალი რაიონებიდან, ანდა ხანგრძლივი მშრალი პერიოდიდან გამომდინარე, ბუნებრივია შეიცავს მცირე რაოდენობის ტენს და რასაკვირველია ნაკლებ ტენს კარგავს გაშრობისას. ხორცოვანი მცენარეები იძლევიან ნაკლებ გამოსავალს მშრალი ნედლეულისას, ვიდრე ნაკლებ წვნიანები. მშრალი ნედლეულის განსაკუთრებით დიდი გამოსავალი აქვს ქერქს, მაგ., მუხის ქერქი (*Cortex quercus*) შრება 3:1 თანაფარდობით, ეს ნიშნავს, რომ 3 კგ ნედლი ქერქიდან მიიღება 1 კგ ნედლეული. აგრეთვე ფესვებიც იძლევიან შედარებით მაღალ გამოსავალს მაგ: მარწყვა-ბალახის ფესვები (*Radix tormentillae*) 3:1, ფშის ეკალის ფესვები (*Radix ononilis*) 3:1, კატაბალახას ფესვები (*Radix*

valerianae) 4:1, კულმუხოს (*Radix helenii*) 4:1, შმაგას ფესვები (*Radix belladonnae*) 5:1 და ა.შ.

ბალახოვანი სახეობებისა და ფოთლოვანი ხე-მცენარეების ნედლეულის მშრალი მასალის გამოსავალი მერყეობს 4:1 დან 6:1 თანაფარდობით. ყვავილები იძლევიან მშრალი ნედლეულის გამოსავალს ჩვეულებრივ 6:1 დან 8:1 შეფარდებით. ყველაზე მაღალი გამოსავლიანობით ხორცოვანი ნაყოფები ხასიათდება, მაგ., ანწლი (*Fructus sambucus*) იძლევა მშრალი ნედლეულის გამოსავალს 8:1, მოცვი (*Fructus myrtilli*) 10:1 და ა.შ. მასალის მახასიათებლებისა და რაოდენობის მიხედვით, გამშრალ ნედლეულს ათავსებენ ტომრებში, ფუთებში, კონტეინერებში და ა.შ. ამასთან ტომრებში მოთავსების შემდეგ მაშინვე თავი უნდა მოუკერონ ისე, რომ მასალა არ ჩანდეს. ტომრები ინახება ბნელ ადგილას (თუ სინათლეში შევინახავთ, მიუხედავად იმისა, რომ მასალა გამოკერილია ტომრებში, დაგროვილი ნედლეული კარგავს ბუნებრივ ფერსა და უვარგისი ხდება). სიფრთხლე გვმართებს გადაზიდვის დროსაც, როცა ტომრებში მოთავსებული მასალა დანიშნულ ადგილამდე გადააქვთ. უნდა მივიღოთ ზომები, რომ მასალა გზაში არ დასველდეს, ან თუ მასალა დიდ მანძილზეა წასადები, მზის სხივებმა არ გააფუჭოს იგი. ამიტომ გადაზიდვა უნდა წარმოებდეს კარგ ამინდში ბრეზენტგადაფარებული. ჰიგროსკოპული ნედლეულის შესაფუთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პლასტმასის ტარა, მაგ., პოლიეთილენის ტომრები, ანდა ტარა, რომელიც ამ ნივთიერებებითაა გაჟღენთილი. გამონაკლისს წარმოადენს ეთერზეთოვანი ნედლეული, რომელთა ეთერზეთების შეწოვა ხდება პლასტმასის ტარის კედლებით. ეთერზეთოვანი ნედლეული ყველაზე უკეთესია შეიფუთოს ქაღალდის ტარაში, მრავალშრიანი ქაღალდის ტომრებში, მუყაოსა და და თუნუქის ქილებში. შხამიანი ნედლეული აუცილებელია გაშრეს განცალკევებულად, ტარაზე შესაბამისი წარწერით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვა ნედლეულის შერევა. ნედლეული საწყობებში, აფთიაქებსა თუ სახეობებში შენახულ უნდა იქნეს მშრალ, ბნელ ადგილებში შედარებით დაბალ ტემპერატურაზე (18°C-მდე). დროის გასვლის შემდეგ ნედლეული კარგავს თავის მოქმედებას, ვინაიდან მთელი რიგი აქტიური ნივთიერებები განსაზღვრული დროის შემდეგ იშლებიან. ნედლეულის აქტივობის კარგვის ხარისხი და სიჩქარე დამოკიდებულია

უპირველესად იმ ფაქტორებზე, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. საშუალოდ ნედლეულის შენახვის ხანგრძლივობა 2 წელს არ აღემატება, არის ზოგიერთი გამონაკლისიც, რომლებიც საჭიროებენ შენახვის უფრო მოკლე ვადებს, ზოგიერთებისათვის კი უფრო ხანგრძლივი პერიოდია დამახასიათებელი (Ковалева, 1972; Котуков, 1975; Мазнев, 2003; ბიძინაშვილი, 2011).

ზოგიერთი სამკურნალო ნედლეულის შენახვის ვადები (წლები)

ასკილი, ნაყოფები - 2 წელი, ამპურა, ნაყოფები - 2, არყის ხე, ფოთლები - 1, არყის ხე, კვირტები - 2, აბზინდა, ბალახი - 2, ანგელოზა, ფესვები - 3, ასისთავა, ბალახი - 2, ბაბუნაწვერა, ფესვები - 5, ბერულა, ბალახი - 3, ბეგეონდარა, ბალახი - 2, გვიმრა, ფესვები - 2, გოგრა, თესვები - 2, გულყვითელა, ყვავილები - 2, დათვის კენკრა, ფოთლები - 5, დედაფუტკარა, ბალახი - 2, დიდგულა, ყვავილები - 3, დროშერა, ბალახი - 2, ვირისტერფა, ფოთლები - 3, ვერხვი, კვირტები - 3, თავშავა, ბალახი - 3, ია, ბალახი - 2, კატაბალახა, ფესვები - 3, კრაზანა, ბალახი - 2, კვლიავი, ნაყოფები - 3, კულმუხო, ფესურები - 3, ლემა, ფოთლები - 2, მურყანი, ნაყოფები - 4, მოცვი, ნაყოფები - 2, მუხა, ქერქი - 5, მრავალძარღვა, ფოთლები - 2, მოცხარი, ფოთლები - 1, მოცხარი, ნაყოფები - 2, ნეგო, ყვავილები - 3, ოთხფურცელა მარწყვა- ბალახი, ფესურა - 6, ოხრახუში, ფესვები - 1, სამკურნალო ძიძო, ბალახი - 2, სამკურნალო გვირილა, ყვავილები - 2, სათითურა, ფოთლები - 2, სვია, ნაყოფები-გირჩები - 3, ტყის მარწყვი, ნაყოფები - 2, ტყის მარწყვი, ბალახი - 1, ტირიფი, ქერქი - 4, ფარსმანდუკი, ბალახი - 2, ფიჭვი, კვირტები - 3, ყოლო, ნაყოფები - 2, ქერიფელა, ყვავილები - 2, ქრისტესისხლა, ბალახი - 2, შვიტა, ბალახი - 4, შოთხვი, ნაყოფები - 2, ჩავა - 1, ჩვეულებრივი მათიტელა, ბალახი - 1, ცვირისატეხელა, ბალახი - 2, ძახველი, ქერქი - 4, ძირტკბილა, ფესვი - 3, ხეშავი, ნაყოფები - 2, ხეჭრელი, ფოთლები - 5, ჯადვარი, ტუბერები - 6, ჭინჭარი, ბალახი - 2

სამკურნალო საშუალებების მომზადება სახლის პირობებში

სამკურნალო მცენარეები ნატურალური სახით სამკურნალოდ იშვიათად გამოიყენება, ჩვეულებრივ მათგან ამზადებენ სხვადასხვაგვარ სამკურნალო საშუალებებს, ანუ წამლებს. ფარმაცევტული წარმოების ქარხნებში მცენარეებისაგან ღებულობენ სუფთა სახის მოქმედ ნივთიერებებს სხვადასხვა სამკურნალო ფორმების სახით: ხსნარების, ფხვნილების, აბების, მალამოებისა და სხვ. ქარხნული წესით ამზადებენ ე.წ. ვალენურ პრეპარატებს. ვალენურმა პრეპარატებმა თავისი სახელწოდება მიიღეს ძველი რომაელი ექიმის ვალენის (131-211 წწ.) საპატივსაცემოდ, რომლის მიერაც იქნა შემოთავაზებული სამკურნალო ნედლეულის დამუშავების ახალი ხერხი. ეს ხერხი ითვალისწინებდა მათგან აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურ გამოწველვას და განთავისუფლებას ბალასტების მნიშვნელოვანი ნაწილისაგან. თავდაპირველად ვალენური პრეპარატების ჯგუფში შედიოდა საპნები, სალბუნები, მღოვვი, ღვინო-ძმრის ნაერთები. შემდგომში მათ მიაკუთვნეს: ნაყენები, ექსტრაქტები, სამედიცინო წყლები, ზეთები, სპირტები, სიროფები. აფთიაქებში დაფასოებული სახით იყიდება მშრალი სამკურნალო მცენარეები და მათი ნარეგები, რომლებსაც ნაკრებებს ან ჩაის უწოდებენ.

ნედლეულის დამოუკიდებლად შეგროვებისას დაცული უნდა იყოს მცენარეთა შეგროვების ვადები, მათი გაშრობისა და შენახვის წესები. სამკურნალოდ სასურველია გამოყენებულ იქნეს ახლად გამშრალი მცენარეები, ვინაიდან ხანგრძლივი შენახვისას ისინი კარგავენ თავის სამკურნალო თვისებებს. არასოდეს არ უნდა შეგროვდეს ბალახი გზების, რკინიგზის ხაზების გასწვრივ, სამრეწველო ობიექტების მახლობლად, ქალაქში, რადგან ისინი შთანთქავენ დიდი რაოდენობის მარილებს მძიმე მეტალებიდან, მავნე ნივთიერებებს სამრეწველო გამონაბოლქვებიდან. კარგია ბალახების შეგროვება მთებში, მთისწინებზე, ტყეებში, მდელოებზე, ველებზე, დიდი ხნის ნასვენ მიწებზე. აფთიაქში ნაყიდი ან დამოუკიდებლად დამზადებული მცენარეული ნედლეულიდან სახლის პირობებში შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ისეთი სამკურნალო ფორმები, რომლებიც არ მოითხოვენ სპეციალურ აღჭურვილობას და რთულ აპარატებს: წყლიანი ნაყენები და ნახარშები,

სპირტიანი და არყიანი ნაყენები, ექსტრაქტები, წვენები, ფხვნილები, მალამოები, პასტები.

ა. ნედლეულის მომზადება

სამკურნალო საშუალებების მოსამზადებლად აუცილებელია ნედლეულის წინასწარი დაქუცმაცება, ვინაიდან მცირე ნაწილაკებისაგან მოქმედი ნივთიერებები უფრო სწრაფად და სრულად მიიღება. ჩვეულებრივ ფოთლების, ყვავილებისა და ბალახის ნაწილების ზომები არ უნდა აღემატებოდეს 5 მმ-ს; ღეროები, ქერქი, ფესვები – 3 მმ-ს; თესლები – 0,5 მმ-ს. ფოთლებს, ბალახს და ქერქს ჭრიან წვრილ ნაწილაკებად მაკრატლით; ფესვები და ფესურები იჭრება დანით ან ნაყავენ სანაყში; ნაყოფებს და თესლებს – ხელის წისქვილებში ან ტოვებენ მთლიანს. მრავალკომპონენტიანი სამკურნალო საშუალებების მომზადებისას (ჩაი, ნაკრებები) თითოეულ შემადგენელ ნაწილს აქუცმაცებენ ცალ-ცალკე, შემდეგ მას წონიან ან ზომავენ იმ მოცულობით, რაც პროპორციულადაა მითითებული; ბოლოს კი ხდება მათი არევა სუფთა ქაღალდზე და მინის ჭურჭელში - თანაბარზომიერი ნარევის მისაღებად.

ცხელი ხერხით სამკურნალო საშუალებების მისაღებად აუცილებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ემალის, მინის, ფაიფურის ან კერამიკის ჭურჭელი, რომელიც მკვრივად უნდა დაიხუროს ხუფით. უნდა გვახსოვდეს, რომ ალუმინის ან სხვა მეტალის ჭურჭელში ბალახის მოხარშვა არ შეიძლება მეტალთან რეაქციის თავიდან ასაცილებლად! მზა საშუალებების გადასანურად უნდა ვისარგებლოთ რამდენიმე ფენად დანყობილი მარლით, ან მარლით შემოხვეული ბამბითა და რბილი ბამბის ქსოვილით.

ნაყენები

ნაყენი წყლიანი გამონაწვლილია მცენარეთა იმ ნაწილებიდან, რომლებიც შედარებით ადვილად გამოყოფენ მოქმედ საწყისებს (ყვავილი, ღერო, ფოთლები, ნაყოფები). ნაყენის ცხელი წესით მომზადებისას ზემოთ აღნიშნული წესით დამზადებულ საწყის ნედლეულს ყრიან ჭურჭელში და უმატებენ ადულებულ ცხელ წყალს. ჩვეულებრივ ნაყენს

ამზადებენ ანგარიშით – 1 წილი ნედლეული 10 წილ წყალზე, უფრო ზუსტი დოზა მითითებულია რეცეპტებში. შინაგანი გამოყენებისათვის ამზადებენ ნაკლებ კონცენტრირებულ ნაყენს. ამ შემთხვევაში შეფარდება ნედლეულსა და წყალს შორის შეადგენს არა 1:10, არამედ 1:20 ან 1:30 და ა.შ. ხოლო გარეგანი ხმარებისათვის გამოსაყენებელ ნაყენებს ამზადებენ უფრო ნაკლები კონცენტრაციით. შიგთავსი გულმოდგინედ აურიეთ, ჭურჭელს დაახურეთ ხუფი და მოათავსეთ მდულარე წყლის აბაზანაში. გააცხელეთ 15 წუთით. ბინის პირობებში წყლის აბაზანა შეიძლება შეიცვალოს პატარა ჯამით ან ქვებით მდულარე წყლით. გააცხელების შემდეგ ნაყენი უნდა გააციოთ ოთახის ტემპერატურაზე 1 სთ განმავლობაში და შემდეგ გადანუროთ, დაუმატეთ მდულარე წყალი მითითებული რაოდენობით, რითაც მოხდება ამომრობილი წყლის კომპენსირება, მაგ., ანგარიშით 1:10, რომ დაამზადოთ 20 გ მცენარეული ნედლეულიდან ნაყენი, უნდა მიიღოთ 200 მლ მზა ნაყენი; თუ გადანურვის შემდეგ მიღებულია მხოლოდ 190 მლ, აუცილებელია დაემატოს 10 მლ ადულებული წყალი. ძალიან მოხერხებულია ნაყენის დამზადება ცხელი ხერხით თერმოსში. როგორც წესი, ნაყენის დღე-ღამური დოზისათვის 2 სადილის კოვზ მცენარეულ ნედლეულს უმატებენ 2 ჭიქა მდულარე წყალს სალამოს და აჩერებენ მთელ ღამეს. მეორე დღეს ღებულობენ 1/3 თბილ ნაყენს 3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე. ზოგიერთი ნაყენის დამზადება შეიძლება წყლის აბაზანის გარეშეც. ამ შემთხვევაში მცენარის დაქუცმაცებულ ნაწილებს ასხამთ მდულარეს, დგავთ ცეცხლზე ან ლუმელში, თვალი უნდა მიადევნოთ, რომ ნაყენი არ წამოდუღდეს. 15 წუთის შემდეგ უნდა გადმოიღოთ, გააციოთ და გადანუროთ. ამ წესით ნაყენის დამზადება პრაქტიკულად არ განირჩევა ჩვეულებრივი ჩაის დაყენებისაგან. უფრო ადვილია ნაყენის მომზადების შემდეგი ვარიანტი: აიღეთ 1 ჩაის კოვზი მშრალი ბალახი, დაუმატეთ 1 ჭიქა მდულარე, დააფარეთ ხუფი, გააჩერეთ 20 წთ და განურეთ. ბალახის დაღვევა საჭიროა უზომოვე, საჭმლის მიღებამდე 30 წუთით ადრე. მცენარის დაქუცმაცებულ ნაწილებს დაასხით შესაბამისი რაოდენობის ოთახის ტემპერატურის ადულებული წყალი, დახუფეთ და გააჩერეთ 4-დან 12 საათამდე. შემდეგ გადანურეთ და მიიღეთ. ნაყენს ჩვეულებრივ ღებულობენ კოვზებით (მოზრდილები – სადილის კოვზით, ბავშვები – ჩაის კოვზით).

ნახარშები

ნახარში არის წყლიანი გამონაწვლილი მცენარის იმ ნაწილებიდან, რომლებიც ცუდად გამოყოფენ მოქმედ საწყისებს და აქვთ უფრო უხეში სტრუქტურა (ქერქი, ფესვები, მერქანი, ტუბერი, უხეში ფოთლები და ა.შ.). ისინი მოითხოვენ უფრო ხანგრძლივ თერმულ დამუშავებას. ზემოთ მითითებული წესით დამზადებულ მცენარეულ ნედლეულს ასხამენ ცივ წყალს (როგორც წესი, 1:10 შინაგანად გამოსაყენებლად და 1:5 გარეგანი ხმარებისათვის), გულმოდგინედ უნდა აირიოს და ადუღდეს დაბალ ცეცხლზე ან წყლის აბაზანაში 20-30 წუთის განმავლობაში. ნახარში გააციეთ ოთახის ტემპერატურაზე 10-15 წთ-ით, შემდეგ გადანურეთ და დაუმატეთ მდულარე წყალი პირველ დანყებით მოკულობამდე. ნახარშებს ღებულობენ ნაყენების მსგავსად. ნახარშები და ნაყენები მალეუჭადია, განსაკუთრებით ზაფხულსა და თბილ შენობებში, ამიტომ უმჯობესია მათი დამზადება უშუალოდ გამოყენების წინ. მათი შენახვა საჭიროა ბნელ, გრილ ადგილას, უკეთესია მაცივარში, მაგრამ არა უმეტეს 3 დღისა. ყოველდღიური ნორმა ნახარშის მიღებისა შეადგენს ჩვეულებრივ 1 ლ-ს. ამასთან ერთ ჭიქა გამთბარ ნახარშს ღებულობენ უზმოზე, დანარჩენს კი დღის განმავლობაში 4-ჯერ ჭამიდან 1 საათის შემდეგ. ასე იქცევიან მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ყოველდღიურად ამზადებენ რა ახალ ნახარშს.

ნაორთქლი

მას ამზადებენ ისევე, როგორც ნახარშებს, იმ განსხვავებით, რომ ნედლეულს ასხამენ მდულარეს და მთელ ღამეს აჩერებენ. დილით ნაორთქლს წურავენ, ათბობენ და ღებულობენ ნახარშის მსგავსად.

სპირტიანი ნაყენი

თხევადი სამკურნალო ფორმაა, რომლის გამოსაყენებლად ხმარობენ 40-70⁰-იან სპირტს. სახლის პირობებში იყენებენ არაყს. მომზადებული საწყისი ნედლეული ჩაყარეთ ჭურჭელში (ჩვეულებრივ შუშის ბოთლში, ქილაში და სხვ.), დაასხით სპირტი, დახუთეთ და გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე. ყველაზე ხშირად 1 ნაწილ დაქუცმაცებულ მცენარეს უმატებენ ისეთი რაოდენობის სპირტს, რომ მიიღონ 5 ნაწილი მზა ნაყენი. მაგ., 20 გ მცენარიდან მიღებული უნდა იქნეს 100 მლ (100 გრ-

მდე) ნაყენი. ერთი კვირის შემდეგ ნაყენი გადაწურეთ მცენარის ნარჩენებისაგან. გამონაწერი ნაყენი ფერისგან დამოუკიდებლად გამოჭვირვალე უნდა იყოს. სპირტიანი ნაყენი გამოსადეგია ხანგრძლივი ხმარებისათვის (რამდენიმე წელიც). მას იყენებენ მცირე რაოდენობით და ჩვეულებრივ დოზირებენ წვეთებით (10-30 წვეთი), რისთვისაც ასეთ წამალს „წვეთებს“ უწოდებენ. ნაყენების შენახვა უკეთესია მუქმუშიან ჭურჭელში.

ექსტრაქტები

ექსტრაქტებს ღებულობენ დახურულ ჭურჭელში ნაყენების ან ნახარშების აორთქლებით, ყველაზე ხშირად დაწყებითი მოცულობის ნახევრამდე, რის შედეგადაც ისინი უფრო მეტადაა კონცენტრირებული. ექსტრაქტების ხმარების ვადა რამდენადმე უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ნაყენების და ნახარშების. ექსტრაქტებს სპირტიანი ნაყენებიდანაც ამზადებენ, აორთქლების გზით სპირტის ნაწილის მოცილებით. უნიშნავენ წვეთების სახით.

წვენები

უმრავლეს შემთხვევაში წვენები წარმოადგენს ყველაზე რაციონალურ საშუალებას სამკურნალო მცენარეებით მკურნალობისას. სამკურნალო მიზნით უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ახალი წვენები, რომლებიც თერმულად არ არის დამუშავებული, ვინაიდან ადუღებისას მათი სამკურნალო მნიშვნელობა მცირდება; გასათვალისწინებელია, რომ ნედლი წვენი მალე ფუჭდება, რის გამოც საჭიროა მისი რაც შეიძლება სწრაფად გამოყენება. მკურნალობისას აუცილებელია ახალი ბოსტნეულის, ხილისა და კენკროვნების გამოყენება, რაც პრაქტიკულად შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებში. წვენის ხარისხი დამოკიდებულია ნედლეულის მდგომარეობაზე. კენკროვანი და სხვა ნაყოფები უნდა იყვნენ სრული სიმწიფის სტადიაში. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და უპირველესად ვიტამინების შესანარჩუნებლად ნაყოფები უნდა დამუშავდეს არა უმეტეს 2 საათისა მათი შეკრებიდან. შეგროვილი ნაყოფები და ხილი უნდა გაირეცხოს (მაყვალს არ რეცხავენ) და დაქუცმაცდეს. ვაშლი და მსხალი უკეთესია სახეხზე გაიხეხოს. ფოთლები და ბალახი დაიჭრას

მაკრატლით, ფესვები და ბოლქვები – დანით. წვინის გამოსაწურად ყველაზე უკეთესია ისარგებლოთ საწურით, შეიძლება ხორცის საკეპის გამოყენებაც.

ფხვნილები

ფხვნილები – ეს არის მაგარი, მშრალი, ფხვიერი სამკურნალო ფორმები. მათ ამზადებენ ნედლეულის სანაყში დაქუცმაცებით. ფხვნილებში არჩევენ უწვრილესს (მტვრის მსგავსს), წვრილს (როგორც მდინარის წვრილი ქვიშა) და მსხვილს (მსხვილი ქვიშის მსგავსი). უწვრილეს ფხვნილებს იყენებენ ჭრილობების მისაფრქვევად, წყლულების დროს და ა.შ. ხოლო წვრილ და მსხვილს – შინაგანად.

მალამოები

მალამო – გარეგანი საშუალებაა, რომელსაც ღებულობენ მცენარის წვრილად დაქუცმაცებული ნაწილების შერევით მალამოების ფუძეებთან: ვაზელინი, ლანოლინი, ახალი ღორის ცხიმი, კარაქის ან მცენარეული ზეთები. მალამოები მცენარეულ ზეთზე (მზესუმზირის, ბამბის, სელის, ზეთისხილის, სიმინდის და სხვა) ან მინერალურ ცხიმებთან უკეთესად ინახება.

პასტა

პასტა მალამოს ნაირსახეობაა, რომელიც შეიცავს 25% და უფრო მეტ ფხვნილის მსგავს ნივთიერებას. ხშირად პასტების შემადგენლობაში შედის სახამებელი. მალამოებისაგან განსხვავებით, პასტები უფრო მკვრივი კონსისტენციისაა და დიდხანს ინახება.

სამკურნალო ნაკრებები

როგორც წესი, მრავალკომპონენტური სამკურნალო ნაკრებებით მკურნალობა უფრო ეფექტურია, ვიდრე ცალკეული მცენარეებით. ნაკრების შედგენისას აუცილებელია ავადმყოფის ინდივიდუალური თავისებურებების და თანმდევი დაავადებების შესახებ ზუსტი ცნობების გათვალისწინება. ნაკრების შედგენისას აუცილებელია: ა) არტერიალური წნევის მაჩვენებლების ცოდნა და მისი ცვლილებების ძირითადი ტენდენციის გათვალისწინება; მაგ., ქოლესტისტიტითა და არტერიალური ჰიპერტონიით დაავადებული ავადმყოფისათვის ნაკრების შესადგენად, მასში ამატებენ არა მხოლოდ ნალველმდენ, არამედ ჰიპოტენზიური მოქმედების მცენარეებსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მკურნალობამ

შეიძლება ჰიპერტონიული კრიზის პროვოცირება მოახდინოს და გააუარესოს საერთო მდგომარეობა. ბ). გათვალისწინებული უნდა იყოს მიდრეკილება კუჭის მოქმედებისადმი და ჩაირთოს საფაღარათო ან შემკვრელი მოქმედების მცენარეები. გ). ზოგიერთი მცენარე მოქმედებს საშვილოსნოს კუნთებზე და შეიძლება საშიში იყოს ორსულისათვის.

მცენარეული საშუალებების ნაწილმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის ალერგიული რეაქცია. ამ შემთხვევაში უნდა დაიწყოს ნაკრებში 2-3 კომპონენტის გამოყენება და მხოლოდ 5-7 დღის შემდეგ დაუმატოთ ნაკრებს თითო-თითო მცენარე, რათა გამოავლინოთ ალერგიის გამომწვევი. სამკურნალო საშუალებები ხასიათდება მრავალმხრივი მოქმედებით ადამიანის ორგანიზმზე, რაც ამართლებს ერთი და იგივე ბალახის გამოყენებას სხვადასხვა დაავადებების შემთხვევაში. სამკურნალო ნაკრები შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ათეულ მცენარეს, მაგრამ ყველაზე ხშირად კომპონენტების რიცხვი მერყეობს 3-დან 7-მდე. არსებობს სხვადასხვა რეკომენდაციები სამკურნალო ნაკრებების გამოყენებისა. ქრონიკული დაავადებებისას სამკურნალო საშუალებებს ჩვეულებრივ დებულობენ ერთი თვის განმავლობაში, შემდგომი 5-10-დღიანი შესვენებით, ან 2-3 თვის განმავლობაში შემდგომი 2-კვირიანი ან ერთთვიანი შესვენებით. აუცილებლობის შემთხვევაში ნაკრების უწყვეტად, 2-3 თვის განმავლობაში მიღებისას, მათთან მიჩვევის თავიდან ასაცილებლად, ყოველი ნაკრები მონაცვლეობით უნდა იქნეს გამოყენებული, ყოველი 10-15 დღის შემდეგ შეიცვალოს მითითებულ პერიოდში, შემდეგ კი გაკეთდეს შესვენება. ჩვეულებრივ სამკურნალო მცენარეებით მკურნალობისას გამოკეთება აღინიშნება რამდენიმე დღის შემდეგ, მაგრამ მდგრადი ეფექტი დგება მხოლოდ ხანგრძლივი (არა უმეტეს ნახევარი წლისა) და რეგულარული გამოყენებისას. 2-3 კვირის განმავლობაში დადებითი ეფექტის უქონლობისას, როგორც წესი, ნაკრები იცვლება.

მცენარეთა ნაკრებებით მკურნალობის კურსს ადგენს ექიმი, ავადმყოფის ჯანმრთელობაზე დაკვირვებების საფუძველზე! (Йорданов, 1976; Мазнев, 2003).

ბ. სამკურნალო ჩაის დამზადების ხერხები

ბალახების ჩაი შეიცავს საკვებ და ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც მეტწილად განსაზღვრავს ადამიანის ორგანიზმის ორგანოების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, მის რეგისტენტულობას და ადაპტაციურ შესაძლებლობებს. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება ვიტამინები, ეთერზეთები, ფიტონციდები, მთრიმლავი ნივთიერებები, გლიკოზიდები და სხვ. ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის უდიდესი როლი ენიჭება ასევე მიკრო და მაკროელემენტებს (რკინას, კალიუმს, კალციუმს, კობალტს, მაგნიუმს, სპილენძს, მანგანუმს, ნატრიუმს და სხვ.), რომლებსაც მცენარეები შეიცავს. სამკურნალო მცენარეების ნაკრებები, რომლებსაც იყენებენ ჩაის დასაყენებლად, რა თქმა უნდა შეიცავს უფრო მეტ ასორტიმენტს ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებისას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას, ვიდრე ცალკეული მცენარე, მათ შორის ჩვეულებრივი კოფეინის შემცველი ჩაიც. ამიტომ მცენარეული კომპოზიციების მიღება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ბევრად უმჯობესია.

ტრადიციულად ჩაის დასაყენებლად იყენებენ შემდეგ მცენარეებს: ამპურა (ნაყოფები), ასკილის სხვადასხვა სახეობები (ფოთლები, ყვავილები, ნაყოფები), ბარამბო (ბალახი), ბეგქონდარა (ბალახი), დიდგულა (ფოთლები, ნაყოფები), თავშავა (ბალახი), ვირისტერფა (ფოთლები), მაცვლის სხვადასხვა სახეობები (ფოთლები, ყვავილები), მარმუჯი (ბალახი), მოცვი (ფოთლები), მჟაველა (ფოთლები), ჟოლო (ფოთლები, ნაყოფები), ვაშლი (ფოთლები), კომში (ფოთლები), კრაზანა (ბალახი), კუნელის სხვადასხვა სახეობები (ფოთლები, ყვავილები, ნაყოფები), ორკილა (ფოთლები), სამკურნალო ძიძო (ყვავილები), ტყის მარწყვი (ფოთლები, ყვავილები, ნაყოფები), შავი მოცხარი (ფოთლები), ხახამა (ფოთლები, ყვავილები), ქათურა (ფოთლები, ყვავილები), ჭინჭრის-დედა (ფოთლები, ყვავილები), ჭინჭარი (ფოთლები) და სხვ.

გ. ჩაის მომზადების წესები:

I წესი - ჩაის დასაყენებლად იყენებენ მხოლოდ იმ მცენარეებს, რომლებიც ხასიათდება სასიამოვნო გემოთი და სუნით, არ არის შხამიანი და ხალხში აპრობირებულია.

II წესი - ჩაის ნაკრებებისა და მცენარეული კომპოზიციების შედგენისას საჭიროა ორგანიზმის აუცილებელი მაჩვენებლების განსაზღვრა, ნაკრებებში მცენარეების შეთავსებადობა, წონითი პროპორციებისა და დოზების დაცვა. ამ წესის შესრულება ორი ხერხითაა შესაძლებელი: 1. ჩაის დასაყენებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ცნობილი ფიტოთერაპტეების აპრობირებული და სახალხო მკურნალების სამკურნალო ნაკრებები. რასაკვირველია, უნდა შეირჩეს მხოლოდ ის ნაკრებები, რომლებსაც ტრადიციულად იყენებდნენ ჩაის დასაყენებლად. 2. გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური, ტრადიციული ჩაის ნაკრებები, რომელსაც ბალახოვანი ჩაის ცნობილი სპეციალისტები სთავაზობენ.

III წესი - არ უნდა იქნეს დაშვებული დოზის გადამეტება და გადაჭარბებულად ჩაის მიღება. თუ შერჩეული ჩაი არ მოგეწონათ, არ იწვევს სასიამოვნო შეგრძნებებს, არ მოაქვს სიხარული, უმჯობესია მასზე უარი თქვათ და შეცვალოთ; მცენარეული კომპოზიციების შერჩევა პრაქტიკულად განუსაზღვრელია.

მხოლოდ სწორად დამზადებული ჩაი შეიცავს აქტიურ ნივთიერებათა ოპტიმალურ რაოდენობას. ჩაი უნდა მომზადდეს ნედლეულისა და წყლის შესაბამისი დოზებით, გაცხელებული იმ ტემპერატურამდე, რომელიც საჭიროა მოცემული აქტიური ნივთიერებისათვის. უპირველესად რამდენიმე სიტყვა ნედლეულის დოზაზე. გავრცელებულია არასწორი აზრი, თითქოს დიდი რაოდენობის ნედლეულიდან შეიძლება მომზადდეს მეტად მოქმედი ჩაი. აქტიური ნივთიერებების მაღალმა კონცენტრაციამ შეიძლება უკურნაქვია გამოიწვიოს და ავადმყოფს ზიანი მიაყენოს, ამიტომ არ შეიძლება ჩაის მომზადებისას ნედლეულის რაოდენობის გაზრდა იმ ნორმაზე მეტად, რაც გამოცდილი და პრაქტიკულად მრავალჯერ დამტკიცებულია.

აღსანიშნავია, რომ პირამდე გავსებული ჩაის კოვზი იტევს 1,5-2 გ ჩაის ნაკრებს, სადილის კოვზი მოიცავს 5 გ-ს; თუ ჩაი მზადდება არა ნაკრებისაგან, არამედ სუფთა ნედლეულისაგან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ სადილის კოვზი მოიცავს დაახლოებით 3 გ ყვავილებს, 4-5 გ ფოთლებს, 6-10 გ ფესვებს, ქერქს ან ნაყოფებს. მიუთითებენ რა ჩაის ჭიქის ნორმაზე, მხედველობაში აქვთ 100-150 მლ მოცულობა. აბაზანების ან მაღამოების დასამზადებლად იღებენ მეტი რაოდენობის ნედლეულს, საშუალოდ 150-400 გ, ბავშვებისათვის – განახევრებულს. ნედლეული, რომელიც აფთიაქში იყიდება შესაბამისად უკვე დამზადებულია (დაჭრილია მსხვილ ნაწილებად, საშუალოდ - 6 მმ, წვრილად - 3 მმ, უხეშად დაქუცმაცებული - 2 მმ, უფრო წვრილად დაქუცმაცებული ნედლეულისაგან მიღებულია ფხვნილები). შინაურ პირობებში ჩაის დამზადებისას რეკომენდირებულია მასალის დაჭრა უფრო მსხვილ ნაწილებად.

ჩაის მომზადების ხერხი დამოკიდებულია სითხის ტემპერატურაზე, გამოყენებულია უმრავლეს შემთხვევაში წყალი.

ხანგრძლივ გამოწვლილს, დაყენებულს რამდენიმე საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე (15-20°C), ეწოდება მაცერაცია. მაცერაცია გამოიყენება ჩაის მისაღებად იმ ნედლეულიდან, რომელთა აქტიური ნივთიერებები წყალში ადვილად იხსნება ან ცხელი წყლის მოქმედებით იშლება.

მაცერაციას უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ჩვეულებრივ 35-34°C, მაგრამ არა უმეტეს 50°C, ეწოდება ნაწური (ნაჟური). გამოიყენება ქერქის ან მერქნისაგან ჩაის დასამზადებლად, ანუ მაგარი ნედლეულისგან, რომელიც ცუდად ითვისებს ცივ წყალს.

თუ ნედლეულს ხარშავთ 10 წუთის განმავლობაში, ან ადუღებულ წყალს დაასხამთ და ადუღებული წყლის აბაზანაში დატოვებთ 30 წუთს, მიიღება ნახარში (decoctum).

ჩაის ძირითადად ამზადებენ ნაყენების (infusum) სახით. ამასთან, ნედლეულს ჭურჭელში ოდნავ ასველებენ ცივი წყლით, შემდეგ კი ასხამენ ცხელ წყალს, ხურავენ და აჩერებენ 15 წუთის განმავლობაში. სამკურნალო ჩაის სვამენ შაქრისა და სხვა (სიროფების) დამატების გარეშე, თუ ეს არ არის რეკომენდირებული. სვამენ მცირე ულუფებით, არც თუ ისე ცხელს, დაავადების ხასიათიდან გამომდინარე, დღეში

ერთხელ ან რამდენჯერმე (Носаль и др. 1960; Священик А. Жуков, 2008); (ბიძინაშვილი, 2011).



ნანილი II სამკურნალო მცენარეების კულტურა



*“აღამიანო, რატომ კვდები შენ?
შენს ბაღში ხომ საღები იზრდება!”*

სალერნოს კოდექსი

სამკურნალო მცენარეების მოყვანა პლანტაციებზე

ბოლო წლების საერთო სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში ველურად მოზარდი მცენარეული ნედლეულის დამზადების მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 50%. ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალურად გამოყენების მიმართ მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, მათი წილი ნედლეულის ბალანსში მნიშვნელოვნად მცირდება, აღინიშნება ტენდენცია სამკურნალო მცენარეების მარაგის შემცირების, რაც მრავალმხრივი მიზეზითაა გამოწვეული.

ახალი ფიტოპრეპარატების დანერგვა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი წარმოება უზრუნველყოფილია ნედლეულის საჭირო ბაზით. სწავლულები ამას ითვალისწინებენ ობიექტის შერჩევისას, ვინაიდან მიღებული პრეპარატი ნედლეულის ბაზის უქონლობის შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ ის გამოირჩევა ორიგინალობით, მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით, შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში დარჩეს სამეცნიერო ლაბორატორიის თაროზე.

როგორ უნდა მოხდეს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მარაგის შევსება? ყველაზე რთულად დგას საკითხი ველურად მოზარდი მცენარეების ნედლეულთან მიმართებაში, ვინაიდან მათი მარაგი, ადრეულ პერიოდებთან შედარებით მეტად მწირია. აქ აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს სწორი დამზადება და შეიქმნას ნედლეულის ბაზის დამატებითი რეზერვი იმ მცენარეებისაგან, რომლებიც ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოსაა უკვე დამტკიცებულ სახეობებთან, რომელთა მარაგი მკვეთრადაა შემცირებული. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა ახალი სამკურნალო სახეობების ძიება ფილოგენეტიკური ნათესაობის პრინციპით და ორიენტაცია ქვეყნის იმ რაიონებზე, სადაც რიგი მცენარეების სამკურნალო თვისებები სუსტადაა

შესწავლილი, ხოლო დამზადების მოცულობა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.



გულყვითელას (*Calendula officinalis*) პლანტაციები

ასევე მეტად მნიშვნელოვანია მცენარეული ნედლეულის უზრუნველსაყოფად სამკურნალო მცენარეების კულტივირება სანარმოო მასშტაბებით, რისი განხორციელება ხელეწიფებათ როგორც ბოტანიკური, ასევე აგრონომიული პროფილის სპეციალისტებს.

ნათელია, რომ მომავალში კულტივირებული სამკურნალო მცენარეები გახდება ძირითადი წყარო ჯანდაცვის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად; ამასთან, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ახალი სამკურნალო მცენარეების კულტურაში დანერგვის პროცესს, მათ შორის ენდემური, რელიქტური, იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი სახეობების ინტროდუქციას და კულტივირების შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებას.



ზატრანას (Crocus sativus) კულტურა

სამკურნალო მცენარეების მოყვანა პლანტაციებზე მოიცავს ღონისძიებების კომპლექსს, მიმართულს მცენარეთა განვითარების კანონზომიერების შესასწავლად ზრდის ახალ პირობებში და მათი გამოზრდის აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავებას. სამკურნალო მცენარეების ახალი სახეობების კულტურაში დანერგვის სამუშაოები მოიცავს 3 ეტაპს:

პირველი ეტაპი - სათესი და სარგავი მასალის შეგროვებაა, რომელიც სამუშაოს ძირითადი ნაწილია, ვინაიდან ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების პოპულაციები, მათი არეალის სხვადასხვა ფართობებზე განსხვავდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის რაოდენობრივი შემადგენლობით; მით უმეტეს, რომ ეს განსხვავებები გენეტიკურადაა განპირობებული. მოითხოვს დიდი რაოდენობის სათესი და სარგავი მასალის შეგროვებას, რომელიც წარმოადგენს შესასწავლი სახეობების ფორმებისა და ეკოტიპების



სამკურნალო გვირილას (*Matricaria recutita*) პლანტაციები



უენშენის (*Panax Ginseng*) კულტურა



სტელაჟებზე სამკურნლო გვირილას გაშრობა



სამკურნლო მცენარეების მზა ნედლეული

მაქსიმალურ რიცხვს. პარალელურად მიმდინარეობს ველური სამკურნალო მცენარეების ეკოლოგიური პირობებისა და ზრდა-განვითარების თავისებურებების შესწავლა.

მეორე ეტაპზე - დგინდება ველური სახეობის ბიოლოგიური თავისებურებები კულტურის პირობებში და მისი ბიოლოგიური პოტენციალი. შეისწავლება მცენარის სასიცოცხლო ციკლი და გარემოს აუცილებელი გარეგანი პირობები; ზრდა და მოსავლიანობა (პროდუქტიულობა), ნედლეულის დამზადების განვითარების ფაზა, მოქმედი (ბიოლოგიურად აქტიური) ნივთიერებების შემცველობა ნედლეულში და სხვ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება ახალი სამკურნალო კულტურის ეკონომიური შეფასება (განსაზღვრავენ ნედლეულის თვითღირებულებას), საზღვრავენ მათი განთავსების ზონებს, ამუშავებენ პლანტაციებში მათი გამოზრდის აგროტექნიკურ ღონისძიებებს. ახალი სამკურნალო კულტურების გაშენების შესაბამისი ზონების შერჩევის აუცილებლობა განპირობებულია სამკურნალო ნედლეულის პროდუქტიულობისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის გეოგრაფიული ცვალებადობით. მაგალითად, მშრალ სუბტროპიკებში მოზარდ მცენარეებში ალკალოიდების, საპონინების, ეთერზეთებისა და შაქრების შემცველობა მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ჩრდილოეთსა და შუა სარტყელში. ზოგიერთი მცენარის გამოზრდა შესაძლებელია მხოლოდ მათი ბუნებრივი არეალის საზღვრებში, სხვები კარგად იტანენ აკლიმატიზაციას. პარალელურად წარმოებს სამუშაოები სათესი (სარგავი) მასალის დაგროვებისა საცდელ-საწარმოო პლანტაციების (0,5-1,0 ჰა ფართობზე) შესაქმნელად. ამგვარად, მეორე ეტაპი მოიცავს დასკვნებს მოცემული სახეობის კულტივირების შესაძლებლობებსა და მათი გამოზრდის აგროტექნიკის წინასწარ რეკომენდაციებს.



სამკურნალო ტუხტის (*Althaea officinalis*) კულტურა

მესამე ეტაპზე - წარმოების პირობებში ისწავლება შემდეგი საკითხები: სამკურნალო მცენარის-მინდვრის კულტურის ადგილი თესლობრუნვაში, თესვისწინა ნიადაგის დამუშავების ხერხები, თესვის (რგვის) ვადები, ნორმა და ხერხები, მცენარეთა მოვლის ღონისძიებები, სასუქების გამოყენება და ა.შ. ეტაპის დამამთავრებელია პლანტაციებზე სამკურნალო მცენარის კონკრეტული სახეობის აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება.

სამკურნალო მცენარეების ახალი სახეობების კულტურაში შეყვანის სამუშაოები ძლიერ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია; ერთნლოვანი სამკურნალო მცენარისათვის 3-4 წელი, მრავალწლოვანი, ვეგეტატიურად გასამრავლებელი მცენარეების - 6-7 წელი, ხოლო თესლით გამრავლებული მრავალწლოვნებისათვის - 10 წლამდეა საჭირო. პერიოდი სამკურნალო მცენარის შესწავლის დამამთავრებიდან მისი ნედლეულის ბაზის შექმნამდე გრძელდება არაუმცირეს 5 წლისა. ამგვარად, ერთნლოვანი მცენარეებისათვის ახალი პრეპარატის ნედ-

ლველის ბაზის შექმნას ესაჭიროება 8 წელი, მრავალწლოვნებს კი 15-მდე წელი.

კულტურაში შეყავთ ფარმაცევტული მრეწველობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობები, რომლებიც აუცილებელია ახალი სამკურნალო პრეპარატების შესაქმნელად. სამკურნალო მცენარეების კულტივირება საშუალებას იძლევა გაფართოვდეს გამოსაყენებელი სახეობების ასორტიმენტი, ასევე უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ნედლეულს. სადღეისოდ შემუშავებულია სამკურნალო მცენარეების 60-მდე სახეობის აგროტექნიკური ღონისძიებების ძირითადი ხერხები (Муравьева, 1978;

<http://www.derev-grad.ru/nedrevesnya-produkciya/kultivirovanie-lekarstvennyh-rast...2010>).



სამკურნალო მცენარეების კულტივირების ძირითადი პრინციპები

სამკურნალო მცენარეთა გამრავლება სპეციალიზებული მემცენარეობის შედარებით ახალგაზრდა დარგია. მის სათავეებთან იდგნენ შუა საუკუნეების სამონასტრო ბაღები, რომლებიც აფთიაქებს ამარაგებდნენ სამკურნალო მცენარეული ნედლეულით.

ზოგიერთი სამკურნალო მცენარის ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება იწყება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც პირდაპირი ანარეკლია სამკურნალო მცენარეთა მიმართ გაზრდილი ინტერესისა. ამავე პერიოდიდან აღინიშნება ტენდენცია სამკურნალო მცენარეების კულტივირების არა მხოლოდ ცალკეული სახეობის წარმოების მოცულობის, არამედ მათი რაოდენობის თვალსაზრისითაც. თუ XX საუკუნის დასაწყისში მას მხოლოდ მეზღვეობის ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან თესლიდან გამოზრდილ ჩითილებს ძირითადად მცირე ფართობზე (არა უმეტეს 1 ჰა) რგავდნენ, სადღეისოდ სამკურნალო მცენარეების გამოზრდა მკვეთრად გამოხატულ სასოფლო-სამეურნეო ხასიათს ატარებს. ჭარბობს თესვა ღია გრუნტში დიდ ფართობებზე, გამოიყენება ტექნიკა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართ.

ამჟამად ზომიერ და სუბტროპიკულ ზონებში მოჰყავთ 100-მდე სახეობის სამკურნალო მცენარე, ბევრი მათგანი მსხვილი წარმოების მასშტაბით, კერძოდ: *Adonis vernalis*, *Aloe arborescens*, *Althaea officinalis*, *Atropa bella-donna*, *Allium cepa*, *A. sativum*, *Anethum graveolens*, *Apocynum cannabinum*, *Armoracia rusticana*, *Asparagus officinalis*, *Ammi majus*, *Ammi visnaga*, *Bidens tripartita*, *Calendula officinalis*, *Capsicum annum*, *Carum carvi*, *Claviceps purpurea*, *Coriandrum sativum*, *Digitalis lanata*, *D.purpurea*, *D. ciliata*, *Datura stramonium*, *Hyosциamus niger*, *Hypericum perforatum*, *Foeniculum vulgare*, *Echinops sphaerocephalus*, *Leunurus quinquelobatus*, *Leucoium aestivum*, *Matricaria recutita* = (*Chamomilla recutita*), *Mellisa officinalis*, *Mentha piperita*, *Ocimum basilicum*, *Ononis arvensis*, *Origanum vulgare*, *Papaver somniferum*, *Panax ginseng*, *Pimpinella anisum*, *Plantago psyllium*, *P. major*, *Polemonium*

coeruleum, Pyrethrum cinerariifolium, Ricinus communis, Rheum palmatum, Rubia tinctorum, Saturea hortensis, Salvia officinalis, S. sclarea, Scopolia carniolica, Solanum laciniatum, Thymus vulgaris, T. serpyllum, Valeriana officinalis, Vinca minor და სხვა. ვინაიდან კულტივირებული სამკურნალო მცენარეების უმრავლესობა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან განსხვავებით არც თუ დიდი ხანია რაც ინტროდუცირებულია, ზოგიერთი მათგანი კულტურაში ინარჩუნებს ველური სახეობის რიგ ნიშან-თვისებებს, რაც ხელს უშლის მათ წარმატებით გამოზრდას. ოპტიმალური აგროტექნიკური მეთოდების ძიებისას მიმდინარეობს სელექციური სამუშაოები მაღალხარისხოვანი ერთგვაროვანი ჯიშების მისაღებად და, რაც მნიშვნელოვანია, მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის ასამაღლებლად.

სამკურნალო მცენარეების კულტივირებისას ვრცელდება იგივე პრინციპები, რაც სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართ, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია მათი განსაზღვრული, სპეციფიკური თავისებურებები დარაიონების, გამოკვების, დაცვის და შეგროვების თვალსაზრისით. მოკლედ შევჩერდებით თითოეულ მათგანზე.

სამკურნალო მცენარეების ჩართვა თესლბრუნვაში და მათი დარაიონება

სამკურნალო მცენარეების თესლბრუნვაში ჩართვისას ხელმძღვანელობენ იმ თვალსაზრისით, რომ, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მათგანი თესლბრუნვაში ჩართულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ანალოგიურია. კერძოდ, ცალკეული სამკურნალო მცენარეების გამოზრდა მარცვლოვანი კულტურების მსგავსადაა შესაძლებელი (*Carum carvi, Foeniculum vulgare, Coriandrum sativum*), ძირხვევნების ანალოგიურად (*Valeriana officinalis, Digitalis lanata, D.purpurea, D.ciliata*), საკვები კულტურების იდენტურად (*Mentha piperita, Melissa officinalis, Origanum vulgare, Leonurus cardiaca*) და სხვ. (Вопросы агротехники возделыв. л.к.. 1978).

სამკურნალო მცენარეების წარმატებით გამოზრდისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა: **შესაბამისი დარაიონება** - მათი გა-

მოზრდა კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების მქონე ისეთ რაიონებში, სადაც არსებობს ოპტიმალური შესაძლებლობები შესაბამისი სახეობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა სითბოს, ტენისა და ნიადაგის მიმართ; **მცენარეთა განლაგება სათანადო წარმოების ტიპზე**; ამ პირობების დაცვა აუცილებელია იმ სახეობებთან მიმართებაში, რომელთა კულტივირება წარმოებს ძირითადი ბუნებრივი ადგილსამყოფელებიდან განსხვავებულ ნიადაგობრივ-კლიმატურ ზონებში. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ორი ფაქტორი: **კლიმატი და ნიადაგები** ახდენენ ძლიერ ზემოქმედებას სამკურნალო მცენარეთა მოსავლიანობასა და აქტიურ ნივთიერებათა შემცველობაზე.

კლიმატი წარმოადგენს რამდენიმე ფაქტორის კომპლექსს: **ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა, მზის სინათლე, ჰერის მოძრაობა, სიმაღლე ზღვის დონიდან, ექსპოზიცია** და სხვ. კლიმატური პირობების მოქმედება მცენარეებზე მთელი კომპლექსით და ცალკეული ფაქტორის მოქმედების მიკვლევა მეტად მნიშვნელოვანია და თითოეულ კულტურაზე დანვრილებით გამოკვლევას მოითხოვს, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამა თუ იმ მცენარის დამოკიდებულება კლიმატური ფაქტორებისადმი. ასე მაგ.: ეთერზეთოვანი და სხვა სითბოს მოყვარული სამკურნალო მცენარეების კულტივირება უნდა მოხდეს იმ ადგილებში და იმ წარმოების ტიპზე, რომელიც მიესადაგება მათ ბიოლოგიურ თავისებურებებს - მაღალი განათებისა და სითბოს პირობებში და ა.შ.

კლიმატის გავლენა აქტიურ ნივთიერებათა შემცველობაზე უდავოა. უფრო მაღალი საშუალო ტემპერატურა იწვევს ხელსაყრელ ზემოქმედებას ეთერზეთების წარმოსაქმნელად, ეს ეხება - *Foeniculum vulgare*, *Marrubium vulgare*, *Lavandula officinalis*, *Rosmarinus officinalis*, *Melissa officinalis*, *Thymus vulgaris* და სხვ. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში აუცილებელია შემოწმდეს, იქნება თუ არა თბილი რაიონები გამოსადეგი ამა თუ იმ კულტურისათვის ეთერზეთების შემადგენლობის შემცველობის თვალსაზრისით; ასე მაგ.: სამკურნალო გვირილა, რომელიც მოჰყავთ თბილ, სუბტროპიკულ რაიონებში, მართალია გამოირჩევა ეთერზეთების მაღალი შემცველობით, მაგრამ მასში არ აღინიშნება ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი - ხამაზულენი, რომელიც

განსაზღვრავს მის ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, ხოლო ცენტრალური ევროპის ცივ რაიონებში (გერმანია, საფრანგეთი, ჩეხეთი და სხვ.) წარმოებული გვირილა ხასიათდება სწორედ ხამაზულენის მაღალი შემადგენლობით, რის გამოც უფრო მაღალ ხარისხოვნად ითვლება (Эфиромас. растен. 1968).

ალკალოიდების შემცველი მცენარეები: ლენცოვა (*Hyosciamus niger*), ლემა (*Datura stramonium*), შმაგა (*Atropa caucasica*), სკოპოლია (*Scopolia carniolica*) და სხვ. რეაგირებს მაღალ ტემპერატურასა და მზის სინათლის სიმძლავრეზე და შესაბამისად იზრდება მათში ალკალოიდების რაოდენობა; ხოლო დაბალი ტემპერატურა, ღრუბლიანობა და ხანგრძლივი წვიმები იწვევს მათ შემცირებას. ასევე ტენის სიჭარბე ხელს უწყობს ლორწოვანი ნივთიერებების შემცველობის შემცირებას ტუხტსა (*Althaea officinalis*) და ბალბაში (*Malva sylvestris*). შემოდგომის წყინეების შედეგად მცირდება გლიკოზიდების შემცველობა ფუტკარას (*Digitalis lanata*) ფოთლებში და ა.შ.

დაჩრდილვაც აგრეთვე ხელს უწყობს აქტიური ნივთიერებების შემცველობის დაქვეითებას, მაგ.: სამკურნალო გვირილაში ეთერზეთებისას, რის გამოც მისი გამოზრდა, როგორც შუალედური კულტურისა, ხილის ბაღებში წამგებიანია, ვინაიდან შეიცავს მნიშვნელოვნად ნაკლებ ეთერზეთებს, ვიდრე მინდორში გაზრდილი, როგორც მონოკულტურა (Илиева, 1971).

ნიადაგი და განოციერება

კლიმატთან ერთად სამკურნალო მცენარეებში აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის განსაზღვრელია ნიადაგის ფაქტორი, უპირველესად კი მისი ნაყოფიერება, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა, საკვები ნივთიერებების რაოდენობა და სხვ. მაგალითად, არ შეიძლება სამკურნალო მცენარეთა გამოზრდა ფესვების, ფესურებისა და ბოლქვების მიღების მიზნით მძიმე ნებოვან ნიადაგებზე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ნიადაგების დამუშავება გაძნელებულია, არამედ ამავე დროს, როგორც ირკვევა, ასეთ მცენარეებში მცირდება აქტიური ნივთიერებების დაგროვება, რაც დამტკიცებულია ნამდვილი რევანდის (*Rheum palmatum*), ოხრახუმის (*Petroselinum crispum*), სამკურნალო ტუხტის (*Althaea officinalis*) ყვითელი ნალველას (*Gentiana lutea*) და

სხვათა მაგალითზე. შესაბამისად, ტენის მოყვარული მცენარეების გამოზრდა არ შეიძლება მშრალ, ხოლო სიმშრალის მოყვარული მცენარეებისა ტენიან ნიადაგებზე (Вехов и др., 1978).

აქტიურ ნივთიერებათა შემცველობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ნიადაგის რეაქცია. მაგ.: ხაოიანი ფუტკარას (*Digitalis lanata*) კალციუმის მაღალშემცველ ნიადაგებზე მოყვანისას მაღალ მოსავლიანობასთან ერთად ხასიათდება გლიკოზიდების მეტი შემცველობით, ვიდრე უფრო სუსტ მუავე ნიადაგებზე, ხოლო მისი მონათესავე სახეობა მენამული ფუტკარა (*Digitalis purpurea*) ვერ იტანს ნიადაგში კალციუმის არსებობას და მაღალ მოსავალსა და გლიკოზიდების მაღალ შემცველობას იძლევა ფოსფორით მდიდარ ნიადაგებზე. აზოტოვანი ნივთიერებებით მდიდარი ნიადაგები ხელს უწყობენ ალკალოიდების შემცველ მცენარეებში მათი დიდი რაოდენობით დაგროვებას, რაც დადგენილია ლემას (*Datura stramonium*), შმაგას (*Atropa bela-donna*), ჭვაველას (*Claviceps purpurea*) და სხვათა მაგალითზე (Оголовец, 1948).

სამკურნალო მცენარეების მოსავლის და ხარისხის სტიმულირება შესაძლებელია სასუქების ოპტიმალური გამოყენებით, ნიადაგში აქტიური საკვები ნივთიერებების შემადგენლობასა და სიჭარბეზე დამოკიდებულებით და ცალკეულ კულტურების მიმართ მათი მოთხოვნილებით, კერძოდ: ის სამკურნალო მცენარეები, რომელთა გამოზრდა წარმოებს ფესვებისა და ფესურების მიღების მიზნით, საჭიროებს კალიუმისა და სასუქებით გამოკვებას. მცენარეები, რომლებიც გამოიყენება ყვავილებისა და ნაყოფების მისაღებად, მოითხოვს ფოსფორიანი სასუქებით განოყიერებას; ხოლო იმ მცენარეების გამოსაკვებად, რომელთა გამოზრდა წარმოებს ბალახისა და ფოთლის ნედლეულის მისაღებად, გამოიყენება აზოტოვანი სასუქები. ასევე მნიშვნელოვანია მათი როლი ალკალოიდების გამომუშავების ასამაღლებლად, განსაკუთრებით თუ შესაბამისი ნორმა გაიყოფა და გამოკვება ჩატარდება მთელ სავეგეტაციო პერიოდში, ხოლო კალიუმის სიჭარბე ალკალოიდების შემცველ ზოგიერთ მცენარეში, პირიქით, მათ შემცირებას იწვევს, რაც დადასტურებულია ხაშხაშის (*Papaver somniferum*) გამოკვლევის საფუძველზე. ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ურთიერთგამომრიცხავ მონაცემებს სამკურნალო მცენარეებში გამოკვების მოქმედებაზე, მათში აქტიურ ნივთიერებათა ხარისხსა და შემცველობასთან დაკავშირებით, რაც

უმთავრესად შედეგია არასწორად დაყენებული ცდებისა და არასრული ანალიტიკური სამუშაოებისა, აგრეთვე იმისა, რომ ცდები გამოკვების რეგულირების თვალსაზრისით არ შეესაბამება ნიადაგში აქტიურ ნივთიერებათა შემცველობას.

სადღეისოდ არსებობს მთელი რიგი პრეპარატები, რომლებიც ახდენენ მცენარეთა სტიმულირებას, მეტაბოლიზმის რეგულირებას და მათ განვითარებას, ესაა ე.წ. მორფორეგულატორები და მათი პრაქტიკული გამოყენება მხოლოდ ახლა იწყება.

სელექციური სამუშაოები ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სამკურნალო მცენარეების ფართო წარმოებაში. უფრო ხშირად გამოიყენება შერჩევის მეთოდი, ასე მაგ., ამ გზითაა მიღებული ჭვაველას (*Claviceps purpurea*) მაღალხარისხოვანი შტამები, ფუტკარას (*Digitalis lanata*), სამკურნალო გვირილას (*Matricaria (chamomilla) recutita*) და სხვ. ახალი ჯიშები, რომლებიც აქტიურ ნივთიერებათა მაღალი პოტენციური შემადგენლობით გამოირჩევა.

სელექციური სამუშაოების ფართოდ გავრცელებულ მეთოდად ითვლება ჰიბრიდიზაცია, რომლის დროსაც სელექციონერი ახდენს მშობლების ეკონომიკური ნიშან-თვისებების კომბინირებას, რაც შთამომავლობაში ხელსაყრელ შედეგებს იძლევა.

სამკურნალო მცენარეებს და მათგან მიღებულ ნედლეულს მთელი რიგი ბუნებრივი მტრები ჰყავთ. ისინი ზიანდებიან **დაავადებებით და მავნებლებით**, რომელთაგან დაცვა აუცილებელია. თუ არ მივიღებთ ყურად მცენარეთა დაზიანებებს, რომლებიც ფიზიოლოგიურ ხასიათს ატარებენ, რაც გამოწვეულია ყინვებით, სიმშრალის, არასწორი გამოკვებით და სხვ., ძირითადად უნდა აღინიშნოს მავნე ფაქტორები: ბაქტერიული, სოკოვანი, ვირუსული დაავადებები და მავნებლები. მათ წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს კომპლექსურად მემცენარეობაში მიღებული წესით.

ასევე მნიშვნელოვანია სამკურნალო მცენარეების გამოზრდაში მათი სარეველებისაგან დაცვა, ვინაიდან დასარეველიანებულ ნაკვეთებზე მცენარეთა ხარისხი ბევრად უარესია. სარეველებთან ბრძოლა უპირველეს ყოვლისა მიმდინარეობს შესაბამისი აგროტექნიკური სამუშა-

ოებისა და კულტივაციის საშუალებით, რომლებიც მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ტარდება (სასუქების ცნობარი... 1960).

ამგვარად, ზემოაღნიშნული ყველა კომპონენტის გათვალისწინებით შესაძლებელია კულტურაში სამკურნალო მცენარეების მაღალი მოსავლისა და, რაც მთავარია, ბიოლოგიურად მაღალაქტიური ნივთიერებების შემცველი ნედლეულის მიღება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო მცენარეების გამოყენებასთან დაკავშირებით ხშირად ისმის კითხვა: ველურად მოზარდი თუ კულტურული სამკურნალო მცენარეები? ამასთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება. ერთნი თვლიან, რომ ველურად მოზარდ სამკურნალო მცენარეებს ახასიათებთ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების უფრო მეტი შემცველობა, ვიდრე კულტივირებულ სამკურნალო მცენარეებს, მეორენი კი – სანინალმდეგოს ამტკიცებენ.

როგორც ირკვევა, ამ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები: ბუნებრივ პირობებში მოზარდი მცენარეებიდან აგროვებენ იმ სახეობებს:

- რომელთა მოყვანა კულტურის პირობებში ჯერ შეუძლებელია და რომელთა მარავი მნიშვნელოვანია. მაგ.: შხამა.
- რომელთა სპეციალიზებულად მოყვანა არაეფექტურია მაგალითად, მრავალი სამკურნალო ხე-ბუჩქი: ცაცხვი, შოთხვი, მუხა, ღვია, ხეშავი, ასკილი, ანწლი, მოცვი და სხვ.

რომლებიც თხოულობენ ზრდის განსაკუთრებულ პირობებს, რის მიღწევაც შეუძლებელია ჩვეულებრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებში. მაგალითად, წყლის ზამბახი, წყლის სამყურა, წყლის იელი, წყლის მრავალძარღვა, კოთხუჯი და სხვ.

(Оголевец, 1948; Илиева, 1971; Вопросы агротехники возделывания лекарственных растений, 1978. Ыирасек, Стары, 1982).

ხოლო კულტურის პირობებში ის სამკურნალო მცენარეები მოჰყავთ, რომლებიც:

- უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც მინდვრის კულტურები. მაგალითად, ხახვი, ნიორი, ზაფრანა და სხვ.
- სამკურნალო მიზნებისთვის დიდი რაოდენობით გამოიყენება და ველურად მოზარდი ნედლეულის დამზადება ვერ უზრუნველყოფს

საერთო მოთხოვნები, კერძოდ: შრომანა, სამკურნალო გვირილა, სამკურნალო კატაბალახა და სხვ.

- ბუნებაში განსაზღვრული ოდენობით არიან წარმოდგენილი, იზრდებიან დიფუზურად, არ წარმოქმნიან რაყებს, რის გამოც შეუძლებელია ბუნებრივ პირობებში მათი დამზადება მნიშვნელოვანი რაოდენობით. მაგალითად, შრეში, ზაფრანა, კულმუხო და სხვ.

- ნაკლები შრომის ფასად შესაძლებელია მათი კულტურაში შეყვანა და რომელთა მოყვანა საწარმოო ნაკვეთზე ეკონომიკურად მომგებიანია. მაგალითად, ლურჯი ზამბახი, ქონდარა ზამბახი და სხვ.

განსაკუთრებულ ჯგუფს წედლეულის მიღებისას წარმოდგენენ სახეობები, რომლებიც ნახევრად კულტურულ პირობებში მზადდება. სხვა სიტყვებით, ადამიანი უშუალო ჩარევით ამრავლებს ამ მცენარეებს მათი გავრცელების ბუნებრივ პირობებში. ძალიან კარგ შედეგს იძლევა ნახევრად კულტურული გამრავლება შემდეგი სახეობებისა: ყენშენი, არალია, ფუტკარა და სხვ.

დადგენილია ასევე, რომ ბუნებრივად მოზარდ და კულტივირებულ სამკურნალო მცენარეებს შორის არ არის განსხვავება ხარისხსა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობას შორის, თუ წედლეული დამზადებულია შემდეგი პარამეტრებით: 1. თუ ზუსტადაა დაცული წედლეულის ადების ვადები, როდესაც მცენარეში გროვდება შედარებით მეტი რაოდენობის აქტიური ნივთიერებები; 2. შეგროვილია სალი, ნორმალურად განვითარებული მცენარეები, რომლებიც არ არის დაავადებული ან დაზიანებული მავნებლებით; 3. თუ ზუსტადაა დაცული წედლეულის გაშრობისა და შენახვის წესები.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სამკურნალო მცენარეების კულტურაში მოყვანას აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა:

- გარანტირებულია მოცემული სახეობის კონცენტრაცია შედარებით მცირე ფართობზე, რაც გამოიხატება შემდგომ უპირატესობაში: მაღალი მოსავლიანობის მიღწევა, დაავადებებისა და მავნებლებისაგან თანმიმდევრული დაცვა, მექანიზაციის საშუალებების გამოყენება, სწრაფი შეგროვება ზუსტად განსაზღვრულ ვადებში, წედლეულის დიდი პარტიების გაშრობის ორგანიზაცია და სხვ.

- გარანტირებულია ერთნაირი ხარისხის ნედლეულის მიღების შესაძლებლობა სასუქების შეტანითა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით.
- კულტურაში მოყვანილი სამკურნალო მცენარეები იძლევა პრაქტიკულად უფრო სუფთა ნედლეულს, ანუ ყოველგვარი მინარევებისაგან დაცულია.

თუ კულტივირებისას ზოგჯერ უარყოფითი შედეგები მიიღება (რაც აისახება მცენარეთა ქიმიური შემადგენლობის პროცენტულ რაოდენობაზე), ეს, როგორც წესი, გამოწვეულია არასწორი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით ან არახელსაყრელი კლიმატური პირობების გავლენით. კულტურის ოპტიმალური დარაიონებისას ასეთი შედეგების საფრთხე გამოცდილი მემცენარეებისათვის მინიმუმამდეა დასული.



ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში გამოყენებული ძირითადი სამკურნალო მცენარეების საერთო მაჩვენებლები

ცნობარში ყურადღება გამახვილებულია 181 სახეობის იმ სამკურნალო მცენარეებზე, რომელთა დიდი ნაწილი შესულია სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეაში, ხოლო ბევრი მათგანი ოდითგანვე აქტიურად გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში

ადამიანი პირველყოფილი მდგომარეობიდანვე იყენებდა მცენარეს სხვადასხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, იმთავითვე არჩევდა მისთვის სასარგებლო და უსარგებლო მცენარეებს. დროთა განმავლობაში გამოსაყენებელი მცენარეების სიმრავლემ გამოიწვია მცენარეთა სამყაროს კლასიფიკაციის ჩამოყალიბება. მცენარეთა კლასიფიკაციის პირველი ცდა თეოფრასტეს (IV-III ს. ახ. წ. აღრ.-მდე) შრომებშია „მცენარეთა ისტორია“ და „მცენარეთა მიზემების შესახებ“ წარმოდგენილი. პირველად მან დაყო მცენარეები სასიცოცხლო ფორმებად: ხეებად, ბუჩქებად, ბუჩქ-ბალახებად და ბალახებად. მას ეკუთვნის გირჩოვნების, პარკოსნებისა და მარცვლოვნების ჯგუფების გამოყოფა-დადგენაც.

მცენარეების თავისებური სისტემა შექმნა რომაელმა ფილოსოფოსმა პლინიუს დიდმა, მის შრომებში 1000-ზე მეტი სახეობის მცენარეა განხილული, მათი სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია ბერძენი ექიმის, ბოტანიკოსის - დიოსკორიდეს შრომები, რომელმაც ერთ-ერთ შრომაში აღწერა 500-ზე მეტი სახეობის მცენარე ადგილსამყოფლისა და გავრცელების მიხედვით.

XV ს-დან იწყება ახალი ერა მცენარეთა უკეთ შეცნობის მიზნით. იქმნება სხვადასხვა ტიპის კლასიფიკაციები. გამორჩეულია და მნიშვნელოვანი XVIII ს-ის პირველ ნახევარში შვედი დიდი ბუნებისმეტყველის კარლინეს (1707-1778) მიერ შექმნილი მცენარეთა სისტემა; მასვე ეკუთვნის მცენარეთა ბინარული ნომენკლატურის შექმნა (მცენარის აღნიშვნა ორი ლათინური სიტყვით: გვარი და სახეობა). მის სისტემაში მცენარეები დაყოფილია 24 კლასად, სადაც 23 კლასში ყვავილოვანი

მცენარეებია, ხოლო 24-ე კლასში უყვავილო მცენარეებია (წყალ-მცენარეები, სოკოები, ხავსნაირნი და გვიმრანაირნი) გაერთიანებული. XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის დასაწყისში მრავალი სისტემა იქმნება, რომელთა შორის გამოყოფენ ა. ენგლერის შედარებით სრულ ფილოგენურ სისტემას.

მცენარეთა სისტემატიკა, ემყარება რა მცენარეთა მორფოლოგიურ მონაცემებს, მის საფუძველზე ახდენს მცენარეთა დაჯგუფებას მათი წარმოებისა და საერთო მორფოლოგიური ნიშნებით. სწავლობს მცენარეთა სამყაროს ორ დიდ ჯგუფს უდაბლეს მცენარეებს და უმაღლეს მცენარეებს.

ყველა თანამედროვე სისტემის მიხედვით, მცენარეთა სამყარო ორ დიდ ჯგუფად იყოფა: 1. უდაბლესი ანუ თალუსოვანი მცენარეები (*Thallophyta*) და 2. უმაღლესი, ანუ ღეროფოთლოვანი მცენარეები (*Cormophyta*), რომლებიც სხვადასხვა ტიპებს მოიცავს (ლორთქიფანიძე, 1975).

ჩვენს ცნობარში, მცენარეთა სისტემატიკიდან გამომდინარე წარმოდგენილი მცენარეები დაყოფილია შესაბამის ჯგუფებად.

ტიპი Fungi - სოკოები

სოკოები ჰეტეროტროფული, უქლოროფილო მცენარეებია, რომლებიც პარაზიტულ ან საპროფიტულ ცხოვრებას ეწევიან. მათი უმრავლესობა ხმელეთის მშრალ პირობებსაა შეგუებული

კლასი Ascomicetes ჩანთიანი, ანუ ასკიანი სოკოები

ამ კლასის წარმომადგენელია სამკურნალო მნიშვნელობით გამოჩეული პარაზიტი სოკო - ჭვავის რქა (ჭვავილა)

Claviceps purpurea (Fr.) Tul. - ჭვავის რეა, ჭვავილა
Fam. Clavicipitaceae - ოჯ. ჭვავილასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: პარაზიტი სოკოა, გვხვდება მარცვლოვანებზე, უფრო ხშირად ჭვავზე.

ჭვავის მოგრძო თავთავზე, ჩვეულებრივი სალი მარცვლების მაგივრად, ზოგჯერ მუქი სოსანი ფერის რქასავით მოხრილი სხეულები ვითარდება - ე.წ. სკლეროციუმები, რომელიც შედგება მჭიდროდ შეკრული ჰიფებისაგან. ყანის ალების შემდეგ სკლეროციუმები იზამთრებენ და გაზაფხულის წინ გალივებას იწყებენ. გალივებულ სკლეროციუმზე მონითალო-სფერული სხეულები - სტრომები ვითარდება, რის შიგნითაც პერიტეციუმებია გარშემო განლაგებული, მის ღრუს ძირზე პარალელურად განწყობილი მოგრძი ჩანთები სხედან. თითოეულ ჩანთაში სპორები ვითარდება. ჩანთები პერიტეციუმის ხვრელიდან ამოიზრდებიან და გარეთ გამოსული სპორებს აბნევენ; გაბნეული სპორები ქარს გადააქვს სხვა სალ ყვავილებზე და ყვავილის ნასკვში მოხვედრისას, ასკოსპორისაგან განვითარებული მიცელიუმი ნასკვის ღრუს ამოავსებს, ხოლო ამოვსებული ნასკვისაგან ნაყოფი აღარ ვითარდება, მის ღრუში მიცელიუმის ჰიფების მჭიდრო ხლართებისაგან ისევ რქისებრი სხეული სკლეროციუმი იქმნება (ლორთქიფანიძე, 1975).

ფენოლოგია: სკლეროციუმები მნიფდება VII-VIII.

მნიშვნელობა: მოშავო-იისფერი „რქები“ - სკლეროციუმები ამოვსებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, სხვადასხვა სახის ალკალოიდებით - ერგოტამინი, ერგოტამინინი, ერგოზინი, ერგოზინინი,

ერგოკრისტინი და სხვ., აზოტის შემცველი შენაერთებით - აცეტილ-ქოლინი, ქოლინი, ბეტაინი, ერგოთიონინი, ურაცელი; საღებავი ნივთიერებებიდან გამოყოფილია: სეკალონისა და ქრიზერგონის მუავები. „რქებს“ ავროვებენ ჭვავის მომწიფების პერიოდში, უშუალოდ თიბვის წინ, თავთავებიდან ნედლი მარცვლის გადარჩევისას. ამრობენ საშრობებში 50⁰ C ტემპერატურაზე. გამოიყენება ფხვნილის, თხევადი და სქელი ექსტრაქტის სახით.

ჭვავილას პრეპარატები უმთავრესად გამოიყენება მენ-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში, მშობიარობისა და აბორტის შემდგომ პერიოდებში საშვილოსნოდან სისხლდენებისას, საშვილოსნოს სუბინვოლუციის, მენორაგიისა და მეტრორაგიის, პოლიპების, ენდომეტრიტის და ა. შ. სამკურნალოდ. ჭვაველას ალკალოიდები ახდენენ შაქრის დონის შემცირებას სისხლში, უფრო ძლიერად ბლოკავენ ადრენალინის ჰიპერგლიკემიურ მოქმედებას სხვა პრეპარატებთან შედარებით.

სხვადასხვა პუბლიკაციებში მითითებულია ალკალოიდების უნარზე, მოახდინოს პროლაქტინის გამოყოფის შევიწროება და სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების დამუხრუჭება.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მედიცინა ჭვაველას იყენებდა საშვილოსნოს კიბოს სამკურნალოდ.

ადრე გლეხები ჭვავილას რქებს პურის დანამატად მიიჩნევდნენ, რაც დიდი შეცდომა იყო, ვინაიდან იგი გამოირჩევა ძლიერი შხამიანობით. ფქვილში მოხვედრილი ინვევს რთულ დაავადებას - ერგოტიზმს, რომლის თანმხლები მოვლენებია - ძლიერი კრუნჩხვები, განგრენა (თითების, ყურების გახევება), ფსიქიური აშლილობა, ლეტალური აღსასრული. მიუღებელია პრეპარატების გამოყენება ათეროსკლეროზის, მიოკარდიუმის ინფარქტის, ფეხმძიმობისა და სიბერის ასაკში.

კულტივირება: სპეციალურად გამოყოფილ ფართობებზე, ახდენენ ჭვავის ხელოვნურად დასნებოვნებას მომწიფებელი სკლეროციუმებით, ჭვავის რქის ნედლეულის მისაღებად.

კლასი Basidiomycetes
ბაზიდიომიცეტები, ანუ ბაზიდიომიანი სოკოები

ამ კლასში ის სოკოებია გაერთიანებული, რომელთა უმეტესი ნაწილი სხვადასხვა ხეცვენარებზე პარაზიტობს, ზოგიერთი კი საპროფიტულ ცხოვრებას ეწევა. ხის ტანზე განვითარებული ნაყოფსხეულები უმეტესად ჩლიქისებრი ფორმისაა და მრავალწლოვანი. ნაყოფმსხეულები, რომლებიც ფეხისა და ქულისაგან შედგება და უმეტესად ხორციანია - ერთწლოვანებია. სამკურნალო მნიშვნელობით ამ ჯგუფის სოკოებიდან გამორჩეულია ჩაგა.

Inonotus obliquus (Ach. ex Pers.) Pil. - ჩაგა
Fam. Polyporaceae - ოჯ. აბელოვანნი



ბოტანიკური დახასიათება: აბედა სოკოს ერთ-ერთი სახეობაა, ცნობილია „ჩაგას“ სახელწოდებით. სოკოს ნაყოფსხეული - ვითარდება ხნიერ ცოცხალ არყის ხეზე ამობურცული ამონაზარდის სახით, დაფარულია არყის ქერქით, ბრტყელია, ზედაპირი უსწორმასწოროა, დახეთქილი, შავი, ადგილ-ადგილ მუქი მურა, გაჭრისას მოთეთრო ჩანართებით, მრავალწლიანია. ჩაგა ბუნების საოცარი ქმნილებაა. იზრდება რა სპორიდან დიდ ზომამდე არყის ხეზე, სოკოს სხეული იჟღინთება არყის ხის წვენით და იმ სასარგებლო ნივთიერებებით და კომპონენტებით რომლითაც მდიდარია ღებდა მცენარე.

მნიშვნელობა: ოდითგანვე გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. მასში აღმოჩენილია აქტიური კომპონენტები და მიკროელემენტები (კალიუმი, თუთია, რკინა, მაგნიუმი, ალუმინი, ვერცხლი, კობალტი, ნიკელი, მარგანეცი), პოლისახარიდები, ფიტონციდები, ფლავონოიდები, ალკალოიდები, სტერინები, ფისები, ორგანული მჟავები: მჟაუნას, ჭიანჭველას, ძმრის; შეიცავს ქრომოგენური ნივთიერებების კომპლექსს, რომელიც ნამდვილი ბუნებრივი ბიოგენური სტიმულატორებია.

ხასიათდება ანტისიმსივნური, ანტიმიკრობული, ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო და სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით. მედიცინაში ამ ბოლო დროს გამოიყენება კიბოთი დაავადებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩაგას ნახარშები და ნაყენები აუმჯობესებს ყველა ლოკალიზაციის სიმსივნით დაავადებულთა მდგომარეობას, ორგანიზმი იჟლინთება სასარგებლო ნივთიერებებით, რომლებიც ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას, კიბოს განვითარების საწყის სტადიებში მუხრუჭდება სიმსივნური უჯრედების ზრდა-განვითარება; ჩაგას პრეპარატების ფართო კლინიკური შემოწმება ჩატარდა ავადმყოფებზე კიბოს მეოთხე სტადიაში, დადგინდა, რომ მათი გამოყენების შედეგად ავადმყოფობა უფრო კეთილად მიმდინარეობს, უმჯობესდება ავადმყოფების საერთო მდგომარეობა, ემატებათ სიმხნევე, უქრებათ ტკივილები, უმჯობესდება მადა და ძილი, ნორმალიზდება ნაწლავების ფუნქცია.

ჩაგას პრეპარატები გარკვეულწილად არეგულირებს ავთვისებიანი სიმსივნით ჩახშობილ სისხლ და ფერმენტწარმომქმნელ სისტემებს, ამალღებს დაავადებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის განვების უნარს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ამცირებს სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის რაოდენობას, ანესრიგებს გულის რიტმს, აძლიერებს მადას, აყუჩებს ტკივილს, არის შარდმდენი და ნალველმდენი საშუალება, ხელს უწყობს ქსოვილებში აღმდგენ პროცესებს, ამალღებს საერთო იმუნურ სტატუსს.

ჩაგას ნახარშით ხალხური მკურნალები აღრინდელ დროშიც ცდილობდნენ კიბოთი დაავადებულთა განკურნებას.

ოჯახი ფირფიტოვანნი

ბაზიდიუმიან სოკოებს მიეკუთვნება აგრეთვე ოჯახი ფირფიტოვანნი - *Agaricaceae*, რომელთა შორის ბევრი საჭმელი სოკოა: ქამა სოკო, მჭადა სოკო, არყა სოკო და სხვა. ასევე მრავალია მათ შორის შხამიანი სოკოები, განსაკუთრებით გვარი ამანიტას - *Amanita*-ს სახეობებიდან: თეთრი, წითელი, მორუხო-ყავისფერი შხამა სოკოები. აღნიშნული ჯგუფის სოკოებიდან სამკურნალო მნიშვნელობით გამოირჩევა ქამა სოკო და წითელი შხამა-სოკო.

Agaricus campestris (L.) Fr. - ქამა-სოკო

Fam. Agaricaceae - ოჯ. ფირფიტოვანნი



ბოტანიკური დახასიათება: ქული 8-15 სმ დიამეტრისაა, დასაწყისში სფეროსებრი, ღრმად მოღუნული კიდეებით, შემდგომ მომრგვალო-ბრტყელი, გაშლილი, ხშირად ამობურცული ცენტრით, თეთრი, ზოგჯერ მურა, მშრალი, აბრეშუმისებრ ან წვრილქერცლიანი; რბილობი თეთრია, გადანატეხზე მონითალო. ფირფიტა დასაწყისში თეთრია, შემდგომ ვარდისფერი, სიმწიფისას მუქი ყავისფერი, იისფერი ელფერით. ფეხი 5-9 სმ სიმაღლისაა, 1-2 სმ სიგანის, სწორი, თანაბარი ან ძირში გაფართოებული და გამობერილი, ქუდის მაგვარი შეფერილობის, ფეხის შუაში ფართო თეთრი რგოლით.

ფენოლოგია: ზრდის პერიოდია მაისიდან სექტემბრის ბოლომდე.

მნიშვნელობა: ითვლება დელიკატურ პროდუქტად. ხასიათდება სასიამოვნო არომატითა და გემოთი, რომელსაც ინარჩუნებს მაღალ ტემ-

პერატურაზე დამუშავების შემდეგაც. ამზადებენ უამრავი სახის კერძს, აშრობენ, ამარილებენ, აკონსერვებენ.

შეიცავს 92,1 მგ% წყალს, 2,5 მგ% ცილებს, 0,1 მგ% ცხიმებს, 3,5 მგ% ნახშირწყლებს, 0,6 მგ% უჯრედის, ვიტამინებს (B₁, B₂, B₃, B₅, B₆, B₉, B₁₂, E), მაკროელემენტებს (K, Ca, Mg, Na, P), მიკროელემენტებს (Fe, Mn, Cu, Se, Zn).

მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა. ხსნის თავის ტკივილებს, ხელს უწყობს მახსოვრობის განვითარებას და ტვინის მოქმედების გააქტიურებას; აძლიერებს იმუნიტეტს, აქვეითებს ე.წ. “ცუდი” ქოლესტერინის დონეს, აფერხებს ინფარქტის რისკს და ათეროსკლეროზის წარმოქმნის საფრთხეს. მშრალი ქაშა-სოკო რეკომენდირებულია კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისა და ჰეპატიტის დროს. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლიათ მისი მიღება ზედმეტი სიმსუქნითა და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს.

პრაქტიკულად არა აქვს უკუჩვენებები; თუმცა სიფრთხილით უნდა მოეკიდნონ ფეხმძიმე, მეძუძური ქალები და ბავშვები.

გავრცელება: ფართოდ გავრცელებული სახეობაა ტყის სარტყელში.

ჰაბიტატები: ვითარდება ნეშომპალით მდიდარ ნიადაგებზე, განსაკუთრებით წვიმების შემდეგ, მდელოებზე, საძოვრებზე, ბალ-ბოსტნებში, ოკულტივირებულ ნაკვეთებზე, ბალახეულობაში, ტყის პირებზე და სხვ.

კულტივირება: ამრავლებენ სათბურის პირობებში .

Amanita muscaria (L.) Lam. - წითელი შხამა-სოკო

Fam. Agaricaceae (Amanitaceae) - ოჯ. ფირფიტოვანნი (ამანიტასებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: შხამიანი ფსიქოაქტიური სოკოა. მიეკუთვნება ფირფიტოვან სოკოების რიცხვს. საპროფიტებია, სახლობენ დამპალ ორგანულ სუბსტრატზე ან საქონლის ნაკვალში. მათი ჰიმენოფორი ფირფიტისებრია. ქუდიანი ნაყოფსხეულები ჯერ ნიადაგზე ჰიფებზე იწყებენ განვითარებას, შემდეგ კი, როცა ნიადაგის ზევით ამოვა, მას საბურველი აქვს შემოხვეული. საბურველიდან ჯერ ფეხი თავისუფლდება, შემდეგ კი ქუდიან ნაყოფსხეული. გამოირჩევა მაღალი შხამიანობით.

ფენოლოგია: ზრდის პერიოდი აგვისტოდან ოქტომბრამდე.

მნიშვნელობა: ხასიათდება ჰალუცინოგენური მოქმედებით. ითვლება, რომ სასიკვდილო დოზა მერყეობს 15-მდე სოკოს მილებით. სოკოს სხეული შეიცავს ფსიქოტროპული და ტოქსიკური მოქმედების ძლიერ შხამიან ალკალოიდებს: მუსკარინს, მუსკარედინს, მუსციმოლს, მუსკაზონს, იბოტენის მუავას და ნარინჯისფერ საღებავ ანტიბიოტიკურ ნივთიერება - მუსკარუფინს, სწორედ ეს პიგმენტი გამოირჩევა სიმსივნის სარინალმდეგო, ანტიბიოტიკური, ნარკოტიკული და დამათრობელი მოქმედებით, იხმარება ყველა სახის ონკოლოგიური დაავადებების: კიბოს, ლეიკოზის, სხივური წყლულების, დერმატიტების სამკურნალოდ. თანამედროვე ფარმაკოლოგიური მრეწველობა იყენებს სოკოს სამკურნალო თვისებებს რიგი პრეპარატების დამზადებისას. შედის იმ წამლების შემადგენლობაში, რომლებიც გამოიყენება ანგინის, ეპილეპსიის, ზურგის ტვინის დაავადებების, სისხლძარღვების სპაზმის, სტენოკარდიის - მწვავე და ძლიერი ტკივილებისას, არითმიის, ხელის თითების, ყურის და ცხვირის წვერის გათეთრების შემთხვევაში, შემდგომი ჰიპერემიით, კიდურების ანგიონევროზით დაავადებებისას. იმ მაღალმოების შემადგენლობაშია, რომლებსაც იყენებენ რთულად შესახორციებელი ჭრილობების (ნანოლები, ფურუნკულები), ვენების პათოლოგიის (ვარიკოზული გაფართოება, ტრომბოფილემიტი), ნერვული სისტემის პათოლოგიის (ნევრალგია, ოსტეოხონდროზი, ნევრიტები), სახსრების პათოლოგია (ართრიტი, ართროზი), მეჭვტებისა და პაპილომებისა და კანის სხვა დაავადებებისას - ფსორიაზი, სოკოვანი, ეგზემა, პიოდერმია.

სხვადასხვა ქვეყნის სახალხო მკურნალებმა (ექიმბაშებმა) იცოდნენ რა მისი სამკურნალო მნიშვნელობა ძველი დროიდანვე ხმარობდნენ სხვა-

დასხვა დაავადებებისას: ათეროსკლეროზი, უძილობა, ტუბერკულოზი, ჰიპერტონიული დაავადებები, ყაბზობა, იმპოტენცია, გულის იშემური დაავადებები, ნერვული აღგზნება, შაქრიანი დიაბეტი, კრუნჩხვები, ქორეა, ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ბოდვა, დეპრესია, ეპილეპსია. ნაყენებს იყენებდნენ გარეგანად რევმატიული ტკივილების, რადიკულიტის, ნიკრისის ქარების დროს.

ჰომეოპათიაში გამოიყენება სისხლძარღვების სპაზმის, ეპილეპსიის, ქორეატიული მდგომარეობის, სკლეროზის, ანგინის, ზურგის ტვინის ფუნქციონალური დარღვევებისას, აგრეთვე რთულად მიმდინარე კლიმაქტერიულ პერიოდში.

სოკოს მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, უკიდურესი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ მის გამოყენებას, მკაცრად უნდა იყვეს დაცული დოზები. სოკოთი ან პრეპარატით მონამლვის შემთხვევაში სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო, რათა აცილებულ იქნეს უაყოფითი შედეგები. მონამლვის ნიშნებია: მუცლის ძლიერი ტკივილები, გულისრევა და პირღებინება, ფაღარათი, სუნთქვის დარღვევა, მაღალი ოფლიანობა, კრუნჩხვები, წნევის დაცემა, ჰალუცინაციები, ბოდვა და გონების დაკარგვა. მონამლვის პირველივე სიმპტომებისას მიმართეთ სასწრაფო დახმარებას!

გავრცელება: ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი კლიმატის ტყეების ჩვეულებრივი ბინადარია.

ჰაბიტატები: იზრდება მუხავე ნიადაგებზე, უმთავრესად არყნარებსა და ნაძვნარებში.

Cormophyta - უმაღლესი, ანუ ღეროფოთლოვანი მცენარეები
ტიპი Lycopsidea - ლიკოპსიდა

ტიპური ღეროფოთლოვანი მცენარეებია, რომლებსაც განვითარებული აქვთ ფესვთა სისტემა, ბალახნაირი ღერო, ხშირად შეფოთლილი. სამკურნალო მნიშვნელობით გამოირჩევა აქ შემავალი ლიკოპოდიასებრთა ოჯახის დამახასიათებელი გვარი ლიკოპოდიუმის - *Lycopodium* სახეობა *Lycopodium clavatum*.

Lycopodium clavatum L. - ლიკოპოდიუმი
Fam. Lycopodiaceae - ოჯ. ლიკოპოდიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მარადმწვანე სპოროვანი მცენარეა გრძელი (1,5-4 მ) მხოხავი, დატოტვილი ღეროთი. ინვითარებს აღმამდგომ დატოტვილ 4-20 სმ სიგრძის ტოტებს; ღეროები სქლადაა დაფარული ხეშეში ფოთლებით, რომლებიც ზემოთკენაა აღმართული, ხაზური ფორმისაა და მთავრდება გრძელი თეთრი ბუსუსებით. ზოგიერთი ღეროს ზედა ნაწილში წარმოიქმნება ყუნწი, რომელიც 1-3 თავთავით მთავრდება. თავთავები გრძელია, ცილინდრული; სპორები წვრილია, ბაცი ყვითელი, სპოროფილები ფართოკვერცხისებრია და ხასიათდება გრძელი ბენვისებრი დაბოლოებით.
ფენოლოგია: სპორები მწიფდება და ვრცელდება VII-VIII.

მნიშვნელობა: შეიცავს 50% ცხიმოვან ზეთებს, რომლის შემადგენლობაშია ოლეინის, სტეარინის, პალმიტინის და სხვა მჟავები. ლიკოპოდოიმისაგან მზადდება პრეპარატები გრანულებისა და ნაყენის სახით. მას აკუთვნებენ ჰომეოპათიურ საშუალებებს, რომლებიც მოქმედებენ სხეულის მარჯვენა მხარეს. უნიშნავენ: ფსორიაზის, მღიერის, ყაბზობის, მეტეორიზმის, ღვიძლის ციროზის, ჭვლების, ბუსილის, თირკმლის ჭვლების, ქრონიკული ბრონქიტის, კანის გასქელებული სიმსივნის, კუნთების სპაზმის, ანგინის, სისხლიანი შარდვის, ტონზილიტის, მეტყველების დარღვევის, მარჯვენა მხარეს არსებული ხალების, თავის ტკივილის დროს, რომელიც ლოკალიზებულია ნათხემში, სურდოს, ქათმის სიბრძავის, მტევნების რევმატიული დაზიანებების, თირკმელებში კენჭების, იმპოტენციის, ნიკრისის ქარის, მარჯვენა საკვერცხის პათოლოგიის, სასქესო ორგანოების პათოლოგიის, რომელიც მიმდინარეობს ქავილით და წვით, მხარის რევმატიული დაზიანების, ქუმთრუშისა და სხვ.

ლიკოპოდოიმს არ უნიშნავენ 3 წლამდე ასაკის ბავშვებს, ფეხმძიმე და მეძუძურ ქალებს, სამკურნალო საშუალებებისადმი ჰიპერაქტიურ პირებს. <https://www.piluli.kharkov.ua/drugs/drug/likopodium/>.

გავრცელება: იზრდება ჩრდ. ევროპაში, ხმელთაშუაზღვის მხარეს (ბალკანეთ), მც. აზია, აღმ. აზია, ავსტრალია, ჩრდ. აფრიკა, ჩრდ. ამერიკა, არქტიკა, დას. და აღმ ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი.

საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელო, აჭარასა და იმერეთში.

ჰაბიტატები: ბინადრობს წიწვიან და შერეულ ტყეებში, დეკიანებსა და მქერიანებში. უპირატესობას ანიჭებს ფიჭვნარებს.

ტიპი Spenopsida - სოლფოთლოვანნი

ეს ტიპი პალეოზურ ერაში ფართოდ იყო გავრცელებული. ამჟამად კი მათგან შემორჩენილია კლასი შვიტანიარნი - Equisetineae ერთი ოჯახით შვიტასებრნი - Equisetaceae და ერთი გვართო შვიტა - Equisetum, გამორჩეული სახეობით მინდვრის შვიტა - Equisetum arvense, რომელიც მრავალმხრივი სამკურნალო მნიშვნელობით გამოირჩევა.

Equisetum arvense L. - მინდვრის შვიტა
Fam. Equisetaceae - ოჯ. შვიტასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი სპოროვანი, მხოვად ფესურიანი, 40 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, დამუხლული, დალარული ღრუ ღეროთი და რგოლურად განლაგებული ტოტებით. სასპორე ღეროები უფრო წვრილია, მონითალო-მღვრიე ყავისფერი; უნაყოფო ღეროები მონაცრისფრო-მწვანე, დატოტვილი. თითოეული მუხლის ძირში განვითარებულია კბილებიანი ვაგინა, რომელიც შედგება ასიმილაციის უნარდაკარგული, შებრდილი ერთძარღვიანი ქერქლოვანი ფოთლებისაგან.

ფენოლოგია: ყვ. III-V; სპორები მწიფდება VIII-IX.

მნიშვნელობა: ოფიცინალურ მედიცინაში სამკურნალო ნედლეულს უნაყოფო გაზაფხულის ყლორტები (ბალახი) წარმოადგენს, რომელსაც გაზაფხულის დასაწყისში აგროვებენ. შეიცავს ნახშირწყლებს (პექტინი, გალაქტოზა, გლუკოზა, მანოზა, არაბინოზა, ქსილოზა), ორგანულ მჟავებს (აკონიტის, ფუმარინის, გლუკონის, გლიცერინის, ვაშლის, მალონის, ქინაქინის, ციკორიუმის), სტეროიდებს (მათ რიცხვში ბეტასიტოსტერინი, კამპესტერინი, იზოფუკოსტერინი, ქოლესტერინი), საპონინებს. ლიგნინს, ფლავონოიდებს (იზოკვერციტრინი, კემპფეროლი, კვერციტინი, ლუთეოლინი), ფენოლკარბონულ მჟავებს და მათ წარმოებულებს (კერძოდ: ვანილინის, გალის, ფერულის, კოფეინის), კაროტინოიდებს, ვიტამინ C.

ნაყენი ხასიათდება ანთების სანინალმდეგო, შარდმდენი, სისხლდენის შემაჩერებელი, ჭრილობების შემახორცებელი, შემკვრელი, საერთოგამაძლიერებელი მოქმედებით. გალენურ პრეპარატებს, როგორც შარდმდენ საშუალებას უნიშნავენ გულის მანკის, გულის უკმარისობის, შეშუპების (რაც გულ-ფილტვების უკმარისობასთანაა დაკავშირებული), შარდ-სადინარი გზების დაავადებების (პიელოტი, ცისტიტი, ურეთრიტი). როგორც რემინერალიზირებულ საშუალებას უნიშნავენ ასაკოვან ადამიანებს; იტენებენ გულ-სისხლძარღვთა და თავის ტვინის ათეროსკლეროზის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთების, შარდვენჭოვანი დაავადებების დროს, აგრეთვე ფილტვებისა და კანის ტუბერკულოზის შემთხვევაში; ქიმიოთერაპიული მკურნალობის პროცესის პარალელურად, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებიდან და მისი თვისებიდან (ორგანიზმიდან ტყვიის გამოდევნა) გამომდინარე უნიშნავენ ჰემოროიდალურ და საშვილოსნოდან სისხლდენებისას, ტყვიით მწვავე და ქრონიკული მონამღვისას. ხასიათდება რა მადეზინფიცირებული მოქმედებით წყლის ნაყენს ხმარობენ გარეგანად ქრონიკული წყლულებისა და ჩირქიანი წლულების მოსაშუშებლად.

ხალხურ მედიცინაში გარეგანად იყენებენ საფენების სახით ჭრილობებზე, ლიქენის, ეგზემის ფურუნკულების და კანის სხვა დაავადებების შემთხვევაში; იხმარება პირისა და ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესების, ცხვირიდან სისხლდენის დროს.

ბალახის ექსტრაქტი შედის სამკურნალო პრეპარატ „მარელინის“ შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება შარდვენჭოვანი დაავადებებისას.

უკუმაჩვენებელია ნეფროზით და ნეფრიტით დაავადებულთათვის.

გავრცელება: სუბარქტიკული, ზომიერი და ტროპიკული რეგიონები, ისლანდიიდან იაპონიამდე.

საქართველოში ყველგან გვხვდება უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოს გარდა.

ჰაბიტატები: იზრდება ჭაობიან ადგილებში, ტბისა და მდინარის ნაპირებზე, ტენიან ტყეებში, მინდვრებსა და მდელოებზე.

ტიპი Pteropsida - გვიმრანაირნი

დღეს არსებული გვიმრანაირნი უმეტესად სხვადასხვა ზომის ბალახნაირი სპოროვანი მცენარეებია კარგად განვითარებული ფესვებით და ზოგჯერ ფესურებით.

აქ შემაჯავლი მრავალი კლასიდან, სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა კლასი ნამდვილი გვიმრებიდან - ჩვეულებრივი გვიმრები, რომელსაც მიეკუთვნება მთის ჩაღუნა.

Dryopteris filix- mas (L.) Schott - მთის ჩაღუნა

Fam. Dryopteridaceae - ოჯ. მთის ჩაღუნასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი 50-100 სმ სიმაღლის მცენარეა. კვირტობისას ფოთლები სპირალურადაა დახვეული, დიდი ზომისაა, მუქი მწვანე, რბილი, მოგრძო ელიფსური ფორმის, ორჯერ ფრთისებრ დაკვეთილი, ყუნწიანი; ფოთლის ქვედა მხარეზე განლაგებულია სორუსები, რომლებიც ინდუზიუმითაა წამოფარებული. სპორანგიუმები უმეტესად გრძელყუნწიანია და ვერტიკალური რგოლებით იხსნებიან.

ფენოლოგია: სპორები მწიფდება VI-VIII.

მნიშვნელობა: მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ფენოლურ ნაერთებს და ანთოციანებს; ფესურაში ამის გარდა აღინიშნება ტრიტერპენოიდები, B ჯგუფის ვიტამინები, მთრიმლავი ნივთიერებები, უმაღლესი ალიფატური სპირტები და ცხიმმჟავები; ფოთლებში ნაპოვნია ეთერზეთები, ვიტამინი C, ფლავონოიდები, უმაღლესი ცხიმმჟავები, მათ

რიცხვში ლინოლინის, პალმიტინის, ოლეინის, ლინოლენის, სტეარინის; ლიპიდები, სახამებელი, მწარე ნივთიერებები. სამკურნალოდ ფესურა გამოიყენება. ცნობილია მისი ფარმაცევტული პრეპარატები ექსტრაქტების, ფხვნილებისა და კომპლექსური შენაერთების სახით. მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება ფესურა. როგორც სოლიტერის სანინალმდეგო ძლიერ მომქმედი საშუალება. იგივე დანიშნულებით ხალხურ მედიცინაში უხსოვარი დროიდან იხმარებოდა. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ ხალხში ჩაღუნა ცნობილია, როგორც სისხლდენის შემაჩერებელი და სიცხის დამწვევი საშუალება. გარეგანად გამოიყენება საფეხების ან აბაზანების სახით ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, რევმატიზმის დროს; ფესურების წყლის ნახარში რეკომენდირებულია საჯდომის ნერვის დაავადებების, ხოლო სპირტიანი ნაყენი მშრალი პლევრიტის სამკურნალოდ.

საყურადღებოა ჩაღუნას ძლიერ შხამიანობა, მისი სამკურნალოდ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით.

გავრცელება: ჩრდ. და შუა ევროპა, ხმელთაშუაზღვის მხარე, ბალკანეთი, მცირე აზია, ირანი (ჩრდ.), ცენტრ. და აღმ. აზია, ჩრდ. ამერიკა.

საქართველოში თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული, გარდა ქიზიყისა, გარდაბნისა და აჭარის ზღვისპირა რაიონებისა (საქ. ფლორა, 1971).

ჰაბიტატები: იზრდება ტყის ყველა სარტყელში, მაგრამ ყველაზე ჩვეულებრივია ტყის შუა სარტყელში (1000-1500 მ-მდე) ჩრდ. ექსპოზიციის ფერდობებზე. სპორადულადაა წარმოდგენილი კლდეთა ნაპრალებში.

კულტივირება: კულტურაში გამოიყენება, როგორც დეკორატიული, დაჩრდილულ ადგილებში, ბაღებსა და პარკებში, აღწერილია ბევრი საბალო ფორმა.

ტიპი Gymnospermae - შიშველთესლოვანნი

მთელი დედამიწის ზურგზე ფართოდ გავრცელებული ტიპია, მეტწილად მარადმწვანე ხეები ან ბუჩქებია, მონოპოდიურად დატოტვილი. მათთვის დამახასიათებელია მეორეული მერქანი ტრაქეიდების სახით, ნამდვილი ჭურჭლები არა აქვთ. ფოთლები მაკროფილური ან მიკროფილური ტიპისაა, უმეტესად წინვების სახით. მეგასპოროფილებზე

თესლკვირტები ანუ მეგასპორანგიუმები შიშვლად სხედან. განაყოფიერებული თესლკვირტისაგან შიშველი თესლი ვითარდება, ამიტომ ამ ტიპს შიშველთესლოვანი ეწოდება.

კლასი Coniferophytineae - გირჩოვანი

აღნიშნულ კლასში გაერთიანებულია რიგები:
გინკოალეები - Gynkgoale და გირჩოვანები - Coniferales.
გინკგოალეები ორსახლიანი მცენარეებია. წარსულში ფართოდ იყო წარმოდგენილი, მრავალი გვარით და სახეობით. დღემდე შემორჩენილია ერთი ოჯახი გინკგოსებრნი - Ginkgoaceae, ერთი გვარით და ერთი სახეობით - Ginkgo biloba, რომელიც მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

Ginkgo biloba L. - გინკგო
Fam. Ginkgoaceae - ოჯ. გინკგოსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: უძველესი რელიქტური, ფოთოლმცვენი 40 მ-მდე სიმაღლისა და 4,5 მ დიამეტრის ხეა პირამიდული ფორმის ვარჯით, ასაკთან ერთად იშლება. გამოირჩევა ფოთლების უნიკალური ფორმით, ორნაკვთიანი მარაოსებრი ფირფიტა 5-8 სმ სიგანისაა, 10 სმ სიგრძის წვრილი ყუნწითა და დიქოტომიური დაძარღვით, ვითარდება მოკლე ყუნწებზე ჯგუფებად ან გრძელ ყუნწებზე მარტოულად. მცენარე ორსახლიანია, მდედრობითი ყვავილები ინვიტარებენ ორ თესლკვირტს, მამრობითის სპორანგიუმები მჭადა ყვავილედებააა შეკრე-

ბილი. თესლი მომრგვალოა, ყვითელი, ჭერმის ნაყოფების მსგავსი, ხასიათდება უსიამოვნო სუნით.

ფენოლოგია: ყვ. V; ნაყ. X.

მნიშვნელობა: გინკგოს ფოთლების შემადგენლობაშია: ფლავონოიდები (კვერცეტინი, კემპფეროლი, ბილობეტინი, გინკეტინი), ონაკოზანი, ამენტოფლავონი (ბიფლავონოისი), სტერინები, პინიტი, ჰექსაკოზანოლი, ქინაქინის, ჰიდროგიკგოლისა და ლინოლენის მჟავები, ტერპენები, ლაქტონები, კატეხინები, სახამებელი, ცვილი, პენტოზანი, ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთები. თესლის გარსი შეიცავს ვალერიანის, გინკგონისა და პროპიონის მჟავებს, აგრეთვე ტოქსიკურ ნივთიერებებს. თესლში აღინიშნება სახამებელი, შაქრები, ცილები, ცხიმოვანი ზეთები, არგინინი, პენტოზანი, ასპარაგინი, სიტოსტერინი, ქსილანი, რაფინოზა, ფლავონოიდები (გინოლი, გინკგეტინი, ბილობოლი), კაროტინი.

ჩინურ მედიცინაში ადრეული დროიდან თესლები იხმარება მოხარშული და მოხალული სახით. მისი სამკურნალო თვისებები აღწერილი იყო ჯერ კიდევ ახ. წ. აღ.-მდე 2800 წლით ადრე. უკვე მაშინ წამყვან ადგილს იკავებდა და მისი გამოყენების მაჩვენებლები იყო: ბრონქიალური ასთმა, ფილტვის დაავადებები, ჭრილობები, მოციხვები.

გინკგოს უნიკალური სამკურნალო თვისებები გამოვლინდა XX ს-ის 60-იანი წლებიდან; დასავლეთში ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა მისი პერსპექტიულობა ქრონიკული სისხლძარღვოვანი დაავადებებისას, რის შემდეგაც გამოკვლევებმა ამერიკაში, ევროპასა და იაპონიაში მასშტაბური სახე მიიღო, ხოლო რიგ დაავადებებზე მისმა მოქმედებამ გამოიწვია ნამდვილი ბუმი; ხშირ შემთხვევაში გინკგოს პრეპარატები საოცრებას ახდენდა, რის გამოც გახდა ყველაზე პოპულარული.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური მოქმედებით, სასიკეთოდ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ხასიათდება რა პროტექტორული ეფექტით ნეირონების მიმართ, ხელს უწყობს წვრილ სისხლძარღვებში - კაპილარებში სისხლის მიმოქცევას.

ფარმაკოთერაპიაში პრეპარატები, მიღებული გინკგოს ფოთლების შენაერთების საფუძველზე გამოიყენება ათეროსკლეროზის, ალცჰეიმერის, სისხლძარღვოვანი დაავადებებისას, ყურადღების კონცენტრა-

ციის გასაუმჯობესებლად, გაფანტული სკლეროზის დროს. ახდენს სისხლის მიკროცირკულაციის გაძლიერებას ორგანოებსა და ქსოვილებში, ასტიმულირებს გონებრივ მოქმედებას და მახსოვრობას, იწვევს სედატურ ეფექტს, ხსნის თავის ტკივილს და თავბრუსხვევას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში კანის დაბერების, თმის ცვენის საწინააღმდეგოდ და გასახდომად.

შესაძლებელია ალერგიული რეაქციები; ხანგრძლივი მოხმარებისას იზრდება ინსულტის წარმოქმნის რისკი.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება ჩინეთის აღმოსავლეთით, ორ რეგიონში, ცნობილია კორეასა და იაპონიაში.

კულტივირება: ამრავლებენ ევროპისა და ამერიკის სუბტროპიკული კლიმატის პარკებში და ბოტანიკურ ბაღებში. დიდი ეგზემპლარი წარმოდგენილია თბილისის ბოტანიკურ ბაღშიც.

Coniferales - გირჩოვანები

მოიცავს 7 ოჯახს 50 გვარით და 400-ზე მეტი სახეობით, რომლებიც მთელ დედამიწაზე, უმთავრესად კი ჩრდილო ნახევარსფეროშია გავრცელებული. ერთსახლიანი, იშვიათად ორსახლიანი მცენარეებია. მათ მიკრო და მეგასპორანგიუმები გირჩებად აქვთ შეკრებილი და ერთ და ორსქესიანი გირჩები ახასიათებთ, აქედანაა წარმომდგარი რიგის სახელწოდება - გირჩოვნები, რომელთა შორის მრავალი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

Abies balsamea Mill. - ბალზამის სოჭი
Fam. Pinaceae - ოჯ. ფიჭვისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 15-25 მ სიმაღლის მარადმწვანე წიწვოვანი მცენარეა სწორი, კონუსური ვარჯით, ძირამდე უხვად დატოტვილი. ხის ქერქი მონაცრისფრო-ყავისფერია და გლუვი, დაბერილი გამჭვირვალე წებოვანი ფისის ბუშტუკებით მოფენილი, რომლებიც ძვირფას თვისებებთან ერთად მცენარის დამცველიცაა, იცავს სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლებისაგან. წიწვები ხშირია, რბილი და არომატული, ზემოდან მუქი მწვანე, პრიალა, ქვემოდან - მოთეთრო-ცისფერი ორი ზოლით, ტოტებზე განლაგებულია სავარცხლისებურად. გირჩები ოვალურ-ცილინდრულია, 5-10 სმ სიგრძის, განვითარების დასაწყისში - მუქი იისფერია, მომწიფებისას მურა შეფერილობას იძენს. . მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა 150-200 წელია.

ფენოლოგია: გირჩები მწიფდება IX-X.

მნიშვნელობა: მიეკუთვნება სასარგებლო მცენარეთა რიცხვს. წარმოადგენს ფისების მიღების წყაროს, რომელიც ცნობილია “კანადური ბალზამის” სახელით; სოჭის ტოტიდან მიღებული ეთერზეთები უფერული ან მოყვითალო სითხეა სასიამოვნო ბალზამის სუნით, გამოიყენება მედიცინაში და მიკროსკოპულ ტექნიკაში. შეიცავს მონოტერპენებს, პინენს, ფილანდრენს, ეთერებსა და სპირტებს.

ამერიკის აბორიგენული მოსახლეობა მის ფისს იყენებდნენ რიტუ-
ალური მიზნებისათვის, აგრეთვე როგორც ტკივილგამაყუჩებელს და
ანალგეტიკს, გარეგანად - დამწვრობების, წყლულების, ჭრილობების
შესახორცებლად.

კანადური ბალზამი ძლიერი მატონიზირებელი და ძალის სწრაფად
აღმდგენი, საუკეთესო ანტიესპტიკური (შარდსასქესო და სასუნთქი სის-
ტემის ინფექციები), ხველების საწინააღმდეგო, შემკვრელი, შემახორ-
ცებელი, შარდმდენი, ამოსახველებელი, სასაქმებელი მოქმედებით გა-
მოირჩევა. იხმარება ჭრილობების, დამწვრობის, ნაკანრების, წყლულე-
ბისა და კანის დამსკდარი მონაკვეთების შესახორცებლად, ფისი
წარმოქმნის მფარავ შრეს, რაც ხელს უწყობს მათ მოშუშებას და კლავს
მიკროორგანიზმებს.

თბილი ნაყენი წყალთან ნარევი შინაგანად გამოიყენება: ბრონქიტის,
ხველების, ტუბერკულოზის და ყელის კიბოს ტკივილებისას, ლორ-
წოვანი გარსის ანთების, გაციებისა და გრიპის, დიზენტერიის, ყურის
ტკივილის, გულისა და უროლოგიური დაავადებების, როგორცაა გო-
ნორეა და ვაგინალური ინფექციები, რევმატიზმის, სახსრების ტკივი-
ლის, ცინგისა და წყლულის სამკურნალოდ.

გარდა აღნიშნულისა, მისი სასიამოვნო სუნი ქმნის საახალწლო
განწყობილებას და შინაურ სიმყუდროვეს, ხელს უწყობს აზრის მოკ-
რებას და დამშვიდებას, რაც უდავოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან
ფსიქოლოგიურ რესურსს ექსტრემალურ სიტუაციებში.

არ არის ტოქსიკური, არ აღიზიანებს კანს, მაგრამ დიდი რაოდენობა
ინვევს სასაქმებელ მოქმედებას და გულის რევას.

გავრცელება: ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა ჩრდი-
ლოეთ ამერიკაში; მისი არეალი აღწევს აღმოსავლეთით ატლანტის
ოკეანის ნაპირებს. ძირითადად გავრცელებულია ზომიერ ნოტიო კონ-
ტინენტალური კლიმატის პირობებში.

ჰაბიტატები: უმთავრესად იზრდება ტაიგის ზონის სამხრეთით წინვოვან-
ფართოფოთლოვანი ტყეების შემადგენლობაში, მთებში აღწევს 2500 მ
ზღვ დონიდა, შედის ტყე-ტუნდრის ზონაშიც.

კულტივირება: გამოყვანილია მრავალი დეკორატიული ფორმა. მნიშ-
ვნელოვანი ადგილი უკავია კანადისა და აშშ-ის ხე-ტყის მრეწველო-
ბაში. ინტროდუცირებულია მსგავსი კლიმატის მრავალ ქვეყანაში, მათ

შორისაა რუსეთისა და უკრაინის გარკვეული ოლქები, სადაც აღწევს 15 მ-მდე სიმაღლეს.

<https://www.google.com/search?q=бальзамическая+сосна&client>

Abies nordmaniana (Stev.) Spach Hist. - ნორდმანის სოჭი
Fam. Pinaceae - ოჯ. ფიჭვისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 50 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე წიწვოვანი ხეებია. ვარჯი პირამიდალურია, რუხი ფერის ქერქით, არაღრმა ნაკრალეებით. ნორჩი ტოტები ყვითელი ან რუხი-მონითალო ფერისაა. წიწვები ბრტყელია, ხაზური, გვერდით ტოტებზე თითქმის ორმწკრივად განლაგებული, წვერზე მომრგვალო ან ოდნავ ამოკვეთილი, ზემოდან მუქი მწვანე, პრიალა, ქვემოდან - ვიწრო მწვანე ქედით და ორი თეთრი ზოლით. სათესლე გირჩები მარტოულია აღმამდგომი, ზედა ტოტების ბოლოებზე განლაგებული, მოგრძო-ცილინდრისებრი ფორმის, პირველად მწვანე, მომწიფებისას მურა ფერის. თესლების მომწიფებისას იშლება და ქერქლები სცვივა ტოტებზე შერჩენილი ღერძიდან. თესლი ფრთიანია, მოგრძო სოლისებრი, მოყვითალო; ფრთა მონითალო-ყვითელია, ფართო, თესლზე 2-3-ჯერ გრძელი. სიცოცხლის ხანგრძლივობა 500 წელია, ნაყოფმსხმოიარობენ 39-40 წლის ასაკში.

ფენოლოგია: ყვ, IV-V; ნაყოფის მომწიფება და თესლის ჩამოცვენა IX-XI, იმავე წელს.

მნიშვნელობა: მსგავსად ჩვეულებრივი ანუ ციმბირული სოჭისა, უძველესი დროიდან ცნობილია სამკურნალო თვისებებით, რაც განპირობებულია მცენარის ცალკეული ნაწილის (ქერქი, წიწვი, თესლი, ფესვი) რთული ქიმიური შემადგენლობით: ეთერზეთები, ფისი, ვიტამინები, მიკროელემენტები. ფარმაცევტულ პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება ციმბირული სოჭი, რომლის ბუნებრივი არეალი მოიცავს რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთს, აღმ. და დას. ციმბირს.

სოჭის წიწვი შეიცავს 3,5% ეთერზეთებს, რომლის ფუძეზე ხდება სამკურნალო ნივთიერების ქაფურის სინთეზირება, გარდა ამისა შეიცავს: ასკორბინის მჟავას და ვიტამინ E, კაროტინს, ცილებს, ნახშირწყლებს, ფიტონციდებს, ფლავონოიდებს, მიკროელემენტებს - რკინას, მანგანუმს, კობალტი, თუთია, სპილენძი.

სოჭის თესლები, რომლებსაც ღებულობენ მომწიფებული გირჩებიდან, მდიდარია E ვიტამინით, ცხიმოვანი ზეთებით (30%-მდე), რომელიც შედგება ოლეინის, ლაურინის, კარმინის მჟავებისაგან.

ქერქი შეიცავს 13% მთრიმლავ ნივთიერებებს და რაც მთავარია მისგან ღებულობენ ფისოვან ნივთიერებას - რომელსაც „სოჭის ბალზამს“ უწოდებენ, ასევე სკიპიდარსა და ტერპენტინს.

სოჭის მერქანში ნაპოვნი 4%-ზე მეტი ეთერზეთები, რომელიც შეიცავს 85% ქაფურს.

ფესვები შეიცავს ისეთ ქიმიურ ნივთიერებებს, როგორცაა: ბორნილაცეტატი, ბორნეოლი, კამფენი, დიპენტენი, ბეზაბოლენი, სანტენი და სხვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტები. სოჭის ქიმიური შემადგენლობის ყველა ელემენტის მოქმედება განპირობებს მის სასარგებლო თვისებებს: მატონიზირებელი, საერთო გამაძლიერებელი, ანთების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი, ანტი-სეპტიკური, მადებინფიცირებელი, შარდმდენი. ოფიციალურ მედიცინაში წარმოდგენილია საკმაოდ დიდი სია იმ დაავადებების, რომელთა განკურნებისას თანმდევი თერაპიის სახით გამოიყენება სოჭის კომპონენტებიდან მიღებული სამედიცინო პრეპარატები: ფილტვების ანთება, ტუბერკულოზი, ზედა სასუნთქი ორგანოების გაციების, ტონილიტი - მწვავე და ქრონიკული, მწვავე რესპირატორულ-ვირუსული დაავადებები, სტენოკარდია, სტომატიტი, გინგივიტი, პაროდონტოზი,

ეგზემა, ფსორიაზი, ფურუნკულოზი, დიათეზი, რევმატიზმი, რადიკულიტი, ართროზი, ოსტეოხონდროზი, პროსტატიტი, ცისტიტი, ღებრესია, ნევროზები.

გარდა აღნიშნულისა, გამოიყენება გიპოავიტამინოზის, გაზრდილი დაღლილობის, იმუნიტეტის დაქვეითების, სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიასა და ფიტოთერაპიაში. ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან სოჭის ნაწილებით - წინვები, ქერქი, გირჩებით მკურნალობდნენ გაციებას, კანისა და რევმატიულ დაავადებებს. სადღეისოდ, ხალხური რეცეპტები მათი ეფექტურობიდან გამომდინარე ძლიერ პოპულარულია.

სოჭის პრეპარატების გამოყენება აბსოლუტურად უკუმაჩვენებელია შემდეგ შემთხვევებში: ინდივიდუალური შეუთავსებლობა, კრუნჩხვებისადმი მიდრეკილება, ეპილეპსია, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ფეხმძიმობა, მეძუძურები, პატარა ბავშვების მკურნალობისას.

<http://ogorodsadovod.com/entry/3202-tselitelnitsa-pikhhta-poleznye-svoistva>

გავრცელება: ბუნებრივი არეალი მოიცავს მცირე აზიას (თურქეთი - პონტოს ქედი). აღწერილია საქართველოდან.

საქართველოში გავრცელებულია შემდეგ რეგიონებში: აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, აჭარა, ქართლი, მესხეთი.

ჰაბიტატები: იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლში 800-2000 (2200) მ ზღვ. დონიდან, ქმნის ტყეებს. ჩრდილის მოყვარული მცენარეა; მომთხონია ჰაერის ტენისა და რბილი ზამთრისადმი, ასევე ნაყოფიერი ნიადაგებისადმი.

კულტივირება: ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ კულტივირებული სახეობაა ევროპაში, რომელსაც ფართოდ იყენებენ საახალწლო ნაძვის ხედ. ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია დანია, სადაც 100 მილიონი ხე მოჰყავთ, ხოლო ყოველწლიურად ექსპორტზე გააქვთ 5 მილიონი. გერმანიაში იყიდება 27 მილიონი.

წარმატებითაა კულტივირებული დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელარუსში, უკრაინაში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. https://ru.wikipedia.org/wiki/Пихта_

Cedrus deodara (Roxb. ex D.Don) G.Don - ჰიმალაური კედარი
Fam. Pinaceae - ოჯ. ფიჭვისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე 50 მ-მდე სიმაღლისა და 3 მ-მდე დიამეტრის ხეა, გამოირჩევა ფართო კონუსური ვარჯით. ტოტეები ჰორიზონტალურადაა განწყობილი. მერქანი მკვრივია, ამავე დროს რბილი და არომატული. წიწვები რბილია, თხელი, მკრთალი მონაცრისფრო-მომწვანო, შეკრებილია კონებად, თითოეულ კონაში 30-40 წიწვია. წიწვები სიცოცხლის ხანგრძლივობა 3-დან 6 წლამდეა. გირჩები ტოტეებზე ზევდან სხედან და მიმართულია ზევითკენ. თესლი მოთეთროა, ბაცი ყავისფერი ფრთით, ფისოვანია. სიცოცხლის ხანგრძლივობა 1000 წელს აღემატება. ჰიმალაიზე ადრეულ წლებში აღინიშნებოდა 3000 წლის ეგემპლარები, სადღეისოდ იშვიათობაა.

ფენოლოგია: გირჩი მწიფდება 1-1,5 წლის განმავლობაში, მომწიფების შემდეგ მეორე-მესამე წელს ცვივა.

მნიშვნელობა: ინდოეთში კედარი წმინდათა წმინდა ხეს წარმოადგენს. სიტყვა დეოდარი – წარმოიქმნა სანსკრიტული დევარადუსაგან – “ღმერთების ტყე” (“დევა”-ღმერთი, “დარუ”-ტყე). ინდუიზმში - მასზე ლოცულობენ, განსაკუთრებით კაშმირისა და პენჯაბუს შტატებში.

კედრის არომატული მერქანი ძველი დროიდანვე გამოიყენებოდა ინდოეთში მოსაწევი ჩხირების დასამზადებლად. მისი სურნელი აფრ-

თხოვს მწერებს, რის გამოც ახდენდნენ საცხოვრებელი სახლების დახარჯობას, მერქნის დისტილირებულ ზეთს უსმევდნენ საქონელს ფეხებზე, რათა მწერებს არ დაეკბინათ. გარდა ამისა მერქანი ხასიათდება ანტისოკოვანი მოქმედებით, მას იყენებდნენ სანელებლების შესანახად.

კედრიდან მიიღება ორი ტიპის ზეთი – ეთერზეთები და მცენარეული. ეთერზეთებს ღებულობენ მერქნიდან, ქერქისა და წიწვებიდან, გამოიყენება არომათერაპიაში, კოსმეტოლოგიაში, ჰარფიუმერიასა და სამკურნალო მიზნებისათვის. მცენარეული ზეთი მიიღება კედრის კაკლებიდან, იხმარება მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მოხმარებისათვის. დეოდარას ეთერზეთები შემდეგი მოქმედებით ხასიათდება: ფსიქო-ემოციონალური – ამშვიდებს, სძობს ეჭვებს, არკვევს რთულ სიტუაციებს, აუმჯობესებს განწყობას; სამკურნალო – ხსნის დაღლილობას და თავის ტკივილებს, ასტიმულირებს და ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვას, შველის გაციებებს, ასუფთავებს შენობებს. მაგიური – “სულიერი”-ს სურნელი, ასუფთავებს და ხელს უწყობს სულიერების ამაღლებას.

კაკლის მცენარეული ზეთი ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და საკვები თვისებებით, ბუნებაში მისი ანალოგი არ არსებობს, მისი სინთეზი შეუძლებელია. საოცრად მდიდარია ვიტამინებითა და მინერალური ელემენტებით და ფართოდ გამოიყენება კვებით მრეწველობაში, მედიცინაში, კოსმეტოლოგიასა და ყოფა-ცხოვრებაში. ერთი გირჩი შეიცავს 30-დან 150 კაკალს. 100 გ კედრის კაკალი უზრუნველყოფს ორგანიზმის დღეღამურ მოთხოვნილებას ამინომჟავებით და ისეთი მიკროელემენტებით, როგორიცაა სპილენძი, კობალტი, მანგანუმი, თუთია. კაკლის ბირთვი შეიცავს 63,9% ზეთებს, ცილებს, რომლის შემადგენლობაშია 19 ფაქტიურად შეუცვლელი ამინომჟავა (ტრიპტოფანი, ლიზინი, ლიცინი, სერინი, პროლინი, მეთიონინი, იზოლეიცინი, ჰისტიდინი, ცისტინი, ცისტეინი, არგინინი, ტიროზინი, ფენილალანინი, გლიცინი, ტრეონინი, ალანინი, ასპარაგინისა და გლუტამინის მჟავები), ვიტამინები (A, E, B₁, B₂, B₃), ნახშირწყლები (გლუკოზა, ფრუქტოზა, სახაროზა, სახამებელი, უჯრედისი, პენტოზანები, დექსტრინები, შაქარი), ცხიმები, მიკრო და მაკროელემენტები (Ba, Ti, Ar, Al, I, Ko, Na,

Mg, Cr, Va, K, P, Ca, Mo, Ni, B, Zn, Fe). შემადგენლობით მეტად მდიდარია კაკლის ნაჭუჭიც.

კედრის ზეთები შეიცავს ნახევრად გაჯერებულ ცხიმოვანებს – ოლენინის, ლინოლინის, ლინოლის, ამინომჟავებს, ვიტამინებს (A, B₁, B₂, B₃, D, E, F), ისეთ დეფიციტურ მკრო და მიკროელემენტებს როგორცაა რკინა, იოდი, მაგნიუმი, კალციუმი, კალიუმი, ფოსფორი, სპილენძი, კრემნიუმი, ბორი, ნიკელი, ნატრიუმი, ტიტანი, ვერცხლი, ალუმინი, მოლიბდენი. კედრის ზეთი გამოირჩევა ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობით, ანუ იმ ნივთიერებებით, რომლებიც არიანდებს ორგანიზმს სიბერეს. E ვიტამინის შემცველობით 5-ჯერ აღემატება ზეთისხილის ზეთს და 3-ჯერ ქოქოსის, ამ ვიტამინის ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს ცხიმოვანი ბალანსის დარღვევას, ვითარდება ათეროსკლეროზი, მეძუძურ დედებში წყვეტს ლაქტაციას. ფოსფორის შემცველობით კედრის კაკალი აღემატება ყველა სხვა არსებულ კაკლებსა და ეთერზეთოვან კულტურებს, მისი შედარება მხოლოდ სოიოსთანაა შესაძლებელი. მოთხოვნილება კედრის ზეთისადმი ყოველთვის მაღალი იყო და რა თქმა უნდა ღირებულებაც.

როგორც სამკურნალო ნედლეული დეოდარი ცნობილი იყო რამდენიმე ათასი წლით ადრე ჩვენს ერამდე. ხის ყველა ნაწილი – მერქანი, ნახერხი, ქერქი, წიწვები, ფისი, გირჩები, კვირტები, კაკლის გული და ნაჭუჭი, კედრის ზეთი – ფართოდ გამოიყენება სამედიცინო მიზნებისათვის, როგორც ხალხურ, ასევე ტრადიციულ მედიცინაში. უძველესი დროიდან ამ მცენარეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აიურვედას სისტემაშიც კედრის ყველა ნაწილი სამკურნალო ძალით გამოირჩევა: წიწვები მდიდარია A, C, ბეტა-კაროტინით, მთრიმლაფი ნივთიერებებით, ტერპენებით, ალკალოიდებით. წიწვების ნახარში უფრო მეტ C ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ლიმონის წვენი; მისი მერქნიდან დამზადებულ ჭურჭელში რძე დიდხანს არ მჟავდება, ხოლო წყალი კვირაობით არ ფუჭდება; მისი ყველა ნაწილი ხასიათდება მაღალი ფიტონციდური აქტივობით, აქვთ ბაქტერიციდული ძალა; უვნებელყოფს დაავადებების გამომწვევ მიკრობებს. სხვადასხვა ნაწილიდან ამზადებენ სალბუნებს, მალამოებს, აბაზანებს, ნახარშებს, ნაყენებს, ექსტრაქტებს, ზეთებს – რომლებიც გამოიყენება დაავადებების ფართო სპექტრის სამკურნალოდ. კერძოდ: ხელს უწყობს ფიზიკური და გონებრივი შრომის

უნარიანობას, ხსნის სტრესის შედეგებსა და ქრონიკულ დაღლილობას, ამძლავრებს იმუნიტეტსა და ორგანიზმის მდგრადობას, ეწინააღმდეგება მრავალი დაავადების წარმოქმნას, აქედან გამომდინარე უხანგრძლივებს ადამიანს სასიცოცხლო აქტიურ პერიოდს. განსაკუთრებით სასარგებლოა არახელსაყრელ კლიმატურ და ეკოლოგიურ პირობებში მცხოვრებთათვის, მაღალი ფსიქოემოციური დატვირთვებისა და ენერჯის გაზრდილი ხარჯვის ადამიანებისათვის.

კედრის ზეთი ხელს უწყობს ორგანიზმიდან მძიმე მეტალების მარილების გამოდევნას. სასარგებლო და სამკურნალო საშუალებაა ორგანიზმის გაახალგაზრდავებისა და სიბერის პროცესების შესაჩერებლად, სისხლში ქოლესტერინის დონის დასაწევად, მაღალი არტერიული წნევის დასაქვეითებლად, ვენების ვარიკოზული გაფართოების, ნიკრისის ქარების, რევმატიზმის, რადიკულიტის, ართრიტების, რაქიტის, პოლიართრიტის, სისხლისა და ლიმფის დაავადებების, სისხლნაკლებობის, ლარინგიტის, გაციების, გრიპის, ბრონქიტის, ტუბერკულოზის, ანგინის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების (გასტრიტი, ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული), კანის სხვადასხვა დაავადებების (ეგზემა, დერმატოზი, ნეიროდერმატიტები, ჭინჭრის ციება, ფსორიაზი, დიათეზი, კანის სიმშრალე, ტროფიკული წყლულები, ნაწოლები, დამწვრობები), ალერგიული აშლილობის, ათეროსკლეროზის, თირკმელებისა და თირკმელკენჭოვანი დაავადებების, შაკიკისა და თავის ტკივილების, კბილებიდან სისხლდენისა და ცინგის, კბილის ტკივილების დროს.

ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში, ხასიათდება რა ანტიოქსიდანტური მოქმედებით კანს იცავს თავისუფალი რადიკალების მოქმედებისაგან და ანელებს კანის სიბერის პროცესებს, ხასიათდება მკვებავი და დამატენიანებელი, ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი, შემკვრელი და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით, აძლიერებს ლიმფურ დრენაჟს, ანთავისუფლებს ცხიმებისაგან, გამოიყენება გასახდომ მასაჟებში, ფრჩხილებისა და თმის ძირების გასამაგრებლად. შედის სხვადასხვა სახის კრემების, ბალზამების, სუნამოების, საპნებისა და ა.შ. შემადგენლობაში.

კედრის კაკალი და ეთერზეთები წარმოადგენენ უსაფრთხო პროდუქტს, არ გააჩნიათ უკუჩვენებები როგორც საკვები, ასევე სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოყენებისას.

გავრცელება: სამშობლო პაკისტანია. იზრდება აღმოსავლეთ აზიაში, ჰიმალაის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ავღანეთის, პაკისტანის, ინდოეთისა და ნეპალის მთებში, ადის ზღ.დ.-დან 3600 მ სიმაღლემდე, წარმოქმნის ტყეებს ნაძვთან, ფიჭვთან და სოჭთან ერთად.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული ევროპისა და აზიის ქვეყნებში (ბიძინაშვილი, 2018).

Pinus sylvestris L.- ჩვეულებრივი ფიჭვი

Fam Pinaceae - ოჯ. ფიჭვისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 25-50 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, მონოპოდიურად დატოტვილი ღეროთი, რომელზედაც განლაგებულია ორგვარი ფოთლები: ერთი გრძელია და ვიწრო (ტოტური წინვები), მეორე მოკლეა და ბრტყელი, ტოტებზე ორ-ორადაა განწყობილი. ყლორტები დასაწყისში მწვანეა, ზატყულის ბოლოს ლევა - ყავისფერი ხდება. კვირტები კვერცხისებრ-კონუსურია, მონარინჯისფრო-ყავისფერი, დაფარულია თეთრი თხელი ფისით. ერთსახლიანი მცენარეებია, მამრობითი გირჩები განლაგებულია ახალგაზრდა ტოტების ძირში, მდედრობითი გირჩები კი ტოტების ბოლოებზე ან გვერდებზე. გირჩების ქერქლების შუბლი წახნაგოვანია. სიცოცხლის ხანგრძლივობა - 500 წელი.

ფენოლოგია: მდედრობითი გირჩები მწიფდება XI-XII, დამტკვრვიდან 20 თვის შემდეგ; იხსნება II-IV და მალე ცვივა.

მნიშვნელობა: სამკურნალო თვისებებით ხასიათდება ფისი, წინვები, კვირტები, მტვრიანები, ქერქი, აგრეთვე ფიჭვის წარმოებულები: კუპრი, სკიპიდარი, კანიფოლი, ხის ძმარი და სხვ. მისი სამკურნალოდ გამოყენება დაიწყო ჯერ კიდევ 5000 წლის წინათ. სადღეისოდ მას იყენებენ ფარმაკოლოგიაში, ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში. მცენარის სხვადასხვა ნაწილის შემადგენლობა და ფარმაკოლოგიური თვისებები განსხვავებულია. კვირტები შემდეგ სასარგებლო კომპონენტებს შეიცავს: ეთერზეთები - ინვევს ამოსახველებელ და ანტიბაქტერიალურ მოქმედებას; მთრიმლავი ნივთიერებები - გამოირჩევა ანთების საწინააღმდეგო აქტიურობით; ფიტონციდები - დამაშვიდებელი მოქმედებით ნერვულ სისტემაზე; ასკორბინის მჟავა - ასტიმულირებს იმუნიტეტს; რუტინი - ამაგრებს კაპილარებს; მიკროელემენტები - ანესრიგებს მეტაბოლიზმს; პინიციკონინი - ფლობს ნალველმდენ ეფექტს; ფიჭვის წინვები C ვიტამინის წყაროა; შეიცავს აგრეთვე მთრიმლავ ნივთიერებებს, ანთოციანებს, ალკალოიდებს, მაკროელემენტებს: კალციუმს, რკინას, ნიკელს, კობალტს, ფოსფორს, მანგანუმს, თუთიას, ასევე - ტერპენებს, მათ შორის ბორნეოლს და პინენს. მისგან დამზადებული პრეპარატები ასტიმულირებს ნახველის გამოყოფას, ხელს უშლის სურავანდის განვითარებას, ხსნის ტკივილებს, ახდენს დეზინფიცირებას და პათოგენური მიკროორგანიზმების განადგურებას. ფისი შეიცავს ტერპენოიდებს, ეთერზეთებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს: C, E, K, P, PP, A, D, - B ჯგუფის. ხასიათდება ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიალური, ჭრილობების შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანთებისა და სოკოების საწინააღმდეგო თვისებებით.

სამედიცინო პრაქტიკაში ფიჭვის კვირტების პრეპარატები და ხალხური საშუალებები გამოიყენება ბრონქიტის, რევმატიზმის, კუჭნაწლავის ტრაქტის და ლვიძლის პათოლოგიების სამკურნალოდ. ავლენს ანტი-სეპტიკურ აქტიუობას, ახდენს ნალვლისა და შარდის გამოყოფის სტიმულირებას, აუჭობს ნახველის გამოყოფას; წინვებიდან მიღებული საშუალებები უზრუნველყოფს ჰიპო და ავიტამინოზის პროფილაქტიკას და კურნავს C ვიტამინის დეფიციტს, ქლოროფილის პასტას იყენებენ გარეგანად - ჭრილობების, დამწვრობის და კანის სხვა დაავადებებისას. სკიპიდარს ხმარობენ გარეგანად ნევრალგიური და რევმატიული პათოლოგიების, ნიკრისის ქარის, მიოზიტის დროს; ლინიმენტს - ართ-

რიტებისა და მსგავსი ანთებითი პროცესებისას. გაჯერებული ტერპენტი-
ნის ზეთი - სახსრების ტკივილების სამკურნალოდ გამოიყენება. კუპრი -
მუნისა და ეგგემისას.

თანამედროვე ფარმაკოლოგიაში წინვები ითვლება მნიშვნელოვან ვი-
ტამინირებულ პრეპარატად, მისგან ამზადებენ ნაყენებსა და კონცე-
ნტრატებს ჰიპო და ავითამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობი-
სათვის, აგრეთვე მას იყენებენ როგორც მადეზინფიცირებელ, ამოსახ-
ველებელ და შარდმდენი საშუალებას. კანის დაავადებების სამკურნა-
ლოდ სხვადასხვა მალამოს შემადგენლობაში შედის ფიჭვის კუპრი.

<https://cz.siberianhealth.com/ru/blogs/ingredients/sosna/>

გავრცელება: ევრაზიაში ფართოდაა გავრცელებული, დაწყებული
ესპანეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან აღმოსავლეთისაკენ აღმ. ციმ-
ბირამდე. ჩრდილოეთით იზრდება ლაპლანდიამდე. სამხრეთით გვხვ-
დება მონღოლეთსა და ჩინეთში. წარმოქმნის როგორც წმინდა ნარ-
გაობებს, ასევე იზრდება ნა ძვთან არყის ხესთან, მუხასთან ერთად.

ჰაბიტატები: ნაკლებად მომთხოვნია ნიადაგისა და გრუნტის მიმართ.
ხშირად იკავებს სხვა სახეობებისათვის უვარგის ფართობებს: ქვიშ-
ნარებს, ჭაობებს. სინათლის მომთხოვნია. ჩრდილოეთით მისი არე-
ალი აღის ზღ. დ. 1000 მ სიმაღლემდე, სამხრეთით - 1200-2500 მ-მდე.

კულტივირება: როგორც ძირითადი ტყის წარმომქმნელი კულტურა,
ფართოდ გამოიყენება ტყის კულტურების პრაქტიკაში ყველა კლი-
მატურ ზონაში.

[https://good-tips.pro/index.php/medicinal-plants/pine-pinus-sylvestris-
health-benefits](https://good-tips.pro/index.php/medicinal-plants/pine-pinus-sylvestris-health-benefits)

Platycladus orientalis (L.) Franco (=Biota orientalis (L.) Endl.) - აღმოსავლური ბიოტა

Fam. Cupressaceae - ოჯ. კვიპაროსისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: კვიპაროსისებრთა ოჯახის მონოტიპური გვარის ერთადერთი სახეობაა, მარადმწვანე, ერთსახლიანი, წიწვოვანი 5-10 მ-მდე სიმაღლის ხე. ხის ტანი ჩვეულებრივ სწორია, ზოგჯერ ძირიდან იყოფა რამდენიმე ვერტიკალურად მიმართული ღერძებით. ხის ქერქი თხელია, ბაცი მონითალო-ყავისფერი შეფერილობის, იშლება გრძელ ზოლისებრ შრეებად. წიწვები მჭიდროდაა ტოტებზე განწყობილი, ქერქლისებრია, მახვილი წვერით, ბაცი მწვანე ფერის, ზამთარში მურა შეფერილობას იძენს. მათი თავისებურებაა ფისოვანი ჯირკვლების არქონა. მამრობითი გირჩები (მიკროსტრობილები) მოყვითალო-მწვანეა წაგრძელებული ფორმის, 2-3 მმ სიგრძის, განლაგებულია ყლორტების ბოლოებში. მდედრობითი გირჩები (მეგასტრობილები) 2 სმ სიგრძისაა, თითოეული მათგანი ცალკეული ტოტების ბოლოებზეა განწყობილი, აქვს სფერული ფორმა დამახასიათებელი წამონაზარდების სახით; მომწიფებამდე გირჩები რბილია, დაფარულია მოცისფრო-მწვანე ნაფიფქით, მომწიფებისას - გამერქნებულია, ხდება მონითალო-ყავისფერი და იშლება. ცალკეულ ქერქლში 1-2 თესლია, რომლებიც კვერცხისებრი ფორმისაა, დაფარულია სქელი მურა-ყავისფერი ნაჭუჭით.

ფენოლოგია: გირჩების დამტვერვა ხდება გაზაფხულზე, აპრილის დასაწყისში; მნიფდება დამტვერვიდან მეორე წელს.

მნიშვნელობა: ჩინური ბუდისტური ფილოსოფია ბიოტას აკავშირებს დღეგრძელ სიცოცხლესა და ენერჯიასთან. მიიჩნევენ, რომ ბუდისტურ ტაძრებთან მობარდი ზოგიერთი მსხვილი ნიმუშები დარგულ იყო 1000-ზე მეტი წლის წინათ.

ფოთლები და მერქანი შეიცავს ეთერზეთებს - პინენს (55-60%), სესკვიტერპენოიდებს (ვიდლენი, კარიოფილენი, ცედროლი, არომადენდრენი), პინიპიკრინს, პილენს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს. გარდა ამისა, მერქანში აღინიშნება არომადენდრინი, ტოკსიფოლინი, თესლებში - ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთები. ეთერზეთების ერთ-ერთი კომპონენტი ხინიკიტოლი, ანტისოკოვანი მოქმედებით გამოირჩევა.

ბიოტასაგან მიღებული სამკურნალო პრეპარატები ოფიცინალურად გამოიყენება ჩინურ მედიცინაში, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ჰომეოპათიაში. თესლის გული მატონიზირებელი და დამამშვიდებელი მოქმედებიდან გამომდინარე იხმარება ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ; ქერქლოვანი ფოთლები როგორც შემკვრელი და სისხლდენის შემაჩერებელი საშუალება - სისხლიანი ხველების, ცხვირიდან, ნაწლავებიდან, ელენთიდან და საშვილოსნოდან სისხლდენების, დიზენტერიისა და ბრონქიალური ასთმის შემთხვევაში. მცენარის ყველა ნაწილის 10%-იანი ნაყენი გარეგანად იხმარება წითელი ქარის დროს, ნორჩი ყლორტების ნაყენი კი გამოიყენება თირკმელების, ღვიძლის, ყვიანახველის, კუჭის აშლილობის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარისა და ოსტეოხონდროზის სამკურნალოდ; ფოთლების სპირტიანი ექსტრაქტი თრგუნავს ტუბერკულოზის ჩხირების ზრდას კონცენტრაციით 1:80000, წყლიანი ექსტრაქტი 1:100 კონცენტრაციით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცენარე სუსტად შხამიანია, გამოყენებისას გაითვალისწინეთ ექიმის რჩევები. უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალები-სათვის.

გავრცელება: ბუნებრივი გავრცელების არეალი მოიცავს ჩინეთს და ლოკალურად სამხრეთ კორეას.

ჰაბიტატები: იზრდება ზღ. დონიდან 300 მ-დან 3300 მ სიმაღლემდე. უპირატესობას ანიჭებს თბილ ზომიერ კლიმატს. წარმოქმნის მდგრად

თანასაზოგადოებას ბუნგეს ფიჭვთან ერთად მშრალ კირქვიანებზე, აღნიშნული დაჯგუფებები გარშემორტყმულია მუხნარი ტყეებით.

კულტივირება: ჩინეთში მცენარე ტრადიციულად ფართოდ იყო კულტივირებული, საიდანაც გავრცელდა მეზობელ რეგიონებში. ამჟამად, მთელ მსოფლიოშია ნატურალიზებული.

Taxus baccata L. - ურთხელი, უთხოვარი
Fam Taxaceae - ოჯ. ურთხლისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 10-25 მ-მდე სიმაღლის, ხშირწიწვოვანი მარადმწვანე, ორსახლიანი ხეა,

ვარჯი კვერცხისებრია ან თითქმის პირამიდული ფორმის, მონითალორუხი ფერის ქერქით. წიწვები ბრტყელია, შიშველი, ხაზური, ოდნავ ნამგლისებრ მოღუნული, მოკლევუნნიანი, ბოლოში წანვეტებული, ქვემოდან - სიგრძივი შუა ძარღვით, მოყვითალო ან ღია მწვანე, ზემოდან - მუქი მწვანე, პრიალა. მამრობითი გირჩები სფერულია, მარტოული, წიწვების უბეებში განლაგებული, ძირში ქერქლებით შემოხვეული. მდედრობითი გირჩები არა აქვს; თესლკვირტი ერთია, ილიური ტოტების ბოლოებში განლაგებული და ძირში რამდენიმე წყვილი ქერქლით შემოხვეული. თესლები მურაფერისაა, მაგარი, ოვალური, თავში ოდნავ წანვეტებული, კაშკაშა წითელი, მოტკბო გემოს ხორცოვანი, კათხასებრი თანათესლით შემოხვეული. გამორჩევა სიცოცხლის

ხანგრძლივობით, სხვადასხვა მონაცემებით, აღწევს 1,5-4 ათასამდე წელს.

ფენოლოგია: III –V.

მნიშვნელობა: მერქანი ხასიათდება ძლიერი ბაქტერიციდული თვისებებით, ანადგურებს იმ მიკროორგანიზმებსაც კი, რომლებიც ჰაერშია გავრცელებული, განსაკუთრებით ფასდებოდა მასობრივი ეპიდემიების დროს. მერქანი, ქერქი და წიწვები შეიცავს მხამიან ალკალოიდ ტაქსინს, რომელიც იწვევს მონამღვას, ხშირად ლეტალური დასასრულით.

1990-იანი წლებიდან მცენარის ალკალოიდებს იყენებენ სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებების (პაკლიტაქსელი, დოცეტაქსელი) დასამზადებლად.

ძლიერი მხამიანობიდან გამომდინარე, არ არის რეკომენდირებული სახლის პირობებში შინაგანი გამოყენებისათვის. წიწვების ნახარშს გარეგანად ხმარობენ რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, კანის მიკოზის, სხვადასხვა სახის დერმატიტებისა და მუნის სამკურნალოდ.

იხმარება კლასიკურ ჰომეოპათიაში, საფეთქლისა და სუპრარაბიტალური თავის ტკივილების, ყელის ქრონიკული კატარის, საჭმლის მიღების შემდეგ წარმოქმნილი ხველების, საკვებმომწელებელი სისტემის დაავადებებისას, რომლებსაც ახლავს ტკივილები ან ჩხვლეტები, ღვიძლის ციროზის, ათონური ყაბზობის, შარდსადინარი გზების დაავადებების, გართულებული შარდვის, კანის დაავადებების (წითელი ქარი, ფოლიკულიტი, გამონაყრები) სამკურნალოდ.

მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

გავრცელება: დასავლეთ, ცენტრალური და სამხრეთ ევროპა, ხმელთაშუაზღვის მხარე, მცირე აზია, ჩრდილო-დასავლეთი აფრიკა, ჩრდ. კავკასია.

საქართველოს ყველა რეგიონშია წარმოდგენილი, მესხეთ-ჯავახეთის გარდა. მისი საუკეთესო კორომი შემორჩენილია კახეთში (ახმეტის რაიონი) ალაზნის სათავესთან - ბანარას ხეობაში, ზღვ. დ. 1000-1300 მ სიმაღლეზე, 800 ჰა-მდე ფართობზე. იშვიათ სახეობათა რიცხვს მიეკუთვნება, შეტანილია სხვადასხვა ქვეყნის „წითელ წიგნებში“, მათ შორის

საქართველოს „წითელ წიგნსა“ (1982) და საქართველოს „წითელ წიგნსაში“ (2006).

ჰაბიტატები: იზრდება დაჩრდილულ ტენიან ტყეებში ზღვ. დონიდან დანყებული 1500-1800 მ სიმაღლემდე, უმთავრესად წიფლნარებში ერთეული ინდივიდების ან მცირე ჯგუფების სახით.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული ევრაზიის ქვეყნებში.

<https://www.ogorod.ru/ru/outdoor/coniferous/10471/Tis-jagodnyj-foto-opisanie-i-osobennosti-vyrashhivaniya-redkogo-rasteniya.htm>

კლასი Chlamydospermatophytineae - საფრიანთესლიანები

ამ ჯგუფის მცენარეებიდან სამკურნალო თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ეფედრასებრთა ოჯახი, წარმოდგენილია ერთი გვარით ეფედრა ანუ ჯორის ძუა, რომელიც 30-მდე სახეობას მოიცავს, მათ შორის ზოგიერთი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ყურადღებას ვამახვილებთ ერთ-ერთ მათგანზე

Ephedra distachya L. - ორთავთავა ჯორისძუა (ორთავთავა ეფედრა)
Fam. Ephedraceae - ოჯ. ჯორისძუასებრნი (ეფედრასებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: დაბალი 15-100 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი ბუჩქია, მხოხავი ფესურით და მოკლე ყლორტებით, მუქი ნაცრისფერი ქერქით. ფოთლები ჩანასახოვანია, ქერქლისებრი, ერთმანეთთან დაკავშირებულნი მილძაბრებად. ნაყოფი კენკრისებრია, სფერული ან მოგრძო, წითელი ფერის.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ მწვანე ტოტები გამოიყენება. შეიცავს შხამიან ალკალოიდს ეფედრინს და ფსევდოეფედრინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, პიროკატეხინსა და სხვ.

როგორც სამკურნალო მცენარე უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჩინეთში მას იცნობდნენ 3500 წლის წინათ. ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ავიწროებს სისხლძარღვებს, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, ამალღებს სისხლის წნევას, ასუსტებს ბრონქებისა და სხვა ორგანოების გლუვ მუსკულატურას, ეფედრა ასევე ხელს უწყობს შარდისა და ოფლის გამოყოფას, აქვეითებს სხეულის ტემპერატურას ციებ-ცხელების დროს, ამცირებს და სპობს ტკივილებს. ხალხურ მედიცინაში ნახარშს იყენებენ რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, გულის, კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ.

ეფედრას ბალახიდან გამოყოფილია სუფთა სახით ალკალოიდი ეფედრინი. ოფიცინალურ მედიცინაში ეფედრინი გამოიყენება ბრონქიალური ასთმის, ყივანახველის, ჰიპოტონიის, წნევის დასაქვეითებლად, ჭინჭრის ციების, ზღვის ავადმყოფობის, ტრავმის შედგომი კოლაპსის დროს.

ეფედრას ბალახის და ეფედრინის გამოყენება უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიული დაავადებების, არტერიოსკლეროზის, გულის მძიმე ორგანული დაავადებებისა და უძილობისას.

გავრცელება: სამხრეთ კავკასია, დას. ციმბირი, შუა აზია, ხმელთაშუაზღვის მხარე.

საქართველოში გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარუდაბნოს ზონაში.

ჰაბიტატები: იზრდება მშრალ სტეპებზე, ბორცვებზე.

ტიპი Angiospermae - ფარულთესლოვანნი

ფარულთესლოვანნი ყველა სხვა ტიპთან შედარებით ფრიად გავრცელებულია და მრავალი სახეობითაა წარმოდგენილი. მრავალ განმასხვავებელ ნიშანთან ერთად, მათთვის დამახასიათებელია ბუტკოს განვითარება და მათ ბუტკოიან მცენარეებსაც უწოდებენ.

ფარულთესლოვანნი მორფოლოგიურ-ანატომიური ძირითადი ნიშნების მიხედვით ორ კლასად იყოფა: 1. კლასი - ორლებნიანები და 2. კლასი - ერთლებნიანები.

Dicotyledoneae - ორლებნიანები

ორლებნიან მცენარეებს ახასიათებს ორი მოპირისპირე ლებნიანი ჩანასახი, რგოლურად განლაგებული ჭურჭელობოჭკოვანი კონები, მთლიანი ან განკვეთილი ფოთლის ფირფიტა ბადისებრი დაძარღვით, 5 ან 4-წევრიანი ყვავილი, მერქანსა (ქსილემა) და ლაფანს (ფლოემა) შორის მოთავსებული წარმომქმნელი ქსოვილი - კამბიუმი, რომელიც განაპირობებს ღეროს ზრდას სისქეში. ორლებნიანნი ყვავილოვან მცენარეთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასია, აერთიანებს 175 000 სახეობას (350-360 ოჯახი). საქართველოში გავრცელებულია 108 ოჯახის 726 გვარის 3000-მდე სახეობა. ორლებნიანთა ვეგეტატიური და რეპროდუქციული ორგანოების მრავალგვარობა ართულებს ნათესაური კავშირის დადგენას ამ კლასის რიგებსა და ოჯახებს შორის. აღნიშნული კლასის მცენარეებიდან ტექსტში ყურადღება გამახვილებულია 142 სახეობის სამკურნალო მცენარეზე, რომლებიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ტრადიციულ და ხალხურ მედიცინაში, სადღეისოდ კი მრავალი მათგანი სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეებშია შეტანილი და ინტენსიურად იხმარება ოფიცინალურ მედიცინაში.

Achillea millefolium L. – ფარსმანლუკი

Fam. Asteraceae (Compositae) – ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სწორმდგომი, 50სმ სიმაღლის, დაუტოტავი ღეროთი. ფოთლები მორიგეობითია, ლანცეტა ან ხაზური, ორმაგ-საშმაგ ფრთისებრ განკვეთილი, ფოთოლაკები ხაზურია, წანვეტებული. ღეროს წვერზე შეკრებილია ყვავილები-კალათები რთულ ფარისებრ ყვავილედად. კალათების საბურველი შედგება მჭიდროდ კრამიტისებრ განლაგებული ფოთოლაკებისაგან, რომლებიც კიდევზე მონითალო-ყავისფერია, შუაში კი მწვანე. ცალკეული კალათა შედგება 5 განაპირა, თეთრი /იშვიათად ვარდისფერი/ ენისებრი და 3-30 მილისებრი, მოყვითალო-მურა ყვავილებისაგან.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება მინისზედა ყლორტები, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში, შეიცავს ფლავონოიდებს, ალკალოიდ ახილეინს, კუმარინებს, აკონიტის მჟავას, მწარე და მთრიმლაგ ნივთიერებებს, ფისებს, ორგანულ მჟავებს, ინულინს, ასპარაგინს, მინერალურ მარილებს, ასკორბინის მჟავას, ფილოქინონს, კაროტინს, ქოლინს. თესლებში აღინიშნება 21 %-მდე ცხიმზეთები.

ფოთლებსა და ყვავილელებში აღინიშნება მოყვითალო-მწვანე ან ლურჯი შეფერილობის ეთერზეთები (0,85%), რომლის შემადგენლობაშია მონოტერპენოიდები (ცინეოლი, ქაფური, ტუიოლი), სესკვიტერპენოიდები - ახილინი, აცეტილბალხინოლიდი, კარიოფილენი, აზულენი, რთული ეთერები, ბორნეოლი, პინენი, ლიმონენი, ტუიონი, ბორნილა-ცეტატი. ეთერზეთების გარდა შეიცავს სალიცინის, ჭიანჭველას, ძმრისა და იზოვალერიანის მჟავებს, K ვიტამინს.

მცენარე ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, ანტი-ალერგიული და ჭრილობების შესახორცებელი მოქმედებით.

ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის მედიცინაში როგორც სისხლდენის შემაჩერებელი და დამამშვიდებელი საშუალება შინაგანი და გარეგანი სისხლდენებისას (ცხვირიდან, საშვილოსნოდან, ფილტვებიდან, კუჭ-ნაწლავიდან, ჰემოროიდალური და სხვა), კოლიტის, კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწლავის წყლოვანი და სხვადასხვა სახის დაავადებებისას, შარდსადინარი გზების ანთებითი პროცესების დროს; არის შემკვრელი საშუალება კუჭის აშლილობისას. იხმარება ნაყენების,

ნახარშებისა და ექსტრაქტების სახით. შედის მადის გასაუმჯობესებელ, კუჭისა და სასაქმებელ ნაკრებებში.

ხალხურ მედიცინაში ფარსმანდუკს იყენებენ თეთრად შლის, უძილობის, ათეროსკლეროზის, მალარიის, შარდკენჭოვანი და ღვიძლის ზოგიერთი დაავადების, შარდის შეუკავებლობის, ღიათების, ნევრასტენიის, ისტერიის, გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს; ჭრილობების შესახორცებლად და სისხლდენის შესაჩერებლად უხვი მენსტრუაციის შემთხვევაში.

ნედლი წვენი (შინაგანად) - ლაქტოგენური საშუალებაა, აფერხებს თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნას; გამოიყენება ანემიის, სისხლდენის შესაჩერებლად სხვადასხვა სახის სისხლდენებისას, ანესრიგებს მენსტრუაციას და ხსნის ტკივილებს, შველის გულის ფრიალს, სისხლის მოზღვავენას და თავბრუსხვევას კლიმაქსის პერიოდში. გარეგანად იხმარება ძნელად შესახორცებელი ჭრილობების, ფურუნკულების, გამონაყრების სამკურნალოდ.

გავრცელება: ბორეალური, ევრაზიული სახეობაა.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატი: მეზოფიტია, სინათლის მოყვარული; იზრდება მთის შუა და სუბალპურ სარტყელში, ტყის, ტყესტეპისა და სტეპის ზონებში, ნათელ ტყეებში, ტყის პირებზე, ტყის ფანჯრებში, ტყის მშრალ მდელოებზე, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ხეობებში.

კულტივირება: ფარსმანდუკი არ არის პრეტენზიული ადგილმდებარეობის, კლიმატისა და წინამორბედი კულტურების მიმართ. ცუდად ვითარდება ტენიან ადგილებში. დარგვის წინ ნიადაგში შეაქვთ აზოტი-40 კგ/ჰა-ზე. ამდენივე აზოტი შეაქვთ პირველი ჭრის შემდეგ. რეკომენდირებულია საფუძვლიანი განოყიერება 80 კგ P_2O_5 , და 100 კგ K_2O - ის შეტანით ჰა-ზე.

მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად - კალმებითა და ფესურების დაყოფით. დარგვა უმჯობესია გაზაფხულზე, ამით შესაძლებელია პირველსავე წელს მოსავლის აღება.

ბოლო ხანებში მიმართავენ უშუალოდ ღია გრუნთში თესვას, ველური მცენარეებიდან შეგროვილი სათესლე მასალით. შემოდგომით თესენ ზედაპირულად, ნორმით 3 კგ ჰა-ზე, მწკრივებს შორის მანძილი 30-დან 35 სმ-მდე.

მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებაში, სარეველებისაგან გასუფთავებასა და ზომიერ მორწყვაში.

მავენებლებიდან აღინიშნება ცერკოსპორელა (*Cercospora achillea*) ინვეს ფოთლების წვეროდან გაყავისფრებას, ფოთლის ბუერი (*Aphis* sp), ნამღვილი ნაცარი (*Erysiphe cichoracearum*) /*Базилевская* и др., 1959/

***Actinidia kolomikta* (Maxim) Maxim - აქტინიდა, კივი**

Fam. Actinidiaceae - ოჯ. აქტინიდიასებრი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 10-12 მ-მდე სიმაღლის ხისებრი ლიანაა, ახალგაზრდა ყლორტები მონითალო-მოყავისფრო შეფერილობისაა, პრიალა, გლუვი, მრავალრიცხოვანი წერტილოვანი ჭირკვლებით მოფენილი. ფოთლები ცვალებადი შეფერილობით ხასიათდებიან; ზრდის დასაწყისში ბრინჯაოსფერია, შემდეგ - მწვანე, ყვავილობამდე ფოთლების დიდ ნაწილს ბოლოები კაშკაშა თეთრი უხდებათ, გადაყვავილების შემდეგ კი იძენს ვარდისფერს, მოგვიანებით - მონითალო შეფერილობას. ჭრელფოთლიანობა განსკუთრებით იმ მცენარეებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც იზრდება განათებულ ადგილებში. ფოთლები მორიგეობითია, ელიფსური ან მომრგვალებული ძირით, მახვილწვერიანი, თხელი. ყვავილები აქტინომორფურია, თეთრი ან შივნითა მხრიდან ოდნავ მოვარდისფრო, სუსტი სასიამოვნო სურნელის. ნაყოფები მუქი მწვანე კენკრაა, მოგრძო, ელიფსური, იშვიათად მომრგვალო. სიმწიფეში წვნიანი, ტკბილი და არო-

მატული. თესლი მრავალრიცხოვანია, წვრილი, მუქი ყავისფერი. 1000 თესლის წონა 0,82-1 გ. ნაყოფმსხმოიარობს მე-9 წლიდან.

ფენოლოგია: ყვ. VI; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: პროფილაქტიკური და სამკურნალო მიზნით გამოიყენება ფოთოლი, ქერქი, ყვავილები და ნაყოფები. ნაყოფი საკვებად იხმარება ნედლი და დაკონსრვებულის სახით, შეიცავს ასკორბინისა და სხვა ორგანულ მჟავებს, პექტინებს, მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, სახამებელს, უჯრედის, შაქრებს, ვიტამინებს P, Q კაროტინს. ფოთლებში გამოვლენილია - ლაქტონები, ფლავონოიდები, საპონინები, ფესვებში - ალკალოიდები; ყლორტებსა და ქერქში აღმოჩენილია ფლავონოიდები (კატეხინები).

მცენარე ეფექტურია თავბრუსხვევების, ხშირი თავის ტკივილების, როგორც გამაუმტკივნეული, დამამშვიდებელი, ამოსახველებელი, სისხლდენისშემამჩრებელი და საერთოგამაძლიერებელი საშუალება. ნაყოფებში ვიტამინების P და C-ს მსგავსი კომბინაცია სისხლძარღვების კედლებს ელასტიურობას ანიჭებს, ხოლო სახამებელი და უჯრედის სასარგებლოდ მოქმედებს საკვების მონელებაზე. ნაყოფები გამოირჩევა ცინგის საწინააღმდეგო მაღალი აქტივობით.

C ვიტამინის შემცველობით უტოლდება ასკილის ნაყოფებს, მაგრამ აჭარბებს ლიმონს, ფორთოხალსა და შავ მოცხარს. მითითებულია ავიტამინობის პროფილაქტიკისა და თერაპიისათვის, ასევე დადებითად მოქმედებს ყაბზობის დროს.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ აქტინიდის ნაყოფებში შემადგენლობაშია ვიტამინი Q, რომელიც იწვევს კიბოს უჯრედების ზრდის დამუხრუჭებას და ამცირებს მეტასტაზების წარმოქმნის რისკს; ნაყოფების ექსტრაქტი ხელს უწყობს ორგანიზმიდან რადიონუკლიდების გამოდევნას. ნაწოფის რბილობი და წვენი, სპირტიანი ნაყენი იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას და მათი კედლების გამაგრებას, უზრუნველყოფს მათ ელასტიურობას, აქვეითებს წნევას.

ალმოსავლური ქვეყნების ფარმაკოლოგიაში მითითებულია გულის კუნთის მოქმედების სტიმულაციისათვის, გაციებების დროს, როგორც ცინგის საწინააღმდეგო, შარდმდენი და საერთოგამაძლიერებელი საშუალება. იაპონიაში აქტინიდის ექსტრაქტის საფუძველზე მიღებულია პრეპარატი - პოლიგამოლი, რომელიც გამოიყენება როგორც იმუნო-

მოდულირებული, შარდმდენი საშუალება, აგრეთვე იხმარება გულის კუნთის სტიმულირებისა და მის გასამაგრებლად.

სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე უძველესი დროიდან გამოიყენება აღმოსავლეთის მედიცინაში, როგორც ეფექტური ცინგის საწინააღმდეგო, ვიტამინირებული და საერთო გამაძლიერებელი საშუალება ჰიპო და ავითამინოზის დროს, კუჭის, საშვილოსნოს, ფილტვებისა და ნაწლავური სისხლდენებისას, ასტმის, ტუბერკულოზის, ყვიანახველისა და კბილების კარიეზის სამკურნალოდ.

ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფის კონცენტრირებული ნაყენი, საჭმლის მიღებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

დაქუცმაცებული ყვავილებისა და ფოთლების ნახარში კარგი საშუალებაა სტენოკარდიით და რევმატიზმით გამონვეული ტკივილების მოსახსნელად. მშრალი ნაყოფების ნახარში ნაჩვენებია ანემიის დროს. გამოიყენება გარეგანად - ნაყოფის წვენი და ქერქი ხელს უწყობს ჭრილობების სწრაფ შეხორცებას, ახდენს რეგენერაციული პროცესების სტიმულირებას, რის გამოც ეფექტურია სველი ეგზემის, რთულად შესახორცებელი ჭრილობების სამკურნალოდ.

უკუმაჩვენებელია ტრომბოფლებიით, ვენების ვარიკოზული გაფართოებით და სისხლის მაღალი შედედებით დაავადებულთათვის; ვინაიდან ნაყოფები დიდი რაოდენობით შეიცავს ასკორბინის მჟავას, სიფრთხილვ მართებთ გასტრიტით, თირკმელებითა და წყლულოვანი დაავადებების მქონე ადამიანებს.

გავრცელება: შორეული აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია.

ჰაბიტატები: იზრდება სხვადასხვა ტიპის ტყეებში: კედრნარებში, ფიჭვნარ-ფართოფოთლოვან, ფართო-ფოთლოვან-ნაძვნარებსა და ფიჭვნარ-ნაძვნარებში. ხშირად წარმოქმნის რაყებს მდინარეების ნაპირებზე და განათებულ ადგილებში; კარგად ვითარდება ნაკაფებსა და, ნახანძრალეებზე.

კულტივირება: წარმატებითაა ინტროდუცირებული ჩრდილოეთ რეგიონებში, მაღალი ცინვაგამძლეობიდან გამომდინარე. საქართველოში მოჰყავთ დასავლეთ რაიონებში. გამოყვანილია აქტინიდის 30-მდე ჯიში (პაპუნიძე, 1998; iya-kolomikta/.

Aesculus hippocastanum L. - ცხენისნაბლა
Fam. Hippocastanaceae - ოჯ. ცხენისნაბლასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 20-30 მ-მდე სიმაღლის ხეა მრგვალი ან პირამიდალური ვარჯით. ფოთლები მოპირისპირეა, მსხვილი, თათისებრ-რთული, 5-7 ფოთოლაკიანი, თითოეული მათგანი უკუკვერცხისებრია, ძირში შუბისებრ შევიწროებული. ყვავილები თეთრია, ნითელ-ლაქებიანი, სურნელოვანი, შეკრებილია სწორმდგომ, კონუსისებრ საგველა ყვავილედად. ნაყოფი სფერული, მწვანე კოლოფია, მრავალრიცხოვანი ეკლებით, შეიცავს ერთ კაკლისებრ მუქ ყავისფერ, პრიალა თესლს.

ფენოლოგია: ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი, ფოთოლი, ყვავილი და თესლი. ქერქი გროვდება ადრე გაზაფხულზე, ყვავილები - ყვავილობის დასაწყისში, თესლი - გვიან შემოდგომით, როდესაც დამოუკიდებლად ცვივიან ნაყოფიდან მიწაზე. ქერქი შეიცავს გლიკოზიდებს - ფრაქსინს, ესკულინს, ტრიტერპენულ საპონინ - ესცინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ცხიმოვან ზეთებს; ფოთოლში აღინიშნება - ფლავონოიდები, სპირეოზიდი, ასპარალგინი, კაროტინოიდები; ყვავილში - რუტინი და სხვა ნივთიერებები.

ხასიათდება მატონიზირებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, მთრიმლავი მოქმედებით.

მცენარის სხვადასხვა ნაწილში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ამცირებენ სისხლძარღვთა კაპილარების შეღწევალო-

ბას; აქვეითებენ სისხლის სიბლანტეს, ზრდიან ვენების სისხლსავსეობას და მათ ტონუსს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დარღვეულია ვენოზური გამტარებლობა.

ცხენისნაბლასაგან დამზადებული პრეპარატები ამცირებენ სისხლის კოაგულაციას, ამაგრებენ კაპილარებისა და ვენების კედლებს, თავიდან აცილებენ სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობენ წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. თრომბოფლებიტის მკურნალობისას, მცირდება შეშუპება და ტკივილით დაზიანებული არე, რბილდება და თანდათანობით ქრება თრომბები. ანალოგიური ეფექტი აღინიშნება ბუასილის მკურნალობისას. გამოიყენება ვენების გაგანიერების, მუხლების ტროფიკული წყლულის, საჭმლის მონელების ქრონიკული მოშლილობის, მიოზიტების, ნევრალგიის, ზემო სასუნთქი გზების დაავადებების, არტერიული ჰიპერტენზიის, ათეროსკლეროზის, ცხელებისა და მალარიის დროს.

ცხენისნაბლისგან მზადდება პრეპარატები: „ესკუბანი“, „რეპარილი“, რომლებიც ვენების დაავადებების დროს გამოიყენება.

თესლი შხამიანია! ნედლი თესლის მიღება უარყოფითად მოქმედებს საჭმლის მონელებაზე, იწვევს მუცლის ტკივილებს და შებერილობას.

გავრცელება: სამშობლო ბალკანეთის მცირე ტერიტორიაა (ჩრდ. საბერძნეთი, ალბანეთი, მაკედონია, სერბეთი და ბულგარეთი); აღინიშნება ირანის ჩრდილოეთ რაიონებში და ჰიმალაის მთისწინებზე.

ჰაბიტატები: იზრდება ფართოფოთლოვან ტყეებში, მისი თანმდევი მცენარეებია: მურყანი. იფანი, ნეკერჩხალი, რცხილა, მუხა და სხვ. მთებში ადის ზღვ. დ. 1200 მ სიმაღლემდე.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული ზომიერი კლიმატის ქვეყნებში. მაღალ-დეკორატიულობიდან გამომდინარე, ინტროდუცირებულია საქართველოს რეგიონების ნარგაობებში.

https://ru.wikipedia.org/wiki/Конский_каштан_обыкновенный

Agrimonia eupatoria L. - ბირკაგა
Fam. Rosaceae - ოჯ. ვარდისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 30 სმ-დან 1 მ-მდე სიმაღლის მცენარეა. სწორმდგომი ღეროთი, ფოთლების მსგავსად ბუსუსუსებით დაფარული. ფოთლები კენტფრთართულია, ფოთოლაკები ელიფსურია, დაკბილული, ზოგჯერ როზეტად შეკრებილი. ყვავილები ხუთწევრიანია, ყვითელი, შეკრებილია ღეროს ზედა ნაწილში თავთავისებრ ყვავილედად. ნაყოფი კაკლუჭაა, თესლი წვრილია, შავი შეფერილობის.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები, ბალახის მოყვავილე ყლორტები, ფესვები. ბალახი შეიცავს დიდი რაოდენობით მთრიმლაჳ და მწარე ნივთიერებებს, ლორწოს, მინერალურ მარილებს, ფლავონოიდებს, სტეროიდულ საპონინებს და სხვა გლიკოზიდებს, B ჯგუფის ვიტამინებს, ფიტოსტერინს, ფისებს, ალკალოიდებს. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ნაღველმდენი, შარდმდენი, ოფლმდენი, სპაზმოლიტური, ამოსახველებელი, ჭისმდენი, ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედებით.

მას იყენებენ ონკოლოგიური დაავადებების (ნაწლავებისა და შინაგანი ორგანოების), ნეიროციკრიკულარული დისტონიის, თავის ტკივილითა და სიმპათიკურ - ადრენერგული კრიზის თანმხლები სიმპტომებით, ქო-

ლექსიტექტომიური სინდრომის შემდგომ პერიოდში და პანკრეატიტის დროს. მსხვილი ნაწლავის კიბოს სამკურნალოდ შინაგანად უტარებენ მიკროკლოზმებს. კარგი შედეგებია მიღებული ბირკავით ნაწლავებსა და კუჭში პოლიპების მკურნალობისას, ასევე ქრონიკული ბუასილისა და ვარიკოზების შემთხვევაში.

მისი უნიკალური თვისებებიდან გამომდინარე, ხალხურ მედიცინაში ბალახი გამოიყენება კრახანის მსგავსად: ჰეპატიტის, ღვიძლის ციროზის, ქოლეცისტიტის, ხოლანგიტის, სიყვითლის, სახსრების დაავადებების, ნაღვლის ბუშტისა და თირკმელებში კენჭების საწინააღმდეგოდ.

ბირკავას ნახარშს იყენებენ პირის ღრუს გამოსავლებად ლარინგიტის, ფარინგიტის, ანგინის, გინგივიტის, სტომატიტის დროს, აგრეთვე საფენების, კომპრესიის, აბაზანების სახით გამოიყენება ჭრილობების, წყლულების, დამწვრობის, ეგზემის, ფურუნკულოზის, ბუასილის, დერმატიტის განსაკურნავად, სურდოს დროს ცხვირის გამობანვაში.

გავრცელება: ევრაზიური სახეობაა.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატი: ჰემიკრიფტოფიტია; იზრდება სტეპებზე, ბუჩქნარების რაყებში, გზის პირებზე ბორცვებზე.

გამრავლება: კარგად მრავლდება თესლით.

Althaea officinalis L. – სამკურნალო ტუხტი
Fam. Malvaceae – ოჯ. ბალბასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი ნაცრისებრ-ქერისებრი მცენარეა სწორმდგომი, 2 მ-მდე სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრია, სუსტად განკვეთილი, ქვედა-ხუთ, ზედა-სამნაკვითიანი, აბლაბუდისებრ შებუსული. ყვავილები მოვარდის-

ფრო თეთრია, მსხვილი, განლაგებულია ზედა ფოთლების უბეებში ჭკუფებად. ჯამი ორმაგია, არ ცვივა; გვირგვინის ფურცელი - 5, ჯამზე ორჯერ გრძელი, შუბისებრი. ნაყოფი მრავალია, დისკოსებრ განწყობილი, ადვილად სცილდება ერთმანეთს.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: მცენარის სამკურნალო მნიშვნელობა უძველესი დროიდანაა ცნობილი. გვარის ლათინური სახელი „*Althaea*” ბერძნულად განკურნებას ნიშნავს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი „*officinalis*” - სამკურნალოს. ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ და ოფიცინალურ მედიცინაში. სამკურნალო ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ, ფოთლები და ყვავილები წარმოადგენს. ფესვებში აღინიშნება - ნახშირწყლები: გალაქტოზა, გლუკოზა, არაბინოზა, რამნოზა; სახამებელი, პექტინები, ცხიმოვანი ზეთები, ასპარაგინი, ბეტაინი, ლეციტინი, ფიტოსტერინი, ვიტამინები, მინერალური მარილები, ლორწო.

ფესვისეული პრეპარატები ლორწოვანი ნივთიერებების მაღალი შემცველობის გამო ხასიათდება დამარბილებელი და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტით სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის ანთების დროს, ბრონქიტის, ლარინგიტის, ტრაქეიტის, ხველების, ყვიანახველის შემთხვევაში. ფართოდ გამოიყენება ასევე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას: კუჭისა და თორმეტგოჯანაწლავის წყლულის, გასტრიტის, კოლიტის, თანმდევი კუჭის აშლილობით, ფილტვების, ანგიის, გრიპის, სიყვითლის, შარდის ბუშტში კენჭების, გართულებული შარდვის, კანდიდოზის სამკურნალოდ. ნაყენი და ნახარში იხმარება ეგზემისა და ფსორიაზის დროს, ხოლო ფოთლების ნახარში სასარგებლოა მკერდის სიმსივნის სანინაალმდეგოდ (ბიძინაშვილი და სხვ. 2010)

გავრცელება: ბორეალური, ევრაზიული სახეობაა. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში

საქართველო: ქართლი.

ჰაბიტატი: მეზოფილური, ტყე-მდელოს სახეობაა; იზრდება ტყის ქვედა სარტყელში, მუხნარებში, მდელოებზე, მდინარეთა სანაპიროებზე და ბუჩქნარებში, ფხვიერ, ტენიან ნიადაგებზე.

კულტივირება: კარგად ვითარდება ნაყოფიერ, მსუბუქ და საშუალო მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებზე. ნიადაგის ძირითადი დამუ-

შავება ხდება 22-25 სმ სიღრმეზე. ადრე გაზაფხულზე ფარცხავენ და 2-3 დღის შემდეგ ატარებენ კულტივირებას 7-8 სმ სიღრმეზე. კარგ შედეგს იძლევა ადრე გაზაფხულზე შეტანილი სასუქი 30-40 ტ 1 ჰა-ზე. რადგანაც თესლებს გააჩნიათ მაგარი გარსი, საჭიროებს სტრატეფიკაციას, თესვამდე 1-2 დღით ადრე მათ ალბობენ 4-5 საათით 45-40° C ტემპერატურის წყალში, შემდეგ ყრიან თხელ ფენად და აშრობენ 1-2 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ კვლავ ასველებენ 4-5 სთ-ით და ისევ აშრობენ. თესვა ხდება 3-4 სმ სიღრმეზე. აღმონაცენი წარმოიქმნება 8-12 დღეში, შეიძლება 18-20 დღესაც დაყოვნდეს. მასობრივი აღმონაცენის შემთხვევაში აუცილებელია გამარგვლა და პერიოდულად გაფხვიერება. სამკურნალო ტუხტის ფესვების შეგროვება ხდება სიცოცხლის მე-2 წლის შემოდგომაზე. იღებენ ხელით ან გუთნით, მაშინვე აცლიან ზედმეტ მინას და აშრობენ. სხვადასხვა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა გამოიხატება ორგანულ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებში.

**Anisum vulgare Gaertn. (Pimpinella anisum L) - ჩვეულებრივი ანისული
Fam. Apiaceae (Umbelliferae) - ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსნები)**



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ძლიერ დატოტვილი ღეროთი. ქვედა ფოთლები მომრგვალო თირკმლისებრია, მთლიანი; ზედა-ორმაგ ან სამმაგფურთისებრგანკვეთილი, ხაზურ-ლანცეტა სეგმენტებით. ყვავილედი ქოლგაა - 7-15 სხივიანი, საერთო საბურველის გარეშე; გვირგვინი თეთრია, ზოგჯერ - ვარდისფერი, გვირგვინის ფურცლები კიდეებზე წამწამოვანია. ნაყოფი ფართო-

კვერცხისებრია, სუსტად გამოსახული ნიბოებით, 3-5 მმ სიგრძის, მომ-
წვანო-ლევა.

ფენოლოგია: ყვ. VI - VII; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი კულტურაა, ძირითა-
დად ამრავლებენ ნაყოფების გამო, შეიცავს ეთერზეთებს 6 მგ%-მდე,
რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია - ანეთოლი (80-90 %),
ანისულის ალდეჰიდი, კეტონი და ანისულის მჟავა, ასევე აღინიშნება
15,9 მგ% ცხიმოვანი ზეთები, 17,6 მგ% ცილები, 35,4 მგ% ნახშირწყლები,
14,6 მგ% უჯრედისი, ვიტამინები (B₁, B₂, B₃, B₅, B₆, B₉, C), მაკროე-
ლემენტებისა (K, Ca, Mg, Na, P) და მიკროელემენტების (Fe, Mn, Cu, Se,
Zn) მარილები, ცვილისებრ ნივთიერებები, ანისულის სპირტი. ანისუ-
ლის ნაყოფებიდან ეთერზეთების გარდა გამოყოფენ ცხიმზეთებსაც,
რომელთა რაოდენობა ხშირად 28 მგ% აღწევს.

სამკურნალო მიზნებისათვის ანისულის ნაყოფებს უძველესი დროიდან
იყენებდნენ. თავიანთ თხზულებებში მას მოიხსენიებენ თეოფრასტე,
დიოსკორიდი, კოლუმელა, პლინიუსი. დიოსკორიდის მიხედვით - ამ-
ცირებს მუცლის ტკივილებს, არის აღმგზნები, შარდმდენი და ლაქტა-
ციის გამაძლიერებელი საშუალება; პლინიუსი მიიჩნევდა მორიელის
ნაკბენისაგან დამცავად; არაბები წყურვილის მოსაკლავად და ქოშინის
შესამცირებლად ხმარობდნენ. ძველ სომხეთში ანისული კვერცხის
ცილასთან ერთად ითვლებოდა დამწვრობის, ფალარათისა და ნაწ-
ლავეებიდან სისხლდენის უებარ საშუალებად. კავკასიაში იყენებდნენ
მალარიის საწინააღმდეგოდ.

უძველესი დროისა და შუა საუკუნეების ექიმების ემპირიული დაკვირ-
ვებები მოგვიანებით დადასტურდა მეცნიერული გამოკვლევებით და
ჩვენს დროშიც მრავალმხრივი მნიშვნელობით გამოირჩევა. ხასიათ-
დება სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი, ქარმდენი, ოფლმდენი,
შარდმდენი, მადღებინფიცირებელი, სეკრეტოლიტური, ანთების საწი-
ნააღმდეგო მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება: სასუნთქი გზების კატარის, ხველების, ხმის
დაკარგვის, ბრონქიტისა და ასთმის, თირკმელების, შარდის ბუშტისა
და საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებებისას, აუმჯობესებს
სისხლის მიმოქცევას; ეთერზეთები ხასიათდება რა ანტიბაქტერიული

მოქმედებით, ხელს უშლის ჩირქნარმომქმნელი ბაქტერიების გამრავლებას, განსაკუთრებით შედეგიაანია ყივანახველის დროს.

შედის სასაქმებელი, კუჭისა და შარდმდენი ნაკრებების შემადგენლობაში.

უკუქმედება: კუჭის წვენის მაღალი მუავიანობა, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, კოლიტი, ფეხმძიმობა.

გავრცელება: ველურად არ გვხვდება; იზრდება მხოლოდ კულტურაში და გაველურებული სახით. კულტურაში შეყვანილია ახ.წ.აღ.-მდე დიდი ხნით ადრე ხმელთაშუაზღვეთში. მოჰყავდათ ინდოეთსა და ძველ საბერძნეთში. ბოლო ხანებში ამრავლებენ სამხრეთ ევროპასა და სამხრეთ აზიაში, მექსიკა, არგენტინა, უკრაინაში, ბაშკირეთსა და შუა აზიაში. ნაყოფების მოსავლიანობა 10 ც-მდე/ჰა.

კულტივირება: ტიპური საგამაფხულო კულტურაა. სავეგეტაციო პერიოდი 110-130 დღეა. აღმონაცენი წარმოიქმნება დათესვიდან 17-25 დღის შემდეგ. სითბოსადმი მომთხოვნია, თუმცა აღმონაცენი სუსხს უძლებს. მოითხოვს ნაყოფიერ ნიადაგებს, კარგად იზრდება თიხნარ და ქვიშნარ შავმიწებზე, საჭიროებს ტენს, განსაკუთრებით თესლის გაღვივებისას. ითესება ფართო რიგთაშორისი ხერხით, რიგებს შორის 45 სმ დაშორებით, ადრეულ მარცვლოვნებთან ერთდროულად. დათესვის წინ თესლებს მზეზე ათბობენ, ან ხდება სტრატეფიცირება ან ფერმენტირება. აღმონაცენის წარმოქმნის შემდეგ მინდორს გულმოდგინედ აფხვიერებენ და ამორებენ სარეველებს. ფოთლების როზეტის წარმოქმნის შემდეგ ანოყიერებენ ამოტოვანი სასუქით. მოსავალს იღებენ ცენტრალური ქოლგების თესლურების 50-60% მურა შეფერილობისას. მცენარეებს თიბავენ, კრავენ მცირე ძნებად და ამრობენ ღია ადგილებში. გაშრობისას მწიფე თესლები ცვივა, მათი სრული გაშრობისათვის საშრობებში ამრობენ და ავზავნიან ქარხნებში /Вехов и др., 1978/.

Apocynum cannabinum L. - კანაფისებრი ქენდირი
Fam. Apocynaceae – ლჯ. ქენდირისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით. ღეროები ძლიერ დატოტვილია, ლევა-მწვანე, ზედა ნაწილში მონითალო-მურა, 1,5 მ სიმაღლის. ფოთლები მოკლეყუნწიანია, კიდემთლიანი, შიშველი. ფოთლის ფირფიტა 15 სმ სიგრძისა და 4 სმ სიგანის. ყვავილი წვრილია, მომწვანო-თეთრი, შეკრებილია ნახევარქოლგისებრ ყვავილედად; ნაყოფი - ვიწრო, გრძელი, 5-20 ს სიგრძის ფოთლურაა ყვითლიდან ჭუჭყისებრიისფერამდე. თესლი მრავალრიცხოვანია, 3-5 მმ სიგრძის. 1000 თესლის წონა 0,5-0,6 გ.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა სამკურნალო ნედლეულია - ფესურა ფესვებითურთ. ძირითადი მომქმედი ნივთიერებაა საგულე მოქმედების გლიკოზიდი - ციმარინი, ქიმიური შემადგენლობით ახლოსაა სტროფანტინთან (*Strophantus Kombe Oliv.*). გარდა აღნიშნულისა შეიცავს - ცინოკანოზიდს, აპოკანოზიდს, K-სტროფანტინს, პალმატინის, ოლეინის მჟავებს, კაუჩუკს, ტანინებს.

პირველად ქენდირი გამოყენებული იყო ჩრდილოეთ ამერიკის ხალხურ მედიცინაში წყალმანკის დროს როგორც შარდმდენი საშუალება. იქვე იქნა შეყვანილი მეცნიერულ მედიცინაში. რუსეთში ცნობილი იყო XIX ს. მეორე ნახევრიდან. შემდეგ დავიწყებას მიეცა. ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პრეპარატი ციმარინი, რომელიც მიღებულ იქნა ქენდირის ფესურიდან, მოქმედებს ადამიანის გულზე დიგიტალი-

ნის გლიკოზიდების ანალოგიურად. თვისებებით, ძლიერი და სწრაფი მოქმედებით მსგავსია სტროფანტინთან. რეკომენდირებულია მისი მიღება სხვადასხვა ეთიოლოგიის მწვავე ქრონიკული უკმარისობისას. ეფექტურია II-III ხარისხის დარღვეული კომპენსაციის მიოკარდიტების დროს.

გავრცელება: სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერი ოლქებია.

ჰაბიტატები: იზრდება მთებში, ადის ზღვ.დ. 2000 მ სიმაღლემდე.

კულტივირება: კულტივირებულია რიგ ქვეყნებში. ვინაიდან ქენდირის მოყვანა ერთსა და იგივე ნაკვეთზე შესაძლებელია 10 წელზე მეტხანს, მოჰყავთ პლანტაციებზე თესლბრუნვის გარეშე; რეკომენდირებულია ნიადაგი დაიბაროს 25-30 სმ სიღრმით. ადრე გაზაფხულზე ფარცხავენ. ნეიტრალურ და სუსტმუჟავე ნიადაგებზე ძირითად სასუქად შეაქვთ 40 ტ/ჰა ნაკელი და 4 ც /ჰა სუპერფოსფატი; მაღალი მუჟავიანობის ნიადაგებზე შეაქვთ 50 ტ/ჰა სასუქი და 8 ც/ჰა ფოსფორის ფქვილი.

ქენდირს ამრავლებენ სათბურებში წინასწარ გამოყვანილი ჩითილებით და ვეგეტატიურად ფესვების ამონაყრებითა და ღეროსეული კალმებით. საუკეთესოდ ითვლება ფესვების ამონაყრებით გამრავლება; რისთვისაც თხრიან 2-3 წლიან პლანტაციიდან მცენარეებს ადრე გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებამდე, შემდეგ ჭრიან 2-10 სმ სიგრძის ნაწილებად და რგავენ. რიგთაშორის მანძილი 60 სმ.

ჩითილების გამოსაყვანად გამოჰყოფენ ნაყოფიერ ნიადაგებს. ითვება სათესი მანქანებით ზოლებრივი წესით, ზოლებს შორის მანძილი 50-60 სმ. თესვის ნორმა 10-12 კგ/ჰა. ნათესარებს სისტემატიურად რწყავენ, მარგლავენ და სავეგეტაციო პერიოდში ორჯერ ანოყიერებენ.

პლანტაციის მოვლა გამოიხატება წელიწადში 2-ჯერად გაფხვიერებაში, მინერალური სასუქებით განოყიერებაში, პირველ განოყიერებას ატარებენ ყლორტების წარმოქმნამდე, მეორეს - კოკრიანობის წინ და ზომიერ მორწყვაში.

ფესურებსა და ფესვებს აგროვებენ სიცოცხლის მესამე წელს, მოსავალი შეადგენს 8-10 ც/ჰა. (Котуков, 1975).

Aralia elata (Miq.) Seem. (= *A. mandshurica* Rupr. et Maxim.) - მალალი ან მანჯურიის არალია

Fam. Araliaceae - ოჯ. არალიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: სწრაფმზარდი, საშუალო (1,5-7 მ-მდე) სიმაღლის ხე-მცენარეა, მრავალრიცხოვანი ქაცვით მოფენილი. ფოთლები მსხვილია, 1 მ-მდე სიგრძის, რთული, ორმაგფრთისებრ განკვეთილი, შედგება პირველი რიგის 2-4 ნაკვეთლისაგან, რომლებიც 5-9 წყვილი ფოთოლაკიანია. ყვავილები წვრილია, თეთრი ან კრემისფერი, ქოლგისებრ ყვავილედებად შეკრებილი, რომლებიც ტოტების ბოლოებზე წარმოქმნის მრავალყვავილიან ყვავილედებს. ნაყოფი - მოლურჯო-შავი, კენკრისებრი ხუთ კურკიანაა. ზრდასრული მცენარე წარმოქმნის 60 ათას ნაყოფს. 1000 ნაყოფის წონა 50 გ შეადგენს. მანჯურიის ფლორისტული ელემენტია.

ფენოლოგია: ყვ. VII-VIII; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ოფიცინალურ მედიცინაში ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს; ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება ფოთლები და ყვავილებიც. ფესურები შეიცავს ნახშირწყლებსა და მონათესავე შენაერთებს: სახამებელს, გუმფისს, ეთერზეთებს, ტრიტერპენოიდებს, კარდენოლიდებს, ალკალოიდებს, კუმარინებს, ფლავონოიდებსა და სხვა შენაერთებს.

ფესვების ნაყენი ნერვული სისტემის მასტიმულირებელი საშუალებაა, იხმარება ჰიპოტენზიისა და ასთენიისას; კლინიკაში რეკომენდირე-

ბულია ათეროსკლეროზის საწყის სტადიებზე, ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობის, იმპოტენციის, თავის ქალის ტრამვით გამოწვეული ასთენოდეპრესიული მდგომარეობის, შიზოფრენიის შემთხვევაში. ჯანმრთელი ადამიანის მიერ ერთჯერადი მიღება აძლიერებს ფიზიკურ შრომისუნარიანობას, იწვევს მასტიმულირებელ მოქმედებას ჰიპოთიზალურ-ადრენალურ სისტემაზე.

ხასიათდება ანტინარკოტიკული, ანტიტოქსიკური, ჰიპოტენზური და კარდიოტონური მოქმედებით. შედის სხვადასხვა მატონიზირებელი სასმელების (“სახალინის გამახალისებელი”, “სათარალი”, “არალმანის” და სხვ.) შემადგენლობაში.

პრეპარატების დიდი რაოდენობით მიღება იწვევს აქტიურობის გაზრდას, წნევის ამღობებას, ალგზნებას, ძილის დარღვევას.

გავრცელება: ჩინეთი, იაპონია, კორეა, შორეული აღმოსავლეთი, სახალინი და კურილიის კუნძულები.

ჰაბიტატები: იზრდება ერთეულ ან მცირე ჯგუფებად შერეული ან წიწვოვანი ტყეების ქვეტყეში, ირჩევს ღია ადგილებს, ველობებსა და ტყის პირებს, აღის ზღვ. დ. 2700 მ სიმაღლემდე.

კულტივირება: ინტროდუცირებულია ბუნებრივი გავრცელების არეალში.
<https://blog-travushka.ru/topap/araliya-manchzhurskaya>

Archangelica officinalis (Moench) Hoffm. (=Angelica archangelica L.) - ანგელოზა

Fam. Apiaceae (Umbelliferae) - ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ორნლოვანი მცენარეა სასიამოვნო სურნელის. განვითარების პირველ წელს წარმოქმნის ფესვთანურ როზეტს, ფოთლების მცირე რაოდენობით, მეორე წელს ინვითარებს დიდ ფოთლებს და მარტოულ, სწორმდგომ 120-250 სმ სიმაღლის ღეროს. ფოთლები მორიგეობითია, კვერცხისებრი, სამმაგფრთისებრ დანაკვეთული ორ ან სამნაკვეთიან სეგმენტებად; ფესვთანური ფოთლები დიდი ზომისაა, გრძელყუნწიანი, მოხაზულობით - სამკუთხა; ღეროსეული - წვრილი, ღერომხვევი. ყვავილელი მსხვილია, თითქმის სფერული რთული ქოლგა, 8-15 სმ დიამეტრის; ყვავილები წვრილია, უსახური, მოყვითალო-მომწვანო შეფერილობის. ნაყოფი ფართო ელიფსური კვერცხისებრი ან მოგრძო-ოვალური მომწვანო ან ჩალისფერ-ყვითელი ორთესლურაა, რომელიც ორ ნახევარნაყოფედად იშლება. ერთი მცენარე იძლევა 500 გ თესლს.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: ანგელოზა გამოიყენება სხვადასხვა სახის პათოლოგიების დროს. სამკურნალოდ ფესურა ფესვებითურთ იხმარება; შეიცავს ეთერზეთებს, პინენს, ფელანდრენს, ბორნეოლს, ვალერიანის, ვაშლის მჟავებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, შაქარს, მრავალრიცხივან კუმარინებს. მცენარე წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ტრადიციული მედიცინის სისტემებში. გარდა იმისა, რომ ფესურები გამოიყენება ფილტვის სიმსივნეების სანინალმდევოდ, ხასიათდება შარდმდენი, ანთების სანინალმდევოდ, ბაქტერიციდული, ანტიმიკრობული, ამოსახველებელი, შემომგარსავი ეფექტით, აუმჯობესებს იმუნურ რეაქციას, არეგულირებს ჰორმონალურ ფონს. ნახარშს ხმარობენ მეტეორიზმის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ჰიპოაციდური გასტრიტის, ნალველმდენი გზების დისკინეზიის, გაციების, ბრონქიტის, ლარინგიტის, პნევმონიის დროს. ნაყენი იხმარება მადისა და კვების მოქმედების გასაუმჯობესებლად, ნაწლავების მოტორული და სეკრეტორული ფუნქციის გასაძლიერებლად. ექსტრაქტი გამოიყენება როგორც სპაზმოლიტური და სედატური საშუალება გლუვი მუსკულატურის ორგანოების სპაზმების დროს. ფესვები შედის აგრეთვე შარდმდენი და ოფლმდენი ნაკრებების შემადგენლობაში.

ანგელოზას გალენური პრეპარატები ინვესს მატონიზირებელ, სპა-ზმოლიტურ, დიურეზულ მოქმედებას. აუმჯობესებს გულის მოქმედებას, ხსნის სპაზმებს, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

განსაკუთრებული აქტიური მოქმედებით გამოირჩევა ეთერზეთები, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისას ინვესს მსუბუქ გამა-ლიზიანებელ მოქმედებას, კუჭის წვენის სეკრეციის გაზრდას, სასუნთქ გზებზე ბაქტერიციდულ და სპაზმოლიტურ მოქმედებას.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამ მცენარის შემცველი ფუროკუმარინები ხასიათდება სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით.

ხალხურ მედიცინაში შინაგანად გამოიყენებოდა როგორც შემკვრელი, მატონიზირებელი და დამამშვიდებელი, ნერვული დაუძლურების, ეპი-ლექსიის, ისტერიის, უძილობის, გასტრიტის, დისპეპსიის, მეტეორიზმის დროს, სასუნთქი გზების ანთებისას, აგრეთვე, როგორც ამოსახველე-ბელი და ჭიისმდენი საშუალება; გარეგანად – ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, კბილისა და ყურის ტკივილის დროს; მოყვავილე ღე-როებით მკურნალობდნენ მუცლის ტიფს, ქოლერას, ქენტარუშასა და წითელას.

ითვლება, რომ არყისა და სპირტის ნაყენი ხსნის კუნთების ტკივილს, ეფექტურია რევმატიზმის დროსაც. შუა საუკუნეებში იყენებდნენ გველის ნაკბენის დროს ადამიანის ორგანიზმიდან შხამის გამოსადევნად.

არ გამოიყენება ფეხმძიმობის დროს; უკუმაჩვენებელია კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევაში.

გავრცელება: სამშობლოდ ითვლება ევრაზიის ჩრდილოეთი. სკანდი-ნავიური ქვეყნებიდან XIV ს-ში შეტანილ იქნა ცენტრალურ ევროპაში, საიდანაც გავრცელდა მთელ ევროპაში.

ჰაბიტატები: იზრდება ტყისა და ტყეველის რაიონებში, ტენიან ადგი-ლებზე, ხეობებში, ჭაობებში, დაჭაობებულ ნაძვნარებსა და ფიჭვნარ-არყნარებში, მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე.

კულტივირება: ფართოდ გამოიყენება როგორც სანელებელ-არომა-ტული და სამკურნალო მცენარე. კულტივირებულია ევროპის რიგ ქვეყ-ნებში.

https://www.greeninfo.ru/grassy/angelica_archangelica/dudnik-lekarstvennye-svoystva_art.html

Arctium lappa L. - ოროვანდი

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთუყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ორ ან მრავალწლოვანი დიდი ზომის ბალახოვანი მცენარეა, აღწევს 3 მ-მდე სიმაღლეს. ფესვი მთავარღერძაა, 1,5 მ-მდე სიგრძის. ფოთლები მსხვილია (40 სმ-მდე) გულისებრი, მორიგეობითი, მარტივი, ყუნწიანი. ყვავილები ჰომოგამური კალათებით შეკრებილია დატოტვილ საერთო ყვავილედებად - ფარისებრ ან საგველად. ყვავილები ორსქესიანია, ერთგვაროვანი, ყველა ნაყოფმსხმოიარე. საერთო ყვავილსაჯდომი ბრტყელია, ოდნავ ხორცოვანი, დაფარულია მრავალრიცხოვანი ჯაგრისებრი ბუნვით შემოსილი. ნაყოფი მოგრძო თესლურაა, გვერდებზე შებრტყელებული, ნახნაგოვანია ქოჩრით.

ფენოლოგია: ყვ. VII-VIII; ნაყ.VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია ფესვები, იშვიათად გამოიყენება ფოთლები და ნაყოფები. ფესვები შეიცავს: ეთერზეთებს, ინულინს, ცხიმოვან მჟავებს, სიტოსტერინს და სტიგმასტერინს. თესლებში ნაპოვნია ლიგნანური გლიკოზიდები (არქტიინი).

ფესვები ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი, შარდმდენი და ოფლმდენი თვისებებით. გამოიყენება კანის ზოგიერთი დაავადებების, ეგზემის, ფურუნკულების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ყელის, ზედა სასუნთქი გზებისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი პროცესების დროს. ოროვანდით მკურნალობა სასიკეთოდ მოქმედებს ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დროს, აუმჯობესებს კუჭქვეშა ჯირკვლის, ნაღვლის ბუშტის, ღვიძლისა და თირკმელების ფუნქციას, ხელს უწყობს სისხლის განმენდას, მარილების დაშლას და ორგანიზმიდან წილების გამოდევნას, ამაღლებს დიურეზს, დადებით გავლენას ახდენს

ჭრილობების შეხორცებაზე, არის სიციხის დამწვევი და ოფლმდენი საშუალება. ხასიათდება ანტიკანცეროგენული მოქმედებით; არსებობს მონაცემები, რომ მისი პრეპარატები ეფექტურია ავთვისებიანი წარმონაქმნების მკურნალობისას, განსაკუთრებით კუჭისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სიმსივნეების სამკურნალოდ, ამ შემთხვევაში ფესურებს აგროვებენ მაისის თვეში, ამზადებენ სპირტიან და წყლიან ნაყენებს; ექსპერიმენტში გამოვლენილია ფესვებში შემავალი ლიგნანური აგლიკონ არქტიგენინის სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობა.

ფოთლების ნაყენი იხმარება თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას, სახსრების ტკივილის, ყაბზობისა და შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ. ნედლეულს იყენებენ როგორც სიციხის დამწვევ საშუალებას, რევმატიზმის, მასტოპათიისა და ჭრილობების შესახორცებლად.

გავრცელება: ევროპის, აზიისა და ამერიკის ზომიერი სარტყელი.

საქართველოში გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე, აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, ქვ. ქართლში, თრიალეთში.

ჰაბიტატები: იზრდება ბუჩქნარებსა და რუდერალურ ადგილებზე.

კულტივირება: მრავლდება თესლით.

Armoracia rusticana Gaertn., Mey. et Scherb. - პირშუშა

Fam. Brassicaceae (Cruciferae) - ოჯ. კომბოსტოსებრნი (ჯვაროსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 50-150 სმ სიმაღლის მცენარეა, მთავარღერძა, სქელი, გრძელი, ხორცოვანი ფე-

სურით. ფესვთანური ფოთლები მსხვილია, მოგრძო ან მოგრძო ოვა-
ლური, დაღარული, დიდი ზომის. ღეროსეული ქვედა ფოთლები
ფრთისებრ განკვეთილია, მოგრძო ლანცეტა, ზედა- ხაზური, კიდე-
მთლიანი. ყვავილები თეთრია, წვრილი. ნაყოფი ჭოტაკია, მოგრძო-
ოვალური, ამოზურცული, ბუდეები 4-თესლიანია.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: ცნობილი მწვავე სანელებელია. საკვებად ფესვები გა-
მოიყენება, იყენებენ ხორცის, თევზეულისა და ბოსტნეულის კერძებთან
ერთად.

შეიცავს 30-33 მგ% მშრალ ნივთიერებებს, მათ შორის 3,6-4,5 მგ%
ნელლ ცილებს, ნახშირწყლებს: გლიკოზიდ სირინგინს, რომლის შე-
მადგენლობაში შედის მდოგვის ზეთი, გალაქტოზას, არაბინოზას,
ქსილოზას, სახაროზასა და პენტოზანს, ასევე პოლისახარიდებს, გა-
ლაქტერონის მუავას, საპონინებს, ვიტამინებს (C, B₁, B₆, P), კაროტინს,
ფლაავონოიდებს, კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის, მაგნიუმისა და
სპილენძის მინერალურ მარილებს. პირშუშას მწვავე გემო გამონვე-
ულია მდოგვის გლიკოზიდ სინიგრინით, რომელიც გახლეჩვისას გა-
მოჰყოფს ალილურ ეთერზეთებს, განსაზღვრავს მის დამახასიათებელ
გემოს.

პირშუშას ფოთლები, რომლებიც დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს
შეიცავს, ფართოდ გამოიყენება სურაგანდის სანინალმდეგოდ, აგრეთ-
ვე რადიკულიტის დროს ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად; იყენებენ
ნატკენებზე პლასტიკის სახით. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია
მისი ბაქტერიოციდული მოქმედება.

ფესვის წვენი, როგორც სამკურნალო საშუალება მხოლოდ ხალხურ
მედიცინაში იხმარება, კერძოდ: ცინგის, რევმატიზმის, სასუნთქი გზების
კატარალური ანთების, შარდის ბუშტი ქვების სანინალმდეგოდ, რო-
გორც შარდმდენი და ამოსახველებელი საშუალება; ეთერზეთები და
მალალი კონცენტრაციის ექსტრაქტები ავინროგებენ სისხლძარღვებს,
ხოლო დაბალი კონცენტრაციის - აფართოებს ნაწლავების პერის-
ტალტიკას. წყლის ექსტრაქტები და ცილები აღაგზნებს კუჭის სეკრეციას
და შეიძლება გამოიყენებულ იქნეს დიაგნოსტიკური და სამკურნალო
მიზნით ანაციდური გასტრიტის მკურნალობისას; ნაყენი - ბოტკინის
დაავადებების ქრონიკული ფორმების სამკურნალოდ გამოიყენება,

ინვეს აგრეთვე დადებით სამკურნალო ეფექტს მწვავე ჰეპატიტის დროს.

დადგენილია პირშუშხას ფესვების ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, პროტისტოციდული, მიკოსტატიკური, მიკოლიტური, მიკოციტური და ფიტონციდური თვისებები. გამოვლენილია ნახარშისა და ნაყენის სამკურნალო ეფექტი ქრონიკული კოლიტის, ქოლევსტიტის, ანგიოქოლიტის დროს. იხმარება კოსმეტიკური მიზნებისთვისაც - ჭორფლისა და სახის ლაქიანობის მოსაცილებლად. თესლებს კიბოს საწინააღმდეგოდ იყენებენ.

ფესვებისა და ფოთლების კომპლექსური პრეპარატები ნაკლებ ტოქსიკურია და ინვეს ფართო ანტიბაქტერიულ აქტივობას. საფრანკეთში, შვეიცარიაში, ბრაზილიაში, ვენესუელასა და პარაგვაიში პირშუშხას ფესვები ოფიცინალურ სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს.

უკუჩვენება: წყულოვანი, ღვიძლისა და თირკმელების დაავადებები, მაღალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტები, კოლიტები.

<https://ru.wikipedia.org/wiki/Хрен>; ბიძინაშვილი, 2018)

საერთო გავრცელება: ველურად და გავლურებული სახით გვხვდება ევროპაში, კავკასიასა და ციმბირში.

ჰაბიტატი: მემოფიტია, სინათლის მოყვარული. იზრდება მდინარეების ნაპირებზე, ტენიან ადგილებში.

კულტივირება: მცირე მოთხოვნილების, ამტანი მცენარეა. უპირატესობას ანიჭებს მდიდარ თიხნარ ან ქვიშნარ ნიადაგებს. ყველაზე უკეთ იზრდება მჟავე ნიადაგებზე. ყინვაგამძლეა, ადვილად იტანს ძლიერ ყინვებს. მომთხოვნია ტენისადმი, სიმშრალის დროს უვითარდება წვრილი და გრძელი ფესვები. მგრძობიარეა როგორც მინერალური, ისე ორგანული სასუქებისადმი. თუმცა, ყურადსაღებია, რომ აზოტოვანი მინერალების სიჭარბე ინვეს ფესვების დაწვრილებას მავნებლებიდან აზიანებს ტკიპები. გასამრავლებლად ძირითადად რეკომენდირებულია ფესურის დაყოფით გამრავლება, როგორც ადრე გაზაფხულზე ასევე გვიან შემოდგომით; დაყოფილი მცენარეები ადვილად ვითარდებიან, მოსავალს მომდევნო წელს იძლევიან.

დანერგილია და კულტივირებული აშშ-ში და აზიაში.

Aronia melanocarpa Michx. - არონია (შავნაყოფა ცირცელი)
Fam. Rosaceae - ოჯ. ვარდისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 1,5-3 მ-მდე სიმაღლის, უხვადდატოტვილი ბუჩქია;

ერთწლოვანი ყლორტები მოწითალო-მურაა, შემდგომ-მუქი ლევა. ფოთლები მოწითალო-მწვანული შეფერილობისაა. ყვავილები ორსქესიანია, ხუთი თავისუფალი ფურცლით, თეთრი ან სუსტი ვარდისფერი, შეკრებილია რთულ მჭიდრო ფარისებრ ყვავილედებად. ნაყოფები მტევნისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, კენკრაა, სფერული ან მომრგვალო ფორმის, მოშავო-მწვანული ან შავი, ცვილისებრი ნაფიფქით; რბილობი მუქი წითელია, წვნიანი, მომჟავო-ტკბილი.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოყენებულია უმთავრესად ნაყოფები, ამზადებენ სრული სიმწიფის პერიოდში. ნაყოფში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები უმთავრესად წარმოდგენილია - ფლავონოიდებით (ჰესპერიდინი, რუტინი, კვერცეტინი), კატეხინებით, ანთოციანინებით და ლეიკოანთოციანინებით; ნაყოფი შეიცავს 60 % წვენს, B - ჯგუფისა და E, PP, C ვიტამინებს, კაროტინს, დიდი რაოდენობით ანთოციანურ პიგმენტებს, ორგანულ მჟავებს, პექტინოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქრებს - გლუკოზას, ფრუქტოზას; ციკლურ სპირტს - სორბიტს, ნიკოტინის მჟავას; მდიდარია მიკროელემენტებით - აღინიშნება ფტორი, ბორი, რკინა, სპილენძი, მოლიბდენი, მარგანეცი, იოდის შენაერთები; იოდის რაოდენობით ახლოა ფეიხოასთან, რომელიც ითვლება იოდის კონცენტრატორად.

ხასიათდება სპაზმოლიტური, სისხლძარღვების გამათვართოებელი, სისხლშემაჩერებელი, ნაღველმდენი და შარდმდენი მოქმედებით, აუმჯობესებს მადას, იხმარება დამწვრობის დროს.

წელი და მშრალი ნაყოფები, წვენი რეკომენდირებულია ჰიპერტონიის I და II სტადიის, ათეროსკლეროზის, ჰემორაგიული დიათეზის, ტირეოტოქსიზის, კაპილარტოქსიზის, სხვადასხვა წარმოშობის სისხლდენებისას; როგორც პოლივიტამინური საშუალება შაქრიანი დიაბეტის, დასხივების, გლომერულონეფრიტის, კოაგულიანტების მიღებით წარმოქმნილი დარღვევების, ალერგიების დროს. წვენი ხელს უწყობს სისხლძარღვების კედლების გამაგრებას, კუჭის დაავადებებისას ახდენს კუჭის წვენის გააქტიურებას, ზრდის მუჟავიანობას, ამიტომ რეკომენდირებულია დაბალი მუჟავიანობის გასტრიტის სამკურნალოდ. ნაყოფებს იყენებენ სხივური და ფარისებრი ჯირკვლების დაავადებებისას. წვენისა და ნაყოფების გავლენით ქვეითდება ემოციონალური გაუნონასწორებლობა, წესრიგდება თავის ტვინში აღგზნებისა და დამუხრუჭების პროცესები.

ანთოციანების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, ახდენს კიბოს უჯრედების ზრდის დამუხრუჭებას. რის გამოც სასურველი და აუცილებელია ონკოდაავადებულთათვის მათი მიღება. მისი გამოყენებისას აღინიშნება იმუნიტეტის გაუმჯობესება, სტაბილიზირდება ენდოკრინული სისტემის ფუნქციონირება; სასარგებლოა თირკმელების დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, მუცლის ტიფის, ქუნთოშის, ალერგიული რეაქციების დროს.

არონიის პრეპარატების ეფექტურობა იზრდება, თუ მიიღებთ C ვიტამინის მაღალი შემცველობის მცენარეებთან ერთად (შავი მოცხარი, ასკილი).

უკუმაჩვენებლებია ინდივიდუალური მგრძობიანობა (ალერგიული რეაქციები), კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, მაღალი მუჟავიანობის გასტრიტი. დიდი რაოდენობით არ არის რეკომენდირებული სტენოკარდიით და ჰიპერტონიით დაავადებულთათვის და იმ პირთათვის, ვისაც აქვთ მიდრეკილება ტრომბოფლემებისადმი.

გავრცელება: სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკა.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის სარტყელში, ტყის პირებსა და ველობებზე.

კულტურება: გასულ საუკუნეებში შეტანილ იქნა რუსეთსა და უკრაინაში. გამოყვანილია მრავალი ჯიში.

<https://www.botanichka.ru/article/aroniya-chernoplodnaya-sovsem-neryabina/>

Artemisia absinthium L. - აბზინდა

Fam. Asteraceae (Compositae) – ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 1 მ-მდე სიმაღლის მცენარეა სქლად მონაცრისფრო ქეჩისებრ შებუსული. ქვედა და ვეგეტატიური ყლორტების ფოთლები გრძელყუნწიანია, მორიგეობით განლაგებული. ფოთლის ფირფიტა ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილია ლანცეტა ფორმის ან მოგრძო, წაწვეტებულ ნაკვეთლებად; კალათები წვრილია, ნახევარსფერული, 3-5 მმ დიამეტრის, მჭიდროდაა განწყობილი გვერდით ტოტებზე, რომლებიც გრძელ საგველასებრ ყვავილედებს ქმნიან. გვირგვინი მილისებრ-ზარისებრია, შიშველი; კალათაში ყველა ყვავილი სანაყოფეა, ყვითელი ფერის. ნაყოფი წვრილი თესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. VII-X; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო მიზნით იყენებენ აბზინდის ფოთლებს (გროვდება ყვავილობამდე და ყვავილობის დასაწყისში) და მოყვავილედ შეფოთლილი ყლორტების წვეროებს.

მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს სესკვიტერპენულ ლაქტონებს, მწარე გლიკოზიდებს (აბსინტინს, ანაბსინტინს, არტაბსინს და სხვებს), რომლებიც მცენარეს ანიჭებს თავისებურ მწარე გემოს, საპონინებს, ფლავონოიდებს, ფიტონციდებს, ასკორბინის მჟავას, ფისოვან და

მთრიმლავე ნივთიერებებს, კალიუმის მარილებს, არტემიზეტინს, ეთერ-ზეთებს (0,2-0,5%), კაროტინს, ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ქარვის).

ეთერზეთების შემადგენლობაში შედის ტუიოლის სპირტი, ტუიონი, პინენი, კადინენი, ფელანდრენი, B-კარიოფილენი, Y-სელინენი, ბიზაბოლოენი, კურკუმენი და ხამაზულენოგენი.

ხასიათდება დამამშვიდებელი, არტერიალური წნევის მარეგულირებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტიოქსიდანტური, ანტიმიკრობული, ანტიჰელმინტური, ანტიპროტოზოული, ეპატოპრო-ტექტორული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. იხმარება საჭმლის მონელების დარღვევის, მალალი მუავიანობის, მუცლის ჭიის, გასტრიტის, მეტეორიზმის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ელენთის სიმსივნის, ანემიის დროს. აბზინდას ნაყენი ან ფხვნილი აქრობს უსიამოვნო სუნს პირიდან. შედის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის გამაუმჯობესებელ წვეთებში, მადისმომგვრელ, მეტეორიზმის საწინააღმდეგო და ნაღვლისმდენ ნაკრებებში. მოქმედებს როგორც ტკივილგამაყუჩებელი ძარღვების დაჭიმვის, ამოვარდნილობის, მსხვილი ნაწლავის სპაზმის და ანთების დროს. ამზადებენ მწარე ნაყენს, წყლის ექსტრაქტს, იყენებენ მრავალი ქვეყნის ტრადიციულ მედიცინაში და ჰომეოპათიაში. უკუჩვენება: არასწორმა და ზედმეტი დოზით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კრუნჩხვები, ჰალუცინაცია, პირღებინება და ჭკუაზე შეშლაც კი.

გავრცელება: ჰოლარქტიკული სახეობაა; ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვის მხარეს, შუა აზიაში, ციმბირში, ჩრდ. აფრიკაში.

საქართველოში გვხვდება ყველგან, აჭარა-გურიის გარდა.

ჰაბიტატები: ჰემიქსეროფილური სახეობაა, იზრდება ზღვის სანაპირო ზოლიდან ალპურ სარტყლამდე მდელოებზე, სტეპებზე, რიყნარებზე, ტყის პირებზე, რუდერალურ ადგილებზე, როგორც სარეველა გზის პირებსა და საცხოვრებელი ადგილების მახლობლად.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული სამხრეთ ევროპაში, რუსეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და აშშ-ში, სადაც წარმოებს აბზინდის ზეთის გამოხდა. ნატურალიზებულია ჩრდილოეთ ამერიკაში.

გამოირჩევა მალალი ეკოლოგიური პლასტიკურობით, იზრდება თითქმის ყველანაირ პირობებში. მალალი მოსავალი მიიღება თბილ,

ზომიერად მშრალ და საკვები ნივთიერებებით მდიდარ ადგილებში. არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა წინამორბედი კულტურების მიმართ.

იმის გამო, რომ მცენარით სარგებლობა ხანგრძლივია, შეიძლება 10 წელსაც მოიცავდეს, რეკომენდირებულია დარგვის წინ დიდი ოდენობით ნაკელის შეტანა. პირველ წელს მიზანშეწონილია აზოტის ორი პარტია, ერთი დარგვისას და მეორე დაახლოები (თ 6 კვირის შემდეგ. მომდევნო წლებში სასურველია ერთ ჰა-ზე 70 კგ-მდე აზოტის რამდენიმე პარტიად მიწოდება; ფოსფორი(100 კგ/ჰა) და კალიუმის მარილი (140 კგ/ჰა) დარგვამდე საჭიროებს ნიადაგში დამუშავებას და მომდევნო წლებში კი ზედაპირზე მოფრქვევას.

ჩვეულებრივ მრავლდება თესლით. თესლის სინკრილის გამო ღია გრუნტში პირდაპირ თესვას სჭობია ჩითილის გამოყვანა. თესვა ხორციელდება მარტის დასაწყისში, შემდეგ ჯგუთვა გამოსაყვან ფირფიტებზე. აპრილიდან შესაძლებელია ღია გრუნტში გადარგვა მწკრივებს შორის მანძილით 50-დან 70 -მდე და 30-40 სმ-მდე. გადარგვის შემდეგ გასათვალისწინებელია ხელოვნური მორწყვა. სარეველებთან ბრძოლა მხოლოდ მექანიკური გზით უნდა განხორციელდეს.

მცენარეზე შემჩნეულია ცრუ ნაცარი (*Plasmopara sulfurea*), ასევე ნამდვილი ნაცარი (*Erysiphe artimisiae*), ფოთლის ბუგრი (*Macrosiphoniella absinthii*) /დათეშიძე, 2009; ბიძინაშვილი, 2018)..

Artemisia vulgaris L. - მამულა

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთუყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 0,6-2 მ-მდე სიმაღლის ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო შეფოთლილია, სწორმდგომი, მურა, იისფერ შეფერილობის. ფოთლები ზედა მხარეზე მწვანეა, შიშველი, ქვედა მხარეს - ნაცრისფრად და ქეჩისებრ შებუსული, მოხაზულობით კვერცხისებრია, ცოტად თუ ბევრად ღრმად და ფრთისებრ განკვეთილი დიდი ზომის, ფართო ლანცეტა ფორმის ნაკვეთად. ყვავილები წვრილია, მრავალრიცხოვანი, ყვითელი ან მოყავისფრო შეფერილობის. კალათები შეკრებილია ფაშარ საგველასებრ ყვავილედებად. ნაყოფი ჩალისფერი თესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. VII- IX; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს მცენარის მიწისზედა ნაწილი წარმოადგენს, გამოირჩევა ძლიერი სასიამოვნო სურნელით. შეიცავს კაროტინს, ასკორბინის მჟავას, საპონინებს, მთრიმლაჟ ნივთიერებებს, ალკალოიდებს, ეთერზეთებს, კუმარინებს, ფლავონოიდებს, რუტინს, გლიკოზიდ- კვერცეტინს.

მამულას პრეპარატები ხასიათდება სისხლდენის შემაჩერებელი, სიცხისდამწვეი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, გამაუმტკივნეული, ჭიმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, მატონიზირებელი, დამამშვიდებელი, ნალველმდენი, სუსტი სასაქმებელი და საერთო გამაჯანსაღებელი მოქმედებით.

შინაგანად გამოიყენება მონამღვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის ანთების, თირკმელკენჭოვანი დაავადებების, ფილტვების ტუბერკულოზის, დიზენტერიის შემდგომ, როგორც დამატებითი საშუალება კუჭის, სწორი ნაწლავისა და საშვილოსნოს კიბოს დროს, ჭიისმდენი – ასკარიდებისა და ლამბლიების გამოსადევნად. იხმარება აგრეთვე დაუძლურების, უძილობის, ნევროზების, გაციების, მალარიის, გრიპის, ისტერიისა და ეპილეპსიის სამკურნალოდ. გარეგანად – წყლულების, დიდხანს შეუხორცველი ჭრილობების, კანის ჩირქოვანი დაავადებებისას; საღებუნების სახით გამოიყენება სურდოსა და თავის ტკივილის დროს.

იოვლება ქალის მცენარედ, ვინაიდან ახდენს საშვილოსნოს სტიმულირებას, არეგულირებს მენსტრუაციის ციკლს, შველის სხვადასხვა სახის გინეკოლოგიურ დაავადებებს, საშვილოსნოს ყელის ეროზიას, მძიმე მშობიარობას, სამშობიარო ცხელებას, ამენორეისა და დისმენორეის. ბალახის აბაზანები გამოიყენება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებად.

ბეგქონდარას ბალახთან ნარევეში იხმარება ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ.

მრავალი ქვეყნის ხალხურ მედიცინაში გამოიყენება, როგორც შემკვრელი საშუალება გასტრიტის, ბუასილის, შეშუპების, მეტეორიზმის, მენინგიტის, კეთრისა და ჰიპერტონიული დაავადებების საწინააღმდეგოდ.

მცენარისაგან მიღებული არომატული ზეთები იხმარება კოსმეტიკურ და პარფიუმერიულ ნაწარმში.

გავრცელება: რუდერალური მცენარეა. ფართოდაა გავრცელებული მთელ ევროპაში, წინა და ცენტრალურ აზიაში, ჩრდ. აფრიკაში. შეტანილია ჩრდ. ამერიკაში.

საქართველოში გავრცელებულია მთის შუა და ზედა სარტყელში: აფხაზეთში, აჭარაში, ქართლში, მთიულეთში, გარე კახეთსა და თრიალეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მითოვებულ მინდვრებში, საძოვრებზე, უშენ ადგილებში, გზის პირებზე, არხებისა და მდინარეების ნაპირებზე.

კულტივირება: გამოყვანილია დეკორატიული ჯიშები, რომლებიც კულტივირებულია როგორც საბაღე მცენარეები.

Asarum europaeum L. - ხარისჩლიქა
Fam. Aristolochiaceae - ოჯ. ძირმწარასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 5-10 სმ სიმაღლის მხოხავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ინვითარებს მოკლე ტოტებს, რომლებზედაც ფოთლები და ყვავილები ვითარდება. ფოთლები გულისებრია ან სამკუთხა-გულისებრი. ყვავილები მილისებრია, ქვევით დახრილი ყუნწებით, მუქი ყავისფერი, ყვავილსაფარი ნაყოფობისას ზედვება შერჩენილი. თესლი სამკუთხა-კვერცხისებრია, ნაოჭებიანი.

ფენოლოგია: ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ პრაქტიკულად მთელი მცენარე გამოიყენება. შეიცავს: ეთერზეთებს, ქაფურის მსგავსი ნივთიერების - აზარონის შემცველობით, შაქრებს, სახამებელს, ლორწოს, ეთერებს, სესკვიტერპენულ ნახშირწყლებს და სპირტებს: ტერპენი, ევგენოლი, აზარონის მჟავა და მისი წარმოებულები; ფენოლკარბონული მჟავები: კოფეინის, ფერულის, სტეროიდებს: სიტოსტერინს; მთრიმლავე ნივთიერებებს, კუმარინებს, მეთილევგენოლს, ბორნილაცეტატს, ფლავონოიდებს - კვერცეცინს, კემფეროლს, ვიტამინებს, საპონინებს, გულის გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს, ფისებს, მიკროელემენტებს, ალკალოიდებს.

ხასიათდება სამკურნალო თვისებების ფართო დიაპაზონით. ღებულობენ, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ბრონქების გამაფართოებელ, სისხლდენისშემამჩერებელ, კარდიოტონურ, ამოსახველებელ, დიურეზულ, სასაქმებელ, ჭრილობების შემახორცებელ, დამამშვიდებელ, სიცხისდამწვევ, შარდმდენ, ანტიჰელმინტურ, ანტისკლეროტულ საშუა-

ლებას. მცენარე მეტად ეფექტურია ფართო და ლოკალური ჭრილობების, წყლულების, მუნის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენი და ნახარში გამოიყენებოდა წყალმანკის, იშიაზის, ყაბზობის, თავის ტკივილების, სიყვითლის, მალარიის, ეგზემის, მწვავე რადიკულიტის, ნევრალგიის, თავის ტკივილის, სიყრუის, დამბლის, ეპილეფსიის, ნიკრისის ქარების, ნერვული და გულის დაავადებების სამკურნალოდ.

ფესვების ნახარშს იყენებენ ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ, როგორც პირღებინების საშუალებას, ბრონქიტის, მწვავე და ქრონიკული გასტრიტის, პიელონეფრიტის, მენსტრუალური ტკივილების, ზედა სასუნთქი გზების ანთების, სხვადასხვა ეთიოლოგიის სიმსივნეების სამკურნალოდ, გულის ქრონიკული უკმარისობის დროს. გარეგანად: საფენების სახით ჭრილობების შესახორცებლად, წყლულების, მღიერების განსაკურნავად.

ძლიერ ტოქსიკურია! ინიშნება მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

გავრცელება: ევროპული სახეობაა.

საქართველოში გავრცელებულია: აფხაზეთში, სვანეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში.

ჰაბიტატები: იზრდება ტყეებში მთის ქვედა სრტყლიდან ზედა სარტყლამდე.

კულტივირება: მრავლდება თესლით.

Atropa caucasica Kreyer. - კავკასიური შმაგა
Fam. Solanaceae - ოჯახი ძალღებურძენასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა 100-200 სმ სიმაღლის, სწორმდგომი, ცილინდრული, ზედა ნაწილში სამად დატოტვილი შიშველი ღეროთი, ფესურა 3-8 სმ სიგრძისაა, თითისტარისებრი, ერთმანეთში გადახლართული, მრავალრიცხოვანი 20 სმ-მდე სიგრძის გვერდითი ფესვებით. მცენარის ზრდასთან ერთად ფესვები თანდათანობით ხევდება. ფოთლები ჭარბადაა, მარტივი, უთანაფოთლო, კვერცხისებრი ან ელიფსური, მუქი მწვანე. ქვედა ფოთლები მოკლევუნნიანია, მორიგეობით განლაგებული, ზედა - მჯღო-მარეა, ღეროზე წყვილ-წყვილად განწყობილი. როგორც წესი, ყოველ წყვილში ერთი ფოთოლი ყოველთვის 3-4-ჯერ დიდია მეორეზე. ყვავილი აქტინომორფულია, მარტოული, დახრილი, ფოთლის იდლიე-ბიდან გამოსული, გრძელყუნნიანი, ორსქესიანი. ჯამი 5-კბილიანი, გვირგვინი მღვრიე იისფერი, ზარისებრი 5 გადაღუნული კბილით. ნაყოფი კენკრაა, სფერული, შავი, პრიალა, ალუბლის მსგავსი, თესლი მრგვალია, მურა ყავისფერი, თირკმლისებრ-კვერცხისებრი, 1-6 მმ სიგრძის.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: საქართველოში გავრცელებულია კავკასიის ენდემური სახეობა - კავკასიური შმაგა - *Atropa caucasica*, რომელიც ქიმიური შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით იდენტურია ევროპულ სახეობასთან - *Atropa belladonna*-სთან, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეებშია შეტანილი.

სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები და ფოთლები. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, შეიცავს ატროპინის ჯგუფის ალკალოიდებს - ატროპინს, ჰიოსცამინს, ჰიოსცინს (სკოპოლამინს), აპოატროპინს (ატროპამინს), ბელადონინს; ფესვებში ნაპოვნია კუსკიგვინი; ფოთლებსა და ფესვებში - სკოპოლეტინი. ალკალოიდების მაქსიმალური შემცველობა დაფიქსირებულია ფოთლებში კოკრიანობისა და ყვავილობის პერიოდებში, მთლიანად მცენარეში - თესლების წარმოქმნის სანყის ფაზაში, ფესვებში - სავეგეტაციო პერიოდის დასასრულს. ალკალოიდების გარდა მინისზედა ნაწილში აღინიშნება ფლავონოიდები, ოქსიკუმარინები.

შმაგას ალკალოიდები ხასიათდება გამაუმტკივნეული, სპაზმოლიტური მოქმედებით, აძლიერებს და აუმჯობესებს გულის მოქმედებას, აგრეთ-

ვე შესწევს უნარი დაარეგულიროს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ნაღვლისა და შარდის ბუშტის სადინარების ტონუსი, გაათავოთოვოს ბრონქები და თვალის გუგა, აამაღლოს თვალის შიდა წნევა.

მცენარე უძველესი დროიდანაა ცნობილი. მის სამკურნლო და შხამიან თვისებებზე მიუთითებდა თეოფრასტი (ჩვ. წ.-აღ.-მდე 372-287 წლები) და დიოსკორიდი (I საუკუნე ახ. წ.აღ.), მას «*Strychnos manicos*» უწოდებდა, რაც „შეშლილ მცენარეს“ ნიშნავს. აღმოსავლეთ ქვეყნების მედიცინაში იყენებდნენ როგორც ნარკოტიკულ საშუალებას, ინდური კანაფის, ხაშხაშისა და კონიოს მსგავსად, ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ. ერთ-ერთ სამეცნიერო ტრაქტატში, რომელიც თარიღდება 1504 წლით, შმაგას უწოდებდნენ «*Solanum mortale*», რაც „სასიკვდილო ძაღლ-ყურძენას“ ნიშნავს.

მეცნიერული მედიცინის მიერ აღიარებული და შეტანილ იქნა პირველ რუსულ ფარმაკოპეაში 1866 წ. შმაგას პრეპარატები გამოიყენება ბრონქიალური ასტმის, ნაღველ და თირკმელკენჭოვანი დაავადებების, მაღალი მუავიანობის გასტრიტის, კუჭის წყლულის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სპაზმური მდგომარეობის, ვეგეტატური დისტონიისა და ვაზონევროზის, პარკინსონის სამკურნალოდ. შედის ასთმის სანინააღმდეგო ნაკრებების, პრეპარატ - ბალატამინალის, ბელოიდის, აკლიმანის შემადგენლობაში. ფართოდაა ცნობილი, სამედიცინო მრეწველობის მიერ გამოშვებული ისეთი პრეპარატები, როგორიცაა ატროპინის სულფატი, ბეკარბონი, ბელალგინი, სოლუტანი, რომლებიც შეიცავს შმაგას ექსტრაქტს და სანთლები - ბეტიოლი, ანუზოლი. მაღალი შხამიანობიდან გამომდინარე, ხალხურ მედიცინაში დიდი სიფრთხილით იყენებენ დამბლის (რომელსაც ახლავს მეტყველების უნარის დაკარგვა) სამკურნალოდ, ართრიტების, რადიკულიტის, რევმატიზმის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას; საფრანგეთში მას ხმარობენ შაკვის, ნევროზების, სახის ნერვის ნევრალგიის, მტკივნეული ჭვლებების, ეპილევსიის, ყაბზობის, ისტერიის, ქორეის, გამეშების, კუჭის ტკივილების, ნაწლავების, ღვიძლისა და თირკმელების ჭვლებების, ენურეზის სამკურნალოდ. ფესვების ექსტრაქტს როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, ნევრალგიების შემთხვევაში, ხოლო ნაყოფების ნაყენს - დიზენტერიის დროს.

მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა, ექიმის მიერ მითითებული დოზის მინიმალური გადაჭარბება იწვევს მოწამლვას. მოწამლვის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე (პირის სიმშრალე, ყლაპვის გართულება გახშირებული მაჯისცემა, გუგის გაფართოება, სინათლისადმი შიშის გამოვლენა) მიმართეთ სასწრაფო დახმარებას. განსაკუთრებით ხშირი მოწამლვა აღინიშნება ბავშვებში შმაგას ნაყოფებით, რომლებიც ძალიან მიმზიდველია, მნივე ალუბლის ნაყოფების მსგავსია და სასიამოვნო გემოთი გამოირჩევა. სასიკვდილო დოზის მიღებისას აღინიშნება კანის ჰიპერემია, ნერვული აღგზნება, ბოდვა, ჰალუცინაციები, ორთქთაქისის სრული დაკარგვა, ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლა, კომაში ჩავარდნა.

გავრცელება: კავკასიის ენდემური სახეობაა.

საქართველოში გავრცელებულია ტენით მდიდარ, ჰუმიდურ რაიონებში: აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, აჭარა, სამაჩაბლო, ქართლი, მთიულეთი, თუშ-თუშავ-ხევსურეთი, კახეთი, თრიალეთი.

ჰაბიტატები: იზრდება ზღ. დ. 200 - 1800 მ-მდე; გვხვდება ტენიან და ნახევრადტენიან ტყეებში, განსაკუთრებით ნაკაფებში, ტყის ბილიკების, გზების, ხეებისა და მდინარეების ნაპირებზე, სადაც იშვიათად აღწევს მზის პირდაპირი სხივები. იზრდება უმეტესად წიფლნარ, იშვიათად სოჭნარ ტყეებში, გვხვდება ერთეულად ან მცირე ჯგუფებად.

კულტივირება: კულტურის პირობებში შმაგა საკმაოდ რენტაბელურია, იძლევა დიდ მოსავალს და ნედლეულიც მისაწვდომია წარმოებისთვის. მისი კულტურისათვის უნდა შეირჩეს ქარისაგან დაცული ნაკვეთი. ნიადაგი – ზომიერად ტენიანი, მსუბუქი და საშუალოდ ნაყოფიერი, სასუქით კარგად გაჯერებული, თიხნარი ან ფხვიერი, მუავე ან ნეიტრალური რეაქციით. ნიადაგის ძირითადი დამუშავება ხდება შემოდგომით 22-25 სმ სიღრმეზე. შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები (დაახლოებით 1 ჰა-ზე სუპერპოსფატი 15-20 კგ, ამონიაკის სულფატი 7-10 კგ, კალიუმის მარილი 5 კგ.). ადრე გაზაფხულზე კი წარმოებს კულტივაცია და შემდეგ დაფარცხვა. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (დაყოფით). თესლების გალივების ხარისხი დაბალია, ამიტომ მის ასამალლებლად და აღმოცენების დასაჩქარებლად მიმართავენ თესლის სტრატიფიკაციას, რისთვისაც თესლს 60-70 დღე-

ლამის განმავლობაში ათავსებენ დაბალ ტემპერატურაზე (-5°C), შემდეგ 1-2 დღეს აშრობენ, აცლიან რბილობს და თესვავენ უშუალოდ ღია გრუნტში. თესვა წარმოებს ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომით, რიგთაშორის 60-70 სმ დაცილებით, არაუმეტეს 1,5-2 სმ სიღრმით.

შმაგა კარგად მრავლდება ვეგეტატიურადაც, ფესურაზე არსებული კვირტების დაყოფით. ერთი (2-3 წლის) ინდივიდის ფესვი შეიძლება დაიყოს 5-10 ნაწილად. თესლით გამრავლებასთან შედარებით ვეგეტატიური გამრავლების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დაყოფილი ძირებიდან მიღებული მცენარე იმავე წელს ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს. ვეგეტატიური გამრავლება შესაძლებელია წლის ყველა პერიოდში, მაგრამ ოპტიმალურ ვადად უნდა ჩაითვალოს ის პერიოდი, როცა მთავრდება მცენარის მიწისზედა ნაწილების განვითარება (შემოდგომით).

ნაყოფიერ, სტრუქტურულ ნიადაგზე, დროულად მორწყვისა და ზომიერი აგროტექნიკის პირობებში საკმაოდ მაღალ მოსავალს იძლევა. ალკალოიდების დაგროვება დიდადაა დამოკიდებული განათებასა და სასუქების რეჟიმზე. როგორც მრავალწლოვანი კულტურა, შმაგას მოყვანა შესაძლებელია ერთ ადგილზე 5-6 წლის მანძილზე საქართველოს ჰუმიდურ რაიონებში. ზრდასრული ფოთლების დამზადება წარმოებს მაისის დასაწყისიდან მთელი ზაფხულის განმავლობაში. ერთი ძირი მცენარისაგან შეიძლება 3-5-ჯერ მოიკრიფოს მოსავალი. შმაგას ნაყოფებს აგროვებენ სრული სიმწიფის პერიოდში, როდესაც ადვილად სცილდება ჯამს, მას მაშინვე ჭყლეტავენ, ირეცხება გამდინარ წყალში და აშრობენ ჩრდილში. /Голевец, 1948 /.

***Berberis vulgaris* L. - ჩვეულებრივი კონახური**
Fam. Berberidaceae - ოჯ. კონახურისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: დაბალი 2,5 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, მთლიანი ფოთლებითა და ეკლებად გადაქცეული თანაფოთლებით; პირველი წლის ტოტები მონაცრისფრო-მწვანე შეფერილობისაა, მეორე წელს ნაცრისფერი ხდება. ფოთოლი თხელია, შიშველი, მწვანე, ელიფსურიდან მოგრძო ლანცეტისებრი ფორმის, ბლაგვი, ფუძისკენ შევიწროებული და კიდეებზე ხერხებილია. ყვავილი ყვითელია, შეკრებილია ფოთლების ილღიებში მტევნისებრ ყვავილედად, გვირგვინის ფურცლები 6, კრამიტისებრ 2 წრედაა განლაგებული, გვირგვინის ფურცლების შიგნითა მხარეზე, ძირთან მოთავსებულია ერთი წვრილი ოვალური ჭირკვალი – სანექტრე. ნაყოფი თვითუხსნადი, ხორცოვანი, ელიფსური, წითელი, უფრო იშვიათად ყვითელი ან ვარდისფერი, 2-3 წიპნიანი კენკრაა.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფოთლები, ფესვები, ნაყოფები წარმოადგენს. ფესვი შეიცავს: ალკალოიდებს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ვიტამინებს (C, E, B, კაროტინს); ნაყოფები – ვიტამინ C-ს, კაროტინოიდებს, ორგანულ მუჟავებს, პექტინებს; ნორჩი ფოთლები – C ვიტამინს, ვაშლის მუჟავას, კაროტინს.

ხასიათდება ჰიპოტონიური, სედატიური, ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, ნაღველმდენი, ანტიმიკრობული, მთრიმლავე, სისხლდენის შემაჩერებელი, ანტისეპტიკური, სიცხისდამწვევი, მსუბუქი საფალარათო მოქმედებით. კონახურში ბიოფლაგონოიდების არსებობა განაპირობებს კაპილარების პროტექტორულ და ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო მოქმედებას.

მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება C ვიტამინისა და პრეპარატ ბერბერინის მისაღებად. იხმარება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადებების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ზემო სასუნთქი გზების ანთებითი პროცესების, საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

ხალხურ მედიცინაში ცნობილია როგორც არტერიალური წნევის დამწვევი, გულის კუნთის გამაძლიერებელი საშუალება.

ნაყოფი უკუმაჩვენებელია საერთო და კლიმაქტერიული სისხლდენე-ბისას, ხოლო ქერქიდან და ფესვებიდან მიღებული პრეპარატები - ტრომბოფლებიტის, თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმების დროს.

გავრცელება: ბორეალური, დასავლეთევრაზიული სახეობაა. გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის მხარეს, ბალკანეთსა და კავკასიაში.

საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული.

ჰაბიტატები: ტყის, ჰემიქსეროფილური; იზრდება ტყის ქვედა სარტყლიდან ზედამდე, ტყეებში, ტყის პირებზე, ხეობებში, ბუჩქნარებს შორის, განათებულ ფერდობებზე, მდინარეთა ნაპირებზე.

კულტივირება: მრავლდება თესლით, ვეგეტატიურად - ფესურების დაყოფით, კალმებით.

Bergenia crassifolia (L.) Fritsch - ჩავირი

Fam. Saxifragaceae - ოჯ. ფებიჯასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 50 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა, სქელი, ხორცოვანი, მხოხავი ფესურით. ფოთლები ტყავისებრია და მუქი მწვანე, გრძელ ყუნწიანი, შეკრებილია ფესვთანურ როზეტად. ყვავილები წვრილია მკრთალი ვარდისფერიდან მუქ შეფერილობამდე, შეკრებილია საგველასებრ ყვავილედად და განლაგებულია ღეროს ბოლოებზე. ნაყოფი კოლოფია, მრავალრიცხოვანი მოგრძო თესლებით.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. VII.

მნიშვნელობა: სამკურნალო მიზნით უმთავრესად გამოიყენება ფესურა, იშვიათად ფოთლები. ფესურა შეიცავს: მთრიმლავ ნივთიერებებს (რომლებიც მიეკუთვნება უმთავრესად გალოტანინების ჯგუფს), იზოკუმარინ ბერგენინს, გლუკოზებს, სახაროზას. ფოთლებში აღინიშნება: პიროგალური და პიროკატეხინური ტანიდების ნაერთები, არბუტინი (რომლის შემცველობითაც ჩაგირი მსოფლიოში არსებული მცენარეული წყაროებიდან ყველაზე მდიდარია), თავისუფალი ჰიდროქინონი, გალისა და ელაგის მჟავები. ჩაგირის პრეპარატები ხასიათდება სისხლდენისშემამჩერებელი, შემკვრელი, ანთებისა და მიკრობების საწინააღმდეგო მოქმედებით, ამავრებს სისხლძარღვების კედლებს, ზომიერად აქვეითებს არტერიალურ წნევას.

უძველესი დროიდან გამოიყენებოდა რუსეთის, ჩინეთისა და ტიბეტის ხალხურ მედიცინაში. ფესურისა და ფოთლების წყლის ექსტრაქტებს ხმარობენ არაინფექციური ბუნების კოლიტებისა და ენტეროკოლიტების, ტუბერკულოზის, მწვავე და ქრონიკული პნევმონიის, ფილტვებიდან სისხლდენების, მწვავე რესპირატორული, გრიპისა და სხვა ინფექციების, ლარინგიტის, თავის ტკივილების, ციების, სახსრების რევმატიზმის, კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას. მას იყენებენ გინეკოლოგიურ პრაქტიკაში, უხვი მენსტრუაციის, საშვილოსნოს ფიბრომის, მშობიარობის შემდგომ პერიოდში; იხმარება სტომატოლოგიურ პრაქტიკაშიც, ღრძილებზე წასასმელად, ქრონიკული ანთებითი პროცესების შემთხვევაში; ნაყენის ან ნახარშის კომპრესებს იყენებენ ჭრილობების, წყლულების, დაჟეჟილობების დროს.

2007 წელს ციმბირის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ჩაატარა გამოკვლევები ჩაგირის ჰეპატოპროტექტორულ (პრეპარატები, რომლებიც არეგულირებენ ნაწლავის მიკროფლორის წონასწორობას) თვისებებზე; აღმოჩნდა, რომ იგი უფრო მეტად ეფექტურია ყველაზე პოპულარულ ჰეპატოპროტექტორ სილიმარინზე, რომელიც მიიღება ბაყაყურისგან.

გავრცელება: გავრცელებულია განსაზღვრულ არეალში: ციმბირი: ალტაი, საიანი, ბაიკალისპირეთი.

კულტივირება: მცირე მოთხოვნილების მცენარეა, ადვილად იტანს დაბალ ტემპერატურას. განსაკუთრებით კომფორტულად გრძნობს თავს ნახევრად დაჩრდილულ ადგილებში, ზომიერი რაოდენობის მზის

სხივებით. პირდაპირი მზის სხივები ნეგატიურად მოქმედებს მცენარეზე, იწვევს მის შენელებულ ზრდა-განვითარებას. დარგვის საუკეთესო პერიოდი ზაფხულის ბოლო, შემოდგომის დასაწყისია. მცენარეებს შორის ოპტიმალური დაცილება 35 სმ-ია. ნეგატიურად მოქმედებს ხშირ გადარგვებზე, ერთ ადგილას შესაძლებელია მისი დატოვება არა უმცირეს 10 წლისა. ამჯობინებს მსუბუქ და ნაყოფიერ ნიადაგებს. ტენის სიჭარბე უარყოფითად მოქმედებს მცენარეზე, შეიძლება გამოიწვიოს ფესვთა სისტემის სიღამპლე. მოვლა მდგომარეობს სტანდარტული პროცესების კომპლექსთან: მორწყვა, გამხმარი ყვავილელების შეჭრა, განოყიერება მინერალური სასუქებით და მიკროელემენტებით, ნიადაგის გაფხვიერება, გამარგვლა.

საქართველოში კულტივირებულია ლანდშაფტურ დეკორატიულ მებ-აღეობაში.

<https://stroy-podskazka.ru/badan/serdcelistn>.

Betonica officinalis L. - სამკურნალო ბარისპირა

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 60-80 სმ-მდე სიმაღლის, მეტ-ნაკლებად შებუსვილი მცენარეა, მოპირისპირედ განლაგებული ფოთლებით; ყვავილები ღეროს წვერზე თავაკისებრ ან ოდნავ მოგრძო ყვავილედადაა შეკრებილი, გვირგვინი წითელია; ნაყოფი მოგრძო, თავმომრგვალებული კაკალია.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი - ბალახი, შებეროვილი ყვავილობის პერიოდში და ფესვები - გროვდება შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. ყვავილები შეიცავს - ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, ქოლინს, ბეტაინს, სტაქციდრინს, ეთერზეთებს, მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს, C და K ვიტამინებს, კალციუმის მარილებს.

ხასიათდება ანტიესპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ცენტრალური ნერვული სისტემის მატონიზირებელი, რეგენერაციული, სიმსივნის საწინააღმდეგო, მსუბუქი სასაქმებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, ამოსახველებელი, სპაზმოლიტური, შემომგარსავი, წნევის დამწვევი მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ნაყენს იყენებენ არტერიალური წნევის დასაწევად, აუშტობესებს სისხლის მიმოქცევას და ნივთიერებათა ცვლას; მას აგრეთვე ხმარობენ ჰაიმორიტის, ნერვული აღგზნებადობის, თავის ტკივილების, თავბრუსხვევის, კრუნჩხვების, საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, კუჭის წვენის დაბალი სიმუავით გამოწვეული გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის ტკივილების, მწვავე გაციების, ბრონქიტის, ტრაქეიტის, ფილტვების ტუბერკულოზის, ფილტვისმიერი სისხლდენის, ცისტიტის, ანთების საწინააღმდეგოდ.

უკუქმედება: ფეხმძიმობა.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია მთელ ევროპაში, კავკასიაში.

საქართველოში გავრცელებულია ტყის შუა და ზედა სარტყელში, რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვ. ქართლში, ჭავჭავთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მშრალ და ტენიან მინდვრებზე, ამალლებულ ადგილებში, ბუჩქნარების რაყებში, მდელოებსა და ტყის პირებზე.

კულტივირება: კულტივირებულია როგორც დეკორატიული ლამაზად მოყვავილე მცენარე.

Betula pendula Roth. - მეჭეჭიანი ანუ მტირალა არყი
Fam. Betulaceae -ოჯ. არყისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ფოთოლმცვენი 20-25 მ-მდე სიმაღლის ხეა, ვარჯის დიამეტრი აღწევს 0,6-0,8 მ. ფესვთა სისტემა ძლიერ განვითარებულია, თუმცა ნიადაგში ღრმად ვერ აღწევს, რის გამოც ხეები ხშირად ექვემდებარებიან ქარის სიჭარბეს. ქერქი 8-10 წლამდე ყავისფერია, შემდეგ თეთრდება. ასაკოვან მცენარეებში ვარჯის ქვედა ნაწილში ღრმად დახეთქილია, შავი. ტოტები მონითალო-მურა ფერისაა, შიშველი, დაფარულია მრავალრიცხოვანი ფისოვანი ჭირკვლებით.

ვარჯი დატოტვილია, დატოტიანება სიმპოდიალურია. კვირტები მჭდომარეა, წებოვანი, დაფარულია ქერქლებით. ფოთლები მორიგეობითია, რომბულიდან კვერცხისებრამდე, მახვილი წვერით, გლუვი, მარტივი, კიდემთლიანი, ახალგაზრდა ასაკში წებოვანი. ყვავილები წვრილია, უსახური, ცალსქესიანები, შეკრებილია მჭადა ყვავილედებად. ნაყოფი ბრტყელი კაკალია, რომელსაც ორი აპკისებრი ფრთა აქვს.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: მცენარის კვირტები, ფოთლები, ქერქი შეიცავს ეთერზეთებს (მის შემადგენლობაშია - ბეტულენი, ბეტულოლი, ნაფტალინი, ბეტულენის მჟავა), მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, ფისებს, საპონინებს, ნიკოტინის მჟავას, ვიტამინ C; კვირტებსა და ფოთლებში ასევე აღინიშნება - კაროტინი, ჰიპეროზიდი, ფლავონოიდები. არყის

წვენი შეიცავს შაქარს, ვაშლის მუყავას, კალციუმის, მაგნიუმის, რკინის შენაერთებს, მთრიმლავ და არომატულ ნაერთებს.

არყის ხის პრეპარატები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, სპაზმო-ლიტური, ანტივირუსული, ამოსახველებელი, ჭრილობების შემახორ-ცებელი, შარდმდენი, ნალველმდენი, ანტიპარაზიტული თვისებებით. არეგულირებს აგრეთვე ნივთიერებათა ცვლას, ქალის სასქესო ორგანოების, საკვებმომწვლელი ტრაქტის ფუნქციას.

კვირტების ან ფოთლების გაღწეული პრეპარატები ნაჩვენებია შეშუპების (განსაკუთრებით გულის წარმოშობის), კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის, ათეროსკლეროზის, შარდის ბუშტის ანთების, თირკმელების ქრონიკული და თირკმელკენჭოვანი დაავადებების, ჰიპო და ავითამინოზის სამკურნალოდ. სპაზმოლიტური მოქმედებიდან გამომდინარე, მისი პრეპარატები გამოიყენება ნაწლავებისა და სხვა გლუვი მუსკულატურის სპაზმების შემთხვევაში; როგორც ნალველმდენი - ღვიძლის დაავადებებისას, ამოსახველებელი - ბრონქიტის, ლარინგიტის, ტრაქეიტების დროს. ფოთლების ნაყენი იხმარება ალბიმინოზის, შარდმუყავა დიათეზის, ქოლეცისტიტის მსუბუქი ფორმების სამკურნალოდ. ეფექტურია მათი გამოყენება მეან-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში: ფოთლების ნაყენი - ნეფროპათიის, შეშუპების, ჰიპომენსტრუალური კლიმაქტერიული სინდრომის, ფეხმძიმობის შემდგომი ანემიის, კლიმაქტერიული ნევროზების, აგრეთვე, როგორც საერთო-გამაძლიერებელი საშუალება. კვირტების ნახარში იხმარება ნეფროპათიის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში არყის კვირტებისა და ფოთლების პრეპარატები გამოიყენება სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს წარმონაქმნების სამკურნალოდ, ამ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა კვირტების ნაყენს. გარდა ამისა, იხმარება კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის, ბრონქიტის, ნალველ და თირკმელკენჭოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარის, შეშუპების დროს. ეფექტურია ქრონიკული დიარეის, მუცლის ჭიების (ასკარიდა, მახვილა) შემთხვევაში.

არყის წვენს შინაგანად იყენებენ ორგანიზმის გასაძლიერებლად, კომპლექსურ თერაპიაში თირკმელკენჭოვანი დაავადების, სისხლის დაკარგვის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევების, სისხლის გამწმენდ

საშუალებად, აგრეთვე - კანის დაავადებების, სასუნთქი გზების, მაღალი ტემპერატურის დროს, როგორც შარდმდენი.

არყის მერქნის აქტივირებულ ნახშირს ხმარობენ როგორც აბსორბენტ საშუალებას მუცლის შეებერვისას და სხვადასხვა მონამვლებისას. არყის ხის წვენი საუკეთესო ვიტამინური საშუალებაა. ადამიანები, რომლებიც მუდმივად მოიხმარენ წვენს, არ უჩივიან მარილების დაგროვებასა და ქოლესტერინს. არყის ხის სოკოს იყენებენ კუჭნაწლავის დაავადებების დროს ნაყენების და ექსტრაქტების სახით, აგრეთვე ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისას.

გავრცელება: მთელი ევროპა, ჩრდ. აფრიკა, წინა და ცენტრალური აზია, კავკასია. სახეობის აღმოსავლეთ საზღვარი ბაიკალის ტბაა.

საქართველოში გავრცელებულია მთის ზედა სარტყელში - სვანეთში, ქართლში, მთიულეთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება ტყეებში, ტყესტეპისა და სტეპის რაიონებში, ძველ ნახანძრალეებზე, მთლიანად გაკაფულ ადგილებზე, აღწევს 2100-2500 მ სიმაღლემდე. ქმნის წმინდა კორომებს (არყნარებს) ან შერეულია სხვა მერქნიან მცენარეებთან.

კულტივირება: სინათლის მოყვარული, ყინვის ამტანი და ტენის მომთხოვნი მცენარეა. https://.wikipedia.org/wiki/Берёза_повислая

Bidens tripartita L. - ორკბილა

Fam. Asteraceae (Compositae) – ოჯ. ასტრასებრნი (როთლყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 25-100 სმ-მდე სიმაღლის, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით. ღერო

სწორმდგომია, შიშველი, ოთხნახნაგოვანი, მუქი იისფერი, ქვევიდანვე დატოტვილი, ტოტები მოპირისპირედაა განწყობილი; ფოთლები მოკლედ ფრთისებრ ყუნწიანია, მოპირისპირედ, ღრმად სამადგანკვეთილი, 3-7 სმ სიგრძის. ყვავილები წვრილია, მილისებრი, ორსქესიანი, შეკრებილია მარტოულ კალათებად; გვირგვინი მილისებრია, 5-ად დაკბილული, ჭუჭყისებრ-ყვითელი, ჯამი არა აქვს. ნაყოფი - მოგრძო-უკუკვერცხისებრია, ძლიერ შებრტყელებული თესლურა. 1000 თესლის წონა 2,5-3,5 გ.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება წვეროსეული ყლორტები, შეგროვილი ყვავილობის საწყის პერიოდში. მის შემადგენლობაშია ეთერზეთები, ფლავონოიდები, კაროტინოიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ლაქტონები, კუმარინები, ასკორბინის მჟავა, მიკროელემენტები - მარგანეცი, რკინა, ქრომი, სპილენძი და სხვ.

ხასიათდება ნაღველმდენი, შარდმდენი და ოფლმდენი მოქმედებით; ხელს უწყობს საკვებმომწელებელი პროცესების აღდგენას და ნივთიერებათა სწორ ცვლას. დადებითად მოქმედებს ძვალ-კუნთოვანი აპარატის დაავადებების, ბრონქიტის, შეშუპების, დიაბეტის, ცისტიტის, ონკოლოგიური წარმონაქმნების, კერძოდ ელენთის კიბოს სამკურნალოდ. ითვლება, რომ სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტით ხასიათდება მასში შემავალი ნივთიერება ფენილგენტატრინი. ნაყენი წმინდავს ღვიძლს, აძლიერებს მადას, ახდენს ელენთის მუშაობის ნორმალიზებას. ორკბილას ეთერზეთები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, ებრძვის ლპობად ბაქტერიებს და ხელს უწყობს ჭრილობების სწრაფ შეხორცებას. გარეგანი მოქმედება გამოიხატება საფეხების, აბაზანების სახით მეტუქურ ბავშვებში დიათემის, აგრეთვე ფურუნკულების, სებორეის, წყლულების, ნეიროდერმიტის, ფსორიაზის სამკურნალოდ.

გავრცელება: ბორეალური, ევრაზიული სახეობაა.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: წყალ-ჭაობის მცენარეა, იზრდება მთის წინებზე, ჭაობიან და ტენიან ადგილსამყოფოლებში, წყალსატევების, მდინარეების, ტბების, ნაკადულების, არხების ნაპირებზე, ბოსტნებსა და მიწვრებზე, ზოგჯერ ქმნის რაყებს.

კულტივირება: ორკბილას, როგორც ტენის მოყვარულ კულტურას უთმობენ დაბალი რელიეფისა და მაღალი ტენიანობის ნაკვეთებს.

ნიადაგს ამუშავებენ სხვა სათოხნი კულტურების მსგავსად. ძირითადი ხვნის დროს შეაქვთ 40 ტ/ჰა ნაკელი ან კომპოსტი, სრულ მინერალურ სასუქებთან ერთად (30-30 კგ/ჰა აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის). დათესვისას შეაქვთ გრანულირებული სუპერფოსფატი (8-10 კგ რიგებში).

თესავენ უშუალოდ გრუნტში ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომით (ზამთრის წინ). ამ დროს ბალახის მოსავალი სამჯერ აღემატება გაზაფხულის ნათესარებს. თითქმის ასეთივე მოსავალს იძლევა შემოდგომის ნათესი ორთვიანი სტრატეგიული თესვებით. თესენ სათესი მანქანებით, რიგთაშორის 60 სმ; თესვის ნორმა 8-12 კგ, თესვის სიღრმე 2-3 სმ.

პლანტაციის მოვლა მდგომარეობს რიგთაშორის ოთხ-ხუთჯერად გაფხვიერებაში და რიგების გამარგვლაში, საჭიროებისამებრ მორწყვაში. მოსავლის აღებას აწარმოებენ კოკრიანობის ფაზაში ხელით, ზაფხულის მანძილზე ორჯერადად (КОТУКОВ, 1975).

Boswellia serrata Triana & Planch. - საკმლის ხე
Fam. Burseraceae - ოჯ. საკმლისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ფოთოლმცვენი საშუალო ზომის გრეხილი ხეა, მომწვანო-წითელი ფერის ვარჯით და მტირალა ფორმის ტოტებით. ფოთლები პატარა ზომისაა, კაშკაშა მწვანე. ყვავილი თეთრია,

სამკუთხა ფორმის, არომატული, შეკრებილია გრძელ მტევნისებრ ყვავილელებად.

მნიშვნელობა: გამოსაყენებელი ნედლეულია საკმეველი – გუმფისი, რომელიც მიიღება ხის დასერვით. შეიცავს 50-70% ფისებს, 30-47% გუმფისს, 2,5-8% ეთერზეთებს, მწარე ნივთიერებებს. ეთერზეთების შემადგენლობაშია დიპენტენი, ალფა-პინენი, ფელანდრენი, კამფენი და სხვა ტერპენები. ფისების შემადგენლობაშია – ტრიტერპენული მჟავები, ე.წ. ალფა და ბეტა ბოსველის მჟავები. რომლებიც სხვა ტრიტერპენულ მჟავებთან ერთად წარმოადგენს მის აქტიურ კომპონენტებს, გუმფისის შემადგენლობა გუმიარაბიკის მსგავსია.

უძველესი სამკურნალო მცენარეა, აიურ-ვერდას საჩუქარი. ინდოეთში მას “ანთებასთან მებრძოლს” უწოდებენ, ტრადიციულ ინდურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენებოდა ანთების საწინააღმდეგოდ და სახსრების დაავადებებისას, აფრიკაში კი ქერქით მკურნალობდნენ როგორც რევმატიზმს, ასევე ნაწლავის ინფექციებს.

ინდოეთში ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ბოსველია რევმატიული ართრიტის დროს უფრო ეფექტურია და ნაკლებ ტოქსიკური, ვიდრე გამოყენებული სტანდარტული სააფთიაქო წამლები, კერძოდ კეტოპროფენი, ინდომეტაცინი ან ასპირინი და რაც მთავარია არ იძლევა გვერდით მოვლენებს.

ბოსველიის ფისი ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, გამაუმტკივნეობელი, სისხლძარღვების კედლების გამამაგრებელი, სედატიური, ზომიერი შარდმდენი, ნალველმდენი, ჰემოსტატიკური, სოკოვანი დაავადებების, ართრიტების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით. აქვს გამოხატული ჰიპოგლიკემიური თვისებები, ამუხრუჭებს პათოლოგიურ მიკროორგანიზმებს. ექსპერიმენტებმა გამოავლინა მისი სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობა ეპიდერმიალური კარცინომის მიმართ.

ბოსველია რეკომენდირებულია კომპლექსურ მკურნალობასა და პროფილაქტიკაში შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: აუტომუნური ართრიტები და პოლიართრიტები; ნიკრისის ქარები და სახსრების სხვა დაავადებები; ხერხემლის და სახსრების დეგენერატიულ-დისტროფიული პათოლოგია; ლიპიდებისა და ქოლესტერინის ცვლის დარღვევები; II ტიპის შაქრიანი დიაბეტი; ცხიმოვანი ჰეპატოზი; ზურგის

ტკივილები; ანთებითი პროცესები; ტრავმები, ჭრილობები; ნეკროლო-
ვანი კოლიტი; შარდკენჭოვანი დაავადებები; ფარინგიტი; კუჭის
აშლილობა და მუცლის ტკივილები; გაციება; ფურუნკულები; ნერვული
აშლილობა და სტრესები.

ბოსველიის ფისი გამოიყენება ვენერიული დაავადების - ათაშანგის,
რესპირატორული დაავადებების, შარდსადინარი გზების ინფექციების,
კანის დაავადებების, ნერვული აშლილობის, საკვებმომწელებელი
სისტემის დარღვევებისას.

ბოსველია შედის “ზენსლიმ ართრო”, “ზენსლიმ კარდიო” და “ზენსლიმ
დიაბ”-ის შემადგენლობაში.

გავრცელება: იზრდება ინდოეთისა და აფრიკის მშრალ მთიან რეგიო-
ნებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბეთში (ომანი, იემენი), კუნძულ
სოკოტრასა და სომალში.

კულტივირება: კულტივირებულია არეალის ფარგლებში.

<https://www.aur.ru/spravochnik-trav/bosveliya-serrata.html>

Cannabis ruderalis Ianisch. – ველური კანაფი
Fam. Cannabaceae - ოჯ. კანაფისებრნი



კანაფის მდედრობითი ინდივიდები



კანაფის მამრობითი ეგზემპლარები

ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფესვი მთავარდერძაა, თითისტარისებრი აგებულების, რომლის სიგრძე და სისქე დამოკიდებულია ნიადაგის პირობებისაგან. ღერო სწორმ-დგომია, მარტივი, იშვიათად დატოტვილი, ქვედა მხარეს მომრგვალო, ზედა ნაწილში ექვსწახნაგოვანი, დაღარული, მთელ სიგრძეზე დამუხლული, დაფარულია არც თუ ხშირი ჭირკვლოვანი ბენჯებით, ჩვეულებრივ აღწევს 1,5-2 მ სიმაღლეს. ღეროს მუხლთშორისებში ფოთლები ვითარდება, რომლებიც დანაკვეთულია, მწვანე, თანაფოთლებიანი, ქვედა - თათისებრ რთული, 5-7 (იშვიათად 9) ვიწრო, კიდედაკბილული ფოთოლაკებით, მოპირისპირედ განლაგებული, ზედა - სამნაკვეთიანი ან მთლიანია, მორიგეობითი.

ორსახლიანი მცენარეა. მამრობითი და მდედრობითი ყვავილები სხვადასხვა მცენარეზეა განვითარებული, ერთმანეთისაგან ყვავილედით განსხვავდებიან. მამრობით ეგზემპლიარებში ყვავილები შეკრებილია რთულ მტევნისებრ ან საგველა ყვავილედებად, განლაგებულია გვერდითა ტოტებზე ან ღეროს წვეროებზე; მათი ყვავილსაფარი 5 ნაკვეთიანია, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის; ხოლო მდედრობით ინდივიდებში ყვავილები შეკრებილია ურთიერთ დაახლოებული, ილლიურ მჭიდრო თავთავისებრ ყვავილედებად. ჩვეულებრივ მამრობითი მცენარეების რაოდენობა მდედრობითთან შედარებით რამდენადმე ნაკლებია და ეს შეფარდება დაახლოებით მუდმივია. ნაყოფი ერთთესლიანი კაკლუჭაა, მომრგვალო-კვერცხისებრი ფორ-

მის, ოდნავ მობრტყო გვერდებიანი, ორსაგდულიანი, მონაცრისფრო შეფერილობის, მოზაიკური მოხატულობით. თესლი გარშემორტყმულია თხელი, მუქი მწვანე ფერის კანით. 1000 თესლის წონა 9-22 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII.

მნიშვნელობა: კანათს აღამიანების უმრავლესობა მანვე მცენარედ მიიჩნევს, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში მას ნარკოტიკულ საშუალებად იყენებენ. აშშ-ში მისი გამოყენება (როგორც წესი მარიხუანას მონევა) XX ს-ის შუა წლებში უკონტროლო გახდა, რაც იმით დამთავრდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ XIX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში მიიღო სპეციალური კონვენცია და კანაფი სახითათო ნარკოტიკების (მაგ.: შამში) რიცხვს მიაკუთვნა. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც დაიწყო მისი მასიური განადგურება, შეწყვიტეს კულტივირება; აკრძალვა დღემდე მოქმედებს. იმ დროს, როდესაც კანაფის სამკურნალოდ გამოყენების ისტორია ათასეულ წლებს ითვლის. ჯერ კიდევ 5000 წლის წინ კანაფს ჩინეთში იყენებდნენ მაღარის, რევმატიული და სამშობიარო ტკივილების სამკურნალოდ. თესლები მდიდარია ცხიმოვანი ზეთებით, აღწევს 40%; ცილებით, შეიცავს მრავალ ამინომჟავას, მათ შორის შეუცვლელეებს, ნახშირწყლებს, ფენოლებს. კანაფის პრეპარატები ხასიათდება ძლიერი თერაპიული და გამაუმტკივნეული მოქმედებით; განსაკუთრებით ეფექტურია ნევრალგიური და ნერვულ-კუნთოვანი (გათანტული სკლეროზი), კანის - ეგზემა, ფსორიაზი, გლაუკომა; სიმსივნური დაავადებებით მკურნალობისას ნარმოქმნილი გულისრევების; ქრონიკული ტკივილების; იმუნური სისტემის დაავადებების; რევმატიული პრობლემების დროს. გამოიყენება ბრონქიტის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის, თვალის დაავადებების სამკურნალოდ. გარეგანად - საფენების სახით წყლულებისა და დამწვრობებისას. ფოთლების წვენი ხასიათდება სუსტი სასაქმებელი მოქმედებით.

კანაფი გამოიყენება კიბოთი დაავადებულთა მკურნალობისას, ქიმიოთერაპიის დროს, სადაც საკმაოდ მაღალ ეფექტურობას ამჟღავნებს.

გავრცელება: გავრცელებულია მთელ საქართველოში.

ჰაბიტატები: იზრდება რუდერალურ ადგილებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა სანაპიროებზე და ნარწყულებზე.

კულტივირება: მრავლდება თესლით (ბიძინაშვილი, 2020).

Capsella bursa-pastoris (L.) Medik. - წინმატურა
Fam. Brassicaceae (Cruciferae) - ოჯ. კომბოსტოსებრნი (ჯვაროსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 5-40 სმ-მდე სიმაღლის სწორი ღეროთი. ქვედა ფოთლები როზეტადა შეკრებილი, ფრთისებრ დაყოფილია; ღეროსეული ფოთლები უფრო მცირე ზომისაა, ლანცეტა, კიდემთლიანი ან ამოკვეთილ-დაკბილული, მჯდომარე. ყვავილები პატარა ზომისაა, თეთრი, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მობრტყო ჭოტაკია, უკუსამკუთხა და ოდნავ თავამოკვეთილი; ნაყოფის ბუდეები მრავალთესლიანია. თესლი ოვალურია, ყვითელი, გლუვი.

ფენოლოგია: ყვ. III-V; ნაყ. IV-VI.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ბალახი (მცენარის მიწისზედა ნაწილი) წარმოადგენს, დაუშვებელია მცენარის შეგროვება თესლების სიმწიფის პერიოდში. შეიცავს რამნოგლიკომიდ ჰიზოპინს, ცილოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ნახშირწყლებს, ქოლინსა და აცეტილქოლინს, ინოზიტს, ორგანულ მჟავებს, სტეროიდებს, საპონინებს, ვიტამინებს - თიამინს, რიბოფლავინს, ფილოხინონს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს, კუმარინებს, ფლავონოიდებს, ფოტონციდებს. ხასიათდება ჰიპოტენზიური, შარდმდენი, სიცხისდამწვევი, შემომგარსავი, საშვილოსნოსა და ნაწლავების გლუვი კუნთების ტონუსის გამაძლიერებელი მოქმედებით.

არსებობს ექსპერიმენტალური მონაცემები მისი პრეპარატების შარდმდენი და ჰიპოტენზიური მოქმედების; კლინიკურად დამტკიცებულია მცენარის ნაყენის დადებითი თერაპიული ეფექტი მწვავე და ქრო-

ნიკული პიელონფერიტის დროს. თხევადი ექსტრაქტი მიიღება საშვი-
ლოსნოს ათონის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში შინაგანად ფართოდ გამოიყენება გულის დაავა-
დებების, ქოლესისტიტის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, კუჭიდან,
თირკმელებიდან და საშვილოსნოდან სისხლდენის, შარდკენჭოვანი
დაავადებების, რევმატიზმის, მწვავე და ქრონიკული ენტერიტების,
კოლიტების, ენტეროკოლიტების, გასტრიტის, კუჭისა და 12-გოჯა
ნაწლავის წყლულის, ფალარათისა და ღიზენტერიის დროს, როგორც
შემკვრელი და ჭრილობების შემახორცებელი საშუალება. არსებობს
ცნობები სხვადასხვა ქვეყნებში მისი გამოყენებისა მალარიის, და
ზოგიერთი ვენერიული დაავადებების, კუჭის წყლულის, მუცლის ტიფის
სამკურნალო გამოყენების შესახებ. განსაკუთრებით ეფექტურია მცე-
ნარის ნედლი ნაწილები. აქტიურად გამოიყენება ჰომეოპათიაში.

ოფიცინალურ მედიცინაში მიღებულია წინმატურას თხევადი ექსტრაქ-
ტი, მზადდება 70%-იან სპირტზე.

უკუჩვენება: ფეხმძიმობა, თრომბოფლებიტი.

გავრცელება: კოსმოპოლიტური მცენარეა. გავრცელებულია ყველგან
ზომიერ და ტროპიკულ ოლქებში, წარმოშობა დაუდგენელია.

საქართველოში ფართოდ გავრცელებული სარეველაა.

ჰაბიტატები: იზრდება მთის ზედა სარტყლამდე, მინდვრებში, ბალ-
ბოსტნებში, გზის პირებზე, ნასვენ და რუდერალურ ადგილებზე.

კულტივირება: მრავლდება თესლით.

Calendula officinalis L. - გულყვითელა

Fam. Asteraceae (Compositae) – ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის, მოკლედ, მაგრამ უხვად შებუსვილი. ღერო ოთხნახ-ნაგოვანია, დატოტვილი, სწორმდგომი. ფოთლები სპირალურადაა განწყობილი, წაგრძელებულია, ქვედა - ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე. ყვავილები შეგროვილია მსხვილ კალათებად, წარინჯისფერია ან მონათალო-წარინჯისფერი. ნაყოფები - სხვადასხვა ზომის თესლურაა. 1000 თესლის წონაა 8-10 გ.

მორფოლოგია: ყვ. VI-XI; ნაყ. VII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია კალათები და ენისები, განაპირა ყვავილები. შეიცავს კაროტინოიდებს – კაროტინს, ლიკოპინს, ციტრაქსანტინს, ვილოქსანტინს, რუბიქსანტინს, ფლავოხრომს. აღნიშნულის გარდა ყვავილელებში აღინიშნება: ფისები, ლორწო, ვაშლის მჟავა, ალკალოიდები; ბალახი შეიცავს მწარე ნივთიერება კალენდენს, ფესვები - ინულინს, თესლები – ცხიმზეთებს.

ხასიათდება ანტიმიკრობული, ნაღველმდენი, შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. მისი ნაყენით მკურნალობენ ჭრილობებს, დამწვრობებს, კოჟრებს, მეჭვჭვებს; ფართოდ გამოიყენება აგრეთვე პირის ღრუს გამოსავლებლად და ანგინისა და ანთებითი პროცესებისას. ასევე წარმატებით იხმარება გულის, კუჭ-ნაწლავის წყლულების, გასტრიტის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, გინეკოლოგიური დაავადებებისას.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭის, ნაწლავების, ღვიძლის, კანის დაავადებებისას, რაქიტის დროს.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში.

საქართველოში გავლურებულია. გვხვდება ტენიან ადგილებში.

კულტივირება: გულყვითელას მოშენება შესაძლებელია ნაირგვარ ნიადაგებზე, ადვილად მრავლდება თვითნათესით, რომელიც შემდეგ იზრდება როგორც სარეველა. თუმცა კარგ შედეგს იძლევა განათებულ და ტენიან ადგილებზე.

კარგი წინამორბედეა მისთვის - მარცვლოვნები, პარკოსნები და სხვა სათოხნი კულტურები. ერთსა და იგივე ადგილას იზრდება დიდხანს.

ძირითად მზრალად ხვნას ატარებენ რაც შეიძლება ადრე 22-25 სმ სიღრმეზე. ხანგრძლივი ყვავილობის უზრუნველსაყოფად რეკომენდი-

რებულია: ძირითადი შემოდგომის ხვნის დროს ნაკელის /30-40 ტ/ჰა, ან ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევი: 20-30 ტ/ჰა -ნაკელი, 3-4 ც/ჰა სუპერფოსფატი და 1- 1,5 ც ამონიუმის გვარჯილას შეტანა.

ამრავლებენ თესლით, უშუალოდ გრუნტში თესვით. თესვის საუკეთესო პერიოდია ადრე გაზაფხული. თესვას ატარებენ ჩვეულებრივი სათესი მანქანებით რიგთაშორის 60 სმ სიგანით. თესვის ნორმა 10-12 კგ/ჰა, თესვის სიღრმე 2-3 სმ.

აღმონაცენის წარმოქმნის შემდეგ აწარმოებენ რიგთაშორის გაფხვიერებას და რიგებში გამარგვლას. ასეთ დამუშავებას ატარებენ ზაფხულის პირველ ნახევრამდე 2-3-ჯერ, ვიდრე მცენარეები ერთმანეთში გადაიხლართებიან, როდესაც უკვე შეუძლებელი ხდება რიგთაშორის დამუშავება. უხვი და ხანგრძლივი ყვავილობისათვის ზაფხულის განმავლობაში 1-2-ჯერ ანოციერებენ ორგანულ-მინერალური სასუქით.

ყვავილების შეგროვება მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში 15-20-ჯერ ტარდება. კარგი აგროტექნიკის პირობებში ყვავილელების მოსავლიანობა 12-18 ც/ჰა შეადგენს /გოგიჩაიშვილი, 1998/.

***Calisia fragrans* (Lindl.) Woods. - კალიზია, ოქროს ულვაში**
Fam. Commelinaceae - ოჯ. კომელინასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტროპიკული მცენარეა ორი ტიპის ყლორტებით. ერთნი - სწორმდგომია, ხორცოვანი, 70-200 სმ-მდე სიმაღლის, ნორმალურად განვითარებული ფოთლებით, რომლებიც სიმინდის ფოთლების მსგავსია. მეორე ტიპის ყლორტები ჰორიზონტალურია, განუვითარებელი ფოთლებით, გრძე-

ლი მილისებრი ვაგინით, კიდევებზე წამნამებიანი. ყვავილები თეთრია, წვრილი და არომატული, შეკრებილია ყვავილებდებად.

ფენოლოგია: ყვ. V- VII; ნაყ. VI-VII.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ მცენარის ის ყლორტები ანუ ულვაშები გამოიყენება, რომელსაც არა ნაკლებ 7 მუხლთშორისი გააჩნია. უძლიერესი ბიოგენური სტიმულიატორია, მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, მინერალებითა და ვიტამინებით. შეიცავს კაროტინოიდებს, ფლავონოიდებს (კვერცეტინსა და კემპფეროლს), სტეროიდებს (ბეტასიტოსტეროლს), პექტინებს, კატეხინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს (ტანიდებს), ნიკოტინის მჟავას. მდიდარია ისეთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტებით, როგორცაა: K, Ca, V, Mg, Fe, Co, Ni, Cu, Zn, Gl, Br, Str. To, Ur, მინერალებითა და ვიტამინებით.

ხალხურ მედიცინაში კალიზიას პრეპარატებს ხშირად ოჯახურ ჟენშენს უწოდებენ; ითვლება, რომ მის საფუძველზე დამზადებული წამლები წარმატებით ხსნის სხვადასხვა ლოკალიზაციის ტკივილებს, აღმოფხვრის ქავილს, ახორცებს ჭრილობებს, კურნავს კუჭ-ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის, ელენთის, ფილტვების კიბოსა და ალერგიულ დაავადებებს. თუმცა ხალხური მკურნალები პაციენტებს იქვე აფრობილებენ, რომ პანაცეად არ უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული მცენარე.

აშშ-ში და კანადაში ჩატარებული გამოკვლევებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კალიზია შეიცავს ისეთ აქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც ხელეწიფება მოახდინოს კიბოს უჯრედების განვითარების დამხრუჭება; ანალოგიური გამოკვლევები ჩატარდა რუსეთში ირკუტსკის სამედიცინო ინსტიტუტში 1980-იან წლებში.

მრავალრიცხოვანი ცდების შედეგად დადგინდა, რომ მცენარე ნამდვილად გამოირჩევა მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით, ამზადებენ ნაყენებს, ნახარშებსა და მალამოებს.

ამგვარად, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, კალიზიას შესწევს უნარი გაუმკლავდეს სხვადასხვა სახის ინფექციებს, ასტიმულიროს ნივთიერებათა ცვლის პროცესები, გაამაგროს სისხლძარღვების სისტემა და იმუნიტეტი, ხელი შეუწყოს ორგანიზმიდან შლაკების გამოყოფას; ამავდროულად გამოირჩევა ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობების შემახორცებელი და

სიმსივნეების საწინააღმდეგო მოქმედებით; მას იყენებენ შაქრიანი დიაბეტის, ლეიკოზის, ქრონიკული პანკრეატიტის, ოსტეოხონდროზის, ქალური დაავადებების სამკურნალოდ, კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის აღსადგენად, ელენთის, ნაღვლის ბუშტისა და ნაღველსადინარი გზების, კუჭის, წვრილი ნაწლავების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუავურ-ტუტოვანი შემაღვენლობის ნორმალიზაციისათვის, ნახველის დაშლისათვის, ჰიპერსეკრეციის დასაქვეითებლად; გარეგანი გამოყენება იძლევა ტროფიკული წყლულების შეხორცების ეფექტს, ამშვიდებს სხვადასხვა სახის ტკივილებს, მათ შორის ღრმა დამწვრობისას, ახორცებს მათ, კურნავს მოყინულ კიდურებს და კანის მთელ რიგ დაავადებებს.

სადღეისოდ სულ უფრო მეტად იზრდება მეცნიერული მედიცინის ყურადღება ამ მცენარისადმი.

უკუმაჩვენებელია თირკმელების დაავადებებისა და პროსტატის ადენომის დროს. ნაყენებისა და ნახარშების გადაჭარბებული მიღება იწვევს ხმის ჩახლეჩვას, რომლის აღდგენა გართულებულია.

გავრცელება: ისტორიული სამშობლო ცენტრალური (მექსიკა) და სამხრეთ ამერიკის ტროპიკული და სუბტროპიკული ოლქებია.

კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში ოთახის კულტურის სახით.

Camellia sinensis (L.) Kuntze - მწვანე ჩაი (კამელია)

Fam. Theaceae - ოჯ. ჩაისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე ბუჩქია ან მცირე ზომის 8-10 მ-მდე სიმაღლის ხე. ფოთლები მოკლე ყუნწიანია, ოვალური ან ფართო ელიფსური ფორმის, შიშველი, ტყავისებრი, კიდეხერხებილა, მუქი მწვანე შეფერილობის. ყვავილები მსხვილია, მარტოული, განწყობილია ტოტების ბოლოებზე ან უბეებში. ნაყოფი მომრგვალო ან ოვალური, მობრტყო ხსნადი კოლოფია.

ფენოლოგია: ყვ. XI-V.

მნიშვნელობა: ფოთლებიდან რთული დამუშავების შედეგად მიიღება ცნობილი მშრალი ჩაის ფხვნილი, რომლისგანაც ჩაის სასმელს ამზადებენ. ჩაის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მთრიმლავე ნივთიერებები, კოფეინი და ეთერზეთები; მათგია დამოკიდებული კამელიის ჩაის გემო, ფერი, არომატი და სამკურნალო თვისებები.

ფოთლები შეიცავს მთრიმლავე ნივთიერებებს, ფისებს, ნუკლეოპროტეინებს, რკინას და მანგანუმს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ალკალოიდებს – 3% კოფეინს, თეოფილინს, თეობრომინს, ქსანტინს, ადენინს, ჰიპოქსანტინს, პარაქსანტინს, მეთილქსანტინს, იზატინს, ფლავონოიდებს – კემპფეროლს, კვერცეტინს, იზოკვერცეტინს, რუტინს, კუმარინებს, ასკორბინის მჟავას, თიამინს, რიბოფლავინს, ეთერზეთებს. ღეროში, ფესვებსა და თესლში აღინიშნება სტეროიდული საპონინები, თესლში – ცხიმზეთები, სახამებელი, სტერინები, ცილები.

ჩაის დამამზადებელ ფაბრიკებში დამუშავებისას გამოყოფილი კამელიის ჩაის მტვერი, ფოთლებისა და ტოტების ნაწილი გამოიყენება ალკალოიდების – კოფეინისა და თეოფილინის მისაღებად, რომლებიც მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებებია. კოფეინი იწვევს აღმგზნებ და მატონიზირებელ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აუმჯობესებს გონებრივ და ფიზიკურ მდგომარეობას, არის შარდმდენი, შაკიკის ტკივილების მომხსნელი საშუალება. თეოფილინი იხმარება კორონარული სისხლძარღვების გასათვართოებლად, სისხლის მიმოქცევის დარღვევებისას. ჩაის ალკალოიდები შედის პრეპარატ ეუფილინის, დიურეტიკისა და სხვ. შემადგენლობაში.

თესლიდან ღებულობენ უმაღლესი ხარისხის ეთერზეთებს, გამოიყენება საპარფიუმერიო წარმოებაში.

ყვაველები ხასიათდება შემკვრელი, ანტიჰემორაგული და მატონიზირებელი მოქმედებით. ნახარში მიიღება სისხლიანი ხველებისა და სხვა სისხლდენებისას. ფესვები საუკეთესო საშუალებაა სისხლიანი ფაღარათის დროს.

მწვანე ჩაი ხელს უწყობს ძვლების გამაგრებას, სისხლის წარმოქმნას, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირებას, შარდის გამოყოფას, გამოაქვს შხამები, ხსნის ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას, ამაგრებს გულს. განსაკუთრებით ეფექტურია ასაკოვანი და ხანდაზმული ადამიანებისთვის. მწვანე ჩაი აახლებს ადამიანის სისხლძარღვთა კედლების უტრედებს, ხელს უშლის ადრეული სტადიის სიმსივნეების ზრდის პროცესს. ყოველდღიურად ორი ჭიქა მწვანე ჩაის დაღვევა კუჭისა და ღვიძლის კიბოს განვითარებისგან იცავს ადამიანის ორგანიზმს. ასევე, კარგად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას. არეგულირებს წნევას, ამცირებს ათეროსკლეროზის განვითარების რისკს, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას. აღსანიშნავია იაპონელი მეცნიერების აღმოჩენები ჩაისთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს, რომ მწვანე ჩაი ძალზე ეფექტური საშუალებაა სტრონციუმ 90-ით ორგანიზმის მონამვლისას. ეს მავნე იზოტოპი დიდი რაოდენობით არის რადიაქტიურ ნალექებში, შედის ადამიანის ორგანიზმში არა მარტო რადიაქტიური ჰაერიდან, არამედ რძის პროდუქტებითა და ბოსტნეულით სარგებლობის დროსაც, იგი იწვევს ისეთ ავთვისებიან დაავადებას, როგორიც არის ლეიკემია (სისხლის გათეთრება). ასეთი კატეგორიის ავადმყოფებში, მწვანე ჩაის მიღების შედეგად, აღნიშნული იზოტოპის უდიდესი ნაწილი გამოიღვენება ორგანიზმიდან, რაც დაადასტურა ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა. მწვანე ჩაი დადებითად მოქმედებს ადამიანის სისხლძარღვებზე და განსაკუთრებით კაპილარებზე. ის აგრეთვე დადებით გავლენას ახდენს სისხლძარღვებზე და არეგულირებს სისხლის წნევას. აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და თავის ტვინის ქერქს, ამალღებს განწყობილებას, ხელს უწყობს აზროვნებას, ზრდის შრომისუნარიანობას და აუმჯობესებს ორგანიზმის რეაქციას. მწვანე ჩაი ეფექტურია ღვიძლის ქრონიკული ანთების, დიზენტერიის, სისხლის მომატებული წნევის, მწვავე ნეფრიტის დროს. არა მარტო ზღუდავს, არამედ სპობს ლაზობის გამომწვევ ბაქტერიებს, სპეციფიურ მიკრობებს,

როგორცაა დიზენტერიის, ტიფის, პარატიფის ჩხირები, ყვითელი და ოქროსფერი სტრეპტოკოკები.

ამავდროულად მწვანე ჩაი უსაფრთხო გასახდომი საშუალება აღმოსავლეთში ამბობენ: "ახალი ჩაი ბალზამის მსგავსია, ღამენათევი - გველის შხამისა".

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ინდოჩინეთი) ტროპიკული და სუბტროპიკული რაიონების მთიან ტყეებში.

კულტივირება: პირველად მისი კულტივირება ჩინეთში დაიწყო, იქიდან მოხვდა იაპონიაში. 1824 წელს ჰოლანდიელებმა დაიწყეს მისი კულტივირება კუნძულ იავაზე, 1834 წელს ინგლისელებმა - ჰიმალაიზე. ამჟამად ფართოდაა კულტივირებული ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ინდონეზიაში, სამხრეთ ამერიკაში. შრი-ლანკასა (ცეილონზე) და აფრიკაში.

Cassia acutifolia Del. (Senna alexandria Mill.) - სინამაქის ხე

Fam. Fabaceae (Leguminosae) - ოჯ. პარკოსანნი



ბოტანიკური დახასიათება: ტროპიკული ფოთოლმცვენი 1მ-მდე სიმაღლის ნახევრად ბუჩქია. ფესვი მთავარღერძაა, სუსტად დატოტვილი, გრძელი. ღერო სწორმგომია, დატოტვილი, მორიგეობითი წყვილ ფრთართული ფოთლებით, 4-8 წყვილი, კვერცხისებრ-ლანცეტა წაწვეტებული ფოთოლაკებით. ყვავილები ყვითელია, შეკრებილია უბისეულ მტევნისებრ ყვავილედად. ნაყოფი - ბრტყელი მრავალთესლიანი ჭოტია, მუქი ყავისფერი შეფერილობის. თესლი გულისებრია, ამობურცული. 1000 თესლის წონა 20-30 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: ფოთლები და ნაყოფები შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს (გლიკოალლომოდინს, გლუკორეინს), რომლებიც ნაწლავებში საკვებ-მომწელებელი ფერმენტის მოქმედებით იშლება აგლიკონებად და შაქრად, გამალაზიანებლად მოქმედებს ლორწოვან რეცეპტორებზე და მასტიმულირებლად ნაწლავების გლუვი მუსკულატურის მამოძრავებელ აქტივობაზე. ფოთლების შემადგენლობაში ასევე: ბიოფლავონოიდები, ორგანული მუავები, ფისები, ნაცარი, ფიტოსტერინები, მარტივი და რთული პოლისახარიდები, ალკალოიდები კვალის სახით, მიკროელემენტებიდან - კალიუმი, მაგნიუმი, ფტორი; მცენარეს შესწევს უნარი კონცენტრირება მოახდინოს ბარიუმის, სელენის, სტრონციუმის, სპილენძისა და თუთიის.

მედიცინაში გამოყენებული ნაყოფებისა და ფოთლების ნარევი ცნობილია “ალექსანდრიული ფოთლის” სახელწოდებით.

როგორც მცენარეული სასაქმებელი საშუალება ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტურ მედიცინაში, იმავე მიზნით გამოიყენებოდა ჩინეთში; მცირე დოზით ჩინურ მედიცინაში მას უნიშნავდნენ მადის სტიმულირებისათვის, ასციტისა და გლუკოზის დროს, აგრეთვე როგორც შარდმდენს.

სადღეისოდ ფართოდ გამოიყენება ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში. სინამაქის ხის პრეპარატები მეცნიერულ მედიცინაში იხმარება როგორც სასაქმებელი საშუალება ხანგრძლივი ატონური ყაბზობის დროს. დადგენილია რბილი ნალველმდენი და ანტიოქსიდენტური მოქმედება, რის გამოც გამოიყენება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციის დარღვევებისას. ინფექციურ პრაქტიკაში მას უნიშნავენ ამებური დიზენტერიის დროს. ექიმი-პროქტოლოგები ურჩევენ ანალური ხვრელის დახეოქვის, ბუასილის და პარაპროქტიტების შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ სინამაქის პრეპარატები ხასიათდება ნელი სასაქმებელი მოქმედებით, რის გამოც ენიშნებათ ღამით, მას არ ახასიათებს ელვისებური ტკივილები ნაწლავებში და თხელი გასვლა, განსხვავებით სხვა სასაქმებელი პრეპარატებისაგან, რის გამოც თერაპიულ დოზებში ფართოდ გამოიყენება ბავშვთა და გერონტოლოგიურ პრაქტიკაში. ხალხურ მედიცინაში სასაქმებელი და შარდმდენი მოქმედების გარდა მის ნახარშს იყენებენ სალბუნების სახით პიოდერმიის განსაკურნავად.

სინამაქის ხანგრძლივმა და უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება მიჩვევა გამოიწვიოს. უკუმჩვენებელია ორსულობისა და ლაქტაციის დროს. არ არის რეკომენდირებული დიარეის, წვრილი და მსხვილი ნაწლავების მწვავე ანთებითი პროცესების დროს.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ აფრიკის მშრალ რაიონებში, სამხრეთ არაბეთში, ნილოსის ხეობაში და წითელი ზღვის სანაპიროზე.

კულტივირებულია როგორც მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარე ინდოეთში, პაკისტანში, სამხრეთ ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანში.

კულტურაში უთმობენ ნაკვეთებს მსუბუქი თიხნარი ნიადაგებით, ღრმა გრუნტის წყლებით. საუკეთესო წინამორბედებია სათოხნი კულტურები, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, სიმინდი და სხვ.

სათესად მომზადებულ ნაკვეთებს შემოდგომის ბოლოს რწყავენ, ანგარიშით 1000-1300 მ³/ჰა. მორწყვიდან 4-7 დღის შემდეგ ტარდება ღრმა გადაბარვა 30-35 სმ სიღრმით. ადრე გაზაფხულზე, ნიადაგში ტენის შენარჩუნების მიზნით აფხვიერებენ კულტივატორებით 8-10 სმ სიღრმით, თესვამდე ორი კვირით ადრე კი ატარებენ თესვის წინა რწყვას /700-1000 მ³/ჰა. თესვის შემდგომ ნიადაგს ასწორებენ.

მაღალი მოსავლის მისაღებად რეკომენდირებულია გადაბარვისას 20-30 ტ/ჰა ნაკელის ან კომპოსტის, 3 ც/ჰა სუპერფოსფატის შეტანა. ზაფხულის განმავლობაში ორჯერ განოციერება, პირველი-მცენარეთა დატოტიანების ფაზაში, მეორე – ყვავილობისას, ამონიუმის სულფატით და სუპერფოსფატით 30-45 კგ/ჰა ანგარიშით.

ამრავლებენ თესლის უშუალოდ გრუნტში თესვით. ვინაიდან მყარი თესლების მნიშვნელოვანი ნაწილი /25%-მდე/ არ ღივდება, მათ ასვენლებენ, გაშრობის შემდეგ კი ახდენენ სკარიფიკაციას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ აღმოცენებას. თესავენ, როდესაც ნიადაგი კარგად თბება 21-22% C t-ზე, რაც ემთხვევა აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისს. თესენ სათესი მანქანებით რიგებად. მათ შორის 60 სმ დაცილებით, თესვის ნორმა 7-8 კგ/ჰა, თესვის სიღრმე 3-4 სმ.

პლანტაციის მოვლა მდგომარეობს რიგთაშორის გაფხვიერებაში 6-8 სმ სიღრმეზე, მორწყვის შემდგომ, ერთდროულად რიგებში სარეველების გამარგვლაში. ზემოაღნიშნულ მორწყვების გარდა, ყოველ 15-20 დღე-

ში რწყავენ ნაკვეთებს 12-15 სმ სიღრმით, ნორმა 500-700 მ³/ჰა. განსაკუთრებით აუცილებელია ნიადაგის ნორმალური ტენის შენარჩუნება ზაფხულის მეორე ნახევარში.

ფოთლებს აგროვებენ მექანიკური წესით, მას შემდეგ, როდესაც ისინი ცისფერი ნაფიფქით იფარებიან; პირველი შეგროვების შემდეგ, დაახლოებით 20-25 დღის შემდეგ მეორედ ხდება მათი შეგროვება. ფოთლების საერთო მოსავლიანობა შეადგენს 8-12 ც/ჰა. თესვები გროვდება პერიოდულად მომწიფებისას ხელით. გაშრობა მიღებული წესით წარმოებს /Котиков, 1975/.

Catharanthus roseus (L.) C. Don. - ვარდისფერი კატარანტუსი
Fam. Apocynaceae - ოჯ. ქენდირისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, მარადმწვანე ნახევრადბუჩქია, სწორმდგომი ან ვართხმული, ცილინდრული, შიშველი (ზოგიერთ ფორმაში სხვადასხვა შებუსებით), 30-60 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვი მთავარღერძა; ფოთლები მოპირისპირედაა განწყობილი, მოკლეყუნწიანია, მოგრძო, პრილაა, მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან -ზოგჯერ შებუსული, კარგად გამოხატული დაძარღვით; ყვავილები 2-4 ერთადაა შეკრებილი, გვირგვინი 5 ფურცლიანია; შეფერილობის მიხედვით არჩევენ რამდენიმე ფორმას: ვარდისფერი, თეთრი და თეთრი - ვარდისფერი ლაქებით. ნაყოფი - ნამგლისებრი, მუქი ყავისფერი ორფოთლურაა, მომწიფებისას იშლება და თესლი ცვივა. თესლი შავია, მოგრძო-ოვალური.

ფენოლოგია: ყვ. V-VIII; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ყვავილობისას შეგროვილი მინისზედა ნაწილები – ბალახი. შეიცავს 65 დასახელების ალკალოიდებს, რომელთა შორის 7 – ხასიათდება სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით (ვინბლასტინი, ვინკრისტინი, ლეიროზინი, ლეიროზიდინი, როზიდინი, ვიროზინი და პერკვინი).

ალკალოიდი ვინბლასტინი გამოირჩევა სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით. ავთვისებიან წარმონაქმნებზე მათი მოქმედების მექანიზმი აიხსნება უნარით მოახდინოს უჯრედების მიტოზის ბლოკირება მეტაფაზის სტადიაში, რითიც გამონვეულია მისი დამთრგუნველი მოქმედება ლეიკოპოეზზე (ერთროპოეზსა და ჰემოგლობინის შემცველობაზე ის არსებითად არ მოქმედებს). ვინბლასტინს უნიშნავენ ლიმფოგრანულემატოზის გენერალიზებული ფორმების, ლიმფო და რეტიკულოსარკომის, ქრონიკული მიელოზის, განსაკუთრებით მყარი ფორმებისა და სხვა ქიმიოთერაპევტიული საშუალებებისადმი და სხივური თერაპიისას. პრეპარატი ეფექტურია, მაგრამ მისით გამონვეული რემისიები არ არის ხანგრძლივი და საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას, სიმსივნის საწინააღმდეგო სხვა პრეპარატებთან შეთავსებას.

მცენარე შხამიანია! ვინბლასტინით მკურნალობა დასაძვებია მხოლოდ სტაციონარში. პრეპარატის მიღებისას შესაძლებელია აღინიშნოს საერთო სისუსტე, მადის დაკარგვა, გულის რევა, პირღებინება, მუცლის ტკივილები, სიყვითლე, ალბუმინურია, სტომატიტები, ალერგიული რეაქციები, დეპრესია, ალოპეცია, ფლებიტები.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში.

საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ინტროდუცირებულია.

კულტივირებულია როგორც ერთწლოვანი კულტურა.

Cichorium intybus L. - ვარდკაჭაჭა

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთუყვავილოვანი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 100-120 სმ სიმაღლის მცენარეა მძლავრი, ხორცოვანი თითისტარისებრი ფესვით და გაფარჩხულ-დატოტვილი ღეროთი. კალათები ტოტების კენწეროებზე მარტოულია, კენწრული ფოთლების ილღიებში ჯგუფადაა განწყობილი. ყვავილები ცისფერია, უფრო იშვიათად თეთრი. ნაყოფი წვრილი თესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. VI; ნაყ. VII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები, ბალახი და ყვავილები.

ყვავილები შეიცავს გლიკოზიდ ციკორიუმს, რომელიც ჰიდროლიზის დროს იხლიჩება ესკულეტინად და გლუკოზად. რძისებრ წვენში ნაპოვნია მწარე ნივთიერება ლაქტუცინი, ლაქტუკოპკრინი, ტარაკსასტეროლი, ნაყოფებში - კატეხინის სანინალმდეგო ალდეჰიდი.

ფესვები მდიდარია წყალში ხსნადი ინულინით (60%) - პოლისახარიდებით, რომელიც გამოიყენება დიაბეტით დაავადებულთათვის დიეტურ კვებაში, შაქრისა და სახამებლის შემცველად. აღინიშნება აგრეთვე ფრუქტოზა, მწარე გლიკოზიდი ინტიბინი, მწარე, ლორწოვანი და მთრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მუავები, ციკორინი, ქოლინი, ცილები, ცხიმები, ეთერზეთები, ვიტამინები: A, C, D1, D2, PP, მიკრო (რკინა) და მაკროელემენტები (კალიუმი, ნატრიუმი, ფოსფორი). ფოთლები შეიცავს ინულინს.

ვარდკაჭაჭას სასარგებლო თვისებებს აღწერდნენ ანტიკური პერიოდის ცნობილი ექიმები: თეოფრასტი, დიოსკორიდი, პლინიუს უფროსი;

მისი სამკურნალო თვისებებით დაინტერესდა ავიცენა, რომელიც მისგან მრავალ პრეპარატს ამზადებდა.

ხასიათდება ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი, შარდ და ნალველმდენი მოქმედებით. ახდენს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის, გულის მოქმედების ნორმალიზებას, არის სისხლძარღვთა გამათვართოებელი და სიცხისდამწვეი საშუალება; გამოიყენება შაქრის დიაბეტის თერაპიაში, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და თირკმელების დაავადებებისას. ახდენს ღვიძლიდან ტოქსინების გამოდევნას, ასტიმულირებს მის ფუნქციას; ნაყენი ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს გულის მუშაობას, მას უნიშნავენ ნევროზების, უძილობის, ჰიპერტენზიის სამკურნალოდ. ფესვების ნახარში ხასიათდება შარდმდენი და ნალველმდენი მოქმედებით, იყენებენ ცისტიტის, ნალველკენჭოვანი დაავადებების, ნეფრიტის, ციროზის, ჰეპატიტის დროს. ბალახისა და ფესვების ნახარში ხალხური მედიცინის მიერ რეკომენდირებულია გარეგანად - ეგზემის, ფერიმჭამელების, ფურუნკულოზის, ჩირქიანი ჭრილობების, ლიმფატური ჯირკვლების ანთების საწინააღმდეგოდ, აბაზანებისა და საფენების სახით. ვარდკაჭაჭა სასარგებლოა ძალების დაკარგვის, მაღალი ოფლდენის, ელენთის დაავადებების, სისხლის შემადგენლობის ნორმალიზაციისათვის. ავიცენას დროიდან ნახარშებსა და ნაყენებს უნიშნავენ ჰიპერაციდული გასტრიტის, ენტერიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტის, ქრონიკული ყაბზობის დროს. ნელლი წვენი მკურნალობენ სურავანდსა და ანემიას.

გავრცელება: სამშობლოდ ხმელთაშუაზღვეთი ითვლება. გავრცელებულია ზომიერი კლიმატის ზონაში და ტროპიკებში. გვხვდება ევრაზიაში, ჩრდ. აფრიკაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება მთის შუა სარტყლამდე რუდერალურ ადგილებზე, ტყის პირებზე, ნათესებში, მდელოებზე, დასახლებულ პუნქტებთან ახლოს, გზის პირებზე.

კულტივირება: მრავალ ქვეყანაში კულტურაში დიდ ფართობებს უთმობენ. მრავლდება თესლით.

Cicuta virosa L. - ციკუტა

Fam. Apiaceae (Umbelliferae) - ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50-150 სმ სიმაღლის, დამახასიათებელი ვერტიკალური თეთრი ხორცოვანი ფესურით და მრავალრიცხოვანი წვრილი და თხელი ფესვებით. ღერო გლუვია, დატოტვილი, მონიტალო ნაფიფქით. ფოთლები ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილია, კენწრული ნაკვეთები ლანცეტაა, ბასრკბილებიანი. ყვავილები ორსქესიანია, თეთრი, წვრილი, შეკრებილია რთულ (ორმაგ) ქოლგებად, 10-15 მთავარი სხივით. ნაყოფი წვრილი თესლურაა, ყავისფერი, შედგება ორი ნახევრად სფერული თესლურისაგან.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: მსოფლიო ფლორის ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი მცენარეა, სასამოვნო სტაფილოს სუნით, ბოლოკის მსგავსი გემოთი. ადრე მიაჩნდათ, რომ დიდმა სოკრატემ სიცოცხლე ამ მცენარის წვენით მოისწრაფა, თუმცა ახლა უფრო შესაძლებლად თვლიან, რომ მან კონიოს ნაყენი გამოიყენა.

მთელი მცენარე შხამიანია, როგორც ნედლი, ასევე მშრალი სახით. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი და განსაკუთრებით ფესურა ფესვებით, შეიცავს მთავარ შხამიან ნივთიერება - ციკუტოქსინს, რომლის 5 მგ სასიკვდილო დოზაა, აღინიშნება აგრეთვე ფლავონოიდები - იზორამნეტინი და კვერცეტინი.

ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ კიბოს სიმსივნეების გავრცელება ორგანიზმში, ჩვეულებრივი კიბოს მარნუხებს ჰგავდა, რის გამოც ამ ავადმყოფობას უწოდეს „კიბოს მსგავსი დაავადება“ – karkinos, ლათინურად – cancer. მაგ.: რუსულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში ტერმინი „рак“ საბოლოოდ XVI ს-დან აღინიშნება; ამავე საუკუნეში მსოფლიოში გავრცელდა ჰიპოთეზა, ე. წ. სიგნატურას შესახებ, რომლის თანახმად, ამა თუ იმ ავადმყოფობის განსაკუთრებად, უნდა მოძებნილიყო შესაბამისი მცენარე, რომელიც გარეგნული იერსახით მსგავსი იქნებოდა დაავადების. მიაჩნდათ, რომ თვით ბუნებამ მისცა ესა თუ ის ფორმა სამკურნალო მცენარეების შესაბამის ნაწილებს იმისთვის, რომ ადამიანებს დიდი ჯაფის გარეშე გაერკვიათ მცენარეში დაფარული სამკურნალო ძალები და გამოეყენებინათ ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ. ციკუტას ფესურა, მრავალრიცხოვანი ფესვებით „კიბოს“ მსგავსია, ეტყობა არ არის შემთხვევითი, რომ კიბოს სიმსივნეების მსგავსი მცენარის ფესურა სასიკვდილო მტერია „კიბოს“ ტიპის დაავადებების.

ციკუტა - ძლიერი ანტიმიტოზური შხამია. ხასიათდება რა ციტოსტატიკური სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით, ახდენს არა მარტო სიმსივნის ზრდის დამუხრუჭებას, არამედ ანადგურებს ავთვისებიან უჯრედებს, რითიც ანთავისუფლებს ორგანიზმს კიბოთი ინტოქსიკაციის უბოლო უღლისაგან. ციკუტას პრეპარატების სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება აიხსნება მისი უნარით, მოახდინოს კარიოკინეზის (უჯრედის ბირთვის დაყოფა) დასაწყისში, მეტაფაზის სტადიაში უჯრედების მიტოზის ბლოკირება. ციკუტას გამოყენება მიზანშეწონილია, სიმსივნის სახისა და ლოკალიზაციისაგან დამოუკიდებლად.

მცენარე ხასიათდება აგრეთვე ანტიმეტასტატიკური აქტივობით, ახდენს რა სიმსივნის უჯრედების მიტოზის ბლოკირებას, ის ერთდროულად „პოულობს“ მთელ ორგანიზმში გაფანტულ მეტასტაზებს და ანადგურებს მათ. არცერთი სქემა პოლიქიმიოთერაპიისა თუ რადიოთერაპიის არ ფლობს მსგავს ანტიმეტასტაზურ აქტივობას. ციკუტას პრეპარატებით მკურნალობა ქირურგიული ჩარევების შემდეგაც, არ ახდენს დაავადების რეციდივს. ავადმყოფობა უკან იხევს მრავალი წლის მანძილზე და ბოლოს, ციკუტა წარმოადგენს უვნებელ პროფილაქტიკურ საშუალებას კიბოს საწინააღმდეგოდ.

როგორც ამ დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, აუცილებელია ყველას ახსოვდეს, რომ დედამიწის მოსახლეობის ყოველ მესამე ადამიანზე კიდია კიბოს „დამოკლეს მახვილი“; ჰიპოკრატეს დროიდან მედიცინა კიბოს ებრძვის მხოლოდ მისი გამოაშკარავების შემდგომ, რომ აუცილებელია მიზანმიმართული ონკოპროფილაქტიკა. ყველა ჯანმრთელმა ადამიანმა უნდა გაიაროს ციკლური მკურნალობის კიბოს საწინააღმდეგო კურსი წელიწადში ერთხელ.

ჰომეოპათები ციკლუსს ხმარობენ ეპილეპსიის, შაკიკის, თავბრუსხვევის, გაშემების სამკურნალოდ. ნაყენებს ხმარობენ ყივანახველის, ბრონქიალური ასთმის, დამბლის, ეპილეპსიის, კრუნჩხვების, ისტერიისა და ფსიხოზის დროს, ამასთან ნაყენი ინვესს ოფლმდენ, დამაშვიდებელ, კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებას. გარეგანად კომპრესების სახით იყენებენ ლიმფური კვანძების ანთებისა და სარძევე ჯირკვლების გამაგრების შემთხვევაში.

ძლიერი შხამიანობიდან გამომდინარე, ციკლუსს პრეპარატების გამოყენება უკიდურეს სიფრთხილეს მოითხოვს. ტარდება მხოლოდ ექიმის მითითებით და მისი მეთვალყურეობით. დოზის სულ მცირე გადაჭარბება ინვესს ძლიერ მონამლვას. ორგანიზმში მოხვედრისთანავე იწყება თავისა და მუცლის ტკივილები, პირღებინება, წონასწორობის დარღვევა, ბოდვები, კრუნჩხვები, სიკვდილი დგება გულის უკმარისობის ფონზე სუნთქვის დამბლის შედეგად. პირველი სასწრაფო დახმარება მდგომარეობს კალიუმის პერმანგანატის 0,1 % -იანი ხსნარით კუჭის ინტენსიურ გამორეცხვაში, გამწმენდი ოყენების გამოყენებით.

გაფრთხილდით!!! (ბიძინაშვილი, 2018).

გავრცელება: ალმ. ევროპა, დას. ევროპის ჩრდილოეთ ნაწილი, აზია და სამხრეთ ამერიკა

საქართველოში მხოლოდ აფხაზეთშია გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება დაჭაობებულ ადგილებში.

Cinnamomum zeylanicum Nees. - ცეილონის დარიჩინის ხე
Fam. Lauraceae - ოჯ. დაფნისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე 15 მ-მდე სიმაღლის ხეა სქელი ქერქით. ტოტები ცილინდრულია, წვეროსკენ სამწახნაგოვანი. ფოთლები მოპირისპირედაა განლაგებული, მოკლეყუნჩიანი, ოვალური, გლუვი ან მოკლედ წაწვეტებული, ტყავისებრი, 3-7 მთავარი ძარღვით. ყვავილები აქტინომორფულია, წვრილი, შეკრებილია ციმოზურ ყვავილედეზად; ყვავილსაფრის ფოთოლაკები თავისუფალია, ორწრიანი, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის. ნაყოფი კენკრაა, მოთეთრო-ცისფერი შეფერილობის. მთელი მცენარე ხასიათდება სასიამოვნო, ძლიერი არომატით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: ცეილონის დარიჩინის ხის ქერქის ფხვნილი კლასიკურ სანელებელთა რიცხვს მიეკუთვნება.

სამკურნალო ნედლეული ქერქია, ბაცი ყავისფერი შეფერილობის, ძალიან თხელი, ხშირად ქალაღდის ფურცლის სისქის (0,2-0,5 მმ). ქერქის შეგროვება წარმოებს შეჭრილი ბუჩქებიდან, ყლორტების 1-2 მ სიგრძის მიღწევისას. ქერქს სპილენძის დანებით ჭრიან, მას გარეთა ნაწილებს აცილებენ, შემდეგ ახვევენ ორმაგ ან სამმაგ მიღებად და მზეზე ამრობენ. ქერქის გადანაჭრებისა და ნარჩენებისაგან ამზადებენ ეთეროვან ზეთებს. ეთერზეთები შედგება დარიჩინის მუჟავის ალდეჰიდებისაგან. ქერქში აღინიშნება აგრეთვე მთრიმლავი ნივთიერებები, რის

გამოც ქერქის შვეკროვებისას ფოლადის დანების ხმარება დაუშვებელია.

ცილონის დარიჩინის ქერქი ჩინურ დარიჩინთან შედარებით მაღალხარისხიანია და უფრო ძვირად ფასობს.

დარიჩინის ხის ქერქიდან მიღებული პრეპარატები ხასიათდება მატონიზირებელი, კარდიოტონური, მიკრობების საწინააღმდეგო, ანტიბიოტური, ანტიესპტიკური, იმუნომო-დელირებელი, შემახორცებელი, გამათბობელი, ხველების საწინააღმდეგო, მუკოლიტური, ბრონქოლიტური, ინსექტიციდური და სპაზმოლიტური თვისებებით. მოქმედებს პლაზმაზე, სისხლზე, კუნთებზე, ძვლის ტვინზე და ნერვულ ქსოვილებზე; ხელს უწყობს კუჭის სეკრეციის სტიმულირებას და ნერწყვის გამოყოფას. შესაბამისად, დარიჩინი აუმჯობესებს საკვების მონელებას, ხელს უწყობს მეტეორიზმის დროს გაზების გამოყოფას და ამსუბუქებს ავადმყოფის მდგომარეობას ნაწლავებისა და კუჭის სპაზმებისას. გარდა ამისა, ასტიმულირებს სასუნთქი გზების, გულის სისტემისა და საშვილოსნოს მოქმედებას.

დარიჩინის ეთერზეთები შველის რევმატიზმს, ართრიტს, სახსრების ტრავმებს, მიოზიტს, კუნთოვან სპაზმებს, კრუნჩხვებს, ზედა სასუნთქი გზების დაავადებებს, გრიპს, ხველებას, ბრონქიტს, გაციებას; საკვების მონელების დარღვევებს (მუცლის გაბერვა, ბოყინი, გულისრევა), დისპეფსიას, გასტრიტს, საკვებით მოწამლვას, დიარეის, მეტეორიზმს, ათონიას, კოლიტს, კუჭის სიმძიმეს, კუჭის წვენის მაღალ მუჟვიანობას, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულებს, დაღლილობას და მადლის დაკარგვას, ზედმეტ წონას, თავბრუსხვევებსა და გულის წასვლას, ვეგეტოსისხლძარღვების დისტონიას, დერმატოქსიკოზს, კერატოზს, მუნს, პედიკულოზს, კოჟრებს.

გარეგანი გამოყენებისას ამცირებს ნევრალგიას, სახსრების ტკივილებს (ართრიტები), ტრავმის შემდგომ კუნთების კონტრაქტურას.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ცვილონზე, შრი-ლანკასა და ინდოეთში.

კულტივირება: კულტივირებულია შრი-ლანკაზე.

Cinnamomum cassia Blume - ჩინური დარიჩინის ხე
Fam. Lauraceae - ოჯ. დაფნისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 15 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ტროპიკული ხეა. ფოთლები ფართო ოვალურია, ტყავისებრი, კიდეშთლიანი, მორიგეობითი, ზედა მხარეს - პრიალა მწვანეა, ქვედა მხარეს - მოცისფრო მწვანე, დაფარულია მოკლე რბილი ბუნებით. ყვავილები წვრილია, შეკრებილია საგველასებრ ყვავილედად, მოყვითალო-თეთრია, მარტივი 6-ნაკვთიანი ყვავილსაფრით. ნაყოფი - კენკრაა.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX.

კულტივირება: სამკურნალო ნედლეულს ქერქი წარმოადგენს, რომელიც 1-3 მმ სისქისაა, მუქი ყავისფერი, ადგილ-ადგილ დაფარულია საცობის ფენით, სუნი არომატულია, გემო მოტკბო, სურნელოვანი და ოდნავ შემკვრელი. შეიცავს ეთერზეთებს, რომელიც უმთავრესად შედგება დარიჩინის მჟავის ალდეჰიდებისაგან, მცირე რაოდენობით მთრიმლავე ნივთიერებებს.

დარიჩინის ქერქის სპირტიანი ექსტრაქტი აქტიურია სხვადასხვა გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ. ჩინური წყაროების თანახმად ტუბერკულოზის ჩხირებისა და სხვადასხვა ვირუსებისადმი ხასიათდება მომაკვლინებელი მოქმედებით.

იხმარება საკვებმომწელებელი ორგანოების მოქმედების აღმგზნებ სა-
შუალეზად, წამლების სუნისა და გემოს გასაუმჯობესებლად და რო-
გორც ანტისეპტიკი.

დარიჩინის ხის ქერქის ფხვნილი ძვირფასი, კლასიკური სანელებელია.
დარიჩინის ეთერზეთები ხასიათდება ანტიოქსიდანტური და ანტიმიკ-
რობული მოქმედებით, ეს თვისებები, რომელიც სხვა სანელებლების-
თვისაცაა დამახასიათებელი, ხელს უწყობს შინაურ პირობებში პრო-
დუქტების ხანგრძლივ შენახვას.

დარიჩინის ხის ეთერზეთები უკუმაჩვენებელია ორსულებისა და
მეძუძური ქალებისათვის, კანზე და ლორწოვან გარსზე ალერგიული
რეაქციებიდან გამომდინარე.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთის სამხრეთით და
ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში.

კულტივირება: ნედლეულის მიღების წყაროს იავაზე, სუმატრასა და
შრი-ლანკაზე კულტივირებული მცენარეები წარმოადგენს.

Cinnamomum camphora (L.) I. Presl. - ქაფურის ხე
Fam. Lauraceae - ოჯ. დაფნისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე 30 მ-მდე სიმაღლის ხეა, ხშირი
ფართოდ გადაშლილი ვარჯით. ქერქი ბაცი ან მუქი ნაცრისფერია,
დახეთქილი. ფოთოლი 5-12 სმ სიგრძისაა, მორიგეობითი, ყუნწიანი,
ტყავისებრი, კვერცხისებრი ან ელიფსური, წაწვეტებული, კიდემთლი-
ანი. ყვავილები მოყვითალო-თეთრია, შეკრებილია 5-11 სმ-მდე სიგრ-
ძის ციმბოზურ-საგველა ყვავილედად, წაგრძელებული საყვავილე ყუნ-

ნებით, უბისეული ან წვეროსეულია. ნაყოფი მოშავო-ლევა, სფერული კენკრაა, წვნიანი რბილობითა და გლუვი თესლით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX. **მნიშვნელობა:** სამკურნალო და სხვა მიზნებისათვის ქაფურის გამოყენება როგორც ფიქრობენ ინდუსებმა დაიწყეს. ამის მანიშნებელია ქაფურის სახელწოდება, რომელიც წარმოსდგება ძველი სანსკრისტული სიტყვიდან “ქაპურა”, რაც თეთრს ნიშნავს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკული ოლქის მოსახლეობისათვის ქაფური სამკურნალოდ გამოყენების გარდა, ფასდებოდა როგორც კეთილსურნელოვანი საშუალება, რომელსაც იყენებდნენ რიტუალური ცერემონიების დროს.

სამკურნალო ნედლეულია ახალგაზრდა შეფოთლილი ყლორტები, რომლიდანაც ქაფური მიიღება. შეიცავს ეთერზეთებს, რომლის უმთავრესი კომპონენტი ქაფურია (75%), აგრეთვე - პინენი, კამფენი, ფენხენი, ფელანდრენი, ლიმონენი, დიპენტენი, კადინენი, ბიზაბოლენი, ციტრონელი, ევგენოლი, აცეტილალდეჰიდი, ორგანული მჟავები და სხვ. თესლში აღინიშნება მნიშვნელოვანი რაოდენობის მკვრივი ცხიმოვანი ზეთები, რომელიც შედგება ლაურინის, კაპრონის და ოლეინის მჟავებისაგან.

ქაფურის ზეთოვანი ხსნარი აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და მოგრძო ტვინს, ასტიმულირებს სუნთქვას, ინვევს დადებით მოქმედებას მიოკარდიის ცვლის პროცესებში, აქვეითებს ტემპერატურას, ზრდის ნერწყვისა და ოფლის გამოყოფას, ამცირებს ლაქტაციას. ადგილობრივ გამოყენებისას პრეპარატები ინვევს გაღიზიანებას და ნაწილობრივ ანტისეპტიკურ მოქმედებას.

დადებითად მოქმედებს გულის კუნთის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის, კოლაპსის, ინფექციური დაავადებების, ფილტვების კრუპოზული ანთების, მხუთავი ვაზით, ნარკოტიკული და ძილისმომგვრელი საშუალებებით მოწამლვისას. ქაფურის კრუნჩხვითი მოქმედება გამოიყენება ფსიქიატრიულ პრაქტიკაში, განსაკუთრებით შიზოფრენიის დროს.

მიღებულია პრეპარატი “ბრომკამფორა”, რომელსაც უნიშნავენ ნევრალსტენიის, გულის ნევროზებისა და მაღალი ნერვული აღგზნებადობის შემთხვევაში. ქაფურის შემცველ მაღამოებს ხმარობენ სხვადასხვა

სახის ანთებითი პროცესების, მიოზიტის, იშიაზის, რევმატიზმის სამკურნალოდ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ მედიცინაში იხმარებოდა ქაფურის ზეთი, კვერი, მალამო მთელი რიგი დაავადებების (დაბეჭილობა, თვალისა და თავის ტკივილები, ნერვული და გულის დაავადებები, სიღამწერისა და კანის სხვა დაზიანებები) დროს.

უკუმაჩვენებელია ეპილეპსიისა და კრუნჩხვებისაკენ მიდრეკილი ადამიანებისათვის.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება სამხრეთ ჩინეთში, კუნძულ ტაივანზე, ინდოჩინეთში, იაპონიასა და მალაის არქიპელაგზე.

კულტივირება: კულტივირებულია ტენიანი სუბტროპიკების ზონაში, მათ შორის საქართველოშიც.

Cinchona officinalis L. - ქინაჩინის ხე
Fam. Rubiaceae – ოჯ. ენდროსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე, უხვად შეფოთლილი ტანადი, 10-25 მ-მდე სიმაღლის, შუა ნაწილამდე დატოტვილი ხეა, მონაცრისფრო-მურა ქერქით. ფოთლები მოპირისპირეა, კვერცხისებრი, ფართო ელიფსური ან თითქმის მრგვალი, კაშკაშა მწვანე, პრიალა, ოდნავ ტყავისებრი, კიდემთლიანი, ყუნწიანი. ყვავილები ქოლგისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, რომლებიც თავის მხრივ მსხვილ ფართო პირამიდულ საგველასებრ ყვავილედს წარმოქმნის. გვირგვინი ვარდისფერია, შებუსული გრძელი მილითა და 5 ნაკვთიანი გადანალუნით. ნაყოფი – მშრალი, მოგრძო, მურა-ყავისფერი 2-ბუდინი კოლოფია, 3

სმ-მდე სიგრძის, წაწვეტებული, ბრტყელი, დანაოჭებული, ბაცი ყავისფერი თესლით, გარშემორტყმულია ფართო, თხელი აპკისებრი ფრთით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია ხის ქერქი. შეიცავს 30-მდე დასახელების ალკალოიდს. ყველაზე მნიშვნელოვანია მათ შორის ქინინი (რომლის შემცველობა ქერქში 7,5%-მდეა), ქინინინი, ცინხონინი და ცინხონინინი; ცნობილია ჰიდროქინინი, ჰიდროქინინინი, კუპრეინი, ეპიხინინი, ეხინინინი და სხვ. ალკალოიდები.

ქინინი ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვაგვარი მოქმედებით ხასიათდება: იწვევს თერმომარეგულირებელი ცენტრების დათრგუნვას და სხეულის ტემპერატურის დაწევას ციებ-ცხელებით დაავადებისას, აქვეითებს გულის კუნთის აღგზნებადობას, ახანგრძლივებს რეფრაქტორულ პერიოდს და რამდენადმე ამცირებს მისი კუმულაციის უნარს; ალაგზნებს სამვილოსნოს მუსკულატურას და აძლიერებს შეკუმშვის უნარს, ამცირებს ელენთას.

ქინინის უმთავრესი თავისებურებაა მისი მაღარი საწინააღმდეგო მოქმედება, წარმოადგენს პლაზმურ შხამს, რომელიც ორგანიზმიდან სწრაფად განიღვინება.

უკუმარეგნებელია ფეხმძიმობა, გულის უკმარისობა, გამოკვეთილი ჰიპოტენზია, მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტი, არითმია.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში (პერუ, ბოლივია, ეკვადორი, ვენესუელა, კოლუმბია, ანდების აღმოსავლეთ ფერდობები).

კულტივირება: სადღეისოდ მისი პლანტაციები გაშენებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთში, შრი-ლანკასა და აფრიკაში.

Chelidonium majus L. - ქრისტესისხლა
Fam. Papaveraceae - ოჯ. ყაყაჩოსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 25-70 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ყვითელი რძე-წვენით. ფოთლები თხელია, ქვემოდან უფრო მკრთალი, 5-7 სეგმენტად ფრთისებრ დაკვეთილი. ყვავილები ყვითელია, კენწრულ ქოლგის მსგავს მტევნებად შეკრებილი. ნაყოფი მოგრძო-ცილინდრული ერთბუდიაანი ჭოტია, მომწიფებისას ორი საკდულით იხსნება. თესლი თანათესლითაა, ბადისებრ დაქსელილი, წვრილი, პრიალა.

ფენოლოგია: ყვ. V-VIII; ნაყ. VI-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს მიწისზედა ყლორტები წარმოადგენს, შეგროვილი ყვავილობის საწყის პერიოდში. შეიცავს ორგანულ მუჟავებს (ლიმონის, ქარვის, ვაშლის), ეთერზეთებს, საპონინებს, ალკალოიდებს (კოპტიზინები, პროტოპინი, ქელიდონინი, სანგვინარინი და სხვ.), ქოლინს, ჰისტამინს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფენოლკარბოლმუჟავებს, ასკორბინის მუჟავს, კაროტინს.

ხასიათდება სპაზმის მომხსნელი, ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიციდული თვისებებით. ფარმაკოლოგიური მოქმედებით გამოირჩევა მცენარეში შემავალი ალკალოიდები, კერძოდ ალკალოიდი ქელიდონინი ავლენს ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ და დამამშვიდებელ ეფექტს, ახდენს სპაზმოლიტურ მოქმედებას გლუვი კუნთების შემცველ ორგანოებზე. შესაბამისად, აქვს ჰიპოტენზიური (წნევის დამაქვეითებელი) და ბრადიკარდიული (ჰულის გამაიშვიათებელი) ეფექტი. მეორე ალკალოიდი - ჰომოქელიდონინი აღმგზნები, კრუნჩხვის გამომწვევი და ტკივილგამაყუჩებელი (ანესთეზიურ) მოქმედებით გამოირ-

ჩევა. ალკალოიდი პროტოპინი ამცირებს ვეგეტატიური ნერვული სისტემის რეაქტიულობას და აძლიერებს გლუვი კუნთების ტონუსს. ქრისტესისხლას პრეპარატები გამოიყენება ანთებისა და ქავილის საწინააღმდეგოდ, ჭრილობების შესახორცებლად და მოსაწვავად, ანტიმიკრობული დანიშნულებით; ახალგამონერული წვენითა და დაქუცმაცებული ბალახით შეიძლება ხალების, კონდილომების, კოჟრებისა და ჭორფლის მოცილება. ბალახის წვენით მკურნალობენ ცხვირ-ხახის პათოლოგიებს, ადენოიდებს, პოლიპებს, კოჟრებს, ხორცმეტებს, ნახეთქებს, სხვადასხვა წარმოშობის მუნუკებს, ფურუნკულებს, ეგზემას, ღრძილებს, ჰერპესულ ინფექციას (განსაკუთრებით - ტუჩებზე), წარმატებით იყენებენ ჰიპერტონიის, ასთმის, ლეიკოზის, ათეროსკლეროზის, ფიბროზის, გრიპის, მსხვილი ნაწლავის პოლიპოზის, ბუასილის, გასტრიტის, ჩიყვის, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, საჭმლის მომწელებელი ტრაქტის წყლულის, სტენოკარდიის, ჰიპერტონიის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის პათოლოგიების შემთხვევებში, აგრეთვე თირკმელებისა და გულის დაავადებათა სამკურნალოდ. ამ მცენარისაგან დამზადებული პრეპარატები აბრკოლებენ ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდას, გააჩნიათ ბაქტერიოსტატიკური მოქმედება კოხის ჩხირების მიმართ. ხალხურ მედიცინაში ტრადიციულად გამოიყენებოდა სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნეების სამკურნალოდ. მეცნიერულმა მედიცინამ დაამტკიცა მისი კიბოს საწინააღმდეგო და იმუნომოდულირებული მოქმედება.

გავრცელება: გავრცელებულია ზომიერი კლიმატის რაიონებში, ევროპიდან იაპონიამდე.

საქართველოში: აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, გარე კახეთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყეებში, რუდერალურ ადგილებსა და ნათესებში, როგორც სარეველა.

კულტივირება: მრავლდება თესლით.

Cola vera K. Schum.[=*Cola nitida* (Vent.) A.Chev.] - ხეკოლა, კოლა
Fam. Malvaceae (Sterculiaceae) - ოჯ. ბალბასებრნი (სტერკულიასებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: ტროპიკული, მარადმწვანე 10-20მ სიმაღლის ფრიად დეკორატიული ხეა. წვრილი ზარისებრი ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედებად. ნაყოფი ტყავისებრი ან გამერქნებული ნაკრები ფოთლოურაა, შედგება 4-5 ნაყოფისფოთლისაგან.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს თესლები წარმოადგენს, შეიცავს 1,2-2,4% კოფეინს, 3-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე ყავის მარცვლები, თეობრომინს (1.0 -2,5%) თეოფილინს, ფენოლოურ შენაერთებს (წითელ პიგმენტს ფლაბაფენს, ეპიკატრინინს, კატეხინს), მთრიმლაჯ ნივთიერებებს, გლიკოზიდებს, მცენარეულ ზეთებს, ანთოციანებს, ცელულოზას, პროტეინს და სხვ. ნედლ თესლებში კოფეინი იმყოფება შეკრულ მდგომარეობაში გლიკოზიდ კოლანინის სახით, რომელიც იხლიჩება გლიკოზიდად, კოფეინად და მთრიმლაჯ ნივთიერებად.

კოლას კაკალი უნიკალური ენერგეტიკული სტიმულატორია, რაც გამოწვეულია მასში კოფეინის მაღალი შემცველობით. ის არა მარტო ამხნეებს და ხსნის დაღლილობას, არამედ აყუჩებს შიმშილის გრძნობასაც. ჯერ კიდევ XVI ს-ში აფრიკაში მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ აფრიკელი აბორიგენები ამ კაკალს გამუდმებით ღეჭავენ, რათა არ ეგრძნოთ დაღლილობა მძიმე შრომის შესრულებისას. მოგვიანებით დამტკიცდა, რომ მისი გამოყენებისას უმჯობესდება ტვინის მოქმედება და მასსოვრობის პროცესი, მაღლდება ყურადღების კონცენტრაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური შრომით დაკავებულთათვის, აგრეთვე მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. რამდენიმე კაკლის მიღება ხელს უწყობს ავადმყოფური მძინარობისა

და დაღლილობის მოხსნას, აზრების ნათლად გამოხატვას. გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემისა და გულის მოქმედების მატონიზირებელ საშუალებად. იხმარება ექსტრაქტის, ნაყენისა და კოლას კაკლების შოკოლადის სახით.

ცხელი ქვეყნების ხალხური მედიცინა კოლას კაკლებს უძველესი დროიდან იყენებს როგორც აფროდიზიაკს და ანტიდეპრესანტს, აგრეთვე კუჭის ამლილობის, გულის რევმის, შაკიკისა და სიმთვრალის დროს. თუმცა სტანდარტული დასავლური მედიცინა ჯერ კიდევ ეჭვითაა განწყობილი კოლას ზოგიერთი სასარგებლო თვისებების მიმართ. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია ამ პროდუქტის დადებითი მოქმედება წნევის დაწევაზე, რევმატიზმის, ჰეპატიტის, გულის მდგრადი უკმარისობის (რაც ხნიერი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი), ვენერიული დაავადებების, გამომყოფი სისტემის ინფექციებისას.

კოლას კაკლის გამოყენება არ არის მართებული უძილობისა და მოუსვენრობის დროს; უკუმაჩვენებელია გულით დაავადებების, ანტიდეპრესანტების მიმღებ პაციენტებისა და ფეხმძიმე ქალებისათვის

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება დას. აფრიკის ნოტიო ტროპიკულ ტყეებში.

კულტივირება: კულტივირებულია მსგავსი კლიმატის მრავალ ქვეყანაში.

<https://alnatural.ru/stati/vsyo-o-superfudax/1960-orex-kola>

Conium maculatum L.- კონიო

Fam. Apiaceae (Umbelliferae) - ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 2 მ-მდე სიმაღლის; ღერო დაღარულია, დატოტვილი, ხასიათდება ლევა ნაფიფქით და მოწითალო-მურა შეფერილობის ლაქებით. განვითარების პირველ წელს ინვითარებს ფოთლისეულ როზეტს, მეორე წელს საყვავილე ღეროს. ფოთლები მორიგეობითაა, ქვედა - გრძელყუნწიანი, სამმაგფრთისებრ განკვეთილი კვერცხისებრ-ლანცეტა წაწვეტებული, ფართო სამკუთხა სეგმენტებად; შუა და ზედა ფოთლები უფრო წვრილია და ნაკლებ რთული, თითქმის მჭდომარე, ვიწრო ვაგინით. ყვავილები თეთრია, წვრილი, ხუთწევრიანი, ფარისებრ-საგველა ყვავილედები შეკრებილია მრავალრიცხოვან ქოლგებად. ნაყოფი თითქმის მომრგვალო ან კვერცხისებრი ბაცი მურა ორთესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: მცენარე ძლიერ შხამიანია, ისტორიაში შევიდა არა მხოლოდ სამკურნალო, სასიკვდილო შხამის სახელითაც, რომელსაც იყენებდნენ ძველ საბერძნეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში ადამიანების საჭაროდ დასასჯელად. ამ შხამით იქნა მოკლული ანტიკური სასამართლოს მიერ სიკვდილით მისჯილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე.

სამკურნალო ნედლეულს ბალახის ზედა ნაწილი (ყვავილები, ფოთლები, ღერო, ნაყოფები) წარმოადგენს. ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, სპაზმოლიტური, ჭრილობების შემახორცებელი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ჰიპოტენზიური, ანტისიმიფუნური, იმუნო-მასტიმულირებელი მოქმედებით.

შინაგანად მიიღება ეპილეპსიის, ტუბერკულოზის, შაკიკის, ჰიპერტონიის, კუჭის წყლულის, ყაბზობის, ათამანგის, სმენის დაკარგვის, სისუსტისა და სხვა დაავადებებისას.

კონიოს სპირტიან ნაყენს იყენებენ აგრეთვე მასტოპათიის, საშვილოსნოს მიომის, საშვილოსნოში და საშვილოსნოს ყელზე პოლიპების, წინამდებარე ჯირკვლის ადენომის, ქორეის, ეპილეპსიის, ენდომეტრიოზის, კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ და სხვ.

ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოიყენება კიბოს პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, ამასთან ყველა ლოკალიზაციის (მკერდის, კუჭის, ღვიძლის, ფილტვების, პროსტატის, თირკმელების, ლეიკოზისა და კანის კიბოს) სამკურნალოდ.

უკუჩვენება: კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, მცენარის მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო, დოზის სულ მცირე გადაჭარბება ლეტალურ დასასრულს იწვევს. https://ru.wikipedia.org/wiki/Болиголов_пятнистый

გავრცელება: ბუნებრივი არეალი მოიცავს ჩრდ. აფრიკას, ევროპის მთელ ტერიტორიას, აზიის ზომიერი კლიმატის რაიონებს, თურქეთიდან დანყებული ჩინეთამდე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია გავრცელებული.

ჰაბიტატები: რუდერალური სახეობაა, ხშირად სარეველა. იზრდება ტყის პირებზე და ტყის ფანჯრებში.

კულტივირება: მრავლდება თესლით.

***Crataegus sanguinea* Pallas - წითელი კუნელი**
Fam Rosaceae - ოჯ. ვარდისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ეკლიანი ბუჩქი ან ხეა 1-4 მ-მდე სიმაღლის. ნორჩი ყლორტები პრიალაა, მენამულ-ყავისფერი, სწორი სქელი, მოშავო-მენამული ეკლებით; ნაყოფი სფერულია, ვაშლისებრი, მენამულ-წითელი რბილობით.

ფენოლოგია: ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ყვავილები და ნაყოფები, რომლებსაც აგროვებენ სრული სიმწიფის პერიოდში. ყვავილები შეიცავს ეთერზეთებს, ტრიმეთილამინს, კვერცეტინს, ვიტექსინს, ჰიპეროზიდს. ნაყოფები მდიდარია შაქრებით - საქაროზისა

და ფრუქტოზის სახით, შეიცავს სახამებელს, ორგანულ მჟავებს - ლიმონის, პალმიტინის, ღვინის, კრატეგუსის და სხვ., ფლობაფენს, ფიტოსტერინს, ვიტამინ C, პექტინოვან ნივთიერებებს. ფოთლებში აღინიშნება - ასკორბინის მჟავა, კაროტინი, მწარე ნივთიერება კრატეგინი, კვერცეცხი, ლიმონის მჟავა, მთრიმლავი ნივთიერებები.

კუნელი გულის მატონიზირებელ საშუალებებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია. მდიდარია რა ბიოფლავონოიდებით (ასკორბინის მჟავასთან-ვიტამინი C-თან მჭიდრო კავშირისა და სინერგიზმის გამო, მას უწოდებენ C² ვიტამინსაც). სასურველად მოქმედებს გულზე, ზრდის სისხლის ნაკადს და უანგბადს ორგანოების მიმართ.

მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება ყვავილის ნაყენი, ნაყოფების თხევადი ექსტრაქტი, რომელიც შედის კომპლექსური პრეპარატის - კარდიოვალენის შემადგენლობაში. კუნელის პრეპარატები ხასიათდება კარდიოტონური თვისებებით და გამოიყენება გულის მოქმედების ფუნქციონალური დარღვევების, გულის სისუსტის, ანგიონევროზის, უძილობის, ჰიპერტირეოზის, ტახიკარდიით და ჰიპერტონიული დაავადებების საწყისი ფორმების სამკურნალოდ. კუნელი ამცირებს ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებადობას, აძლიერებს კორონარულ და ტვინის სისხლძარღვებს, აღმოფხვრის არითმიას, ტახიკარდიას, ადაბლებს სისხლის წნევას და აუმჯობესებს ავადმყოფების საერთო მდგომარეობას.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნერვული დაავადებების, გულის ნევროზის, ჰიპერტონიის, უძილობის, ქოშინის, ხველების, ასთმის, ციებ-ცხელების, გულის რევმატიული დაზიანებისას.

საათფთაქო ქსელში მოიპოვება თხევადი ექსტრაქტი (20-30 წვეთი დღეში 4-ჯერ ჭამამდე) და ნაყენი (20 წვეთი 3-ჯერ დღეში).

ნაყოფები საკვებად გამოიყენება, თუმცა ერთ ჭიქაზე მეტის მიღება იწვევს გულის ცემის გაძლიერებას, გულის სიმძიმეს, თავბრუსხვევებს, თავის ტკივილსა და სხვა უსიამოვნო შეგრძნებებს

https://ru.wikipedia.org/wiki/Боярышник_кровоаво-красный

გავრცელება: ევროპულ-ციმბირული ტიპის არეალის მცენარეა.

საქართველოში არ გვხვდება.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის, ტყესტეპის და სტეპურ ზონებში, ტყის პირებსა და მდელოებზე, განსაკუთრებით უხვადაა ტყესტეპის ზონაში, მდინარეების ხეობებში.

კულტივირება: უძველესი დროიდანაა კულტივირებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ფართოდ ამრავლებენ შუა რუსეთში.

Curcuma longa L. - გრძელი კოჭა
Fam. Zingiberaceae - ოჯ. ჯანჯაფილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 90 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა სქელი, ხორცოვანი, დატოტვილი, არომატული, ყვითელი შეფერილობის ფესურით, დამატებითი ფესვები ხშირად ტუბერისებრ გამსხვილებულია. ფოთლები მსხვილია, ლანცეტა ან მოგრძო. ყვავილები ორსქესიანია, თეთრი, შეკრებილია წვეროსებულ ყვავილედად. ერთადერთი მტკრიანა მღებარეობს ყვავილსათვის ყველაზე დიდ ფოთოლაკთან. ნაყოფი კოლოფია.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII- VIII.

მნიშვნელობა: ტუბეროვანი ფესურა 4 სმ-მდე დიამეტრისაა, ინვიტარებს მრავალრიცხოვან, ყვითელი შეფერილობის გვერდით ყლორტებს - ძირითად სამკურნალო ნედლეულს. შეიცავს ვიტამინებს (C, K, B, B₂, B₃), მინერალურ მარილებს, ანტიოქსიდანტებს, ეთერზეთებს, კურკუმინს და სხვ.

ინდოეთში როგორც სანელებელი 2500 წელზე მეტია რაც ცნობილია და დღესაც სანელებლებს შორის პირველი ადგილი უკავია.

ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, დეტოქსიკაციური, ანტისეპტიკური, ნაღველმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, ანალგეტიკური მოქმედებით. ბრწყინვალე ბუნებრივი ანტიბიოტიკია. მისი გამოყენებისას იზრდება ნაწლავების ფლორის აქტიურობა და უმჯობესდება საკვების მონელება. საჭმელში დამატებული ყვითელი კოჭას სანელებელი ხელს უწყობს ნაღვლისა და კუჭის წვენის გამოყოფას, მადის აღძვრას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, სისხლში ქოლესტერინის დონეს.

სასარგებლოა შემდეგი დაავადებებისას: შაკიკი, წყლულოვანი კოლიტი, ნაღველ-ვენჭოვანი დაავადებები, ართრიტი, შაქრიანი დიაბეტი, გაციება, გრიპი, ხველება, ფარინგიტი, ათეროსკლეროზი, ქრონიკული ფაღარათი, მეტეორიზმი, ღრძილებიდან სისხლდენა.

ნედლი ფესვების წვენს იყენებენ სისხლის დენის შესაჩერებლად, ჭრილობების შესახორცებლად, დაჟეჟილობის, წურბელების, მორიელის, გველის ნაუბენების, გამონაყრების შემთხვევაში. ყვითელი კოჭას პასტა იხმარება ყვავილისა და ჩუტყვავილას დროს, რათა დააჩქაროს კანის გამოშრობისა და ქერქის წარმოქმნის პროცესი, აგრეთვე ეგზემის, სირსველის, ლიქენის, წყლულების, პარაზიტებით გამოწვეული კანის სხვა დაავადებებისას. თანახმად ძველი ინდური ხელნაწერებისა ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად 40 გ ფხვნილის შარდთან ნაზავში მიღება შველის კეთრსაც. ხელს უწყობს თმის ძირების გამაგრებას, თმას უბრუნებს ბრწყინვალეობას.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, შინაგანი სისხლდენების, თირკმელებისა და კუჭის დაავადებების სამკურნალოდ, მადის აღმძვრელ და საკვების მონელების გამაუმჯობესებელ საშუალებად.

გავრცელება: სამშობლო ინდოჩინეთია.

კულტივირება: კულტივირებულია ინდოეთში, კამბოჯაში, ცეილონზე, ინდონეზიაში (იავა), სამხრეთ ჩინეთში, ფილიპინებზე, მადაგასკარსა და კუნძულ რეიუნონზე, კარიბის აუზის ქვეყნებში (გაიტი), სამხრეთ კავკასიაში (ბიძინაშვილი, 2013).

Datura stramonium L. - ლემა
Fam. Solanaceae - ოჯ. ძაღლყურძენისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი 30-150 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მთავარღერძა დატოტვილი ფესვით. ღერო სწორმდგომია, შიშველი. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, კვერცხისებრი, მსხვილკბილისებრ ამოკვეთილი, წაწვეტებული, ზედა მხარეს მუქი მწვანე შეფერილობის, ქვედა მხარეს - ბაცი. ყვავილები დიდი ზომისაა, ძაბრისებრი, 5-ნაკვთიანი თეთრი გვირგვინით, მძლავრი უსიამოვნო სურნელის. ნაყოფი კოლოფია, მსხვილი ეკლებით მოფენილი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX;

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები და თესლი. შეიცავს: ვიტამინ C, მინერალურ ნივთიერებებს - კალციუმს, კალიუმს, რკინას, მაგნიუმს, ნატრიუმს, სპილენძს, თუთიას, ფტორს, ლიმონელის, ოლეინის, პალმიტინის, სტეარინის და სხვა ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, კაროტინს, ალკალოიდებს (ატროპინს, ჰიოსცამინს, სკოპოლამინს, დაურიინს და ა.შ.), ცილებს და სხვ. ხასიათდება სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი მოქმედებით.

გამოიყენება ნაწლავების სეკრეციის შესამცირებლად, ანელებს საკვებმონელების პროცესებს, კურნავს ლიმფური კვანძების ანთებას, ასთმას, კრუნჩხვით ხველებას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და ნაღვლის სადინარების დაავადებებს, შველის კუჭის ჭვლებს, საშვილოსნოსა და მსხვილი ნაწლავის დანევას, აფართოებს ბრონქების მუსკულატურას.

ბალახის ნახარშს იყენებენ ეპილეპსიის, სპაზმების, სლოკინის, ქოშინის, ყელისა და პირის ღრუს ანთების, კბილის ტკივილების დროს. ნაყენით მკურნალობენ ნერვული სისტემის დარღვევებს, სტრესებს, უძილობას, ფსიქიურ დაავადებებს, ნევრასტენიას. ადვილად კურნავს კრუნჩხვებს და მეტყველების დარღვევებს. რეკომენდირებულია მისი აბაზანები და კომპრესები ეგზემის, რევმატიზმის, დაუყუილობებისას.

გამოიყენება საკვერცხეების და სასქესო ორგანოების ანთების, მასტოპათიისა და მასტიტის სამკურნალოდ. ასევე კურნავს ყივანახველას და კუჭის კიბოს.

უკუჩვენება: შხამიანი მცენარეა, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ძლიერი მონამლევა.

გავრცელება: დასავლეთპალეარქტიკული სახეობაა, გზადმოყოლილი.

საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება რუდერალურ ადგილებზე, საძოვრებზე, ფერმების სიახლოვეს, მიტოვებულ ნაკვეთებზე, ტბისპირა და ზღვისპირა ფერდობებზე, მთის ქვედა სარტყელში.

კულტივირება: ლემას კულტურისათვის შერჩეული უნდა იქნეს შავმიწა, სარეველებისაგან გასუფთავებული და სტრუქტურული ნიადაგები. თესლბრუნვაში წინამორბედი კულტურებიდან საურველია იყვეს თამბაქო, კარტოფილი ან პომიდორი. ადრე გაზაფხულზე მზრალად ხნავენ 25-27 სმ სიღრმეზე, შემდეგ ხდება დათარცხვა და თესვისწინა კულტივაცია. მზრალად ხვნის დროს ნიადაგში შეაქვთ 20-30 ტ ჰა-ზე ორგანული სასუქი ან კომპოსტი მინერალური სასუქებთან ერთად, კერძოდ: 60 კგ/ჰა ამოტოვან-ფოსფოროვან-კალიუმისანი სასუქი. მთელი ზაფხულის განმავლობაში ატარებენ 2 დამატებით კვებას: I - როცა მცენარეს განვითარებული აქვს 5-7 ფოთოლი, 30 კგ/ჰა-ზე ამოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმისანი სასუქები; II - კოკრიანობის პერიოდში მხოლოდ ამოტოვანი სასუქები 30კგ/ჰა-ზე. მრავლდება თესლით. ითესება ადრე გაზაფხულზე. რიგთაშორის მანძილი 60 სმ, ნორმა 10 კგ ჰა-ზე. თესვის სიღრმე 3-5 სმ. აღმონაცენის გამოჩენისთანავე ხდება სარეველებისაგან განწმენდა. ხოლო პირველივე ნამდვილი ფოთლის

გამოჩენისთანავე - ამოხშირვა. მთელი ზაფხულის განმავლობაში რიგ-თაშორისები ინმინდება და ფხვიერდება საჭიროების მიხედვით.

ზაფხულის განმავლობაში ფოთლებს აგროვებენ 3-4-ჯერადად მზიან ამინდში. შრობა მიმდინარეობს ჩრდილში, სხვენზე ან კარგად განიავებულ საცავებში. ფოთლები თხლად უნდა გაიფინოს ან მოთავსდეს სპეციალურ საშრობებში 40°C ტემპერატურაზე /КОТУКОВ, 1975/

Digitalis L. - ფუტკარა, სათითურა

Fam. Plantaginaceae (Scrophulariaceae) - ოჯ. მრავალბარლევასებრი (შავ-წამალასებრი)

გვარი **Digitalis L.** მსოფლიოში 36-მდე სახეობითაა წარმოდგენილი, თუმცა მედიცინაში სამკურნალოდ რამდენიმე სახეობა გამოიყენება: *Digitalis grandiflora* Mill. - მსხვილყვავილა ფუტკარა, *D. ciliata* Trautv. - წამწამოვანი ფუტკარა, *D. ferruginea* L. - ჟანგისფერი ფუტკარა, *D. purpurea* L. - წითელი ფუტკარა, *D. lanata* - ხაოიანი ფუტკარა.

საქართველოში ამ გვარის 4 სახეობა იზრდება: *Digitalis ciliata*, *D. nervosa*, *D. ferruginea*, *D. schischkinii*, მათ შორის 2 სახეობა კავკასიის ენდემია. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ტყეებში და ბუჩქნარებში.

ბოტანიკური დახასიათება: ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, 150 სმ-მდე სიმაღლის ხეშეში ღეროებით. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანებია, ღეროსეული - მოგრძო კვერცხისებრი, მოკლე ყუნწებით და ხერხებილა კიდეებით. ყვავილები უსწორო ფორმისაა, შეკრებილია წვეროსეულ, ხშირ ცალგვერდა ან მრავალმხრივიან მტევნისებრ ყვავილელებად. გვირგვინი მოგრძო ზარისებრია, ყვითელი, წითელი ან მოჟანგისფრო-მოყვითალო. ნაყოფი კოლოფია, თესლი წვრილია, ყავისფერი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს. შეიცავს გლიკოზიდებს, რომელთაგან ფართო გამოყენება აქვთ: დიგიტოქსინს, გიტოქსინს, დიგოქსინს. გამოყოფილია ახალი გლიკოზიდებიც - დიგინინი და დიგიკორინი.

ფუტკარას სახეობები უმთავრეს საგულე საშუალებებს მიეკუთვნებიან. ფართოდ გამოიყენება გულის კომპენსაციის დარღვევების, გულის მანკის, გულის ქრონიკული უკმარისობის, არითმიის, შეშუპებისა და ჰიპერტონიული დაავადებების დროს. ფუტკარას პრეპარატები კურნავს აგრეთვე სისხლის მიმოქცევის მძიმე დარღვევებს, ჰიპერტონიას და გულისმიერ შეშუპებებს. მაქსიმალური მოქმედება შეინიშნება 8-12 საათის განმავლობაში. ფუტკარას სამკურნალო პრეპარატების ხანგრძლივი დროით მიღება დაუშვებელია, ის ადვილად შეინოვება და დაუზოგავად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე. ამასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყვეს, რომ დიგიტოქსინი ხასიათდება კუმულატორული მოქმედებით და მისმა ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მონამლევა.

***Digitalis ciliata* Trautv. – წამწამოვანი ფუტკარა (წამწამოვანი სათითურა)**
Fam. Plantaginaceae (Scrophulariaceae) - ოჯ. მრავალძარღვასებრნი (შავ-წამალასებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 30-50 სმ-მდე სიგრძის ოდნავ ღარებიანი, დაკლაკნილი ბუნვით მოფენილი, ერთი ან რამდენიმე, ხშირშეფოთლილი ღეროთი; ფოთლები ვიწრო ლანცეტაა, მახვილწვერიანი, კიდეებზე ხერხებილა, მჭდომარე. ყვავილები შეკრებილია მცირეყვავილიან, ცალმხრივ, კენწრულ მტევნად; გვირგვინი მოყვითალო-მოთეთროა, იშვიათად მღვრიე ყვითელი, ირიბ ზარისებრი 2-ტუჩა, რომელთაგან ზედა ტუჩი ორნაკვთიანია, წვე-

და-სამნაკეთიანი. ნაყოფი კოლოფია, კვერცხისებრი, წვეტიანი, შიშველი; თესლი ოთხნახნაგოვან-პრიზმული ფორმისაა, მკრთალი ყვითელი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: თაფლოვანი მცენარეა, შეიცავს გლიკოზიდებს, გამოიყენება მედიცინაში გულის დაავადებების სამკურნალოდ.

გავრცელება: კავკასიის ენდემური სახეობაა. აღწერილია საქართველოდან. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოსა და იმერეთში.

ჰაბიტატები: მებოფიტია, სინათლის მოყვარული, იზრდება მთის ზედა სარტყლიდან ალპურამდე. ქვიან ადგილებში, ჩამონაზვავებზე, ფიქლებიან გაშიშვლებებზე, ტყეებსა და ტყის პირებზე /უმეტესად ფიჭვნარებში/.

***Digitalis ferruginea* L. - უანგისფერი სათითურა**

Fam. Plantaginaceae (Scrophulariaceae) - ოჯ. მრავალძარღვასებრი (შავნამალასებრი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-150 სმ სიმაღლის, სწორმდგომი, დალარული ღეროთი; ფოთლები მთლიანია, კიდედაკუბილული, ზედა მხარეზე შიშველი, ქვედაზე- ძარღვების გასწვრივ - მოკლებენწიანი, ქვედა ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, მოკლე ყუნწიანი, ზედა - მოგრძო ლანცეტა, მჯდომარე. ყვავილები მოკლეყუნწიანია, შეკრებილია ღეროს წვერზე გრძელ, ხშირყვავილებიან ცილინდრულ ორგვერდა კენწრულ მტევნებად. გვირგვინი მღვრიე ყვითელია, გამობერილი, თითქმის სფეროსებრი, ჯირკვლოვანბენწიანი, ჯამზე ორ-ჯერ გრძელი, ორტუჩა. ნაყოფი ორბუდიანი

კოლოფია, მსხლისებრი ფორმის, წვეტიანი. თესლი მრავალია, ოვალური ფორმის, მოშავო ფერის.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებაა, გამოიყენება გულის დეკომპენსაციის დროს; ხასიათდება კუმულატორული მოქმედებით, რაც განპირობებულია საგულე გლიკომიდების დაშლით. უკონტროლო გამოყენების შემთხვევაში იწვევს მონამღვას. მიღებულია პრეპარატები “დიგალენ-ნეო”, “ხატიტურანი”, “სუკუდი-ფერი”.

გავრცელება: აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთურ-ნინა აზიურ-კავკასიური სახეობაა; **საქართველოში** გავრცელებულია: ქართლში, მთიულეთში, კახეთში, გარე კახეთში, ჭავჭავეთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: ტყის მეზოფილური სახეობაა, იზრდება ტყეებში, მუხნარებში, მუხნარ-რცხილნარებში, რცხილნარებსა და ნაძვნარებში, ტყის პირებსა და ველობებზე, ბუჩქნარებს შორის, მთის ქვედა და სუბალპურ სარტყლამდე.

***Digitalis lanata* Ehrh. – ხაოიანი ფუტკარა (ხაოიანი სათითურა)**

Fam. Plantaginaceae (Scrophulariaceae) - ოჯ. მრავალძარღვასებრნი (შავ-წამალასებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50-80 სმ სიმაღლის; ღერო მარტოულია, სწორმდგომი, ქვედა ნაწილში გლუვი, შეუბუსავი, ზედა ნაწილში - უხვად შებუსული, აქედან - მისი სახელწოდება. ფოთლები წაგრძელებულია, ლანცეტა, შეუბუსავი, კიდეშრიანი, ფირფიტის ქვედა მხარე ბაცი მწვანეა, ზედა - მწვანე.

ყვავილები მუდომარეა, შეკრებილია 8-18 სმ სიგრძის ხშირ მტევნად, გვირგვინი მოთეთრო-მოყვითალოა; ნაყოფი კოლოფია, მომწიფე-ბისას ძნელად იხსნება. 1000 თესლის წონა 0,3-0,5 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. VII-VIII; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: მთელი მცენარე შხამიანია! სამკურნალო ნედლეულია ფოთლები. შეიცავს გულის გლიკოზიდებს: ლანატოზიდებს, დიგიტოქსინს, გიტოქსინს, დიგოქსინს. მოყვანილი ინდივიდუალური გლიკოზიდებიდან მედიცინაში ფართოდ გამოიყენება დიგილანიდი C, დიგოქსინი და აბიჯინი. დიგილანიდი იწვევს გულის რიტმის მნიშვნელოვან შენელებას, ამცირებს სისტოლას და აგრძელებს დიასტოლეს. მცენარისაგან მიღებული პრეპარატები გამოიყენება გულის უკმარისობის დროს, II-III ხარისხის სისხლის მიმოქცევის დარღვევისას.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება ბალკანეთის ნახევარკუთხეულზე.

ჰაბიტატები: იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, თიხნარ და კირქვიან ფერდობებზე. მენამულ ფუტკარასთან შედარებით უფრო სინათლის-მოყვარული, ყინვაგამძლე და გვალვაგამძლეა

კულტივირებულია უნგრეთში, შვედეთში, უკრაინასა და ჩრდ. კავკასიაში. მენამული ფუტკარას მსგავსია. ფოთლებს აგროვებენ, როდესაც სტანდარტულ ზომებს მიაღწევს, ანუ 10-12 სმ სიგრძეს. ფოთლების მოსავლიანობა მენამულ ფუტკარასთან შედარებით 30%-ით ნაკლებია.

***Digitalis purpurea* L. – მენამული ან წითელი ფუტკარა (სათითურა)**

Fam. Plantaginaceae (Scrophulariaceae) - ოჯ. მრავალძარღვასებრნი (შავ-წამალასებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: ორწლოვანი, იშვიათად მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სწორმდგომი 30-130 სმ სიმაღლის ღეროთი; ქვედა ფესვთანურ ფოთლებს აქვთ გრძელი ფრთისები ყუნწები, ღეროსეული ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, მოკლე ყუნწებითა და ხერხებილა კიდეებით. ყვავილი მსხვილია, ჩაქინდრული, წარმოქმნის ცალგვერდა მტევას 40-90 სმ სიგრძის, გვირგვინი მენამულია, ორტუჩა, უსწორო, მილისებრი, შეზრდილფოთოლაკებიანი, სათითურის მსგავსი (აქედან გვარის სახელწოდება); გარედან - მენამული, შიგნიდან - თეთრი მრავალრიცხოვანი მენამული ლაქებით ხახაში. ნაყოფი ორკიდიანი კვერცხისებრი კოლოფია. თესლი ძლიერ წვრილია, ყავისფერი, ნაოჭიანი. 1000 თესლის წონა - 0,07-0,08 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII. ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია! სამკურნალო ნედლეული ფოთლებია. შეიცავს გლიკოზიდებს, რომელთაგანაც ფართო გამოყენება აქვთ: დიგიტოქსინს, გიტოქსინს, დიგოქსინს. გამოყოფილია ახალი გლიკოზიდებიც - დიგინინი და დიგიკორინი. ფართოდ გამოიყენება გულის კომპენსაციის დარღვევების, გულის მანკის, არითმიის და ჰიპერტონიული დაავადებებისას. ამასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყვეს, რომ დიგიტოქსინი ხასიათდება კუმულატორული მოქმედებით და მისმა ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მონამლევა.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება უმთავრესად დასავლეთ ევროპის რაიონებში, სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთით და კარპატებში იზოლირებულად.

კულტივირება: ფუტკარას (სათითურას) სახეობები კარგად ვითარდებიან მსუბუქ, სტრუქტურულ ნიადაგებზე, რომლებიც ნემომპალითაა გაჯერებული. აგრეთვე თიხნარ და ქვიშნარებზე, მსუბუქ, ჩვეულებრივ და დეგრადირებულ შავმიწებზე, გამშრალ ჭაობიან ტორფნარებზე. ნიადაგს ამუშავებენ შემდეგნაირად: შემოდგომით იხვნება 22-25 სმ სიღრმეზე. გაზაფხულზე ტარდება დაფარცხვა. დარგვიდან 10 დღით ადრე მიწის დამუშავება წყდება. დამუშავებისას საჭიროა ნიადაგში შეტანილ იქნეს 40 ტ გადამწვარი ნაკელი 1 ჰა-ზე, ასევე მინერალური სასუქები. კარგ შედეგს იძლევა ფოსფორმუჟავა სასუქები 60 კგ/ჰა-ზე.


თესლბრუნვაში საუკეთესო წინამორბედია სათონი და საშემოდგომო კულტურები.

კარგად მრავლდებიან თესლით. თესვა წარმოებს გაზაფხულზე. აღმონაცენები გადასარგავად მზადაა უკვე 6-7 კვირის შემდეგ. ხოლო ღია გრუნტში თესვის შემთხვევაში ითესება შემოდგომით. თესავენ ქვიშაში. ნაკვეთი უნდა იყოს მოსწორებული (ნორმა 2-2,5 კგ 1 ჰა-ზე). აღმონაცენი ღია გრუნტში გამოაქვთ 4-5 ნამდვილი ფოთლის გამოჩენისთანავე. მცენარეებს შორის მანძილი - 12-15 სმ, ხოლო მწკრივებს შორის - 35-40 სმ. ორივე შემთხვევაში ნაკვეთს სჭირდება შემდეგნაირი მოვლა: სისტემატიური გაფხვიერება მწკრივებს შორის და მავნებლებთან ბრძოლა. პირველი გაფხვიერება ხდება დარგვისთანავე. 8-10 დღის შემდეგ საჭიროა გამოკლებული მცენარეების შევსება, ზაფხულში – რიგთაშორის მინერალური სასუქის შეტანა: აზოტიანი სასუქი 20-25 კგ 1 ჰა-ზე, წუნწუხი 2-3 ტ 1 ჰა-ზე. მავნებლებთან ბრძოლა ხდება ძირითადად გოგირდის ხსნარით (1 ჰა-ზე 40 კგ). მეორე წელსაც გაზაფხულიდან ნაკვეთის მოვლა იწყება გაფხვიერებით და სასუქების შეტანით. შემდეგ წლებში პერიოდული დამუშავებაა. ფოთლების მოსავალს იღებენ სიცოცხლის მე-2 წლიდან წელიწადში რამდენიმეჯერ (2-3-ჯერ) და მაშინვე აშრობენ.

/Оголевец, 1948/.

Echinacea purpurea (L.) Moench - ეხინაცეა

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი, ფრიალ დეკორატიული, 60-100 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ღეროები სწორმდგომა, ხაოიანი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ფართო ოვალური, დაკბილული, ყუნწისკენ შევიწროებული, შეკრებილია როზეტად; ღეროსეული - მჭდომარეა, ლანცეტა, ხაოიანი, მორიგეობით განლაგებული. ყვავილედის - კალათაა, მსხვილი, 15 სმ-მდე დიამეტრის, ენისებრი ყვავილები მენამულ-ვარდისფერია, მილისებრი - მონითალო ყავისფერი. ნაყოფი თესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა: მედიცინაში, კომპლექსურ თერაპიაში XX ს-ის შუა პერიოდში იქნა გამოყენებული, როგორც „სისხლის გამწმენდი“ საშუალება მთელი რიგი დაავადებების - რევმატიზმის, სხვადასხვა ეთიოლოგიის ტკვილების, თავბრუსხვევის, მონამღვის, ათაშანვის, განგრენის, ტიფის, მალარიის, ბუასილის, შაკიკის და სხვათა სამკურნალოდ. დასავლეთ გერმანიაში ეხინაცისაგან ამზადებენ 250 ფარმაცევტულ პრეპარატს, ექსტრაქტების, სასმელებისა და მაღამოების სახით. რეიტინგის მიხედვით შედის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებულ სამკურნალო მცენარეების ათეულში.

შეიცავს 7 ჯგუფის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც მოიცავს: პოლისახარიდებს, ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, ფიტოსტერინს, ფისებს, ეხინაცინს, ეხინაკოზიდს, ყავის მჟავის წარმოებულებს, ლიპიდებს, ალკილამიდებსა და შენაერთების სხვა კლასებს.

გაირკვა, რომ ამ მცენარიდან გამოყოფილი ცალკეული პოლისახარიდები, ხასიათდებიან რა იმუნომასტიმულირებელი, ანთების საწინააღმდეგო ზომიერი მოქმედებით, სწორედ მათ შესწევთ უნარი დაიცვან ქსოვილები და უჯრედები ბაქტერიული და პათოგენური ინვაზიებისგან. იგივე პოლისახარიდები ხელს უწყობს ქსოვილების რეგენერაციას. აქედან გამომდინარე ეხინაცის პრეპარატებს იყენებენ იმ დაავადებებისას, რომლებიც დაკავშირებულია იმუნური სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის დასუსტებასთან, რაც გამწვეულია სხვადასხვა ეთიოლოგიური ფაქტორებით: ქრონიკული ანთებითი დაავადებებით, ულტრაიისფერი სხივების იონიზირებული რადიაციის მოქმედებით, ქიმიოთერაპიული პრეპარატებისა და ანტიბიოტიკური თერა-

პიის ხანგრძლივობით. პოლისახარიდებით მდიდარია მცენარის მიწის-ზედა ნაწილი, ხოლო ფესვები შეიცავს ინულინის მაღალ კონცენტრაციას, რომელიც ააქტიურებს იმუნურ სისტემას, აძლიერებს სისხლის თეთრ ბურთულაებს, ავინროებს და თრგუნავს ბაქტერიების, სტრეპტოკოკის, სტაფილოკოკის, ნაწლავის ჩხირების, გრიპის და ჰერპესის ვირუსების, სოკო *Candida albicans*-ის და სხვა მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებას.

ეხინაციის ყველაზე სასარგებლო კომპონენტად მიიჩნევენ ეხინაზიდებს, რომლებიც პენიცილინის მსგავსად, ისეთივე ეფექტური შეიძლება იყოს დიდი რაოდენობის ვირუსების, სოკოების, ბაქტერიებისა და სხვა უმარტივესი წარმონაქმნების გასანადგურებლად.

ალკილამიდები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა კონცენტრირებული ფესვებში, ხასიათდება ზომიერი გამაუმტკივნეული მოქმედებით. ამგვარად, მცენარე გამოირჩევა ძლიერი ვირუსოსტატიკური, ბაქტერიოსტატიკური, ფუნგიციდური, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებას, ორგანიზმის კომპლექსურ განმედას მძიმე მეტალების, წილებისა და ტოქსინებისაგან; აუმჯობესებს მეტაბოლიზმს, ამალღებს ორგანიზმის დამცველ ძალებს, იმუნიტეტს, მიეკუთვნება მცენარეულ სტიმულატორებს ანუ იმუნური სისტემის მოდულატორებს. ასტიმულირებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას; რეკომენდირებულია შაქრიანი დიაბეტის, ღვიძლის, თირკმლის ზედა ჯირკვლის სამკურნალოდ; ეფექტური საშუალებაა ზედა სასუნთქი გზების და ანთებითი დაავადებების (მიკრობული ეგზემა, რევმატიზმი, პროსტატა), გინეკოლოგიური დარღვევების, ტროფიკული წყლულის, ოსტეომიელიტის და სხვ. სამკურნალოდ.

არის მოსაზრება, რომ ეხინაცეა შეიძლება იყვეს სასარგებლო დამხმარე საშუალება კიბოს მკურნალობაში, მისი საშუალებით შეიძლება ლეიკოციტების დონის კორექტირება დასხივების ან ქიმიოთერაპიის შემდგომ.

უკუმჩვენებელია ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისათვის, პროგრესირებადი ტუბერკულოზით, ლეიკოზით, კოლაგენოზითა და გაფანტული სკლეროზით დაავადებულთათვის.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ექიმის გადასანყვეტია მისი გამოყენება.

გავრცელება: სამშობლო - ჩრდილოეთ ამერიკა, სადაც ინდიელები სამკურნალოდ გამოყენებულ მცენარეებს შორის, ყველაზე მისაღებად მიიჩნევდნენ. https://ru.wikipedia.org/wiki/Эхинацея_пурп

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული ევრ-აზიის ქვეყნებში დეკორატიული და სამკურნალო მიზნით.

Echinopanax elatum Nakai - ეხინოპანაქსი
Fam. Araliaceae - ოჯ. არალიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 1 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, მკრთალი ნაცრისფერი ქერქით, ეკლებიანი. ფესურა მერქნისებრია, ცილინდრული, სქელი - გრძელი, მცირერიცხოვანი წვრილი ფესვებით. ღეროები სწორმდგომია, ხშირი ნემსისებრი ეკლებით, სუსტად დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნჩიანი, მომრგვალო, გულისებრი ფუძით, 5-7 ნაკვთიანი, კიდეებზე იშვიათი წამწამებით, ზედა მხარეს მუქი მწვანე და პრიალაა, ქვედაზე - მქრქალი; ფოთლებისა და ყვავილის ყუნწები, აგრეთვე ყვავილედის ღერძი ეკლიანია. ყვავილები მომწვანოა, 5-წევრიანი, წვრილი, შეკრებილია ქოლგისებრ მტევნებად; ნაყოფი ხორცოვანია, ორი კურკით.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ფესურა ფესვებითურთ; გროვდება გაზაფხულზე ან შემოდგომით. შეიცავს ალკალოიდებს, ეთერზეთებსა და გლიკოზიდებს კვალის სახით. უძველესი დროიდან ცნობილია როგორც მატონიზირებელი საშუალება. მისი პრე-

პარატები ახდენენ მასტიმულირებელ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ამცირებს სისხლში შაქრის რაოდენობას, გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის საწყის სტადიაში; მცირე დოზებით – ამალღებს, დიდი დოზებით დაბლა წევს არტერიალურ წნევას, მნიშვნელოვნად აღიდებს დიურეზს.

ეხინოპანაქსის ნაყენს უნიშნავენ ფიზიკური და ნერვული გადაღლილობის, დაბალი შრომისუნარიანობის, გულის უკმარისობის, ჰიპოტონიის, დეპრესიული და ასთენიური მდგომარეობის, შაქრის დიაბეტის I სტადიის, სქესობრივი უძლურების, დეპრესიისა და ასტენოპოხონდრიული მდგომარეობის დროს.

ეხინოპანაქსის სპირტიან ნაყენს ღებულობენ 30-40 წვეთს დღეში 2-3-ჯერ ჭამის წინ.

უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიის, ორსულობის, ათეროსკლეროზის, ძილის დარღვევის, ეპილექსიის, საკვებმომწელებელი სისტემის პათოლოგიების დროს.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე ზღვისპირა მხარის სამხრეთ ნაწილში.

ჰაბიტატები: იზრდება ნოტიო ადგილებში, ნაძვნარებში, ფიჭვნარებსა და არყნარებში, იშვიათად მთის ნაშალებზე.

http://www.fito.nnov.ru/special/lygnanes/echinopanax_elatum/

Echinops sphaerocephalus L. – თაგკომბალა

Fam. Asteraceae (Compositae) – ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 11-140 სმ-მდე სიმაღლის, ფესვი მთავარღერძაა, ღერო სწორმდგომი, მარტოული, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ზედა მხარეს ხშირ ჯირკვლოვანბუნვანი, წებოვანი, ღერომხვევი, ფრთისებრგანკვეთილი; ფოთლის სევმენტები ვიწროა, კვერცხისებრი, ნაწვეტებული. ყვავილები მოცისფრო-თეთრია, ყვავილენი -ბურთისებრი კალათაა; საერთო საბურველი კალათას არა აქვს, რაც გვარისათვის არის დამახასიათებელი. ნაყოფი თესლურაა 7-8 მმ. 1000 თესლის წონა 14-15 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: ნაყოფები შეიცავს ალკალოიდებს ეხინოპსინს და ეხინოპსეინს, აგრეთვე 28% ცხიმოვან ზეთებს. ჯერ კიდევ 1900 წელს დადგინდა, რომ ეხინოპსინისთვის დამახასიათებელია სტრინინის მსგავსი მოქმედება, თუმცა იმ პერიოდში მას პრაქტიკული მნიშვნელობა არ მიუღია. შემდგომში ეხინოპსინიდან გამოჰყვეს აზოტმუჟავას მარილები, რომელიც სტრინინის მსგავსად ხასიათდება მატონიზირებელი მოქმედებით და ამაღლებს ნერველკუნთოვანი აპარატის აღზნებადობას. მას იყენებენ პერიფერიული და ცენტრალური მამოძრავებელი ნევრონის დაზიანებისას, სახის ნერვის პერიფერიული დამბლის, რადიკულონევრიტის, ქრონიკული სხივური დაზიანების შედეგების სამკურნალოდ.

გავრცელება: ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა.

საქართველოში გავრცელებულია: თრიალეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მთის შუა სარტყლამდე მშრალ ფერდობებსა და ბუჩქნარებში, სტეპებზე, ქვიან და ღორღიან ქსეროფილურ ადგილებში.

კულტივირება: სინათლისა და სიმშრალის მოყვარული მცენარეა; თავკომბალასთვის აუცილებელია მაღალი ნაყოფიერებით გამორჩეული ნაკვეთის შერჩევა. კარგ წინამორბედად ითვლება საშემოდგომო ხორბალი. ვინაიდან მცენარეს ფესვები ძალიან ღრმად უწვითარდება, ამიტომ მშრალად ხვნა წარმოებს 27-30 სმ სიღრმეზე. შემოდგომის მოხვნამდე მინდორი უნდა გასუფთავდეს სარეველების ნარჩენებისაგან. ადრე გაზაფხულზე ხდება დაფარცხვა და ტარდება თესვისწინა კულტივაცია 7-8 სმ სიღრმით. ხვნისთანავე ნიადაგში შეაქვთ ნაკელი ან კომპოსტი 15-20 ტ/ჰა-ზე, მინერალური სასუქები: 2-3 ც სუპერფოსფატი,

1-1,5 ც/ჰა-ზე ამონიუმის გვარჯილა. თესვისას თესლთან ერთად შეაქვთ 50 კგ/ჰა-ზე გრანულირებული სუპერფოსფატი. ითესება გაზაფხულზე, როდესაც ნიადაგი 5 სმ სიღრმეზე 12-15 °C-მდე თბება. რიგთაშორის მანძილი 60 სმ-ია; თესვის ნორმა კვადრატულ-ბუდობრივად 4-6 კგ/ჰა-ზე. აღმოცენების შემდეგ ხდება ჩითილების ნაჩქმეტა, სარეველებისაგან გასუფთავება და გაფხვიერება. მეორე წელს ადრე გაზაფხულზე შეაქვთ ამიაკის გვარჯილა 1 ც/ჰა-ზე, ხდება რიგთაშორისი გაფხვიერება 8-10 სმ სიღრმეზე.

მოსავალს იღებენ, როდესაც ყვავილედი-კალათა მიიღებს მუქ შეფერილობას. იკრებიან ნიადაგიდან 60-65 სმ სიმაღლეზე. მოკრეფილი ნედლეული შრება ღია ჰაერზე, მაგრამ ქარისგან დაცულ ადგილას. რადგანაც მცენარე ძლიერ აზიანებს ლორწოვან გარსს, ამიტომ მისი აღებისას უნდა დავიცვათ თვალები და ცხვირპირი /КОТУКОВ, 1975/.

Elettaria cardamomum White et Maton - ნამდვილი კარდამონი

Fam. Zingiberaceae - ოჯ. ჯანჯაფილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 2-4 მ სიმაღლის მკვეთრი სურნელის ტროპიკული ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ფართო ლანცეტაა. ყვავილები თეთრიდან იასამნისფერამდე შეფერილობისაა, შეკრებილია მტევნისებრ უფოთლო საყვავილე ყლორტებზე. ნაყოფი მოყვითალო მწვანე კოლოფია, 2 სმ-მდე სიგრძის. თესლი შავი ან ყავისფერია, არომატული, შეიცავს ეთერზეთებს.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; VIII.

მწმენლობა: ტრადიციული, ერთ-ერთი უძვირფასესი და ფართოდ გავრცელებული ინდური კლასიკური სანელებელია, მას „სანელებლების დედოფალსაც“ უწოდებენ. მისი მარცვლები ხასიათდება რბილი მწვავე გემოვნებითა და არომატით.

კარდამონის სამკურნალოდ გამოყენება ახალ ერამდე მეხუთე საუკუნიდან იწყება. სამკურნალო ნედლეულს თესლები წარმოადგენს. შეიცავს ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია ლიმონენი, ტერპინოლი, ბორნეოლი, მათი რთული ეთერები და ცინეოლი, აღინიშნება K, Fe, Ca, Na, P, Mg, სახამებელი, ნიაცინი, ვიტამინები A, B₁, B₂. ნაყოფებს ინახავენ ხელშეუხებლად (თესლებს არ აცილებენ კოლოფებს).

ძველ დროში მას პანაცეად მიიჩნევდნენ ყველა ავადმყოფობისაგან. ტრადიციულ ინდურ მედიცინაში იყენებდნენ სიმსუქნისა და კანის დაავადებების საწინააღმდეგოდ. ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში მიიჩნევენ პირველხარისხოვან საშუალებად ნაწლავური დაავადებებისა, მხედველობის გასაუმჯობესებლად, იმუნიტეტისა და ნერვული სისტემის გასაძლიერებლად.

გამოიყენება რევმატიზმის, ეპილეპსიის, დამბლის, გულის დაავადებების სამკურნალოდ და როგორც ქარმდენი, მადის აღმგზნები და შარდმდენი საშუალება, აგრეთვე წამლების გემოსა და სუნის გასაუმჯობესებლად.

ჩვენს დროში მსოფლიო მედიცინის თანასაზოგადოების მიერ კარდამონი რეკომენდირებულია მაღალი ტემპერატურის (როგორც ანტისეპტიკი), ლარინგიტის, ბრონქიტის და პნევმონიის სამკურნალოდ. ამავდროულად მისი საშუალებით შესაძლებელია ბრონქებისა და ფილტვების ეფექტური გასუფთავება, რისთვისაც კარდამონი უნდა დაემატოს შემწვარ ხილს. არტერიალური წნევის რეგულირებისა და გულის კუნთის გამაგრებისათვის იყენებენ კარდამონის ექსტრაქტს. ასევე ითვლება, რომ ეს სანელებელი ნატურალური წარმოშობის ეფექტური აფროდიზიაკია, რომლის წყალობითაც მამაკაცებში არსებითად უმჯობესდება პოტენცია. მარგებელია ნერვოზებისა და სტრესების დროს. როგორც უძველესი სამედიცინო ძველი ჯანმრთელობის შესახებ – აიურ-ვედა ამტკიცებს, კარდამონის მიღებით მოიპოვებთ სიმშვიდეს, სიმსუბუქეს და ბედნიერებას, აქტიურობას და ტვინის სისხარტეს.

ამჟამად არომათერაპიაში მეტად პოპულარულია კარდამონის ზეთი, იყენებენ კუჭის სპაზმოლიტურ, გამამხნეველ და გასათბობ საშუალებად. აუმჯობესებს პერიფერიულ სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას (ცივი კიდურები). ხველების დროს ურჩევნ. ინჰალაციების სახით გამოყენებას.

ჭარბი გამოყენება იწვევს სექსუალური მიზიდულობის დაქვეითებას. სიფრთხილე მართებთ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულებებს.

გავრცელება: სამშობლოდ შრი-ლანკასა და სამხრეთ ინდოეთის მარადმწვანე მთიანი ტყეები ითვლება.

კულტივირება: ინტროდუცირებელია და მოჰყავთ რეუნიონში, ინდოჩინეთსა და ცენტრალურ ამერიკაში (ბიძინაშვილი, 2013).

Eleutherococcus senticosus (Rupr. et Maxim.) Maxim - ელუეტერაკოკი, „ციმბირული უენენი“

Fam. Araliaceae - ოჯ. არალიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 2,5 – 5-6 მ სიმაღლის ბუჩქია, მრავალრიცხოვანი ღეროებით, დაფარულია ხშირი, ირიბად ქვევით მიმართული ეკლებით. ფოთლები გრძელყუნწიანია, თათისებრგანკვეთილი, ფოთოლაკები უკუოვალურია ან ელიფსური, სოლისებრი ფუძით, ორმაგად დაკბილული, ძარღვებზე შებუსვილი. ყვავილები გრძელ საყვავილე ყუნწებზე ბურთისებრ ქოლგებადაა შეკრებილი; მამრობითი და ორსქესიანი ყვავილები მკრთალი იისფერია, ხოლო მდედრობითი

მოყვითალო. ნაყოფები სფერულია, უმთავრესად 5-თესლიანი, შავი, პრიალა, შეკრებილია ქოლგისებრ ნაყოფედალ.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. X.

მნიშვნელობა: სამკურნალო თვისებებით ახლოა უნემენტან, რის გამოც მას ხშირად „ციმბირულ უნემენსაც“ უწოდებენ. სამკურნალო ნედლეულია ფესურა ფესვებითურთ. მათში აღმოჩენილია ლიგნინისა და სხვა ფენოლური გლიკოზიდები, პექტინოვანი ნივთიერებები, ფისები, გუმფისი, ანთოციანური შენაერთები, ეთერზეთები, ვიტამინი C, ოლეინის მჟავა და სხვ.

ახდენს ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიანობის სტიმულირებას, ამაღლებს ორგანიზმის წინააღმდეგობას არასასურველ გარემო ზემოქმედებისაგან, მოქმედებს როგორც საერთო გამაჯანსაღებელი საშუალება მძიმე დაავადებებისა და ოპერაციების გადატანისას; აქვეითებს სისხლში გლუკოზის შემცველობას. ნაყენი ფართოდ გამოიყენება ნევრასტენიის, ნევროზების, გადაღლილობის, მძიმე დაავადებების შემდგომ. ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ადაპტოგენური და ნალველმდენი მოქმედებით, აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, ხელს უშლის სისხლძარღვებში ბალთების განვითარებას, ეფექტურია სტრესების, სასიცოცხლო ძალების ასამაღლებლად, ხელს უწყობს ორგანიზმის ადაპტაციას არასასურველი პირობებისადმი. წარმოადგენს ანტიოქსიდანტს. ასუსტებს სიმსივნის სანინაღმდეგო ქიმიოთერაპევტული პრეპარატების ტოქსიკურ მოქმედებას ორგანიზმზე; ნაჩვენებია კიბოთი დაავადებულთათვის, როგორც უვნებელი მატონიზირებელი საშუალება, რომელსაც ეს ადამიანები საჭიროებენ. ელეუტერაკოკი ასევე ეხმარება მათ უფრო უმტკივნეულად გადაიტანონ კიბოს სანინაღმდეგო საშუალებებით მკურნალობის კურსი.

ხალხურ მედიცინაში მიღებულია მისი გამოყენება შაქრიანი დიაბეტის, ათეროსკლეროზის, ნალვლის ბუშტისა და სიმსივნური დაავადებების დროს. ფართოდ გამოიყენება ჰომეოპათიაში.

უკუმაჩვენებელია მაღალი არტერიული წნევის, უძილობის, არითმიის, მიოკარდიული ინფარქტის, ინსულტის, პანკრეატიტის, მაღალი სიცხის, ნერვული სისტემის ალგზნების, ფეხმძიმობისა და ლაქტაციის,

ინფექციური და სომატური დაავადებების გამწვავებისა და ბავშვობის ასაკში.

გავრცელება: გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში (ზღვისპირეთში, ხაბაროვსკის მხარის სამხრეთით, ამურის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ სახალინზე), კორეაში, იაპონიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში.

ჰაბიტატები: იზრდება კედნარებსა და ფართოფოთლოვან დაჩრდილულ ტყეებში, სადაც წარმოქმნის ქვეტყეს. აგრეთვე ნაძვნარებში, მდინარეების ნაპირებზე. უპირატესობას ანიჭებს სამხრეთ ექსპოზიციის დატენიანებულ ადგილსამყოფლებს.

კულტივირება: ამრავლებენ თესლით, ფესვისეული კალმებით და ამონაყრებით.

<https://www.google.com/search?q=элеутерококк+колючий&client>

Erythroxylon coca Lam. - კოკა, კოკაინის ბუჩქი
Fam. Erythroxylaceae - ოჯ. ერთოროქსილასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: უხვად შეფოთილი, მარადმწვანე, 2-3 მ სიმაღლის ბუჩქია. ტოტები სწორია, ფოთლები თხელია, მწვანე, ოვალური ფორმის, წვერში შევიწროებული. ყვავილები წვრილია, შეკრებილია მცირე ყვავილელებად შემოკლებულ ყლორტებზე. გვირგვინი შედგება ხუთი მოყვითალო თეთრი ფოთოლაკებისაგან. ნაყოფი წითელი კენკრაა.

ფენოლოგია: ყვ.V; ნაყ. VII.

მნიშვნელობა: ესპანელებმა XVI ს-ში გაიგეს კოკას ფოთლების არაჩვეულებრივი თვისებები, გაირკვა, რომ ინდიელები დასრესილ ფოთ-

ლებს ურევდნენ სხვადასხვა მცენარის ნაცარს და ამზადებდნენ პატარა ზომის გუნდებს, რომლებსაც საღებავად იყენებდნენ, რაც იწვევდა მატონიზირებელ მოქმედებას, ენერჯის მატებას, შიმშილისა და წყურვილის გრძნობის დაქვეითებას; ხმარობდნენ ხანგრძლივი მოგზაურობების, ომების, ვერცხლის საბადოებში მუშაობისას და სხვ.

კოკას ფოთლები შეიცავს ალკალოიდებს, რომელთა საერთო ჯამი 0,5-1,5% შეადგენს. ძირითადად აქ კოკაინი წარმოადგენს, მიეკუთვნება ტროპანული ალკალოიდების ჯგუფს. ბიოსინთეზური პროცესების შედეგად, რომელიც კოკას ფოთლებში მიმდინარეობს, ტროპანი გარდაიქმნება შენაერთად, რომელსაც ეკგონინომს უწოდებენ, წარმოადგენს სხვადასხვა კოკაინების მიღების საფუძველს. გამოიყენება ადგილობრივი ანესტეზიისათვის ქირურგიაში, აგრეთვე პირის ღრუს, ხახის, ცხვირის, თვალის რქოვანასა და კონიუნქტივის ოპერაციებში. კოკაინის შიდროქლორიდის ხსნარი იხმარება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. კოკაინს შესწევს უნარი მოახდინოს ნერვული დაბოლოებების პარალიზება, ტკივილების გაყუჩება. სისხლში მოხვედრისას იწვევს ეიფორიას, მოქმედებს აღმგზნებად ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხოლო განმეორებითი მიღება იწვევს მისადმი ძლიერ დამოკიდებულებას.

კოკაინი, რომელიც კოკას შემადგენლობაში შედის, ძლიერმომქმედი ნარკოტიკია, იწვევს მისადმი მყარ დამოკიდებულებას, სიმპტომებია: ტახიკარდია, არტერიალური წნევის აწევა, ქოშინი, ოფლიანობა, თვალის გუგის გაფართოება, ეიფორია, რაც გადადის დეპრესიაში; დოზების გადაჭარბებას მოსდევს ჰალუცინაციები, ფსიხოზები, ორგანიზმის მონამღვა, ტვინის რღვევა და სიკვდილი.

დამოუკიდებლად, კოკაინის მიღება კანონით აკრძალულია!

გავრცელება: სამშობლო სამხრეთ ამერიკის ტროპიკული მთიანი ტყეებია: პერუ, ბოლივია და ანდების აღმოსავლეთი ფერდობები, მაგრამ ველურად დღეს აღარ გვხვდება და ოდითგანვე აქ კულტივირებულია ინდიელების მიერ.

კულტივირება: კოკას გამოზრდა ტრადიციულად წარმოებს ანდების ძირში.

https://ru.wikipedia.org/wiki/Кокаиновый_куст

Eucalyptus L. - ევკალიპტი
Fam. Myrtaceae - ოჯ. მირტისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე ბუჩქები და ხეები (ზოგიერთი სახეობა 100 მ სიმაღლეს აღწევს); ღერო სწორმდგომი ან გამრუდებულია, ხშირად დაფარულია გუმფისით. ვარჯი განსხვავებულია-ფართო პირამიდალური, კვერცხისებრი, თითქმის სფერული, მტირალა და სხვა ფორმის. ქერქის მიხედვით ანსხვავებენ შემდეგ ჯგუფებს: გლუვქერქიანები, ბოჭკოვანქერქიანები, ჯირკვლოვანქერქიანები, ქერქლისებრქერქიანები და სხვ. ფოთლები განლაგებულია ტოტებთან ერთ სიბრტყეში, რის გამოც ხეები თითქმის არ იძლევა ჩრდილს. ყველა სახეობის ფოთლები ჰეტეროფილურია და გადის განვითარების ყველა სტადიას, ფორმით გულისებრია, კვერცხისებრი, მოგრძო მომრგვალო ან ლანცეტა, მწვანე, ზოგჯერ ლევა. ყვავილები ორსქესიანია, თეთრი, შეკრებილია უბისეულ ქოლგებად ან ფარისებრ ყვავილელებად. ნაყოფი - კოლოფია, უფრო ხშირად გლუვი, იშვიათად დაღარული, წახნაგოვანი ან ხორკლიანი.

ფენოლოგია: საყვავილე კვირტები წარმოიქმნება გაზაფხულის ბოლოს - ზაფხულის დასაწყისში გასული წლის ან მიმდინარე წლის ყლორტების ბოლოებზე, სხვებს - მიმდინარე წლის ყლორტების ქვედა ნაწილში. კოკრების წარმოქმნიდან მათ გამლამდე პერიოდი სამი თვიდან ორ წლამდე გრძელდება. სახეობაზე დამოკიდებულებით ყვავილობს წლის სხვადასხვა სეზონზე.

მნიშვნელობა: მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი მცენარეებია; სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს; აგროვებენ წლის ყველა პერიოდში, თუმცა საუკეთესო ნედლეული შემოდგომით მიიღება, რო-

დესაც ეთერზეთების შემცველობა მაღალია. ფოთლები შეიცავს ევკალიპტის ეთერზეთებს, დიდი რაოდენობით ფიტონციდებს, მთრიმლაგ და ფისოვან ნივთიერებებს, რომლებიც ძლიერი მადეზინფიცირებული მოქმედებით ხასიათდება და გამოიყენება მედიცინაში სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას როგორც მიკრობების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი და გამაუმტკივნეული საშუალება. ევკალიპტიდან მიღებული პრეპარატებით კურნავენ ანგიის რთულ ფორმებს, ტონზილიტებს, პნევმონიას და ტუბერკულოზს. წარმატებით გამოიყენება პათოგენური მიკროორგანიზმების - სტაფილოკოკების, სტრეპტოკოკების და ა.შ. წინააღმდეგ. პრეპარატების ბაქტერიციდული, ანტისეპტიკური და მადეზინფიცირებელი მოქმედების საფუძველზე გამოიყენება გინეკოლოგიური დაავადებების (აღნექსიტები, ენდომეტრიოზა), აგრეთვე ფლეგმონიის, წყლულების, აბსცესების, თირკმელებისა და შარდსადინარი გზების დაავადებებისას.

გარდა აღნიშნულისა, ევკალიპტის ფოთლები ხასიათდება იმუნომოდულირებელი მოქმედებით, აძლიერებს (ამაგრებს) ორგანიზმის ბუნებრივ დაცვას და ებრძვის ვირუსებს (ჰერპესი, ფურუნკულები, გრიპი და ა.შ.).

ხალხურ მედიცინაში ევკალიპტს იყენებენ ნაწლავების პარაზიტებისა და პედიკულოზის დროს.

ევკალიპტის მალამოები წარმოადგენს კარგ საშუალებას ართრიტების, ართროზების, ოსტეოქონდროზის, სახსრებისა და საბჯენი-მამოძრავებელი აპარატის სხვა დაავადებებისას. და რა თქმა უნდა ევკალიპტი შეუცვლელია იმ ინფექციების პროფილაქტიკისათვის, რომლებიც საპაერო-წვეთოვანი გზით გადადის. ევკალიპტის ზეთის მფრინავი ნივთიერებების შესუნთქვით შესაძლებელია დასნებოვნების თავიდან აცილება თვით ეპიდემიის დროსაც კი.

არსებობს ინდივიდუალური შეუთავსებლობა მისი კომპონენტების მიმართ და ერთ წლამდე ასაკი. მართალია გვერდითი მოვლენები იშვიათია, თუმცა პირველად მისი მიღებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

გავრცელება: სახეობების დიდი ნაწილი იზრდება ავსტრალიის, ახალ ზელანდიისა და ტასმანიის ტყეებში; რამდენიმე სახეობა აღირიცხა ახალ გვინეასა და ინდონეზიაში. მრავალწიარ მცენარეულ ფორმა-

ციაში იღებენ მონანილეობას და ხშირად დიდ ფართობებზეა გაბატონებული.

საქართველოში ევკალიპტის სახეობების ინტროდუქცია იწყება XIX ს-ის ბოლო პერიოდიდან მის დასავლეთ ნაწილში, ნოტიო სუბტროპიკების ზონაში, უმთავრესად აფხაზეთსა და აჭარის შავიზღვისპირა რაიონებში, სადაც კულტივირებულია 35-მდე სახეობა, მათგან მედიცინაში სამკურნალოდ დაშვებულია შემდეგი სახეობების გამოყენება: ცისფერი ანუ სფერული ევკალიპტი (*Eucalyptus globulus*), ლიმონის ევკალიპტი (*Eucalyptus citriodora*), ტირიფისებრი ევკალიპტი (*Eucalyptus viminalis*), მაკარტურის ევკალიპტი (*Eucalyptus macarturi*), ლევა ევკალიპტი (*Eucalyptus cinerea*).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მობარდი სფერული ევკალიპტის რექტიფიცირებული ზეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ჰაბიტატები: იზრდება ჭაობიან და ტენიან ადგილებში.

კულტივირება: კულტივირებულია: სამხრეთ საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, ისრაელში, ინდოეთში, საუდის არაბეთში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში და სხვ. ქვეყნებში, მისი უნიკალური თვისებების გამო, რაც გამოიხატება სწრაფ ზრდაში, ჭაობების ამოშრობასა და ჰაერის გაწმენდაში.

<https://ru.wikipedia.org/wiki/Эвкалипт>

Eucommia ulmoides Oliver - ევკომია

Fam. Eucommiaceae - ოჯ. ევკომიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ფოთოლმცვენნი ხეა, 20-30 მ სიმაღლის კარგად განვითარებული უხვად დატოტვილი ვარჯით. ყლორტები სუსტად

შებუსულია, მოოქროსფერო-ყავისფერი, დაფარულია ცვილისებრი ნაფიფით. ქერქი მოყავისფერო-ნაცრისფერია მოგრძო ჯირკვლებით მოფენილი. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-კვერცხისებრიდან ელიფსურამდე, ნაწვეტებული, მომრგვალო ან ფართოშუბისებრი ფუძით, ხერხისებრ დაკბილული, მუქი მწვანე. მცენარე ორსახლიანია. ყვავილები ერთეულია, შეკრებილია 5-11 ცალად ერთნლოვანი ყლორტების ძირებში. კოლოფი - მოგრძო, გვერდებზე მიჭყლეტილი კაკალია.

ფენოლოგია: ყვ. IV; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ადრე გაზაფხულზე შეგროვილი ქერქი და ტოტები წარმოადგენს. ევკომიის ყველა ნაწილის რძისებრი წვენი შეიცავს გუტას, რომლისგანაც მიიღება გუტაპერჩი, იგი კაუჩუკის ანალოგიურია და წარმოადგენს იზოპრენის წარმოებულს. აღინიშნება სხვა ორგანული შენაერთები, ფისები, გლიკოზიდი აუკუბინი, ტანინები, ქლოროგენული მჟავები - კოფეინის და ქინაქინის მჟავების დეჰსიდები.

ევკომიის სამკურნალო თვისებები ცნობილი იყო ჩინურ და ტიბეტურ მედიცინაში ახალი ერის დასაწყისიდან. მოტეხილობებისას ადებდნენ დანაყილ ცხელ წყალში დაორთქლილ ქერქს, გუტაპერჩის შემცველობიდან გამომდინარე გაციებული - მჭიდროდ ერთყმოდა დაზიანებულ სახსრებს და ხელს უწყობდა შეხორცებას; ამავდროულად მოტეხილობის შემოდის დასაჩქარებლად შინაგანად აძლევდნენ ქერქის ნაყენს. გარდა ამისა, ნაყენს იყენებდნენ როგორც მატონიზირებელ საშუალებას ნიკრისის ქარების საწინააღმდეგოდ, თირკმელების, ღვიძლის, ელენთის დაავადებებისას, ჭრილობების შესახორცებლად.

გალენური პრეპარატები, რომლებიც ევკომიის ქერქიდანაა მიღებული ხასიათდება ჰიპოტენზური თვისებებით. მოქმედებით მიეკუთვნება სპაზმოლიტური სამკურნალო საშუალებების ჯგუფს, რომელიც ასუსტებს მუსკულატურის სისხლძარღვებს, ბრონქებსა და მუცლის ორგანოებს. პრეპარატები 1951 წლიდან ნებადართულია ჰიპერტონიული დაავადებების სხვადასხვა სტადიების სამკურნალოდ; არ იწვევს გვერდით მოვლენებს; მცირე დოზით აღაგზნებს, დიდით კი თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. სამედიცინო წარმოება ევკომიის ქერქისაგან უშვებს ნაყენებსა და თხევად ექსტრაქტებს, უნიშნავენ თირ-

კმელების ფუნქციის დარღვევის, ლუმბაგოს, ასთენიის, მაღალი არტერიული წნევის დროს.

გავრცელება: ველურად იზრდება ცენტრალურ და დასავლეთ ჩინეთში, 300-2500 მ სიმაღლემდე. **კულტივირება:** კულტივირებულია ჩინეთში 1000 წლის წინათ. სითბოს მოყვარული მცენარეა საჭიროებს ტენიან და ნოტიო ნიადაგებს. უმთავრესად მრავლდება კალმებით და ჰორიზონტალური ამონაყრებით.

<https://ru.wikipedia.org/wiki/Эвкоммия>

Ferula assafoetida L. - საკპინაჭი

Fam. Apiaceae (Umbelliferae) - ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. წარმოქმნის ფოთლისეულ როზეტს, ფოთლები მსხვილია, ყუნწიანი. სიცოცხლის მეხუთე წელს იწვითარებს საყვავილე ღეროს, რომელიც საკმაოდ მძლავრია, სწორმდგომი, ყვავილობის პერიოდში 3 მ-მდე სიმაღლეს აღწევს. ყვავილები ყვითელია, შეკრებილია რთულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მომწიფებისას იშლება ორ ერთთესლიან მერიკარპიუმად, ფართო გვერდითი წახნაგებით.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: აზიური ქვეყნების ერთ-ერთი უძველესი, გამორჩეული, არომატული და საყვარელი სანელებელია, რომელსაც წარმოადგენს მცენარის ფესურის დაზიანებისას გამოყოფილი გუმფისი (ლატექსი), რომელიც მაშინვე შრება, დანაყვისას მიიღება მოყვითალო-მოყავისფრო ფხვნილი; ხასიათდება ნივრის, ნაწილობრივ ხახვისა და უსი-

ამოვნო ნოტის ნარევის მძაფრი და მძიმე სურნელითა და ხახვის მსგავსი მკვეთრი გემოვნებით. არომატიც და გემოც ძლიერ მდგრადია. კერძში მიკროსკოპულ დოზებში დამატებული, იმდენად აძლიერებს საკვების არომატს, რომ შესწევს უნარი თვით უვარგისი კერძიც კი საკვებად ვარგისი და სასიამოვნო გახადოს. ამასთან ზომიერად დამატებული და აუცილებლად ცხიმში მოხრაკული, კარგავს უსიამოვნო სუნს, თუმცა ინარჩუნებს სურნელს. ცუდად ეხამება ნიორსა და ხახვს; იყენებენ რთულ კერძებში (ხორცის, უმთავრესად ცხვრის, ბრინჯისა და პარკოსნების) ისეთ სანელებლებთან ერთად, როგორიცაა კურკუმა, ჯავზი, მლოგვი და კოჭა.

ფარმაკოლოგიაში გამოიყენება ფესურას გუმფისი (მშრალი რძის წვენი), რომელიც ცნობილია *Asa foetida*-ს სახელით. ფესურა შეიცავს დიდი რაოდენობით ფისებს, რომლის შემადგენლობაშია ვანილინი, კუმარინები, ეთერზეთები.

გუმფისი ხასიათდება ამოსახველებელი, სასაქმებელი, სპაზმოლიტური, დამამშვიდებელი მოქმედებით. მისი პრეპარატები ეფექტურია ისტერიისა და მალალი აღგზნებადობის დროს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გალენური პრეპარატების სახით ისეთი სიმპტომების დროს როგორიცაა მეტეორიზმი, ნაწლავების მოდუნება; როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება იხმარება ართრიტისა და სახსრების ტკივილებისას. ადგილობრივი მოსახლეობა საკვებს მადის გასაძლიერებლად უმატებენ.

ჩინურ მედიცინაში იყენებენ საერთო გამაჯანსაღებელ და მატონიზირებელ საშუალებად ისტერიის, ნევრასტენიის, ვეგეტატიური ნევროზის, გაციების, აგრეთვე კანის ზოგიერთ დაავადების დროს. სხვა მცენარეებთან ნაკრებში იხმარება კრუნჩხვების, დიათეზის, ფილტვების ტუბერკულოზის, ლიმფადენიტების საწინააღმდეგოდ.

შუა აზიის ხალხი გუმფისს ჭისმდენად იყენებს. ზოგიერთ წყაროში მითითებულია მცენარის ეფექტური მოქმედება ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ვენერიული დაავადებების – ათაშანგის სამკურნალოდ, რისთვისაც ფოთლებს ურევენ რძეში და ისე ღებულობენ.

უკუქმედება: არ არის რეკომენდირებული ფეხმძიმე ქალებისა და მალალი მგრძნობელობის ადამიანებისათვის. ნეგატიურად მოქმედებს ნაღვლის ბუშტზე.

გავრცელება: სამშობლო ირანი (ჰერათი, ხორასანი), ავღანეთი და ტაჯიკეთია.

კულტივირება: VI ს-ში შეტანილ იქნა ჩრდ. აფრიკის (კირენაიკა) ტერიტორიაზე, სადაც პირველ ხანებში გაამრავლეს, მაგრამ შემდგომ პერიოდებში მათზე მეტად დიდი მოთხოვნილების გამო ბარბაროსულად განადგურდა. სადღეისოდ კულტივირებულია არეალის მთელ რიგ აზიურ ქვეყნებში.

Filipendula ulmaria (L.) Maxim. - თელისფოთოლა ქაფურა
Fam. Rosaceae - ოჯ. ვარდისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 1,5-2 მ-მდე სიმაღლის, სწორმდგომი, გლუვი, უხვად შეფოთილი ღეროთი. ფესურა მხოხავია. ფოთლები ფრთისებრ განკვეთილია, ზედა მხარეს შიშველი, მუქი მწვანე, ქვედა - თეთრი ქეჩისებრი; ფოთლები გასრესისას მკვეთრ სუნს გამოჰყოფს. ყვავილები მრავალრიცხოვანია, წვრილი, მოყვითალო-თეთრი, სურნელოვანი, შეკრებილია ხშირ ფაშარ საგველა ყვავილედად. ნაყოფი - მრავალი ფოთლურაა, შედგება 10-15 სპირალურად დახვეულ შიშველ, ერთ თესლიან ფოთლურისაგან.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: ყვავილების არომატიდან გამომდინარე ჩაის საუკეთესო ნედლეულია. ნორჩ ფოთლებსა და კოკრებს სასალათოდ იყენებენ.

სამკურნალო მიზნით გამოიყენება მცენარის ყველა ნაწილი: ბალახი, ყვავილი, ფესვი. მცენარის მინისზედა ნაწილი შეიცავს: ასკორბინის მჟავას, კუმარინებს კვალის სახით, ფენოლურ შენაერთებს, ფენოლ-

გლიკოზიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ქალკონებს, ფენოლკარბონულ მჟავებს (კოფეინისა და ელავის), კატეხინებს, ეთერზეთებს, არომატულ შენაერთებს (ვანილინი, მეთილსალიცილატი, სალიცილის ალდეჰიდი), სტეროიდებს, ქაფურს და უმაღლეს ცხიმოვან მჟავებს.

ხასიათდება საერთო გამაჯანსაღებელი, დამამშვიდებელი, ბაქტერიციდული, სისხლდენის შემაჩერებელი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, ნალველმდენი, შემკვრელი, შარდმდენი, ოფლმდენი და ანტიჰელმინტური მოქმედებით.

უძველესი დროიდან გამოიყენება ხალხურ მედიცინაში; ფესვების ნახარში - როგორც სედატური, წყლულების საწინააღმდეგო, შემკვრელი, ჭრილობების შემახორცებელი და სისხლის შემაჩერებელი საშუალება, ასევე დიზენტერიის, ეპილეფსიის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, თირკმელებისა და შარდსადინარი გზების ანთებითი პროცესების დროს.

მიწისზედა ნაწილების ნახარშს იყენებენ ფაღარათის შემთხვევაში. ყვავილელების ფხვნილს - ჭრილობების, დამწრობების მოსაფრქვევად. ყვავილების ჩაი, როგორც შარდმდენი - ნეფრიტის, შარდის ბუშტის დაავადებების, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის და კუჭის ტკივილების დროს.

შედის მრავალი ქვეყნის ოფიცინალურ ფარმაკოპეიაში. მას იყენებენ: ონკოლოგიური დაავადებების, ჰერპესის, უძილობის, ბრონქიალური ასთმის, ბრონქიტის, პნევმონიის, შაქრიანი დიაბეტის, ჰეპატიტის, ანგინის, ფსორიაზის, პოლიპების, ართრიტის, ართროზის, რევმატიზმის, ეპილეფსიის, გრიპის, ტახიკარდიის, ნეფრიტის, ნაწლავების ათონიის, უნაყოფობის, ნეფრიტის სამკურნალოდ. ბალახის ნაყენი ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედებით და ხელს უწყობს ფეხებზე ტროფიკული წყლულების, ჭრილობებისა და დამწვრობების ეპითელიზაციას.

ყვავილების ნახარში ხასიათდება სტრეს-პროტექტორის, ანთების, წყლულების საწინააღმდეგო თვისებებით. ექსპერიმენტში იწვევს სისხლძარღვების გამავრებას.

უკუმაჩვენებელია ჰიპოტონიისა და ყაბზობის დროს.

გავრცელება: გავრცელებულია ევროპისა და დასავლეთ აზიის ქვეყნებში.

საქართველოში გვხვდება შემდეგ რეგიონებში: ქართლი, თრიალეთი, ქვემო ქართლი, ჯავახეთი.

ჰაბიტატები: იზრდება ჭაობებსა და დაჭაობებულ მდელოებზე, მდინარეებისა და ტბების სანაპიროებზე, ტენიან ადგილებში, მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე.

კულტივირება: ინტროდუცირებულია და ნატურალიზებული ჩრდილოეთ ამერიკაში. მრავლდება თესლით.

https://ru.wikipedia.org/wiki/Таволга_вязолистна

Foeniculum vulgare L. - დიდი კამა

Fam. Apiaceae (Umbeliferae) - ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი (კულტურაში ერთ ან ორწლოვანი) მცენარეა თითისტარისებრი ხორცოვანი სქელი ფესვით. ღერო 2 მეტრამდე სიმაღლისაა, მომრგვალო, მსხვილი, ვიწრო ღარებიანი, დატოტვილი, ლევა ფერის. ფოთლები სამმაგ-ოთხმაგ ფრთისებრ განკვეთილია, გრძელ, ჯაგრისებრ ნაკვეთლებად. ყვავილები წვრილია, ყვითელი, 5-20 სხვიან ქოლგისებრ ყვავილელებად შეკრებილი. ნაყოფი ბაცი შეფერილობის თესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. VII-X; ნაყ. VIII-XI.

მნიშვნელობა: სანელებელი მცენარეა. სასიამოვნო სუნს განსაზღვრავს ეთერზეთები, რომელიც ყველა ორგანოში აღინიშნება: ნაყოფებში - 7 მგ%-მდეა, ვეგეტატიურ ნაწილებში 2-3-ჯერ ნაკლები. სუფთა სახით დიდი კამის ეთერზეთები მიღებულ იქნა XVIII ს-ში; მის შემადგენლობაშია ანეთოლი, ანისულის ალდეჰიდი, ანისულის მუჟავა და სხვა არომატული

შენაერთები, აღინიშნება აგრეთვე ცხიმოვანი ზეთები, ხოლო ფოთ-
ლებსა და ღეროებში - ასკორბინის მუავა, კაროტინი, B, E, K ჯგუფების
ვიტამინები.

მეცნიერულ მედიცინაში თესლები გამოიყენება. ე.წ. “კამის წყალს”
იყენებენ ჩვილ ბავშვებში მუცლის გაბერვისა და კუჭ-ნაწლავის მტკივ-
ნული სპაზმების დროს. ასევე შედის მრავალ სხვადასხვა დანიშ-
ნულების სამკურნალო ნაკრებების შემადგენლობაში: საფალარათო,
ნალველმდენი, დამამშვიდებელი და ა.შ.

დიდი კამის ეთერზეთები პრეპარატ სოლუტანის ძირითადი კომპონენ-
ტია, რომელსაც უნიშნავენ ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის
დროს. მცენარის ეთერზეთები ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმე-
დებით, აქრობს შიშსა და ნევროზს.

ძველ მედიცინაში თესლები და მიწისზედა ნაწილი ფართოდ გამოი-
ყენებოდა როგორც მადის აღმძვრელი, ამოსახველებელი, ქარმდენი,
შარდმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, ლაქტოგენური, ანთებისა
და შხამსაწინააღმდეგო საშუალება.

წარსულში მიიჩნევდნენ, რომ თუ ადამიანი ყოველწლიურად ვერძის
თანავარსკვლავედში მზის ამოსვლისას მიიღებდა ერთ ღირხემს (2,96
გ) წვრილად დაფქვილ თესლს ამავე რაოდენობის შაქრის ფხვნილთან
ერთად, მაშინ მთელი წლის მანძილზე არაფრით დაავადდებოდა.
ავიცენას აღწერით დიდი კამა ხსნის საცობებს სისხლძარღვებში, აუმ-
ჯობებს მხედველობას, მეტეორ ქალებში აძლიერებს რძის გამოყო-
ფას, აქეცმაცებს ქვეებს, შველის გულის რევასა და კუჭის ანთებას. თეს-
ლების ნახარში სასარგებლოა თირკმელებისა და შარდის ბუშტის
დაავადებების, გვერდების ტკივილისა და გულის რიტმის დარღვევ-
ებისას.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდი კამის (ცერეცო) ზეთი იხმარებოდა
თავის ტკივილის დროს ყურში და ცხვირში წასასმელად, ყურის ტკი-
ვილის დროს - ყურში ჩასანვეთებლად, თირკმელებში ქვიშის არსებო-
ბისას ზურგს ზეთით უზღვდნენ, პირღებინებისას დიდი კამის მარილიან
წყალს ხმარობდნენ.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება ჩრდ. აფრიკაში, დასავლეთ და
აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში, ახალ გე-

ლანდიაში, ჩრდ., ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, კავკასიის სტეპურ რაიონებში.

საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში.

ჰაბიტატები: იზდება ზღვის სანაპირო ზოლში მთის წინებზე, ქვიშარ და კლდოვან ადგილებზე

კულტივირება: კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში

Fragaria vesca L. - ტყის მარწყვი

Fam. Rosaceae - ოჯ. ვარდისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი, მხოხავი ფესვმომკიდე, პნკალებიანი ხილ-კენკროვანი მცენარეა. ფოთლები სამფოთოლაკიანია და ყუნწის ძირში თანაფოთლები აქვს მიზრდილი. ნაყოფი კვერცხისებრია ან კონუსური, საცესებით მომწიფებული კაშკაშა წითელია, ძირიდან ბოლომდე თესლურებიანი.

ფენოლოგია: ყვ. V- VII; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ნაყოფი, ფოთლები, ფესვი და ფესურა წარმოადგენს. ნაყოფი შეიცავს: ნახშირწყლებს, ორგანულ მჟაფებს (ლიმონის, ვაშლის, ფოლიოს), მთრიმლაგ და პექტინოვან ნივთიერებებს, ალკალოიდებს, ვიტამინებს (B₁, B₂, B₆, კაროტინს), Fe, Ca, Mn, P-ის მინერალურ მარილებს. ფოთლებში აღინიშნება: ასკორბინის მჟაფა, მთრიმლაგი ნივთიერებები, ეთერზეთები.

ხასიათდება შარდმდენი, ოფლმდენი, ანტიოქსიდანტური, ნივთიერება-თა ცვლის მომწესრიგებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, ჭრილობების შემხორცებელი, ანთების საწინააღმდეგო, შემომგარსავი, ჭისმდე-

ნი მოქმედებით. ახალი გამოკვლევებით დადგენილია მცენარის ანტი-სიმსივნური აქტივობა.

ნაყოფები და ფოთლები მედიცინაში გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე მშრალი სახით. არის დიეტური საშუალება; იხმარება გულის, თირკმელკენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ქოლესისტიტის, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, სისხლნაკლებობის, გასტრიტის, ავიტამინოზის, მრგვალი და თასმა ჭიების, კანის სხვადასხვა დაავადებების, ნიკრისის ქარების დროს. ეფექტურია როგორც შარდმდენი საშუალება, ხელს უწყობს ათეროსკლეროზის დროს მარილებისა და შლაკების გამოდევნას ორგანიზმიდან, ადაბლებს არტერიალურ წნევას.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მარწყვიდან გამოხდილ წყალს ხმარობდნენ უმთავრესად სიყვითლისა და მუცლის ჭიების საწინააღმდეგოდ, გველის ნაკბენზე ადებდნენ დანაყილ ნაყოფებს; ფესურა და ფოთლები შარდმდენ საშუალებად მიიჩნეოდა.

მთელი მცენარის ნახარშს ჩაის სახით ღებულობენ გულის, ღვიძლის, თირკმელების, ნაღვლის ბუშტის დაავადებების, გაციების, მაღალი სიციხის, შარდის შეუკავებლობის, სკლეროზის, ფილტვების ტუბერკულოზის, ხველების, ჩიყვის, სისხლნაკლებობის, ნიკრისის ქარის, სურავანდის დროს.

ინვეს ალერგიულ რეაქციებს – კანის ქავილს, გამონაყრებს; არ არის რეკომენდირებული ფეხმძიმობის, მაღალი მუავიანობის გასტრიტის, ქრონიკული აპენდიციტის დროს.

გავრცელება: გავრცელებულია ევრაზიის ქვეყნებში.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის სარტყელში, ტყეებში, ტყის პირებზე, მდელოებზე, ველობებზე, ბალახოვან ფერდობებზე.

კულტივირება: ინტროდუცირებულია და ნატურალიზებული ჩრდილოეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. მრავლდება ვეგეტატიურად, ფესურების დაყოფით, პნკალებით.

Frangula alnus Mill. (Rhamnus frangula L.) - ხეჭრელი
Fam. Rhamnaceae - ოჯ. ხეჭრელისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ბუჩქი ან დაბალტანიანი ხეა. ხის ტანის და ტოტები მუქი მურაა, გლუვი, ეკლები გარეშე. ფოთლები ელიფსურია, კიდემთლიანი, მოკლე ყუნწიანი, მორიგეობით ან ირიბ-მოპირისპირედ განწყობილი. ყვავილები ორსქესიანია, უსახური, ხუთწევრიანი, შეკრებილია კონებად ფოთლების უბებში, მომწვანო-თეთრი შეფერილობის. ნაყოფი - სფერული ფორმის კურკაა, 2-3 მომწვანო-ყვითელი შეფერილობის მომრგვალო-სამკუთხა კურკიანათი. ნაყოფები შხამიანია.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს უმთავრესად ქერქი წარმოადგენს, თუმცა იყენებენ მშრალ ნაყოფებსაც; ნედლი ქერქის გამოყენება დაუშვებელია, მასში შემავალი მომწამლავი ნივთიერებების გამო, რომელიც იშლება არა ნაკლებ ერთი წლის შენახვის შემდგომ. ქერქი, ფოთლები, ნაყოფები შეიცავს ანტრაქინონებს: გლუკოფრანგულინს, ფრანგულინს, ემოლინს და იზოემოლინს, რომელთა დიდი რაოდენობა ქერქში აღინიშნება; აგრეთვე - ანტრაგლიკოზიდებს, ტრიტერპენულ გლიკოზიდებს, ქრიზოფანის მჟავას, ანტრანოლებს, ფისებს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ეთერზეთებს კვალის სახით.

ფოთლები და ნაყოფები გარდა აღნიშნულისა, შეიცავს ალკალოიდებსა და ასკორბინის მჟავას.

ქერქი მედიცინაში გამოიყენება როგორც რბილი, ამავე დროს ეფექტური სასაქმებელი საშუალება, რომლის შედეგი ვლინდება მიღებიდან 10-14 საათის შემდეგ. ხეჭრელის სასაქმებელი პრეპარატების გამოყენება ნაჩვენებია შემდეგი პათოლოგიების დროს: ბუასილი, ყაბზობა,

ნანლაგების ათონია, ანალური ნახეთქები, კოლიტი, გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯანანლაგის წყლული, რევმატიზმი, რადიკულიტი, ეგზემა, კანის ანთებები, ციება, უხვი მენსტრუაცია, მუნი, მალარია, კლიმაქსი, აჩქარებული გულისცემა, ნერვული დაავადებები, თავბრუსხვევა, სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებული კანის დაავადებები; გარდა აღნიშნულისა, ქერქის გამოყენებისას დადებითი ეფექტი გამოვლინდა სტრეპტოდერმიის, პიოდერმიის, ფურუნკულოზისა და კანის სხვა დაავადებებისას, აგრეთვე კანქვეშა ცხიმოვან უჯრედისში, სადაც შერეული მიკროფლორა შეიმჩნევა.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ ქერქის მოქმედება ნანლაგებზე, უპირველესად არის მარეგულირებელი და არა მხოლოდ სასაქმებელი, ვინაიდან მთრიმლაფი ნივთიერებები, რომელიც მის შემადგენლობაშია, კუჭის აშლილობის დროსაც იძლევა სამკურნალო ეფექტს.

არის მითითებები, რომ უძველეს ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ სასქესო ორგანოების კიბოს სამკურნალოდ (Минаева, 1970).

ხანგრძლივი დროის მანძილზე, მაღალი დოზებით ხეჭრელის პრეპარატების გამოყენებამ შეიზღება გამოიწვიოს მცირე მენჯის ორგანოების გაძლიერებული ჰიპერემია, რაც უკიდურესად საფრთხილოა ფეხმძიმეებისათვის (შეიძლება გამოიწვიოს მუცლისმონყვეტა), სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებებისას, საშვილოსნოდან სისხლდენის მიდრეკილების მქონე პირებისათვის.

გავრცელება: გავრცელებულია ევროპის ტყისა და ტყესტეპის ზონაში, მცირე და შუა აზიის ჩრდილოეთ რაიონებში, დასავლეთ ციმბირში, ყირიმის ნაწილსა და კავკასიაში.

საქართველოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის პირებზე, ტყეებში, მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, ბუჩქნარების რაყებში, მდელოებზე, ნაკაფებში, ხევებში, მთის შუა, იშვიათად ზედა სარტყელში.

კულტივირება: ჩრდილის ამტანია, უპირატესობას ანიჭებს ნაყოფიერ ნიადაგებს, თუმცა იზრდება მწირ ნიადაგებზეც, კარგად იტანს ნიადაგის მაღალ ტენიანობას.

Fumaria officinalis L. - შავთარა
Fam. Papaveraceae - ოჯ. ყაყაჩოსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი 10-30 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ვიწრო-ხაზურ სეგმენტებად რამდენჯერმე ფრთისებრ დაკვეთილი ლევა ფოთლებით. ყვავილები ზიგომორფულია, ჩვეულებრივ მონითალო ან მოვარდისფრო, უფრო ხშირად პატარა ზომის, თანაყვავილებიანი, მოკლე მტევნებად შეკრებილი. ნაყოფი ფართო-უკუკვერცხისებრია, თავჩაზნეცილი, ერთთესლიანი მომრგვალო კაკალია.

ფენოლოგია: ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ყლორტები, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. ბალახი შეიცავს: ალკალოიდებს (ამ ჯგუფში შედის - სანგვინარინი, პროტოპინი, კრიპტოკავინი, 1-ტეტრაჰიდროკოპტიზინი, აურეტენზინი, კრიპტოკარპინი), ორგანულ მჟავებს (ფუმარინის, ვაშლის, ლიმონის, ქარვის, კოფეინის, ქლოროგენის), მთრიმლავე ნივთიერებებს, ვიტამინებს K და C, ფისებს. წარმოადგენს ფუმარინის მჟავის წყაროს.

კლინიკური და ფარმაკოლოგიური გამოკვლევების თანახმად, ხასიათდება ორგანიზმზე მოქმედების ფართო სპექტრით - ანტიესპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, საერთო-გამაძლიერებელი, დიურეზული, ჰიპოტენზიური, სპაზმოლიტური, ანტიქოლერგიული, ანტიგისტამინური და ანტიფსიქიკური. შავთარას პრეპარატები ააქტიურებს ნაღვლისა და შარდის გამოყოფას, აუმჯობესებს მადას, აწესრიგებს ნახშირბადის ცვლას, ამცირებს ნაწლავებში მიმდინარე დუღილისა და სიღამპლის პროცესებს, აძლიერებს იმუნურ და ნერვულ სისტემებს.

მცენარის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ გალენი და ავიცენა უნიშნავდნენ მის პრეპარატებს ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების დაავადებებისას; მას იყენებდნენ ჰიპოტენზიურ საშუალებად, აგრეთვე დასუსტებულ და დანალღლიანებულ ადამიანებში ცენტრალური ნერვული სისტემის მცირედ აღმგზნებად. ნედლი ბალახის ნახარში შველის გულისმიერი წარმოშობის შეშუპებებს. წვენი ეფექტურია ფილტვების ტუბერკულოზის, ციებ-ცხელების, ჰემოროიდალური სისხლდენებისას; წვენივე მკურნალობენ სხვადასხვა წარმოშობის დერმატოზებს, მუნს.

ბულგარეთის ხალხურ მედიცინაში რეკომენდირებულია სიყვითლის (ჰეპატიტი), სკროპულოზის, კანის გამონაყრების, ლიქენის, ბუასილის, ფერიმჭამელების სამკურნალოდ, აგრეთვე როგორც შარდმდენი და ოფლმდენი საშუალება.

ბალახი გამოიყენება ჰომეოპათიაში, ღვიძლის დაავადებების, ნაღველ-სადინარი გზების დისკინეზიის, ქრონიკული ფორმის ჰეპატიტების სამკურნალოდ.

ჰსორილომი - იმუნომოდულირებული გომეოპათიური საშუალებაა ფსორიაზის კომპლექსურ თერაპიაში, ატოპური დერმატიტის, ნეიროდერმიტის, ეგზემების, კანის მაღალი სიმშრალის დროს.

უკუმაჩვენებლები: შხამიანი მცენარეა, ამიტომ გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს დადგენილი ნორმები.

გავრცელება: ევროპა, ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლი, კავკასია, აღმოსავლეთ ციმბირი.

საქართველოს შემდეგ კუთხეებშია გავრცელებული: აფხაზეთი, აჭარა, ქართლი, ქვემო ქართლი.

შაბიტატები: სარეველაა, იზრდება ნათესებში, რუდერალურ ადგილებზე მთის შუა სარტყლამდე.

Glaucium flavum Crantz.- ყვითელი ყაყაჩურა
Fam. Papaveraceae - ოჯ. ყაყაჩოსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 20-50 სმ სიმაღლის, შიშველი, ლევა ფერის; ფოთლები ჩანგლისებრ-ფრთისებრ განკვეთილია, ფესვთანური ფოთლები ურთიერთმიახლოვებული ნაკვეთებითაა, რომლებიც თითქმის ფარავენ ერთმანეთს, ხშირად შეხუსულია დაკლაკნილი თეთრი ბენვებით. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ტყავისებრი, ღრმად დაკბილული, ზედა ფოთლები ღერომხვევია, უხვად მოფენილია სადგისისებრი ჯაგრით. კოკრები შიშველია ან სადგისისებრ-ჯაგრიანი, გვირგვინის ფურცლები ყვითელია ან ნარინჯისფერი, 1-3 სმ დიამეტრის. კოლოფი ჭოტისებრია, 15-25 სმ- მდე სიგრძის, სწორი, გრძელყუნწიანი.

ფენოლოგია: ყვ. V; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ყაყაჩურას მიწისზედა ყლორტები; ამზადებენ ვეგეტაციის პირველ და მეორე წელს სამჭერადად: ღეროს ამოსვლის, კოკრიანობისა და ყვაელობის პერიოდში.

ბალახი შეიცავს აპომორფული ჯგუფის იზოქინოლოურ ალკალოიდებს (15-ზე მეტი სახის), მათ შორის უმთავრესი - გლაუცინია. ნედლეული გამოიყენება პრეპარატ „გლაუცინის ჰიდროქლორიდის“ დასამზადებლად, ხასიათდება ხველების სანინალმდგო, სპაზმოლიტური ჰიპოტენზიური, ანალგეტიკური, ადრენოლიტური მოქმედებით. გამოიყენე-

ბა I და II სტადიის ჰიპერტონიისა და ენდარტერიტის (არტერიების შიდა გარსის ანთეზა) სამკურნალოდ. კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა მაღალი თერაპიული ეფექტურობა სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას (ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, კრუპოზული პნევმონია, ფილტვების აბსცესი, ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზი, ექსუდატური პლევრიტი). გლუკონის ხველების საწინააღმდეგო მოქმედება სიძლიერით და ხანგრძლივობით კოლდინზე ეფექტურია და მისგან განსხვავებით არ იწვევს მიჩვევას.

უკუჩვენებები: არტერიული ჰიპოტენზია, მიოკარდიუმის ინფარქტი; გვერდითი მოვლენებია - თავბრუსხვევა.

გავრცელება: ატლანტურ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა; მისი არეალი მოიცავს ზღვისპირა სანაპიროებს ევროპაში, წინა აზიასა და ჩდილოეთ აფრიკაში.

საქართველოში გვხვდება აფხაზეთში, აჭარაში, ქართლში.

ჰაბიტატები: სინათლის მოყვარული მცენარეა, იზრდება კარგი დრენაჟის მქონე, დაუკორდებელ ნიადაგებზე, ზღვისპირა ქვიშებზე, ზღვის გასწვრივ და ასევე ზღვისკენ მიმართულ ქვა-ლორღიან ფერდობებზე, ზღ.დ. 700 მ-მდე, გაფანტულად, უპირატესობას ანიჭებს სუსტ ტუტე ნიადაგებს.

კულტივირება: კულტივირებულია სამკურნალო და დეკორატიული მიზნით. მრავლდება თესლით; თესვა ტარდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში სტრატეფიკირებული თესლით 1 სმ სიღრმეზე. პირველი აღმონაცენი მე-10-11-ე დღეს ჩნდება, მასიური-უკვე მე-15-ე დღიდან; ჯგუთვა უნდა მოხდეს ნამდვილი ფოთლის გაჩენამდე, ვინაიდან შემდეგ გადარგული აღმონაცენების უმეტესობა იღუპება. უმჯობესია თესვა ჩატარდეს უშუალოდ ღია გრუნტში, ქვიშა და ნაკელაშერეულ ნიადაგზე. სიცოცხლის პირველ წელს, აღმოცენებიდან 8-9 კვირის შემდეგ ვითარდება მხოლოდ ფესვთანური ფოთლები. სიცოცხლის მეორე წელს -გენერაციული ორგანოები.

ვეგეტაციის პერიოდში მოვლა მდგომარეობს სარეველებისაგან გასუფთავებაში, გაფხვიერებასა და ზომიერ მორწყვაში.

Glycyrriza glabra L. - ძირტკბილა
Fam. Fabaceae (Leguminosae) - ოჯ. პარკოსანნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი ფესურითა და სწორმდგომი 1,5 მ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფესვები უსუნოა, ხოლო გემო მეტისმეტად ტკბილია, რაც გამოწვეულია მასში არსებული გლიკოალკალოიდ გლიცირიზინის 4-6%-მდე შემცველობით – ნივთიერება, რომელიც 150-ჯერ ტკბილია შაქარზე. ღერო რამდენიმეა, სწორმდგომი, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, შებუსული. ფოთლები მორიგეობითა, კენტფრთართული, შედგება 2-10-მდე ოვალური ან მოგრძო კვერცხისებრი, კიდემთლიანი წანვეტებული ფოთოლაკებისაგან, დაფარულია წერტილოვანი წებოვანი ჭირკვლებით. ყვავილები შეკრებილია უბისეულ მტევნებად, ყვავილი მოთეთრო-იისფერია. ნაყოფი ტყავისებრი ჭოტია, 2-6-მდე თესლით, რომლებიც თირკმლისებრია პრიალა, მომწვანო-ნაცრისფერი ან მურა შეფერილობის.

ფენოლოგია: ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: გამოიყენება კვებით მრეწველობაში – ექსტრაქტებში, სიროფებში, შაქრის სუროგატის სახით, შედის მატონიზირებელი და ქაფნარმომქმნელი უალკოჰოლო სასმელების (ძირტკბილას ექსტრაქტი – ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კოკა-კოლასა და პეპსი-კოლაში), ლუდის, ბურახის შემადგენლობაში; ვარგისია ყავის, კაკაოს, მარინადების, კომპოტების, კისელების, ცომეულის, კანფეტების, ხალვის ნაწარმში. იყენებენ გემოვნების გასაუმჯობესებლად თევზგულის

დამუშავებისას, უმატებენ შავ და მწვანე ჩაის. ცირკიზმით ჩაის სუროგატია; იაპონიაში გამოიყენება საკვების ანტიოქსიდანტური დანამატის სახით. ბაქტერიციდული და ფუნგიციდური თვისებებიდან გამომდინარე ეგვიპტესა და იაპონიაში უმატებენ საკვებ პროდუქტებსა და სასმელებს. ფოთლები ჩაის სუროგატია. თესლები შედის სუროგატული ყავის შემადგენლობაში.

სამკურნალო ნედლეული ფესვებია, შედგება მთავარი ფესვის (ზოგჯერ რამდენიმე მ სიგრძისას) და მისგან ჰორიზონტალურად განვითარებული ფესურებისაგან. ხასიათდება მკვეთრად გამოხატული სამკურნალო თვისებებით.

ციმბირელი მეცნიერები სწავლობდნენ რა ტიბეტურ ნედლეულს, მოახდინეს რამდენიმე ათასი რეცეპტის გაანალიზება. გამოიკვია, რომ ძირტკბილას სამკურნალო თვისებებით გამორჩეულ სხვა მრავალ მცენარეებს შორის, სამკურნალო ხარისხით პირველი ადგილი უკავია და ბევრად უსწრებს სხვებს. საინტერესოა, რომ ცნობილ ჟენშენს მხოლოდ მე-15 ადგილი ერგო. ტიბეტურ მედიცინაში ძირტკბილა შედიოდა ყველა ნაკრების 98%-ის შემადგენლობაში.

მიეკუთვნება რა უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს, ჩინეთში წარსულშიც და ეხლაც განსაკუთრებით დაფასებულია. მსოფლიოში პირველი ადამიანი, რომელმაც შეაგროვა და გამოაქვეყნა ცნობები ძირტკბილაზე იყო ლეგენდარული ჩინელი თავადი შენ-ნუნი (3 ათასი წლის წინათ ახ.წ.-აღ.-მდე, “ნიგნი ბალახებზე”). ლეგენდის თანახმად, ის სწავლობდა და ცდიდა სხვადასხვა მცენარის მოქმედებას ადამიანზე. ჩინელი ექიმების თანახმად ძირტკბილას ფესვი აძლიერებს და აახალგაზრდავებს ორგანიზმს; დღესაც ჩინურ ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება როგორც ამოსახველებელი, შემომგარსავი და სუსტი საფალარათო, მშრალი ბრონქიტისა და ფილტვების ტუბერკულოზის, კუჭისა და თორმეტგოჯანწლავის წყლულის სამკურნალოდ, შხამსაწინააღმდეგოდ ხორციითა და თევზით მონამლევისას. მას თითქმის ყველა წამალს უმატებენ. როგორც ჩინური, ასევე ტიბეტური მედიცინა აღნიშნავს ძირტკბილას პრეპარატების მძლავრ გამაძლიერებელ ეფექტს, განსაკუთრებით ბავშვობისა და ხნიერ ასაკში. ტიბეტური მედიცინის უმთავრეს სახელძღვანელოში (“ჟუდ-ში”) მითითებულია, რომ მისი პრეპარატები ორგანიზმს ანიჭებს გაფურჩქნილ

ახალგაზრდულ იერს, ხელს უწყობს დიდი ხნით სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მის მიმართ გულგრილები არ იყვნენ ინდოეთში, საბერძნეთსა და რომში. შუა საუკუნეებში ძირტკბილას სამკურნალო სიკეთეებს აღწერდა ავიცენა, გამსაკუთრებით გამოჰყოფდა ფესვების წვეს და მიაჩნდა, რომ ის ამაღლებს მამაკაცების პოტენციას.

ფესვები შეიცავს გლიცირიზინის მჟავას და კალიუმისა და კალციუმის მარილებს, 27 სახის ფლავონოიდებს, 20%-მდე შაქრებს (გლუკოზა, სახაროზა), 3% მწარე ნივთიერებებს, 4% ფისებს, 20% სახამებელს, ეთერზეთებს, საღებავ ნივთიერებებს, ვიტამინებს – 30 მგ% ასკორბინის მჟავას, კაროტინს, მთრიმლავე და ლორწოვან ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (ძირითადად ვაშლის), ცილებს, ასპარაგინსა და სხვა შენაერთებს. ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტიმიკრობული და ანტივირუსული მოქმედებით.

ფესვი მცირედ ტოქსიკურია, ეფექტური საშუალებაა მრავალი დაავადების მკურნალობისას: რევმატიზმის, ბრონქიალური ასთმის, კანისა და თვალის დაავადებების, კუჭისა და თორმეტგოჯანწლავის წყლულის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული ანთებითი მდგომარეობის (განსაკუთრებით კუჭის წვესის მაღალი მჟავიანობის) დროს.

ძირტკბილას პრეპარატებს ოფიცინალური და ხალხური მედიცინის მკურნალები (ნახარშების, ნაყენების, ექსტრაქტების სახით) იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადებებისას, როგორც ამოსახველებელ, დამარბილებელ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებას ბრონქიტისა და ფილტვების დაავადებებისას. შველის შარდის ბუშტში კენჭებს და აღისონის დაავადებას, ხსნის ქრონიკულ დაღლილობას, აღადგენს ნერვული სისტემის მოქმედებას; გამოიყენება აგრეთვე მჭამელას, ეგზემის, რევმატიული ართრიტის, ჭინჭრის ციების, ღვიძლის დაავადებებისა და დაბალი წნევის დროს. სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტის დროსაც.

ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ ფილტვების კიბოს სამკურნალოდ; მეცნიერულ მედიცინაში აღნიშნულს ხსნიან ფესურაში კუმარინების მაღალი შემცველობით.

არ არის რეკომენდირებული მისი მიღება ჰიპერტენზიის, შეშუპებისა და არითმიის დროს; ხოლო გადაჭარბებული მიღება იწვევს თავბრუსხვევას, გულის რევას, სახსრების პრობლემას.

გავრცელება: ევროპული სახეობაა; ბუნებრივად გავრცელებულია საფრანგეთში, იტალიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ჩრდ. კავკასიაში

საქართველოში გავრცელებულია ზემო ქართლში, კახეთში, ქიზიყში, გარე კახეთში, გარდაბანსა და ქვემო ქართლში.

ჰაბიტატები: იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, უდაბნოსა და ტრამალის მცენარეულობაში, უპირატესად მდინარისპირა ზოლში.

კულტივირება: კულტივირებულია ზომიერი კლიმატის მთელ რიგ რაიონებში.

Hamamelis virginiana L. - ჰამამელისი

Fam. Hamamelidaceae - ოჯ. ჰამამელისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ბუჩქი ან მცირე ზომის ხეა ფაშარი ვარჯითა და ზევით ამვერილი გაფარჩხული ტოტებით, მონაცრისფრო-მურა ძველი ქერქითა და ბაცი ნაცრისფერი ახალგაზრდა ყლორტებით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანები, დაკბილული, წანვეტებული, ზედა მხარეს მუქი მწვანეა, მურა ფერის ბეწვებით შემოსული, ქვედა მხრიდან შიშველია, მოყვითალო-მწვანეა. ყვავილები ვითარდება კონებად, ოქროსფერ-ყვითელია. კოლოფი - ბაცი მურა ფერისოვალური კოლოფია, თესლი შავია მოგრძო.

ფენოლოგია: ყვ. IV-VI; ნაყოფი მწიფდება მომავალი წლის ზაფხულში.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ტოტებისა და ფესვების ნედლი ქერქი. შეიცავს გლიკოზიდ ჰამამელიტანინს, რომელიც იხლიჩება გალის მუჯად და ჰამამელობად; აგრეთვე - კვარციტინს, ფლობათენს, ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია პალმიტინის და ოლეინის მუჯავები, ფიტოსტერინი, მთრიმლაფი ნივთიერებები, ფლავო-

ნოიდები. სულ რაღაც მინიმალური დროის განმავლობაში ამცირებს სისხლდენებს, ხსნის ანთებით პროცესებს, ახორცებს ფართო და ღრმა ჭრილობებს. გამოიყენება, როგორც შემკვრელი საშუალება სისხლიანი ფაღარათის, შინაგანი სისხლდენების, ჰემოროიდალური ტანჯვის შემთხვევაში.

ჰამამელისის ექსტრაქტი სასარგებლოა კანის ანთების, გამონაყარების, ვენების ვარიკოზული გაფართოებისას; ამცირებს თვალქვეშა შესიებულ პარკებს, ავინროებს კანის ფორებს და ამცირებს ცხიმინაობას. მის ამ თვისებებს იყენებენ დერმატოკოსმეტოლოგიაში სახის გაფართოებულ სისხლძარღვების ბადის კორექციისათვის.

ფართოდ გამოიყენება ჰომეოპათიაშიც, როგორც შინაგანად, ასევე გარეგანი დანიშნულებით. დამტკიცებულია, რომ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ვენების ვარიკოზული გაფართოების, ტრომბოფლებიტის, სისხლმდენი ბუასილის დროს. ეფექტურია ყველანაირი ჭრილობებისა და ჩირქოვანი წარმონაქმნების მიმართ, ყელისა და პირის ღრუს ანთებითი პროცესებისას. არის საუკეთესო ჰემოსტატიკური საშუალება სხვადასხვა ორგანოებიდან სისხლდენებისას, რასაც თან ახლავს ტკივილები და სისუსტე. წარმატებით გამოიყენება გინეკოლოგიურ და ქირურგიულ პრაქტიკაში.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპირზე, კავკასიაში.

ჰაბიტატები: იზრდება ტყეებში, მდინარეების ნაპირებზე.

კულტივირება: ევროპის ქვეყნებში მოჰყავთ „საათვითაქო ბოსტნებში“.

Helleborus caucasicus A.Br. - კავკასიური ხარისძირა
Fam. Helleboraceae - ოჯ. ხარისძირასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარე, სუსტად შეფოთლილი 20-40 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვთანური ფოთლები გრძელ ყუნწებზეა, ტყავისებრი, შიშველი, თათისებრ გაყოფილი ფართოლანცეტა ან ფართო ელიფსურ ნაკვეთებად, ფუძესთან სოლისებრ შევიწროებულია და კიდევზე მსხვილ ორმაგხერხებილა. ყვავილები დიდი ზომისაა 5-8 სმ დიამეტრის, ყვავილსათრის ფოთლები მომწვანო-მოყვითალო-მოთეთროა, ხშირად ყვავილობის შემდეგ მწვანდება. სანექტრეები მწვანეა, თითქმის ორტუჩა. თესლები შავია, პრიალა, ნაოჭიანი.

ფენოლოგია: ყვ. I-IV; ნაყ. V-VI.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა ფესვებითურთ. აგროვებენ გვიან შემოდგომაზე. აშრობენ - ჰაერზე, ჩრდილში, ან საშრობებში, 35-40° C ტემპერატურაზე. შეიცავს საგულე გლიკოზიდებს: დემგლიკოგენს, კოლერბორინ K და კოლერბორინ P, ალკალოიდებს, რანუნკულინს, პროტოანემონილს.

გვარი ხარისძირას სახეობებს, როგორც სამკურნალო საშუალებას, უძველესი დროიდან იცნობდნენ. მას ჯერ კიდევ პლინიუსი მოიხსენიებს, ნახსენებია აგრეთვე VII საუკუნის ფრანგი ეგზარხოსის იოანეს შრომებში. დავით ბაგრატიონის (1985) „იადიგარ დაუღში“ მოცემულია ხარისძირა, როგორც თიაქარისა და ყურის ტკივილის სამკურნალო საშუალება. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის (1978) „კარაბადინში“ მოყვანილია ხარისძირა, რომელიც „მხურვალ არს და გამღებელი შავისა ნაღველისა და თელგამისა და გამწმენდელი სტომაქისა და გამრეცხელი“. გამოიყენებოდა, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, მონამგლის სანინალმდეგო საშუალება, აგრეთვე „ნამალი გულისა და ფერდთა ტკივილისა, რომე სიგრილისაგან და ბალღამისადაც იყოს“.

ხარისძირაში შემავალი საგულე გლიკოზიდები (ჰელებორინი და ჰელებორინი) მოქმედებს ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე, აძლიერებს მიოკარდიუმის შეკუმშვის უნარს, გააჩნია მნიშვნელოვანი კარდიოტონური აქტივობა. გლიკოზიდების გავლენით მცირდება მადა, აქვს დამამშვიდებელი მოქმედება. გამოიყენება ჭარბწონიანობის მძიმე ფორმის, სისხლის მიმოქცევის დარღვევის, გულის ქრონიკული უკმარისობის დროს. ძმარში მოხარშული ფესვები გარე-

განად იხმარება ჩირქოვანი ჭრილობების ჩამოსაბანად. აგრეთვე თმის ცვენისა და ქერტლის საწინააღმდეგოდ (შეგელია, 1985).

მცენარის ფესვი და ფესურა შხამიანია!

გავრცელება: ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, კოლხური, რელიქტური სახეობაა, ირადიაციებით.

საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურია - აჭარაში, ქართლ - კახეთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: ტყის მებოფილური სახეობაა, იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში.

კულტივირება: ხარისხირას მოშენება შესაძლებელია მისი ბუნებრივი გავრცელების რაიონებში, ხეების ჩრდილში, ვეგეტატიურად - ბუჩქების დაყოფით ან ახლადმეგროვილი თესლით. 20-30 სმ სიღრმეზე მოხნულ, დაფარცხულ, ორგანული ნივთიერებებით გამდიდრებულ ნიადაგზე თესვენ 1 სმ-ის სიღრმეზე, შემოდგომაზე, აღმონაცენი გაზაფხულზე წარმოიქმნება. ზრდა-განვითარების მთელ პერიოდში საჭიროებს სარეველებისაგან გასუფთავებას და რიგთაშორის გათოხნას. ყვავილობს სიცოცხლის მესამე წელს. ბუჩქების დაყოფით ამრავლებენ ყვავილობის დამთავრებისთანავე, რგავენ - 15-20 სმ-ს დაცილებით, 7-10 სმ სიღრმეზე ორგანული სასუქებით მდიდარ ნიადაგზე. დაყოფით გამრავლებული მცენარეები ყვავილობენ მეორე წელს. თესლით გამრავლებულები მე-3-4 წელს.

Helichrysum arenarium (L.) Moench. - უკვდავა, ნეგო

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, ქეჩისებრშებუსული ბალახოვანი მცენარეა 40-50 სმ-მდე სიმაღლის, სწორმდგომი დაუტოტავი ღეროებით. ფოთლები კიდემთლიანია, ქვედა - მოგრძოუკუკვერცხისებრი, მოკლე ყუნით, ზედა - მჯდომარე, ხაზურ-ლანცეტა. ყვავილები სფერული კალათებია, შეკრებილია ხშირ ფარისებრ საგველა ყვავილედად. საბურველის ფოთოლაკები აპკისებრია, მშრალი, ლიმონისფერ-ყვითელი, იშვიათად ნარინჯისფერი. კალათებში ნაპირა ყვავილები მცირერიცხოვანია, ძაფისებრ-მილისებრი, ბუტკოიანი, ერთრიგადაა განწყობილი; შუათანა - ორსქესიანია, მილისებრი, ხუთკბილიანი; გვირგვინი ნარინჯისფერია, ზედა ნაწილში ოქროსფერი ჯირკვლებით მოფენილი. ნაყოფი თესლურაა, მოგრძო ქოჩრით, ჯირკვლებითაა მოფენილი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ყვავილები (ყვავილედი-კალათა) წარმოადგენს. შეიცავს ეთერზეთებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, სტერინულ შენაერთებს, საღებავებს.

მედიცინაში გამოიყენება ქოლეცისტიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ჰეპატიტის, დაბალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტის, კოლიტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებისას /Землинский, 1951/.

გავრცელება: ევროპულ-კავკასიური სახეობაა.

საქართველოში აღნიშნული სახეობა არ გვხვდება; აქ მოზარდი სხვა სახეობები, იდენტური მნიშვნელობით ხასიათდებიან.

ჰაბიტატები: ქსეროფიტია, სინათლის მოყვარული; იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზემამდე, მშრალ, ღორღიან და ქვიან ფერდობებზე, მდელოებზე, სამხრეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე, ძირითადად მჟავე, ფოსფორითა და კალიუმით ღარიბ ნიადაგებზე.

კულტივირება: უკვდავას მოშენება შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ და სუბარიდულ რაიონებში. მრავლდება თესლით. თესვა შესაძლებელია, როგორც გვიან შემოდგომით, ასევე ადრე გაზაფხულზე.

Hippophae rhamnoides L. - ქაცვი
Fam. Elaeagnaceae - ოჯ. ფშატისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მცირე ზომის ხეა ან დიდი ბუჩქი 4-5 (იშვიათად 6-8) მ სიმაღლის, მახვილი, მაგარი 2-7 სმ სიგრძის ეკლებით. ახალგაზრდა ყლორტები ვერცხლისფერია. ფოთლები მორიგეობითია, ხაზურ-ლანცეტა. ყვავილი წვრილია, გაყოფილსქესიანი, განლაგებულია გასული წლის ყლორტებზე და ეკლების უბეებში. ნაყოფი წვნიანი კურკაა, ნარინჯისფერი ან წითელი, სფერული ან ელიფსური, პრიალა, მუქი ყავისფერი კურკით.

ფენოლოგია: ყვ. V; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: მნიშვნელოვანი ხეხილოვანი კულტურაა, ნაყოფები შეიცავს დიდი რაოდენობის პროვიტამინ A-ს (11 მგ %), ვიტამინებს: B₁ (0,035 მგ-მდე %), B₂ (0,56 მგ-მდე %), B₆ (0,79 მგ-მდე %), C (316 მგ-მდე %), E (8 მგ-მდე %), ცხიმოვან ზეთებს (9 მგ%-მდე ნაყოფების რბილობაში და 12 მგ% - კურკაში), რომელმაც მედიცინაში ჰპოვა გამოყენება. ზეთებში აღინიშნება 350 მგ% კაროტინი და კაროტინოიდები, 165 მგ% ვიტამინი E და მნიშვნელოვანი რაოდენობის ვიტამინი F, რომელიც არეგულირებს კანის ნივთიერებათა ცვლის პროცესს, შაქრები (6,6 მგ%-მდე), ორგანული მჟავები (2,5 მგ%-მდე), მთრიმლავი ნივთიერებები და ფლავონოიდები, ფიტონციდები.

ქაცვის ზეთი ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიოციდული, ანტიმიკრობული, ანტისკლეროტული, დაზიანებულ ქსოვილებში აღდგენითი პროცესების მასტიმულირებელი (მათ შორის ღვიძლის უჯრედებში ალკო-

პოლური ინტოქსიკაციის შემდეგ), ცხიმების ცვლის მარეგულირებელი, კუჭის წვენის სეკრეციის შემამცირებელი, ანტიათეროსკლეროზული მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება გინეკოლოგიურ პრაქტიკაში (სამვილოსნოს ყელის ეროზიის), შინაგანი ორგანოების ქსოვილების დაზიანების, დამწვრობის, ეგზემის, ძნელად შესახორცებელი კანის წყლულების, კუჭ-ნაწლავისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, კოლიტის, ენტეროკოლიტის, ჰაიმორიტის, პულპიტის, კანის სხივური დაზიანებისას და როგორც პროფილაქტიკური საშუალება საყლაპავი მილის წყლულოვანი გარსის კიბოს სხივური თერაპიის დროს ღეგენერატიული ცვლილებების შესამცირებლად; ეფექტურია წვრილი და მსხვილი ნაწლავების ქრონიკული ანთებითი პროცესებისას. ზეთი ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, აუმჯობესებს ავადმყოფის საერთო მდგომარეობას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას, სტენოკარდიული შეტევების სიხშირეს. ნაყოფები და წვენი გამოიყენება კომპლექსურ მკურნალობაში ტოქსიკური ჰეპატიტით დაავადებულთათვის. საუკეთესო საშუალებაა ჰიპო და ავიტამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის, კუჭის აშლილობისას.

ქაცვის ზეთს ამზადებენ შემდეგი წესით: მწიფე ნაყოფისაგან წურავენ წვენს. წვენის გამოდევნის შემდეგ დარჩენილ მასას აპრობენ, აქუცმაცებენ და ასხამენ მცენარეულ ზეთს (თანაფარდობით 1:1,5 -წონით), აჩრებენ დახურულ ჭურჭელში ოთახის ტემპერატურაზე 3 კვირის განმავლობაში, თან პერიოდულად ურევენ. გადაწურვის შემდეგ, თხევად მასას შემდგომ ინახავენ თავსახურიან მუქ ჭურჭელში.

ქაცვის ზეთის მიღება არ შეიძლება მწვავე ქოლევსისტიტის, ჰეპატიტის, პანკრეატიტისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებებისას; ასევე ნაყოფები უკუმაჩვენებელია ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობის, ჰიპერაციდური გასტრიტის დროს.

გავრცელება: გავრცელებულია ევროპის მთელ ტერიტორიაზე, კავკასიაში, დასავლეთ და შუა აზიაში, მონღოლეთში, ჩინეთში, აღწევს პაკისტანისა და ინდოეთის ტროპიკული რაიონების ტერიტორიებს.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება მდინარეების ნაპირებზე დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე.

კულტივირება: ნაყოფებისა და ქაყვის ზეთის უნიკალური სამკურნალო თვისებების გამოვლენისა და ვიტამინების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, XX ს-ის შუა პერიოდიდან სხვადასხვა ქვეყნებში იწყება მისი ფართო კულტივირება. სინათლის მოყვარული და ყინვაგამძლე მცენარეა, იტანს - 45 გრადუსამდე ყინვებს. უპირატესობას ანიჭებს ფხვიერ ნიადაგებს, მდიდარს ორგანული ნივთიერებებით და ფოსფორით. org/wiki/Облепиха_крушиновидная

Hydnocarpus kurzii (King) Warb. - ჰიდნოკარპუსი ან ჩაულმუგრა
Fam. Flacuortiaceae - ოჯ. ფლაკურტიცებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე ორსახლიანი ხეა. ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრია, ელიფსური. ყვავილები ნარინჯისფერ-ყვითელია, შეკრებილია ნახევრად-ქოლგისებრ ყვავილედებად, ფოთლების უბეებშია განწყობილი. ნაყოფი სფერულია, სქელი რბილი ქერქით (ფორთოხლის მსგავსი), 6-8 სმ დიამეტრის, ნარინჯისფერი.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: ნედლეულს თესლები წარმოადგენს, შეიცავს 38% ცხიმოვან ზეთებს. თესლებიდან ცივი დაპრესვის მეთოდით მიიღება ე.წ. ჩაულმუგრას ზეთი, გამჭვირვალე ყვითელი მასა, რომლის გაღობის ტემპერატურაა 22-26°C, კარგად იხსნება ეთილის სპირტში. შეიცავს გლიცერიდებს, გაუჯერებელ მჟავებს, რომლისგანაც უმთავრესია ჩაულმუგრის, ჰიდნოკარპის, გორლიკის მჟავები და მათი ჰომოლოგები: ალფერამიკის, ალფეროლიკის, ალფერესტიცის, ალფერილიკის მჟავე-

ბი; ზეთი შეიცავს აგრეთვე ოლეინის, პალმიტინის, სტეარინის თავისუფალ მჟავებს და მათ გლიცერიდებს - ტრიპალმიტინს, და სტეარეოლიპალმიტინს.

ჩაულმუგრას ზეთი წარმოადგენს სპეციფიურ საშუალებას მჟავები-სადმი მდგრადი კეთრის გამომწვევი ბაქტერიების მიმართ; აფერხებს ტუბერკულოზის მიკობაქტერიების ზრდას; ამ ზეთისადმი მგრძობიარეა ძაფოვანი პარაზიტული სოკო, რომელიც იწვევს ფრჩხილებისა და ქუსლის დერმატომიკოზებს; არის ანტისეპტიკი; იწვევს შემახორცებელ და მარეგენირებელ მოქმედებას; ხასიათდება მაღალი ლიპოდიური აქტივობით.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: კეთრი (განსაკუთრებით სანყის სტადიაში), ტუბერკულოზი, ტრაქომა, იშიაზი, რევმატიზმი, ფსორიაზი, ფილიაროზი (სპილოს დაავადება), ქუსლების ეპიდერმოფიტია, ფრჩხილების ეპიდერმოფიტია, კანის სხვადასხვა დაავადებები (ეგზემა, მუნი, ლიქენი), ჭრილობები, წყლულები, სიმსუქნის პროფილაქტიკა, თმის ზრდის სტიმულირებისათვის და სხვ. კოსმეტიკაში იხმარება მგრძობიარე და გაღიზიანებული კანის მოსავლელად, აგრეთვე ასაკის სანინააღმდეგო საშუალებებში, კანის პიგმენტაციისა და კანის მიკროფლორის ნორმალიზაციისათვის.

ჩაულმუგრას ზეთი და ექსტრაქტი ფართოდ გამოიყენება აიურვედას მედიცინაში. თანახმად აღმოსავლურ-ინდური ლეგენდისა ბენარესის მეფე კეთრით დაავადდა, ხალხს განერიდა და ჯუნგლებს მიაშურა. იქ ბალახებითა და სხვადასხვა ნაყოფებით იკვებებოდა და, განიკურნა ჰიდნოკარპუსის ნაყოფებით. ტროპიკების მრავალ ოლქში ამ მცენარის ზეთი ერთადერთი საშუალებაა კეთრის სამკურნალოდ.

უკუქმედება: არის მონაცემები ზეთის ტოქსიკურობის შესახებ, ამიტომ გამოიყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული არეალის ფარგლებში.

Hyosciamus niger L. – ლენცოფა
Fam. Solanaceae ოჯ. - ძალღეურძენასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 30-100 სმ სიმაღლის. ფესვი დატოტვილია, მთავარღერძა. ღერო სწორმდგომია, ღრუ, დატოტვილი ან მარტივი, რბილი ბენვით უხვად მოფენილი; ღეროსეული ფოთლები მორიგეობითია, მჭდომარე, მოგრძო-ოვალური, რბილი, წებოვანი, ღრმად ამოკვეთილ-დაკბილული, თითქმის ფრთისებრ ოთხ-ხუთმაგ დაკბილული, ზედა მხარეს მუქი მწვანე, ქვედა მხარეს - მონაცრისფრო-მწვანე. ყვავილები საკმაოდ მსხვილია, შეკრებილია ღეროსა და ტოტების წვეროვებზე, ცალგვერდა ხვეულებად. გვირგვინი ხუთნაკვთიანია, ჭუჭყისფერყვითელი, მუქი იისფერი ძარღვებით., ძირში მუქი იისფერი. ნაყოფი - ორბუდიანი, კვერცხისებრი კოლოფია, იხსნება ხუფით; თესლი წვრილია, მურა-ნაცრისფერი.

ფენოლოგია: ყვ. VI-X; ნაყ. VIII-XI.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს, სიცოცხლის პირველ წელს აგროვებენ ზაფხულის ბოლოს, მეორე წელს ყვავილობის დაწყებამდე. მცენარის მთავარ მომქმედ საწყის წარმოადგენს ტროპანული რიგის ალკალოიდები - ჰიოსცამინი, სკოპოლამინი, ატროპინი, აგრეთვე, ალკალოიდები - ჰიოსცინიპირინი, ჰიოსცერინი, ჰიოსცირეზინი, აღინიშნება მინარევების სახით ეთერზეთები, ცილები, შაქრები, ფისი, მინერალური მარილები, მთრიმლავი ნივთიერებები. უძველეს სამკურნალო მცენარეების რიცხვს მიეკუთვნება. მისი პრეპარატები ახდენს ნაწლავების, ნაღვლის ბუშტის, შარდსადინარი გზების გლუვი მუსკულატურის სპაზმების შემცირებას, მოქმედებს ბრონქების გლუვ კუნთებზე, ამუხრუჭებს ლორწოვანი სითხის, ნერწყვის, ლორწოსა

და კუჭის წვენის გამოყოფას. ოფიცინალური მედიცინა იყენებს ლენცოფას პრეპარატებს. ექსტრაქტს - როგორც სპაზმების სანინალმდევო და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას; ატროპინს - კუჭისა და თორმეტგოჯანანლავის წყლულის, ბრონქიალური ასთმის, ნაწლავებისა და ნაღვლის ბუშტის სადინარების სპაზმური მდგომარეობის დროს. ჰიოსციამინი აქტივობით აჭარბებს ატროპინს; სკოპოლამინი განსხვავებით ატროპინისაგან, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ქირურგიაში იყენებენ ნარკოზისათვის მოსამზადებლად. შედის პრეპარატ „აერონის“ შემადგენლობაში, იხმარება ზღვის ავადმყოფობის პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ. ფოთლები შედის ანტიასმატური მოსაწვევი ნაკრების შემადგენლობაში. თესლებისაგან მიღებული ე. წ. „თეთრი ზეთი“ სკიპიდართან და ქლოროფორმთან ერთად გამოიყენება დასაზველად რევმატიზმისა და ნევრალგიური ტკივილებისას (ადგილობრივი გამაუმტკივნეული მოქმედების გამო). რექტალური სანთლების სახით გამოიყენება მსხვილი ნაწლავის, შარდსადინარი გზების, საშვილოსნოს ყელის გლუვი მუსკულატურის მტკივნეული სპაზმების შესამცირებლად.

ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან იხმარება, როგორც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი და ანტისპაზმოლიტური საშუალება; ფოთლებს იყენებდნენ თავის ტკივილის, ხველების, ბრონქიალური ასთმის, კუჭის სპაზმის, გართულებული მომარდვის, ტკივილიანი მენსტრუაციის, უძილობისა და ისტერიის დროს. თესლებისაგან დამზადებულ მაღამოს იყენებდნენ ძვლის ტუბერკულოზის დროს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა როგორც ტკივილის დამაყუჩებელი ცოფის, ავი ზნისა და კრუნჩხვითი ტკივილების სანინალმდევო საშუალებად. ლენცოფას ორთქლის აბაზანას უკეთებდნენ უშვილო ქალებს, ხოლო მთლიანი მცენარისაგან მოხარშულ ფაფას სიმსივნის ჩასაცხრობად შემოადებდნენ.

მცენარე ძლიერ შხამიანია! ყველა პრეპარატი მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, რის გამოც მიღებისას უკიდურესი სიფრთხილეა საჭირო, მიიღება მხოლოდ ექიმის გამოწერით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ.

გავრცელება: პალეარქტიკული სახეობაა.

საქართველოში გავრცელებულია: აფხაზეთში, იმერეთში, აჭარასა და ქართლში.

ჰაბიტატები: თერმოფიტია, იზრდება განათებულ ადგილებში, გზის პირებზე, ლიანდაგების გასწვრივ, მდინარეთა ნაპირებზე, დანაგვიანებულ ადგილებში, ნათესებში, ნაჩხატებში, საქონლის სადგომებთან, იშვიათად ბალ-ბოსტნებში, მცირედ მოძრავ ნაშალებზე, ქვედა სარტყლიდან ტყის ზედა სარტყლამდე.

კულტივირება: მაღალ მოსავალს იძლევა ნაყოფიერ, კარგი ღრენაჟისა და სუსტ მჟავე რეაქციის მძიმე ნიადაგებზე. ნიადაგი მოსავლის აღების შემდეგ ინმინდება ნარჩენებისაგან, იხვნება 20-25 სმ სიღრმეზე, წარმოებს ორჯერადი კულტივირება და ფარცხვა. თუ მიწა დატკეპნილია, თესვის წინ ხდება 8-10 სმ-ზე მიწის კულტივირება. მცენარეში ალკალიიდების დაგროვებას ხელს უწყობს აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქები. სასუქების შეტანა ძირითადად ხდება შემოდგომით: 30-40ტ/ჰა გადამწვარი ნაკელი და 60 კგ/ჰა სუპერფოსფატი. თესვის დროს რიგთაშორისებში შეაქვთ გრანულირებული სუპერფოსფატი 6-8კგ/ჰა. ზაფხულში ორი თვით ადრე მოსავლის აღებამდე ხდება მცენარის გამოკვება ამიაკის გვარჯილით 30 კგ/ჰა. მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, შეაქვთ აზოტიანი და კალიუმიანი სასუქები 30 კგ/ჰა და 45 კგ/ჰა ფოსფორიანი სასუქები

მრავლდება თესლით. თესვა წარმოებს ადრე გაზაფხულზე. თესვა ხდება მწკრივებს შორის 60 სმ-ის დაშორებით. თესვის ნორმაა 2 კგ/ჰა, თესვის სიღრმე 1,5-2 სმ.

ნათესარების მოვლა შემდეგში მდგომარეობს: 2-3-ჯერად ხდება რიგთაშორისების გაფხვიერება-გამარგვლა. ამასვე იმეორებენ გაზაფხულზე სიცოცხლის მეორე წელს. სიცოცხლის პირველ წელს მცენარის ფოთლების შეგროვება ხდება ზაფხულში – ივლის-აგვისტოში. ამ დროს ფოთლები მდიდარია ალკალიიდებით. მეორე წელს კი ფოთლებს აგროვებენ ყვავილობამდე, ხოლო ყვავილობისას ხდება მც-ის წვეროების და მწვანე ყლორტების შეგროვება /КОТУКОВ, 1975/.

Hypericum perforatum L. – კრაზანა
Fam. Hypericaceae – ოჯ. კრაზანასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-100 სმ სიმაღლის მცენარეა. წვრილი ფესურიდან ყოველწლიურად ვითარდება რამდენიმე გლუვი, დატოტვილი ღერო. ფოთლები მჯდომარეა, მოპირისპირე, ელიფსური, კიდემთლიანი, უხვი, გამჭვირვალე ეთერზეთოვანი ჯირკვლებით მოფენილი. ყვავილი წვრილია, ოქროსფერ-ყვითელი შეფერილობის, ხუთწვერიანი, შეკრებილია ფართო საგველა ან ფარისებრ ყვავილედებად. თესლი ყავისფერია, წვრილი. 1000 თესლის წონა 0,12-0,14 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: ხალხური ანდაზის თანახმად, “როგორც ფეკილის გარეშე არ ცხვება პური, ასევე კრაზანას გარეშე ვერ განიკურნება დაავადებები”. მედიცინაში გამოიყენება ყვავილობის პერიოდში შეგროვილი ბალახი. შეიცავს მთრიმლავ და ფისოვან ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ჰიპერინსა და ჰიპერიცინს, ვიტამინებს (C, B, კაროტინს, ქოლინს), ნიკოტინის მჟავას, გლიკოზიდებსა და სხვა ნივთიერებებს.

ყველაზე ადრეული მონაცემები მცენარის სამკურნალო მნიშვნელობაზე აღინიშნება ძველი საუკუნეების მეცნიერთა – ჰიპოკრატეს, პლინიუსისა და დიოსკორიდის თხზულებებში.

ხასიათდება შემკვრელი, მიკრობების საწინააღმდეგო, სისხლდენისშემაჩერებელი, ნაღველმდენი და მასტიმულირებელი მოქმედებით. არ-

სებობს აგრეთვე მონაცემები მისი მატონიზირებელი მოქმედებისა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

მეცნიერულ მედიცინაში ბალახის ნაყენი და პრეპარატები ადგილობრივ იხმარება როგორც შემკვრელი, მადეზინფიცირებელი და ანთების საწინააღმდეგო გამოსავლები საშუალება ანგინის, ქრონიკული ტონზილიტის, ღრძილების ანთების, გინგივითის, სტომატიტებისა და პირის ღრუს სხვა დაავადებებისას. შინაგანად გამოიყენება როგორც შემკვრელი და ანტიეპტიკური საშუალება კუჭ-ნაწლავის დაავადებების (მწვავე და ქრონიკული გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ენტეროკოლიტი, ფაღარათი, წყლულოვანი კოლიტი, ბუასილი), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის (ნაღვლის ბუშტის დისკინეზია, ქოლეცისტიტი, ნაღველკენჭოვანი დაავადებები, მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტი) სამკურნალოდ.

გამოიყენება ასთენიურ მდგომარეობაში, ნევროზებისა და ნევრასტენიის, კრუნჩხვების, თავის ტკივილების, უძილობის, მიოკარდიტისა და ენდოკარდიტის, გლომერუნფერიტის, პიელონეფრიტის, ცისტიტისა და წინამდებარე ჯირკვლის ანთების, ართიტის, რადიკულიტის დროს. მისით მკურნალობენ ქალურ მრავალ დაავადებას (დანამატების ანთება, ამენორეი, უხვი მენსტრუაცია, თეთრი შლა), აგრეთვე ბავშვებში ალერგიულ დიათეზს. დადებითად მოქმედებს ფილტვების ტუბერკულოზზე. ახალი მონაცემებით დადგენილია მისი ანტისიმპიენური მოქმედება.

კრაზანასაგან დამზადებული პრეპარატი “ნოვოიმინი” გარეგანად იხმარება აბსცესების, ფლეგმონის, ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება რევმატიზმის, იშიაზის, ნიკრისის ქარის, ფილტვების ტუბერკულოზის, სისხლდენების, ბუასილის, ღვიძლისა და გინეკოლოგიური დაავადებების, ნევრასტენიის, ანთებითი პროცესების, ფურუნკულებისა და სხვ. დროს.

დიდი სიფრთხილვა საჭირო კრაზანას სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად გამოყენების თვალსაზრისით, პირველ რიგში იმუნოსუპრესანტებთან მიმართებაში. წარმოადგენს რა მძლავრ კატალიზატორს, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მედიკამენტების გამოდევნას, რითიც აქვეითებს თერაპიულ ეფექტს.

გავრცელება: ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, ფართო არეალის მქონე სახეობაა.

საქართველოს ყველა რაიონშია გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე, მდელოებზე, სტეპებზე, ტყებსა და ტყის პირებზე, ტყის ფანჯრებში, ბუჩქნარებში; მებოფიტია, სინათლის მოყვარული.

კულტივირება: მიუხედავად იმისა, რომ კრაზანა შეიძლება ერთი და იგივე ადგილზე მოვიყვანოთ 5-6-წლის განმავლობაში, აუცილებელია ისეთი ნაკვეთის შერჩევა, რომელიც სპეციალური თესლბრუნვით გამოირჩევა. კრაზანას ნათესარებს ადვილად ერევიან სარეველები, რადგანაც აღმონაცენს ძალიან ნელი ზრდა აქვს, ამიტომ ნაკვეთი უნდა იყოს სარეველებისაგან აბსოლუტურად განმეზღვილი. კარგი წინამორბედი მცენარეებია მარცვლოვანი კულტურები.

თესვის წინ მიწიდან ფარცხავენ რაც შეიძლება წვრილკბილა ფარცხით. ძირითადი ხენის დროს უნდა შევიტანოთ მინერალური და ორგანული სასუქები: 30-40 ტ/ჰა-ზე ორგანული სასუქი ან სასუქიან-ტორფიანი კომპოსტი. მინერალური სასუქებიდან კი 30 კგ/ჰა-ზე შეაქვთ აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები. თესლი ითვება გვიან შემოდგომით გრუნტში 45 სმ დაშორებით; ნორმა 3-4 კგ/ჰა. თუ გაზაფხულზე თესვისას საჭიროა სტრატეფიკაცია (ვურევთ ქვიშაში და 3-4 თვის განმავლობაში ვაჩერებთ დაბალ ტემპერატურაზე). აღმოცენებისთანავე ხდება მარგვლა და რიგთაშორისების გაფხვიერება. მთელი ზაფხულის განმავლობაში ეს ხდება 4-5-ჯერ.

კრაზანას ბალახს ჭრიან მიწიდან 30 სმ ზევით ყვავილობის პერიოდში. პირველი ჭრის შემდეგ მცენარე ხელახლა ყვავილობს და მეორედ მაშინ იღებენ მოსავალს. კარგი მოვლის პირობებში 15-25 ც/ჰა. აღებისთანავე უნდა გაშრეს კარგად განიავებულ შენობაში ან სხვენში 50-60°C-ზე /Котуков,1975/.

Humulus lupulus L.- სვია
Fam. Cannabaceae – ოჯ. კანაფისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ხვიარა ლიანაა 6-7 მ სიგრძის ექვსწახნაგოვანი, მოკლე ეკლებით დაფარული ღეროთი; ფოთლები მოპირისპირეა, გულისებრი, მთლიანი ან 3-5-ნაკვეთიანი, კიდეებზე ხერხკბილა, ყუნწიანები და თანაფოთლებით. მცენარე ორბინიანია; ყვავილები ხშირ ყვავილედებადაა შეკრებილი, წვრილებია, ქართი დამამტვერიანებლები, ცალსქესიანი; მამრობითი ყვავილები საგველა ყვავილედს ქმნის, მდედრობითი - /40-60 ყვავილი/ გირჩისებრ თავთავებადაა შეკრებილი, ნაყოფობისას ფრთისებრ გამოხერხილი ყვავილსაფრით; ნაყოფი - კაკალია.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია სვიის ნაყოფედი ან მდედრობითი ყვავილედი, ე.წ. „გირჩები“. შეიცავს ეთერზეთებს, სვიის ფისებს, ცვილს, გუმფისს, მწარე ნივთიერებებს, ვალერიანის, სვიის, ასკორბინისა და ნიკოტინის მჟავებს, გლიკომიდ ლუპულინს, კაროტინს, ქოლინს, თიამინს, მთრიმლაჟ და საღებავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს. სვიის ეთერზეთები არომატულია, ბაცი ან მუქი ყვითელი ფერის, მის შემადგენლობაშია: მირცენი, მირცენოლი, ლინალოლი, გერანიოლი, ფარნეზენი, კარიოფილენი, ლუპაროლი, ლუპარენოლი, ჭიანჭველის, ძმრისა და სხვა მჟავების ეთერები.

ხასიათდება ანთებისა და კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული, გამაუმტკივნეველი, ჭიისმდენი, ანტიბაქტერიული მოქმედებით. გირჩების ექსტრაქტი ესტროგენული აქტივობით გამოირჩევა და ისწავლება ჰორმონოთერაპიის მიზნით. ახალი გამოკვლევებით, საუ-

კეთესო თერაპიული ეფექტი აღინიშნება თირკმელებისა და შარდ-სასქესო სისტემის, ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის, წყალმანკის, სიყვითლის, გასტრიტისა და ღვიძლის დაავადებების მკურნალობაში. არეგულირებს ადამიანის ორგანიზმში მინერალების, წყლისა და ცხიმების ცვლას.

მისი სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი; ნახარშს ღებულობდნენ მადის გასაძლიერებლად და როგორც ლაქტოგენურ საშუალებას, ელენთის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, გასტრიტის, ფილტვების ტუბერკულოზის, ცისტიტის, პიელონეფრიტის, ხშირი შარდვის, შეშუპების, მალარიის, ეგზემის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ანთებითი პროცესების, ცინგის, ჰიპერტონიის, სიყვითლის, თმის ცვენის დროს. ფესვების ნახარშს ხმარობდნენ აბორტის გამომწვევ საშუალებად. ფოთლებს იყენებდნენ კანისა და მკერდის კიბოს სამკურნალოდ.

სვიის ფუძეზე დამზადებული პრეპარატები ეფექტურია ნევრასტენიის, გულ-სისხლძარღვთა და თირკმელების დაავადებებისას. შედის დამამშვიდებელი ჩაის შემადგენლობაში.

შხამიანია, დიდი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მონამვლა.

გავრცელება: ბორეალური, ევრაზიული, რელიქტური სახეობაა.

საქართველოს ყველა რაიონშია გავრცელებული.

ჰაბიტატები: ჰემიკროფტოფიტია, ტყის, მებოფილური; იზრდება ტენიან ადგილებზე, დაჩრდილულ ტყეებში და მდინარისპირა ტერასებზე მთის შუა სარტყლამდე.

კულტივირება: კულტივირებულია აშშ-ში, ვროპის რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ფართოდ ინგლისსა და გერმანიაში; ასევე - უკრაინაში, ალტაიში და რუსეთის ცენტრალურ ოლქებში.

ტენის მოყვარული მცენარეა; მომთხონია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი, განსაკუთრებით აზოტის მიმართ. ოპტიმალური პირობებია - სუსტი მჟავე ნიადაგები, ზომიერი თბილი და ტენიანი კლიმატით, ხანგრძლივი, მაგრამ არა ცხელი ზაფხულით.

ამრავლებენ კალმებით, რომლებსაც პირველ წელს სათბურში ზრდიან, მომავალი წლის ადრე გაზაფხულზე რგავენ მუდმივ პლანტაციებში, წინასწარ მომზადებულ ორმოებში, ინტერვალით რიგებში 1 მ და რიგთაშორისებში - 2,25 მ. 1 ჰა-ზე ირგვება 440 ბუჩქზე მეტი. ზაფ-

ხელში მიმდინარეობს სამუშაოები რიგთაშორის გაფხვიერებასა და სარეველებისაგან განმენდაში, ასევე განოციერებაში. სვიის ცლორტები, როდესაც 0,6-0,9 მ სიგრძეს აღწევენ მათ ახვევენ სპეციალურდ გაჭიმულ მავთულებზე ან შპაგატზე. პირველსავე წელს დარგვიდან მცენარეები ნაყოფმსხმოიარობენ, მაგრამ გირჩების კარგ მოსავალს ღებულობენ მეორე წლიდან.

მოსავალს იღებენ, როდესაც გირჩები ოქროსფერ-მწვანე შეფერილობას ღებულობენ. აგროვებენ ხელით ან სპეციალური მანქანებით. აშრობენ საშრობებში 13%-მდე ტენიანობით /Вехов и др., 1978/.

Inula helenium L. – კულმუხო

Fam. Asteraceae (Compositae) – ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფესურა სქელია, მოკლე, ხორცოვანი, მრავალრიცხოვანი სქელი ფესვებით, გარედან - მურა შეფერილობისაა, შიგნიდან - მოყვითალო. ღერო 100-175 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დალარული, სქლადაა შებუსვილი მოკლე თეთრი ბეწვით. ფოთლები მორიგეობითია, დიდი ზომის, არათანაბრად დაკბილული, ქვედა მხრიდან ხავერდოვანი, მონაცრისფრო ქეჩისებრ შებუსვილი; ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, ელიფსური ან მოგრძო-კვერცხისებრი. ყვავილედნი 6-7 სმ დიამეტრის კალათაა, განაპირა ყვავილები ბუტკოიანია, ენისებრი, ხაზური, ყვითელი შეფერილობის, შუა – ორსქესიანია, მილისებრი, ხუთკბილა. ნაყოფი მოგრძო, ოთხნახნაგოვანი მურა ან ყავისფერი, ქოჩრიანი

თესლურაა, რომელიც ორჯერ აღემატება მის სიგრძეს. 1000 თესლის წონა 1-1,5 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა: კულმუხო უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, მას იყენებდნენ ჰიპოკრატეს, დიოსკორიდისა და პლინიუს დიდის ეპოქის ექიმები. სამკურნალო მიზნით გამოიყენება ფესურა ფესვებითურთ. ნედლეულს აგროვებენ მცენარის სიცოცხლის მეორე წელს, ნაყოფების მომწიფების შემდგომ აგვისტო-სექტემბერში ან ადრე გაზაფხულზე პირველი ფოთლის წარმოქმნისას. ამოთხრილ ფესვებს აცილებენ მინას, რეცხავენ გამდინარე წყალში, აჭრიან ღეროებსა და მცირე ზომის ფესვებს, ჭრიან 10-15 სმ სიგრძისა და 1-2 სმ სისქის ნაჭრებად, 2-3 დღეს ტოვებენ ჰაერზე, შემდეგ აშრობენ ღუმელებში 40° C-ზე.

შეიცავს ინულინს (44 %-მდე) და სხვა პოლისახარიდებს, მწარე ნივთიერებებს, ეთერზეთებს (4,5 %-მდე), საპონინებს, ფისებს, ლორწოს, გუმფისს, მცირე რაოდენობის ალკალოიდებს, ჰელენინს, დიჰიდროალანოლაქტონს, ფრიდელინს, სტიგმასტერინს, ფიტომელანს, პექტინებს, ცვილს, გუმფისს, ვიტამინ E; ბალახში აღინიშნება ეთერზეთები (3%), ასკორბინის მჟავა, E ვიტამინი. კულმუხოს ბიოლოგიურად აქტიურ ძირითად ნივთიერებად ითვლება ალანტოლაქტონი და მისი თანმხლები ტერპენოიდები.

კულმუხოს ფესურების პრეპარატები ხასიათდება ანტისეპტიკური, ანტი-მიკრობული, ანტისიმპიზურული, ანთების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი, ნაწლავების პერისტალტიკის მომადუნებელი, კუჭის ლორწოვანი გარსის სისხლმომარაგების გამაძლიერებელი, შარდმდენი, ნალველმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, ჭიისმდენი მოქმედებით; გამოიყენება სასუნთქი გზების ანთების, კუჭისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ბუასილის, ეპილეპსიის, შაქრიანი დიაბეტის, არარეგულარული მენსტრუაციის დროს. აუმჯობესებს მადას, ამცირებს ნაწლავების პერისტალტიკას, აქვეითებს კუჭის წვენის სეკრეციას; ეფექტურია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალოდ, დადებითად მოქმედებს ღვიძლის, ბუასილისა და სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებებისას და ღრძილების ანთებისას.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში ფესურების ნაყენები და ექსტრაქტები შინაგანად გამოიყენება ტახიკარდიის, ეპილეპსიის, შეშუპების, მალარიის, კანის (ეგზემა, მუნი, ქავილი) და შარდკენჭოვანი დაავადებებისას; ნახარში - როგორც ამოსახველველი საშუალება ყივანახველის, ბრონქიალური ასთმის დროს. თესლები - ქალური დაავადებების სამკურნალოდ იხმარება. ნედლი ფესვების ღვინის ნაყენს იყენებდნენ ჰიპოაციდური გასტრიტის დროს.

ფესურიდან მიღებულია პრეპარატი - **ალანტონი**, რომელიც კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის სამკურნალოდ გამოიყენება.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ნახარში იხმარება კუჭის წყლულის, გასტრიტის, უნებლიე შარდვის, ცხვირიდან სისხლდენის, ფილტვების ტუბერკულოზის დროს /ნუნუნავა, 1966/.

უკუმჩვენებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე და მიშვებული დაავადებებისას.

გავრცელება: ბორეალური, ევრაზიული სახეობაა, ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, თურქეთში, მონღოლეთში, ჩინეთში, შუა აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში.

საქართველოში გავრცელებულია: აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, მთიულეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვ. ქართლში, მესხეთში.

ჰაბიტატები: ტყე-მდელოს მეზოფილური სახეობაა. იზრდება ფოთლოვან და წიწვნარ ტყეებში და ბუჩქნარების რაყებში, ტყესტეპებსა და მთის ტყეებში (2000 მ სიმაღლემდე), ტყის ფანჯრებში, ნაკაფებში, ტენიან ადგილებში, მდინარეების, ტბებისა და მთის ნაკადულების ნაპირებზე.

კულტივირება: კულმუხოს კულტურისათვის უნდა შეირჩეს ღრმა, ნეშომპალიანი, ზომიერად ნოტიო ნიადაგები. გასათვალისწინებელია ხელოვნური მორწყვის შესაძლებლობები ფესვების უხვმოსავლიანობის მისაღწევად. თესლბრუნვაში სათონი კულტურების შემდეგ მოჰყავთ. წლის განმავლობაში რეკომენდირებულია ნიადაგის განოციერება ნაკელით ან კომპოსტით -15-20 ტ/ჰა-ზე, 70-80 კგ/ჰა აზოტი, 60-80 კგ/ჰა ფოსფორსა და 200-240 კგ/ჰა კალიუმი. აზოტი სამ ეტაპად უნდა იქნეს შეტანილი.

მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. შესაძლებელია როგორც უშუალოდ ღია გრუნტში თესვა რიგთაშორისებში (ჰა-ზე 1,5 კგ სათესლე მასალა), ასევე ჩითილების წინასწარი გამოყვანით; სათბურში მარტის შუა რიყხვებში /2გ 40X30 სმ ყუთებში/ იწყებენ თესვას, შესაძლებელია გაბნევით თესვაც, 1 კვ/მ - 3 გ. პირველი ნამდვილი ფოთლის წარმოქმნის შემდეგ აწარმოებენ ჯგუფვას; 4-5 ფოთლის ფაზაში კი გრუნტში გადარგვას, ჰა-ზე 40000-50000 ჩითილია საჭირო. ირგვება წინასწარ მომზადებულ ორმოებში, რიგთაშორის 60-70 სმ დაცილებით, რიგებში 30-40 სმ. მცენარეთა ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ნიადაგის გაფხვიერება სავეგეტაციო პერიოდში 2-3-ჯერ და სარეველებისაგან გასუფთავება.

მავნებლებიდან და დაავადებებიდან აღინიშნება ნაცარი, ყვითელი ჟანგა და ფოთლის ვირუსული გათეთრებები. ადგილობრივი კოროზია გამოწვეულია ფარიანებისაგან და სხვა მწერებისაგან.

მოსავლის აღება სიციოცხლის მეორე წლის შემოდგომით (ოქტომბერ-ნოემბერში) წარმოებს კარტოფილის სათბრელი მანქანებით, ფესურები ცილინდრული სარეცხი მანქანებით საფუძვლიანად ირეცხება. შრობის პროცესის გასაიოლებლად ფესურებს ყოფენ, ღია ცის ქვეშ წინასწარი განიავების შემდეგ, აშრობენ საშრობებში 50⁰ ტემპერატურაზე, ან მაღალი ვენტილაციის მქონე შენობებში. შეფუთვა ხდება ტომრებში 50-75 გ /გოგიჩაიშვილი, 1998/.

Jasminum grandiflorum L. - მსხვილყვავილა ჟასმინი

Fam. Oleaceae - ოჯ. ზეთისხილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 6 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია ან საყოველთაოდ ცნობილი ლიანა. ფოთლები კენტფრთხარტულია, მარტივი, სამმაგი. ყვავილები მსხვილია, თეთრი, მოყვითალო ელფერით, არომატული. ნაყოფი კენკრაა.

ფენოლოგია: ყვ. ნაყ.V-VI; ნაყ.VIII.

მნიშვნელობა: უსამინის ზეთის მიღების წყარო – ყვავილებია. შეიცავს კეტონს, ლინალილაცეტატს, მეთილანტრანილატს (რთული ეთერები), ბენზოლს, გერანიოლს, ნეროლს, ტერპინეოლს, ფარნესოლს (სპირტები), ევგენოლს (ფენოლი).

არის ანტისეპტიკური, სპაზმოლიტური, დამამშვიდებელი, ანტიდებრესანტი. უსამინის ზეთს უწოდებენ ყვავილოვანი ზეთების მეფეს და უძველესი დროიდან აკუთვნებდნენ სასიყვარულო შინაურ ნამლებს – იმდენად დიდია მისი რეპუტაცია როგორც აფროდიზიაკის. კურნავს გონორეასა და პროსტატიტს. ინდოეთში ზეთი ფართოდ გამოიყენება არომატული მაღამოების წარმოებაში და რელიგიურ ცერემონიებში ატრიბუტად. ჩინეთში უსამინის ჩაი საყვარელ სასმელადაა ცნობილი; ინდონეზიაში ყვავილები ნაციონალურ კერძების პოპულარული კომპონენტია; ხელს უწყობს მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებას, ასტიმულირებს საშვილოსნოს ფუნქციას, ამაღლებს სქესობრივ აქტიურობას (აფროდიზიაკი), არბილებს კანს, ბრწყინვალედ შველის დებრესიასთან გამკლავებას; ამშვიდებს ნერვებს და ზრდის აქტივობას; ზეთი აძლევს ადამიანს რწმენას საკუთარ ძალ-ღონეში, ახალისებს და მატებს ენერჯიას, რის გამოც კარგი დოპინგიცაა. ზეთი განსაკუთრებით პოპულარულია მშობიარეებისათვის, აადვილებს მშობიარობას, ასტიმულირებს საშვილოსნოს შევიწროებას და ერთდროულად აყურებს ტკივილებს; ჰორმონების შესანიშნავი რეგულატორია, ეფექტური საშუალებაა მშობიარობის შემდგომ დებრესიის მოსახსნელად. მიიჩნევენ, რომ ხელს უწყობს დედასა და ახალშობილს შორის კონტაქტის დამყარებას; აძლიერებს ლაქტაციას. გარდა ამისა, ანელებს საშვილოსნოს სპაზმებს, ამცირებს ტკივილებს მენსტრუაციის დროს. კეთილგავლენას ახდენს მამაკაცის რეპროდუქტიულ ფუნქციებზე, ზრდის სპერმატოზოიდების რიცხვს; არის რა ძლიერი დამამშვიდებელი საშუალება აგვარებს სექსუალური ხასიათის პრობლემებს, კერძოდ რაც დაკავშირებულია იმპოტენციასა და ფრიგიდულობასთან.

ჟასმინის ზეთი არის სასუნთქი ორგანოების სტიმულატორი, ანეს-რიგებს სუნთქვას, ამცირებს ბრონქოსპაზმებს, ამშვიდებს ხველებით გამოწვეულ ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, ხსნის ხროტიცხს.

ფენხმძიმე ქალებისათვის მისი გამოყენება რეკომენდირებულია მხოლოდ მშობიარობის წინ, როგორც მშობიარობის დამხმარე საშუალება. გასათვალისწინებელია, რომ ზეთის “ნარკოტიკული” მოქმედება იწვევს ყურადღების გაფანტვას.

გავრცელება: სამშობლო ირანი და ჩრდილოეთ ინდოეთია.

კულტივირება: კულტივირებულია ორივე ნახევარსფეროს თბილ სარტყელში, სუბტროპიკების ჩათვლით.

Lamium album L. - ჯინჯრის-ღედა

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის-ღელასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 150 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მხოხავი ფესურით. ღერო სწორმდგომია, ღრუ, დაუტოტავი, ფოთლებთან ერთად დაფარულია მეჩხერი თეთრი ბენვით. ფოთლები მოპირისპირეა, ყუნწიანი, გულისებრ-ლანცეტა. ყვავილი თეთრი ან მოყვითალოა, რგოლებადაა შეკრებილი ზედა ფოთლების ილღებში.

ფენოლოგია: ყვ. IV- VI; ნაყ. VI-VII.

მნიშვნელობა: ფოთლები არომატულია, მშრალი სახით იყენებენ საწენებლად; მცენარის ნორჩი ყლორტები სასალათად, ხოლო მცენარის მწვანე ნაწილები მთელი ზაფხულის განმავლობაში შეიძლება

გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის მწვანე წვნიანებისა და პიურეს დასამზადებლად.

ყვავილები და ბალახი შეიცავს ალკალოიდ ლამინს, ფლავონოიდებს (კვერციმეტრინი, რუტინი, პობინინი, ლამიოზიდი, ასტრაგალინი, კვერციტრინი, კემპფეროლი, იზოკვერციტრინი), კუმარინებს, ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (ყავის, გალურს, ქლოროგენულს, ფერულის), კაროტინს, ასკორბინის მჟავას, ლორწოს, საპონინებს.

უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, მოიხსენიება ახ.წ.-ად.-ის I ს-ში, ძველი რომაელი მწერლის პლინიუს უფროსის “ბუნებრივ ისტორიაში”.

სამკურნალო მიზნით უმთავრესად ყვავილები გამოიყენება, აგროვებენ ახლად გაშლილს. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი, სპაზმოლიტური, მატონიზირებელი, შარდმდენი, სისხლისშემაჩერებელი, ჰიპოტენზიური მოქმედებით.

ყვავილების ნახარში და ნაყენი მიიღება როგორც შემკვრელი და სისხლდენის შემაჩერებელი საშუალება ფილტვებისა და საშვილოსნოდან სისხლდენების დროს; გულის, მკერდისა და კისრის ტკივილების, ღვიძლისა და ელენთის დაავადებებისას; როგორც ამოსახველებელი - ზედა სასუნთქი გზების კატარის, შარდმდენი - ურეთრის, ნეფრისის, ცისტისის დროს. გარეგანად - ეგზემის, საყმანვილოს, ჭინჭრის ციების, გამონაყრებისა და ფურუნკულების საწინააღმდეგოდ. წვენი - საშვილოსნოდან, ფილტვებიდან და ჰემოროიდალური სისხლდენებისას, ბრონქის, ასთმის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებების, სისხლნაკლებობის სამკურნალოდ.

ბალახის ნახარში გამოიყენება გულისა და თავის ტკივილების, ნერვული დაავადებების დროს. ბალახისა და ყვავილების წვენი - ნერვების დასამშვიდებლად, ისტერიისა და უძილობისას; შინაგანად და გარეგანად - სიყვითლის, ბავშვების დიათეზის, ფურუნკულოზის, ეგზემის, კანის წყლულების, გამონაყრების საწინააღმდეგოდ.

ბალახის საფენები იხმარება სიმსივნეებისა და თიაქარის, ზოგჯერ სისხლშემაჩერებელ საშუალებად.

გავრცელება: ჩრდ. ნახევარსფეროს ზონაში: მცირე, წინა და შუა აზია, მონღოლეთი, ჩინეთი, იაპონია, კორეა, ჩრდ. ინდოეთი, თითქმის მთელი ევროპა.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის სარტყელში, ტყის ფანჯრებში, ბუჩქნარებში, როგორც სარეველა ბალ-ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში. უპირატესობას ანიჭებს დაჩრდილულ ადგილებში.

კულტივირება: მრავლდება თესლით, იძლევა თვითნათესს.

Laurus nobilis L. - დაფნა

Fam. Lauraceae - ოჯ. დაფნისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: სუბტროპიკული, მარადმწვანე, მაღალი 10-15 მ-მდე მ-მდე სიმაღლის უხვად შეფოთლილი ბუჩქია ან ხე. ფოთლები მარადმწვანეა, ტყავისებრი, ელიფსური ან ლანცეტა, კიდემთლიანი. ყვავილი ორსახლიანია და ერთსქესიანი, იშვიათად ორსქესიანი, ყვავილსაფარი ჯამისებრია, 4 ფოთოლაკიანი. ნაყოფი კურკიანაა, მოლურჯო შავი.

ფენოლოგია: ყვ. III; ნაყ. V-VI.

მნიშვნელობა: ტექნიკური და ტრადიციული სურნელოვან-სანელებელი მცენარეა. ფოთოლი შეიცავს ცხიმოვან ზეთებს, ეთერზეთებს (შემადგენლობით ცინეოლი, ტერპინოლი, ფელანდრენი, გერანოილი, ლინალოლი, ევგენოლი, მეთილევგენოლი), ძმრის, ვალერიანის, კაპ-

რონის, ლაურინის, პალმიტინისა და ლინოლინის მუავებს, სეფიტერ-პენულ ნაერთებს; ნაყოფში აღინიშნება ეთერზეთები, ცხიმოვანი ზეთები, უმაღლესი ცხიმოვანი მუავები.

ხასიათდება მადისმომგვრელი, სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის მასტიმულირებელი, შარდმდენი, სისხლისშემაჩერებელი, სისხლში შაქრისდამწვევი, წნევისდამწვევი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიესპტიკური, ფუნგიციდური და ბაქტერიოციდული მოქმედებით.

სამედიცინო პრაქტიკაში დაფნის ნაყენი გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის, მწვავე რესპირატორული დაავადებების, სახის ნერვის დამბლის, ტუბერკულოზის, სახსრების ტკივილის, ართრიტის, ჰიპერტონიის, მაღარის, ნევრალგიის, ოსტეოხონდროზის, დერმატომიკოზების, თირკმელების უკმარისობის, ყურიდან გამონადენის, უხვი მენსტრუაციის, უნაყოფობის, საშვილოსნოს ტკივილის დროს. დაფნის ზეთი ხასიათდება ანტიესპტიკური, მადღინფიცირებელი და დამამშვიდებელი მოქმედებით; გამოიყენება კანის დაავადებების, ალერგიული გამონაყრების, დიათეზის, აქერცლილი კანის, ფურუნკულებისა და გამონაყრებისას.

შედის ნერვების დამამშვიდებელი, რევმატიზმისა და მუნის საწინააღმდეგო მალამოების შემადგენლობაში, ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დაფნის ნაყოფს იყენებდნენ სიმსივნის, ქავანას, გაძლიერებული მენსტრუაციის, რევმატიული ანთების, გაძნელებული ხველებისა და დამბლის დროს.

ინდივიდუალური შეუთავსებლობა; დაფნის პრეპარატების ჭარბი დოზები იწვევს გულისრევას, ალერგიულ გამონაყრებს; უკუმაჩვენებელია ორსული ქალებისათვის.

გავრცელება: ველურად იზრდება ხმელთაშუაზღვეთის მთის ტყეებში;
საქართველოში გავრცელებულია: აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში.

ჰაბიტატები: იზრდება ქვედა სარტყლის ტყეებში.

კულტივირება: კავკასიასა და ყირიმში ჯერ კიდევ ძველი ბერძნების მიერ იქნა შეტანილი, სადაც მკვიდრად მოიკიდა ფეხი. ფართოდაა კულტივირებული ორივე ნახევარსფეროს სუბტროპიკებში.

Lavandula officinalis - სამკურნალო ლავანდი
Fam. Lamiaceae (Labiatae) – ოჯ. ჯინჯრის-დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: წარმოადგენს ძლიერ პოლიმორფულ და პლასტიურ სახეობას, რომელიც იმყოფება გაძლიერებულ ფორმანარმოქმნის პროცესში. მრავალწლოვანი, ფუძიდან ძლიერ დატოტვილი 20-100სმ სიმაღლის მარადმწვანე ნახევრადბუჩქია, ნახევრადმწოლარე ძველი ტოტებითა და სწორმდგომი, ახალგაზრდა ყლორტებით (განსაკუთრებით მოყვავილე). ფოთლები მოგრძო-ხაზურია, ბლავი, ნორჩი ფოთლები - ნაცრისფერქეჩისებრი; ყვავილები 6-10 განწყობილია რგოლებად, შეკრებილია თავთავისებრ ყვავილედად. ჯამი და გვირგვინი ორტუჩაა; გვირგვინი იისფერია იშვიათად თეთრი, ჯამზე ორჯერ გრძელი; ნაყოფი კაკლიჭაა, მოყვითალო-მურა.

ფენოლოგია: ყვ. VI; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: ლავანდი, როგორც ძვირფასი არომატული მცენარე, ადამიანის მიერ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მედიცინასა და ყოფაცხოვრებაში სხვადასხვა დანიშნულებისამებრ. სამკურნალო ნედლეულია ყვავილები და ფოთლები. მათ შემადგენლობაში შედის ორგანული შენაერთების განსხვავებული ჯგუფები, კერძოდ: ნახშირწყლები, სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, ეთერები, მუავები, აბოტგოვირდოვანი ნივთიერებები და სხვ. ნედლი ნედლეული შეიცავს 0,1-1% ეთერზეთებს, მშრალი – 1-3% ეთერზეთებსა და 12% ტანიოვან ნივთიერებებს.

ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ რომაელების მიერ იქნა მიღებული და გამოყენებული ლავანდის ზეთი, რომელიც არჩენს დამწვრობას, ჩირ-

ქოვან ჭრილობებს, ვენერიულ, კუჭისა და სასუნთქი გზების დაავადებებს, რევმატიზმსა და მრავალ სხვას. რაც უფრო მეტად ეცნობოდნენ ამ მცენარეს, მით უფრო ფართოვდებოდა მისი გამოყენების მასშტაბებიც. ლავანდის ზეთის გამოყენება დაიწყო როგორც ანტი-ტოქსიკური საშუალების, შედის ყოველგვარი არომატული ნარეგებისა და სასუნთქი ფუნქციების შემადგენლობაში. იხმარება ნერვული აშლილობის დასაწყნარებლად.

გამოიყენებოდა ე.წ. ინგლისური მარილის დასამზადებლად, რომელსაც ასუნთქებდნენ გულის წასვლის შემთხვევაში.

გამხმარ ყვავილებს ხმარობენ თეთრეულის არომატიზაციისა და ჩრჩილების საწინააღმდეგოდ.

არ არის რეკომენდირებული ფეხმძიმობის პირველ თვეებში, აბორტის შემდგომ და ინდივიდუალური შეუთავსებლობის შემთხვევაში

გავრცელება: ლავანდის სამშობლოს ხმელთაშუაზღვის ოლქის ევროპული ნაწილი და მიმდებარე რაიონები წარმოადგენს, სადაც იქნა შეყვანილი კულტურაში ახ.წ.აღ.-მდე დიდი ხნით ადრე.

საქართველოში კულტივირებულია დეკორატიული მიზნებით.

კულტივირება: მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია კულტივირებული. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით საფრანგეთში, იტალია, ესპანეთი, უნგრეთი, იაპონიასა და უკრაინაში. მრავალი კულტივარია გამოყვანილი. ნარგაობების ექსპლუატაცია 20-25 წელია; მათი გამოყენება იწყება მეორე წლიდან. ყვავილების მაღალი მოსავალი მიიღება კარგი განათებისა და მაღალი ტემპერატურის დროს. ტენისადმი არ არის მომთხოვნი, თუმცა ნიადაგის ძლიერი გაშრობისას მოსავლიანობა მცირდება. კარგად ვითარდება ღორღიან-ქვიშნარ კარბონატულ ნიადაგებზე; სასუქის შეტანისას მოსავლიანობა იზრდება და უმჯობესდება ზეთის შემადგენლობა.

ძირითადად ამრავლებენ კალმებით, ნაკლებად - ბუჩქების დაყოფით, ამონაყრებითა და თესლით. გამერქნებულ კალმებს აფესვიანებენ სათბურებში აგვისტო-სექტემბერში; მომავალი წლის მათში დაფესვიანებულ კალმებს რგავენ კვალსათბურებში, შემოდგომით კი - ჰლანტაციებში. გაუმერქნებული ყლორტებიდან მიღებული მწვანე კალმები ირგვება ღია გრუნტში მთელი ზაფხულის განმავლობაში. მუდმივ

ადგილას მცენარეებს რგავენ ერთმანეთისაგან 1 მ-ის დაცილებით, რიგთაშორის კი 1,5 მ.

პლანტაციის შემდგომი მოვლა მდგომარეობს გაფხვიერებაში, სარეველების მოშორებაში. მცენარეთა განახლება ყოველ 5-6 წელიწადში წარმოებს. რის გამოც ბუჩქებს ჭრიან მინის ზედაპირზე ან ოდნავ მაღლა, აფხვიერებენ რიგთაშორისებს, შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები. გაზაფხულზე გადაჭრილი ბუჩქები ინვითარებენ მრავალრიცხოვან ყლორტებს და იმ წელს იღებენ ყველაზე მაღალ მოსავალს.

მოსავლის აღება ხდება სრული ყვავილობის პერიოდში, აგროვებენ ნამგლით და მაშინვე გზავნიან ქარხანაში /Буюкли, 1969/.

Ledum palustre L. - წელის იელი

Fam. Ericaceae - ოჯ. მანანასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ძლიერ დატოტვილი მარადმწვანე 120 სმ-მდე სიმაღლის და 1მ-მდე დიამეტრის შხამიანი ბუჩქია. ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი, კიდეშთლიანი, დამახასიათებელია მკვეთრი, სპეციფიური სუნით. ყვავილები ორსქესიანია, თეთრი, ხუთწევრიანი, შეკრებილია ქოლგისებრ ან ფარისებრ ყვავილედეხად გასული წლის ყლორტებზე. ნაყოფი ხუთბუდიანი კოლოფია, რომელიც იხსნება ქვემოდან ზევით. თესლი ძლიერ წვრილია, ფრთიანი.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ ფოთლები და ნორჩი ყლორტები გამოიყენება, გროვდება აგვისტო-სექტემბერში. მცენარის მთავარ შემადგენელ ნაწილს ეთერზეთები წარმოადგენს, რომელიც შედგება აზუ-

ლენის რიგის სესკვიტერპნული სპირტებისაგან: ლედოლი (უძლიერესი შხამი, ინვევს ნერვული სისტემის დაზიანებას), ვალერიანის მუავა, პალუსტროლი, ნახშირწყლები - მირცენი, ციმოლი, გერანილაცეტატი, ელეოპტენი და სხვა კომპონენტებისაგან, რომლებიც ხასიათდება მომწარო-მწვავე გემოთი და ბალზამის სურნელით. აღმოჩენილია აგრეთვე: გლიკოზიდები (არბუტინი, ერივოლინი), გლიკოზიდების მსგავსი შხამიანი ნივთიერება ანდრომედოტოქსინი, ფლავონოიდები (კვერცინი), ორგანული მუავები, ვიტამინები, გუმფისი, შაქარი, ფიტონციდები, კუმარინები, მთრიმლავი და პექტინოვანი ნივთიერებები, ფისები; მდიდარია მიკროელემენტებით: კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, რკინა, სპილენძი, თუთია, ალუმინი, ბარიუმი ქრომი.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მთელი კომპლექსიდან გამომდინარე, ხასიათდება მრავალმხრივი მოქმედებით: სპაზმოლიტური, ამოსახველებელი, ოფლმდენი, შარდმდენი, მადღინფიცირებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ნარკოტიკული და დამამშვიდებელი; გამოირჩევა დიურეზული და ანტიმიკრობული აქტივობით.

ყლორტებისაგან მზადდება პრეპარატი „ლეღინი“, ხველების საწინააღმდეგო და ბრონქოლიტური საშუალება.

ხალხურ მედიცინაში იყენებენ სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას: ბრონქიტი, ტრაქეიტი, ლარინგიტი, პნევმონია, გრიპი, ბრონქიალური ასთმა, ხველება, ყივანახველა, აგრეთვე ღვიძლის, კუჭის, ციების, ცისტიტის, პიელიტის, ურეთრითის, ღიზენტერიის, სპაზმური ენტეროკოლიტის, ჭრილობების სამკურნალოდ.

დადებითი ეფექტია გამოვლენილი ონკოლოგიური სიმსივნეების, ტუბერკულოზისა და დიაბეტის მკურნალობისას.

სიფრთხილის ღონისძიებები: ეთერზეთების (რომლებსაც მცენარის მიწისზედა ორგანოები შეიცავს), დიდი ღოზით მიღება ინვევს ცენტრალური ნერვული სისტემის პარალიზებას, ნაწლავების, საშვილოსნოს, ფეხების დამბლას, მკვეთრად არღვევს სუნთქვას და გულის მოქმედებას. რის გამოც წყლის იელის პრეპარატები გამოიყენება მხოლოდ ექიმის მითითებით და მისი მეთვალყურეობით!

უკუმაჩვენებელია ფეხმძიმებისა და 14-16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

გავრცელება: გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სუბარქტიკულ და ზომიერ სარტყელში.

ჰაბიტატები: იზრდება ტყისა და ტყეტუნდრის ზონებში, ტორფნარებში, ჭაობებში, ტენიან წინვანარებში, ჩრდილოეთის მკაცრი კლიმატის პირობებში.

კულტივირება: ამრავლებენ თესლით, კალმით, ბუჩქების დაყოფით და ფესვების ამონაყრებით.

Leonurus quinquelobatus Gilib.- შავბალახა

Fam. Lamiaceae (Labiatae) – ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 2 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, მონითალო-იისფრად შეფერილი, სწორმდგომი, დატოტვილი, ღრუ, გაფარჩხული ბენვით მოფენილი ღეროთი, გამერქნებული ფესურით. ღეროსეული ფოთლები მომრგვალო-ელიფსურია, 5-7-ად ღრმად დაყოფილი; ქვედა მხრიდან - ბაცი მწვანე, ზედა - მუქი მწვანე, დაფარულია ხშირი ბენვით. ვავილი წვრილია, ორტუჩა, შეკრებილია რგოლებად გრძელ ყვავილედში. გვირგვინი ვარდისფერია ან მოვარდისფრო-იისფერი, 1,5-ჯერ გრძელია ჯამზე. ნაყოფი იშლება 4 სამწახნაგოვანი ფორმის კაკლუჭად. მთელი მცენარე ნაცრისფერი შეფერილობისაა, უხვად შემოსილი ბენვების გამო. 1000 თესლის წონა 1 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენება მინისზედა ყლორტების ზედა ნაწილები, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს - ფლავონურ გლიკოზიდებს, უმთავრესად რუტინს, ეთერზეთებს (კვალის სახით), საპონინებს, ალკალოიდ სტახიდრინს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინს, Ca და K-ის მარილებს. ბალახის პრეპარატები (ნაყენი, ნახარში) ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, არტერიული წნევის დამწევი, ძალის გამაძლიერებელი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციების მარეგულირებელი, კლიმაქტერიული პერიოდის მომწესრიგებელი, სედატური მოქმედებით; ანელებს გულის კუმშვადობის რიტმს, გამოირჩევა კრუნჩხვების საწინააღმდეგო აქტივობით, სასურველად მოქმედებს ნახშირწყლებისა და ცხიმების ცვლაზე, აქვეითებს გლუკოზის, რძისა და პიროყურძნის მუყავეების, ქოლესტერინის, სისხლში საერთო ლიპიდების დონეს, ახდენს ცილოვან ნივთიერებათა მაჩვენებლების ნორმალიზებას.

შავბალახას პრეპარატები თავისი ბიოლოგიური მოქმედებით კატაბალახას (*Valeriana officinalis*) უახლოვდება. გამოიყენება როგორც დამამშვიდებელი საშუალება მაღალი ნერვული აღგზნებადობის, გულ-სისხლძარღვთა ნევროზის, ჰიპერტონული და გულის იშემიური დაავადებების, მიოკარდიტის, ტირეოტოქსიკოზის, უძილობის, ვეგეტოსისხლძარღვების დისტონიის, ნევრასტენიისა და ფსიხოსტენიის, ნევროზების სამკურნალოდ. დადებით შედეგებს იძლევა წინა და კლიმაქტერიულ პერიოდებში ცენტრალური ნერვული სისტემების ფუნქციონალური დარღვევებისას. მას უნიშნავენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნევროზების, მეტეორიზმისა და სპასტიკური ტკივილებისას.

უკუჩვენება: ჰიპოტენზია, ბრადიკარდია.

გავრცელება: დასავლეთ ევროპული სახეობაა.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება რუდერალურ ადგილებზე, ბუჩქნარებში, ნახილარებზე, მითევებულ ნაკვეთებზე დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე.

კულტივირება: შავბალახას ერთსა და იგივე ადგილზე კულტივირება შესაძლებელია 4 წლამდე. ამიტომ სამკურნალო მცენარეების სპეციალურ თესლბრუნვაში რეკომენდირებულია მათი მოყვანა სათოხნი კულტურების შემდგომ. ძირითად საშემოდგომო ხვნას ატარებენ ად-

რეულ ვადებში. ადრე გაზაფხულზე ფარცხავენ, ხოლო დათესვის წინ ტარდება კულტივირება 8-10 სმ სიღრმით შემდგომი დაფარცხვით. ძირითადი ხვნის წინ შეაქვთ 25-30 ტ/ჰა სასუქი, 3-4 ც/ჰა სუპერფოსფატი და 2 ც/ჰა- ზე კალიუმის ქლორიდი.

ამრავლებენ უშუალოდ ღია გრუნტში თესვით. თესვა შესაძლებელია როგორც ადრე გაზაფხულზე, ისე გვიან შემოდგომით. გაზაფხულზე თესვას ატარებენ სტრატეფიცირებული თესლით (0-4⁰ C t-ზე 30-40 დღის განმავლობაში), შემოდგომით - მშრალით. საგაზაფხულო თესვის ნორმა 7-8 კგ .ჰა, რიგთაშორის 60 სმ დაშორებით; შემოდგომით დათესვისას ნორმას ზრდიან 15 %-ით. გაზაფხულზე თესვის სიღრმე - 2-3 სმ-ია, შემოდგომით -1-1,5 სმ.

პლანტაციის მოვლა სიცოცხლის პირველ წელს მდგომარეობს აღმონაცენის წარმოქმნის შემდგომ რიგთაშორის გაფხიერებაში. აღმონაცენის 4-5 სმ სიმაღლისას ახდენენ გამოხშირვას, ტოვებენ 20-30 სმ დაშორებით. მეორე და შემდგომ წლებში ადრე გაზაფხულზე აგროვებენ წინა წლის გამხმარ ღეროებს, შემდგომ ანოციერებენ აზოტოვან-ფოსფორიანი სასუქებით 40-50 კგ/ჰა და ფარცხავენ. სავეგეტაციო პერიოდში, წელიწადში ორჯერ ტარდება რიგთაშორისი გაფხიერება, ერთდროული გამარგვლით.

მოსავლის აღება ხდება მცენარის ქვედა ნაწილზე 2/3 ყვავილის აყვავების შემდგომ. აშრობენ საშრობებში 50-60⁰ C t-ზე /კუნა გეორგიკა, 1998/.

Leuzea carthamoides D. C. (Rhaponticum carthamoides (Willd.) Iljin) - ლევგა
Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 50-80 სმ სიმაღლის მცენარეა, მძლავრი ფესვთა სისტემით, ღერო შიშველია, წახნაგოვანი, შებუსუსი. ფოთლები ღრმად ფრთისებრ განკვეთილია კვერცხისებრ-ლანცეტა, დაკბილულ ნაკვეთლებად. ყვავილები მილისებრია, იისფერი, შეკრებილია მარტოულ, მსხვილ კალათებად. ნაყოფი თესლურაა

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს. შეიცავს - ფისოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ალკალოიდებს, გუმფისს, კაროტინს, ასკორბინის მუავას, ტრიტერპენულ გლიკოზიდებს, ფლავონოიდებს, ანთოციანურ გლიკოზიდებს, ეგზისტერონებს, ინულინს, რეტინოლს, მინერალურ მარილებს, რკინას, სპილენძს, ალუმინს.

მეცნიერულ მედიცინაში ლევზეას ექსტრაქტი გამოიყენება როგორც მატონიზირებელი, აღმგზნები, საერთოგამაძლიერებელი, ადაპტოგენური და ფსიქომასტიმულირებელი საშუალება. სასიკეთოდ მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე; ამალღებს მდგრადობას არასახარბიელო ზეგავლენების მიმართ, არეგულირებს წნევას ჰიპოტონიკებში, ნორმალიზდება სისხლში ჰემოგლობინის და ერითროციტების რაოდენობა. მისი ზეთი ხასიათდება ანტისკლეროტული თვისებებით, გადაღლილობისას ამალღებს თვალის მხედველობის სიმახვილეს; ავლენს გამაუმტკვივნებელ მოქმედებას ნევროზული თავის ტკივილების, გულის ნევროზის შემთხვევაში, ხსნის საჭმლის მომნელებელი ორგანოების სპაზმებს; ზეთი გამოირჩევა ფსიქომოციონალური მოქმედებით, ხსნის ძლიერ აღგზნებას, გადაღლილობას, აცილებს დეპრესიას, ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას, ამალღებს გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას, შრომისუნარიანობას, ასტიმულირებს შემოქმედებით პოტენციალს, ურთიერთობას და რიტორიკას. უნიკალურად მოქმედებს იმპოტენციაზე.

ხანგრძლივმა გამოყენებამ და ღობის გადაჭარბებამ შეიძლება გამოიწვიოს წნევის აწევა, გულის რიტმის შენელება და გულის კუმშვადობის ამპლიტუდის გაზრდა.

გავრცელება: სამხრეთ ციმბირის ენდემია. ძირითადი ადგილსამყოფელია ალტაი.

ჰაბიტატები: იზრდება სუბალპურ სარტყელში, 1400-2300 მ სიმაღლეზე.

კულტივირება: კულტურაში ამრავლებენ ახლად შეგროვილი თესლით, გაზაფხულზე და ზაფხულში თესვით. გაზაფხულის ნათესარები შემოდგომით ინვითარებს ძლიერ ფესვთა სისტემას და წარმოქმნის ფოთლისეულ როზეტს. თესვის საუკეთესო საშუალებაა თესვა ფართო რიგთაშორისებში 60-70 სმ-ის დაცილებით, თესვის ნორმა 1 ჰა-ზე 8-9 კგ. პირველ წელს სასურველია რიგთაშორის დამუშავების გარდა გამარგვლა. მცენარეებს ანოციერებენ ორგანული და მინერალური სასუქებით. ნაყოფმსხმოიარობს ყოველწლიურად, იძლევა 250 კგ თესლს 1 ჰა-დან. ამ რაოდენობის თესლით შესაძლებელია თესვა 16-30 ჰა ფართობზე.

https://ru.wikipedia.org/wiki/Папонтикум_сафлоровидн.

Maclura pomifera (Raf.) Schneid (= M.aurantiaca Nutt.) - მაკლურა

Fam. Moraceae - ჯ. თუთისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ფოთოლმცვენი ორსახლიანი 20 მ-მდე სიმაღლის ხეა, ძლიერ დატოტვილი გადაშლილი ვარჯით. ყლორტები ძლიერ ეკლიანია, განლაგებულია ფოთლების უბეებში. ფოთლები მორიგეობითია, კვერცხისებრი, წაწვეტებული, კიდემთლიანი, მუქი მწვანე, პრილა. ყვავილები წვრილია, ბაცი მწვანე. მტვრიანიანი ყვავილები შეკრებილია მჭადა ყვავილედად, ბუტკოიანი ყვავილები - კომპაქტურ სფერულ თავაკებად. მეთად ეფექტურია ნაყოფმსხმოიარობის პერი-

ოდში, როდესაც მსხვილი, დანაოჭებული მოყვითალო სალათისფერი ნაყოფედი ამშვენებს ხეს.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: ცნობილია სხვადასხვა სახელით: “ადამის ვაშლი”, “ცრუ-ფორთოხალი”, “ღვთიური საჩუქარი”.

ნაყოფი საკვებად უვარგისია. შეიცავს ვიტამინების უმდიდრეს კომპლექსს, ფლავონოიდებს, მიკრო და მაკროელემენტებს, აქტიურ ნივთიერებებსა და ორგანულ მჟავებს. უნიკალურმა სამკურნალო შემადგენლობამ აქცია მაკლურას ნაყოფები ჯადოსნურ და სასწაულმოქმედ საშუალებად მრავალი დაავადების მიმართ. ხალხური მედიცინა იყენებს მხოლოდ მნიშვნეულ ნაყოფებს, არსებობს უამრავი რეცეპტი მალამოს, ზეთის, ნაყენების დასამზადებლად. მათი მთავარი დანიშნულებაა: სიმსივნის საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, გამამაგრებელი, დამამშვიდებელი მოქმედება.

მაკლურას მალამოთი კურნავენ კანის დაავადებებს: ფურუნკულებს, მღიერს, ჩირქოვან გამონაყარს, მალეებს შუა თიაქარს, მასტოპატიას, ლიმფური კვანძების ანთებას, ტროფიკულ წყლულებს, სწორი ნაწლავისა და კანის კიბოს. ნაყოფების სპირტიან ნაყენს იყენებენ პოლიართრიტის, ოსტეოხონდროზის, ნიკრისის ქარის, რადიკულიტის, მარილების დაღეწვის, თიაქარის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, სხვადასხვა ორგანოს კეთილ და ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ, აძლიერებს იმუნიტეტს, ხსნის ინტოქსიკაციას, ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის მდგრადობას. გარდა აღნიშნულისა მაკლურა ხასიათდება ყველანაირი წარმოშობის სიმსივნეების მძლავრი გამწოვი უნარით. ნაყენი გამოიყენება როგორც გარეგანად (დასაზღვლად), ასევე შინაგანად.

უკუმჩვენებელია მხოლოდ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

გავრცელება: სამშობლო აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით; გავრცელებულია ცენტრალურ ტეხასში.

კულტივირება: კულტივირებულია შუა აზიაში, ყირიმში, რუსეთში - კრასნოდარისა და სტავროპოლის რაიონებში, კავკასიაში, საქართველოში. კარგად იტანს ქალაქის პირობებს. გვალვავამძლეა, ქარებისა-დმი მდგრადი, მლაშობი ნიადაგების ამტანი.

Mahonia aquifolium (Pursh) Nutt. - მაჰონია
Fam. Berberidaceae - ოჯ. კონახურისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 1 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია, წარმოქმნის რაყებს ფესვისეული ამონაყრების გაბარდვის გზით. ახალგაზრდა ყლორტების ქერქი მოვარდისფრო-ნაცრისფერია, ასაკონების-მურა-ნაცრისფერი, სიგრძივი ზოლებით. ფოთლები კენტფრთართულია, 5-9 ფოთოლაკით, 15-20 სმ სიგრძის, მოწითალო ყუნწით; ფოთოლაკები ტყავისებრია, პრიალა, დაძარღვეული, ქვედა მხრიდან – მქრქალი, ბაცი მწვანე, კიდეებზე ამოკვეთილ-მახვილ ხერხკბილა, ყვავილები ბაცი ყვითელია, კაშკაშა, იშვიათად ლიმონისფერი ელფერით, შეკრებილია მრავალყვავილიან საგველა ან მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მოგრძო-ელიფსურია, მოლურჯო-მოშავო, უხვი ნაცრისფერი ნაფიფქით, 2-8 თესლითა და მომყავო-მოტკბო გემოთი. თესლი მოგრძოა, წაბლისფერი, პრიალა.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: ფესვების ექსტრაქტი შეიცავს იზოქვინოლინურ ალკალოიდებს: ბერბერინს, ბერბალინს, ჰიდრასტინს და აპორფინის - ტიპის ალკალოიდებს, ორგანულ და ასკორბინის მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს.

მაჰონიის ქერქიდან მიღებული ნატურალური აქტიური ნივთიერებები გამოიყენება ჰომეოპათიაში მშრალი, ქერქლოვანი კანის დაავადებებისას, კერძოდ ფსორიაზის საწინააღმდეგოდ.

კალიფორნიის მკვიდრი მოსახლეობა ისტორიულად ფესვების მწარე მიქსტურას იყენებს მადის გასაუმჯობესებლად, საერთო სისუსტის დროს გამწმენდ საშუალებად.

აშშ-ში ფარმაცევტული სტანდარტებით დამზადებული წამლების (**ნეიჩელაქსი, ურო ლაქსი**) შემადგენლობაშია მაჰონია. გერმანიაში ჩატარებული კლინიკური გამოკვლევებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მაჰონიის მოქმედი ნივთიერება - ალკალიოდი ბერბერინი, რომელიც ხასიათდება მაღალი ეფექტურობით შაქრიანი დიაბეტის მკურნალობისას; მეცნიერთა გამოკვლევებით ბერბერინის ორალური გზით მიღებამ გამოიწვია შაქრის დონის დაწვევა, შეამცირა სისხლში ცირკულირებული ცხიმების რაოდენობა, გაზარდა ინსულინის აქტივობა და საბოლოოდ შეამცირა საკვლევი ცხოველების წონა.

მაჰონიის ექსტრაქტი ხელს უწყობს ასაკოვან ადამიანებში დაავადებების დაძლევას, ანეიტრალებს თავისუფალი რადიკალების მოქმედებას, ეწინააღმდეგება დამანგრეველ ქმედებას მიოკარდიის კედლებზე, ააქტიურებს იმუნურ სისტემას, იცავს ფილტვებს და შემაერთებელ ქსოვილებს; გამოიყენება როგორც ნაღველმდენი საშუალება ჰეპატიტის, ჰეპატოქოლენციკოსტიტის, შუშუების, ნიკრისის ქარების დროს; ხასიათდება ანტიოქსიდანტური მოქმედებით, აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას, ამყარებს კაპილარების კედლებს და მოქმედებს 15-ჯერ უფრო აქტიურად E ვიტამინთან შედარებით; გამოიყენება გასტრიტებისა და საკვებმომწელებელი ტრაქტის საერთო დაავადებებისას, ასტიმულირებს ნაღვლის ბუშტის ფუნქციას, აქვეითებს ყაბზობის შესაძლებლობებს.

კლინიკური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მაჰონიის ფოთლები ხასიათდება მძლავრი ანტიბაქტერიული და რაც მთავარია ანტიპარაზიტული მოქმედებით.

მაჰონიის საფუძველზე დამზადებული პრეპარატები ამჟამად გამოიყენება მთელი რიგი დაავადებების სამკურნალოდ, კერძოდ: ეგზემის, ფსორიაზის, ფერიმჭამელების გამონაყრების, ჰერპესისა და ა.შ. მისი შემცველი ალკალიოდიები ამუხრუჭებს კანის გარკვეული უჯრედების დაყოფას და ზრდას, ამცირებს ანთებით პროცესებს, ეწინააღმდეგება უჯრედების დაზიანებას თავისუფალი რადიკალებით.

უკუმაჩვენებელია ნაღველ-კენჭოვანი დაავადებებისას.

გავრცელება: სახეობის არეალი მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ შტატებს, ბრიტანეთის კოლომბიიდან კალიფორნიამდე. ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ ევროპაში დეკორატიული ბუჩქების სახით.

საქართველოში კულტივირებულია დეკორატიულ მებაღეობაში.

კულტივირება: ადვილად მოსავლელი მცენარეა. კარგად ვითარდება როგორც ნაყოფიერ, ასევე ქვიშნარ და მძიმე თიხნარ გრუნტში. იზრდება მზიან და დაჩრდილულ ადგილებში; მდგრადია გვალვისა და დაბინძურებული ჰაერისადმი. უძლებს მაღალ ყინვებს. ადვილად იტანს გადარგვას.

Malva sylvestris L. - ტყის ბალბა

Fam. Malvaceae - ოჯ. ბალბასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ორწლოვანი, იშვიათად ერთი ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 10-100 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, სწორმდგომი, მეტნაკლებად სქლადაა შებუსვილი ან ზოგჯერ თითქმის შიშველი. ფოთლები გრძელყუნწიანია, მომრგვალო-თირკმლისებრი, ძირი გულისებრია, 5-7 მრგვალებილა ნაკვეთებით, შიშველია ან გაფანტული ვარსკვლავისებრი ბენწებით შებუსვილი. ყვავილები ილლიურია, 2-5 ერთად განწყობილია ღეროს ზედა ნაწილში, არათანაბარი ზომის დაყვავილების შემდეგ აშვერილი ყვავილის ყუნწებით. ჯამქვემა ფოთოლაკები მოგრძო კვერცხისებრია. გვირგვინი იისფერია,

ხშირად მუქძარღვიანი, დიდი ზომის, 3-4-ჯერ აღემატება ჯამს. თესლი თირკმლისებრია, მოშავო ფერის, ოდნავ შესამჩნევად დანერტლილი.

ფენოლოგია: ყვ. VI; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: საკვები, თაფლოვანი, დეკორატიული, საღებავი მცენარეა. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის ყვავილები და ფოთლები, აგროვებენ ყვავილობის პერიოდში. შეიცავს ლორწოს, ალკალოიდებს, ნახშირწყლებს, ფლავონოიდებს, ვიტამინ C-ს და კაროტინს, მიკროელემენტებს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს.

უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. ჰიპოკრატეს ნაშრომებში აღწერილია, როგორც აღმგზნები. დიოსკორიდი აღნიშნავს მის დამწვრობის სანინალმდებო თვისებას, პლინიუსი თვლიდა ბალბას მშობიარობის დამაჩქარებელ საშუალებად.

ხასიათდება ანთების სანინალმდებო, შემომგარსველი, ამოსახველებელი, დამარბილებელი, მადღმინფიცირებელი მოქმედებით. გამოიყენება ზემო სასუნთქი გზების, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, პანკრეატიტის, გაციების, ხველების, ფილტვების ემფიზემის, ანგინის, პაროდონტოზის დროს; გარეგანად – ყელისა და პირის ღრუს დაავადებების, დამწვრობის, თვალის ანთების, ბუსილის, გინგივიტის სამკურნალოდ (Минаева, 1970; Растительные ресурсы СССР, 1985).

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის (1978) „კარაბადინში“ ბალბა (მალუქი) როგორც ფილტვების დაავადების, ხველების სამკურნალო და გამსხნელი საშუალებაა - „თუ სისხა ზიყი ჭირდეს და შეკვრით იყოს, როდესაც დაემართოს სტომაქსა სიმსივნე მხურვალი, გამსხნელი წამალია“.

ხევსურეთის ხალხურ მედიცინაში რძეში მოხარშულ ბალბას იყენებენ წითელი ქარის, ყელის დაავადებების, მასტიტის დროს (შენგელია, 1983).

გავრცელება: დასავლეთპალეარქტიკული სახეობაა, გავრცელებულია შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის მხარეს, მცირე აზიაში, ირანში, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: მეზოფიტია, სინათლის მოყვარული, იზრდება ბუჩქნარებში, ნათელ ტყეებში, რუდერალურ ადგილებზე, საცხოვრებელ სახლებთან, ბალ-ბოსტნებში, ტყის ქვედა და შუა სარტყელში.

კულტივირება: მრავლდება თესლით. თესლის გაღივების პროცენტი საკმაოდ მაღალია, 60-70%, ითესება გაზაფხულზე, 1-2 სმ სიღრმეზე, 30-50 სმ-ს დაშორებით, რიგებად, რიგთაშორის მანძილი 60-70 სმ. მოხნულ, ორგანული სასუქით მდიდარ ნიადაგზე. საჭიროებს ზომიერ რწყვას, რიგთაშორის მიწის გაფხვიერებას და სარეველებისაგან გასუფთავებას.

Mandragora officinarum L. - მანდრაგორა
Fam. Solanaceae - ოჯ. ძაღლყურძენასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რთული ფორმის მუქი ყავისფერი ფესვით, რომელიც მოხაზულობით ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს. ფოთლები დიდი ზომისაა, შეკრებილია ფესვთანურ როზეტად, კიდემთლიანია, ლანცეტა ან ოვალური ფორმის, სიგრძეში 80 სმ-მდე აღწევს. ყვავილები მარტოულია, გვირგვინი ზარისებრია, ხუთნაკვთიანი, ყვავილობის დასაწყისში - ბაცი მწვანე, შემოდგომისკენ - იისფერი. ნაყოფი ყვითელი ან ნარინჯისფერი კენკრაა.

ფენოლოგია: VII-VIII; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: ფესვი, ნაყოფი და თესლი შეიცავს მაღალტოქსიკურ ალკალოიდებს: ატროპინს, მანდრაგორინს (ატროპინის იზომერი), ჰიოსციამინს და სხვ., აგრეთვე მირისტინის მჟავას, ფიტოსტერინებს. მცენარეში შემავალი ალკალოიდები იწვევს ცენტრალური ნერვული

სისტემის დათრგუნვას, რის გამოც ხასიათდება დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი მოქმედებით. ოფიცინალურ მედიცინაში მანდრაგორის ფესვის ექსტრაქტი და ნაყენი შედის ზოგიერთი ანტისპაზმური და ტკივილგამაყუჩებელი წამლების შემადგენლობაში. მას ლეებულობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის დარღვევების, სხვადასხვა გენეზისის ტკივილების (სახსრების, კუნთების და ა.შ.), ვითილიგოსა და კანის სხვა პათოლოგიების დროს.

ნედლი დაქუცმაცებული მცენარე ცხელი საფენების სახით იხმარება გამაგრებული ჯირკვლების, სიმსივნების, შემუშების დროს; მალამოების სახით - როგორც გარეგანი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის სამკურნალოდ.

ფართოდ გამოიყენებოდა ძველ მედიცინაში, მას იყენებდა დიოსკორიდი და ავიცენა. ანტიკური პერიოდიდან XVIII საუკუნემდე ფართოდ იაპაზონის სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა. არის ერთ-ერთი პირველი ანესთეზიის გამომწვევი პრეპარატი, ვინაიდან ადრეულ პერიოდებში ლვინოსთან შერეულ მანდრაგორის წვენს აძლევენ ოპერაციების დროს გასაუმტკივნებლად; მცირე დოზებში გამოიყენებოდა დეპრესიებისა და ფობიებისას.

ძლიერ შხამიანია! უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მახსოვრობის დაკარგვა, ტვინის ფუნქციის დარღვევა, ჰალუცინაციები, კომატოზური მდგომარეობა, სუნთქვის შეჩერება და სიკვდილი.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის სამხრეთით, ხმელთაშუაზღვეთში, განსაკუთრებით აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ დაბლობებზე და კუნძულ სიცილიაზე, შუა აზიაში, ჰიმალაის მთისწინებსა და ახლო აღმოსავლეთში.

Matricaria recutita L. (M. chamomilla L.) – სამკურნალო გვირილა
Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთუყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სწორ-მდგომი, ძლიერ დატოტვილი, 25-50 სმ სიმაღლის ღეროთი; ფესვი ფუნჯაა, წვრილი. ფოთლები ორმაგფურთისებრდანაკვეთელია, შედგება ვიწრო ხაზური ნაკვეთებისაგან, მორიგეობითია, მჯდომარე. ყვავილოვანი კალათები შედგება ნაპირა თეთრი ენისებრი და შუა, ყვითელი მილისებრი ყვავილებისაგან, სასიამოვნო სურნელის, გრძელი საყვავილე ყუნწებით. ყვავილსაჯდომი უაპკოა, შიშველი, შიგნით ღრუ. ყვავილობის დასაწყისში აქვს ბრტყელი, დასასრულს - კონუსისებრი ფორმა. ნაყოფი რამდენამდე მოღუნული წვრილი თესლურაა. 1000 თესლის წონა 0,04-0,06 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. V-X; ნაყ. VI-XI.

მნიშვნელობა: ანტიკური პერიოდიდან ცნობილია მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში, დღემდე რჩება ყველაზე მოთხოვნად სამკურნალო მცენარედ. სამკურნალო ნედლეული ყვავილები (კალათა), რეკომენდირებულია ახლად გაშლილი ყვავილების შეგროვება ენისებრი ყვავილების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში. შეიცავს ეთერზეთებს - ხამაზულენის, კადიენის შემადგენლობით, ტერპენებს, სესკვიტერპენს, ლაქტონ-მატრიკარინს, შაქრებს, კამედს, გლიკოზიდებს, ცილოვან ნივთიერებებს, ლორწოს, სპირტებს, მუავებს (კაპრილის, ნონილის, ანთემისის, იზოვალერიანის), ქოლინს, კაროტინს, ვიტამინ C.

ბალახიდან მიიღება ეთერზეთები (ე.წ. გვირილის ზეთი), რომელიც მრავალმხრივი დანიშნულებით გამოიყენება. მის შემადგენლობაში მთავარ ნივთიერებას ხამაზულენი წარმოადგენს, რომელიც ზეთს ლურჯ შეფერილობას აძლევს. მის გარდა აღინიშნება გლიკოზიდები, ფლავონოიდები, კუმარინები, ლორწო, მწარე ნივთიერებები, ვიტამინები, ორგანული მუავები.

გვირილას პრეპარატები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, სედატიური, შემკვრელი, ქარმდენი, ოფლმდენი და ადგილობრივ მანესტეზირებელი მოქმედებით. გვირილაში შემავალი ნივთიერება აზულენი ინვესს ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედებას და აჩქარებს ქსოვილების შეხორცების პროცესს, ხოლო ფლავონოიდები ხსნის შინაგანი ორგანოების გლუვი მუსკულატურის სპაზმებს. ექსპერიმენტებით დამტკიცებულია ყვავილელების ნახარშის ნალველმდენი მოქმედებაც.

ხალხურ მედიცინაში ყვავილების ნაყენს ძველი დროიდან იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი (გასტრიტი, კოლიტი, ენტეროკოლიტი) დაავადებებისას, კუჭის სპაზმის, მეტეორიზმის, მენსტრუაციის შეკავების, გაციებისა და ნევროზების დროს; აბაზანების სახით - რევმატიზმის, სახსრების ნიკრისისეული მოვლენებისას; გამოსავლებად - ღრძილების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებისა და ანგიინის დროს, აგრეთვე ჩირქოვანი ჭრილობების მოსაბანად.

მეცნიერულ მედიცინაში ყვავილების ნაყენი ან ჩაი გამოიყენება შინაგანად ან ოყნის სახით ნაწლავების სპაზმების, მეტეორიზმისა და ფალარათის სამკურნალოდ; გარეგანად - როგორც შემკვრელი და მადეზინფიცირებელი საშუალება გამოსავლებად, შესასხურებლად, საფენებისა და აბაზანების სახით.

გვირილა იხმარება პარფიუმერიასა და კოსმეტოლოგიაში.

გავრცელება: ევრაზიული სახეობაა, ფართოდაა გავრცელებული ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. როგორც სარეველა აღინიშნება ორივე ნახევარსფეროს არატროპიკულ რეგიონებში.

საქართველოში მითითებულია აჭარისათვის.

ჰაბიტატები: იზრდება სტეპებზე, მდელოებზე, მინდვრებზე, გზის პირებზე როგორც სარეველა, ამჭობინებს მსუბუქ, ქვიშნარ ნიადაგებს.

კულტივირება: კულტივირებულია დიდ მასშტაბებში. სინათლისა და ტენის მოყვარული მცენარეა. სავეგეტაციო პერიოდი ძლიერ ხანმოკ-

ლეა: თესლის გაღვივებიდან ყვავილობამდე 60-70 დღეა, ხოლო გან-
ვითარების სრული ციკლი გრძელდება სამი-ოთხი თვე. ერთ-ერთ
ბიოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს თესლების სწრაფი ცვენა.
გვიან შემოდგომით აღმოცენებისას სამკურნალო გვირილა ვითარდება
როგორც საშემოდგომო კულტურა და ძლიერ ასარეგლიანებს მინდვ-
რებს.

ამ კულტურისათვის გამოყოფილი ნაკვეთები სარეველებისაგან გასუ-
ფთავებლი უნდა იყვეს, ვინაიდან აღმონაცენი წვრილია და სარევე-
ლებისაგან იხშობა. ყველაზე სასურველი ნოყიერი შავმიწა თიხნარებია
საშუალო მექანიკური შემადგენლობის. კარგ წინამორბედად ითვლება
სუფთა ნასვენ მიწები, ანეული, საშემოდგომო, სათოხნი და მარ-
ცვლოვან-ჰარკოსანი კულტურები.

თუ გვირილასათვის შერჩეულია საშემოდგომო კულტურებისათვის გა-
მოყოფილი მიწა, მოსავლის აღებისთანავე აწარმოებენ ნიადაგის
აოშვას, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში მშრალად ხენას 22-25 სმ
სიღრმეზე, ერთდროული დაფარვებით. სარეველების წარმოქმნისას
ატარებენ ერთ ან ორ კულტივაციას 5-7 სმ სიღრმით. ძირითადი ხენის
დროს შეაქვთ 30/40 ტ/ჰა ნაკელი; ნაკელის სიმცირისას, მასთან ერთად
შეაქვთ მინერალური სასუქები (15-20 ტ/ჰა ნაკელი, და 45 კგ/ჰა ფოს-
ფორ-კალიუმიანი სასუქების მომქმედი ნივთიერებები). აზოტიანი სასუ-
ქები შეაქვთ გაზაფხულზე 25-30 კგ/ჰა გამოკვების სახით.

ამრავლებენ თესლით, ღივდება 4-6⁰ -ზე. აღმონაცენი წარმოიქმნება
დათესვიდან მე-4-10 დღეს. აღმონაცენი სუსტია, ადვილად იღუპება სიმ-
შრალისას. ყვავილობს აღმონაცენის წარმოქმნიდან 30-60 დღის შემ-
დეგ, სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობა 3-4 თვეა. ვეგეტაციის პირ-
ველ ფაზაში ტენისადმი მომთხოვნია, ყვავილობის პერიოდში იტანს
ხანმოკლე სიმშრალეს. სინათლის მოყვარულია. სავეგეტაციო პერიოდ-
ის ოპტიმალური ტემპერატურაა 19-21⁰. ნიადაგისადმი არ არის მომ-
თხოვნი, მაგრამ კარგად რეაგირებს სასუქებზე.

თესენ სხვადასხვა დროს: გაზაფხულზე, ზაფხულში და ზამთრის წინ.
ზაფხულში თესვისას მცენარე ზამთრის დადგომამდე ივითარებს ფოთ-
ლისეულ როზეტს, გაზაფხულზე-საყავილე ღეროს ყვავილედებით.
თესვენ რიგთაშორისებში 45 სმ დაცილებით, თესვის სიღრმე 0,5 სმ,
თესვის ნორმა -2-3 კგ/ჰა.

რიგთაშორის პირველ დამუშავებას ატარებენ აღმონაცენის წარმოქმნისთანავე კულტივატორებით. აღმონაცენის გაძლიერების შემდგომ რიგებს ხელით მარგლიან. შემდგომში მინდვრის გაფხვიერება ხდება საჭიროებისამებრ.

კალათების პირველი შეგროვება წარმოებს, როდესაც თითოეულ მცენარეზე იშლება 5-10 ყვავილი, შემდგომი შეგროვებები ხდება თითო კვირის ინტერვალით, ზაფხულის ბოლომდე. ნედლეულს აშრობენ საშრობებში 45⁰ -ზე. სათესლე ნაკვეთებზე ნედლეულს არ აგროვებენ / Котков, 1975; Вехов и др., 1978/.

Melilotus officinalis (L.) Desr. - სამკურნალო ძიძო
Fam. Fabaceae (Leguminosae) - ოჯ. პარკოსანნი



ბოტანიკური დახასიათება: ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 2 მ-მდე სიმაღლის სწორმდგომი დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნჩიანი, სადგისისებრი კიდემთლიანი თანაფოთლებით, სამფოთო; აიანი; ფოთოლაკები ხერხისებრ დაკბილულია, შიშველი; ქვედა ფოთლების ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ზედა - ლანცეტისებრი. ყვავილი წვრილია, ყვითელი, შეკრებილია მრავალყვავილიან, 15 სმ-მდე სიგრძის მტევნებად. ნაყოფი ერთ-ორთესლიანი პარკია, უკუკვერცხისებრი ფორმის, შიშველი ან წვრილხორკლიანი, მურა-ყვითელი.

ფენოლოგია: ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია მცნარის მიწისზედა ნაწილი შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. გამშრალი მცენარის მიწისზედა ნაწილი არომატულია, ხასიათდება მომლაშო-მომწარე, ოდნავ მწვავე გემოთი. შეიცავს კრისტალურ ნივთიერება კუმარინს (ფოთლებში მათი შემცველობა ყვავილობისას 0,1% შეადგენს, ღეროებში - 0,4%, ყვავილებში - 0,9%), კუმარინის მჟავას, მელილოტინს, მელილოტის მჟავას, გლიკოზიდებს, მელტრილოტოზიდს, ცილებს და ცხიმისმაგვარ ნივთიერებებს.

ძიძოსგან ამზადებენ ნაყენებსა და ნახარშებს. ბულგარულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ბრონქების ქრონიკული კატარის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ტკივილების, შაკიკის, მალალი არტერიული წნევის, კლიმაქსის დროს. კომპრესებსა და პლასტირებს გარეგანად ხმარობენ ფურუნკულების, კარბუნკულების, ჩირქიანი ჭრილობების, შუა ყურის ანთებითი პროცესების დროს; საფრანგეთში იხმარება ანტისპაზმურ და შემკვრელ საშუალებად, ინდოეთში - როგორც დამარბილებელი, ქარმდენი და სისხლდენისშემამჩერებელი, ავსტრიაში - კუჭის დაავადებების, ბრონქიტის, პოლონეთში - გულის ტკივილების, უძილობის, ნევრასტენიის, ბუასილის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში გამოიყენება სასუნთქი ორგანოების დაავადებების, უძილობისა და მეტეორიზმის დროს. გარეგანად - აბაზანებისა და კომპრესების სახით წყლულების, ჩირქგროვების, ფურუნკულების, სარძევე ჯირკვლების ანთებისა და სახსრების რევმატიზმის სამკურნალოდ. დაქუცმაცებული ფოთლები ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

შხამიანი მცენარეა! გამოყენებისას დაცული უნდა იყვეს ნორმები, დარღვევები იწვევს ნერვული სისტემის დათრგუნვას, უძილობას, თავის ტკივილებსა და პირღებინებას.

გავრცელება: არეალი მოიცავს კონტინენტალურ ევროპას, მცირე, შუა და ცენტრალურ აზიას, კავკასიას. შეტანილია ბრიტანეთის კუნძულებზე, ახალ ზელანდიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში და სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთში, სადაც წარმატებით ნატურალიზებულია.

https://ru.wikipedia.org/wiki/Донник_лекарств

საქართველოში ბუნებრივად ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება მდელოებზე, მინდვრებში, გზისა და ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, ნათესებში. როგორც სარეველა.

კულტივირება: მოჰყავთ რუსეთის ზოგიერთ რაიონში. მრავლდება თესლით.

Melissa officinalis – ბარამბო

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ძლიერ დატოტვილი ფესურითა და ოთხხანხაგოვანი, სწორმდეგომი, დატოტვილი, შებუსული 30-80 სმ სიმაღლის ღეროებით. ფოთლები სურნელოვანია, ლიმონის არომატით, ფორმით კვერცხისებრია, ბაცი მწვანე, მოპირისპირე, კიდემრგვალხერხებილა. ყვავილები რგოლურია, ორსქესიანი, ზედა ფოთლების უბეებში განწყობილი. გვირგვინი თეთრია, მოვარდისფრო ან ყვითელი, ორტუჩა, ცვენია. ნაყოფი მურაა, შედგება ოთხი ერთთესლიანი კაკლისაგან. 1000 თესლის წონაა 0,5-0,7 გ.

ფენოლოგია: ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII- IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება მინისზედა ყლორტების კენწეროები, ფოთლები. შეიცავს: მთრიმლაჟ ნივთიერებებს, ლორწოს, ორგანულ მჟავებს, ფისებს, ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია - ციტრალი, ციტრონელალი, პერანოილი, კოფეინს, კაროტინს, ვიტამინ C. ხასიათდება დიეტური, ტკივილგამაყუჩებელი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, სპაზმოლიტური, დამამშვიდებელი, ოფლმდენი მოქმედებით.

ჯერ კიდევ ავიცენა აქებდა ბარამბოს, როგორც საშუალებას, რომელიც ამაღლებს ცხოვრების უნარიანობას და განდევნის მელანქოლიას.

ბალახის ნაყენს ან ნახარშს იყენებენ დამამშვიდებელ საშუალებად გადაჭარბებული აღგზნებადობის, ისტერიის, იპოქონდრიის, უძილობის, მადისა და საჭმლის მომწელებელი ორგანოების მოქმედების გასაუმჯობესებლად, კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ, ტკივილ-გამაყუჩებლად სხვადასხვა ნევრალგიის, გულის არემი, თავისა და კუჭის ტკივილებისას, გულის წუხილის, ისტერიკის, ნევრალგიის დროს; ამცირებს ქოშინს, გახშირებული გულისცემის შეტევებს.

ბარამბოს ეთეროვანი ზეთი გამოიყენება ტახიკარდიის, ქოშინის, გლუვი კუნთების სპაზმის, ნევროზების, პირის ღრუს ანთებითი დაავადებების, პირღებინების, მტკივნეული მენსტრუაციის, ნევროზების, შაკიკის, უძილობის, დროს. გარეგანად კომპრესების სახით იყენებენ სახსრების რევმატიული ტკივილების, დაუყუილობებისა და წყლულების სამკურნალოდ.

სიფროთხილე მართებთ არტერიული ჰიპოტონიით დაავადებულებს.

გავრცელება: ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, სამხრეთ-დასავლეთ ევრაზიული სახეობაა.

საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელო, აჭარა, ქართლ-კახეთსა და თრიალეთში.

ჰაბიტატები: ტყის, მებოფილური სახეობაა; იზრდება ტყის პირებზე, ტყის ფანჯრებში, ნაკაფებში, ბუჩქნარებში და რუდერალურ ადგილებში მთის ქვედა სარტყელში.

კულტივირება: სითბოსა და სონათლის მოყვარული მცენარეა, განვითარებისათვის 110 დღე სჭირდება, თესვების მოსამზინფებლად - 130-140 დღე. ძლიერი ფესვთა სისტემის გამო არ ეშინია სიმშრალის. მოღრუბლული ამინდი უარყოფითად მოქმედებს მის ზრდა-განვითარებასა და ეთერზეთების დაგროვებაში. მცენარის ერთ ადგილას 5 წლის მანძილზე გამოზრდამ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე აჩვენა, რომ ისინი აღწევენ 110-115 სმ სიმაღლეს და თითო ბუჩქზე 100-მდე ღეროს ინვითარებენ.

კარგად ხარობს განათებულ და ჩრდილოეთის ქარებისაგან დაცულ ნაკვეთებზე. მისთვის კარგია მსუბუქი, თიხნარი, ფხვიერი ნიადაგები. დასარგველად ისეთი ნაკვეთი უნდა შეირჩეს, სადაც იგი მოსავალს

მოგვეცემს 8 წლის განმავლობაში. ნიადაგი იხვნება 27-30 სმ სიღრმეზე. ადრე გაზაფხულზე ნაკვეთს ფარცხავენ და შემდეგ გადახნავენ ისევ 15-15 სმ სიღრმეზე. შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები: 15-20 ტ/ჰა-ზე კომპოსტი, 2-3 ც/ჰა-ზე სუპერფოსფატი, 1,5-2,0 ც/ჰა-ზე ამონიუმის სულფატი და 0,8-1,0 ც/ჰა-ზე კალიუმის მარილი.

ბარამბოს ამრავლებენ სხვადასხვა მეთოდით: გრუნტში თესვით, ნერგის გამოყვანით, ბუჩქის დაყოფით, ღეროს გადაწვევით და დაკალმებით. თესლის აღმოცენება 60%-ია, თესვის ნორმა 8-10 კგ/ჰა-ზე, სიღრმე 1-2 სმ. როდესაც აღმონაცენს უნვითარდება 2-3 ნამდვილი ფოთოლი, აწარმოებენ მარგვლას. მცენარეებს შორის მანძილი 30 სმ-ია, რიგებს შორის – 60 სმ. ბარამბოს ვეგეტატიური გამრავლებისას, ყველაზე კარგ შედეგს იძლევა ღეროს გადაწვევით გამრავლება. ნაკვეთების მოვლა განისაზღვრება გაფხვიერებით, გამარგვლით და მორწყვით. მეორე წელს გაფხვიერებას ახდენენ ძალიან ადრე გაზაფხულზე.

ბარამბოს მოსავალს იღებენ 10 სმ სიმაღლეზე მიწის ზევით. კარგი მოსავლის დროს ბარამბოს მოსავალი აღწევს 10-30ც/ჰა-ზე. აშრობენ ჩრდილში და სხვენზე, რომელიც კარგად ნიავედება. /КОТУКОВ, 1975/.

***Mentha longifolia* L. - ტყის პიტნა, გრძელფოთოლა პიტნა**

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; ფესურა გრძელია, გახევებული, ინვითარებს მიწისქვეშა ამონაყარს. ყლორტები ცოტად თუ ბევრად ქეჩისებრ შებუსვლილია ერთ ან მრავალუჯრედიანი მარტივი ბეწვებით, რომელშიც აქა იქ ჭირკვლებიც ურევია. ღერო სწორია, მარტივი ან დატოტვილი, 30-150 სმ სიმაღლის. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო-კვერცხისებრ ლანცეტამდე, 5-10 სმ სიგრძის, 1,5-3 სმ სიგანის, წანვეტებული, კიდეებზე ხერხკბილა, იშვიათად მრგვალებილიანი, ზედა მხარეზე თითქმის შიშველი, ქვედაზე - ნაცრისფერი ან თეთრი ქეჩისებრი. ყვავილები შეკრებილია გრძელ, მჭიდრო, ხშირ, ზოგჯერ მხოლოდ რამოდენიმე წყვეტილ ცილინდრული ფორმის თავთავისებრ ყვავილედად. თანაცვავილები ხაზურია, ბანჯვლიანი, გვირგვინი 4-5 მმ სიგრძისაა, ჯამს ორჯერ აღემატება, ლილისფერია, ხორცისფერ წითლამდე. გვირგვინის ზედა ნაკვთი მოგრძო კვერცხისებრია, კაკლუჭები კვერცხისებრი, ბენვიანი, ზედაპირი ნერტილებითაა მოფენილი.

ფენოლოგია: ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული არ არის, რადგან მცირე რაოდენობით შეიცავს მენტოლს. მხოლოდ მიწისზედა ნაწილი (ბალახი) ოფიცინალურია აშშ-ში და ვენესუელაში. წვენი გამოიყენება როგორც ამოსახველებელი, კუჭის ტკივილის, ჰეპატიტის და ასციტის დროს, გარეგანად მასტიტის და მღიერის შემთხვევაში. ნაყენი-ეპილეფსიის, კუჭის შეკრულობის, კბილის ტკივილის და მეტეორიზმის დროს, ნახარში დიურეზული მოქმედებისაა, ტკივილგამაყუჩებელი, ანტიესპტიკური, ხმარობენ ტუბერკულოზის, გასტრიტის, დერმატიტის და ციმბირის წყლულის დროს /Растительные ресурсы СССР, 1991/.

დიდი მოთხოვნილებით ხასიათდება ტყის პიტნა ხალხურ მედიცინაში როგორც დამანყნარებელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, ოფლმდენი და საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი საშუალება. ხმარობენ ყელის ტკივილის, გაციების, წნევის, სტენოკარდიის, ათეროსკლეროზის, ნევროზის, უძილობის, ენტეროკოლიტის, მასტიტის, რევმატიზმის, კბილის და ყურის ტკივილის დროს. რაქტიან ბავშვებს უკეთებენ ამ მცენარის აბაზანებს /ბიძინაშვილი და სხვ., 2010/.

შუა საუკუნეების სომხეთში ხალხურ მედიცინაში გამოყენებული იყო ჰიპერტონიული და ნერვულ-ფსიქიური დაავადებებისათვის. ტყის პიტ-

ნას საქართველოში სპეციალურად აშენებდნენ და ასმევდნენ ავად-
მყოფს წნევის დასაწევად. ლეჩხუმში მას ოფლის მომგვრელად და
მუცლის ტკივილის დროს ხმარობდნენ. ბაკურიანში ტყის პიტნის ფოთ-
ლებს და ყვავილებს უძილობის დროს უწყობენ ავადმყოფს (შენგელია,
1983).

გავრცელება: ბორეალური, ევრაზიული სახეობაა, ჭაობის მცენარე;
გავრცელებულია ზომიერი კლიმატური ჰავის მქონე ქვეყნებში.

საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის პირებზე, ფერდობებზე, ბუჩქნარებში, მდი-
ნარეთა და არხების ნაპირებზე, ნესტიან და დაჭაობებულ ადგილებში,
ტბებთან, არხებთან, კირქვიან ადგილებში. ზღ.დ 2500 მ სიმაღლემდე.
გვხვდება მცირე ან ფართო ჯგუფების სახით.

კულტივირება: ტყის პიტნის ყვავილების უმეტესობა სტერილურია. ამი-
ტომ გამრავლების ერთადერთი საშუალებაა ვეგეტატიური (ფესურების
დაყოფით) გამრავლება. ფესურებს რგავენ შემოდგომით ან გაზაფ-
ხულზე. გაზაფხულზე რაც შეიძლება ადრე უნდა დაირგას, რათა ნეს-
ტიან ნიადაგში მოხვდეს, დასარგავად ვარგისია შემოდგომით შეგრო-
ვილი ფესურები. სამემოდგომო ნარგავის ვეგეტაციის პერიოდი უფრო
ხანგრძლივია, მას ნიადაგის და კლიმატის განვითარების უკეთესი პი-
რობები ექმნება, ეს საშუალებას იძლევა ნედლეული ორჯერ იქნეს აღე-
ბული და 20%-ით მეტი მოსავალი მივიღოთ.

დასარგავად უმჯობესია ბუდეების წინასწარი მომზადება, ბუდეებს ერთ-
მანეთისგან 60-70 სმ-ით ამორებენ, ბუდეების სიღრმე 8-10 სმ-ია; ნია-
დაგი მუდმივად ფხვიერი და სარეველებისაგან განმწმინდილი უნდა
იყოს. ვეგეტაციის პერიოდში რიგთაშორის დამუშავება 4-5-ჯერადია,
ხოლო რიგებშუა დამუშავება 10-12 სმ სიღრმეზე წარმოებს. ნიადაგში
მინერალური სასუქების შეტანა ზრდის პიტნის მოსავლიანობას. ყვე-
ლაზე ეფექტურია აზოტოვანი სასუქის - ამონიუმის გვარჯილის შეტანა.

ნიადაგის სინესტის ოპტიმალური რეჟიმის დაცვით პიტნის მოსავალი
შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. განსაკუთრებით მომთხოვნია
ნესტისადმი კოკრიანობის პერიოდში, რომელიც ივნისის დასაწყისიდან
აგვისტოს ბოლო პერიოდს ემთხვევა, ნაკვეთები უნდა მოიწიწოს დი-
ლით და საღამოს.

გარდა სამედიცინო დანიშნულებისა, პიტნა გამოყენებას პოულობს კვების და საპარფიუმერიო წარმოებაში.

Mentha piperita L. - ბალის პიტნა

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტურქოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი ჰიბრიდული წარმოშობის ფესურიანი მცენარეა. ივითარებს 50-80 სმ სიმაღლის, ერთწლიან, ოთხნახნაგოვან, სწორმდგომ და დატოტვილ ღეროებს. ფოთლები ჯვარედინ-მოპირისპირეა, მარტივი, უთანაფოთლო, მოკლექუნნიანი, მოგრძო-კვერცხისებრი, წაწვეტებული, ხერხკბილა; ფოთლის ორივე მხარეს განწყობილია ეთერზეთოვანი ჯირკვლები. ყვავილი წვრილია, ქმნის ცრუ რგოლებს, რომლებიც თავის მხრივ საგველასებრ რთულ ყვავილედს წარმოქმნიან. ნაწილი ყვავილებისა მდედრობითია, მეორე ნაწილი კი ორსქესიანი. გვირგვინი მონითალო-იისფერია, ხუთნაკვთიანი, ორტუჩა. ნაყოფი შედგება ოთხი წვრილი, მურა-წითელი შეფერილობის ერთთესლიანი, გლევი, კვერცხისებრი კაკლისაგან. ყვავილები უმთავრესად სტერილურია, თესლს ძლიერ მცირე რაოდენობით იძლევა. 1000 თესლის წონა - 0,06-0,07 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. VII-VIII. ნაყ. IX.

მნიშვნელობა: მსოფლიოში ცნობილია ბალის ანუ კულტურული პიტნის ორი ფორმა: შავი და თეთრი. სამკურნალოდ ბალახი (მინისზედა ყლორტები) გამოიყენება. შეიცავს ეთერზეთებს - სასიამოვნო გემოთი და არომატით; მათ მთავარ შემადგენელ ნაწილს მენტოლი (30-70

მგ%), მენტონი და მენტოფერინი წარმოადგენს; ასევე აღინიშნება: კაროტინი, ჰესპერიდინი, ფლავონოიდები, ბეტაინი, ტრიტერპენული შენაერთები: ურზოლისა და ოლეინის მუჟავები, რამნოზა, გლუკოზა, მიკროელემენტები: სპილენძი, მანგანუმი და სხვ.

ბალახი ხასიათდება ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, ნალღველმდენი, შინაგანი ორგანოების მომადუნებელი, საჭმლის მომწელებელი ჯირკვლების სეკრეციის გამაძლიერებელი მოქმედებით.

მოჰყავთ უმთავრესად ეთერზეთების მისაღებად, რომელიც გამოიყენება როგორც ადგილობრივ გამაყუჩებელი, სპაზმოლიტური და ანტი-სეპტიკური საშუალება. იწვევს კორონარული სისხლძარღვების რეფლექტორულ გაფართოებას. შინაგანად მიიღება სტენოკარდიის, სასუნთქი გზების ანთებისა და ბრონქიტის დროს, კუჭ-ნაწლავის აშლილობისას; გამოიყენება ნევრალგიური დაავადებების, კბილის ტკივილის დროს.

მენტოლის ხსნარი კატაბალახასთან ერთად - ვალერიან-მენტოლის ეთერი (ვალიდოლი) იხმარება გულის მწვავე ტკივილებისას; მენტოლი შედის “ზელენინას” წვეთებისა და ვალოკარდინის შემადგენლობაშიც. მენტოლი პარათინთან ნაერთში ფანქრების სახით იხმარება შაკიკის დროს.

პიტნის ზეთი გამოიყენება სურდოს საწინააღმდეგოდ წვეთებისა და მაღამოების სახით; პიტნის წყალი მიქსტურებში გემოვნების გაუმჯობესების მიზნით, ასევე პირის ღრუს გამოსავლებად; ფოთლები, ნაყენების სახით იხმარება მადის გასაძლიერებლად, საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, გულის რევის საწინააღმდეგოდ. პიტნის ეთერზეთებსა და ფოთლებს იყენებენ ლიქიორების წარმოებაში, აგრეთვე კბილის პასტების დასამზადებლად.

სიფრთხილის ღონისძიებები: არტერიული ჰიპოტენზია, ვენების ვარიკოზული გაგანიერება; მაღალ დოზებში მიღება არასახარბილოდ მოქმედებს მამაკაცების პოტენციაზე, ასევე იწვევს ტკივილებს გულის არეში.

გავრცელება: ბალის პიტნის სამშობლოდ ინგლისი ითვლება, სადაც XVII ს-ში გამოყვანილ იქნა პიტნის შავი და თეთრი ფორმები ორი ველური სახეობის *Mentha aquatica* L. და *M.spicata* Gilib. შიბრიდიზა-

ციის გზით. გავრცელების ფართო არეალით ხასიათდება. კარგად იზრდება და მაღალ მოსავალს იძლევა როგორც ნისლიან და ტენიან ინგლისში, ასევე მზიურ ქვეყნებში: ბულგარეთში, ყირიმში, რუსეთის სამხრეთ რაიონებში.

საქართველოში შემოტანილია რუსეთიდან XVIII ს-ის შუა პერიოდში.

კულტივირება: ბალის პიტნა საქართველოში დიდი ხანია რაც კულტივირებულია, ფართოდაა წარმოდგენილი ბალ-ბოსტნებში, რაც მნიშვნელოვანი პირობაა პიტნის სამრეწველო პლანტაციების შესაქმნელად.

სინათლისა და ტენის მოყვარული მცენარეა. ადვილად იტანს ტენის სიჭარბეს გაზაფხულსა და შემოდგომით. განსაკუთრებით დიდ ტენს საჭიროებს ზაფხულის პირველ ნახევარში, კოკრების წარმოქმნამდე. მოსვენების პერიოდში უძლებს დაბალ ტემპერატურას -10°C . ნორჩი მცენარეები უფრო მგრძობიარენი არიან დაბალი ტემპერატურის მიმართ და ილუპებიან $-7-8^{\circ}\text{C}$ t-ზე. მცენარეთა ზრდა-განვითარება იწყება 12-14⁰. გრძელი დღის მცენარეა. ყველაზე უკეთ ვითარდება მზის სრული განათებისას. ნორმალური განვითარებისათვის მოითხოვს დღის ხანგრძლივობას არა ნაკლებ 12 საათისას.

საყურადღებოა, რომ საწარმოო თვალსაზრისით პიტნა უმთავრესად მოჰყავთ როგორც ერთწლიანი კულტურა. ამ შემთხვევაში მცენარეთა შორის ნაკლები სიხშირე აღინიშნება, განათება მაღალია და რაც მთავარია შესაძლებელია აგროტექნიკური ღონისძიებების სათანადო ღონეზე ჩატარება, წყლის, საკვები და საჰაერო რეჟიმის ოპტიმალური პირობების შექნა. დამტკიცებულია, ნიადაგის ღრმად დამუშავება 25-28 სმ სიღრმეზე, ზრდის პიტნის ფოთლების მოსავალს, შემოდგომით დარგვისას - 32 %-ით, გაზაფხულზე - 56 %-ით.

საქართველოს საშუალოდ ნაყოფიერ ნიადაგებზე სასუქების ნორმები I ჰა-ზე ასეთია: ძირითადი ხვნის დროს 20-30 ტ ნაკელი, P^2O^5 - 40 კგ, K^2O - 40 კგ, დარგვისწინა დამუშავებისას 20 კგ აზოტი, ხოლო დარგვისას (გაზაფხული) - 20 კგ P^2O^5 .

I გამოკვება ტარდება დატოტვის დაწყებისას; N - 20კგ/ჰა, P^2O^5 - 30 კგ, K^2O -20 კგ. II - 3 კვირის შემდეგ: აზოტი - 20კგ/ჰა, K^2O - 30 კგ/ჰა.

მრავლდება ვეგეტატიურად: ფესურებით, გართხმული ყლორტებით და დაფესვიანებული ნაბარტყებით. ფესურები იყოფა 6-8 სმ-დან 25-30 სმ-მდე. ხელით დარგვისას მიღებულია კვადრატულ-ბუდობრივი ხერხი,

კვების არე 40-45 სმ, დარგვის სიღრმე 8-10 სმ. მოვლა სავეგეტაციო პერიოდში მდგომარეობს ნიადაგის 2-ჯერად გაფხვიერებაში, გამარგვლა, განოყიერებასა და მორწყვაში.

მოსავლის აღება წარმოებს ყვავილობის პერიოდში; მაშინვე ხდება მწვანე მასის გადამუშავება საზეთედ. მოსავლის ნაწილს აშრობენ საშრობებში 35-40⁰ -ზე /Илиева 1971/.

Myristica fragrans Houtt - ჯავზი
Fam. Myristicaceae - ოჯ. ჯავზისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე, ტროპიკული 10-15 მ-მდე სიმაღლის ხეა, პირამიდალური ხშირი ვარჯით, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით. ფოთლები მორიგეობითია, კიდემთლიანი, ტყავისებრი, ზედა მხარეს - მუქი მწვანე, ქვედა - თეთრი ან ლევა. ყვავილები მოყვითალო-თეთრია, როგორც წესი ორსახლიანი, შეკრებილია წვეროსეულ ან გვერდის ყვავილედებად, განლაგებულია ფოთლების უბეებში. ნაყოფი - ხორცოვანი კვერცხისებრ-სფერული კენკრაა, ნარინჯისფერ-ყვითელი, მკვრივი ქერქით. მომწიფებისას ნაყოფის ქერქი და რბილობი ორნაწილად იშლება და შიგნით ჩნდება მუქი მურა პრიალა თესლი დატოტვილი კაშკაშა-წითელი ხორცოვანი თანათესლით (არილუსით). თესლი დაფარულია პრიალა და მაგარი თესლის კანით, რომელსაც შემდგომ აცილებენ.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: ძვირფასი სანელებელი მცენარეა, ძველი ინდოეთისა და ჩინეთის მედიცინა მას სხვადასხვა სასარგებლო და სამკურნალო

თვისებებს მიანერდა. შუა საუკუნეების ექიმები კი პანაცეად თვლიდნენ. იყენებდნენ ინფექციური დაავადებების ეპიდემიების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას; ანერდნენ რიგ ზებუნებრივ თვისებებსაც, აღინიშნებოდა მათი ჰალუცინაციური მოქმედებაც.

თანამედროვე მედიცინა აღნიშნავს სანელებლის სამკურნალო და სასარგებლო თვისებებს. მაგ.: ჯავში შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც კეთილისმყოფლად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეციაზე, აუმჯობესებს მის მუშაობას; ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, სისხლძარღვთა გამათვართოებელი, ანალგეტიკური, მატონიზირებელი მოქმედებით, ხსნის სპაზმებს.

სამკურნალოდ გამოიყენება: კეთილთვისებიანი სიმსივნეების, მასტოპათიის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კუჭ-ნაწლავის ჭვლეების, კუჭის დაავადებების, ქრონიკული დიარეის, ქრონიკული დისპეპსიის, მუცლის გაბერვის, კბილის ტკივილის, გულის რევისა და პირღებინების, გაციების, ხველების, რევმატიზმის, სახსრებისა და კუნთების სხვა დაავადებებისას; ახდენს თავის ტვინისა და სისხლის მიმოქცევის სტიმულირებას, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, ნაღვლის ბუშტში ქვების დაშლას, ვენების ვარკობულ გაფართოებას; აფერხებს ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნას; აძლიერებს იმუნიტეტს; აუმჯობესებს მადას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხსნის დაღლილობას; ასუთთავებს ბრონქებს ლორწოსაგან; აუმჯობესებს პირის სუნს. გამოიყენება ფიზიკური გამოფიტვის დროს და სასქესო აქტივობის ასამაღლებლად; არის რეპროდუქტიული სისტემის მატონიზირებელი საშუალება, ახდენს ჰორმონ ესტროგენის იმიტაციას და როგორც წესი მენსტრუაციის ნორმალიზებასა და ტკივილების მოხსნას, მშობიარობის დროს საშვილოსნოს დავიწროების სტიმულირებას; არის აფროდიზიაკი და ანალგეტიკი.

ხშირად სხვადასხვა დოზით შედის კუჭის წამლების შემადგენლობაში.

თესლებიდან გამოყოფილ ეთერზეთებს ფართოდ იყენებენ საპარტიუმერიო წარმოებაში, კოსმეტოლოგიასა და არომათერაპიაში. ეთერზეთები ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთებისა და სოკოების საწინააღმდეგო, ანალგეტიკური, მატონიზირებელი, კანის გამათბობელი მოქმედებით; ოდნავ აღიზიანებს რა კანს, ხსნის სპაზმებს, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, ახურებს სახსრებსა და კუნთებს, შედის დასაზღელი კრემებისა და ზეთების შემადგენლობაში; ზეთი გამოიყენება სპორტულ

მედიცინში, აგრეთვე ართრიტებისა და ოსტეოხონდროზის, რევმატიზმების დროს. ხელს უწყობს საკვების მონელებას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას.

უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალებისათვის, შესაძლებელია გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა. დიდ დოზებში იწვევს ნარკოტიკულ მოქმედებას. <https://www.aur.ru/spravochnik-trav/muskatnik-dushisty.html>;

https://ru.wikipedia.org/wiki/Мускатник_душ

გავრცელება: სამშობლო მოლუქის კუნძულება.

კულტივირება: კულტივირებულია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ ამერიკაში, აღმოსავლეთ აფრიკაში და მადაგასკარზე.

Myrtus communis L. - მირტი

Fam. Myrtaceae - ოჯ. მირტისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: სურნელოვანი მარადმწვანე ბუჩქია ან ხე. ფოთლები წვრილია, კვერცხისებრი, ტყავისებრი, მუქი მწვანე, პრიალა. ყვავილები თეთრია ან ვარდისფერი, არომატული, მრავალრიცხოვან ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი მუქი ლურჯი სფერული კენკრაა.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო მიზნებისათვის ფოთლები გამოიყენება. ფოთლებიდან მიღებული ეთერზეთები შეიცავს: კოფეინს, ცინეოლს, ქაფურს, ევკალიპტოლს, მირტილინს, ალდეჰიდებს, ფისებს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ამინომჟავებს.

მირტის პრეპარატების მოქმედების სპექტრი ფართოა. ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებადობას, ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას; გამოიყენება გრიპის, როგორც მისი პროფილაქტიკის, ასევე შემდგომი გართულებების სამკურნალოდ; მირტის ნაყენებით მკურნალობენ ბრონქიტს, ასთმას, ტუბერკულოზს, დიფტერიას, ჰაიმორიტს, გულის, სისხლის, ყელის, ძვლის, ტვინის დაავადებებს, მათ შორის ეპილეპსიას; წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავისა და მუცლის ღრუს ორგანოების, თვალის დაავადებებისას, ამასთან დადებითი შედეგები სწრაფად მიიღება. რეკომენდირებულია სხვადასხვა წარმოშობის ალერგიული დაავადებების სამკურნალოდ, ამ მხრივ მიღებულია დამაკმაყოფილებელი შედეგები, თვით ქრონიკული ავადმყოფების მიმართაც.

მირტი ბიოლოგიურად აქტიურია; შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც მრავალჯერადი განზავების შემდეგაც მომაკვდინებლად მოქმედებს ტკივილგამომწვევი მიკრობების, ბაქტერიების, ჩხირების მიმართ; ამასთან ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე სტრეპტომიცინი და სხვა მრავალი ანტიბიოტიკი. სადღეისოდ წარმოიქმნა ტუბერკულოზის ნაირსახეობა, რომელიც არ ინკურნება ანტიბიოტიკებით, მირტს კი შესწევს უნარი თვით მცირე დოზითაც კი დაამარცხოს ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირები. დადებითად მოქმედებს აგრეთვე **გულზე**, თირკმელებზე, ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე.

ძველი წყაროების თანახმად ცნობილია, რომ მირტი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც თრგუნავს სიმსივნის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ კარგად გადაიტანება იმ ავადმყოფების მიერ, რომლებიც ვერ იტანენ მცენარეული წარმოშობის ვერც ერთ პრეპარატს.

არ არის რეკომენდირებული მისი მიღება ფეხმძიმე ქალებისა და ასაკოვანი ადამიანებისათვის.

გავრცელება: იზრდება სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში. ფართოდაა კულტივირებული.

<http://ogorodsadovod.com/entry/2094-mirtovoe-derevo-mifologiya-vyrashchivanie-i-ukhod>

კულტივირება: მრავლდება კალმით, სამუშაოს ატარებენ იანვარ-თებერვალში ან ივლისში. რათა სწრაფად დაფესვიანდეს, არჩევენ ახალგაზრდა ნახევრად გამერქმებულ წვეროსეულ ან გვერდით ყლორ-

ტების კალმებს, ქვედა ფოთლებს ამორებენ, დანარჩენს ამოკლებენ. კონტეინერს ალაგებენ დაჩრდილულ ადგილებში, აფარებენ მინას ან მუშამბას, რომლებსაც პერიოდულად ხსნიან განიავების მიზნით. ფესვები წარმოიქმნება ორი-სამი კვირის შემდეგ, რის შემდეგაც შესაძლებელია ღია გრუნტში გადარგვა.

<https://pocvetam.ru/komnatnye-rasteniya/derevjya-i-kustarniki/mirtovoe-derevo-chem->

Nerium oleander L. - ოლეანდრე
Fam. Apocynaceae - ოჯ. ქენდირისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე ბუჩქი ან მცირე ზომის ხეა მურა დატოტვილი ღეროებით. ფოთლები მორიგეობითია, ლანცეტა ფორმის, შევიწროებული მოკლე ყუნწით. ყვავილები მსხვილია, ჩვეულებრივ ვარდისფერი, წითელი ან თეთრი, შეკრებილია მკვრივ ფარისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მოგრძო ფოთლურაა მრავალრიცხოვანი თესლით.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: ფოთლები და ყვავილები შეიცავს დიგიტალინს, ურზოლის მჟავას, ოლეანდრომიცინს (ანტიბიოტიკი), სალებავ ნივთიერებებს, რუტინს, საპონინებს და დიდი რაოდენობის გულის გლიკოზიდებს, მაგ.: ოლეანდრინს. ოლეანდრის შემცველი გლიკოზიდები ხასიათდება მძლავრი კარდიოტონური მოქმედებით, ანელებს გულის შეკვეცის სიხშირეს, აძლიერებს მის ამპლიტუდას, ასტიმულირებს მიოკარდში სისხლის მიწოდებას, ზრდის სისტემური სისხლის მოძრაობის სისწრაფეს. ადრე ფარმაცევტული მრეწველობა უშვებდა პრეპარატებს,

რომლებიც ფოთლებისაგან მზადდებოდა: კორნერინი, ნერიოლინი. უნიშნავდნენ ქრონიკული სისხლის მოძრაობის უკმარისობისას ფელტვებში, ღვიძლში, მაგისტრალურ ვენების სისხლძარღვებში, აგრეთვე მიტრალური მანკისა და ტახიკარდიის დროს. სადღეისოდ აღნიშნული პრეპარატები არ გამოიყენება მაღალი ტოქსიკურობის გამო.

დიდი სიფრთხილით იხმარება ხალხურ მედიცინაშიც, მხოლოდ მინიმალური დოზებით. გამოცდილი ფიტოთერაპევტები მის ნაყენს უნიშნავენ თავის ტკივილის, ნერვული გადაღლილობის, კრუნჩხვების, უძილობის, ჰემორაგიული ინსულტის შემდგომ აღდგენის პერიოდში. გარეგანად ნაყენის საფენებს ხმარობენ ეგზემის და კანის სოკოვანი დაავადებებისას.

მიღებულია ჰომეოპათიური პრეპარატი, რომელსაც იყენებენ მიოკარდიტების, გულის უკმარისობის, მიოკარდიოდისტროფიის, კანდიდოზის, სველი ეგზემის, მსხვილ ნაწლავში მიმდინარე გაძლიერებული ლპობის პროცესში.

მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია. თვითმკურნალობა აკრძალულია!

გავრცელება: სამშობლო მშრალი და ნახევრადმშრალი სუბტროპიკების ფართო სარტყელია, მაროკოსა და პორტუგალიიდან დასავლეთით და სამხრეთ ჩინეთმდე აღმოსავლეთით. ფართოდაა გავრცელებული პლანეტის სუბტროპიკულ რეგიონებში.

კულტივირება: სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება ლანდშაფტურ დიზაინში, მათ შორის სქართველოშიც. კულტივირებულია აგრეთვე როგორც ლამაზად მოყვავილე ოთახის მცენარე.

Ocimum basilicum L. – რეჰანი

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ერთნაირი მცენარეა სწორმდგომი, დატოტვილი, 50-60 სმ-მდე სიმაღლის. ფოთლები მოპირისპირეა, მოგრძო-კვერცხისებრი, მოკლეყუნწიანი, ფოთლის ფირფიტა მთლიანია, ან ვიწროხეჩხისერი. ღერო, ფოთლები და ჯამი დაფარულია მრავალუჯრედებიანი ბენვებით, მათ შორისაა ჯირკვლოვანი ბენვებიც, საიდანაც მიიღება ეთერზეთები. ყვავილი ზიგომორფულია, შეკრებილია 6-10 ყვავილიან ჯგუფებად, ღეროების ტოტებზე წარმოქმნიან გრძელ ყვავილელებს. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ან მკრთალი ვარდისფერი, იშვიათად იისფერი. ნაყოფი შედგება 4 კაკლისაგან, რომლებიც მომწიფებისას ერთმანეთს სცილდება. 1000 თესლის აბსოლუტური წონა 0,5-0,8 გ.

ფენოლოგია: ყვ. VIII-X; ნაყ. IX-XI.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია მცენარის მინისზედა ნაწილი. ეთერზეთების მისაღებად მოსავლის აღება წარმოებს კოკრიანობის ფაზაში, როდესაც მათი მაქსიმალური შემცველობა აღინიშნება. ეთერზეთების ძირითადი კომპონენტებია ქაფური, დიპენტინი, ტერპინოლემი, კრიმენი, ლიმონენი, საბინენი, კამფენი, ევგენოლი, ბიზაბოლენი, ბენზონის ალდეჰიდი და სესკვიტერპენული სპირტები. ფოთლები წარმოადგენს რუტინისა და კაროტინის მიღების მნიშვნელოვან წყაროს.

ნედლი ფოთლები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიეპტოკური, ანტიმიკრობული, მატონიზირებელი, შემკვრელი, სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით. შინაგანად გამოიყენება საკვებმომწიფებელი ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად; რეკომენდირებულია ეპილეპსიის, კრუნჩხვების, შაკიკის, ქრონიკული გასტრიტის, კოლიტის, ცისტიტის, პიელოიტის, ალგოდისმენორეის, ჰიპოგლაქტიის დროს. ხსნის ნაწლავების დაბერვას, აძლიერებს სისხლის მოძრაობას, აღუწებს საშვილოსნოს გლუვ მუსკულატურას, აყუჩებს კბილის ტკივილს. იხმარება აგრეთვე ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვის, სისხლის მოძრაობის დარღვევების, ასთენიის, თირკმელების დაავადებებისა და ანთებითი პროცესების, მეტეორიზმის, კოლიტის, ნაღვლის ბუშტის დისკინეზიის სამკურნალოდ. სასარგებლოა მისი გამოყენება გრიპის ეპიდემიის შემთხვევაშიც.

ბალახი შველის სურდოს, ანგინას, ციებ-ცხელებას, ხველებას, ბრონქიალურ ასთმას, შარდსადინარი გზების ანთებას. ნედლი ფოთლების წვენი იხმარება შუა ყურის ჩირქოვანი ანთებისა და ძნელად შესახორცებელი ჭრილობების, ეგზემის სამკურნალოდ.

დიდი ღომები იწვევს კლინიკური ხასიათის კრუნჩხვებს.

გავრცელება: სამშობლო სამხრეთ აზია, სადაც ველურად იზრდება.

კულტივირება: კულტივირებულია თბილ ქვეყნებში, მათ შორის სამხრეთ საფრანგეთში, ესპანეთში, ბულგარეთში, უკრაინასა და საქართველოში.

რეჰანი ტროპიკული, თბილი კლიმატის მცენარეა, რის გამოც მომთხოვნია მაღალი ტემპერატურისა და სინათლის მიმართ. უპირატესობას ანიჭებს კარგი დრენაჟისა და საკვები ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებს - შავმიწა, მაღალჰუმუსიანს. მისი გამოზრდისათვის გამოყოფილი ნაკვეთები უნდა იყოს მზიანი, სამხრეთი ექსპოზიციების, ქარისაგან დაცული, ტენიანი და არა დაჭაობებული.

თესლბრუნვაში კარგ წინამორბედად ითვლება საშემოდგომო ხორბალი და სათონი კულტურები. მიწის დამუშავება დამოკიდებულია წინამორბედზე, საშემოდგომო მარცვლოვნების შემდეგ ძირითადი დამუშავება მდგომარეობს ნანვერალის აჩეჩვაში, რის შემდეგაც აგვისტოსექტემბერში ატარებენ ღრმა ხვნას 22-25 სმ. თუ წინამორბედი -სათონი კულტურებია ღრმა დახვნას იგივე სიღრმით ატარებენ. გაზაფხულზე, სარეველებისაგან მინდვრის გასუფთავების მიზნით რამდენჯერმე ტარდება კულტივაცია. კარგად რეაგირებს ნაკელისა და მინერალური სასუქების შეტანაზე.

ნაკელი 20-30 ტ/ჰა შეაქვთ მზრალად /ღრმა/ ხვნის დროს, მასთან ერთდროულად - 300-400 კგ/ჰა სუპერფოსფატი და 100-150 კგ/ჰა კალიუმის მარილი. აზოტოვანი საუქები 100-150 კგ/ჰა შეაქვთ ორჯერადად ვეგეტაციის პერიოდში.

ამრავლებენ 2 წესით: უშუალოდ გრუნტში თესვით და სათბურებში გამოზრდილი ჩითილებით. თესლების გაღივების დაჩქარების მიზნით ადრე გაზაფხულზე თესენ სტრატეფიცირებულ თესლებს. 30-35 დღიან ჩითილებს მაისში რვავენ მუდმივ ადგილას. მცენარეთა განლაგება ფართო რივთაშორისებში 30X60 სმ, კვადრატულ-ბუდობრივი დარგვის

შემთხვევაში 60-70X60-70 სმ. შემდგომი მოვლა მდგომარეობს სისტემატიურ გაფხვიერებაში, გამარგვლასა და მორწყვაში.

მწვანე მასის შეგროვებას იწყებენ, როდესაც ყვავილელების ქვედა ნაწილებზე იწყება თესლების მომწიფება, ხოლო გვერდითა ყვავილელები სრულად ყვავილობენ. შემოდგომამდე მცენარეები ასწრებენ ზრდას, შემდგომი გათიბვისათვის. მოჭრილ ნედლეულს მაშინვე აგზავნიან ქარხნებში. თესლების მისაღებად აწყებენ სპეციალურ პლანტაციებს, სადაც მცენარეები გაცილებით მეჩხერადაა წარმოდგენილი. მომწიფებულ ნაყოფიან ყვავილელებს აგროვებენ შერჩევით მომწიფების შესაბამისად; თესლების შეგროვებას იწყებენ სექტემბრიდან და ამთავრებენ ვიან შემოდგომით /Вехов и др., 1978/

Olea europaea L. - ზეთისხილი, ზეთის ხე
Fam. Oleaceae - ოჯ. ზეთისხილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე ბუჩქია (1-3 მ) ან ხე 4-5 მ სიმაღლის. ხის ტანი დაფარულია ნაცრისფერი ქერქით. ტოტები დაკორძებულია, გრძელი. ფოთლები მარტივია, თითქმის მჭდომარე, ტყავისებრი, ვიწრო ლანცეტა, კიდეშთლიანი, მონაცრისფრო-მწვანე, ქვედა მხარეს - ვერცხლისფერი, ზამთარში არ ცვივა და მათი განახლება ხდება 2-3 წლის მანძილზე. ყვავილები სურნელოვანია, წვრილი, თეთრი შეფერილობის, განლაგებულია ფოთლების უბეებში საგველა მტევნების სახით. ნაყოფი მოგრძო ოვალური ფორმის კურკაა, რბილობის შეფერილობა ჭიშთან დამოკიდებულებით განსხვავებულია,

აღინიშნება - მწვანე, შავი, მუქი იისფერი, ხშირად ინტენსიური ცვილი-სებრი ნაფიფქით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. X-XI.

მნიშვნელობა: მნიშვნელოვანი ზეთოვანი და ხეხილოვანი კულტურაა. ნაყოფებს საკვებად იყენებენ დამარილებული და წნილის სახით (წინასწარ სცილდება ოლეუროპინი). სრულად მომწიფებული ნაყოფების სუსტი დაწნეხვით მიიღება მსოფლიოში საუკეთესო მცენარეული ზეთი – პროვანსალი, რომელიც გამოიყენება სალათებში და მედიცინაში. უფრო ძლიერი დაწნეხვით მიიღება ასევე საკვები ზეთისხილის ზეთი, რომელიც საკონსერვო წარმოებაში იხმარება. უხეში ცხელი დაწნეხვით კი ღებულობენ შესანიშნავ ტექნიკურ “ხის” ზეთს.

წვნიანი ნაყოფსაფარი შეიცავს 75,3 მგ% წყალს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, უჯრედის, ვიტამინებს (A, B₁, B₂, B₃, B₅, B₆, B₉, E, K, ქოლინი), მაკროელემენტებს (K, Ca, Mg, Na, P), მიკროელემენტებს (Fe, Cu, Se, Zn); თესლები - 12 მგ%-მდე ტექნიკურ ზეთებს. ნაყოფების რბილობაში აღინიშნება მწარე გლიკოზიდი ოლეუროპინი.

ოფიცინალურ მედიცინაში ზეთი გამოიყენება სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად; უნიშნავენ საკვებმომწიფებელი სისტემის, ნაღველკენჭოვანი დაავადებების, მხედველობის დარღვევის, ართრიტის, ნიკრისის ქარების, ოსტეოხონდროზის, ქალის სასქესო ფუნქციების დარღვევების, ჭრილობების, ნაკანრების, დამწვრობების დროს. მათში შემავალი ანტიოქსიდანტები, უჯერი ცხიმოვანი მუჟავები ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის დონის ნორმაში შენარჩუნებას, ნაყოფის ჩასახვას; ხელს უშლის ათეროსკლეროზის, ინფარქტის, ინსულტის და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებების განვითარებას, აბრკოლებს ნაადრევ სიბერეს და წარმოადგენს საუკეთესო პროფილაქტიკურ საშუალებას ონკოლოგიური დაავადებებისას.

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენს იყენებენ ქოშინის, ჰიპერონიისა და შარდმდენ საშუალებად.

ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა ზეთისხილის ზეთი თირკმელებისა და თეძოს ტკივილის დროს დასაზღვლად. ფოთლებს ხმარობდნენ აბაზანებისათვის, უმთავრესად სწორი ნაწლავის დაზიანების ან გამოვარდნის შემთხვევაში. ძმარში მოხარშულ ფოთოლს სთავაზობდნენ პირში დასაგუებლად ცუდი სუნის მოშორების მიზნით; ზეთი

შედიოდა გარეგანად დასაზღველი სხვადასხვა მალამოს შემადგენლობაშიც.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მითითებულია, რომ მისი გადაჭარბებით ჭამა ცუდად მოქმედებს მხედველობაზე და იწვევს თავის ტკივილს.

დიეტოლოგების მტკიცებით ზეთს საერთოდ არ გააჩნია უკუჩვენებები; ამავდროულად მისი ნაღველმდენი მოქმედებიდან გამომდინარე, ხშირი მიღება უკუმაჩვენებელია ქოლევსისტიტის დროს.

გავრცელება: სამშობლო ხმელთაშუაზღვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთია. გავრცელებულია სამხრეთ ევროპის, აფრიკის, სამხრეთ აზიისა და ავსტრალიის თბილ ზომიერ და ტროპიკულ ოლქებში

კულტივირება: კულტურაში შეტანილია შორეულ წარსულში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, საიდანაც გავრცელდა მთელ ხმელთაშუაზღვეთში. 1560 წელს შეტანილ იქნა ამერიკაში, უმათავრესად პერუში, მექსიკაში, არგენტინაში, აშშ-დან - კალიფორნიაში. ამჟამად მოჰყავთ ხმელთაშუაზღვეთის ყველა ქვეყანაში, შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, ერაყში, ირანში, პაკისტანსა და ჩრდ. ინდოეთში, სამხრეთ ჩინეთში, იავაზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე.

Origanum vulgare L. - თავშავა

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ სიმაღლის, ხშირად ძირიდან დატოტვილი, შეფოთლილი, ზედა ნაწილში ყვავილებით ან ტოტებით ბოლოვდება. ფოთლები კვერ-

ცხისებრი ფორმისაა, კიდემთლიანი ან არათანაბრად მრგვალებილიანი, ბლაგვწვერიანი, წყვილი, რკალისებრი. თანაცვაილები მეტწილად მჯდომარეა, ხშირად მეტ-ნაკლებად მენამული ფერისაა, იშვიათად მწვანე, მეტწილად შიშველი. ყვავილები მოკლე ყუნწებზეა განწყობილი, 1-3 ყვავილიანი საგველა, ზოგჯერ დიდი ზომისა, ფარჩხატი. გვირგვინი ღია ბაცი მენამულია, ხორცისფერ წითლამდე, ზოგჯერ ჭუჭყისებრ-თეთრი. ნაყოფი კოლოფია, მოგრძო კვერცხისებრი ოთხი კაკლუჭით, გლუვი, მურა ფერის.

ფენოლოგია: ყვ. VII -IX; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს მინისზედა ყლორტები წარმოადგენს, შეგროვილი ყვავილობის საწყის პერიოდში. ნედლეული ლიმონის სურნელებისა, ძლიერ არომატული, ოდნავ მწარე გემოთი. შეიცავს ეთერზეთებს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ვიტამინ C-ს, ფლავონოიდებს, ფიტონციდებს, ალკალოიდებს, ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს.

ბალახის შემადგენლობაში შედის დიდი რაოდენობით კარვაკროლი, რომელიც თავის მოქმედებით აჭარბებს არსებულ მრავალ ანტიბიოტიკებსა და ანტიჰისტამინურ პრეპარატებს. ფართოდ გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში. ხასიათდება მაღალი ანტიბაქტერიული აქტივობით, ამუღავნებს ანტისეპტიკურ და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, არის ტკივილგამაყუჩებელი, საერთოგამაძლიერებელი, მადებოძორიერებელი, ოფლმდენი, ამოსახველებელი, გულისრევის საწინააღმდეგო, ვიტამინიზირებული, დამამშვიდებელი, ჰემოსტატიკური, შარდმდენი, ქარმდენი და ჭისმდენი მოქმედების.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ხველების, მაღალი ტემპერატურის (ციებ-ცხელება), შეშუპების, მუცლის ტკივილების (სპაზმები, ჭვლები) დროს. ნაყენით მკურნალობდნენ მენსტრუაციული ციკლის დარღვევებს და უნაყოფო ქალებს. მისი პრეპარატები გამოიყენება ნევროზების, ეპილეპსიის, დამბლის, ისტერიის, უძილობის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებების, კლიმაქტერიულ პერიოდში ნევროზების, კუჭ-ნაწლავის სპაზმის, ათონური ყაბზობის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ. თავშავა შედის გულ-მკერდის, ოფლმდენი და ქარმდენი ნაკრებების შემადგენლობაში, გამოიყენება რესპირატორული ინფექციების, მწვავე ბრონქიტის, ბრონქოექტატი-

კური და საკვებმომწოდებელი ორგანიზაციების დაავადებების, ფილტვების ტუბერკულოზის დროს.

აღსანიშნავია, რომ თავშავა შეიცავს სელენს, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია; ცნობილია რომ ეს ნივთიერება ხელს უწყობს ერთროპოზის აღდგენას და გაძლიერებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ონკოვადამყოფებისთვის, კერძოდ ერთროციტებისა და ჰემოგლობინის დაბალი შემადგენლობა შეიძლება იყვეს გამოწვეული არა მხოლოდ, ქრონიკული სისხლის დანაკარგებით სისხლიანი ხველების დროს, არამედ სიმსივნის სპეციფიკური შემავიწროებელი მოქმედებით ძვლის ტვინის სისხლწარმოებაზე. გარდა ამისა სელენი აუცილებელია მეტალოფერმენტების ფუნქციონირებისათვის, რომლებიც არეგულირებენ სხვადასხვა სახის რეაქციებს, ბევრი მათგანი კი პასუხისმგებელია სიმსივნის საწინააღმდეგო დაცვაზე, ხოლო ავადმყოფობის მიმდინარეობისას დათრგუნვილები არიან.

დავით ბაგრატიონის (1985) „იადიგარ დაუდში“ მოყვანილია თავშავა, რომელიც „მხურვალი და ხმელი არს, სრულიად რაც ფერი ქარი არს ყუელას დაღენს და გააქარვებს, ფილენჯის ქარსა და ბნედასა და ყოველსა გრილსა და ნედლსა სნებასა, ყუელასა გააგდებს, მოსთხრის და გააქარვებს.“ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის (1978) „კარაბადინში“ მითითებულია, როგორც მუნის სამკურნალო საშუალება.

ჩაის სუროგატია, თაფლოვანი, საღებავი, გამოიყენება ლიქიორ-არყის, ბურახის, მარინადების წარმოებაში, პარფიუმერიაში (Атлас ареалов лекарственных растений 1983; Ролловъ, 1908).

თავშავის გამოყენებისას სიფრთხილედ მართებთ ფეხმძიმე ქალებს, შესაძლებელია გამოიწვიოს საშვილოსნოდან სისხლდენა და ნაადრევი მშობიარობა.

გავრცელება: დასავლეთევრაზიული, ბორეალური სახეობაა.

საქართველოში გვხვდება ყველა რაიონში, დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე.

ჰაბიტატები: იზრდება მთის წინებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში, ბუჩქნარებში, მდელოებზე, ტყისპირებზე, ველობებზე, ტყე-ველზე. ფართოდ ვრცელდება მდელოებზე, მცირე ჯგუფების სახით.

კულტივირება: თავშავა თბილი კლიმატის მცენარეა, მოითხოვს სითბოს და სინათლეს, ნიადაგის მიმართ განსაკუთრებით მოთხოვნი

არაა, კარგად ვითარდება მსუბუქ, მშრალ ნიადაგებზე, რომელიც ზომიერი რაოდენობით შეიცავს საკვებ ნივთიერებებს. ამიტომ მის მოსაშენებლად სჯობს შეირჩეს მშრალი, წყალგამტარი, ნოყიერი ნიადაგი. თესვამდე საჭიროა ნიადაგის 20-25 სანტიმეტრზე მოხვნა და ნაკელის ჭარბად შეტანა. თესვა ღია გრუნტში აპრილის ბოლო რიცხვებიდან წარმოებს. რიგთაშორის მანძილი 45-60 სმ, ხოლო რიგში მცენარეთა შორის მანძილი 50 სმ, თესვის სიღრმე 1-5 სმ, დათესვის შემდეგ აუცილებელია მორწყვა. თესვის ნორმა 4-5კგ/ჰა, 1 გრამი თესლი დაახლოვებით 100 მცენარეს იძლევა. თესლის გაღივების ოპტიმალური ტემპერატურა 15-16⁰-ია. სიცოცხლის პირველ წელს მცენარე წელა ვითარდება. ამ პერიოდში ნიადაგი მუდმივად სუფთა უნდა იყოს სარეველებისაგან, საჭიროა ნიადაგის რიგთაშორისების გაფხვიერება და მორწყვა თვეში 5-7-ჯერ. ჭარბტენიან, ცუდად დრენაჟირებულ ადგილებს თავშავა ვერ ეგუება, ფესვი ულპება /ბიძინაშვილი და სხვ., 2010/

Orthosiphon stamineus Benth - თირკმლის ჩაი

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის - დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი მარადმწვანე 1-1,5 მ სიმაღლის მცენარეა დატოტვილი ოთხწახნაგოვანი რეროთი. ფოთლები მოკლე ყუნწიანია, ჯვარედინ მოპირისპირე, რომბული, დაკბილული კიდეებით. ყვავილები განლაგებულია ღეროებისა და ტოტების წვეროვებზე, ოთლის უბეებში 3-4 ცალად, წარმოქმნის მტევნისებრ ყვავილედს. ყვავილები გრძელია, უსწორო ფორმის, მკრთალი იისფერი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია მშრალი წვეროსეული შეფოთილი ყლორტები. ფოთლებიდან გამოყოფილია მწარე გლიკოზიდი – ორთოსიფონინი, რომელიც მოგვიანებით იდენტიფიცირებული იქნა როგორც მეზონოზიტი, აღინიშნება ასევე ტრიტერპენული საპონინები, მთრიმლავი ნივთიერებები, ცხიმოვანი ზეთები, ეთერზეთები, ორგანული მჟავები: ღვინის, ლიმონის, ფენოლკარბონული და რომ-მარინის.

ხასიათდება გამობატული დიურეზული მოქმედებით. ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმიდან შარდოვანას, შარდის მუავასა და ქლორიდების გაძლიერებულ გამოყოფას, ამცირებს კუჭის წვენის სეკრეციას, აძლიერებს ნაღვლის გამოყოფას, რის გამოც ფართო გამოყენება ჰპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას; განსაკუთრებით ხშირად უნიშნავენ ცისტიტის, ქოლეცისტიტის, ნაღვლის ბუშტში და თირკმელებში ქვების შემთხვევაში. თირკმლის ჩაის ნაყენის გამოყენება ეფექტურია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას.

გავრცელება: სამშობლო ტროპიკული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ჩრდილო-აღმოსავლეთ ავსტრალიაა.

კულტივირება: კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში.

https://ru.wikipedia.org/wiki/Почечный_чай

**Oxycoccus macrocarpus Pers. (Vaccinium macrocarpon – მსხვილნაყოფა შტოში
Fam. Vacciniaceae - ოჯ. მოცვისებრნი**



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე დაბალი ბუჩქია, მიეკუთვნება შპალერული ტიპის ვეგეტატიურად მოძრავი ბუჩქების სასიცოცხლო ფორმას, მკვეთრად გამოხატული ორი ტიპის ყლორტით: გართხმული და ვერტიკალური. ფოთოლი მორიგეობითია, ტყავისებრი, პრიალა, მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან ლევა ან ცვილისებრი ნაფიფქით და წვრილი ბუნვებით მოფენილი, ოვალური ან მოგრძო-ელიფსური, ბლაგვი, ფუძესთან მომრგვალებული. ყვავილები მუქი ვარდისფერია, ჩაქინდრული, განწყობილია გასული წლის ტოტებზე თითო-თითოდ ან შეკრებილია 3-4 ცალად ქოლგისებრ ყვავილედად. ნაყოფი მომრგვალო კენკრაა, მუქი წითელი, მომჟავო-ტკბილი გემოთი.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX

მნიშვნელობა: ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და მინერალური მარილების შემადგენლობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კენკროვანი მცენარეა. ნაყოფი შეიცავს გლიკოზიდ ვაქცინინს, ცილებს, ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ბენზონის, ქინაქინის, ოლეინის, ურზოლის), უჯრედის, შაქრებს (გლუკოზა, ფრუქტოზა), პექტინოვან და საღებავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ფენოლებს, C და B₁, B₂, PP ვიტამინებს, აზოტოვან და მთრიმლავე ნივთიერებებს, ფიტონციდებს, სხვადასხვა მიკროელემენტებს: ნატრიუმს, კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, რკინას, აგრეთვე იოდს, ვერცხლს, ბარიუმს, სპილენძს, კობალტს, მოლიბდენს,

ნაყოფები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, სიცხისდამწვეი, გამაჯანსაღებელი, ჭრილობების შემახორცებელი, მატონიზირებელი მოქმედებით. ამალღებს იმუნიტეტს, ზრდის სისხლძარღვების კაპილარების სიმტკიცესა და ელასტიურობას, რის გამოც გამოიყენება ვარიკოზის დროს, აუმჯობესებს მადას, საკვების ათვისებას, აძლიერებს კუჭისა და პანკრეასის წვენის გამოყოფას, სასარგებლოა დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებისას; ხასიათდება აგრეთვე მკვეთრად გამოხატული ბაქტერიული მოქმედებით, ხელს უშლის მათ გამრავლებას, მისი წვენით ჩამოხანილი ჭრილობები მყისიერად ხორცდება. ცნობილია, რომ აძლიერებს ანტიბიოტიკების მოქმედებას, რის გამოც კარგი დამატებითი საშუალებაა ცისტიტის, ნეფრიტის, ქალური ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ. სასარგებლოა საჭმლის მომწელებელი და

გულ-სისხლძარღვთა სისტემებისათვის, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას, იცავს საშარდე სისტემას ინფექციისა და კენჭოვანი დაავადებების განვითარებისაგან, აბალანსებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის თრომბების წარმოშობას, ასტიმულირებს პანკრეასის ფუნქციას, რის გამოც რეკომენდირებულია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის; ხელს უშლის გლუკომის განვითარებას, მისი წვენი აცხრობს ღრძილების ანთებას, ეფექტურია პარადონტომის მკურნალობისას. წვენი, ნაყენი აუმჯობესებს გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას; სასარგებლოა სისხლძარღვთა სპაზმებისა და ჰიპერტონიის შემთხვევაში; თაფლში გასრესილი ნაყოფი კარგი საშუალებაა ათეროსკლეროზისა და ტუბერკულოზის სამკურნალოდ.

უკუმაჩვენებელია მაღალი მუავიანობით მიმდინარე გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის მწვავე წყლულოვანი და ღვიძლის დაავადებებისას.

რუსეთში მას უწოდებენ „ზამთრის ვიტამინიზირებულ ბომბს“.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის ტორფიან ჭაობებში. მას „ჭაობის ყურძენსაც“ უწოდებენ, თუმცა ეს შედარება ყურძენისთვის არც თუ სასარგებლოა, ვინაიდან შტოში ორგანული მენაერთებით მნიშვნელოვნად აღემატება მას.

ჰაბიტატები: იზრდება ტენიან ადგილებში: გარდამავალ ჭაობებში, წიწვიან ტყეებში, ზოგჯერ ტბების დაჭაობებულ ნაპირებზე.

კულტივირება: შტომის პირველი სამრეწველო პლანტაციების შექმნა 1833 წლიდან იწყება აშშ-ში, სადაც ამჟამად წარმოადგენს ტიპურ ოჯახურ ბიზნესს. მის წარმოებას მისდევენ კანადაშიც; სწორედ ეს ორი ქვეყანა ითვლება შტომის სამრეწველო მიზნით გამრავლების პიონერებად. რუსეთში მისი მცირე ზომის პლანტაციას სფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის ბოლოს სანქტ-პეტერბურგის ბოტანიკურ ბაღში ე. რეველის მიერ, რაც მალე იქნა შეწყვეტილი. ამჟამად, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან სამრეწველო მიზნით ფართოდ ამრავლებენ ბელორუსში და რუსეთში კოსტრომის ოლქში.

[/https://ria.ru/20210325/klyukva-1602844768](https://ria.ru/20210325/klyukva-1602844768); კერესელიძე, 2001/.

Panax ginseng C. A. Mey - უენშენი
Fam. Araliaceae - ოჯ. არალიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 30-70 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფესვი მთავარღერძაა, წვნიანი, 2-6 ნაწილად დატოტვილი, 20-25 სმ სიგრძის და 2-2,5 სმ სიგანის, მოგრძო-ცილინდრული ფორმის, ყვითელი ან მოთეთრო შეფერილობის; ფესვის ზედა ნაწილში ჩანს “ყელი”, პატარა სიგრძივი ნაოჭიანი ფესურით და 2-3 მოზამთრე კვირტით; ინვითარებს ერთ მიწისზედა, სწორ, წვრილ ღეროს, რომლის ფუძესთან რამდენიმე ფოთლისეული ქერქლია, 2-5 ფოთლისგან შემდგარი წვეროსეული როზეტით; ფოთლები თათისებრფრთართულია, გრძელყუნწიანი, ღეროს წვერზე რგოლებად შეკრებილი. ღერო და ფოთლები იისფერ-მონითალო ელფერისაა; ფოთლების რგოლების ცენტრიდან ვითარდება საყვავილე ისარი, რომელიც ინვითარებს მარტივ ქოლგებად შეკრებილ მომწვანო-მოთეთრო შეფერილობის ყვავილებს. ნაყოფი კაშკაშა წითელი, ოდნავ თირკმლისებრი, ხორცოვანი კენკრაა (2-3 კურკით).

ფენოლოგია: ყვ. VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: უენშენი რელიქტური მცენარეა, უძველესი გეოლოგიური ეპოქის მცენარეული საფარის გადარჩენილი წარმომადგენელი. გვაოცებს სიცოცხლის ხანგრძლივობით, რაც უჩვეულოა ბალახოვანი მცენარეებისათვის. 1905 წელს მანჯურიაში რკინიგზის მშენებლობისას ნაპოვნი იქნა უენშენის უნიკალური ძირი, რომელიც 200 წლის იყო, ხოლო მისი ფესვი 600 გრამს იწონიდა, მაშინ, როდესაც 100-200 გრამიანი ფესვები იშვიათობას წარმოადგენს. ფესვი გაყიდულ იქნა შანხაიში 5000

დოლარად, რაც სპეციალისტების აზრით მისი საფასურის ნახევარ ფასს შეადგენდა.

სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს. შეიცავს: პანაქს-სა-პონინს, ეთერზეთებს - პანაცენს, სესკვიტერპენებს, პანაქსინის მუჟავას, რომელიც შედგება ცხიმოვანი ზეთების ნარეგებისაგან: პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლინის, გინზენინის; ფიტოსტერინებს, ლორწოს, ფისებს, ფერმენტებს, ვიტამინებს B, B₁, ლერწმის შაქარს, მცირე რაოდენობით დაუდგენელ ალკალოიდებს, ფოსფორს, გოგირდსა და მიკროელემენტებს: P, K, Ca, Mg, Na, Fe, Al, Si, Sr, Mn, Ti.

1596 წელს გამოცემულ ჩინურ ფარმაკოპეიაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მცენარეს, რომელიც ორი იეროგლიფით აღინიშნება “უენ” – ადამიანი და “შენ”- ფესვი. მცენარის ფესვი მართლაც ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს. ჩინეთში სამკურნალო მიზნით 3000 წლის წინათ გამოიყენებოდა. მის სამკურნალო თვისებებზე უამრავი ლეგენდა არსებობს. მას მიაწერდნენ არა მარტო ყველა დაავადების განკურნების თვისებას, არამედ მომაკვდავ ადამიანში თვით სიცოცხლის ჩასახვის უნარსაც კი. ხალხში მას უწოდებენ “სასიცოცხლო ფესვს”, “მსოფლიოს საოცრებას”. ევროპაში მისი სასიცოცხლო თვისებები პირველად XVII ს-ში გახდა ცნობილი. უენშენის სამშობლოში მოგზაურ პირებს ევროპაში ჩამოჰქონდათ ცნობები ამ საოცარი მცენარის შესახებ, რომელიც ყველა დაავადებას კურნავდა. აქედან გამომდინარე ცნობილმა შვედმა ბოტანიკოსმა კარლ ლინემ 1753 წელს ლათინურად უწოდა “Panax”, რაც “ყოვლის მკურნალს” ნიშნავს.

ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედებით; ოფიცინალურ მედიცინაში მისი პრეპარატები გამოიყენება ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობის, დაქვეითებული შრომისუნარიანობის, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფოფობის შემდეგ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალური დარღვევების, სასქესო ორგანოების ჰიპოფუნქციის და ფუნქციონალური, ნერვული და ფსიქიური დაავადებების (ნევროზები, ნევრასტენია, ფსიხოსტენია და სხვ.), ქრონიკული და ანაციდური გასტრიტების დროს. ხელს უწყობს ტკივილების გაქრობას, მადის აწევას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციას, არტერიულ წნევას. ახალი მონაცემებით, იწვევს კიბოს სიმსივნეების დათრგუნვას და ბოჭავს მათ განვითარებას.

სამედიცინო პრაქტიკაში უენშენი გამოიყენება უმთავრესად სპირტიანი ნაყენებისა და ექსტრაქტების სახით. ნაყენის დოზა 15 წვეთია დღეში 3-ჯერ. მიღებულია ფესვების ფხვნილის პრეპარატი, რომელიც დოზირებულია - 0,25 გ დღეში 3-ჯერ. ზოგჯერ მკურნალობას უფრო მცირე დოზებით იწყებენ და თანდათანობით ზრდიან.

უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიის, მწვავე ინფექციური დაავადებების, ბავშვებისა და ფეხმძიმე ქალებისათვის. ხანგრძლივი გამოყენება იწვევს გულის ტკივილებსა და თავბრუსხვევას. დაუშვებელია უენშენის პრეპარატების მიღება ჰიპერტონიის სანინალმდეგო, გულისა და ანტიბიოტიკურ საშუალებებთან ერთად.

გავრცელება: ხასიათდება წყვეტილი არეალით, რომლის ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთ აზიაშია (შორეული აღმოსავლეთი, ჩინეთი, ტიბეტი, ალტაი).

კულტივირება: კულტივირებულია რუსეთში (ზღვისპირა მხარე), ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაში, ჩინეთში, იაპონიაში, აშშ-ში, კანადაში და ვიეტნამში. ძირითად მწარმოებლად ითვლება სამხრეთ კორეა, შემდეგ ავსტრალია და აშშ.

უენშენი ძლიერ ფიტავს ნიადაგს, ამიტომ განმეორებით შეიძლება დაირგას მხოლოდ 10 წლის შემდეგ. ვინაიდან, ძლიერი ტენის მოყვარული მცენარეა, ამიტომ პლანტაციები დათარულია ჩარდახებით, რომლებიც ატარებენ მზის სხივების მხოლოდ 20-30%. მცენარეებს ზრდიან 4-6 წლამდე, ვინაიდან სწორედ მაგ ასაკში ხდება საპონინების მაქსიმალური რაოდენობის დაგროვება. შემდეგ მას ახარისხებენ რამდენიმე კრიტერიუმად: არჩევენ 4 ხარისხს: ციური, მინის, კარგი და დაჭრილი. შესაბამისად განხვავებულია მათი ღირებულებაც. მაგ.: ციური ფესვები უნდა იწონიდნენ არა უნცირეს 68 გრ, უნდა ჰგავდეს ადამიანს და ა.შ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ბიოტექნოლოგიური მეთოდებით ფესვის ქსოვილების უჯრედის კულტურიდან შესაძლებელი იქნა in vitro ბიომასის მიღება, რომელიც შემადგენლობით, ორგანოლეპტური და ფარმაკოლოგიური თვისებებით ახლოა ბუნებრივ ნედლეულთან, რითიც შესაძლებელი გახდა მისი ფართო გამოყენება მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში. <https://ru.wikipedia.org/wiki/Женьшень>

Papaver somniferum – ხაშხაში
Fam. Papaveraceae – ოჯ. ყაყაჩოსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სწორ-მდგომი, ცვილისებრი ნაფიფქით დაფარული ღეროთი. ფესვი მთავარ-ღერძაა, ნიადაგში ღრმად ჩამავალი. ფესვთანური ფოთლები წაგრძელებულია, სპირალურად განწყობილი; ღეროსეული ფოთლები - ფართო ლანცეტა ან კვერცხისებრი ფორმის, ღერომხვევი. ყვავილი მსხვილია, სხვადასხვა შეფერილობის - თეთრიდან მუქ-იასამნისფერამდე. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, სფერული ან წაგრძელებული, რომლებიც თესლების მომწიფებისას არ იხსნება, რითაც ეს სახეობა ყაყაჩოს სხვა სახეობებისგან განსხვავდება. თესლი წვრილია, მონაცრისფრო შეფერილობის.

ფენოლოგია: ყვ. VI; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: ხაშხაშის კულტურა საწყის უძველესი დროიდან იღებს. მრავალსაუკუნოვანი კულტურის პროცესში ჩამოყალიბდა სამრეწველო ნიშნებით მკვეთრად გამოჩეული ორი ჯგუფი: ოპიუმისი და ზეთოვანი. ოპიუმისი ყაყაჩოს ჯიშები ხასიათდება მსხვილი კოლოფებითა და რძის წვენის მაღალი შემცველობით. ხოლო ზეთოვანი ჯგუფის ყაყაჩოს ჯიშები მოჰყავთ თესლების მისაღებად, იყენებენ კვებით მრეწველობაში და მნიშვნეულ თესლებისაგან თავისუფალი კოლოფებიდან მორფინის მისაღებად. ნედლი კოლოფები შეიცავს 8-25 მგ% ოპიუმს, რომელიც წარმოადგენს ორგანული და მინერალური შენაერთების - ალკალოიდების, ცილების, ნახშირწყლების, ლორწოს და სხვ. რთულ ნარევის. ოპიუმში ერთ-ერთი ძირითადი ალკალოიდის - მორფინის შემა-

დგენლობა 0,2-2 მგ%. აფთიაქებში დამზადებული წამლების უმრავლესობა შეიცავს ოპიუმს ან მის ძირითად ალკალოიდებს: მორფინს, კოდეინს, ნარკოტინს, პაპავერინს და სხვა – 25-ზე მეტი დასახელების ალკალოიდს. ოპიუმი და სხვა ალკალოიდები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში როგორც ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი საშუალებები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორფინი, რომელიც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით გამოირჩევა; სამედიცინო პრაქტიკაში მას ინექციის სახით იყენებენ ონკოლოგიური დაავადებების მეოთხე სტადიის, სტენოკარდიის, პნევმონიის დროს. კოდეინიც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი და ნარკოტიკული საშუალებაა, ხშირად გამოიყენება ხველებისას, როგორც დამამშვიდებელი.

მორფინის უარყოფითი თვისება, რის გამოც მისი გამოყენება შეზღუდულია, არის მისი ძლიერი მოქმედება თავის ტვინის ქერქზე, ინვეეს ეიფორიას, წარმოიქმნება მუდმივი მოთხოვნილება პრეპარატისადმი, რაც ფსიქიკური აშლილობით მთავრდება. ამიტომ მათი გამოყენება მკაცრად რეგლამენტირებულია.

გავრცელება: ველურად არ გვხვდება, ფიქრობენ, რომ წარმოიქმნა ველური სახეობების ჰიბრიდიზაციის გზით. სამშობლოდ წინა აზიას მიიჩნევენ.

კულტივირება: ოპიუმიანი ხაშხაშის ჯიშები ფართოდაა კულტივირებული აზიასა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე; ხოლო **თესლოვანი ხაშხაშის** ჯიშები ევროპის რიგ ქვეყნებში, აგრეთვე ბაშკირეთში, თათრეთის რესპუბლიკასა და დას. ციმბირში. მოითხოვს კარგი ფიზიკური პირობების მქონე ნაყოფიერ ნიადაგებს, როგორიცაა მაგალითად, შავმიწა, მსუბუქი თიხნარი და ნაყოფიერი ქვიშნარი ნიადაგები. წინამორბედ კულტურებად ითვლება მარცვლოვნები და შაქრის ჭარხალი.

თუ მცენარე ითესება სხვადასხვა კულტურების შემდეგ, ანუელს ამუშავებენ ნახევარ მზრალად. ხოლო თუ ითესება სამემოდგომოდ, ატარებენ ხვნას 25-27 სმ სიღრმეზე. ხვნის დროს შეაქვთ 10-15 ტ/ჰა-ზე ნაკელი ან კომპოსტი და მინერალური სასუქები: ამოტიანი და ფოსფორიანი სასუქი 60კგ/ჰა-ზე, ხოლო კალიუმიანი 45 კგ/ჰა-ზე. თესვისას რიგებში შეაქვთ გრანულირებული სუპერფოსფატი. 6-8 ნამდვილი ფოთლის წარმოქმნისას შეაქვთ 45 კგ/ჰა-ზე და მეორედ - საყვავილე ღეროს გამოჩენისთანავე 30 კგ/ჰა-ზე ამიაკის გვარჯილა. თესავენ ადრე გაზა-

ფხულზე ან შემოდგომით 35 სმ რიგთაშორის მწკრივებში, 1,5-3,0 სმ სიღრმით. ვიდრე აღმონაცენი წარმოიქმნება, ახდენენ მსუბუქ ფარცხვას სარეველების მოსასპობად. აღმონაცენის წარმოქმნის შემდეგ ხდება გამომხირვა გამარგვლით 2-3 წყვილი ფოთლის გამოჩენისთანავე. ყოველ მეტრზე ტოვებენ 18-20 მცენარეს.

მოსავალს იღებენ, როდესაც კოლოფი მუქი-ყვითელი შეფერილობის ხდება და თესლი კოლოფში ჩხრიალს იწყებს. აგროვებენ მარცვლეულის ასაღები კომბინით. შემდეგ ასუფთავებენ თესლს დანარჩენი მინარევებისაგან და აშრობენ 60-70°C-ზე /Котыков, 1975/.

Pastinaca sativa L. - ძირთეთრა

Fam. Apiaceae (Umbelliferae) - ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ორ ან მრავალწლოვანი 30-100 სმ სიმაღლის მცენარეა, თითისტარისებრი, ხორცოვანი მოყვითალო-ყავისფერი ფესვით.. ღერო სწორმდგომია, შიშველი, წახნაგოვან-დაღარული, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ფრთისებრია, ზედა მხრიდან პრიალა, ქვედა მხრიდან რბილი ბენვით მოფენილი. ყვავილები შეკრებილია რთულ ქოლგებად. გვირგვინი მოყვითალო-ოქროსფერია, შეზრდილფურცლიანი. ნაყოფი იყოფა ორ შებრტყელებულ ნაწილად.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფესვები და ნაყოფები წარმოადგენს. წვენი შეიცავს წყალს 79,5 მგ%, ცილებს 1,2 მგ%, ცხიმებს 0,3 მგ%, ნახშირწყლებს 13,1 მგ% (მათ რიცხვში მონო და დისახარიდბს - 5

მგ%), უჯრედის 4,9 მგ%, ნაცარს 1 მგ%, ვიტამინებს (B₁, B₂, B₃, B₅, B₆, B₉, C, E, K), მაკროელემენტებს (K, Ca, Mg, Na, F), მიკროელემენტებს (Fe, Mn, Cu, Se, Zn), ეთერზეთებსა და გლიცერიდებს, ზეთის, პეპტილურ და კაპრონის მჟავებს.

ძველ საბერძნეთში ექიმმა დიოსკორიდმა პირველმა გამოიყენა ძირ-თეთრა როგორც შარდმდენი საშუალება სამკურნალო მიზნებისათვის. შუა საუკუნეებში ამ მცენარის გამოყენების დიაპაზონი არსებითად გაფართოვდა. მას იყენებდნენ როგორც აფროდიზიაკს, მადის გამაძლიერებლად, აგრეთვე ხველების სანიანალმდევოდ და ტკივილგამაყუჩებლად. ხალხურ მედიცინაში ფესვების ნაყენსა და ნახარშს ღებულობენ ხველების შესარბილებლად, აგრეთვე როგორც მატინიზირებელს, მძიმე დაავადებების შემდგომ პერიოდებში.

ფართო გამოყენება ჰპოვა ოფიცინალურ მედიცინაშიც. ხასიათდება მატონიზირებელი, შარდმდენი, ბაქტერიციდული, ტკივილგამაყუჩებელი და ამოსახველებელი მოქმედებით. აძლიერებს მადას, ასტიმულირებს შიდა სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებას, აუმჯობესებს საკვებმომწელებელი სისტემის მუშაობას, ნივთიერებათა ცვლას, ამაგრებს კაპილარული სისხლძარღვების კედლებს; გამოიყენება დიეტურ საკვებად ნალველკენჭოვანი და თირკმელკენჭოვანი, ნიკრისის ქარის, ნერვული სისტემის დარღვევების, ტუბერკულოზის, პნევმონიის, ბრონქიტის და ემფიზემით დაავადებულთათვის. წარმატებით იხმარება მრავალგვარი გონებრივი მოშლილობის დროს. რეკომენდირებულია როგორც მადის გამაძლიერებელი და სპაზმოლიტური საშუალება საკვების მომწელებელი ორგანოების დარღვევებისას, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ. ფარმაცევტულ მრნველობაში თესლებისაგან მზადდება კანის დაავადებების (მათ შორის ვიტილიგოს) სამკურნალო პრეპარატები.

არ არის რეკომენდირებული მისი საკვებად გამოყენება ბავშვებისა და ხანდაზმულების, ისევე როგორც დერმატიზმით დაავადებულთათვის (Ковалева, 1971).

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, თურქეთსა და კავკასიაში.

საქართველოში ამენებენ ბოსტნებსა და ბაღებში.

ჰაბიტატები: იზრდება ბუჩქნარებში, დანაგვიანებულ ადგილებში, როგორც სარეველა.

კულტივირება: მცენარე ნატურალიზებულია და კულტივირებული მთელ მსოფლიოში. მოჰყავთ

როგორც ბოსტნეული და საკვები კულტურა. ცნობილია XII ს-დან, თუმცა ფართო გამოზრდა დაიწყო XVIII ს-ის დასაწყისიდან. მცენარე კარგად ხარობს ნაყოფიერ, კარგი ღრენაჟის მქონე ნიადაგებზე. მოითხოვს მზიან, თბილ ნაკვეთებს. ამრავლებენ თესლით.

Peganum harmala L. - მარიამსაკმელა
Fam. Peganaceae - ოჯ. მარიამსაკმელასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 40-50 სმ სიმაღლის მცენარეა, გრძელი მხოხავი ფესურითა და დამახასიათებელი სპეციფიური სუნით. ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, შიშველია, ძირამდე სამად გაყოფილი, თითოეული მათგანი თავის მხრივ 2-3 ნაკვეთიანია. ყვავილები ტოტების ბოლოებში თითო-თითოდაა განლაგებული, გვირგვინი თეთრია ან მკრთალი ყვითელი. ნაყოფი სფერული კოლოფია, მომწიფებისას სამი საგდელით იხსნება. თესლი სამწახნაგოვანია ან პირამიდული, ბორცვებიანი და ოდნავ პრიალა.

ფენოლოგია: ყვ. V-IX; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: ცნობილია სირიული ტეგანის სახელითაც. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი (შეგროვილი ყვავილობის დასაწყისში), თესლები და ფესვები. შეიცავს ალკალოიდებს: გარმალინს, გარმალოლს, გარმინს, პეგანინს, ცხიმზეთებს, ორგანულ მჭავებს, სტეროიდებს, პროტეინებს, საპონინებს, კაროტინოიდებს;

ბალახი მდიდარია მაკროელემენტებით: კალიუმი, მაგნიუმი, რკინა; ალინინება მიკროელემენტებიც - მანგანუმი, სპილენძი, ქრომი, ალუმინი, ნიკელი, ტყვია. მცენარეში აღრიცხულია დიდი რაოდენობის თუთია, სტრონციუმი, მოლიბდენი, ბარიუმი.

მისი პრეპარატები ხასიათდება ანტიოქსიდანტური, ანტიმუტაგენური, ანტისიმსივნური, ანტიჰელმინტური, ანტიბაქტერიალური, ანტიპროტოზოული, ანტისპაზმური, ტკივილ-გამაყუჩებელი, ანთების და პირლემბების საწინააღმდეგო, ძილისმომგვრელი, შარდმდენი და ოფლმდენი მოქმედებით. ბალახის ნახარშები და ნაყენები გამოიყენება შინაგანად გაციების, ათაშანგის, მალარიის, ნევრასტენიის, ეპილეფსიის სამკურნალოდ. პირის გამორეცხვის სახით ღრძილების დაავადებებისას, აბაზანების სახით - რევმატიზმის, მუნისა და კანის სხვა ავადმყოფობებისას.

მცენარის ერთ-ერთი ალკალოიდი - გარმალინი წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულიატორს. მის საფუძველზე ამზადებენ პრეპარატ დემოქსიპეგანინის ჰიდროქლორიდს, რომელსაც უნიშნავენ პერიფერიული ნერვული სისტემის (ნევრიტები, მონო და პოლინევრიტები), მიასტენითა და ჰემიპლეგიით დაავადებულებს.

მეორე ალკალოიდი - გარმინი შედიცინაში გამოიყენება ექსტრაპირამიდული სისტემის, როგორცაა თავის ტვინის - ენცეფალიტი, სისხლძარღვოვანი - ათეროსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადებების სამკურნალოდ. ალკალოიდის მოქმედება ეფექტურია თავის ქალისა და დაბადებითი ტრავმების, თავის ტვინის სიმსივნეების ან გემატომების დროს. ამ ნივთიერებას, ორგანიზმიდან სწრაფად გამოაქვს ტოქსინები, ხსნის ღარიბხნით, ნახშირბადის მუავით ინტოქსიკაციის შედეგებს, შველის გართულებულ ალერგიებს, ასფიქსიას, ზრდის ერთთროციტების რიცხვს, არის სედატური და ძილისმომგვრელი.

ბალახი მოქმედებს თავის ტვინის გარსის მამოძრავებელ ცენტრებზე, რის გამოც იყენებენ არტერიალური წნევის ასამაღლებლად, ნაწლავების, საშვილოსნოს მუსკულატურის მოსადუნებლად, პერიფერიული სისხლძარღვების გასათავართოებლად; ხელს უწყობს დაძაბულობის მოხსნას, სწრაფ და თავისუფალ მოძრაობას, გამოიყენება პარკინსონისა და დამბლის საწინააღმდეგოდ. თესლებს იყენებენ როგორც ანტი-სეპტიკურ საშუალებას.

სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენება. შუა საუკუნეების მეცნიერები მისით მკურნალობდნენ მწვავე ნერვულ დაავადებებს, ეპილევსიას, დამბლას, სუსტ მხედველობას. მარიამსაკმელა ორგანიზმს სთბოში ამყოფებს, შველის უძილობას, აძლიერებს მენსტრუაციას, ორგანიზმიდან გამოაქვს სქელი ნახველი, ნაწლავებიდან გაზები, ალვივებს სისხლს. მისი ნახარში აზიური ქვეყნების ხალხური მედიცინის მიერ რეკომენდირებულია ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებისას, ასევე მუცლის ტკივილების მოსახსნელად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემის, რადიკულიტის სამკურნალოდ. მაგარი ნახარში ტრანკვილიზატორული თვისებისაა.

მარიამსაკმელას საშუალებებით მკურნალობისას აუცილებელია დოზების ზუსტი დაცვა. შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, კრუნჩხვები, გახშირებული გულის ცემა, ჰალუცინაციები, სხეულის ტემპერატურის ვარდნა. ძირითადი ალკალოიდების დიდი კონცენტრაციებით მიღება იწვევს კანკალს, კონვულსიას, მამოძრავებელი აპარატის დამბლას.

გავრცელება: აღმ. ხმელთაშუაზღვეთის რეგიონი, ჩრდ. ინდოეთი, მონღოლეთი, მანჯურია, კვიპროსი და საბერძნეთი.

საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია ქართლში, ქიზიყში, გარდაბანში, მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მთის ქვედა სარტყელში, სტეპებზე, ნახევარუდაბნოებში, ხშირად მლამობ ადგილებში.

კულტივირება: მიუხედავად იმისა, რომ წარმატებით იზრდება და ხარობს ტროპიკულ მშრალ და თვით უდაბნოს კლიმატშიც, მისი მოშენება ხშირად მეტად რთულია. კულტივირებისათვის საჭირო ნიადაგები და კლიმატი შეესაბამება სამხრეთ ევროპას წარმატებითაა კულტივირებული კალიფორნიაში. თესავენ მცირედ დატენიანებულ გრუნტში, მოითხოვს საკმარის და არა ზედმეტ მზის სინათლეს, ჰაერის ტემპერატურას 25 °C, ამ რეჟიმში თესლების უმეტესობა ღივდება. მოგვიანებით, როდესაც ფესვი საკმარისად ძლიერადაა განვითარებული, თითოეული ჩითილი შეიძლება გადატანილ იქნეს მუდმივ ადგილას.

<https://jahforum.net/topic/3536-гармала-обыкновенная-сирийская-рута-peganum-harmala-linnaeus/>

Periploca graeca L. - ღვედკეცი

Fam. Asclepiadaceae - ოჯ. ღვედკეცისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: რელიქტური სახეობაა, 10-12 მ-მდე სიმაღლის ლიანა, ცილინდრული ფორმის ძლიერ დატოტვილი ფესურით. ღეროსა და ტოტების ქერქი მურა-მონაცრისფეროა, დაფარულია წვრილი მოყვითალო-მურა ხორკლებით. ფოთლები ტყავისებრია, მოპირისპირედ განწყობილი, კვერცხისებრლანცეტა ან ლანცეტა ელიფსური, ზემოდან უფრო მუქი მწვანე, ქვემოდან კი მკრთალი. ყვავილები მომწვანო-იისფერია, ნახევარქოლგისებრ ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი წყვილი რკალისებრი ფოთლოვანაა, რომელიც ხშირად წვერში ერთმანეთთანაა შეზრდილი, მომწიფებისას შიგნითა მხრიდან მთელ სიგრძეზე სკდება და ბენვიანი მრავალი თესლი თანდათან სცვივა და ქარის საშუალებით ვრცელდება.

ფენოლოგია: ყვ. IV-VI; ნაყ. VII- VIII.

მნიშვნელობა: მედიცინაში ღვედკეცის ქერქს იყენებენ, რომელსაც ადრე გაზაფხულზე, წვენის მოძრაობის დაწყებისთანავე ამზადებენ. იგი შეიცავს ალკალოიდებს, ალდეჰიდებსა და 9 დასახელების გლიკოზიდებს. ერთ-ერთი გლიკოზიდისაგან მიღებულია პრეპარატი პერიპლოცინი, რომელიც სტროფანტინის მსგავსად გულის უკმარისობისას გამოიყენება სისხლის მიმოქცევის მოშლის მძიმე მდგომარეობის დროს. პერიპლოცინის თერაპევტული ეფექტი პულისის ცემის რიცხვის შემცირებაში, გულის კუმშვის გაძლიერებაში, სისხლის მიმოქცევის დაჩქარებაში, სულის ხუთვის შეგრძნების შემცირებასა და დიურეზის (შარდმენი) გადიდებაში გამოიხატება.

პერიპლოცინს გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარობის II-III სტადიაზე იყენებენ. აღინიშნება საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება.

მცირდება სულის ხუთვის შეგრძნება, გულის ცემა, ხელს უწყობს ძილის აღდგენას. მკურნალობის დაწყებიდან 8-12 დღის შემდეგ ბევრ შემთხვევაში ქრება ციანოზი (სისხლის მიმოქცევის მოშლით გამოწვეული სილურჯე, კანის და ლორწოვანი გარსის გალურჯება). კლებულობს შეშუპება, მცირდება პულსის სიხშირე და დეფიციტი. მოციმციმე არითმიის დროს ტახიკარდიის ინტენსივობა მცირდება.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება პერიპლოცინი ძლიერი ტოქსიკური ნაერთია და ნედლეულის გამოყენება მხოლოდ ექიმის კონტროლქვეშაა შესაძლებელი.

გავრცელება: რელიქტური ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა.

საქართველოში მეტწილად დასავლეთ საქართველოს დაბლობის ტყეებში იზრდება, აღმოსავლეთ საქართველოში უმთავრესად ჭალის ტყეებსა და ტენიან ხეობებშია გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის სარტყელში, ტენიან ადგილებში, მდინარეთა ნაპირებზე, ბუჩქნარების რაყეებში.

***Phytolacca americana* L. - ჭიაფერა**

Fam. Phytolaccaceae - ოჯ. ჭიაფერასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 3 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სქელია, წვნიანი, მწვანე ან მოწითალო-მწვანე, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვი მთავარღერძაა, თი-

თისტარისებრი, სქელი. ფოთლები მორიგეობითია, მარტივი, კიდემთლიანი, კარგად განვითარებული შუა ძარღვით, ელიფსური, მახვილი წვერით, პირველად ბაცი მწვანე, მოგვიანებით მოწითალო შეფერილობის. ყვავილები ორსქესიანია, წვრილი, მარტივი ყვავილსაფრით, შეკრებილია მკვრივ სწორმდგომ 15-25 სმ სიგრძისა და 5 სმ დიამეტრის მტევნად, ფორმით ტაროს მოგვაგონებს. ნაყოფი წვნიანი კენკრაა, მომრგვალო, პრიალა, დასაწყისში მუქი წითელი, სრული სიმწიფისას – თითქმის შავი. თესლი თირკმლისებრია, შავი, პრიალა, წვრილი.

ფენოლოგია: ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-X

მნიშვნელობა: ჭიაფერა თანამედროვეობის გაორებული მცენარეა. ერთის მხრივ მიიჩნევენ გამაჯანსაღებელ და სამკურნალოდ, მეორეს მხრივ მიუთითებენ მისი ყველა ნაწილის მაღალ შხამიანობაზე, რომელსაც ადამიანის სიკვდილიც ძალუძს. ყველანი ერთად კი ჭიაფერას მაღალ დეკორატიულობაზე თანხმდებიან.

მცენარეში აღმოჩენილია საპონინები, ტანინები, ალკალოიდები, მწარე ნივთიერებები, შაქრები; ფოთლებში დამატებით აღირიცხა ასკორბინის მჟავა (240-285 მგ); ნაყოფი და თესლები მდიდარია B - ჯგუფისა და PP - ვიტამინებით.

ჭიაფერას პრეპარატები შინაგანად უმთავრესად როგორც პირღებინების საშუალება მიიღება, გარეგანად - კანის დაავადებების (მშრალი ეგზემა, ფსორიაზი, მუნი, სოკოვანი დაავადებები) და ათორიტების სამკურნალოდ გამოიყენება.

ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ მცენარის ყველა ნაწილს იყენებენ, მაგ.: ნაყოფების ნახარში ხელს უწყობს ჰიპერტონიის საწყის სტადიებში არტერიული წნევის დაქვეითებას; მშრალი ან ნედლი ფესვების სპირტიან ნაყენს იყენებენ შინაგანად და გარეგანი სახით, არის კარგი იმუნოსტიმულიატორი, ანელებს სიმსივნის განვითარებას, ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის, თირკმელების ანთებითი პროცესების და კონიუნქტივის განკურნებას; საფენების სახით იხმარება რადიკულიტის, რევმატიზმის, დამწვრობის, მასტიტის, ათორიტის, სახსრების ტკივილების, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი დაზიანებებისა და ციებ-ცხელების დროს.

უკუქმედება: ნედლი მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, გამოყენებისას უალრესი სიფრთხილეა საჭირო!

გავრცელება: სამშობლო ჩრდ. ამერიკის აღმოსავლეთ რაიონები და ბერმუდის კუნძულებია. ამერიკის აღმოსავლეთის შემდეგ, ევროპაში მრავალი ახალი სასარგებლო მცენარე იქნა შემოტანილი, მათ შორის ჭიაფერაც, სადაც სწრაფად მოხდა მისი ადაპტირება. **საქართველოშიც** ფართოდ მოიკიდა ფეხი, კერძოდ მის დასავლეთ რეგიონებში, სადაც აბეზარ სარეველად გვევლინება.

ჰაბიტატები: იზრდება დანაგვიანებულ ადგილებში, ბალ-ბოსტნებში, გზის პირებზე.

კულტივირება : მოჰყავთ ევროპისა და აზიის მეღვინეობის რაიონებში, ღვინის ფერის მისაცემად.

მრავლდება თესლით და კალმებით (ფოთლისეული ყლორტებით).

Plantago major L. – დიდი მრავალძარღვა
Fam. Plantaginaceae - ოჯ. მრავალძარღვასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ფესვთანური ფოთლისეული როზეტით, 45 სმ-მდე სიმაღლის ერთი ან რამდენიმე საყვავილე ისრით; ფოთოლი სქელი, კიდემთლიანი ან ოდნავ დაკბილული, 5-9 სიგრძივი ძარღვებით, ფართოკვერცხისებრი; ყვავილედები - გრძელი, ცილინდრული თავთავია; ნაყოფი მრავალთესლიანი, კვერცხისებრი ფორმის კოლოფია. თესლი წვრილია. 1000 თესლის წონა 0,14-0,25 გ.

ფენოლოგია: ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ უმთავრესად ნედლი ფოთლები გამოიყენება. შეიცავს მთრიმლავე ნივთიერებებს, ფიტონციდებს, ორგანულ მჟავებს, პოლისაქარიდებს, ფლავონოიდებს, კაროტინოიდებს, ცილოვან ნივთიერებებს, ალკალოიდებს, ნახშირწყლებს, ოლეინისა და ლიმონის მჟავებს, ფერმენტებს, K და C ვიტამინებსა და სხვ.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, ამოსახველებელი, სედატიური, ჰიპოტენზიური, ანტიესპტიკური და ბაქტერიციდული თვისებებით, აწესრიგებს ქოლესტერინის ცვლას. გამოირჩევა უამრავი სასარგებლო თვისებებით: ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემახორცებელი, აჩქარებს ჭრილობიდან მკვდარი ლეიკოციტებისა და ბაქტერიების გამოღევენას და ქსოვილების სწრაფ შეხორცებას უწყობს ხელს. იხმარება დაქვეითებული მუყაფიანობით მიმდინარე ქრონიკული გასტრიტის, ქრონიკული კოლიტის სამკურნალოდ, როგორც მადის მომგვრელი და ამოსახველებელი საშუალება. მრავალძარღვას წვენი შეუცვლელია წყლულოვანი ანთებების, თორმეტგოჯა ნაწლავისა და კუჭის წყლულის სამკურნალოდ. წარმატებით გამოიყენება მშრალი ხველის, ყელის ტკივილისა და გართულებული ყლაპვის დროს, ეფექტურად სპობს ანთებას, დაავადების გამომწვევ ბაქტერიებსა და ვირუსებს. არის ძილისმომგვრელი საშუალება, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, მომატებულ ალგზნებადობას, კურნავს ნერვოზების მსუბუქ ფორმებსა და სხვა სახის ნერვულ აშლილობებს. აწესრიგებს მომატებულ არტერიულ წნევას, ხსნის შესიებებს, მკურნალობს გულისა და სისხლძარღვების დაავადებებს.

მცენარის ფესვები კბილის ტკივილის დროს გამოიყენება - დასრესილი ფაფისებრი მასა მტკივან კბილზე იდება.

ხალხურ მედიცინაში მრავალძარღვა ეფექტურია ისეთი სერიოზული დაავადებების დროს, როგორებიცაა ავთვისებიანი სიმსივნეები, განსაკუთრებით საუკეთესო საშუალებაა ფილტვების კიბოს სამკურნალოდ, ეწინააღმდეგება როგორც მის წარმოქმნას, ასევე მეტასტაზების განვითარებას, აჩერებს ფილტვებიდან სისხლდენას, ამაღლებს ჰემოგლობინის დონეს, სპობს სასუნთქი გზების პათოგენურ ფლორას, ეფექტურია თვით ლურჯი სიდამპლის ჩხირებისადმი. შველის ფილტვების ტუბერკულოზს და უწყობს დასაჯობასაც კი.

მცენარისგან დამზადებული წვენი და ნახარშები ორგანიზმზე, ზოგადად, გამაჯანსაღებლად მოქმედებს, ამყარებს იმუნიტეტს, ებრძვის ფილტვებსა და შინაგან ორგანოებში მიმდინარე დაშლით პროცესებს. უნაყოფობისას შველის როგორც ქალებს, ასევე კაცებს. განსაკუთრებით სასარგებლოა პრობლემური მენსტრუაციის, ოვეულაციისა და კლიმაქსის დროს.

გავრცელება: ბორეალური, ევრაზიული სახეობაა, კოსმოპოლიტური, ფართო ეკოლოგიის მცენარე.

საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, გზის პირებზე, ბილიკებზე, ტყის მდელოებზე, ტენიან და რუდერალურ ადგილებზე, საცხოვრებელი სახლების მახლობლად.

კულტივირება: შეყვანილია კულტურაში, თუმცა ბუნებაშიც ხდება მათი შეგროვება. ახალი პირობებისადმი ნაკლებ მომთხოვნია. უხვად ნაყოფმსხმოიარობს, ერთი მცენარე 60000-მდე თესლს იძლევა. ერთსა და იგივე ადგილას მოჰყავთ 5 წლამდე. არჩევენ მსუბუქ თიხნარ, ქვიშნარ, ტენიან ნიადაგებს; კარგი წინამორბედია საშემოდგომო, სათოხნი და პარკოსანი კულტურები, რომლებიც განოყიერებული იყო. ძირითად, საშემოდგომო ხვნას ატარებენ 25-27 სმ სიღრმით. ადრე გაზაფხულზე ფარცხავენ. თესვის წინა კულტივაციას ატარებენ 5 სმ სიღრმით, შემდგომი დაფარცხვით. ვინაიდან მრავალძარღვას თესვები ძლიერ წვრილია, თესვის წინ ნიადაგს ტკეპნიან. რეკომენდირებულია ძირითადი ხვნის დროს სრული მინერალური სასუქების შეტანა ანგარიშით 50-70 კგ/ჰა.

ამრავლებენ უშუალოდ გრუნტში თესვით. თესენ ადრე გაზაფხულზე, ზაფხულსა და გვიან შემოდგომით მშრალი თესვებით. თესვას აწარმოებენ ბოსტნეული კულტურების სათესებით, სუფთა ნაკვეთებზე - 27-30 სმ რიგთაშორისებში, დასარეგლიანებულ ნაკვეთებზე - 45-60 სმ-ის დაცილებით. თესვის ნორმა 6 კგ/ჰა მშრალი თესვები და 4 კგ/ჰა სტრუტიფიცირებული; თესვის სიღრმე 1 სმ. პლანტაციის მოვლა გამოიხატება რიგთაშორისებში სისტემატური გაფხვიერებით და რიგების გამარგვლაში საჭიროებისამებრ. ზაფხულის განმავლობაში ორჯერადი განოყიერება მოსავალს 25%-ით ზრდის.

ძირითადი სამკურნალო ნედლეული ფოთოლია; მოსავალს იღებენ ორჯერ ზაფხულის განმავლობაში, პირველად - ყვავილობის დასაწყისში, მეორედ - შემოდგომამდე ერთი თვით ადრე, რათა მცენარეებმა ვეგეტაციის დასასრულამდე მოასწრონ ახალი ფოთლისეული როზეტის განვითარება და გაძლიერება. ფოთლებს აგროვებენ სამკალი მანქანებით და სწრაფად აგზავნიან გადასამუშავებლად წვენის მისაღებად. ფოთლებს აშრობენ საშრობებში 40-50⁰ ტემპერატურაზე ან საჩრდილობლებში /Вехов, 1978/

Polygonum aviculare L. - ჩვეულებრივი მათიტელა
Fam. Polygonaceae - ოჯ. მათიტელასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ერთნელოვანი ბალახოვანი მცენარეა გართხმული ან წამოწეული 10-40 სმ სიმაღლის ღეროებით. ღეროებზე და ტოტებზე განლაგებული ფოთლები ერთნაირია, მოყვანილობით კვერცხისებრიდან დანყებული ხაზურამდე, თავბლაგვი ან ოდნავ წაწვეტებული. ყვავილები პატარა ზომისაა, ფოთლების ილღიებში განლაგებული ან კენწრულ მტევნებად შეკრებილი, ყვავილსაფარი მწვანეა, თეთრი ან მოვარდისფრო ნაპირებით. ნაყოფი თითქმის სამწახნაგოვანი კოლოფია, მუქი ყავისფერი ან მოშავო, სიგრძეზე დაღარული.

ფენოლოგია: ყვ. V-X; ნაყ. VII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ ბალახი გამოიყენება, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს ეთერზეეთებს, დიჰიდროასკორბინის და ასკორბინის მუჟავებს, კაროტინს, ვიტამინ K, მთრიმლავ და მწარე ნივ-

თიერებებს, ფლავონოიდებს, ნახშირწყლებს, ფისებს, სალიციუმის მუჟას.

ხასიათდება ანტიიშემიწვნი, ანტიმიკრობული, იმუნიტეტის ამწვევი, ანთების საწინააღმდეგო, სისხლდენისშემაჩერებელი, სისხლის გამწმენდი, ჭრილობების შემახორცებელი, ოფლმდენი, მატონიზირებელი, ტკივილგამაყუჩებელი, სიცხისა და ზომიერად წწვეისდამწვევი, შარდსადინარ გზებში მინერალური მარილების კრისტალიზაციის შემამცირებელი, შარდმდენი, ორგანიზმიდან ნატრიუმისა და ქლორის გამომტანი, ჭისმდენი მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ნაყენი და ნახარში გამოიყენება ნალველკენჭოვანი დაავადების, თირკმელებში და შარდის ბუშტში ქვიშისა და კენჭების, ფილტვების ტუბერკულოზის, რევმატიზმის, მალარიის, დიზენტერიის, სიყვითლის, თირკმლისმიერი შეშუპების, ნიკრისის ქარის, პოლიარტრიტის, სიმსუქნის, ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმის, პლევრიტის, ციებ-ცხელების, ხველების, ყივანახველის, მძიმე დაავადებებით გამოწვეული ძალების დაკარგვის, გასტრიტის, კოლიტის, კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი პროცესების, შარდკენჭოვანი დაავადებების, საშვილოსნოს და ჰემოროიდალური სისხლდენის, უხვი მენსტრუაციის, მინერალური ცვლის მოშლით მიმდინარე შარდგამომტანი გზების ქრონიკული დაავადებების, პირისღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, ხრინწიანობის დროს. იხმარება ასევე, კანის სხვადასხვა დაავადებების (ფერიმჭამელები, ჩირქოვანი ჭრილობები, ფურუნკულები, დერმატიტი) სამკურნალოდ.

უკუმაჩვენებელია თირკმელებსა და შარდის ბუშტში მიმდინარე მწვავე ანთებითი პროცესებისა და ფეხმძიმობის დროს.

გავრცელება: მცენარე კოსმოპოლიტი. გავრცელებულია ყველა მატერიკზე, გამონაკლისია არქტიკა და ანტარქტიდა.

საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება განათებულ ადგილსამყოფელებში, ყველანაირ სუბსტრატზე, გზისა და მდინარის ნაპირებზე, დატკეპნილ მინდვრებში, ეზოებსა და ნათესებში, მშრალ საძოვრებზე, რუდერალურ ადგილებზე მთის შუა სარტყლამდე.

Pyrethrum coccineum (Willd.) Worosch. - წითელი გვირილა
Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, მრავალრიცხოვანი ყლორტებით, რომლებიც ფუძიდან წარმოიქმნებიან. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, ფართო ლანცეტა ფორმის, ორმაგფრთისებრგანკვეთილი, პატარა ზომის ხაზური, ჩვეულებრივ 2-3 ნაკვეთლებად დაყოფილი. ყვავილები კალათაა, მარტოული, 4-5 სმ დიამეტრის. ენისებრი ყვავილები მდებრობითია, დისკოს აღემატება, ვარდისფერიდან მუქ წითლამდე, იშვიათად თეთრი. დისკოს ყვავილები ორსქესიანია, მილისებრი, ყვითელი. ნაყოფი თესლურაა, გამოვსებულია ერთადერთი თესლით.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია ყვავილები - კალათები, რომლებსაც აგროვებენ სრული ყვავილობის პერიოდში. გვარი პირეტრუმის სახეობები ინსექტიციდურ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნებიან. წითელი გვირილას ინსექტიციდურ საწყისს წარმოადგენს პირეტრინები და ცინერინები. შემდგომში პირეტრუმის ეთერთა ნარევიდან გამოჰყვეს სპირტი - პირეტროლინი და ორი მჟავა: ქრიზანთემმონოკარბონმჟავა და ქრიზანთემდიკარბონმჟავა. აღნიშნულის გარდა ნაპოვნია: ეთერზეთები, სტახიდრინი, ფიტოსტერინი, ფლავონოიდები, პალმიტინისა და აზულენის მჟავები.

პირეტრინი - კონტაქტური ნერვული შხამია, მოქმედებს უკვე 1:100000 და 1:50000 განზავებით ყველა ცივისსხლიანი ცხოველების ჯგუფებზე, როგორცაა: რბილტანიანები, მატლები, მწერები, ობობასნაირები, თევზები, ამფიბიები, რეპტილიები და ა.შ. მონამღვის ყველა შემთხვევაში აღინიშნება სწრაფი სიკვდილი, რაც ნერვული სისტემის

დაზიანებითაა გამოწვეული. პირეტრუმის პრეპარატები შესანიშნავი ჭი-ისმდენი საშუალებაა, რომელიც სპობს ყველა სახის ჭიას, დანყებული ზოლისებრი და მრგვალი ჭიებით, დამთავრებული ღვიძლის ლამბლი-ებით. ამავე დროს ეს პრეპარატები მთლიანად უვნებელია ადამიანე-ბისათვის და არ იძლევიან მავნე გადახრებს. პირეტრინის ხსნარი კარგი საშუალებაა მუნის საწინააღმდეგოდ /Атлас лекарств.раст. СССР, 1962/.

იდენტური დანიშნულებით გამოიყენება საქართველოში გავრცელებუ-ლი გვარი Pyrethrum ორი სახეობა: P. roseum, P. carneum.

გავრცელება: წითელი გვირილა კავკასიის სუბენდემური სახეობაა, კავ-კასიის გარდა გვხვდება ირანსა და თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში.

საქართველოს მაღალმთიანეთში ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის ზედა და სუალპურ სარტყელში, ადის 2200-3000 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან; უპირატესობას ანიჭებს ნოტიო ჩრდილოეთ ფერდობებს, მაგრამ ხარობს სამხრეთზეც. გვხვდება მე-ჩხერ ტყეებში, ველისა და ტყის მცენარეულობის საზღვარზე, უმთავ-რესად სუბალპურ მდელოებზე.

კულტივირება: კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, უმთავრესად დეკორატიული მიზნებისათვის. სინათლის მოყვარული მცენარეა. კარ-გად ხარობს საშუალო თიხნარ და შავმიწა ნიადაგებზე. გვიან შე-მოდგომით მიმართავენ მზრალად ხვნას 35-40 სმ სიღრმეზე, მოხვნის შემდეგ ადრე გაზაფხუზე ფარცხავენ; რგავენ რიგთაშორისებში, 30-40 სმ-ის დაცილებით. ნიადაგის პირველადი დამუშავებისას შეაქვთ ორ-განული სსუქი 30-35 ტ/ჰა და მინერალური სასუქებიდან სუპერფოსფატი და K²O. დამატებითი სასუქები შეაქვთ გაზაფხულზე, უმთავრესად აზო-ტოვანი.

მრავლდება როგორც თესლით, ასევე ვეგეტატიურადაც, ბუჩქების და-ყოფით, ფესვების ამონაყრებითა და კალმებით. თესლები აღმოცენების უნარს ინარჩუნებენ 3-4 წელს, მაგრამ უკვე მესამე წელს აღმოცენების უნარი შემცირებულია 65-70%-ით. თესვას ატარებენ როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში. თბილ სათბურებში ითესება თებერვლის შუა რიცხვებში. აღმონაცენს ჯგუთავენ ყუთებში. მუდმივ ადგილას გა-დარგვა, წინასწარ განოყიერებულ ნიადაგებში, შესაძლებელია დათეს-ვიდან 1,5-2 თვის შემდეგ. იმ შემთხვევაში, როდესაც მცენარეები ერთსა

და იმავე ადგილას 4-5 წლის განმავლობაში იზრდებიან მათი შემდგომი განვითარება იზღუდება, რის გამოც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მცენარეთა განახლება, რაც ბუჩქების დაყოფით ხდება; ტარდება როგორც ადრე გაზაფხულზე, მცენარეთა ვეგეტაციის დასაწყისში, ასევე ვეგეტაციის ბოლოს, შემოდგომის დასაწყისში. საშუალოდ ერთი მცენარიდან მიიღება 8-15 ახალი მცენარე. ადრე გაზაფხულზე დაყოფილი მცენარეები, თუ ძალიან არ არიან დაქუცმაცებული, იმავე წელს ყვავილობენ, მეორე წელს კი საკმაოდ უხვად.

მცენარეთა შემდგომი მოვლა ნორმალურ მორწყვაში, ნიადაგის გაფხვიერებასა და სარეველების გამარგვლაში მდგომარეობს.

წითელ გვირილაზე შეიმჩნევა ნაცროვანი დაავადებები, საყვავილე ღეროებზე ზოგჯერ აღინიშნება წვრილი ხოჭოები /ბიძინაშვილი, 1988; Бидзинашвили, 1986/.

Quercus robur L. - ჩვეულებრივი მუხა

Fam. Fagaceae - ოჯ. წიფლისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: გვარი მუხის (*Quercus*) ტიპური სახეობაა. მსხვილი, ჩვეულებრივ ძლიერ დატოტვილი, მძლავრ ტანიანი 20-40 მ-მდე სიმაღლის ხეა, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა 2000 წელს აღწევს, საშუალოდ კი 300-400 წელს შეადგენს. ხის ქერქი მუქი-ნაცრისფერია. მოშავო, სქელი. ახალგაზრდა მუხის ქერქი ნაცრისფერია, გლუვი. სიცოცხლის მე-20-30 წლის შემდგომ წარმოიქმნება მეტ-ნაკლებად ღრმა ნახეთქები. კვირტები ჩვეულებრივ კვერცხისებრია, თითქმის სფერული, ბაცი-მურა, თავში მომრგვალებული. ფოთოლოთგანლა-

გება მორიგეობითა, ტოტების თავში კონებად შეკრებილი; ფოთლები მოგრძოა, მოგრძო-უკუკვერცხისებრი, ფუქსთან გულისებრი, წვერზე ბლაგვი ან ამოკვეთილი, ფრთისებრ-დანაკვეთული, მსხვილი, თითქმის ტყავისებრი, ზედა მხარეს - მუქი მწვანეა, პრიალა, ქვედა მხარეს - მოყვითალო ან მწვანე, ძლიერ გამოკვეთილი ბაცი ძარღვებით. ყვავილები ცალსქესიანია. ყვავილობა ეწყებათ 40-60 წლიდან, ფოთლების გამლასთან ერთდროულად. მამრობითი ყვავილები შეკრებილია გრძელ, ჩაქინდრულ მჭადა ყვავილელებად, მდედრობითი ყვავილები განლაგებულია ახალგაზრდა ყლორტებზე 2-3 ცალად. ნაყოფი - კაკალია, შიშველი, მურა-ყავისფერი.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ქერქი წარმოადგენს, ამზადებენ ახალგაზრდა ყლორტებიდან წვენების მოძრაობის პერიოდში (აპრილიდან ივნისამდე). შეიცავს პიროგალის ჯგუფის მთრიმლავ ნივთიერებებს, გალისა და ელაგის მჟავებს, პექტინებს, ფლავონოიდებს, შაქრებს, ლორწოს, ფლობაფენს, პენტოზებს, ცხიმებს; ფოთლებში აღინიშნება - მთრიმლავი ნივთიერებები, კვერცხტინი და კვერცხტრინი, პენტოზანები.

ქერქი ხასიათდება შემკვრელი, შემომგარსავი, ანთებისა და ჭიის საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და სისხლშემაჩერებელი მოქმედებით, ნახარში გამოიყენება პირის ღრუსა და ყელის გამოსავლებად გინგივითის, სტომატიტის, ანგიის, პირიდან ცუდი სუნის, ღრძილებიდან სისხლდენის, ფალარათის, დიზენტერიის, ალკალოიდებით და მძიმე მეტალებით მოწამლვის შემთხვევაში, კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენის, უხვი მენსტრუაციის, სასუნთქი და შარდგამომტანი გზების ანთებითი პროცესების დროს. ქერქში შემავალი ტანინი ამცირებს ანთებას, ტკივილებს, აჩერებს მიკროორგანიზმების ზრდას და იწვევს მათ განადგურებას. აბაზანების, კომპრესების სახით გამოიყენება კანის სხვადასხვა დაავადებებისას, დამწვრობის, ჩირქგროვების, ფურუნკულების და ჰემოროიდალური კვანძებიდან სისხლდენებისას.

ქერქის ნაყენით პირის ღრუს ხანგრძლივი გამოყენება იწვევს მგრძობიანობის დაქვეითებას.

გავრცელება: ძირითადი ტყის წარმომქმნელი სახეობაა ევროპის ფართოფოთლოვანი ტყეების, აგრეთვე ტყესტეპის თანასაზოგადოებაში,

სადაც მასთან ერთად იზრდება: რცხილა, იფანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, წიფელი, არყის ხე, ნაძვი, სოჭი, ფიჭვი და სხვ. ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ ევროპაში, რუსეთის ევროპულ ნაწილში, ჩრდილოეთ აფრიკაში და დასავლეთ აზიაში.

ჰაბიტატები: იზრდება მდინარეების ნაპირებზე, ფართოფოთლოვანი ტყეებისა და ტყესტეპის ზონაში, სადაც წარმოქმნის მუხნარებს.

კულტივირება: ინტროდუცირებულია ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

wikipedia.org/wiki/Дуб_черешчатый.

Rauwolfia serpentina Benth. - რაუვოლფია

Fam. Apocynaceae - ოჯ. ქენდირისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე, მცირე ზომის 20-დან 50 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები რგოლურადაა განწყობილი, მკვრივია, შიშველი, ელიფსური ან მოგრძო-ოვალური, ოდნავ წამახვილებული და მოკლე ყუნწად შევიწროებული. ყვავილი თეთრია, იშვიათად ვარდისფერი, მილისებრი, 5-ნაკვთიანი, შეკრებილია ხშირ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი წითელი, სფერული კენკრაა, შუამდე შეზრდილი ორი წვნიანი კურკით.

ფენოლოგია: ყვ. V; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს, რომელიც დიდი რაოდენობის ალკალოიდებს შეიცავს, მათ შორის ისეთ მნიშველოვანს, როგორიცაა რეზერპინი, რაუნატინი, რაუვოლფინი და სხვ. უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სხვადასხვა მწერებისა და

გველები ნაკბენების დროს, ქოლერის, ფალარათის, მუცლის ჭიების საწინააღმდეგოდ, დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და აქვეითებს სისხლის წნევას. ხასიათდება საოცარი სედატური მოქმედებით მანიაკალური ქცევის, მოუსვენრობის, ეპილეპსიის, ფსიქიური დაავადებების, ქრონიკული უძილობის დროს. მას უნიშნავენ ციებ-ცხელების (მალარია), სხვადასხვაგვარი დერმატოზების დროს. ასევე წარმოადგენს ეფექტურ ჭიისმდენ საშუალებას.

თანამედროვე მედიცინაში რაუვოლფის კომპონენტების საფუძველზე მიღებულია უამრავი პრეპარატი, რომლებიც მთელი რიგი დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოიყენება, მათ შორის აღსანიშნავია „რებერპინი“, „რაუნატინი“, „აიმალინი“ და სხვ.

სამკურნალო მოქმედება პრეპარატებისა დაფუძნებულია ცალკეულ გამოყოფილ ალკალოიდებზე. როგორც წესი, რებერპინი გამოიყენება როგორც ჰიპოტენზიური და ანტიარითმიული საშუალება, ვინაიდან ხელს უწყობს არა მარტო ძილის აღდგენას, არამედ აქვეითებს ტვინში დოფამინის, სეროტონინისა და ნორადრენალინის შემცველობას. ჰიპერტონიის დროს ასეთი პრეპარატები საერთოდ შეუცვლელია. ნერვულ სისტემაზე მისი დადებითი მოქმედებიდან გამომდინარე, რაუნატინის რეგულარული მიღებით იხსნება თავის ტკივილების სიმძიმე, გაღიზიანება და თავბრუსხვევები.

თანამედროვე ჰომეოპათების მიერ დამტკიცებულია რაუვოლფის ეფექტურობა არა მხოლოდ ჰიპერტონიის, არამედ დეპრესიებისა და სხვადასხვა სახის ნევროზების დროსაც.

მცენარე შხამიანია! დოზის გადაჭარბებამ ან არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დარღვევები სისხლის მიმოქცევის სისტემაში, აღინიშნება მძიმე დეპრესიაც, იშვიათად მოძრაობის შენელება. მკურნალობის დანყების წინ აუცილებელია ექიმთან კონსულტაციის მიღება.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ინდონეზიაში, ბირმაში, ინდოეთში, პერუში, ბენგალიაში, ჰიმალაიზე, კუნძულ იავასა და შრი-ლანკაზე.

ჰაბიტატები: იზრდება ტროპიკული ტყეების პირებზე.

კულტივირება: კულტივირებულია ინდოეთში, შრი-ლანკაზე, კუნძულ იავაზე. wikipedia.org/wiki/Раувольфия_змеина

Rheum palmatum L.- ნამდვილი რევანდი
Fam. Polygonaceae - ოჯ. წინიბურასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სწორმდგომი, სუსტად დატოტვილი 1-3 მ-მდე სიმაღლის ღრუ, მონითალო ლაქებითა და ზოლებით დაფარული ღეროთი. ფესურა მოკლეა, სქელი, მრავალთავიანი, რამდენიმე მსხვილი ხორცოვანი გვერდითი ფესვით. ფოთლები მსხვილია, გრძელი ხორცოვანი ყუნწებით, ფორმით ფართოკვერცხისებრი ან სამკუთხა, ხშირად ტალღოვანი კიდეებით. ყვავილები წვრილია, მომწვანო, ორსქესანი, შეკრებილია ფოთლების უბეებში მტევნისებრ ან საგველა ყვავილედებად. თესლებ - სამკუთხა ფრთისებრი კაკალია. 1000 თესლის წონა -9-4 გ.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს. შეიცავს ორი ჯგუფის გლიკოზიდებს: ტანინოგლიკოზიდებსა და ანტრაგლიკოზიდებს, ფისებს, პექტინოვან ნივთიერებებს, სახამებელს. ფოთლები - ასკორბინის მჟავას, ერგოსტერინს, რკინის მარილებს, მჟაუნისა და ვაშლის მჟავეებს, ვიტამინ P-ს.

რევანდის სამკურნალო მნიშვნელობა ჩინეთში ახ.წ.აღ.-მდე 2700 წლით ადრე იყო ცნობილი. მოგვიანებით ვრცელდება ძველ საბერძნეთში, შემდგომ - სპარსეთში. შუა საუკუნეებში არაბი ექიმების მეშვეობით შეღწეულ იქნა ევროპაშიც. პირველი ევროპელი, რომელმაც ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში აღწერა რევანდის შეგროვება, იყო ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (XIII ს.).

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც საერთოგამაძლიერებელი საშუალება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დარღვევების, ნაღვლის

ბუმეტისა და ნაღველმდენი გზების დაავადებების, სისხლნაკლებობისა და ტუბერკულოზის დროს.

ტიბეტურ მედიცინაში იხმარებოდა მონამვლისა და ანთებითი დაავადებების (ართრიტები, რევმატიზმი, პნევმონია, ბრონქიტი, ფურუნკულოზი, ფსორიაზი, ქოლეცისტიტი) სამკურნალოდ.

მცირე დოზებში (0,06-0,2გ) რევანდს უნიშნავენ როგორც შემკვრელ საშუალებას ნაწლავების პერისტალტიკის შესამცირებლად, მადის გასაუმჯობესებლად, კუჭის მოქმედების რეგულირებისათვის, კუჭისა და ნაწლავების კატარის, დისპეფსიის დროს. დიდ დოზებში (0,5-2,0გ) ნაწლავების პერისტალტიკის გასაძლიერებლად, ყაბზობის, ათონიის, სწორი ნაწლავის ნახეთქების სამკურნალოდ. ფესვებიდან მიღებულია ფსორიაზის სამკურნალო პრეპარატი ხრიზარობინი.

დიდ დოზებში რევანდის პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიოს პირღებინება, ფალარათი, მუცლის ტკივილები, ტენეზმი, რის გამოც დოზის შერჩევა ინდივიდუალურია.

გავრცელება: სამშობლო ცენტრალური ჩინეთის მთიანი ტყეებია.

საქართველოში მოჰყავთ მცირე მასშტაბით ბალ-ბოსტნებში.

კულტივირება: მცენარის კულტივირების უძველეს ცენტრს ჩინეთს მიიჩნევენ, უფრო მოგვიანებით - შუა აზიას. ამჟამად მისი კულტურა ფართოდაა წარმოდგენილი ევრ-აზიის ქვეყნებში.

<http://народсад.рф/мои-статьи/ревень-описание-полезные-свойства-вы>

Rhodiola rosea L. - ვარდისფერი როდიოლა, „ოქროს ფესვი“, „ციმბირული უენშენი“

Fam. Crassulaceae - ოჯ. სქელფოთლიანნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი სუკულენტური ორსახლიანი ბალახოვანი მცენარეა,

ძლიერი ჰორიზონტალური ფესურით და წვრილი დამატებითი ფესვებით. ინვითარებს რამდენიმე სწორმდგომ, დაუტოტავ, 10-40 სმ სიმაღლის ღეროებს. ფოთლები მჯდომარეა, მორიგეობითი, მოგრძო-კვერცხისებრი, ელიფსური ან წანვეტებული, კიდემთლიანი ან ხერხისებრ დაკბილული ზედა ნაწილში. ყვავილედ იფარისებრია მრავალყვავილიანი, ყვავილები ყვითელია, ერთ სქესიანი, ოთხ, იშვიათად ხუთწევრიანი. ნაყოფი სწორმდგომი მომწვანო მრავალფოთლოურაა.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, როგორც მცენარე - ადაპტოგენი, რომელიც თავის თვისებებით არ ჩამოუვარდება უენშენს. მასში აღმოჩენილია 140-მდე კომპონენტი: ფენოლები და მათი წარმოებულები, არომატული შენაერთები, ნახშირწყლები: გლუკოზა, ფრუქტოზა, სახაროზა; ორგანული მჟავები: მჟაუნის, ვაშლის, ქარვის, ლიმონის; ტერპენოიდები, ეთერზეთები (რომლის შემადგენლობაშია 86-მდე კომპონენტი), სტეროიდები, ფენოლკარბონული მჟავები და მათი წარმოებულები, მთრიმლავი ნივთიერებები, ფლავონოიდები, ანტრაქინონები, ალკალოიდები; ასევე მიკროელემენტები: მანგანუმი, ვერცხლი, თუთია, სპილენძი და სხვ.

როდიოლას სპირტიანი ნაყენი რუსეთის ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებელ საშუა-

ლებად, ასთენიისა და ნევრასტენიულ მდგომარეობაში, ძლიერი დაღლილობის, დაბალი შრომისუნარიანობისას, ფსიქიატრიაში, ნერვული სისტემის ფუნქციონალური დაავადებების, სომატური და ინფექციური დაავადებების შემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდში.

როდიოლას პრეპარატები ხასიათდებიან ადაპტოგენური ეფექტით, ასევე ნეიროპროტექტორული, კარდიოპროტექტორული, ანტიდეპრესული, ნეიროლექტიკური, ნეოტროპული მოქმედებით, ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას და ასტიმულირებს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას. კლინიკური გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ მისი პრეპარატების განმეორებითი შეყვანა ეფექტურია დაღლილობის დროს, ზრდის გონებრივ უნარს, ამცირებს მოუსვენრობას (შიშს).

როდიოლას პრეპარატები იწვევს აგრეთვე ანტიტოქსიკურ (შხამიანი ნაერთების მიმართ), ანტიჰიპნოზურ და ანტინარკოტიკულ მოქმედებას, აბრკოლებს ექსპერიმენტალური ლეიკოციტოზის, ჰიპერ და ჰიპოგლიკემიის განვითარებას.

ექსპერიმენტში როდიოლას ექსტრაქტმა გამოავლინა სიმსივნისა და მეტასტაზების განვითარების საწინააღმდეგო მოქმედება, აძლიერებს სხვა ციტოსტატიკურ მოქმედებას, ამცირებს ჰიპერ და ჰიპოგლიკემიის დონეს, ააქტიურებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას; ასევე ექსტრაქტისა და ნაყენის გამოყენება ამაღლებს ორგანიზმის უნარს ინფექციური დაავადებებისადმი, რენდგენული და იონიზირებული გამოსხივების, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით (ბენზინი, აცეტონი, ეთილის სპირტი, ქლოროფოსი, მედიკამენტები და სხვ.) მოწამლვის მიმართ.

სამედიცინო პრაქტიკაში ფესურების გარდა იყენებენ მცენარის მიწისზედა ნაწილებს, მათგან ამზადებენ ნახარშებს და საფენებს, რომლებსაც იყენებენ ტრაქომის სამკურნალოდ. გარდა აღნიშნულისა, ფესურა გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კუჭ-ნაწლავის, კანის დაავადებების, ფილტვების ტუბერკულოზის, ძვლების მოტეხილობის დროს, სიცხის ფაშნევ და საერთო გამაძლიერებელ საშუალებად. გარეგანად საფენების სახით გამოიყენება ჭრილობების, კონიუტივიტის, კანის გამონაყარების, ჩირქგრობების, ჩირქოვანი მუწუკების სამკურნალოდ.

წარმატებით გამოიყენება კოსმეტიკურ = პარფიუმერული მიზნით.


გავრცელება: იზრდება ცივი და ზომიერი კლიმატის რეგიონებში, მათ შორის ჩრდ. ამერიკაში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, ალპებში, პირენეის ნახევარკუნძულზე, კარპატებსა და ჰამირში. რუსეთში - ალტაი, ურალი, იაკუტია, აღმ. ციმბირის მთიანი რაიონები, დასავლეთ ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, თეთრი და ბარენცის ზღვის ნაპირები.

კულტივირება: მცენარეთა ინტროდუქციის მიზნით ალტაის მიდამოებში გასული საუკუნის 79-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა მის პლანტაციებს, ბუნებრივ და კულტურის პირობებში ზრდის თავისებურებების შესწავლის მიზნით. გაირკვა, რომ კულტურაში ხდება ასიმილირებული ორგანოების მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო ფესურების წონა ბუნებრივთან შედარებით 20-ჯერ აღემატება; ხოლო ზამთრის წინა თესვა მეტად ეფექტური აღმოჩნდა ამ ძვირფასი მცენარის კულტივირებისათვის.

https://ru.wikipedia.org/wiki/Родиола_розовая

Rosa canina L. - ასკილი

Fam. Rosaceae - ოჯ. ვარდისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია; ტოტები, განსაკუთრებით უნაყოფო, უხვადაა ეკლებით მოფენილი. ფოთლები რთულია, კენტფრთისებრი, მორიგეობით განლაგებული. ყვავილები ერთეულია ან ფარისებრ ყვავილედებად შეკრებილი, მეტწილად თეთრია, იშვიათად ვარდისფერი. ინვითარებს ბურთისებრ, კვერცხისებრ ან ელიფსურ 1,5 სმ დიამეტრის, ხორციან, ნარინჯისფერ ან ღია ყვითელ, სქელ კედლებიან ცრუ ნაყოფს.

ფენოლოგია: ყვ. V-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს უმთავრესად ნაყოფები წარმოადგენს, აგროვებენ სრულ სიმწიფემდე. შეიცავს ვიტამინებს (C, B₁, B₂, K, P, E, კაროტინს), ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის), ფლავონოიდებს, მინერალურ მარილებს - Fe, Ka, P, Mn, Mg, Ca, შაქრებს (ძირითადად გლუკოზას, ფრუქტოზას), პექტინოვან და მთრიმლავე ნივთიერებებს, ეთერზეთებს; თესლეები - ცხიმოვან ზეთებს, რომლებიც მდიდარია კაროტინითა და E ვიტამინით.

ხასიათდება იმუნიტეტის გამაძლიერებელი, ანტისკლეროზული, ნალველმდენი, ანთების საწინააღმდეგო, სისხლდენის შემაჩერებელი, ანტიმიკრობული, ჰორმონთა სინთეზის, ფერმენტთა აქტივობის, ქსოვილთა განახლების, მთრიმლავე, შარდმდენი მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება როგორც ვიტამინი C-ს და სხვა პოლივიტამინების წყარო, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, ნევროზის, ანემიის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულების, ძნელად შეხორცებადი ჭრილობების, სურავანდის, ჰემორაგიული დიათეზის, ჰემოფილიის, შარდის ბუშტისა და სანალველე გზების ანთებითი და შარდკენჭოვანი დაავადებების, ნეფრიტის, პნევმონიების, ცხვირიდან, ფილტვიდან, საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

ფესვების ნახარში ხასიათდება შემკვრელი, ნალველმდენი და ანტი-სეპტიკური მოქმედებით, მას ღებულობენ მალარიისა და თირკმელკენჭოვანი დაავადებების დროს, როგორც ქვების დამშლელ საშუალებას.

ასკილის ნაყოფისაგან მიღებულია პრეპარატები: P და C ვიტამინების შემცველი ტაბლეტი (ასკორუტინი); ვიტამინიზირებული სიროფი; ხოლოსანი - ასკილის ნაყოფის შედედებული წყლიანი ექსტრაქტისა და შაქრის სიროფი; ასკილის ზეთი, იყენებენ გარეგანად.

ხანგრძლივი მიღება უკუმაჩვენებელია თრომბოფილებიტის, ენდოკარდიტების დროს; ინვესს თირკმელების გადატვირთვას.

გავრცელება: გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპიკულ ზონაში, იშვიათად ტროპიკული სარტყლის მთიან რაიონებში. არეალი მოიცავს მთელ ევროპას არქტიკამდე, აზიას (უდაბნოების გარდა), კარპატებსა და კავკასიას.

საქართველოში გვხვდება ტყიან რაიონებში.

ჰაბიტატები: იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარების რაყებში, გაჩეხილი ტყეების ქვეტყეში, ტყის პირებზე, მდელოებზე, გზების გაყოლებაზე.

Rosmarinus officinalis L. – სამკურნალო როზმარინი

Fam. Lamiaceae (Labiatae) – ლჯ. ჯინჯრის-დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე ბუჩქია 0,5-2 მ სიმაღლის; ახალგაზრდა ყლორტები უხვადშებუსულია; ფოთლები ხაზურია, ბლაგვი, ტყავისებრი, ქვედა მხრიდან მოთეთროქეჩისებრი, 1,5-3,5 სმ სიგრძისა და 1,5-3 მმ სიგანის, რომელთა უბეებში 4-6 ფოთლიანი მოკლე ყლორტებია განლაგებული. ყვავილები მოკლე უბისეული ყლორტების ბოლოებში 5-10 ყვავილიან ცრუ მტევნებადაა შკრებილი. გვირგვინი მოლურჯო-იისფერია, ზედა ტუჩი ორადაა გაყოფილი, ქვედა უფრო გრძელია, სამად გაყოფილი მსხვილი შუა ნაკვითთ. მტვრიანა - 2, გვირგვინიდან ამოყოფილი; ნაცოფი - მურა კაკალია.

ფენოლოგია: ყვ. IV-VI; განმეორებით VIII-X. ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი კულტურაა; ეთერზეთებს შეიცავს ფოთლები, მოკლე უბისეული ყლორტები და ყვავილები; ეთერზეთებში აღინიშნება: 50% პინენი, კამფენი, ცინეოლი, ბორნეოლი და ქაფური; ფოთლები სასიამოვნო სუნით ხასიათდება და იხმარება საკონდიტრო და ლიქიორების წარმოებაში. მას იყენებენ ოდეკალონების, ლიქიორების, წამლების დასამზადებლად და როგორც ინსექტიციდს.

კლინიკურ ექსპერიმენტებში დამტკიცებულია, რომ მცენარის წყლიანი ნაყენი აძლიერებს გულის კუმშვადობას, მოკლე ხნით ამალღებს სისხლის წნევას, ხასიათდება ნალველმდენი და მატონიზირებელი მოქმედებით, ხსნის სტრესს და ნერვულ დაძაბულობას. ასევე ნაჩვენებია მისი დადებითი მოქმედება (ლავანდასთან ნაკრებში) ავადმყოფებისათვის ინსულტის შემდგომ პერიოდში, მისი თვისებებიდან - ტვინის სისხლისმოდრაობის, მასსოვრობასა და მხედველობიდან გამომდინარე. რომმარინი შველის გაციებებს; მის მფრინავ ნივთიერებებს შესწევთ უნარი ჰაერის განმენდის, მასში არსებული 80% მიკრობებისაგან. კარგად უმკლავდება ისეთ მავნე მიკროორგანიზმებს, როგორცაა: სტაფილოკოკი, სტრეფტოკოკი, ნაწლავების ჩხირები და ლამბლიები. ფოთლებს და ერთწლოვან ყლორტებს ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ შინაგანად ამენორეის, იმპოტენციის, ნერვული აშლილობის სამკურნალოდ, ასევე როგორც შემკვრელ, მატონიზირებელ, სედატურ საშუალებას კლიმაქტერიულ პერიოდში. ტკივილგამაყუჩებელს - გულის ტკივილების და კუჭის ჭვლების დროს, გარეგანად - ნევრიტების, ტრომბოფლებიტის დროს.

გავრცელება: ველურად იზრდება ჩრდილოეთ აფრიკაში (ალჟირი, ლიბანი, მაროკო, ტუნისი), თურქეთში, კვიპროსზე, ევროპის სამხრეთით - საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი.

ჰაბიტატები: ვითარდება მშრალ ფერდობებზე.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული სამხრეთ ევროპაში და ჩრდ. აფრიკაში, ფილიპინებსა და ინდოეთში, უკრაინაში -ყირიმში.

დღეგრძელი ბუჩქია, გამოიყენება 20-25 წელს. ექსპლუატაცია იწყება დარგვიდან მეორე-მესამე წლიდან; ყვავილობს სამწლიანი ასაკიდან გაზაფხულსა და ზაფხულში, ხშირად განმეორებით აგვისტოდან სიცივეების დადგომამდე, ზოგჯერ ზამთარშიც. კარგადაა შეგუებული ხმელთაშუაზღვეთის კლიმატს - მშრალ ცხელ ზაფხულსა და ტენიან, გრილ ზამთარს, უძლებს -16° ყინვებს, უფრო დაბალ ტემპერატურაზე იყინება. ძლიერ მომთხოვნია განათებისადმი. დაჩრდილვასა და ტენის პირობებში ეთერზეთების შემადგენლობა მკვეთრად კლებულობს. იზრდება ყველანაირ ნიადაგებზე, ჭარბად დატენიანებული ადგილების გარდა. ძირითადად ამრავლებენ კალმებით, იშვიათად ამონაყრებითა და თესლით. საკალმედ იყენებენ ერთწლიან ყლორტებს. მაგ. ყირიმში აკალ-

მებენ შემოდგომითა და ზამთარში, კალმებს რგავენ ცივ სათბურებში, გაზაფხულზე მათგან მიიღება მზა სარგავი მასალა. თესლით გამრავლებას მიმართავენ მხოლოდ სელექციური მიზნით. მუდმივ ადგილას მცენარეს რგავენ 1 მ-ის დაცილებით ერთმანეთისაგან, რიგთაშორისებში - 1,5 მ. საწარმოო ნარგაობების 7-8 წელიწადში ერთხელ ხდება გაახალგაზრდავება: ბუჩქებს ჭრიან მიწის ზედაპირზე, რის შემდეგაც მცენარის ძირებიდან ვითარდება მრავალრიცხოვანი ყლორტები.

მოსავლის აღება მზიან ამინდში ხდება; გაზაფხულზე ჭრიან ერთწლოვან ყლორტებს ყვავილებთან ერთად, შემოდგომით - მიმდინარე წლის ყლორტებს ყვავილებით. ნედლეულს ამუშავებენ ნედლი ან გამშრალი სახით /Вехов и др.,1978/.

Rubia tinctorum L. – ენდრო
Fam. Rubiaceae - ოჯ. ენდროსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გამერქნებული, გრძელი დატოტვილი მრავალთავიანი ფესურით, დაფარულია მონითალი ქერქით, რამდენიმე ღეროთი. ღერო ოთხსახნაგოვანია, ძლიერდატოტვილი, მჭიდვითი, მცოცავი 1,5-2 მ-მდე სიგრძის, წიბოებზე ეკლისებრ-ხორკლიანი. ფოთლები რგოლურადაა განწრობილი 4-6, ლანცეტა ან მოგრძო-ელიფსური, მჭლომარე, იშვიათად მოკლე ფრთისებრი ყუნწებით. ყვავილი წვრილია, რთულ მრავალყვავილიან შეფოთლილ ნახევარქვლისებრ ყვავილედად, თითქმის შე-

უმჩნეველი ჯამის კბილებით, ოთხფურცლიანი მომწვანო-მოყვითალო ძაბრისებრი გვირგვინით. ნაყოფი- შავი კურკიანაა.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: სამღებრო და სამკურნალო მცენარეა. ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს. შეიცავს გლიკოზიდებს, რომლებიც გახლეჩვისას შეიცავს: ალიზარინს, რუბიადინს, ქსანტოპურპურინს და სხვ. ფესურის პრეპარატები (ნაყენები, ნახარშები, მშრალი ექსტრაქტი) გამოიყენება ტრადიციულ ფიტოთერაპიაში და თანამედროვე მედიცინაში თირკმელ-კენჭოვანი და ნალველკენჭოვან დაავადებებისას-როგორც ნეფროლოტიკური საშუალება სპაზმების შესამცირებლად და წვრილი კენჭების გაადვილებული მოცილებისათვის. ითვლება, რომ ენდროს ფესვების პრეპარატები განსაკუთრებით ეფექტურია ფოსფატური და ოქსალიტური ბუნების კენჭების მოსაშორებლად. ფესურისაგან მიღებულია სამკურნალო პრეპარატი - ცისტენალი.

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, მცირე და შუა აზიაში, აღმოსავლეთ ევროპაში. როგორც გავლურებული მცენარე იზრდება რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთით, ზოგიერთ ადგილას ნატურალიზებულია.

საქართველოში გავრცელებულია: ქართლში, ქიზიყში, გარე კახეთში, გარდაბანსა და მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მთის შუა სარტყელში ფერდობებზე, გორაკებსა და ბუჩქნარებში, სარწყავი არხების გასწვრივ, ტყის პირებზე, ნათელ ფიჭვნარებში, მიტოვებულ ბაღებში, ვენახებში და ღობეების გასწვრივ.

კულტივირება: უძველესი დროიდან მოჰყავთ ირანში, წინა და შუა აზიაში - საღებავების გამო, რომელიც ხალიჩების წარმოებაში მეტად ეფექტური და მნიშვნელოვანია.

სითბოს მომთხოვნია, უთოვლო ზამთარში იყინება - 15⁰-ზე. კარგად იზრდება და იძლევა ხარისხიანი ნედლეულის მაღალ მოსავალს მხოლოდ ფხვიერ სტრუქტურულ თიხნარებზე ძლიერი ჰუმუსიანი ჰორიზონტით. სავეგეტაციო პერიოდი 140-160 დღეა. მრავლდება როგორც თესლით, ასევე ვეგეტატიურად. თესლბრუნვაში კარგ წინამორბედად ითვლება კულტურები, რომლებიც მალე ანთავისუფლებენ მიწას. ნიადაგს ამუშავებენ მზრალად 30 სმ სიღრმეზე. გაზაფხულზე ფარცხავენ, შემდეგ წარმოებს კულტივაცია 6-8 სმ სიღრმეზე. შეაქვთ ორ-

განული სასუქები - ნაკელის და კომპოსტის სახით 20 ტ/ჰა-ზე. მათთან ერთად - მინერალური სასუქებიც: აზოტიანი 45 კგ, ფოსფორიანი 60 კგ და კალიუმიანი 60 კგ/ჰა-ზე. თესავენ ადრე გაზაფხულზე 60 ან 45 სმ-იანი რიგთმორისებში. თესვის ნორმა 15-20 კგ/ჰა-ზე, სიღრმე 4-5 სმ. თესვის წინ რეკომენდირებულია თესლის დამუშავება A5 პრეპარატით (3 გრ 1 კგ თესლზე). ოპტიმალური ტემპერატურა აღმოცენებისათვის დაახლოებით 25⁰ია; აღმონაცენი წარმოიქმნება დათესვიდან 6-15 დღის შემდეგ, ცივი ამინდებისას -30-35 დღის შემდეგ. პირველსავე წელს მცენარეები ყვავილობენ, მაგრამ უხვი ნაყოფმსხმოიარობა მეორე წლიდან იწყება.

თესვის პირველ წელს აღმონაცენის გამოჩენისთანავე ახდენენ პირველ გათოხვნას, შემდეგ გამარგვლას და 3-4-ჯერად გაფხვიერებას მთელი ზაფხულის განმავლობაში. ენდროს ამრავლებენ ფესურებითაც. რგავენ 6-8 სმ სიგრძეზე დაჭრილ ფესურებს ადრე გაზაფხულზე, 8-10 სმ სიღრმეზე, 10-15 სმ დაშორებით.

სამკურნალო მიზნით ფესურას იღებენ სიცოცხლის მეორე-მესამე წელს გვიან შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე, ასუფთავებენ მიწისაგან, რეცხავენ სპეციალურ სარეცხ მანქანებში. შემდეგ აშრობენ საშრობებში 50⁰C-ზე. შეიძლება ორ-სამწლიანი პლანტაციიდან მიღებულ იქნეს 10-12 ც/ჰა-ზე ნედლეული /Вехов и др, 1978/.

Ruta graveolens L. - სურნელოვანი ტევანი
Fam. Rutaceae - ოჯ. ტევანისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ნახევრად ბუჩქია, 50-100 სმ-მდე სიმაღლის, ხასიათდება მკვეთრი არომატით. ღერო სწორმდგომა, დატოტვილი, ფუძესთან გამერქნებული. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-კვერცხისებრი, ორმაგ ან სამმაგფრთისებრ განკვეთილი, მოკლე ყუნწიანები, ზედა - მჯდომარე, მოცისფრო-ლევა შეფერილობის. ყვავილები წვრილია, მოკე საყვავილე ყუნწებზე, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის ხუთ ფურცლიანი, შეკრებილია ფარისბრ საგველა ყვავილედად. ნაყოფი - სფერული ოთხბუდიანი კოლოფია. თესლები მურა ფერისაა, წვრილი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VII -IX.

მნიშვნელობა: ხასიათდება ძლიერი, მწვავე არომატითა და ხახვისა და ნივრისებრი მომწარო გემოვნებით. ნორჩი ფოთლები სანელებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის კერძებში.

ბალახი შეიცავს ეთერზეთებს, C-ვიტამინს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ფურანოკუმარინებს, ალკალოიდებსა და ფლავონოიდურ გლიკოზიდ - რუტინს. ფესვებში აღინიშნება კუმარინები, ფუროკუმარინები, ალკალოიდები, ეთერზეთები.

არომათერაპიაში ტევანის ეთერზეთები გამოიყენება თავისა და ყურის ტკივილის, რევმატიზმისა და ნალრძობების საწინააღმდეგოდ. ტევანისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, ტევანის ეთერზეთები ხასიათდება ფოტოტოქსიკური, ფოტოალერგიული მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ყვავილობამდე შეგროვილი ფოთლები ხასიათდება საერთო გამაჯანსაღებელი, ანტისეპტიკური და კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით. იხმარება სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნური წარმონაქმნების სამკურნალოდ, განსაკუთრებით საშვილოსნოს კიბოს შემთხვევაში.

ინდურ ტრადიციულ მედიცინაში იყენებენ სტიმულატორად, ანტისეპტიკურ და აბორტულ საშუალებად.

ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება უძილობის, ნევროზებისა და თავის ტკივილების საწინააღმდეგოდ. ხასიათდება ჭისმდენი მოქმედებით.

P.S. პონტოს მეფე მითრიდატე IV (ჩვ. წ.-მდე II საუკუნე), ხანგრძლივ ომს აწარმოებდა ძველ რომთან, განხეთქილების ცენტრში მყოფი,

მონამღვის საფრთხიდან გამომდინარე მუდმივად ღებულობდა შხამ-სანინაალმდგო საშუალებებს. როდესაც, დამარცხებულმა მითრიდატემ თავის მოკვლა გადაწყვიტა, სანამლაგმა მასზე აღარ იმოქმედა. ლეგენდის მიხედვით, რთული შხამსანინაალმდგო ნაკრების შემადგენლობაში, ძირითადი ტევანი იყო.

გამოირჩევა აბორტული მოქმედებით.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში და აზიის ზომიერ კლიმატის რეგიონებში, სამხრეთ ევროპაში და ყირიმში.

ჰაბიტატები: იზრდება მშრალ, კლდოვან, მზით განათებულ ადგილებში.

კულტივირება: კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში.

Salvia officinalis L. – სამკურნალო სალბი

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის-დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ნახევრადბუჩქია 20-50 სმ სიმაღლის, მრავალრიცხოვანი უხვადშეფოთლილი ღეროებით. ფოთოლი მოგრძოა, ნაოჭიანი, კიდეებზე წვრილად დაკბილული, გამოკვეთილი ძარღვებით, ძლიერშებუსული, ლევა-მწვანე, გრძელყუნწიანი, ზედა-თითქმის მჯდომარე. ყვავილი შეკრებილია 6-10 რგოლებად, რომელიც წარმოქმნის წვეროსეულ თავთავისებრ ყვავილედს. გვირგვინი მოლურჯო-იისფერია, მტვრიანა - 2. ნაყოფი- მურა ფერის კაკლუჭაა.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII. ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს მშრალი ფოთლები წარმოადგენს. უძველესი დროიდანაა ცნობილი და აღწერილი მრავალი ქვეყნის მედიკოსებისა და ხალხის მიერ. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე აღ-

ნიშნავდა მის მრავალრიცხოვან სასარგებლო თვისებებს და მას უწოდებდა “წმინდა ბალახს”. თვით სახელწოდება “salvia”, ლათინური ენიდან, ითარგმნება როგორც “იყავი ჯანმრთელი”.

ფოთლები შეიცავს ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ფლავონოიდებს, ალკალოიდებს, ორგანულ მჟავებს (ურზოლის, ოლენის, ქლოროგენის), ვიტამინ P, ნიკოტინის მჟავას, მწარე ნივთიერებებს, პარადიფენოლს, გუმფისს, სახამებელს, ცილოვან ნივთიერებებს, ფიტონციდებს, რომლებიც ძლიერი ბაქტერიოციდული თვისებებით გამოირჩევა.

მცენარე ხასიათდება დამამშვიდებელი, მადეზინფიცირებელი, ამოსახველებელი, შემკვრელი, სისხლშემაჩერებელი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიესპტიკური, ანტისოკოვანი, ნალველმდენი, შარდმდენი მოქმედებით.

ითვლება, რომ ახდენს სასქესო ჯირკვლების მოქმედების ნორმალიზებას, რის გამოც მას უნიშნავენ უშვილობისას. დადგენილია რომ სალბი შეიცავს ჰორმონ ესტროგენს (რომლის ნაკლებობას მრავალი ქალი განიცდის), რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს კვერცხუჯრედის მომწიფებას და აუცილებელია ქალის ორგანიზმისათვის, განსაკუთრებით ციკლის პირველ ფაზაში, რა თქმა უნდა მკურნალობის დანყებაზე აუცილებელია ჰორმონების შემცველობაზე ანალიზების ჩატარება. სალბი იწვევს ლაქტაციის სწრაფ შეწყვეტას, ხელს უწყობს კლიმაქტერიულ პერიოდში თანმდევი უსიამოვნო პროცესების (გაფანტული ყურადღება, გაღიზიანება, სწრაფი გადაღლა, ლიბიდოს დაქვეითება, თავის ტკივილები, თავში სისხლის ავარდნა) სიმპტომების შერბილებას, უადვილებს ორგანიზმს ჰორმონების გარდაქმნას; თმებს უბრუნებს ჯანმრთელობას, სილამაზეს, ბრწყინვალეობას, ამუხრუჭებს ჭაღარისა და ქერტლის წარმოქმნას.

ტრადიციულია ფოთლების ნაყენის გამოყენება მწვავე ანგიინისა და ქრონიკული ტონზილიტის, სტომატიტის, გინგივიტის, მწვავე რესპირატორული დაავადებების, ხახის აფტოზური დარღვევების, პულპიტების მკურნალობისას, აგრეთვე ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, დამწვრობების ჩამოსაბანად.

სალბს იყენებენ დიაბეტის საწინააღმდეგოდაც სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ნაკრებში. კომპლექსურად გამოიყენება სახს-

რების რეგმატიზმის, სახსრების ქრონიკული ანთებისა და დისტროფიული დაავადებების, ღებორმირებული ოსტეოართროზის, რადიკულიტის, ხერხემლის ოსტეოქონდროზის დროს საერთო და ადგილობრივი აბაზანების გამოყენებით, აპლიკაციებისათვის. ნახარშს იყენებენ ფსორიაზის სამკურნალოდ, შედის კუჭისა და გულ-მკერდის დამარბილებელი ნაკრებების შემადგენლობაში.

ბულგარელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სალბი აქვეითებს საოფლე ჯირკვლების სეკრეციას, გამოიყენება ტუბერკულოზით დაავადებულთათვის ღამის ოფლიანობისას, კუჭ-ნაწლავის ანთების, კუჭის წყლულის, მეტეორიზმის, ფაღარათის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და თირკმელების დაავადებების დროს.

არ არის რეკომენდირებული მეძუძური ქალებისათვის, ვინაიდან იწვევს რძის სეკრეციის შემცირებას, თირკმელების მწვავე ანთების, ძლიერი ხველებისას; სიფრთხილე მართებთ ჰიპოტონიით დაავადებულებებსაც, ვინაიდან სალბი რამდენადმე აქვეითებს წნევას (Ковалева, 1971).

გავრცელება: ველურად იზრდება მხოლოდ ხმელთაშუაზღვეთში.

კულტივირება: მრავალ ქვეყანაშია კულტივირებული. სითბოს მოყვარული მცენარეა, თვით სამხრეთ რაიონებშიც კი ცალკეულ წლებში იყინება. სასურველია სალბის ნაკვეთი მდებარეობდეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ან სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე. ნიადაგი იხვნება შემოდგომით 25 სმ-ზე. მზრალად დამუშავებისას შეაქვთ ნაკელი 1 ჰა-ზე 20-30 ტ და სუპერფოსფატი 2-3 ც 1 ჰა-ზე. ადრე გაზაფხულზე დაფარცხვის შემდგომ ტარდება კულტივაცია. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. თესლს სჭირდება სტრატეფიკაცია ნესტიან სილაში (1 წილი თესლი, 1 წილი სილა). თესვა წარმოებს ადრე გაზაფხულზე, 2 სმ სიღრმეზე, ნორმა 8 კგ 1 ჰა-ზე. რიგებში მცენარეთა შორის მანძილი 50-60 სმ, ხოლო რიგთაშორის - 25-35 სმ. ნათესარების მოვლა იწყება აღმონაცენის წარმოქმნისთანავე; 2-3 ნამდვილი ფოთლის ფაზაში ტარდება პირველი გაფხვიერება, მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში კი სამჯერადი. აუცილებელია სისტემატიური ბრძოლა სარეველებისა და მავნებლების წინააღმდეგ და განოყიერება; სიცოცხლის პირველ წელს ნელი ზრდით ხასიათდება, მეორე წლიდან იძლევა მრავალ ყლორტს, რომლებიც ასაკთან ერთად ქვედა ნაწილში ხევდება. სალბის პლანტაციას იყენებენ 4-6 წელს, რის შემდეგაც გადახნავენ. პლანტაციებში

ყოველწლიურად ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომით ტარდება თიბვა სპეციალური მანქანებით /მცენარეთა განახლება/, განსაკუთრებით მათი გამერქნებული ნაწილებისა, რაც უზრუნველყოფს მცენარეთა დაბუჩქვას, თითოეული ინდივიდი ივითარებს 100-მდე ყლორტს.

ვეგეტატიური გამრავლებისას მცენარე იყოფა რამდენიმე ნაწილად და ადრე გაზაფხულზე ირგვება 50-60 სმ დამორებით.

მოსავალს განვითარების პირველ წელს იღებენ მხოლოდ ერთხელ-შემოდგომით; ხოლო სიცოხლის შემდგომ წლებში – 2-3-ჯერ წელიწადში; პირველი - იენისის ბოლოს კოკრიანობისა და ყვავილობის საწყის პერიოდში, ბოლო-ოქტომბერში. თესლებს აგროვებენ საუკეთესო ნაკვეთებიდან, რომლებსაც არ იყენებენ ნედლეულის შესაგროვებლად /Оголевец, 1948/.

Salvia sclarea L.- ხარისვარდა

Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის-ღედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ფისისებრ-ინასებრი სურნელით. სქლადაა მოფენილი ხუჭუჭა ხშირი ბენჯითა და ჯირკვლებით. ღერო სწორმდგომია, 30-110 სმ სიმაღლის, 1 სმ-მდე სისქის. ფოთლები პირველ წელს როზეტადაა შეკრებილი, მეორე წელს მცენარეს ღეროსეული ფოთლები უნვითარდება 2-7 სმ სიგრძის ყუნწით. ფოთლები ღეროსკენ სქლად შებუსულია ხუჭუჭი ბენჯით, ფორმით კვერცხისებრიდან გულისებრ-კვერცხისებრამდე,

მოკლედ წაწვეტებული, კიდევზე მრგვალ ან ამოდრღნილ კბილე-
ბიანი, ბადისებრი ნაოჭებით, ორივე მხარეს ქეჩისებრ შებუსუსული. კენ-
წრული თანაცვაფილების ფოთლები მჯდომარეა, ყვაფილები 4-6 ყვაფი-
ლიან ჩხროებადაა შეკრებილი მტეენისებრ ყვაფილედად. ყვაფილი
ზარისებრია, გაბნეული ჯაგრისებრი ბენვით მოფენილი. გვირგვინი ჯამს
2-3-ჯერ აღემატება, ღია სოსანი ან ვარდისფერია. კაკლუჭი კვერ-
ცხისებრია, ბლაგვად სამწახნაგოვანი 2 მმ-მდე სიგრძის, გლუვი, წაბ-
ლის ფერი ან უფრო მუქი, წვრილი მარმარილოსებრ მოხატული.

ფენოლოგია: ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს მცენარის მწვანე ნაწილი,
განსაკუთრებით ყვაფილოვანი კენწერო წარმოადგენს. ნედლეულს
აქვს მკრთალი ყვითელი ფერი, არომატი ძლიერი-მწვანე ნიგვზის.
ყვაფილედის აღებისთანავე ნედლეული უნდა გაიგზავნოს ქარხნებში
ზეთის მისაღებად. არომატული ეთერზეთები შეიცავს ლინალილა-
ცეტატს, ლინალილფორმენატს, ლინალიიდს, ჭიანჭველის და ძმრის
მჟავებს. ყვაფილედში აღმოჩენილია სკლარეოლი და სხვადასხვა ორ-
განული მჟავები. ფოთლებში 0,28 %-მდე ეთერზეთი. თესლებში-აქ-
როლადი 31 %-დე ეთერზეთები.. ფესვებში - კუმარინი. მცენარეში გარ-
და ეთერზეთებისა, აღმოჩენილია ვიტამინი C და ფლავონოიდები.

ხარისვარდა უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება.
კარგად იყო ცნობილი უძველეს წარსულში ჰიპოკრატეს, დიოსკო-
რიდეს, პლინიუსისა და სხვებთან; მას უწოდებდნენ „წმინდა ბა-
ლახს“, და ყველაზე სასარგებლო სამკურნალო მცენარედ მიიჩნე-
დნენ. ამ სახეობის სალბს „მუსკატისნაირი“ დაარქვეს გერმანიაში, რად-
განაც მისი გემო ახსენებდათ მუსკატის ღვინოს.

ხარისვარდის ზეთი თავისი თვისებებით ძალიან გავს ლავანდის ზეთს,
რომელიც მსოფლიო ბაზარზე ცნობილია მაღალი ხარისხით.

სამკურნალო თვისებებით ახლოს დგას სამკურნალო სალბთან (*Salvia officinalis*). მცენარეს გააჩნია ფსიქოემოციური, ანთების საწინააღ-
მდეგო, ანტიუპტიკური, ანტიმიკრობული, ფუნგიციდური, სქესობრივი
აქტივობის გამაძლიერებელი მოქმედების უნარი. ამალღებს კუჭის ფუნ-
ქციონალურ აქტივობას, აძლიერებს საჭმლის მონელებას, ანეღებს
ოფლღენას.

მიწისზედა ორგანოების (ბალახის) ნახარში-ექსტრაქტი მიიღება ციებ-ცხელების, კუჭის წყლულის, თავის ტკივილის და ეპილეფსიის დროს. ფოთლების ნახარში (პირში გამოსავლებად) რესპირატორული დაავადების შემთხვევაში, შემწვარი თესლი კი დიზინტერიისას.

გარეგანად აბაზანების სახით - შარდის ბუშტის ანთებისას, პოლიართრიტის, ოსტეომიელიტის, ჩირქოვანი ჭრილობების, ტროფიკული წყლულებისა და ძირმაგარების დროს (Растительные ресурсы СССР, 1991)

გავრცელება: ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. ბუნებაში გვხვდება ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, დასავლეთ და შუა აზიაში, კავკასიაში.

საქართველოში გავრცელებულია შემდეგ კუთხეებში: შუა ქართლი, ქართლი, თრიალეთი, ჯავახეთი, მესხეთი.

ჰაბიტატები: იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნათესებში, ნაჩხატებში, გზის პირებზე, ტყიან, წვრილკენჭოვან ფერდობებზე, ქვიშნარებზე, მთის შუა სარტყლამდე.

კულტივირება: კულტივირებულია მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, ცენტრალურ ევროპაში, ინგლისში, მაროკოში, რუსეთში და სხვა.

სინათლის მოყვარული და გვალვავამძლე მცენარეა. მოსაშენებლად საჭიროა განათებული ადგილი, თიხნარი და ქვიშნარი ნიადაგები. შეიძლება მათი მოყვანა სხვადასხვა ნიადაგებზეც, სადაც არ არის გრუნტის წყლები ახლოს. კარგი წინამორბედი პარკოსანი კულტურები. მრავლდება თესლით; ითესება ჩვეულებრივ ზამთრის წინ რიგთაშორისებში, 45-60 სმ დაშორებით, თესვის ნორმა 8 კგ/ჰა, თესვის სიღრმე 3-4 სმ. ზამთრის განმვლობაში თესლები გადიან სტრატეფიკაციას და გაზაზღვრულზე ერთხელ აღმოცენდებიან 10-15⁰ ტემპერატურაზე; შემოდგომისეული გვიანი აღმონაცენი ძალიან მგრძობიარეა დაბალი ტემპერატურისადმი და ზამთარში ჩვეულებრივ იღუპება. ნიადაგს ხნავენ შემოდგომით (ოქტომბერში ან ნოემბრის პირველ დეკადაში) 20-30 სმ სისქეზე, შეაქვთ 30-35 ტ ორგანული სასუქი (ნაკელი ან კომპოსტი). თესვის წინ ნიადაგს ფარცხავენ და ტკეპნიან. გაფხვიერებას აწარმოებენ ზედაპირულად, ვინაიდან მცენარის ფესვები მიწის ზედაპირთან ახლოსაა განლაგებული. განვითარების მეორე წელს მოვლა იწყება

ადრე გაზაფხულიდან, დაფარცხვით 10 დღით ადრე მცენარეთა ამონ-
ვერამდე, შემდეგში კი ხდება 3-4-ჯერადი გაფხვიერება.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალწლოვანი მცენარეა, პლანტაციის გა-
ნახლება ხდება 2-3 წელიწადში ერთხელ. ზრდასრული მცენარეები
უძლებენ - 30⁰, ამასთან მათი მიწისზედა ნაწილები მთლიანად ხმებიან,
მაგრამ ზრდის კვირტები დაფარული ფოთლისეული ნარჩენებით არ
კარგავენ სიცოცხლის უნარს.

/Вехов и др., 1978: https://ru.wikipedia.org/wiki/Шалфей_мускатный

Sambucus ebulus L. - აწლი

Fam. Adoxaceae (Caprifoliaceae) - ოჯ. ადოქსასებრნი (ცხრატყავისებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 1-1,5 მ-მდე
სიმაღლის მცენარეა. ფოთლები რთულია, 5-9 ფოთოლაკიანი, თითო-
ეული მათგანი ლანცეტაა, თავწანვეტეული და კიდეხერხებილა. ყვა-
ვილები თეთრია, სამტოტიან ქოლგის მსგავს საგველად შეკრებილი.
ნაყოფი მუქი შავი, პრიალა კენკრაა. მესამეული პერიოდის რელი-
ქტური სახეობაა, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, იზრდე-
ბა ტყის სარტყელში, ზოგჯერ ქმნის რაყებს. უმთავრესად სახლდება
ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად წარმოქმნილ მეორად
ადგილსამყოფლებში.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. IX - X.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ფესვი, ფოთლები, ნაყო-
ფები. შეიცავს მთრიმლავ, მწარე, პექტინოვან და საღებავ ნივთიერე-
ბებს, ორგანულ მუავებს - ვალერიანის, ვაშლის, ღვინის, ციანოგენურ

გლიკოზიდ-ამიგდალინს, ვიტამინ C. ყვავილებში აღინიშნება ეთერზე-
თები, შაქრები, ამიგდალინი.

ხასიათდება ანტიესპტიკური, ანტიმიკრობული, შარდმდენი, ოფლმდენ-
ნი, ერითროპოეზის გამაძლიერებელი, ამოსახველებელი, მადისმომ-
გვრელი, საფალარათო მოქმედებით. გამოიყენება ნევრალგიის, ანემი-
ის, ზემო სასუნთქი გზების კატარის, ნიკრისის ქარის, ტუბერკულოზის,
მსხვილი ნაწლავის ანთების, ბუასილის სამკურნალოდ.

მცენარე შხმიანია, ნედლი სახით მიღება დაუშვებელია. ინიშნება ექიმის
მეთვალყურეობის ქვეშ!

გავრცელება: იზრდება ევროპული ფართოფოთლოვანი ტყეების სარ-
ტყელში, ასევე ტყესტეპისა და მთის შუა სარტყელში.

საქართველოში ფართოდ გავრცელებულია.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის სარტყელში; გვხვდება რუდერალურ ად-
გილებზე, მდინარეების ნაპირებზე, ტყის პირებსა და მინდვრებზე,
ზოგჯერ ქმნის რაყებს.

Sambucus nigra L. - ღიღგულა

Fam. Adoxaceae (Caprifoliaceae) - ოჯ. ადოქსასებრნი (ცხრატყავისებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: ბუჩქია ან პატარა ზომის 3-6 მ სიმაღლის ხე.
ღეროები დატოტვილია, ახალგაზრდა ტოტები მწვანეა, შემდგომ მურა-
ნაცრისფერი, ღიღი რაოდენობის მოყვითალო ბუგრებით, ტოტების
გული რბილი და თეთრია; ფოთლები - მოპირისპირეა, მსხვილი, კენტ-
ფრთართული, შედგება 3-7 მოგრძო-კვერცხისებრი, წაწვეტებული ფო-
თოლაკისაგან, რომლებიც ზედა მხრიდან მუქი მწვანეა, ქვედა მხრეს -
უფრო ბაცი. ყვავილები - მოყვითალო-თეთრი შეფერილობისაა, შეკ-

რებილია მსხვილ ბრტყელ მრავალყვავილიან ფარისებრ ყვავილე-
დებად, ყვავილობის შემდეგ ჩაქინდრულია. ნაყოფი მოშავო-იისფერი
კენკრის მსგავსი წვნიანი კურკიანაა, 2-4 კურკით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX;

მნიშვნელობა: პრეისტორიული პერიოდიდან ადამიანები აგროვებენ
მის ნაყოფებს. კურკა ნაპოვნი იქნა ნეოლითის დროის სადგომების გათ-
ხრებისას. ანტიკურ საბერძნეთში სპეციალურად აშენებდნენ. ჰიპოკრა-
ტე და პლინიუსი იყენებდნენ გაციების დროს. მას მიიჩნევდნენ წმინდა,
საღმრთო მცენარედ. არსებობდა ცრურწმენა, რომ ადამიანს ჩუქნის
დღეგრძელობას.

ყვავილები შეიცავს გლიკოზიდებს, ეთერზეთებს, ვიტამინ C, ტანინებს,
ორგანულ მუავებს, შაქრებს. ნედლე ფოთლებში აღმოჩენილია კარო-
ტინი და ვიტამინი C; ქერქში აღინიშნება ეთერზეთები, ფიტოსტერინები,
ქოლინი. ნაყოფებში ნაპოვნია მთრიმლავი ნივთიერებები, კაროტინოი-
დები, ლორწო, კარბონული ნივთიერებები და ამინომჟავები.

გამოიყენება ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში. ყვავილები და
ნაყოფები შედის ლაქტოგენური, შარდმდენი, ქრონიკული პანკრეატი-
ტის, კუჭის ნაკრებების შემადგენლობაში. რეკომენდირებულია რო-
გორც ოფლმდენი, სიცხის დამწვევი და ამოსახველებელი საშუალება.
შაქრის დიაბეტის დროს, მათ შორის გართულებულ მდგომარეობაში
სთავაზობენ ფესვების ნახარშს. წყლის ექსტრაქტი ხასიათდება
ანტივირუსული აქტივობით. ნაყოფებს შესწევთ უნარი ორგანიზმიდან
გამოდევნოს მძიმე მეტალები და რადიონუკლეიდები. ყვავილების
ნაყენით მკურნალობენ დამწვრობებს, კანის ჩირქოვან დაავადებებს,
ხოლო ნაყოფების ნახარშს უნიშნავენ კუჭის წყლულისა და ჰეპატიტის
დროს.

ხალხურ მედიცინაში ნედლე ნაყოფებსა და ნახარშებს იყენებენ რევ-
მატიზმისა და ნიკრისის ქარის სამკურნალოდ, აგრეთვე შარდმდენ და
ჭიისმდენ საშუალებად. ყვავილების ჩაისა და ნაყენებს ურჩევენ მშრალი
ხველების დროს, ასევე ყელში გამოსავლებლად ანგინისა და ტონზი-
ლიტისას. დიდგულას ნაყოფების სიროფს უნიშნავენ როგორც ხვე-
ლების საწინააღმდეგო საშუალებას ფილტვების კიბოს შემთხვევაში.

ჰომეოპატები იყენებენ გულისა და ბრონქიალური ასთმის, კორონარუ-
ლი სისხლძარღვების სპაზმების შემთხვევაში.

მრავალრიცხოვანი მაგალითებია იმის აღმნიშვნელი, რომ დიდგულას ნაყოფებიდან დაყენებული ღვინო შველის კანის კიბოს, ხოლო დასრესილი ნაყოფები შაქართან ერთად 1:3 პროპორციით კუჭის კიბოს სამკურნალოდ შესანიშნავი საშუალებაა.

არ არის რეკომენდირებული მისი მიღება არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტის, უშაქრო დიაბეტის დროს; სიფრთხილით უნდა მოეკიდონ მის გამოყენებას ფეხმძიმობისას. გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ დიდგულას ღეროები.

გავრცელება: ბუნებრივი არეალია - მაკარონებია (აზორის კუნძულები და მადეირა), ჩრდ. აფრიკა (ალჟირი და ტუნისი) აზიის ზომიერი კლიმატის ზონა (დასავლეთ და ჩრდილოეთ ირანი, თურქეთი), თითქმის მთელი ევროპა, სამხრეთ კავკასია.

საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია შემდეგ რეგიონებში: აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, სამაჩაბლო, ქართლი, კახეთი, თრიალეთი, მესხეთი.

ჰაბიტატები: იზრდება ქვეტყის სახით წინვნარ და ფოთლოვან ტყეებში, ზოგჯერ წარმოქმნის რაყებს, ადვილად ველურდება და ვრცელდება გზის პირებზე, დასახლებულ პუნქტებთან ახლოს მთის შუა სარტყლამდე. https://ru.wikipedia.org/wiki/Бузина_чёрная

Schisandra chinensis (Turcz.) Baill. - ჩინური ლიმონურა

Fam. Schisandraceae - ოჯ. ლიმონურასებრი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, მერქნოვანი ფოთოლმცვენი ლიანაა, ძლიერი მონოპოდიალური დატოტვილი ღეროებით, რომლებიც 10-15 მ სიგრძისა და 1-2 სმ სიგანისაა. ნორჩი ვეგეტატიური

ყლორტები ზრდის პროცესში ასრულებენ მარცხნივ მიმართულ მოძრაობებს და ეხვევიან ხეებს ან ბუჩქების ღეროებს საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით და ერთ სავეგეტაციო პერიოდში აღწევს 1-1,5 მ სიმაღლეს. ნორჩი ყლორტების ქერქი პრიალაა, მონითალო-მოყავისფრო; ასაკოვანი ღეროების ქერქი მონითალო-მოყავისფროა, ხეშეში. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, ოდნავ ხორცოვანი, ზედა ნაწილი მწვანეა, შიშველი, ქვემოდან – მონაცრისფრო, ძარღვებზე სუსტად შებუსვლი. ყვავილები ერთსქესიანია. არომატული, თეთრი, ყვავილობის ბოლოს ვარდისფერდება, შეკრებილია 3-5 ცალად ერთნლოვან ყლორტებზე ფოთლების უბეებში. გადაყვავილების შემდეგ წარმოიქმნება მრავალრიცხოვანი კენკრის მტევნისებრი ნაკრები, რომელიც წითელია, წვნიანი. თესლი მომრგვალო თირკმლისებრია, გლუვი, პრიალა, მოყვითალო-მურა ფერის.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: ნაყოფი საკვებად გამოიყენება. ნაყოფის წვენი შეიცავს შაქრებს, ორგანულ მჟავებს, უმთავრესად ლიმონის, ვაშლის, ღვინის; ვიტამინებს - ასკორბინის მჟავას, თიამინს, რიბოფლავინს. თესლში აღინიშნება მატონიზირებელი ნივთიერება სხიზანდრინი და სხიზანდროლი, ტიკოფეროლი და ცხიმოვანი ზეთები, მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს, მათ შორის ყველაზე მეტს ქერქი, რომელიც გამოირჩევა ნაზი, სასიამოვნო - ლიმონის არომატით. ქერქის ეთერზეთები – გამჭვირვალე ოქროსფერ-ყვითელი სითხეა ლიმონის სუნით. ეთერზეთების შემადგენლობაში შედის სესკვიტერპენული ნახშირწყლები, ალდეჰიდები და კეტონები; ცხიმზეთების შემცველობაში აღინიშნება: a - ლინოლინის, ლინოლენის, ოლეინის და სხვა მჟავები.

ლიმონურას მომქმედი ნივთიერებები წარმოადგენს დამამშვიდებელი პრეპარატების ფიზიოლოგიურ ანტაგონისტს, თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას (მათ შორის ბარბიტურატებს, ტრანკვილიზატორებს, ეპილეპსიის საწინააღმდეგო სედატურ საშუალებებს, ნეიროლეპტიკებს); აძლიერებს ფსიქოსტიმულატორებისა და ანალეპტიკების (მათ შორის კოფეინის, ქაფურის, ფენამინის) მოქმედებას.

სამკურნალო ნედლეულს ნაყოფები და თესლი წარმოადგენს, რომლებიც ხასიათდება ადაპტოგენური, საერთო მატონიზირებელი და ფსიქომასტიმულირებელი მოქმედებით.

ლიმონურას პრეპარატები ნაჩვენებია ასთენიური სინდრომის, ჰიპოტონური ტიპის ვეგეტოსისხლძარღვების დისტონიის, სომატური და ინფექციური დაავადებების შემდგომ რეკონვალესცენციის პერიოდში; მას უნიშნავენ გადაღლილობის, შრომისუნარიანობის დაქვეითების და მაღალი ნერვულ-ფსიქიკური და ფიზიკური გადატვირთვების დროს. შედის კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში ნევრასტენიის ფონზე სასქესო ფუნქციების დარღვევებისას.

გვერდითი მოვლენებიდან აღინიშნება ალერგიული რეაქციები, ტახიკარდია, ძილის დარღვევა, თავის ტკივილები, არტერიული წნევის ამაღლება. უკუმაჩვენებელია გულის მოქმედების დარღვევების, ჰიპერტონიის, ეპილეპსიის, ალგზების, ძილის დარღვევების, მწვავე ინფექციური და ღვიძლის ქრონიკული დაავადებების, პრეპარატების კომპონენტების მიმართ ჰიპერმგრძობელობის დროს, ფეხმძიმობისა და ლაქტაციის პერიოდში, აგრეთვე 12 წლამდე ბავშვებისათვის.

გავრცელება: სამშობლო ჩინეთია. გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, ზღვისპირა და ხაზაროვსკის მხარეს.

ჰაბიტატები: იზრდება კედრნარ-ფართოფოთლოვან და სხვა წიწვნარ-ფოთლოვან, ზოგჯერ - ფოთლოვან ტყეებში, ჩვეულებრივ ველობებზე, ტყის პირებზე, ნაკაფებში, ხშირად მთის მდინარეებისა და ნაკადულების მდელოებზე. იზრდება ჯგუფებად, წარმოქმნის რაყებს. აღის მთებში ზღვ. დ. 600 მ სიმაღლემდე.

Silybum marianum (L.) Gaertn. - ბაყაყრა
Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთუყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: ერთ ან ორწლოვანი ეკლიანი, 1,5-2 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები დიდი ზომისაა, ფართო ლანცეტა, ნაპირებზე ეკლებიანი კბილებით შემოსილი, ძარღვების გასწვრივ თეთრლაქებიანი. ყვავილები წითელია, მილისებრი, შეკრებილია კალათებად, საბურველი სფერულია, კრამიტისებრ განლაგებული ფოთლებით, თითოეული მათგანი მსხვილი ბრტყელი ეკლითაა დაბოლოებული. ნაყოფი ქოჩრიათი თესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. V-VII; ნაყ. VI-IX.

მნიშვნელობა: უძველეს სამკურნალო მცენარეების რიცხვს მიეკუთვნება. მას, ჯერ კიდევ რომაელები იყენებდნენ ღვიძლის დაავადებებისას. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა 1968 წელს, როდესაც მიუნხენის ფარმაცევტულ ინსტიტუტში გამოიკვლიეს ბიოქიმიური შემადგენლობა. მასში აღმოჩენილ იქნა მეტად იშვიათი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება - სილიმარინი, მასთან ერთად აღინიშნა მიკროელემენტები (თუთია, სელენი, სპილენძი), ცხიმისნადი ვიტამინები, კვერცხეტინი, ფლავოლიგნანები, 200-მდე კომპონენტის უჯერი ცხიმოვანი მჟავები, რის გამოც შედის ძალიან ბევრ კომპლექსურ საკვებ დანამატებში. სამკურნალო ნედლეულს თესლები, ფოთლები და ფესვი წარმოადგენს. სამკურნალო მიზნით უფრო ეფექტურია ნაყოფები, მისგან ამზადებენ ზეთს და ფხვნილს, ფოთლებისაგან - წვენს, ხოლო ფესვებისგან - ნახარშს.

ნაყოფების ფხვნილს იყენებენ სისხლში შაქრის დონის დასაწევად, სისხლის განწმენდის მიზნით, ვარიკოზის დროს. ფესვების ნახარში იხმარება კუჭის კატარის, ფალარათის, რადიკულიტის, კრუნჩხვების, შარდის შეკავებისას.

ამჟამად ფართოდ გამოიყენება საკვებით მონამლვის, ქრონიკული ინტოქსიკაციის (ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ქიმიური), ფეხმძიმეებში ტოქსიკოზის, შეძენილ იმუნოდეფიციტებისა და შიდსის, შაქრიანი დიაბეტის, სიმსუქნის, მხედველობის დაქვეითების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შესამცირებლად, ვარიკოზის, ინსულტის, ინფარქტის პროფილაქტიკისათვის და სხვ. მას ღებულობენ აგრეთვე, ღვიძლის, სისხლისა და მთელი ორგანიზმის ტოქსინების, რადიაციისაგან განწმენდის მიზნით, ქიმიო და სხივური თერაპიის კურსის გავლის

შემდეგ; შველის სიყვითლეს, სისხლძარღვების ათეროსკლეროზს, არ-ეგულირებს ქოლესტერინის და სხვა ლიპიდური ფრაქციების გამომუშავებას.

დერმატოლოგიაში ბაყაყურას ზეთი გამოიყენება ფსორიაზის, ვიტილიგოს, ფერიმჭამელების, გამელოტების დროს; ხელს უწყობს ნაჭდევის წარმოქმნის გარეშე ჭრილობების შეხორცებას; ზეთს ხმარობენ ბუასილის, გართულებული სისხლდენების, ანალური ნახეთქების, სამვილოსნოს ყელის ეროზიის, ვენების ვარიკოზული ვაფართოების სამკურნალოდ. გინეკოლოგიური დაავადებებისას, მამაკაცებისა და ქალების სექსობრივი და ენდოკრინული სფეროს რეგულაციისათვის ბაყაყურას ზეთი მიიღება შინაგანად. ზეთი ეფექტურია კლიმაქტერიული, ატროფირებული ვაგინის, რომელსაც ქავილი ახლავს სამკურნალოდ.

ბაყაყურა კარგი ანტიოქსიდანტია, ხელს უშლის ნაადრევ სიბერეს. ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს, შლის ბიოლოგიურ სტრუქტურებს.

ბაყაყურისაგან მზადდება პრეპერატები: კარსილი, სილიბორი, ლეგალონი, მაგრამ პრაქტიკით დადასტურებულია, რომ მკურნალობა ბალახით უფრო ეფექტური და იაფია.

ასევე გარკვეული დროის მანძილზე აღინიშნება ღვიძლის ტკივილი, ვიდრე ორგანიზმი მას მიეჩვევა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია მკურნალობის ჩატარება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

გავრცელება: სამშობლო ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებია (ეგვიპტე, ისრაელი, თურქეთი, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი), ბალკანეთი, პირენეის ნახევარკონძული. ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში (დას. და აღმ. ევროპა, ბრიტანეთის კუნძულები, სახრეთ და და ცენტრალური აფრიკა, ჩრდ. და სამხრეთ ამერიკა, აზორის კუნძულები), შუა აზია.

საქართველოში ფართოდ გავრცელებული სარეველია.

ჰაბიტატები: იზრდება უშენ ადგილებზე, ნათესებში, ბოსტნებში.

კულტივირება: კულტივირებულია სამკურნალო ნედლეულის მიღების მიზნით. რუსეთში მისი ნათესების საერთო ფართობი 10000 ჰა, უკრაინაში - დაახლოებით 5000-მდე ჰა, ჩინეთში - 100000 ჰა.

https://ru.wikipedia.org/wiki/Расторопша_пятнистая

Scopolia carniolica Iscქ. - სკოპოლია
Fam. Solanaceae - ოჯ. ძალღუფრძენასებრი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 30-50 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ხორცოვანი, სუსტად დატოტვილი ფესურით. მიწისზედა ნაწილი შედგება ვეგეტატიური ყლორტებისაგან, რომელიც ქვედა ნაწილში უვითარდება ელიფსურ-უკუკვერცხისებრი, ყუნწში შევიწროებული 10-13 ფოთოლი. ყლორტი ბოლოვდება ერთადერთი ყვავილით, გვირგვინი ზარისებრია, გარედან ალუბლისფერ-იისფერი ან მურა წითელი, შიგნიდან - მოყვითალო-მურა ან ბაცი იისფერი. ნაყოფი მომრგვალო, მრავალთესლიანი კოლოფია.

ფენოლოგია: ყვ. III-IV; ნაყ. V-VI.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია ფესურები, ამზადებენ გაზაფხულზე ნაყოფმსხმოიარობამდე. მცენარის ყველა ორგანო შეიცავს ტროპანულ ალკალოიდებს: ჰიოსცამინს (რომელიც ალკალოიდების ჯამის ძირითად ნაწილს შეადგენს), სკოპოლამინს, ტროპინს, ჰსეველოტროპინს, სკოპოლეტინს და სხვ.

ფარმაკოლოგიური ეფექტი განსაზღვრულია ალკალოიდ ატროპინისა და სკოპოლამინის მოქმედებით. ატროპინი - ძირითადი წარმომადგენელია ქოლინოლიტური ნივთიერებების, რომელიც იწვევს უმთავრესად ქოლინორეცეპტორების ბლოკირებას. თანამედროვე წარმოდგენებით, ატროპინი არის ეგზოგენური ლიგანდა - ქოლინორეცეპტორების ანტაგონისტი.

მცენარიდან მიღებულია პრეპარატები: სკოპოლამინის ჰიდრობრომიდი და ატროპინის სულფატი სხვადასხვა სამკურნალო ფორმებში (ხსნარები, აბები, მალამო), ტაბლეტები - “აერონი.” გამოიყენება

წყლოლოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ნაწლავებისა და შარდსადინარი გზების ჭვლების, ბრონქიალური ასთმის, ბრადიკარდიის, გლუვი მუსკულატურის ჭვლების დროს. ატროპინი იხმარება ანესტეზიოლოგიურ და ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაშიც.

ყურადღება უნდა მიექცეს სკოპოლამინის პრეპარატებისადმი ინდივიდუალურ მგრძნობელობას; ზოგიერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი დოზა იწვევს აგზნებას, ჰალუცინაციებს და სხვა გვერდით მოვლენებს.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია უკრაინაში, მოლდოვასა და კავკასიაში (სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში).

საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთსა და აჭარაში.

ჰაბიტატები: იზრდება ტყეებში მთის შუა სარტყლამდე.

Solanum laciniatum Ait. – **ძალღუერძენა**

Fam. Solanaceae - **ოჯ. ძალღუერძენასებრნი**



ბოტანიკური დახასიათება: ბუჩქია (კულტურაში მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე) 2,5 მ-მდე სიმაღლის, წახნაგოვანი ღეროებით. ფოთლები ფრთხილგვანკვეთილია ლანცეტა სეგმენტებად, კარგად შესამჩნევი შუა ძარღვით, მუქი მწვანე, მოკლე ყუნწებით; ყვავილები შეკრებილია 3-23 ხვეულებად, განლაგებულია ღეროების განშტოებებში. გვირგვინი ბორბლისებრია, იისფერ-ლურჯი, სამტვრეები კაშკაშა ყვითელია; ნაყოფები-ოვალური, ნარინჯისფერი კენკრა. თესლი წვრილია, თირკმლისებრი, ყავისფერი. 1000თესლის წონა 1,5-2გ.

ფენოლოგია: ყვ. VII-XI; ნაყ. IX-XI.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეული - მინისზედა ორგანოებია, ბალახი. შეიცავს ორ სტეროიდულ გლიკოალკალოიდებს -სოლასონინს და სოლამარგინს, რომლებიც იძლევიან ერთი და იგივე აგლიკონს - სოლასოლინს. მათი შემცველობა ფოთლებში 2,6% აღწევს, მწვანე ნაყოფებში - 3,3%. სოლასოლინისაგან ლებულობენ პროგესტერონს, კორტიზონსა და სხვა სტეროიდულ ჰორმონებს, რომლებიც მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებებს წარმოადგენს, ფართოდ გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ: რევმატიზმის, პოლიარტრიტის, ანთებითი პროცესების, ლეიკოზის ზოგიერთი ფორმის, ბრონქიალური ასთმის, კანის დაავადებების (ეგზემა), ცილების ნივთიერებათა ცვლის დარღვევების, დაბერებული ორგანიზმის სტიმულირებისათვის და სხვ.

გავრცელება: ველურად იზრდება ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

კულტივირება: კულტივირებულია XX საუკუნის 50-იანი წლებიდან უმათავრესად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან - უკრაინა, რუსეთი - კრასნოდარის რაიონი, სამხრეთ ყაზახეთში, სადაც საერთო ფართობი 1,5 ათასი ჰა აღწევს. მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები სოლასოლინის შემცველობის მაღალმოსავლიანი ჯიშების მისაღებად. შესაჯარებლად გამოიყენება ძალღერძენას მეორე სახეობა - *Solanum aviculare* Forst.f.

კულტივირებულია როგორც ერთწლოვანი მცენარე. რეკომენდირებულია მისთვის გამოიყოს კარგი დრენაჟის, ფხვიერი, მაღალნაყოფიერი ნიადაგები. მიუღებელია ღარიბი, ქვიშნარი, მლაშობი და მძიმე თიხნარები. კარგი წინამორბედებია საშემოდგომო მარცვლოვნები, ბოსტნეული, ჰარკოსნები, აგრეთვე ჭარხალი და სხვ. ნიადაგის დამუშავება სხვა სათონი კულტურების ანალოგიურია. ნაკელის 20ტ/ჰა, ან მინერალური საუქების (60 კგ/ჰა აზოტოვან და ფოსფოროვანი) ინვესტ 30%-ით მოსავლის გაზრდას. კარგ შედეგს იძლევა ასევე დამატებითი გამოკვება, რასაც ზაფხულში ორჯერ ატარებენ.

მრავლდება როგორც უშუალოდ ღია გრუნტში თესვით, ასევე სათბურებში წინასწარი ჩითილების გამოყვანითა და ფესვების დარგვით. გაღვივებული თესვებით თესვისას აღმონაცენი წარმოიქმნება 4-6 დღეში. თესვენ ადრე გაზაფხულზე ან ზამთრის წინ, რივთაშორის 70 სმ; თესვის ნორმა - 3-4 კგ/ჰა, თესვის სიღრმე 2-3 სმ, მსუბუქ ნიადაგებზე - 4-

5 სმ. დასარეგლიანებულ ნაკვეთებზე ძალუყურძენას კულტივირებისათვის უმჯობესია ჩითილები დარგვა. ჩითილების გამოყვანა ბოსტნეული კულტურების მსგავსად ხდება. მინდორში ჩითილებს რგავენ 40-45 დღის ასაკში სარგავი მანქანებით, რიგთაშორის 70 სმ და მცენარეთა შორის 25 სმ დაცილებით. უმეტესად თესლები ღივდება 16-20⁰ ტემპერატურაზე, აღმონაცენი ნელა ვითარდება. ყვავილობა ეწყებათ აღმონაცენის წარმოქმნიდან 75-85 დღის შემდეგ. სავეგეტაციო პერიოდი ძირითადად 150-160 დღეა. ვეგეტაცია წყდება ყინვების დანყებისას. მომთხოვნია სითბოს, სინათლის, ნიადაგის ტენისა და ნაყოფიერებისადმი.

პლანტაციის მოვლა მდგომარეობს: პერიოდულად მარგვლაში, რიგთაშორის გაფხვიერებაში, მორწყვასა და განოყიერებაში.

მოსავალს წელიწადში ორჯერ იღებენ: პირველად თიბავენ, როდესაც მცენარეთა სიმაღლე 60-70 სმ აღწევს, მეორედ - 35-40 დღის შემდეგ. მოსავალს აგროვებენ სასილოსე კომბაინებით, აშრობენ ჰაერზე ან საშრობებში. მშრალი ნედლეულის მოსავლიანობა (მინისზედა ყლორტების) 20-25 (40-მდე) ც/ჰა.

თესლის მისაღებად სპეციალურ პლანტაციებს აწყობენ, ნაყოფებს აგროვებენ შერჩევით მომწიფების შესაბამისად, სეზონზე 3-4-ჯერ /Котков, 1975; Вехов и др., 1978/.

Sorbus graeca (Spach) Heldr. - ამპურა
Fam Rosaceae - ოჯ. ვარდისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 20 მ-მდე სიმაღლის ხეა, იშვიათად ბუჩქი, მეჩხერი ვარჯით და გლუვი ნაცრისფერი ქერქით. ფოთოლი ტყავისებურია, მომრგვალო ან მომრგვალო ელიფსური, ძირში მომრგვალებული, ფირფიტის ქვედა მხარეზე ძარღვებიც თეთრი ქერისებრი შეხუსვითაა. ნაყოფი მომრგვალოა, წვნიანი, ნარინჯისფერი ან წითელი, მომჟავო გემოთი.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფები, რომლებსაც აგროვებენ სრული სიმწიფის პერიოდში. შეიცავს ვიტამინების მდიდარ კომპლექსს, მათ შორის ცხიმების დამშლელს: C, E, B1, B2, P, PP, K, კაროტინოიდებს და ფოლიუმის მჟავას. ფლავონოიდების შემცველობა და თავისუფალი ამინომჟავების რაოდენობა მასში უფრო მეტია, ვიდრე სხვა მრავალ ხილ-კენკროვან კულტურებში, აღმოჩენილია 18 თავისუფალი ამინომჟავა, მათ შორის 8 - შეუცვლელია; ფლავონოიდებს შორის აღინიშნება: რუტინი, კვერცეტინი, იზოკვერცეტინი; შეიცავს შაქრებს: გლუკოზას, ფრუქტოზას, სახარობას, სპირტ სორბიტს და სხვ; მთრიმლავ, მწარე და პექტინოვან ნივთიერებებს, ანთოციანებს, ფოსფოლიპიდებს, ორგანულ მჟავებს, სორბინისა და პარასორბინის მჟავებს, ეთერზეთებს, მაკრო და მიკროელემენტებს.

ვიტამინების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, ნაყოფები გამოირჩევა ორგანიზმზე საერთოგამაძლიერებელი მოქმედებით, ხასიათდება აგრეთვე ჰიპოტენზიური, მატონიზირებელი, ტკივილგამაყუჩებელი, დიურეზული, ოფლმდენი, ნალველმდენი, სისხლისშემაჩერებელი, სურავანდის საწინააღმდეგო თვისებებით. მედიცინაში გამოიყენება, როგორც პოლივიტამინური საშუალება. მნიშვნელოვანია ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ანეიტრალებს ტოქსიკურ ელემენტებს, ზრდის სისხლძარღვების რემისტენტულობას, ინვესს ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვან გარსზე, ამალღებს კუჭის წვენის მჟავიანობას, აუმჯობესებს მადას, დადებითად მოქმედებს ცხიმოვან ცვლაზე, არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს. ნაყოფების ფლავონოიდების ექსტრაქტი ორგანიზმში დასხივებად და მის შემდეგ შეყვანით ამალღებს ნერვული და კუნთოვანი უჯრედების რადიორემისტენტულობას. დადგენილია, რომ ჰეპატოლამცველ მოქმედებას ფლობს სორბიტი, სორბიტის მჟავა და ორგანული მჟავები.

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის ნაყოფები ვიტამინების მნიშვნელოვანი წყაროა, მათთვის უსაფრთხოა ტკბილი სორბიტი, რომელიც ასევე ხასიათდება ნაღველმდენი მოქმედებით, ამცირებს ღვიძლში და სისხლში ქოლესტერინის შემცველობას; ეფექტურია ქრონიკული ყაბზობისა და ნაღვლის სადინარების დაავადებებისას. ნაყოფებში ვიტამინების C და P შეხამება საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებების, ჰემორაგიული დიათეზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას. წვენი, ნაყენი და ნახარში - საჭმლის მონელების დარღვევების, ჰეპატიტის, ჰეპატოქოლეცისტიტის, გაძნელებული ნაღვლის გამოყოფისას; ნაყოფებს იყენებენ ქრონიკული ყაბზობის, მსხვილი და წვრილი ნაწლავის ათონიის, თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტში კენჭების, ცისტიტის, შარდის ბუშტის ანთების, გლომერულონეფრიტის სამკურნალოდ; ნაყოფებს და ყვავილებს - ავიტამინოზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, რევმატიზმის, გაციებისა (ოფლმდენი); ქერქის ნახარში მიიღება **ჰიპერტონიის** დროს, ყვავილების ნახარშს - ჩიყვის, ღვიძლისა და ქალური დაავადებებისას.

უარყოფითად მოქმედებს პროგრესირებადი გინგივიტისა და სტომატიტის დროს; ამპურის ნაყენით პირის ღრუს გამოვლენა კატეგორიულად არ არის რეკომენდირებული. ნაყოფის წვენი ასევე მავნეა გასტრიტის და მალალი მუავიანობისას.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია მცირე და შუა აზიაში, დასავლეთ ევროპის სამხრეთ-აღმოსვლეთში (ალბანეთი, ავსტრია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, იტალია, სლოვაკეთი, სერბეთი, უკრაინა; აღინიშნება აგრეთვე ყირიმში, კავკასიაში, ჩრდ. აფრიკაში (ალჟირი, მაროკო).

საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, აჭარაში, ქართლ-კახეთში, თრიალეთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის სარტყელში კლდეებზე, ქვიან ადგილებში, ჩამონახვავებზე.

Stevia rebaudiana Bertoni - სტევია, თათლოვანი ბალახი
Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, ფოთოლმცვენი, უხე-
ფოთლიანი ბალახოვანი 45-120 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ღერო
სწორმდგომია ან დახრილი, კარგად შებუსხვილი. ფოთლები მოგრძო-
ელიფსურია, კასკასა მწვანე; ყვავილები წვრილია, მოთეთრო-მწვანე,
შეკრებილია კონებად ყლორტების წვერებზე.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII.

მნიშვნელობა: აღნიშნულ სახეობას, ისევე როგორც გვარი სტევიას სხვა
წარმომადგენლებს, თანამედროვე ბრაზილიისა და პარაგვაის ტერი-
ტორიაზე მცხოვრები ძველი ინდიელი ტომის – გუარანის მკვიდრნი
იყენებდნენ მათე ჩაის (პარაგვაული ჩაი) და სხვა სამკურნალო ჩაის
შემადგენლობაში, დამწვრობისა და მთელი რიგი დაავადებების სამ-
კურნალოდ. აღინიშნებოდა, რომ მას შესწევს უნარი ადამიანის ორგა-
ნიზმში დარღვეულ ნივთიერებათა ცვლის პროცესების აღდგენის, ენე-
რგეტიკული დონის ამაღლების, სიბერის პროცესების დამუხრუჭების,
გარემოს უარყოფითი გავლენისაგან დაცვის, ორგანიზმის მთელი სის-
ტემის ჰარმონიზაციის; ამასთან ერთად გააჩნია ტკბილი გემო, რომე-
ლიც ახლოა შაქართან და მას სიტკბოთი რამდენიმე ათეულით აჭარ-
ბებს. ბოლო პერიოდში გახდომის დიეტისადმი გაზრდილი მოთხოვ-
ნილებიდან გამომდინარე, როგორც ნახშირწყლებისა და შაქრების
ბუნებრივ წყაროს კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა. შაქრის შემცვე-
ლად და საკვების დანამატად იყენებენ იაპონიაში, აშშ-ში, კანადაში. სა-

მედიცინო კვლევებმაც აჩვენა დადებითი შედეგები სიმსუქნისა და ჰიპერტონიის სამკურნალოდ.

განსაკუთრებული ყურადღება მცენარეს XX ს-ის 30-იანი წლებიდან მიექცა, როდესაც შესწავლილ იქნა მისი ქიმიური შემადგენლობა.

მთავარი ნივთიერებები, რომელმაც ეს სახეობა ცნობილი გახადა, მასში არსებული სტევიოზიდი და რეზაუდიოზიდებია, ესენია დიტერპენოიდული გლიკოზიდები, მათი სიტკბო 200-400-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე სახაროზის, და რაც მთავარია მათი უპირატესობაა კალორიების მინიმალური შემცველობა; მდიდარია სხვა სასარგებლო ნივთიერებებით - ვიტამინებით (A, B, C, P - ჯგუფის), ამინომჟავებით (ალინინებმა 17 სახის), მიკროელემენტებით, ბეტა-კაროტინით, ეთერზეთებითა და პექტინებით.

დადგენილია, რომ ბუნებრივი სიტკბოს გარდა, ბალახი ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, ამცირებს სისხლში შაქრის შემადგენლობას, აქვეითებს ქოლესტერინს, ამალღებს ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებს იმუნიტეტს, ანელებს სიბერის პროცესებს. თაფლოვანი ბალახი ხასიათდება ანტიმიკრობული მოქმედებითაც; რეკომენდირებულია მისი ჩაის მიღება გაციებისა და გრიპის პროფილაქტიკისათვის.

ბიოლოგიურად მომქმედი ნივთიერება სტევიოზიდი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის წყლულის დროს, ხელს უწყობს სისხლში შაქრის შემცირებას, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, მოქმედებს კბილის ემალზე, ეწინააღმდეგება პირის ღრუში ბაქტერიების გამრავლებას (აქედან გამომდინარე მრავალი კბილის პასტა, პირის ღრუს ჰიგიენის პროდუქტები სტევიოზიდს შეიცავს).

ამგვარად, მსოფლიოს წამყვანი დიეტოლოგები ამ მცენარეს თვლიან თანამედროვეობის ყველაზე სასარგებლო, პერსპექტიულ დამატკბობელ საშუალებად, მას აქვს სიტკბოს მაღალი კოეფიციენტი, დაბალი ენერგეტიკა, მდგრადია გაცხელებისას, ადვილად იხსნება, დოზირებულია, არ იწვევს ორგანიზმზე მავნე მოქმედებას; სტევიოზიდის საფუძველზე დამზადებული ტკბილეული რეკომენდირებულია ყველა ასაკის ადამიანისათვის.

სტევიოზიდის საფუძველზე მიღებული ნატურალური შაქრის შემცველი ტაბლეტები წარმოდგენილია სავაჭრო მარკეტ “სლადის ელიტ”-ით.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ (პარაგვაი, ბრაზილია) და ცენტრალური ამერიკის სუბტროპიკულ რაიონებში.

ჰაბიტატები: იზრდება ნახევრად მშრალ ტერიტორიაზე დაბლობიდან მთიან რაიონებამდე.

კულტივირება: კულტივირებულია და ფართოდ გამოიყენება საკვებ პროდუქტებად აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთის ჩათვლით, კორეაში, ტაივანზე, ტაილანდსა და მალაიზიაში, სახრეთ ამერიკასა (ბრაზილია, პარაგვაი, და ურუგვაი) და ისრაელში.

<https://www.swissinfo.ch/rus/глобализация-и-питани>.

Stephania glabra (Roxb.) Miers. - სტეფანია

Fam. Menispermaceae - ოჯ. მენისპერმასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ორსახლიანი მრავალწლოვანი 4 მ-მდე სიგრძის მერქნოვანი მცოცავი ლიანაა. ფესვთა სისტემა შედგება მსხვილი, მომრგვალო ფორმის, მოყავისფრო-მონაცრისფერო, ხორცოვანი ტუბერისაგან, ბაცი ყვითელი რბილობით. ფოთლები მსხვილია, კიდემთლიანი, ფარისებრი, სპირალურად განწყობილი, გრძელეუნწიანი. ყვავილები მომწვანო-ყვითელია, ცალსქესიანი, შეკრებილია ქოლგისებრ, ჩამოკიდებულ ყვავილელებად. მდებარებითი ყვავილები შედგება 3 ჯამისფოთლისა და 3 გვირგვინის ფოთოლაკისაგან, მამრობითი

- 6 ჯამის ფოთლისა და ასევე 3 გვირგვინის ფოთოლაკისაგან. ნაყოფი - წითელი, წვნიანი, სვერული კურკაა.

ფენოლოგია: ყვ. VII; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ტუბერი წარმოადგენს. შეიცავს დიდი რაოდენობით ალკალოიდებს: გინდარინს, სტეფანიინს, როტუნდინს.

ხალხურ მედიცინაში სტეფანიის პრეპარატები გამოიყენება როგორც დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ეფექტურია აგრეთვე ციებ-ცხელების დროს სიცხის დასაწევად, შველის უძილობას, თავის, ნაწლავებისა და კუჭის ტკივილებს; იხმარება ტუბერკულოზის, ბრონქიალური ასთმის, დიზენტერიის დროს.

ოფიცინალურ მედიცინაში სტეფანიის პრეპარატები იხმარება ნერვული სისტემის ფუნქციონალური დარღვევების დროს. ხასიათდება ჰიპოტენზური, სედატური და მსუბუქი ძილისმომგვრელი მოქმედებით.

მიღებულია პრეპარატი “გინდარინი”, უნიშნავენ ნევრასტენიის, ნაირგვარი ფსიქოზების, ნევროზების, მაღალი აღგზნებადობის დროს; გამაუმტკივნეველი საშუალებაა მშობიარობისას.

უკუქმედება: ინდივიდუალური შეუთავსებლობა, ჰიპერმგრძობიარობა; უკუმაჩვენებელია ფეხმძიმებისა და მეჭუჭური დედებისთვის.

გავრცელება: ბუნებრივი გავრცელების არეალია – ტროპიკული და სუბტროპიკული მთიანი რაიონები: ავსტრალია, სამხრეთ ჩინეთი, იაპონია, ბირმა, ვიეტნამი. ნედლეულის მიღების ძირითადი წყაროა - ინდოეთი.

ჰაბიტატები: სუბტროპიკული და ტროპიკული ტყეები.

კულტივირება: კულტივირებულია არეალის ფარგლებში. ინტროდუცირებულია აჭარაში 1958 წლიდან, სადაც შმუშავდა კულტურის მოყვანის ტექნოლოგია.

<https://lektrava.ru/encyclopedia/stefaniya>

Strophanthus combe Oliv. - სტროფანტი
Fam. Apocynaceae - ოჯ. ქენდირისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მსხვილი მერქნოვანი ლიანაა, იშვიათად ბუჩქი ან მცირე ზომის ხე, გრძელი, სუსტად მხვიარა გადაშლილი ყლორტებით. ფოთლები ჯვარედინ-მოპირისპირეა, იშვიათად რგოლურად შეკრებილი, ელიფსური, მახვილწვერიანი, შებუსხილი. ყვავილები სწორია, განწყობილია ყლორტების ბოლოებში დიქაზიუმებად; გვირგვინი ძაბრისებრია, ხუთნაკვთიანი გადახალუნით, ორიგინალური ფორმის, გვირგვინის ფურცლები გადაღუნულია, ყვავილის ხახაში 5 პატარა ორკბილა წითელი წამონაზარდით, გარედან მოთეთრო-ვარდისფერია, შიგნიდან ყვითელი, ხშირად ლაქებით. ნაყოფი შედგება 2 თითისტარისებრი ფოთლოურისაგან, მომწიფებისას ჰორიზონტალურად იხსნება. თესლი მრავალრიცხოვანია, ლანცეტისებრი, ბრტყელი, მუქი მურა.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეული თესლია. შეიცავს გულის გლიკოზიდებს: K-სტროფანტოზიდს და სხვა გლიკოზიდებს, რომლებიც დანაც ფერმენტული დამუშავების შემდეგ გამოიყოფა K-სტროფანტინი, ციმარინი, ციმაროლი, პერიპლოციმარინი, ჰელვეტიკოზიდი, ემიციმარინი, გლუკოჰელვეტიკოზიდი, გლუკოციმაროლი, ციმარინის მჟავა; აგრეთვე ქოლინი, ტრიგონელინი, საპონინები და ცხიმბეთები (35%-მდე); ფესვების ქერქში აღინიშნება - გულის გლიკოზიდები (0.6-0,7%), ქოლინი და ტრიგონელინი.

სამედიცინო პრაქტიკაში სტროფანტის პრეპარატები გამოიყენება გულის მოქმედების დეკომპენსაციისათვის შემდეგი დაავადებებისას: გუ-

ლის მანკი, ნეფრიტის ნიადაგზე წარმოქმნილი გულის მწვავე უკმარისობა, გულის ასთმა, ინფექციური დაავადებები, კარდიოათეროსკლეროზი, ფილტვების შეშუპება. თერაპიულ დოზებში სტროფანტი აძლიერებს გულის სისტოლურ კუმშვადობას, ახანგრძლივებს დიასტოლს, ანელებს რიტმს, ამცირებს მოდუნებულ მდგომარეობასა და ქოშინს, ამცირებს დიურეზს. *Digitalis*-ის პრეპარატებისაგან განსხვავებით ნაკლებად ავინროებს გულის ვენურ სისხლძარღვებს, ნაკლებია კუმულირება, ორგანიზმიდან სწრაფი გამოდევნის გამო. სტროფანტის მოქმედება სისხლში შეყვანის პირველი წუთებიდანვე იწყება, რაც მეტად მნიშვნელოვანია გულის მწვავე უკმარისობისას.

სტროფანტის პრეპარატები საფრთხილია დისტროფიკებისათვის.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ აფრიკაში, სენეგალიდან ანგოლამდე.

ჰაბიტატები: ნოტიო ტროპიკული ტყეები და ტყის პირები.

კულტივირება: კულტივირებულია კამერუნში და ტროპიკულ აღმოსავლეთ აფრიკაში.

https://ru.wikipedia.org/wiki/Строфант_Комбе

Strychnos nux- vomica L. - ქუჩულა

Fam. Loganiaceae - ოჯ. ლოგანიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე ტროპიკული ხეა 10-15 მ- მდე სიმაღლის. ფოთლები მოპირისპირეა, ოვალური, პრიალა, ტყავისებრი. ყვავილები წვრილია, მომწვანო-თეთრი, ხუთწევრიანი, მილისებრი

გვირგვინით, წარმოქმნის ნახევარქოლგა ყვავილედებს ფოთლების უბეებში. ნაყოფი კენკრისებრია, სფერული, კაშკაშა ნარინჯისფერ-წითელი, მსხვილი, მაგარი გარსითა და უფერო სქელი რბილობით, 2-6 თესლით. თესლი დისკოსებრია, უსწორო, მოყვითალო-ნაცრისფერი, აბრეშუმისებრ პრიალა ზედაპირით, დაფარულია მრავალრიცხოვანი ბუსუსით.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

მნიშვნელობა: სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება თესლები; შეიცავს 2-3% ალკალოიდების ჯამს (სტრიხნინს, ბრუცინს, კოლუბრინს, ფსევდოსტრიხნინს, სტრუქსინს, ვომიცინს), ქიმიურ ნივთიერებებს (ციკლოარსენალს, სტიგმასტერინს, ლოგანიზს, ქლოროგენის მჟავას).

მცენარის გალენურ პრეპარატებს მცირე დოზებში იყენებენ მადის გამაძლიერებლად და საკვების მონელების გასაუმჯობესებლად.

ქუჩულას პრეპარატების რეზორბტიული მოქმედება შესწავლილია მცენარის ინდივიდუალური ალკალოიდის სტრიხნინის ნიტრატის მაგალითზე. პირობითი რეფლექსების მეთოდით დადგინდა, რომ სტრიხნინი აძლიერებს როგორც ამგზნებ, ასევე დამამუხრუჭებელ პროცესებს თავის დიდი ნახევარსფეროს ქერქში.

სტრიხნინი მედიცინაში გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორად, აგრეთვე მამოძრავებელი აპარატის დამბლისა და პარეზების დროს. თერაპიულ დოზებში იყენებენ როგორც მატონიზირებელ საშუალებას ნივთიერებათა ცვლის დარღვევების, ჩქარი დაღლილობის, კუჭის ათონიის, მადის გაუარესებისას და ა.შ. ფართოდ გამოიყენება მხედველობისა და სმენის ანალიზატორების დაავადებებისას.

უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიული დაავადებების, ბრონქიალური ასთმის, სტენოკარდიის, ათეროსკლეროზის, მწვავე და ქრონიკული ნეფრიტის, ჰეპატიტის, ჰიპერკინეზის, ფეხმძიმობის, ბაზელური დაავადებების დროს.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია აფრიკის, ინდოეთის, ავსტრალიისა და სამხრეთ ამიის ტროპიკულ ქვეყნებში.

კულტივირებულია აფრიკის ტროპიკებში.

**Syzygium aromaticum (L.) Mercii et Perry (=Caryophyllus aromaticus L.) -
მიხაკის ხე**

Fam. Myrtaceae - ოჯ. მირტიცებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ტროპიკული მარადმწვანე 10 მ-მდე სიმაღლის ხეა, ლამაზი პირამიდული ვარჯით, ხასიათდება ძლიერი არომატით. ფოთლები ტყავისებრია, მოპირისპირე, ყუნწიანი, ელიფსური, შიშველი, მუქი მწვანე. ყვავილები მენამული=წითელია, წვრილი, შეკრებილია რთულ ნახევრადქოვებად. ნაყოფი - ცრუ კენკრაა.

ფენოლოგია: წელიწადში ორჯერ ყვავილობს და ამასთან იძლევა უხვ მოსავალს.

ნიშვნელობა: როგორც სანელებელი და სამკურნალო საშუალება მიხაკის ხე უძველესი დროიდანაა ცნობილი და ფართოდ იხმარებოდა ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთში, ეგვიპტესა და ჩინეთში, შეჰქონდათ ძველ რომშიც. ყველასათვის ნაცნობი სანელებელია, რომელიც მყარად დამკვიდრდა ჩვენს სამზარეულოში. სანელებელს წარმოადგენს მიხაკის ხის გაუშლელი ყვავილები – კოკრები, რომლებსაც თავისებური პატარა ლურსმნის ფორმა აქვს,

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს სურნელოვან ეთერზეთებს, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ნატურალურ გამაუმტკივნეველ, ანტიესპტიკურ, ანტიბაქტერიულ, ანტივირუსულ, ანტიბიოტურ და სპაზმოლიტურ საშუალებას.

არომათერაპიაში მიხაკის ეთერზეთები ადამიანის ორგანიზმზე სამი მიმართულებით მოქმედებს: ემოციურ, მენტალურ და ფიზიკურ დონეზე. ხელს უწყობს ძალების აღდგენას მძიმე გონებრივი და ფიზიკური

შრომის შემდეგ, არის მატონიზირებელი, ანტიესპტიკური, ანტიოქსიდანტური, აძლიერებს ტვინის მოქმედებას და ამასთან ერთად აძლიერებს ნერვულ სისტემას.

ევროპულ და აზიურ მედიცინაში გამოიყენება როგორც მასტიმულირებელი და ქარმდენი საშუალება.

ხალხური მკურნალების რეკომენდაციით იხმარება ბრონქიტის დროს სუნთქვის გასაუმჯობესებლად, ხელს უწყობს სისხლისმიმოქცევას, ამგვარებს ღვიძლს, აუმჯობესებს კუჭის მოქმედებას, შველის კბილის ტკივილს, დაღლილ თავსებს.

არ არის რეკომენდირებული 2 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მალალი არტერიალური წნევით დაავადებულთათვის.

გავრცელება: სამშობლო მოლუქისა და ფილიპინების კუნძულებია.

კულტივირება: სადღესოდ მოჰყავთ ინდონეზიაში (მოლუქის კუნძულების ჩათვლით), მალაიზიაში, ინდოეთში, ცვილონზე, მადაგასკარზე, ტანზანიაში (მსოფლიო წარმოების 90%), ზანზიბარისა და პემბას კუნძულები.

Tanacetum vulgare L. - ასფურცელა

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთულებავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 80-120 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძოკვერცხისებრი, ფრთისებრ-განკვეთილი, დასრევვისას ძლიერ სურნელოვანი. ყვავილი ყვითელია,

წერილი, მილისებრი, შეკრებილია კალათებად, რომლებიც ღეროს ზედა ნაწილში წარმოქმნის ხშირ ფარისებრ ყვავილედს. ნაყოფი წერილი თესლურაა, ბაცი ჩალისფერი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ძირითადად ყვავილები წარმოადგენს, თუმცა ხალხურ მედიცინაში მოყვავილე ყლორტებიც გამოიყენება. შეიცავს ეთერზეთებს, ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ და მწარე (ტანაცეტინს) ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, კაროტინს.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, ანტისეპტიკური, შარდმდენი, მთრიმლავი, შემკვრელი, ნალველმდენი, ჭიისდამდენი, ჭრილობების შემახორცებელი, საჭმლის მონელებისა და მადის გამაუმჯობესებელი მოქმედებით.

აძლიერებს გულის მუშაობას, ამაღლებს არტერიალურ წნევას, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვული აშლილობის, ეპილეპსიის, ისტერიის, ფეხების კრუნჩხვის, თავის ტკივილებისას. შარდმდენი მოქმედებით გამოირჩევა წყალმანკის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთების შემთხვევაში; მატონიზირებელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუსკულატურის, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, მადას; რეკომენდირებულია კუჭ-ნაწლავის დაავადებების, გასტრიტის, განსაკუთრებით დაბალი მჟავიანობის დროს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ნაწლავების ანთების, მეტეოროზმისა და სუსტი პერისტალტიკის, ფალარათის სამკურნალოდ; აგრეთვე როგორც ნალველმდენი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება ღვიძლის, ჰეპატიტისა და ლამბლიოზის დაავადებებისას, მას ღებულობენ უხვი მენსტრუაციის, თეთრი შლის დროს. ტრადიციულად გამოიყენება როგორც კარგი ჭიისმდენი საშუალება ასკარიდების, სოლიტერების, ლამბლიებისა და სხვა პარაზიტების საწინააღმდეგოდ.

ასფურცელას ნაყენი გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნეების დროს როგორც შინაგანად, ასევე გარეგანად - საფენების სახით.

უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისათვის; ტოქსიკურობის გამო, ასევე დაუშვებელია მისი ხანგრძლივად მიღება.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის მთელ ტერიტორიაზე, თურქეთში, კავკასიაში ყაზახეთში, ყირგიზეთში, მონღოლეთში, ჩინეთ-იაპონიასა და კორეაში.

საქართველოში გვხვდება აფხაზეთში, მთიულეთში, კახეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მდინარეთა ნაპირებზე, მდელოებზე, სტეპებზე, გზის პირებზე, საცხოვრებლების მახლობლად.

Taraxacum officinale L. - სამკურნალო ბაბუნაწვერა

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30 სმ-მდე სიმაღლის, სუსტად დატოტვილი მთავარღერძა ფესვით, რომელიც ზედა ნაწილში გადადის მოკლე მრავალთავიან ფესურაში. ფოთლები შიშველია, ბურბუშელასებრ ან ჩანგისებრ ფრთისებრ-განკვეთილი ან მთლიანი, ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტა, დაკბილული, შეკრებილია ფესვთანურ როზეტად. საყვავილე ისარი წვნიანია, ცილინდრული, ღრუ, მთავრდება მარტოული კალათით, ენისებრი ყვავილები კაშკაშა ყვითელია. ნაყოფი მონაცრისფრო-მურა თესლურაა.

ფენოლოგია: ყვ. IV-X; ნაყ. V-X

მნიშვნელობა: უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საკვებად და სანელებლად სხვადასხვა ხალხის მიერ. მცენარის რძის წვენი შეიცავს ტარაქსაცინსა და ტარაქსაცერინს, 2-3 მგ% კაუჩუკოვან ნივთიერებას, ყვავილედო და ფოთლები - ტარაქსანტინს, ფლავოსაქტინს, ვიტამინებს (A, C, B₂, E, PP), ქოლინს, საპონინებს, ფისებს, რკინას, კალციუმს, ფოსფორს, 5 მგ%-მდე ცილებს; ფესვები - ტრიტერპენულ შენაერთებს: ტარაქსასტეროლს, ტარაქსეროლს, ფსევდო ტარაქსასტეროლს, სტერი-

ნებს: სიტოსტერინს, სტიგმასტერინს, ტარაქსოლს; ნახშირწყლებს - 40 მგ%-მდე ინულინს; ცხიმოვან ზეთებს (რომლის შემადგენლობაშია: პალმიტინის, მელისას, ლინოლინის, ოლეინის გლიცერიდები), კაუჩუკს, ცილებს, ლორწოსა და სხვ. კალათებსა და ფოთლებში აღმოჩენილია ტარაქსანტინი, ფლავოქსანტინი, ლუთეინი, ტრიტერპენული სპირტები, არნიდიოლი, ფარადიოლი.

სამკურნალო მიზნებისათვის გამოიყენება ფესვები, ფოთლები, ბალახი, წვენი. მცენარე ხასიათდება ნალველმდენი, სიცხისდამწვევი, საფალარათო, ამოსახველებელი, დამამშვიდებელი, სპაზმოლიტური და მსუბუქი დამაძინებელი მოქმედებით. ფესვებისა და ფოთლების წყლიანი ნაყენი აუმჯობესებს მადას, საკვების მონელებას და ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებს მეძუძურ ქალებში რძის გამოყოფას, ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს.

ქიმიურ-ფარმაკოლოგიური შესწავლისას, ექსპერიმენტულად დამტკიცებულია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო, ანტივირუსული, ფუნგიციდური, ანტიჰელმინტური, ანტიკანცეროგენული და ანტიდიაბეტური მოქმედება. რეკომენდირებულია დიაბეტის, მატონიზირებელი საერთო სისუსტის, ანემიის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჰეპატიტის, ქოლევცისტიტის, ნალველკენჭოვანი დაავადების, სიყვითლის, გასტრიტის, კოლიტის, ცისტიტის, მადის გასაუმჯობესებლად, ყაბზობის, მეტეორიზმის, აგრეთვე მუცლის ჭიების საწინააღმდეგოდ. ბალახის ნაყენს ფესვებთან ერთად ხმარობენ ღვიძლისა და ნალვლის ბუშტის, შარდკენჭოვანი დაავადებების, სიმსივნის, წყალმანკის, ბუასილის დროს. ბალახის ნაყენი გამოიყენება ავიტამინოზის, კანის სხვადასხვა დაავადებების (გამონაყრები, ფერისმჭამელები, ფურუნკულები) სამკურნალოდ.

ხალხურ კოსმეტიკაში პოპულარობით სარგებლობს; ნედლი ფოთლების ნიღაბი კვებაგს, ატენიანებს და აახალგაზრდავებს სახის კანს, ხოლო ყვავილების ნაყენი აფერმკრთალებს ჭორფლს და ჰიგმენტურ ლაქებს.

ბაბუაწვერას წვენი ასტიმულირებს ნალვლის სეკრეციას, სასარგებლოა როგორც ღვიძლის, ასევე ნალვლის ბუშტის დისფუნქციის შემთხვევაში. 2009 წელს, კანადის დედაქალაქ ონტარიოში, ვინძორის უნივერსიტეტში კიბოს წინააღმდეგ ბაბუაწვერას საოცარი უნარი შენიშნეს. როგორც

ონკოლოგი ჰამელა ოვადჯე აღნიშნავს, მას ჰქონდა ინფორმაცია ბა-
ბუანვერას შესახებ, რომ მისი ძირებისგან დამზადებული ჩაის მიღების
შემდეგ ონკოლოგიურ პაციენტებს ცვლილებები აღენიშნებოდათ. თავ-
ვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ ბა-
ბუანვერას ფესურების ნაყენი ეფექტური იყო T-უჯრედოვანი ლეიკემიის,
ქრონიკული მიელოიდური ლეიკემიის წინააღმდეგ. როგორც გაირკვა,
ბაბუანვერას ფესურების ექსტრაქტი იწვევს აპოპტოსისს (აპოპტოსისი
არის ბუნებრივი უჯრედული პროცესი, რომელიც ააქტიურებს შიდა-
უჯრედულ სიკვდილის პროგრამას), რაც ნიშნავს, რომ ექსტრაქტი იწ-
ვევს კიბოს უჯრედების თვითმკვლევლობას.

სიტერთხილის ღონისძიებები: ფალარათიანობისაკენ მიდრეკილება
(ბიძინაშვილი, 2018).

გავრცელება: კოსმოპოლიტური, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებულ
მცენარეა, განსაკუთრებით ტყესტეპის ზონაში.

ჰაბიტატები: იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან შუა სარტყლამდე მდე-
ლოებზე, გზის პირებზე, მიტოვებულ ნაკვეთებზე, ხშირად, როგორც სა-
რეველა, მინდვრებში, ბაღებში, ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებში.

Thea sinensis L. - ჩინური ჩაის ბუჩქი

Fam. Theaceae – ოჯ. ჩაისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ხე ან მსხვილი ბუჩქია, კულტურაში 1,5 მ სი-
მაღლის. ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი, ოვალური, მახვილი,
მუქი მწვანე, პრიალა, 6-30 სმ სიგრძის, ნორჩი ფოთლები შებუსუსია.
ყვავილები (1-5 ცალად შეკრებილი) განლაგებულია ფოთლების ილ-
ლიებში, 2-5 სმ დიამეტრისაა, არომატული, ორმაგი ყვავილსაფრით;

გვირგვინი 5-9 თეთრი ან ვარდისფერი ფურცლისაგან შედგება, მტვრიანა მრავალია, სამტვრეები ყვითელია. ნაყოფი 3-4 ბუდიანი კოლოფია, ბუდეში თითო ან რამდენიმე თესლით.

ფენოლოგია: ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: განსაკუთრებული წესით დამუშავებული მშრალი ჩაის ფოთლები იძლევა ყველასთვის ცნობილ “ჩაის” პროდუქტს, რომელსაც იყენებენ ყოველდღიური ცხელი მატონიზირებელი სასმელის მისაღებად. მშრალი ჩაი შეიცავს 12 მგ% ტანინებს, 16 მგ% ცილებს, 1,5 მგ% შაქრებს, ალკალოიდებს (4 მგ% კოფეინი, თეოფილინი, თეობრამინი), ეთერზეთებს კვალის სახით, ვიტამინებს (C-250 მგ%, P, PP), მიკროელემენტებს (Fe, Mg, K, Mn, I, Cu, Au, P) და სხვ. ჩაის დაყენებისას ნაყენში აღინიშნება დიდი რაოდენობის ხსნადი ნივთიერებები, მათ შორის მთრიმლავი ნივთიერებები, რომელიც ჩაის აძლევს მწკლარტე გემოსა და ყავისფერ შეფერილობას, ხოლო არომატს განსაზღვრავს ეთერზეთები; რაც შეეხება ვიტამინებსა და ალკალოიდებს ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩაის ანიჭებს მატონიზირებელ და სამკურნალო თვისებებს.

ხასიათდება მასტიმულირებელი, ბაქტერიოციდული, ფალარათის საწინააღმდეგო, სისხლძარღვთა გამაფართოებელი, (განსაკუთრებით გულის), შარდმდენი, გლეჯი კუნთების ანტისპაზმური, სისხლის კაპილარების კედლების გასამაგრებელი მოქმედებით. ჩაიში შემავალი თეოფილინი - აუმჯობესებს გულის მუშაობას, ახდენს ნაღვლის ბუშტის მტკივნეული სპაზმის მოხსნას, სპასტიკური ბრონქიტისას აადვილებს სუნთქვას. ტანინები - ხელს უწყობს C ვიტამინის დაგროვებას, ხელს უშლის ცინგის განვითარებას. P ვიტამინი - თრგუნავს ფარისებრი ჭირკვლის ფუნქციას მისი ჰიპერფუნქციის დროს. კოფეინი - იწვევს დათრგუნული ნერვული სისტემის, სუნთქვის, გულის მუშაობის გააქტიურებას. ტანინები P ვიტამინთან კომბინაციაში - ახდენს კარგად გამოხატულ ანტისაფალარათო (შემკვრელ) მოქმედებას. ჩაი აქვეითებს მიოკარდიის ინფარქტის განვითარების რისკს.

გადაჭარბებული გამოყენება იწვევს მალალ აღგზნებადობას; მაგარი ჩაი უკუმაჩვენებელია გულის დაავადებების, ნევროზისა და წყლულოვანი დაავადებებისას.

გავრცელება: ველურად კამელია იზრდება ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთებში (ასამი) და ინდოჩინეთის მოსაზღვრე რაიონებში.

ულტივირება: უკვე 2500 წლით ადრე ახალ ერამდე, როგორც სამკურნალო მცენარე კულტივირებული იყო ჩინეთში. XIX ს-ის 60-იან წლებში ოზურგეთის რაიონში შეიქმნა ჩაის ბუჩქის პირველი პლანტაცია.

Thermopsis lanceolata R. Br. - ლანცეტა თერმოპსისი

Fam. Fabaceae (Leguminosae) - ოჯ. პარკოსანნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 20-40 სმ სიმაღლის მცენარეა, მხოხავი გრძელი ფესურით. ღეროები სწორმდგომაია, წახნაგოვანი, შებუსული. ფოთლები სამწვერაა, ფოთოლაკები მოგრძო-ხაზურია ან უკულანცეტა. ყვავილედის - წვეროსეული მტევანია, ყვავილები მოპირისპირედია განწყობილი ან რგოლურია, გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი - ხაზური ყავისფერი პარკია, შავი თირკმლისებრი თესლებით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ბალახი წარმოადგენს, აგროვებენ ყვავილობის საწყის პერიოდში. ბალახი შეიცავს ალკალოიდებს - თერმოტსინს, ჰომოთერმოტსინს, პახიკარპინს, ანაგირინს, მეთილციტიბინს, გლიკოზიდ თერმოტსილანცინს, საპონინებს, მთრიმლაგ ნივთიერებებს, ლორწოს, ეთერზეთებს, ფისებს; თესვლებში აღინიშნება - ალკალოიდი ციტიბინი, რომელიც ამ ალკალოიდის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ალკალოიდი ციტიბინი მიეკუთვნება განვლიო-

ნარული მოქმედების ნივთიერებას, სუნთქვაზე მისი აღმგზნები თვისებებიდან გამომდინარე, განიხილება როგორც სასუნთქი ანალეპტიკი. მიღებულია კომპლექსური პრეპარატები „ციტიტონი“ და „ტაბექსი“, ხველების საწინააღმდეგო აბები, დაჭრილი ბალახი.

მცენარე გამოირჩევა ძლიერი შემომგარსავი, ამოსახველებელი, სეკრეტოლიტური, მიკრობების და ანთების საწინააღმდეგო, გამაუმტკივნეველი, ჭისმდენი მოქმედებით. ხელს უწყობს არტერიალური წნევის ამაღლებას, საშვილოსნოს ტონუსის გაძლიერებას, აღაგზნებს მადას, ავინროებს ნერვული სისტემის კვანძებს, გამოირჩევა კურარეს მსგავსი მოქმედებით.

თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა სახის გაციებებისა და ინფექციური დაავადებებისას. ბალახის ნაყენი ხელს უწყობს სასუნთქი გზებიდან ნახველის სწრაფ გამოდევნას, აღაგზნებს სუნთქვას, ხსნის პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმებს, მითითებულია ჰიპერტონიული დაავადებებისას; ბალახის ფხვნილი ინსექტიციდური მოქმედებისაა. ეფექტური ჭისმდენი საშუალებაა. მას უნიშნავენ არა მხოლოდ ფილტვებისა და ბრონქების ანთების დროს, აგრეთვე ციებ-ცხელების, გრიპის, თავის ტკივილებისა და ნაწლავების ათონიის სამკურნალოდ.

მცენარე შხამიანია, მიიღება ექიმის რეკომენდაციით. ჰიპერმგრძობიარეა კუჭისა და 12-გოჯანანლავის წყლულის დროს. დოზის გადაჭარბება იწვევს პირღებინებას.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში, აზიის აღმოსავლეთ რეგიონებში: დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, ჰიმალაიზე, ჩინეთსა და იაპონიაში, შუა აზიაში. ყირგიზეთში, ყაზახეთსა და ბაშკირეთში.

ჰაბიტატები: საკარანტინო სარეველაა; იზრდება მინდვრებსა და მდელოებზე, დარღვეულ ადგილსამყოფლებში, ხშირად დასახლებუ პუნქტებთან ახლოს.

<http://gotoaltay.ru/altay/prirodnye-dostoprimechatelnosti/rastenija/termopsis-lanceolatus-termopsis-lanceolata>.

Thymus vulgaris L.- ჩვეულებრივი ბეგეონდარა
Fam. Lamiaceae (Labiatae) - ოჯ. ჯინჯრის-დედასებრნი (ტუჩოსანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქია, კარგად განვითარებული მთავარღერძა ფესვით. ღერო გამერქნებულია, ოთხ-ნახნაგოვანი, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი, 50 სმ-მდე სიმაღლის; ფოთლები მოპირისპირეა წვრილი, მოგრძო-უკუკვერცხისებრი, მოკლექუნნიანი, ორივე მხრიდან დაფარულია წერტილოვანი ჯირკვლებით. ყვავილები განლაგებულია ზედა ფოთლების უბეებში, თანაყვავილები წვრილია, ლანცეტა ფორმის. გვირგვინი ორტუჩაა, ბაცი იისფერი, ვარდისფერი ან თეთრი. მტვრიანა - 4. ნაყოფი შედგება ოთხი კაკლუქისაგან, მომრგვალოა, მურა-ყავისფერი. 1000 თესლის წონა 0,3 გ-ია.

ფენოლოგია: ყვ. V-VII; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია ფოთლები, შეიცავს ეთერზეთებს 0,8-1,2 % მდე. მისი ხარისხი განისაზღვრება თიმოლით, რომლის შემცველობაა 42 %. სხვა შემადგენელი ნაწილებია: კარვაკროლი, ტერპინელოლი, ბორნეოლი, კარიოფილენი, ლინალოლი და სხვ. ეთერზეთების გარდა შეიცავს - თიმონის ტრიტერპენულ მჟავებს, თიმუს-საპონინს, ურზოლისა და მჟაუნმჟავებს, უმნიშვნელო რაოდენობითაა ფლავონოიდები.

ხასიათდება ამოსახველებელი მოქმედებით, გამოიყენება ბრონქიტისა და ყვიანახველის დროს. სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება თიმოლი, გამოირჩევა მაღალი ბაქტერიოციდული აქტივობით პათოგენური კოკებისა და სოკოების მიმართ, რის გამოც ფართოდ გამოიყენება ეპი-

დერმოფიტებისა (კანის სოკოვანი დაავადებები) და აქტინომიკოზისას. ასევე - როგორც ანტისეპტიკური, მადღზინფიცირებელი, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება.

გავრცელება: ხმელთაშუაზღვეთური მცენარეა.

საქართველოში ბუნებრივად არ არის გავრცელებული; იზრდება ამ გვარის სხვა სახეობები, რომლებიც ქართულ ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება.

კულტივირება: კულტივირებულია შემდეგ ქვეყნებში: საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, სამხრ. საფრანგეთი, გერმანია, აშშ, რუსეთი, უკრაინა, უნგრეთი და სხვ.

სინათლის მოყვარული მცენარეა, განსაკუთრებით განვითარების საწყის პერიოდში. სიმშრალის ამტანია; მოთხოვნილება ტენის მიმართ გაზრდილია აღმონაცენის წარმოქმნისას, რის შემდეგაც გადამეტებული ტენი აჩერებს მცენარეთა განვითარებას. ასევე მომთხოვნია ნიადაგის განოყიერებისადმი და მეტად დადებითად რეაგირებს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანაზე. მისი გამომზრდისათვის საუკეთესოა ნაკვეთები სამხრეთის ექსპოზიციის, ქარისაგან დაცული, სტრუქტურული, მდიდარი საკვები ნივთიერებებით და წყალგამტარი ნიადაგები. კარგი წინამორბედია საშემოდგომო მარცვლოვნები და სათოხნი კულტურები, რომლებიც ნაკვეთს სარეველებისაგან გასუფთავებულს ტოვებენ. ძირითად დამუშავებას - მზრალად ხვნას ატარებენ შემოდგომით, 25 სმ სიღრმეზე. თესვისწინა დამუშავება დამოკიდებულია თესვის ვადებზე. თუ გაზაფხულზე თესენ, ტარდება დაფარვაცხვა და კულტივაცია. კარგად რეაგირებს სასუქებზე, 20-40 ტ/ჰა ნაკელის შეტანა სხვა მინერალურ სასუქებთან (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) ერთად განაპირობებს ჩვეულებრივი ბეჭქონდარას მაღალ მოსავლიანობას.

შემოდგომით მზრალად ხვნის დროს შეაქვთ ნაკელი, ამონიუმის სულფატი - 200კგ/ჰა, სუპერფოსფატი - 300 კგ/ჰა, კალიუმის მარილი - 100-150 კგ/ჰა. ვეგეტაციის მეორე წელს ატარებენ 1-2 გამოკვებას აზოტოვანი და ფოსფორიანი სასუქებით - ამონიუმის გვარჯილა 100 კგ/ჰა, სუპერფოსფატი - 200კგ/ჰა. პირველი განოყიერება ტარდება ადრე გაზაფხულზე, მეორე - პირველი მოსავლის აღების შემდეგ.

ამრავლებენ ჩითილებით. მათი წარმოებისათვის თესავენ ღია გრუნტში-კვლებში 5-10 კგ/ჰა. მუდმივ ადგილას ჩითილებს რგავენ მაისის

ბოლოს ან შემოდგომით, რიგთაშორისებში 60 სმ-დაშორებით, რიგებში 40-50 სმ. დასაწყისში იზრდება შენელებულად, აუცილებელია ამ პერიოდში განსაკუთრებული მოვლა და სარეველებთან ბრძოლა; აფხვიერებენ 3-4-ჯერად რიგთაშორისებში, შემდგომ წლებში დამუშავების რიცხვი მცირდება.

მოსავალს იღებენ ორჯერადად მასობრივი ყვავილობის პერიოდში; თიბვა არ ხდება მცენარეთა 10-15 სმ სიმაღლეზე ქვევით; ეთერზეთების მისაღებად განკუთვნილი მოთიბული ნედლეულის გამოხდა წყლის ორთქლზე წარმოებს. თუ ბეგქონდარას გამოზრდა ფოთლების მისაღებად ხდება, ნედლეულს აშრობენ ჩრდილში ან საშრობებში 35⁰ C ტემპერატურაზე, რის შემდეგაც ხდება ფოთლების დალენვა და გაცრა 0,5 სმ-იან ხვრელები საცერში.

თესლების მისაღებად იყენებენ 2-3 წლიან ნარგაობებს, მოსავალს იღებენ თესლების მურა შეფერილობისას; მოთიბულ მიწისზედა ნაწილს აშრობენ, შემდეგ კი ლენავენ.

პირველ წელს მოსავლის აღება ერთხელ ხდება, მეორე და მომდევნო წლებში იძლევიან ორჯერად მოსავალს, რაც შეადგენს 12-15 ც/ჰა. თესლების მოსავალი 60-80 კგ/ჰა.

Tilia cordata Amill - ცაცხვი

Fam. Tiliaceae - ოჯ. ცაცხვისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: 25 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა, ფართოდ დატოტვილი ვარჯით. ქერქი მუქია, ასაკოვან ხეებზე - დალარული. ფოთლები მორიგეობითია, გულისებრი, გრძელყუნწიანი, დაკბილული, წაწვეტებული წვერით, ზედა მხარეს - მწვანე, ქვედაზე -

ლევა, მერქალი. ყვავილები ორსქესიანია, ორმაგი ხუთად განკვეთილი ყვავილსაფრით, მოყვითალო თეთრი შეფერილობის, სურნელოვანი, შეკრებილია ჩაქინდრულ ფარისებრ ყვავილედებად. ნაყოფი სფერულია, პატარა ზომის, თხელი ტყავისებრი ქერქით, შებუსული, ერთ ან ორთესლიანი კაკლუჭა.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: მედიცინაში გამოიყენება ცაცხვის ყვავილები, თანაყვავილედის ფოთლებთან ერთად. შეიცავს: ეთერზეთებს, ფლავონურ გლიკოზიდს ჰესპერიდინს, მთრიმლაგ ნივთიერებებს, საპონინებს, ლორწოს, კაროტინს, ასკორბინის მუავას.

ხასიათდება ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, სიცხისდამწევი, სპაზმოლიტური, სისხლის შედედების გამაძლიერებელი, ნერვული სისტემის დამამშვიდებელი, შარდმდენი, ოფლმდენი, ნალველმდენი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით. იყენებენ პირისა და ხახის გამოსავლებად ანთებითი პროცესებისა და ანგინის დროს; მას უნიშნავენ ზედა სასუნთქი გზების მწვავე დაავადებების, ბრონქიტის, ნიკრისის ქარების, პიელონეფრიტის, ცისტიტის, კრუნჩხვების, ეპილექსიის, ბრონქიალური ასთმის, ბუასილის, კუჭის სპაზმის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში ყვავილების ნაყენი ან ნახარში ცნობილია როგორც ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი საშუალება; გამოიყენება ნერვული სისტემის გადაჭარბებული აღგზნებულობის, კრუნჩხვების, მკერდისა და მუცლის ტკივილების, უძილობის, როგორც ოფლმდენი და სიცხის დამწევი საშუალება. ჩაის დალევას ურჩევენ თირკმელების, ღვიძლისა და ჰიპერტონიული დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებს.

ცაცხვი საუკეთესო თაფლოვანი მცენარეა, ნექტარის ხარისხითა და მოსავლიანობით მას ბადალი არ მოეძებნება.

გავრცელება: მისი არეალი გადაჭიმულია სამხრეთ ბრიტანეთიდან დასავლეთ ციმბირამდე, მოიცავს კავკასიას, ბულგარეთს, იტალიასა და ესპანეთს.

საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია სამაჩაბლოში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში.

ჰაბიტატები: იზრდება მთის ტყეებში, უმთავრესად ზედა სარტყელში, მშრალ ადგილებზე, ზოგჯერ ქმნის კორომებს, ადგილ-ადგილ მონაწილეობს სუბალპური ტყეების შემადგენლობაში.

https://ru.wikipedia.org/wiki/Липа_сердцевидная

Tribulus terrestris L. - კუროსთავი
ოჯ. ორყურასებრნი - Fam. Zygophyllaceae



ბოტანიკური დახასიათება: ერთნლოვანი ბალახოვანი მცენარეა გართხმული, დატოტვილი ღეროთი, ყვითელი ყვავილებით და ვარსკვლავისებრ გაფართოებული 5-კაკლუჭიანი ნაყოფებით, თითოეულ მათგანზე ორი ეკალია განვითარებული.

ფენოლოგია: ყვ. V-IX; ნაყ. VI-X.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ ბალახი გამოიყენება, აგროვეგენ ყვავილობის და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდებში. შეიცავს დიდი რაოდენობით C ვიტამინს, ალკალოიდებს, სტეროიდულ გლიკოზიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, საპონინებს, ფლაवონოიდებს, მცენარეულ სტერინებს, ცხიმზეთებს, ბიოლოგიურად აქტიურ ცილებს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას. თესლებში აღინიშნება ჰორმონები. ხასიათდება სისხლშემამჩერებელი, მატონიზირებელი, შემკვრელი, შარდმდენი, ნალველმდენი, ანტისიმსივნური, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

საუკეთესო საშუალებაა სკლეროზის პროფილაქტიკის. ახდენს ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედების ნორმალიზებას, აუმჯობესებს სქესობრივ აქტივობას, გამოაქვს თირკმელებიდან და

შარდის ბუშტიდან ქვები, ზედმეტი ქოლესტერინი, ამცირებს სისხლის შედედებას, ხელს უწყობს ნალვლის წვენის გამოყოფის სტიმულირებას, ორგანიზმში ლიპიდების დონის შემცირებას.

ნაყენსა და ნახარშებს იყენებენ იშემიური და ჰიპერტონიული დაავადებების, სისხლძარღვების ათეროსკლეროზის სამკურნალოდ. რეკომენდირებულია 30 წლამდე ასაკის მამაკაცებისა და ქალებისათვის, რაც ადვილი ასახსნელია, მცენარეში შემავალი ნივთიერება ორგანიზმში გამოიმუშავებს ჰორმონებს, რომელსაც მოჰყავს ტესტოსტერონის, ესტროგენის, პროგესტერონის სინთეზის ბალანსი ნორმაში. კურნავს მამაკაცებში უნაყოფობას. ხმარობენ კონიუნქტივიტის, თავის ტკივილების, ყაბზობის დროს; წვენი იხმარება კანის სოკოვანი და ვირუსული დაავადებებისას.

სააფთიაქო ქსელში იყიდება კუროსთავის პრეპარატები: 1. კუროსთავის თხევადი ექსტრატი: 2. ტრიბუსპონინი, გამოშვების ფორმა: 0,1 გ ტაბლეტი.

ვინაიდან მცენარეში აღინიშნება შხამიანი ნივთიერებები, მისი გამოყენება უნდა განხორციელდეს ექიმის კონსულტაციის შემდეგ. დაუშვებელია მისი ხმარება დაბალი არტერიული წნევის შემთხვევაში.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: სარეველაა. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, რუდერალურ და ქვიშნარ ადგილებში.

Trigonella foenum- graecum L. - შამბალილა, ულბო

Fam. Fabaceae (Leguminosae) - ოჯ. პარკოსანნი



ბოტანიკური დახასიათება: ერთნლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-50 სმ სიმაღლეს სწორმდგომი დატოტვილი ღეროთი. თანაფოთლები კვერცხისებრია, წაწვეტებული, კიდემთლიანი. ფოთოლაკები კვერცხისებრია ან მოგრძო ლანცეტამდე. ყვავილები წვრილია, 1-2 ცალად ფოთლების უბეებში მჯდომარე; გვირგვინი მოთეთრო-ყვითელია, ძირში მკრთალი იისფერი. თესლი მსხვილია, მოგრძო.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ბალახი და თესლები წარმოადგენს. შეიცავს ნიკოტინის მუავას, რუტინს, სტეროიდულ საპონინებს, ფიტოსტეროლებსა და ფიტოსტერინებს, ფიტოექსტროგენებს, ფლავონოიდებს, ლორწოს, მწარე ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, ცილებს, ტანინებს, ვიტამინებს (A, C, B1, B2, B9) და ენზიმებს, ალკალიოდ ტრიგონელინს, ქოლინს, ლეციტინს, გალაქტომანინს, სტეროიდებს – დიოსგენინს, გიტოგენინს, ტიგოგენინს, გლიკოზიდებს – დიოსკინსა და იამოსკინს; აგრეთვე სახამებელს, ნახშირწყლებს, შაქრებს, ანტიოქსიდანტებს და ანთების საწინააღმდეგო შენაერთებს, როგორცაა – აპიგენინი, გენისტეინი, კემპფეროლი, კვერცხეინი, რუტინი, სელენი და სუპეროქსიდისმუტაზა.

ხასიათდება ამოსახველებელი, ლორწოს დამშლელი, შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, დამამშვიდებელი, შემომგარსავი, ლაქტოგენური, სპაზმოლიტური, მატონიზირებელი, საერთოგამაჯანსაღებელი, აღმდგენი მოქმედებით; არის აფროდიზიაკი, სიცხის დამწვევი; ლიმფური სისტემის საშუალებით ორგანიზმიდან დევნის ტოქსინებსა და ალერგენებს; ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, ამალღებს ჰემოგლობინის დონეს, აქვეითებს სისხლის წნევას.

უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება; ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ სიცხის დამწვევ და მატონიზირებელ საშუალებად, მშობიარობის შესამსუშუბუქებლად და ლაქტაციის გასაძლიერებლად; ინდოეთში - წყლულოვანი დაავადებებისა და ქალის ორგანიზმის გამაძლიერებლად; ჩინელი ექიმები ხმარობდნენ თიაქარის, ციებ-ცხელების, შარდის ბუშტის, ნაწლავებისა და ფილტვების დაავადებების, კუნთებისა და მუცლის ტკივილებისა და იმპოტენციის დროს; შამბალილას სამკურნალო თვისებებს მაღალ შეფასებას აძლევდა ჰიპოკრატე; ევრო-

ჰაში, IX ს-დან დაწყებული ფართოდ გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში ჭრილობების, რესპირატორული და კუჭის დაავადებების, ციებ-ცხელების, მტკივნეული მენსტრუაციის დროს; ჩრდილოეთ ამერიკაში კოლონიზატორები იყენებდნენ ქალის დაავადებების სამკურნალოდ და ა.შ. ამჟამად სამედიცინო პრაქტიკაში თესლების ნახარში რეკომენდირებულია: დიზენტერიის, კუჭის მოუნელებლობის, ქრონიკული ხველების, ალერგიული დაავადებების, ბრონქიტის, გრიპის, წყალმანკის, კბილის ტკივილების, ნევრასტენიის, ართრიტების, ხერხემლის რადიკულიტის სამკურნალოდ. მას უნიშნავენ წონის დაკარგვის, მძიმე ოპერაციების შემდგომ, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ტუბერკულოზის, ფილტვებისა და ელენთის დაავადებების, გაციების, ხველების დროს; იყენებდნენ მადის გასაძლიერებლად, ვიტამინ PP –ს ნაკლებობისას.

დაქუცმაცებული თესლები გარეგანად მალამოებისა და საფენების სახით გამოიყენება კანის დაავადებების (ეგზემა, წყლულოვანი ჭრილობები, ფურუნკულები, ჩირქგროვები, მუნუკები) სამკურნალოდ.

სადღეისოდ სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება შამბალილას ალმონაცენი, ხასიათდება მიზანმიმართული გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური მოქმედებით. შეუცვლელია ანემიის, ორგანიზმის გამოფიტვის, ნევრასტენიის დროს; აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, იცავს გულს დაავადებებისაგან, ეფექტურია ლამბლიოზთან საბრძოლველად, ხელს უწყობს ნაწლავების მიკროფლორის გაჯანსაღებას, თრგუნავს პათოგენურ მიკროორგანიზმებს. მხნეობის ნამდვილი წყაროა.

უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისათვის.

გავრცელება: ბუნებრივად გავრცეებულია აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში.

კულტივირება: გვალვა და ყინვაგამძლე მცენარეა. კარგად იზრდება და ვითარდება ნაყოფიერ, ფხვიერ და დამუშავებულ ნიადაგებზე. ვერ იტანს ნიადაგის მაღალ მჟავიანობას, კირის შეტანისას მცენარის პროდუქტიულობა ორმაგდება. მრავლდება თესლით, რომლებსაც თესენ აპრილიდან მაისის ჩატვლით წინასწარ მომზადებულ გრუნტში. თესვის სიღრმე 1, 5-3 სმ-ია, მცენარეა შორის მანძილი არა უმცირეს 7 სმ. მორწყვა რეგულარულად წარმოებს თესლების მონიფებადღე.

<https://kvetok.ru/travy/pazhitnik-sennoj-svoystva-i-ispolzovanie-v-medicine>

Tussilago farfara L. - ვირისტერა

Fam. Asteraceae (Compositae) - ოჯ. ასტრასებრნი (როთუყვავილოვანნი)



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მხოხავფესურიანი მცენარეა. ადრე გაზაფხულზე პირველად იხვითარებს სწორმდგომ საყვავილე ყლორტებს, რომლებიც დაფარულია კვერცხისებრ-ლანცეტა, მურა, ქერქლისებრი ფოთოლაკებით. თითოეულ ყლორტზე ვითარდება მარტოული, კაშკაშა-ყვითელი კალათები, მრავალრიცხოვანი ენისებრი ყვავილებით. ყვავილობიდან რამდენიმე ხნის შემდეგ განვითარებას იწყებს ვეგეტატიური ყლორტები, რამდენიმე შედარებით მსხვილი, მომრგვალო-გულსებრი ოთლით, რომლებიც ზედა მხარეზე შიშველია, მწვანე, პრიალა, ქვედაზე- თეთრად მატყლისებრ შებუსვილი. ნაყოფი ცილინდრული თესლურაა ქოჩრით. თესლების მომწიფების შემდეგ საყვავილე ყლორტები ხმება.

ფენოლოგია: ყვ. II -IV; ნაყ. IV-V.

მნიშვნელობა: როგორც სამკურნალო მცენარეს, ჯერ კიდევ ძველ რომში იცნობდნენ. მისი ფოთლებისა და ფესვებისაგან ამზადებდნენ ნაყენს, რომელიც "გულმკერდის სხვადასხვა დაავადების", ხველების, სურდოს, გაციების, ცხელების, ხვრინვის, მოხრჩობის საუკეთესო წამალი იყო. ძველი დროის მკურნალთა დაკვირვებით, ვირისტერას ნახარში ათხელებს სქელ ნახველს, ხელს უწყობს ორგანიზმს სითბოს შენარჩუნებაში, ახორციელებს გარეგან და შინაგან ჭრილობებს. ფოთოლი შეიცავს გლიკოზიდ ტუსილაგინს, ინულინს, ლორწოს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონინებს, კაროტინებს, ფლავონოიდებს, ეთერზეთებს, ფიტოსტერინს. ნახარშის დაღვევა სასარგებლოა სასქესო ორგანოებიდან ჩირქდენის, აგრეთვე - თირკმელების

ძლიერი ტკივილისა და სხვადასხვა სახის დაზიანების დროს. მედიცინაში გამოიყენება როგორც ამოსახველებელი, შარდმდენი, ოფლმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ბრონქოლიტური, ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული საშუალება. თაფლოვანია. გარეგანად იხმარება საფეხების სახით. ფოთლების ჭინჭართან ნახარში გამოიყენება თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.

გავრცელება: ფართოდაა გავრცელებული ევრაზიის ქვეყნებში, ევროპულ სექტორში აღწევს არქტიკას (არქტიკული სკანდინავია, მურმანსკის ოლქი, კანინის ნახევარკუნძული), ასევე წარმოდგენილია ჩრდილოეთ აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

საქართველოში გავრცელებულია მთის შუა, უფრო იშვიათად ზედა სარტყელში.

ჰაბიტატები: იზრდება მდინარის პირებზე, ტენიან თიხნარ ჩამონახვავებზე, ზოგჯერ ქმნის რაყას.

Urtica dioica L. - ჭინჭარი, ჭინჭარი
Fam.Urticaceae - ოჯ. ჭინჭრისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი 60-200 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ძლიერი ფესვთა სისტემით და ჰორიზონტალური ფესურით. მთელი მცენარე დაფარულია ხშირი მსუსხავი ბუნვით. ფოთლები მოპირისპირეა, გრძელყუნწიანი, მარტივი, მუქმწვანე შეფერილობის, ფორმით მოგრძო კვერცხისებრ-გულისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტა, იშვიათად ელიფსური, ფოთლის სიგრძე თითქმის ორჯერ აღემატება სიგანეს, წვერში გრძლად წარზიდულია. მცენარე ორსახლიანია. ყვავილედეები უბისეულია, საგველა, ფოთლის ყუნწებზე გრძელი; ყვავილები ცალსქესიანია, წვრილი, მომწვანო შე-

ფერილობის, აქტივობის, ნაყოფი მშრალი, შეკუმშული, ერთ-
თესლიანი, მოყვითალო ან ბაცი ყავისფერი, მქრქალი, კვერცხისებრი
ან ელიფსური კაკალია. ერთი მცენარე იძლევა 22000 თესლს.

ფენოლოგია: ყვ. V–X; ნაყ. VI–XI.

მნიშვნელობა: ჭინჭრის ფოთლები საუკეთესო საკვები ფხალეულია, ამ-
ზადებენ წვნიანებსაც. მშრალ ფოთლებს დაფქვილი სახით იყენებენ
სანელებლად. სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს. შე-
იცავს ქლოროფილს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ორ-
განულ მუავებს – ჭიანჭველმუავას, ვიტამინებს (C, B₁, K), პროტეინს, ჰის-
ტამინს, რკინის მარილებს, ცვილს.

უძველესი დროიდანაა ცნობილი ბერძნებისა და კოლხებისათვის. დიო-
სკორიდე მას იყენებდა კიბოს, წყლულების, ჭირკვლების დაავადე-
ბებისას. დადასტურებული მონაცემებით ჭინჭარი მოჰყავდათ ჩვ.წ.აღ. –
მდე XIII–XII საუკუნეებში კოლხეთში “მედეას ბაღში” და მას მრავალ-
მხრივი დანიშნულებით იყენებდნენ დედა-შვილი ჰეკატე და მედეა.
მოხსენიებულია ყველა დროის სამკურნალო მცენარეთა წიგნებში,
როგორც მრავალმხრივი სამკურნალო დანიშნულების მცენარე.

“ჭინჭარი ჭირის ჭირია...” – ნათქვამია ქართულ ფოლკლორში. ქარ-
თულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჭრილობების შესახორცებლად,
ავიტამინოზის, ციების, რევმატიული ანთებისა და რევმატიზმის (რო-
გორც ადგილობრივი ჰიპერემიის მომგვრელი და გამაღიზიანებელი)
დროს. ჭინჭრის ნახარშს შაბთან ერთად იყენებდნენ ნერვული ქავილის,
სისხლის ჩაქცევის, ფილტვების ანთების, კუჭ-ნაწლავის აშლილობისას;
სუფთა წვეს ურჩევნ სისხლიანი ნახველისა და ჰემოროიდული სისხ-
ლდენის შემთხვევაში, ამავე დროს გაძლიერებული დედათა წესის
დროს, თესლების ნახარშს კი სქესობრივი უძლურობისას.

ხასიათდება სისხლდენის შემაჩერებელი, ტონუსის ამწევი, დიურეზული,
ნალველმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ერთროპოვების გამაძლიერე-
ბელი მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება ანემიის, ნალვლის ბუშტისა
და ღვიძლის დაავადებების, წყალმანკის, ბრონქიტის, სახსრების ტკი-
ვილის, ბუასილის, ყაბზობის, კუჭის ჩხვლეტის, ღუნედ მიმდინარე ქრო-
ნიკული დაავადებების, ქერტლის, ფილტვიდან, თირკმლიდან, საშვი-
ლოსნოდან და ნაწლავებიდან სისხლდენის დროს. გარეგანად – თმის
ცვენისა და კანის ეგზემის სამკურნალოდ.

უკუმაჩვენებელია სისხლის მაღალი შედედების, ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიით დაავადებულთათვის.

გავრცელება: გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერი კლიმატის ქვეყნებში: ევროპაში, წინა და მცირე აზიაში, სამხრეთ კავკასიაში, ჩინეთში, ინდოეთის სუბკონტინენტზე, ჩრდილოეთ აფრიკაში, შეყვანილია და ნატურალიზებული ჩრდ. ამერიკასა და ავსტრალიაში.

საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტენიან, დაჩრდილულ ტყეებში, მაღალბალახეულობაში და როგორც სარეველა მთის ზედა სარტყლამდე.

Valeriana officinalis L. - სამკურნალო კატაბალახა

Fam. Valerianaceae - ოჯ. კატაბალახასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 2 მ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფესურა ძალიან მოკლეა, 1-1,5 სმ-მდე სიგრძის, გამსხვილებული, თასმისებრი ფუნჯა ფესვებით და მინისქვეშა, ზოგჯერ მინისზედა ყლორტებით, რომელთა ბოლოებში შვილეული მცენარეები ვითარდება. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა და შუათანა ფოთლების ფოთოლაკები ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტაა, ხერხისებრ დაკბილული, უფრო იშვიათად კიდემთლიანი. ღეროსეული ზედა ფოთლები მჯდომარეა, მისი ფოთოლაკები ლანცეტა-ხაზურია, ფოთლები შიშველია, ან ქვედა მხარეზე ცოტად თუ ბევრად შებუსული, კიდევზე წამწამებიანი ფოთოლაკებით. ყვავილედნი დიდი ზომისაა, გაფარჩხული, ფარისებრ-საგველასებრი. ყვავილები მოვარდისფერო-

თეთრია, ნაყოფი თესლურაა, 2-4 მმ სიგრძის, ოდნავ შებუსული, ან თითქმის შიშველი. 1000 თესლის წონა - 0,5 გ

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს. შეიცავს ეთერზეთებს, თავისუფალ იზოვალერიანის მუჟავას და სხვა ტერპენებს, ალკალოიდებს (ვალერიანს, ხატენინს), მთრიმლაგ ნივთიერებებს, საპონინებს, გლიკოზიდებს, შაქრებს, ორგანულ მუჟავებს.

მედიცინაში კატაბალახა ცნობილი იყო ჯერ კიდევ II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. Valer - ჯანმრთელობას ნიშნავს. ის მოხსენიებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ფარმაკოპეიაში.

ძველ საბერძნეთში იცოდნენ მისი მოქმედების შესახებ ნერვულ სისტემაზე. დიოსკორიდს მიაჩნდა, რომ ამ მცენარის საშუალებით შეიძლებოდა „აზრების მართვა“. შუა საუკუნეებში მას თვლიდნენ ისეთ წამლად, რომელსაც მოაქვს კეთილსულიერება, თანხმობა და სიმშვიდე. XIX და XX საუკუნეებში ექსპერიმენტალური, კლინიკური შესწავლისას კატაბალახას მიეძღვნა მრავალრიცხოვანი ნაშრომი (შენგელია, 1983). ხასიათდება ჰიპოტენზიური, რეფლექტორული ალგზნებადობის შემამცირებელი, გლუვი კუნთების ანტისპაზმური, ცენტრალური ნერვული სისტემის შეკავებითი პროცესების გამაძლიერებელი, ანტიეპილეფსიური, ნალველმდენი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჯირკვლოვანი აპარატის სეკრეციის გამაძლიერებელი მოქმედებით.

კატაბალახას პრეპარატები ნაყენების, ნახარშების, ექსტრაქტებისა და ფხვნილების სახით გამოიყენება მრავალ ქვეყანაში როგორც სედატური საშუალება. იხმარება უძილობის, ნერვული ალგზნებადობის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნევროზის, სტენოკარდიის, ჰიპერტონული დაავადებების, ვეგეტონევროზების, ტახიკარდიის, ეპილეპსიის, კლიმაქსის, ასთმის, შაკვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სპაზმისა და ნეიროდერმიტების სამკურნალოდ. კატაბალახა შედის ზელენინას წვეთების, ვალოკორდინის, კარდიოვალენისა და სხვა კომპლექსური პრეპარატებისა და ნაკრებების შემადგენლობაში.

აშშ-ში კატაბალახას იყენებენ ესენციების, ლიქიორების წარმოებაში, როგორც არომატიზატორს ხმარობენ ჰავანური სიგარეტისა და თურქული თამბაქოს პრეპარატებში.

კატაბალახას მიღება შესვენების გარეშე 1-1,5 თვეზე მეტი ხნით არ შეიძლება. ხანგრძლივი და უწყვეტი გამოყენება იწვევს უძილობას, შრომის უნარიანობის დაქვეითებას, დათრგუნვას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციების დარღვევას (Муравьева, 1978).

გავრცელება: ევრაზიული სახეობაა.

საქართველოში გვხვდება: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

ჰაბიტატები: იზრდება განათებულ ადგილებში, ტყის პირებზე, გამწვანებულ ტყეებში, ტენიან მდელოებზე, ბუჩქნარებში, დაჭაობებულ ადგილებში, მთის წინიდან ალპურ სარტყლამდე, ზღ.დ. 150-2400 მ სიმაღლეზე, მაღალბალახეულობაში, ფართოფოთლოვან მდელოებზე, ტანბრეცილ არყნარებსა და წიფლნარებში.

კულტივირება: კულტივირებულია ევროპასა და აზიის რიგ ქვეყნებში. სამკურნალო კატაბალახა მეტად სიცოცხლისუნარიანი მცენარეა, კარგად ეგუება ნიადაგობრივ-კლიმატურ და მეტეოროლოგიურ პირობებს, ამიტომ იზრდება ყველანაირ ნიადაგზე, განსხვავებულ კლიმატურ პირობებში. ტენის მოყვარულია, კარგად ვითარდება როგორც ნიადაგის მაღალი ტენის პირობებში, ასევე ხანგრძლივი დროით უძლებს სიმშრალეს.

გააჩნია თესლით გამრავლების მაღალი კოეფიციენტი (75-80%), ამავე დროს კარგად მრავლდება ვეგეტატიურადაც - ფესურების დაყოფითა და მიწისქვეშა ყლორტებით. თესლი ღივდება 18-22⁰ C ტემპერატურაზე, მაღალი ტენიანობის პირობებში. გაღივებას იწყებს მესამე მეოთხე დღეს. ტენისმოყვარულია, ტენის სიმცირე აფერხებს ზრდაში, ამიტომ ზრდის პერიოდში არ უნდა მოაკლდეს წყალი, გარდა ამისა აუცილებელია დავიცვათ თესვის და რგვის ვადები, დროული გამარგვლა და გაფხვიერება განსაკუთრებით მაშინ, როცა ფესვთა სისტემა უნვითარდება.

კარგად ვითარდება და კარგ მოსავალს იძლევა ნაყოფიერ, ქვიშნარ, მსუბუქ თიხნარ, სტრუქტურულ და ნაყოფიერ ნიადაგებზე. მოყავთ დასავლეთის ფერდობებზე. შემოდგომით ატარებენ მშრალად ხვნას 25-27 სმ სიღრმით. გაზაფხულზე ფარცხავენ; შემდგომ თესვის წინ კვლავ ხდება ნიადაგის კულტივირება და კიდევ ერთხელ დაფარცხვა.

სხვადასხვა მონაცემებით, მშრალად ხვნის დროს შეტანილი ორგანული სასუქი 40 ტ/ჰა-ზე და მასთან ერთად მინერალური სასუქები: 15 კგ/ჰა-ზე აზოტი, 45 კგ/ჰა-ზე ფოსფორი და 25-30 კგ/ჰა-ზე კალიუმი, მნიშვნელოვნად ზრდის კატაბალახას ფესურების მოსავალს.

მრავლდება უშუალოდ ღია გრუნტში თესვით. თესვა შესაძლებელია სამ ვადაში: გვიან შემოდგომით-ზამთრის წინ, გაზაფხულსა და ზაფხულში, მეურნეობისა და რაიონის პირობების გათვალისწინებით. თესვენ რიგთაშორის 45 სმ დაშორებით; თესვის ნორმა ადრე გაზაფხულსა და ზაფხულში სტრატეგიური რეზერვული თესლით - 7-8 კგ/ჰა, ხოლო ზამთრისწინა მშრალი თესვებით თესვის დროს - 9-10 კგ/ჰა. ზაფხულის თესვა წარმოებს ახლად შეგროვილი თესვებით მხოლოდ უხვ ნალექებიან რაიონებში. თესვის სიღრმე მსუბუქ ნიადაგებზე 2-3 სმ, მძიმე ნიადაგებზე - 1-1,5 სმ. დადგენილია, რომ კატაბალახას თესვა სხვა კულტურების (ცერკველა-შვრია მწვანე მასისათვის და შვრია სათესლედ) საფარქვეშ იძლევა ფესვების კარგ მოსავალს, რაც აიხსნება მისი დაჩრდილვის პირობებისადმი გამძლეობით. პლანტაციის მოვლა მდგომარეობს რიგთაშორის გაფხვიერება-გამარგვლაში, განოყიერებასა და მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლაში. პირველი გაფხვიერება ზამთრისწინა ნათესარებში სასურველია ჩატარდეს გაზაფხულზე, რაც შეიძლება ადრე, ხოლო გაზაფხულისა და ზაფხულის ნათესარებში აღმონაცენის წარმოქმნისთანავე. 3-5 ფოთლიანი როზეტის წამოქმნის პერიოდში წარმოებს სქლად დათესილი ნათესარების გამოხშირვა, ამავდროულად ატარებენ გამოკვებას და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებებს. ორწლიან პლანტაციებში აცილებენ ღეროს ზედა ნაწილებს, ხოლო გარდამავალ პლანტაციებში ადრე გაზაფხულზე აცილებენ მიწისზედა ნაწილებს (წინა წლის ნარჩენებს) და მაშინვე აფხვიერებენ რიგთაშორისებს. ნიადაგის შემდგომი დამუშავება საჭიროებისამებრ ტარდება.

მოსავლის აღებისთვის ყველაზე კარგი დროა გვიანი შემოდგომა (2-3 კვირით ადრე წაყინებამდე). თხრიან კარტოფილის სათხრელი მანქანებით. კარგი მოსავლის პირობებში კატაბალახა იძლევა 20-25 ც/ჰა-ზე. ამოღებისთანავე ფესურებს ჭრიან 2-3 ნაწილად, რეცხავენ, შემდეგ ფენენ 15 სმ სისქით კარვად განიავებულ შენობაში 2-3 დღით, რის შემდეგაც ხდება მათი სრული გაშრობა სპეციალურ საშრობებში, 35-40⁰

ტემპერატურაზე. შემდგომ გამშრალ ნედლეულს გარკვეული დროის მანძილზე გროვებად აწყობენ სუფთა მინდვრებში დატენიანების მიზნით, შეფუთვისას ფესვების მტვრევის თავიდან ასაცილებლად.

თესლის მისაღებად სამრეწველო პლანტაციებში გამოყოფენ ყველაზე უკეთეს ნაკვეთებს, ან ატარებენ სპეციალურ თესვას მაღალ აგროტექნიკურ პირობებში კვების არით 60X30 სმ. თესლებს იღებენ კულტურის მე-3 წელს (ეს წელია ყველაზე მაღალი მოსავლის - 2ც/ჰა) /КОТУКОВ, 1975; გოგიჩაიშვილი, 1998/

Viburnum opulus L. - ძახველი

Fam. Adoxaceae (Caprifoliaceae) - ოჯ. ადოქსასებრნი (ცხრატყავასებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: ბუჩქია ან მცირე ზომის, 1,5-4 მ-მდე სიმაღლის ხე, სიგრძივი ღარებით დაფარული მონაცრისფრო-მურა ქერქით. ფოთლები ყუნწიანია, მოპირისპირე, ფართო კვერცხისებრი ან მომრგვალო, სამ-ხუთნაკვეთიანი, წაწვეტებული წვერით და მომრგვალო-შუბისებრი ძირით, ზემოდან - მუქი მწვანე, შიშველი, ნაოჭიანი, ქვედაზე - ლევა მწვანე, მეტ-ნაკლებად რბილი და ხშირად შებუსუსული ბეწვით. ყვავილები თეთრია, ჰეტერომორფული, ორმაგი ყვავილსფერით, შეკრებილია ბრტყელ ქოლგისებრ ყვავილედეხად. ნაყოფი - ოვალური ან სფერული კაშკაშა წითელი კურკიანაა, წვნიანი, მომწარო მწკლარტე გემოთი; კურკა შებრტყელებულია, ფართოკვერცხისებრი, თითქმის მომრგვალო. 1000 თესლის წონა 21-31 გ.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამკურნალო ნედლეულია ნაყოფები და ქერქი. ქერქი შეიცავს: ნახშირწყლებს და მონათესავე შენაერთებს - ცელულოზას, პექტინს, ფისებს (6,5 %-მდე), ფლობაფენს, ფიტოსტერინს, მირიცილის სპირტს; ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია ორგანული მჟავები: ვალერიანის, ჭიანჭველას, ძმრის, კაპრილის, კაპრონის, ლინოლისის; ტრიტერპენოიდები, ირიდოიდები, საპონინები, ალკალოიდები, ვიტამინი C, ფენოლკარბონული მჟავები და მათი წარმოებულები - ქლორაგენის, ნოქლორაგენის, კოფეინის; ლიგნინი, მთრიმლავი ნივთიერებები - კატეხინი, კუმარინები: სკოპოლეტინი, ესკულეტინი, სკოპოლინი, ესკულინი; ფლავონოიდები, ანტრაქინონები, გლიკოზიდი-ვიბურნინი, ლეიკანთოციანინები, უმალლესი ცხიმოვანი მჟავები: მირისტინის, პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლისის, არაქინის, ლიგნოცერინის, ცეროტინის.

ნაყოფებში აღინიშნება ნახშირწყლები: სახაროზა, გლუკოზა, მანოზა, გალაქტოზა, ქსილოზა, რამნოზა, არაბინოზა; პოლისახარიდები, პექტინოვანი ნივთიერებები, ორგანული მჟავები: იზოვალერიანის და ძმრის (3%-მდე), ტრიტერპენოიდები: ოლეინის მჟავა და მათი აცეტილური წარმოებულები, ურზოლის მჟავა; სტეროიდები, ვიტამინი C და კაროტინი; ფენოლკარბონული მჟავები და მათი წარმოებულები: ქლორაგენის, ნოქლორაგენის; მთრიმლავი ნივთიერებები (3 %-მდე), კატეხინები, ფლავონოიდები, სამბუცინი; უმალლესი ცხიმოვანი ზეთები: მირისტინის, პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლისის, ლიგნოლისის, არაქინის, ბეგენის, ლიგნოცერინის, ცერატინის. მდიდარია კალიუმის მარილებით.

თესლი შეიცავს ცხიმზეთებს (3-20 %-მდე), უმალლეს ცხიმოვან მჟავებს: მერიციტინის, პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლისის, არაქინის; თესლები ხასიათდება მატონიზირებელი მოქმედებით, იყენებენ ყავის შემცვლელად.

ქერქი ნახარშის სახით გამოიყენება საშვილოსნოდან სისხლდენების, მტკივნეული მენსტრუაციის, მენორაგიის (ხანგრძლივი და ჭარბი მენსტრუაცია), მეტრორაგიის (მენსტრუაციებს შორის სისხლდენა), ალგოდისმენორეის (საშვილოსნოს არასწორი მდებარეობა), მიომეტრიის სამკურნალოდ; აგრეთვე, როგორც ჰემოსტატიკურ (სისხლდენის შემაჩერებელი) საშუალებას ბუასილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადე-

ბებისას. ნაყენის სახით იხმარება როგორც ჰიპოტენზიური და სედატური საშუალება ნევროზის, ისტერიის, ეპილეპსიის, ჰიპერტონული დაავადებებისას. გარეგანად - კატარალური გინგივოსტომატიტის, პარადონტოზის სამკურნალოდ.

ნედლი ნაყოფები და ნაყენი გამოიყენება როგორც საერთო გამაძლიერებელი, ოფლმდენი, საფალარათო საშუალება; გულისა და თირკმლისმიერი წარმოშობის შეშუპებების, ჰიპერტონიული დაავადებების, ნევროზების, ანთაციდური გასტრიტის, კოლიტის, ღვიძლის დაავადებების, დერმატიტების დროს. ექსტრაქტი ინვევს ჭრილობების შეხორცებას.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ძახველის ყველა ნაწილი.

ტოტების ნახარშს ხმარობენ რესპირატორული ინფექციების, ყელის ტკივილის, სკროფულოზის, ბუასილის, ავთვისებიანი სიმსივნეების, კუჭის წყლულის, ასციტის სამკურნალოდ; გარეგანად - კონიუნქტივის დროს.

ქერქის ნაყენი - არეგულირებს სისხლის მოძრაობას მუხლის წყლულის დროს. ქერქის ნახარში - რესპირატორული დაავადებების, ქალური ავადმყოფობების დროს; როგორც სედატური, ჰემოსტატიკური, ნევროზებით გამოწვეული კრუნჩხვების სანინალმდევო, ისტერიის, ეპილეპსიის, შეშუპებების, მიოკარდიტის, ჰიპერტონიული დაავადებების დროს. გარეგანად - როგორც ანტიისეპტიკური საშუალება.

უკუმაჩვენებელია: თეხმძიმობა, ტრომბების წარმოქმნისადმი მიდრეკილი ადამიანების მიმართ.

გავრცელება: ძირითადად გავრცელებულია ევროპისა და აზიის ზომიერი კლიმატის ქვეყნებში, მცირე აზიაში, ჩრდ. აფრიკაში.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ჰაბიტატები: იზრდება ტყეებში, მთის შუა სარტყლამდე.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული, გამოყვანილია მრავალი ჯიში. გარემო პირობებისადმი ნაკლებად მომთხოვნია, ადვილად იტანს გვალვას და ყინვებს. ამრავლებენ თესლით, რომელიც საჭიროებს ორმაგ სტრატეგიკაციას, თესავენ სათბურებში ოქტომბრის თვეში.

Vinca minor L. – გველის სურო
Fam. Apocynaceae – ოჯ. ქენდირისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, მარადმწვანე ბალახოვანი მცენარეა; მხოხავი, სიგრძით 60-სმ-მდე ღეროთი. ფოთლები შიშველია, პრიალა, მოგრძო ელიფსური, 2-4 სმ სიგრძის, მუქი-მწვანე, მოპირისპირედ განლაგებული, მოკლე ყუნწებით. ყვავილი მოლურჯო ცისფერია, მარტოული, ხუთწევრიანი, ძაბრისებრი გვირგვინით. ნაყოფი ორი მრავალთესლიანი, ცილინდრული ფოთლურაა.

ფენოლოგია: ყვ. V-IX ; ნაყ. VIII-X.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი (ბალახი). ამზადებენ ყვავილობის პერიოდში, აშრობენ ჩრდილში. შეიცავს ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, მთრიმლაჯ და მწარე ნივთიერებებს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს.

ხასიათდება სისხლძარღვების გამაფართოებელი, არტერიული წნევის დამწევი, ცენტრალური ნერვული სისტემის დამამშვიდებელი, წვრილი ნაწლავების გლუვი კუნთების მომადუნებელი, საშვილოსნოს შეკუმშვის მასტიმულირებელი, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით.

გველის სუროს პრეპარატები ხელს უწყობს თავის ტვინის სისხლძარღვების გაფართოებას, რაც იწვევს თავის ტვინილების შემცირებას. იხმარება ნევროზების, გაძლიერებული გულის კუმშვადობის დროს.

უძველესი დროიდან იყენებენ როგორც შემკვრელ, სისხლდენის შემაჩერებელ, ჭრილობის შემახორცებელ და სისხლის გამწმენდ საშუალებას. გველის სუროს შემცველი ალკალოიდების ბაზაზე მიღებული პრეპარატები - ვინკაპინი, დევენკანი და სხვ. იყენებენ I და II სტადიის ჰიპერტონული დაავადებების, თავის ტვინის ათეროსკლეროზის დროს,

აგრეთვე იმ დაავადებების შემთხვევაშიც, რომლებსაც თან ახლავს თავის ტვინის სპაზმები; ეფექტურია ტაქიკარდიის დროს. გველის სურს იყენებდნენ აგრეთვე ცხვირიდან, ფილტვებიდან, საშვილოსნოდან სისხლისდენის, ფალარათების, ციების, მალარიის, ხველების დროს და ა.შ. ნახარში კომპრესების სახით გამოიყენება ეგზემისა და გამონაყარების დროს. გველის სურს ნახარშს ივლებენ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებისას და კბილის ტკივილის დროს.

გამოიყენება ნახარშების სახით: ერთ სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალახს უმატებენ 200 მლ წყალს, აცხელებენ წყლის აბაზანაში 20 წთ. ნახარშს ღებულობენ დღე-ღამის განმავლობაში.

სააფთიაქო ქსელში მოიპოვება პრეპარატები: ვინ-კაპანი და ვინკატონი ტაბლეტებში 0,01 გ. ღებულობენ თითო-ორ ტაბლეტს დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსი 1 თვე ან უფრო მეტი. პრეპარატი დევიკანი დაახლოებით ანალოგიური მოქმედებისაა. გამოიყენება ტაბლეტების და ამპულების სახით სწრაფი ეფექტის მისაღებად.

მცენარე შხამიანია, ყოვლად დაუშვებელია ფიტოთერაპევტის რეკომენდაციის გარეშე მისი გამოყენება!!!

გავრცელება: სამშობლოდ ევროპასა და მცირე აზიას მიიჩნევენ, ნატურალიზებულია მრავალ ქვეყანაში. ველურად კავკასიაშიც გვხვდება.

ჰაბიტატები: იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, მთის ფერდობებზე.

კულტივირება: ჩვეულებრივ ამრავლებენ ფესვების დაყოფით. მცენარეების გამოზრდისათვის ნაკვეთს ყოფენ კვლებად, რიგთაშორის 60 სმ დაცილებით. კვლებში მცენარეებს შორის მანძილი 40 სმ-ია, დარგვის სიღრმე - 8-10 სმ. დარგვას ატარებენ როგორც შემოდგომით, ასევე ადრე გაზაფხულზე, ვიდრე ნიადაგში ტენია. დარგვის შემდეგ მცენარეები სწრაფად ვითარდებიან, პირველსავე წელს უხვად ყვავილობენ და იწვითარებენ რამდენიმე მხოხავ, უხვად შეფოთლილ ღეროს.

სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ნარგავობის მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებასა და სარეველებისაგან გასუფთავებაში. ყვავილობის პერიოდში ანოციერებენ ამონიუმის გვარჯილით, 100-150 კგ/ჰა. ზაფხულში ირწყვება 2-3-ჯერ.

მიწისზედა მასის აღება ხდება სრული ყვავილობის პერიოდში, ამასთან ღეროებს ჭრიან ფესვის ყელამდე. შეჭრის შემდეგ მცენარეები კვლავ იზრდებიან და ზაფხულის ბოლოს შესაძლებელია კიდევ ერთი მო-

სავლის აღება. ნედლეულს აშრობენ ჩრდილში ან საშრობებში 40-50° ტემპერატურაზე. დადგენილია, რომ პირველ წელს მიიღება 44,5 ც/ჰა ნედლი მინისზედა მასა ან 15 ც/ჰა ჰაერმშრალი მასა. მეორე წელს მნიშვნელოვნად იზრდება, შესაბამისად 66,3 ც/ჰა და 23,8 ც/ჰა / Илиева, 1971/.

Viola tricolor L. - სამფერა ია
Fam. Violaceae - ოჯ. იისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ერთ ან ორწლოვანი, მცირე ზომის 10-30 (45) სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მორიგეობითია, შიშველი, დაკბილული, ქვედა ფოთლები ფართო კვერცხისებრია, საკმაოდ გრძელყუნწიანი, ზედა - მოგრძო ლანცეტა, მუდომარე, მოკლე ყუნწიანი. ყვავილები ზიგომორფულია, გვირგვინი - შედგება 5 თავისუფალი ფურცლისაგან, ჭარბობს მუქი ლურჯი-მოიისფერო ან ბაცი იისფერი. ნაცოფი მომრგვალო-სამწახნაგოვანი, მოგრძო-კვერცხისებრი, შიშველი, ერთბუდიაანი მომწვანო კოლოფია. თესლი წვრილია, უკუკვერცხისებრი ფორმის, ბაცი ყავისფერი ან ბაცი ყვითელი, პრიალა, გლუვი.

ფენოლოგია: ყვ. III-XI; ნაყ. V-XI.

მნიშვნელობა: სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილობის პერიოდში შეგროვილი მინისზედა ნაწილი (ბალახი). ძირითადი მომქმედი ნივთიერებებია - ფლავონოიდები (რუტინი, ვიტექსინი, ორიენტინი), ანთოციანები, სალიცილის მჟავა. ტრადიციულ და ხალხურ მედიცინაში გა-

მოიყენება შემდეგი დაავადებების - სიყვითლე, ხველება, თიაქარი, კბილის ტკივილების და სხვ. სამკურნალოდ.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია იის ფართო თერაპიული დიაპაზონი. მცენარის გამონაწერი ხასიათდება ანტიმიკრობული, ანტი-სეპტიკური, ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო, ანტისიშიმენური, ბრონქოლიტური, სპაზმოლიტური, ოფლმდენი, დამამშვიდებელი, შარდმდენი, სისხლგამწმენდი, ნალველმდენი, ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

სწორედ ამ უნიკალური თვისებებიდან გამომდინარე, იის პრეპარატები გამოიყენება გულისცემის გახშირების, ათეროსკლეროზის, გულის შეტევების, ბრონქიტის, ყვიანახველის, ბრონქოპნევმონიის, ძლიერი ხველების, თირკმელების კენჭოვანი დაავადებების, შარდის ბუშტის, რევმატიზმის სამკურნალოდ. ეფექტურია ტუბერკულოზის, ართრიტის, ნიკრისის ქარის, რაქიტის დროს. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს სისხლის განმენდას, ახდენს შარდის სადინარების დეზინფექციას.

მცენარე სუსტად შხამიანია! დოზის გადაჭარბება აზიანებს ნაწლავების ლორწოვან გარსს და შეიძლება გამოიწვიოს ე. წ. ორგანული დაავადებები.

გავრცელება: გავრცელებულია ევროპასა და აზიის ზომიერ ოლქებში.

კულტივირება: ფართოდაა კულტივირებული დეკორატიული მიზნებისათვის.

Viscum album L - ფითრი

Fam. Loranthaceae - ოჯ. ფითრისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე, ნახევრადპარაზიტი ბურთი-სებრი ფორმის, 20-50 სმ სიმაღლის მოყვითალო-მწვანე ბუჩქოვანი მცენარეა. ღეროები ორთითივითაა დატოტვილი. ფოთლები სქელია, ხორცოვანი, მოზამთრე, მოგრძო ან ელიფსური ფორმის, პარალელური დაძარღვიოთ. ყვავილები ერთსქესიანია, ტოტების ბოლოებსა და განშტოების ადგილებში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი. ნაყოფი კენკრაა, ბურთივით მრგვალი, თეთრი ან მკრთალი ყვითელი, წვნიანი, წებოვანი, ერთთესლიანი.

ფენოლოგია: ყვ. II-VIII; ნაყ. IV-IX.

მნიშვნელობა: პარაზიტობს მრავალნაირ ხეზე, უფრო ხშირად მსხალზე, ტირიფზე, ვერხვზე, ვაშლზე, აკაციაზე, ცაცხვზე, იშვიათად მუხამზე, ფიჭვზე, სოჭზე და სხვა მერქნიანი მცენარეების ტოტებზე.

სამკურნალოდ გამოიყენება ნორჩი ყლორტები, შეიცავს ალკალოიდის მსგავს ნივთიერებებს, ორგანულ მუჟავებს, ტრიტერპენოიდულ საპონინებს, ნახშირწყლებს, მთრიმლაჟ ნივთიერებებს, სპირტებს, ფლავონოიდებს, ქოლინს, ამინომუჟავებს, ვისკოტოქსინს, უმაღლეს ცხიმოვან მუჟავებს, ციკლოტილებს; ნაყოფში მოიპოვება კაუჩუკი და ინოზიტი 1-2%-მდე.

ხასიათდება ანტიათეროსკლეროზული, სისხლდენის შემაჩერებელი, ტკივილგამაყუჩებელი, შემომგარსავი, ლაქტაციის გამაძლიერებელი, შარდმდენი, საფალარათო, ჰიპოტენზიური (სისხლის წნევის დაბლა დამწევი), ანთებისა და ავთვისებიანი სიმსივნეების საწინააღმდეგო მოქმედებით.

მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება ათეროსკლეროზისა და სხვადასხვა სახის სიმსივნეების, ნევრალგიის, გასტრიტის, კოლიტის, ნეფრიტის, ბრონქიალური ასთმის, კიდურების ტროფიკული წყლულის, ყივანახველის, მიოზიტების, შინაგანი სისხლდენების (საშვილოსნოდან, ფილტვებიდან, ცხვირიდან), დაჟეჟილობის, მოტეხილობის დროს.

ფითრს იყენებენ აბაზანისათვის ბუასილის მკურნალობაში. სასარგებლოა ფითრის ჩაის მიღება სტრესულ მდგომარეობაში დაუძლეულებისა და თავბრუსხვევის დროს.

უძველესი დროიდან იხმარება სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში ყლორტებს იყენებდნენ ეპილეფსიის, ისტერიული აშლილობის, თავბრუსხვევის, როგორც შემკვრელ, პირსასაქმებელ, ტკივილგამაყუ-

ჩებელ, სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებას უხვსისხლიანი მენტრუაციისა და საშვილოსნოს, კუჭისა და ნაწლავებიდან ყოველგვარი სისხლდენების დროს; იხმარებოდა პარაზიტი ჭიების გამომდენ საშუალებად.

ფითრის ფოთლებისაგან მიღებული პრეპარატი ერთ-ერთი კომპონენტია ფართოდ ცნობილი კომპლექსური პრეპარატ „აკოფიტის“, რომელიც იხმარება რადიკულიტის დროს.

Vitex agnus-castus L. - ხეპილპილა
Fam. Verbenaceae - ოჯ. ცოცხანასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მერქნოვანი ფოთოლმცვენი 4-8 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. მთელი მცენარე ლევა-ქეჩისებრია ხშირი ბეწვის გამო. ტოტები მურაა, ოთხნახნაგოვანი, მკვეთრი არომატით. ფოთლები დიდი, მწვანე, მოპირისპირე, თათისებრრთული გრძელ ყუნწიანი, შედგება 5-7 ფოთოლაკისგან, რომლებიც ვიწრო ლანცეტაა, მახვილი, კიდეშთლიანი ან იშვიათად დაკუბილული, ზემოდან - მქრქალი, ქვედაზე - ლევა ხშირი შებუსვის გამო. ყვავილები მრავალრიცხოვანია, ბაცი ლილისფერი, ორტუჩა, შეკრებილია ტოტების ბოლოებზე ხშირ საგველათავთავისებრ ყვავილედეხად. ნაყოფი - შავი, მშრალი, ოთხნახნაგოვანი სფერული კურკაა.

ფენოლოგია: ყვ. VI-X; ნაყ. X-XI.

მნიშვნელობა: გამორჩეული მცენარეა. ლეგენდის თანახმად ამ ხის ქვეშ ისვენებდა იუდეველთა ხალხის მამამთავარი - აბრაამი. ძველ დრო-

შივე მიაჩნდათ, რომ მას ძალუქს ადამიანების გაახალგაზრდავება, რისთვისაც საკმარისია მისის ტოტების ჩრდილქვეშ მოსვენება. სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ხისგან ამზადებდნენ კვერთხს. არომატული ნაყოფები და სურნელოვანი თესვები კულინარიაში გამოიყენება სურნელოვანი პილპილის შემცვლელად. ფოთლებსა და ნაყოფებს სანელებლად ხმარობენ ხორცისა და თევზის კერძებში. სამკურნალო ნედლეულს მცენარის მიწისზედა ნაწილი (ქერქი, ფოთლები, ტოტები, ყვავილები და ნაყოფები) წარმოადგენს. ფოთლები და ტოტები გროვდება მცენარის მთელ სავეგეტაციო პერიოდში (სიცოცხლის მესამე წლიდან), ყვავილები – ყვავილობის პერიოდში, ნაყოფები – მომწიფების კვალდაკვალ (სექტემბერი-ოქტომბერი), ქერქი – გაზაფხულზე ან შემოდგომით.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ფლავონოიდებს (იზოვიტექსინი, კასტიცინი), ირიდოიდებს (აუკუბინი, აგნოზიდი), მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალოიდებს, მიკროელემენტებს, ვიტამინებსა და ეთერზეთებს. ფოთლებში აღინიშნება C ვიტამინი (38,9-118,1 მგ%); ნაყოფებში – კუმარინები და ცხიმოვანი ზეთები, რომლის შემადგენლობაშია ჭიანჭველის, ძმრის, პროპიონის, ვალერიანისა და კაპრონის მჟავები. ეთერზეთების ყველაზე მაღალი შემცველობა ფიქსირდება ყვავილობის პერიოდში: ნაყოფებში – 0,47 %, მშრალ ფოთლებში – 55%-მდე. ეთერზეთების შემადგენლობაშია ცინეოლი, პინენი, საბინენი, პალმიტინის მჟავა.

ხეპილპილა ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ექსტროგენული, ანტიფუნგალური და სედატური მოქმედებით. მისი პრეპარატები დადებითად მოქმედებს ჯირკვლების ფუნქციაზე ჰორმონალური დარღვევებისას, ააქტიურებს ყვითელი სხეულის (რკინა, რომელიც არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს) ფუნქციას. ნაყოფები აუმჯობესებს საკვების მონელებას, ხასიათდება მატონიზირებელი და გამაძლიერებელი მოქმედებით. თესლიდან გამოყოფილი ზეთი შველის ონკოლოგიურ დაავადებებს. ცნობილია, რომ ხეპილპილას პრეპარატები ასტიმულირებს მეტყველების ცენტრს, განსაკუთრებით შველის მეტყველება - განუვითარებელ ბავშვებს. გამოიყენება აგრეთვე შემდეგი დაავადებებისას: დეპრესია, ღვიძლისა და ელენთის ქრონიკული დაავადებები, ციებ-ცხელება, უნაყოფობა, მენსტრუალური ციკ-

ლის დარღვევები, მასტოპატია, ქალების მიომა, მამაკაცების იმპოტენცია.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ციებ-ცხელების, გონორეისა და გულის ტკივილებისას. ფართოდ გამოიყენება ჰომეოპათიაში - ნედლ წვეწვს იყენებენ დეპრესიის, ნერვული დაავადებებისას. ფოთლებისა და ყვავილების ნაყენები გამოიყენება როგორც ლაქტოგენური საშუალება, ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედებით. ნაყოფების ნაყენი ამაღლებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციას, გამოიყენება ქალური დაავადებების (ფიბროზული კისტოზური მასტოპატია, ფიბრომა, მიომა, კისტა, პოლიპები), მამაკაცებში - პროსტატიტის, უნაყოფობისა და ლეიკოზის სამკურნალოდ.

არ არის რეკომენდირებული ხევილპილას წვეთების მიღება ალკოჰოლიზმის მკურნალობის შემდეგ; გადაჭარბებულმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს ჰალუცინაციები, ფსიქომოტორული აგზნება ან კანზე ალერგიული რეაქციები.

გავრცელება: მისი არეალი მოიცავს სამხრეთ ევროპას (ესპანეთიდან ყირიმის სამხრეთ ნაპირამდე), სამხრეთ კავკასიას, აზიის ზომიერ სარტყელს (შუა აზია) და ჩრდილოეთ აფრიკას.

საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთსა და აჭარაში.

ჰაბიტატები: ნიადაგისადმი არ არის მომთხოვნი, იზრდება ქვიან, ქვიშნარ, თიხნარ ნიადაგებზე მდინარეებისა და ზღვის სანაპიროებზე.

კულტივირება: 1570 წლიდანაა კულტივირებული ბალ-პარკებში, როგორც დეკორატიული მცენარე.

კულტურაში შედარებით ადვილად მრავლდება თესლით (საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვა), გადანვენით, ამონაყრებით და ზაფხულისეული კალმებით. სიცოცხლის ხანგრძლივობა 55-62 წელია.

https://ru.wikipedia.org/wiki/Витекс_священный

კლასი Monocotyledoneae - ერთლებნიანები

ერთლებნიანები - ფარულთესლოვანი მცენარეების კლასი, რომელთა ჩანასახში ერთი ლეზანია განვითარებული. ორლებნიანებისაგან განსხვავებით, მათი გამტარი კონები დახურულია და უწესრიგოდ განლაგებული, არა აქვთ წარმომშობი ქსოვილი - კამბიუმი, რის გამოც ღერო და ფესვი სისქეში არ იზრდება; გაერთიანებულია მრავალწლოვანი ბოლქვოვანი, ტუბერიანი, ფესურიანი ბალახოვანი, ბუჩქბალახოვანი მცენარეები მორიგეობითი, უფრო ხშირად ფესვთანური, კიდემთლიანი, იშვიათად ხერხებილა, პარალელურად ან რკალურად დაძარღვეული, დაუნაწევრებელი და მარტივი ფოთლებით. ჩანასახის ფესვი კვდება და მთავარი ფესვის მაგივრად დამატებითი ფესვები ვითარდება. ღერო სუსტად არის დატოტვილი, დაუნაწევრებელი და მარტივი. ყვავილები ორსქესიანია, აქტინომორფული, მეტწილად 5 ნევრიანი, მარტოული ან შეკრებილია სხვადასხვა ტიპის ყვავილედეზად. ყვავილსაფარი ორ წრიანია, გვირგვინისებრი, იშვიათად ჯამისებრი, ხშირად 6-ფოთლიანი, განცალკევებული ან შეზრდილი. მტვრიანა 6, ორ წრედ განლაგებული, სამტვრე ძაფები თავისუფალია ან შეზრდილი. ბუტკო ერთია, სამი ნაყოფის ფოთლისაგან შემდგარი, სამბუდიანი, სინკარპული, ზედა ან ქვედა ნასკვით; ნაყოფი კოლოფია, საგდულეზით იხსნება ან კენკრაა.

აღნიშნული ჯგუფის მცენარეები გავრცელებულია პრაქტიკულად დედამიწის ყველა ფლორისტულ ოლქში. მათ შორის აღინიშნება ტყის სახეობები, ზოგი უპირატესობას ანიჭებს სტეპებსა და უდაბნოებსაც; სხვები ამშვენებენ მაღალმთიანეთის მდელოებს, ქვა-ლორღიან ფერდობებს, ზღვისპირა ქვიშარებს და ა.შ.

ერთლებნიანთა კლასში შემავალ 65-70-მდე ბოტანიკურ ოჯახში გაერთიანებულია 65 ათასზე მეტი სახეობის მცენარეები, მათ შორისაა საკვები, სამკურნალო, ბოჭკოვანი, სამღებრო, დეკორატიული და სხვა სამეურნეო მნიშვნელობის მცენარე.

ამ ჯგუფიდან ჩვენს მიერ ყურადღება გამახვილებულია 24 სახეობის სამკურნალო მცენარეზე, რომლებიც სამკურნალოდ აქტიურად გამოიყენებოდა უძველეს წარსულში, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და ბევრი მათგანი სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეებშია შეყვანილი.

Acorus calamus L. - კოთხუჯი
Fam. Araceae - ოჯ. ნიუკასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი ჭაობის მცენარეა სქელი (3 სმ-მდე დიამეტრის), ჰორიზონტალური, დატოტვილი, მხოხავი, მომრგვალო ფესურით და მრავალრიცხოვანი წვრილი ფესვებით. ღერო სამწახნაგოვანია, სწორმდგომი, 60-100 სმ-მდე სიმაღლის. ფოთლები ორ რიგადაა განლაგებული, ვიწროა, გრძელი, შუბისებრია ან ვიწრო ხაზური. საყვავილე ისარი სამკუთხაა, შიგნითა მხრიდან დალარული. ყვავილები ორსქესიანია, მომწვანო - მოყვითალო ფერის ტაროსებრ ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი - წითელი წვრილი კენკრაა. თესლებს ჩვენს პირობებში არ იძლევა.

ფენოლოგია: ყვავილობს V-VI.

მნიშვნელობა: კოთხუჯის ფესურა ოფიცინალური ნედლეულია, შეტანილია სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეაში, შეიცავს 5%-მდე ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია: აზარონი, კალამენონი, კალამენდიოლი, იზოკალამენდიოლი, ბორნეოლი, ევგენოლი, მეთილევგენოლი, კარიოფილენი, ელემენი, კურკუმენი, პროაზულენი, აკორონი, იზოაკორონი, აკოლამონი, კალარენი, ნეოკარონი, ასკორბინისა და პალმატინის, ძმრისა და ვალერიანის მუავები, ფიტონციდები, მთრიმლაფი ნივთიერებები, ლორწო, ფისები, სახამებელი, ქოლინი, ვიტამინები, იოდი და სხვ.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ბაქტერიოსტატიკური, ანტიფუნგიციდური, ჭრილობების შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ნერვული სისტემის მატონიზირებელი, ამოსახ-

ველებელი, ნაღველმდენი, დიურეტიკული, მადისა და საჭმლის მონელების გამაძლიერებელი მოქმედებით.

მეცნიერულ მედიცინაში სპირტიანი ექსტრაქტები და ეთერზეთები გამოიყენება საკვებმომწოდებელი სისტემის გასაუმჯობესებლად და მადის აღმგზნებად, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ელენთისა და თირკმელების დაავადებებისას, როგორც ამოსახველებელი, მატონიზირებელი და ბაქტერიციდული საშუალება. იხმარება სიყვითლის, მალარიის, შარდის ბუშტის ანთების, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის, ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვის დროს, მხედველობის, სმენის გასაუმჯობესებლად პირის ღრუს გამოსავლებად და კბილის ტკივილისას. იხმარება აგრეთვე ბავშვების რაქიტისა და ღიათემის დაავადებებისას აბაზანების სახით. გარეგანად - ნაყენი და ნახარში გამოიყენება ჩირქოვანი ჭრილობებისა და ფურუნკულების მოსაბანად.

შედის პრეპარატების ვიკაირის, ვიკალინისა და ოლიმეტინის შემადგენლობაში.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოიყენება. კორეულ მედიცინაში - როგორც მატონიზირებელი და კუჭის არომატული საშუალება, აგრეთვე - დისტონიის, მახსოვრობის დაკარგვის, ქრონიკული გასტრიტის, მუცლის ტკივილების, მადის დაქვეითების, კარდიონევროზის, რევმატიული ართრიტის დროს.

ჩინურ მედიცინაში - სმენის გასაუმჯობესებლად, ეპილეპსიის, რევმატიზმის დროს, როგორც სიცხის დამწევი და ბაქტერიოციდული საშუალება ქოლერით დაავადებისას.

ინდურ მედიცინაში - ბაქტერიოციდული, სპობს ტუბერკულოზის ჩხირებს.

ტიბეტურში - ეფექტური საშუალება ყელის წყლულისა და გასტროენტერიტების დროს.

ბულგარულ ხალხურ მედიცინაში - სისხლნაკლებობისას, თირკმელების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ისტერიისა და კუჭის ჭვლების დროს.

ევროპულ მედიცინაში - სურავანდის, ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, წყალმანკის, სახსრების ტკივილის, გაციების, ქოლერისა და ტიფის ეპიდემიების შემთხვევაში, როგორც პროფილაქტიკური საშუალება; ნაყენებსა და ნახარშებს იყენებენ ართრიტების, ღვიძლის, თირკმელებ-

ბის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას, ტკივილების გასაყურებლად, ჭრილობების შესახორცებლად და სხვ.

უკუჩვენება: ფეხმძიმობა.

გავრცელება: სახეობის სამშობლოდ მიიჩნევენ ინდოეთსა და ჩინეთს; უკვე წარსულშივე, ადამიანის დახმარებით მცენარე გავრცელდა მთელ აზიაში, მათ შორის დასავლეთ საქართველოშიც. როგორც სანელებელი მცენარე ცნობილი იყო ძველი სპარსელებისა და ებრაელებისათვის; როგორც სამკურნალო - ძველ ბერძნებისა და ძველი რომაელი ექიმებისათვის. ევროპაში ფესურები პირველად შეტანილ იქნა კონსტანტინეპოლიდან XVI ს-ში. შემდეგ ფართოდ გავრცელდა მთელ ევროპაში, მათ შორის უკრაინასა და ბელორუსში.

საქართველოში გავრცელებულია: სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში.

ჰაბიტატი: იზრდება დაჭაობებულ ადგილებზე, მდინარეებისა და ტბის ნაპირებზე, სადაც სიღნარ ნიადაგებზე ხშირად წარმოქმნის ფართო რაყებს.

კულტივირება: კარგად მრავლდება ფესურების დაყოფით.

Allium cepa L. - ხახვი

Fam. Amaryllidaceae (Alliaceae) - ოჯ. ამარილისებრნი (ხახვისებრნი)

Subfamily: Alliioideae – ქვ. ოჯ. ხახვისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი მცენარეა (კულტურაში ერთწლოვანი); ბოლქვი 15 სმ დიამეტრისაა, აპკისებრი; გარე ქერქლები მშრალია, ყვითელი, იშვიათად იასამნისფერი ან თეთრი; შიდა - ხორცოვანი, თეთრი, მომწვანო ან იისფერი; ქერქლები განწყობილია დამოკლებულ ღეროზე, ე.წ. - ძირაკზე. წვნიანი ქერქლების უბეებში ვითარდება კვირტები, რომლებიდანაც შეიღეული ბოლქვაკები წარმოიქმნება. ფოთლები მილისებრია, ლევა-მომწვანო. საყვავილე ისარი

1,5 მ სიმაღლისაა, მრავალყვავილიანი ქოლგისებრი ყვავილედი; ყვავილები გრძელყუნწიანია, ყვავილსაფარი მომწვანო-თეთრია, 1 სმ-მდე დიამეტრის, ექვს ფოთოლაკიანი; ზოგჯერ ყვავილედეში ყვავილების გარდა წარმოიქმნება წვრილი შვილეული ბოლქვაკები; ნაყოფი - კოლოფია, 6-მდე თესლით. თესლი შავია, სამწახნაგოვანი, ნაოჭიანი, წვრილი.

ფენოლოგია: ყვ. VI; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: მეცნიერები ოპტიმალურად თვლიან ადამიანის მიერ ყოველწლიურად 7-10 კგ ხახვის გამოყენებას. საკვებად გამოიყენება ბოლქვები და ფოთლები. ბოლქვი შეიცავს 4,5 მგ% შაქრებს, 1,5-2 მგ% ცილებს, დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C), აგრეთვე B, PP - ჯგუფის ვიტამინებსა და კაროტინს (პროვიტამინ A), ორგანულ მჟავებს, უჯრედის, პექტინოვან ნივთიერებებს, ზოგიერთ შეუცვლელ ამინომჟავებს (ვალინს, ლეიცინს, ლიზინს, მეთიონინს, ტრეონინს, ტრიპტოფანს), მაკრო და მიკროელემენტებს, ეთერზეთებს, ფიტონციდებს; ფოთლებში აღინიშნება 6-7 მგ% მშრალი ნივთიერებები, მათ შორის 1.7 მგ% შაქრები, 1,5-2 მგ% ნედლი ცილები, 27-95 მგ% ასკორბინის მჟავა, 2 მგ % კაროტინი, ვაშლისა და ლიმონის მჟავები. 50-100 გ მწვანე ხახვი უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმის დღე-ღამურ მოთხოვნილებას C ვიტამინისადმი. ბოლქვების მსგავსად, ფოთლებიც შეიცავს ეთერზეთებს (20-60 მგ%), რომელიც მათ სპეციფიურ სუნსა და გემოს ანიჭებს.

ადამიანის მოდემის მრავალმა თაობამ საკუთარ თავზე გამოსცადა ხახვის სამკურნალო ძალა. მისი სამკურნალო თვისებები საოცრად მაღალია და ხალხურ მედიცინაში ითვლება ღვთიურ მცენარედ. ასე მაგ.: ძველ ეგვიპტეში ხახვი განასახიერებდა დაუშრეტელ სასიცოცხლო ძალასა და უკვდავებას. მას როგორც თილისმას ატარებდნენ ავი თვალისა და დაავადებებისაგან დასაცავად. ეგვიპტეში მიიჩნევდნენ სამყაროს სიმბოლოდ, თვლიდნენ, რომ მისი რგოლები და ქერქლები წარმოადგენენ დედამიწის კონცენტრიულ გარშემოწირულობას, რომელიც მოიცავდა ქმნილებას გეომეტრიულ მისტერიებში.

ძველი დროის ეჭიმების აზრით, არ არსებობდა დაავადება, რომლის დროსაც ხახვს ავადმყოფისათვის შვების მოტანა არ შეეძლო. დიოსკორიდი წარმატებით იყენებდა როგორც სისხლის გამწმენდ საშუ-

ალებას. ავიცენა რეკომენდაციას უწევდა როგორც მადის აღმძვრელ და სუსტი ჯანმრთელობის გამაძლიერებელ საშუალებას.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში განსხვავებული დანიშნულებით იყენებდნენ, კერძოდ: ანგინის, ჭრილობების შემახორცებელ, ციებ-ცხელების, თავის ტკივილის, ქოლერის, დიზენტერიის, წყალმანკის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების, ქრონიკული კოლიტის, ბრონქიალური ასთმის, ფილტვების ანთების, გრიპის, ზედა სასუნთქი გზების კატარის, კანის სოკოვანი და ჩირქოვანი დაავადებების, წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის, ჰიპო და ავიტამინოზის, ყაბზობის, ბუასილის, ნაწლავების ანთების, ნაწლავების ათონიის, ათეროსკლეროზის, მრგვალი ჭიების, ტრიქომონადური დაავადებების, ჭორფლის საწინააღმდეგოდ. ხახვი სასარგებლოა აგრეთვე ონკოლოგიური დაავადებებისას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები ხახვის წვეს იყენებდნენ თმის გასამაგრებლად, რაც დამტკიცა თანამედროვე მეცნიერულმა მედიცინამ, შემუშავებულია გამელოტების საწინააღმდეგო მეთოდები ხახვის წვენის მეშვეობით.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ხახვის ბოლქვებზე არსებულ სახეცვლილ ფოთლებს მოთუშული სახით ხმარობდნენ ჩირქგროვების გამოსარწყავად, ჭიისმდენ, კუჭის გამხსნელ, ბუასილის დროს სისხლის გამწმენდ საშუალებად.

სადღეისოდ მედიცინაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხახვისა და ნივრის გოგირდის შემცველ ნივთიერებათა მოქმედებას. დამტკიცებულია, რომ ეს ნაერთები ხასიათდებიან ანტიბაქტერიული მოქმედებით.

ხახვისა და ნივრის ეთერზეთების მოქმედების ფართო შესწავლამ ელემენტარული ჰიპერლიციემიის დროს აჩვენა, რომ უფრო გამოკვეთილი ჰიპოქოლესტერული ეფექტით ხასიათდება ნივრის ზეთი; მისი მშრალი, დაქუცმაცებული ფოთლები და ღეროები წარმოადგენენ ჰიპოტენზიური პრეპარატის ერთ-ერთ მოქმედ შემადგენელ ნაწილს. არსებობს საინტერესო მონაცემები ამ მცენარეების სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებზე ექსპერიმენტში და კლინიკაში მათი გამოყენების შესახებ კიბოთი დაავადებულთა მკურნალობისას.

ხახვის კანიდან მიღებულია კვერცვტინისა და სპირეოზიდის შემცველი პრეპარატი, რომელიც ექსპერიმენტალური ჰიპერქოლესტერინემიის

დროს აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ამავე დროს ხასიათდება დასხვივების საწინააღმდეგო მოქმედებით. კანიდან გამოყოფილია აგრეთვე ფლავონოიდების კომპლექსი და სუფთა კვერცხეტინი, რომლებიც ხასიათებიან დიურეზული მოქმედებით და ორგანიზმიდან ნატრიუმისა და ქლორიდების გამოყოფის უნართ, გამოყენებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ათეროსკლეროზის სამკურნალოდ (ბიძინაშვილი, 2016).

ისტორია და კულტურის გავრცელება: ხახვი ველურად არ გვხვდება. ითვლება, რომ კულტურაში შეტანილ იქნა სადაღაც 4-6 ათასი წლის წინათ შუა აზიაში და კავკასიაში. არ არის გამორიცხული რომ, როგორც კულტურული მცენარე წარმოიქმნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აზიის სხვადასხვა ტერიტორიებზე (irani, avRaneTi), ვინაიდან მთელ რიგ რეგიონებში იზრდება ნამდვილი ხახვის ველურად მოზარდი მონათესავე სახეობები. ზუსტადაა ცნობილი, რომ დიდ ფართობზე მოჰყავდათ ძველ ეგვიპტეში, მდ. ნილოსის ხეობაში ჩვ. წ. აღ.-მდე III-II ათასწლეულში. ძველ საბერძნეთში ჩვ.წ.აღ.-მდე რამდენიმე ასეული წლით ადრე კულტურული ხახვის მრავალი ჯიშით არსებობდა. მის შესახებ აღნიშნულია ჰომეროსის პოემებსა და ძველი შუმერების ლურსმულ ფირფიტებზე. ჰეროდოტეს მიხედვით ხახვი სპარსელების საყვარელი საკვები იყო ისევე, როგორც რომაელების, კოლხებისა და ებრაელებისათვის.

საქართველოში უხსოვარი დროიდან მოჰყავდათ ყველა კუთხეში; მის შესახებ ნათქვამია ძველ აღქმასა და ყურანში. რუსეთში ცნობილია X საუკუნიდან. სადღეისოდ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული კულტურაა, რომლის გამრავლება ვეგეტატიურად ხდება.

ამჟამად მთელ დედამიწაზეა კულტივირებული. მსოფლიოში ხახვის ნათესების საერთო ფართობი 1,5 მილიონ ჰა-ს შეადგენს, ხოლო მსოფლიო წარმოება 15 მილიონ ტონას აღემატება. ხახვის ბოლქვების მოსავლიანობა 100-250 ც/ჰა შეადგენს, ღია გრუნტში მწვანე ფოთლების - 500-600 ც/ჰა, თესლების - 4-8 ც/ჰა. (Вехов и др., 1978; ბიძინაშვილი, 2018)

Allium porrum L. – პრასა

Fam. Amaryllidaceae - ოჯ. ამარილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბოლქოვანი მცენარეა; განსხვავებით ხახვისაგან მისი ბოლქვი ამობურცულია, 2-7 სმ დიამეტრის, წვეროსკენ თანდათანობით გადადის ღია მწვანე, 10-80 სმ სიგრძისა და 2-5 სმ დიამეტრის ცრუ ღეროში, რომელიც წარმოქმნის გრძელ ვაგინას. ცალკეულ მცენარეზე ვითარდება 40-60 სმ სიგრძის, 6-15-მდე ფოთოლი; ფოთლისეული ფირფიტები ვითარდებიან ცრუ ღეროდან მარაოსებრად, წარმოიქმნება შთაბეჭდილება მოპირისპირე ფოთოლგანწყობისა. ფოთლისეული ფირფიტები ბრტყელია, ცენტრალურ ძარღვზე ნახევრად ჩაკეცილი, ცვილისებრი ნაფიფქით. საყვავილე ისარი ვითარდება სიცოცხლის მეორე წელს, სწორმდგმია, 120 სმ-მდე სიმაღლის, სფეროსებრი ყვავილედი - ქოლგით. კარგად განვითარებულ ინდივიდებში ქოლგა მსხვილია, 20 სმ-მდე დიამეტრის და ითვლის 1000-მდე ყვავილს, რომლებიც წვრილია, იასამნისფერიდან თეთრამდე შეფერილობის. ყვავილედში ხშირად წარმოიქმნება საჰაერო ბოლქვაკები, რომლებიც გამოსადეგია პრასის გასამრავლებლად.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: საკვებად გამოიყენება ღეროები და ნორჩი ფოთლები; შეიცავს 9-25 მგ% - მშრალ ნივთიერებებს, მათ რიცხვში 12 მგ% - შაქარს, 2 მგ%-მდე ნედლ ცილებს, ვიტამინებს: 80 მგ% - ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C), 5 მგ% - კაროტინს (პროვიტამინ A), აგრეთვე B₁, B₂, PP - ჯგუფის ვიტამინებს, მიკრო და მაკრო ელემენტებს: E, K, Ca, P, Fe-ის მარილების სახით, ნახშირწყლებს, უჯრედის, ეთერზეთებს გოგირდის ნერთის შემადგენლობით.

პრასის ცრუ ღეროები და ნორჩი ფოთლები ფასდება როგორც დიეტური საკვები კალიუმის მარილების მაღალი შემცველობის (250-მდე მგ%) გამო.

ქართულ ტრადიციულ მედიცინაში ხმარობდნენ ჭიების დასაყრელად, სისხლიანი განავლისა და სოკოს (ბუსილის) დროს, კბილებიდან სისხლდენის, ღრძილების დაავადების სამკურნალოდ. შემჩვეულია აგრეთვე, რომ ამშვიდებს ნერვულ სისტემას და აუმჯობესებს მესხიერებას.

ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის აქტივიზაციას, რის გამოც სასარგებლოა იმ პირთა მიმართ, ვისაც ჭარბი წონა აწუხებთ. აძლიერებს მადას, აუმჯობესებს ღვიძლის მოქმედებას, აწესრიგებს კვების მონელებას. ხასიათდება კარგად გამოხატული შარდმდენი მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება თირკმელ-კენჭოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარის, ცინგის, რევმატიზმის, სკლეროზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, სიმუქნის საწინააღმდეგოდ.

ისტორია და კულტურის გავრცელება: ველურად არ გვხვდება. უძველესი კულტურული მცენარეა, რომელსაც დაკარგული აქვს კავშირი წინაპრებთან. ხმელთაშუაზღვრეთური წარმოშობისაა; პოპულარული იყო ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში. ერთ-ერთი ძირითადი ბოსტნეული კულტურაა დასავლეთ ევროპაში; განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავთ ბელგიაში, საფრანგეთსა და ჰოლანდიაში, აგრეთვე საქართველოში.

Allium sativum L. – ნიორი

Fam. Amaryllidaceae - ოჯ. ამარილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი (კულტურაში ერთწლოვანი) მცენარეა, რთული ბოლქვით, დაფარულია მშრალი, თეთრი ან იისფერი აპკით; შედგება წვრილი ბოლქვაკებისაგან - ე.წ. “კბილები”,

რომლებიც ასევე მშრალი აპკითაა შემოხვეული. ფოთოლი ბრტყელია, ხაზური, საკმაოდ უხეში, მუქი მწვანე, ლევა ელფერით, 1 მ - მდე სიგრძის. საყვავილე ისარი 1,5 მ სიმაღლისაა, მთავრდება წვეროსეული მცირე ყვავილიანი ყვავილედით - ქოლგით, გარშემორტყმულია ერთ-ფოთოლაკიანი შალითით, რომელიც გაშლისას ცვივა; ყვავილი ჭუჭყისებრ-თეთრია, იშვიათად წარმოიქმნება და მცირე რაოდენობით, ხშირად ყვავილედში ყვავილების ნაცვლად ვითარდება წვრილი "სა-ჰაერო" ბურთისებრი 1,5-3 მმ ზომის ბოლქვაკები, რომლებიც გამრავლებისთვისაა გამოსადეგი. მცენარე ხასიათდება მკვეთრი, სპეციფიური ნივრის სუნით.

ფენოლოგია: ყვ. IV -V; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: ნივრის ბოლქვები სხვა კულტურებისაგან განირჩევა მშრალი ნივთიერებების ყველაზე მაღალი - 40 მგ%-მდე შემცველობით, შეიცავს 20-27 მგ% - ნახშირწყლებს, 8 მგ%-მდე - ცილებს, 35 მგ% - ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C), ვიტამინებს (B₁, B₂, B₆), ნიკოტინის მჟავას, ფიტოსტერინებს, კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის, რკინის, გოგირდის, მაგნიუმის, იოდის, სპილენძის მარილებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ნივრის სპეციფიური სუნი და მწვავე გემო გამოწვეულია მათში არსებული ეთერზეთებისა (30 მგ %) და გლიკოზიდ ალინის შემცველობით

ნიორი ალაგზნებს მადას, აძლიერებს საკვებმომწელებელ ორგანოებში ფერმენტების გამოყოფას, ხელს უწყობს საკვების უკეთ მონელებასა და შეთვისებას.

ერთ-ერთი იმ პირველთაგანია, რომელიც სამკურნალო მნიშვნელობიდან გამომდინარე იქნა კულტივირებული. პირველი წიგნიერი "ნიორმცოდნეები" იყვნენ ძველი შუმერები. მეფე ნიმფროდის დროს ნივრის ნაყენები და ნახარშები გამოიყენებოდა როგორც ეფექტური სიცხისდამწვევი, სასაქმებელი, მატონიზირებელი, მადღზინფიცირებელი საშუალება.

მარჯვედ იყენებდნენ მის სამკურნალო თვისებებს ძველი ეგვიპტელებიც. ძველი საბერძნეთის ისტორიკოსი ჰეროდოტეს ცნობით: "ერთ-ერთ - ხეოპსის პირამიდის თლილ ქვებზე წარწერები გვამცნობს, თუ რამდენ ბოლოკს, ნიორსა და ხახვს იყენებდნენ საკვებად მისი მშენებლები ძველ ეგვიპტეში ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის

შესანარჩუნებლად. ამ ბოსტნეულზე დახარჯული იყო 1600 ვერცხლის ტალანტი”, რაც დღევანდელი გადაანგარიშებით 30 მილიონი დოლარის ტოლფასია.

ნიორსა და ხახვს ძველ რომსა და ეგვიპტეში იყენებდნენ მუმიფიკაციისათვის. ეგვიპტურ პაპირუსებში “ებერსის კოდექსში”, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე 1550 წელსაა შექმნილი და მედიცინას ეძღვნება, 800 რეცეპტია განხილული, აღინიშნება ნიორიც, როგორც ეფექტური საშუალება გულის დაავადებების, თავის ტკივილის, ნაკბენების, ჭის დაავადებებისა და სიმსივნის სამკურნალოდ.

ძველი რომაელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ნიორი ამძლავრებს ძალებს, აძლიერებს სულს, კურნავს ყველანაირ დაავადებას. ის შედიოდა ლეგიონერების რაციონში; გლადიატორების სკოლების აღსაზრდელებს აიძულებდნენ დღეში რამდენჯერმე ეჭამათ ნიორი, თვლიდნენ, რომ ის აძლიერებდა გამბედაობას და სიკვიდილისადმი სიძულვილს თესავდა.

ძველჩინური მედიცინა ნიორს იყენებდა როგორც ანტიტოქსიკურ, ამოსახველებელ, შარდმდენ და ჭისმდენ საშუალებად; აკუთვნებდნენ ყველაზე სასარგებლო სამკურნალო საშუალებათა რიცხვს, აწერდნენ მატონიზირებელ მოქმედებას სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას და უწოდებდნენ “გარდამქმნელს”.

ინდოეთის მკურნალები რეკომენდაციას უწევდნენ ნივრის კბილებს მუდმივად გამოსაყენებლად ყბაყურის, ჰარტახტიანი და მუცლის ტივის, ციებ-ცხელების დროს. იგივეს სთავაზობს დღეს ფიტოთერაპევტი კლიმაქტერიული ნევროზებით გამოწვეული უძილობისა და თავის ტკივილებისას.

“ყოველგვარი დაავადების საწინააღმდეგო” - ასე მოკლედ განსაზღვრა მისი თვისებები ავიცენამ. რეკომენდაციას უწევდა ნედლი ნივრის წვეს ან მოხარშულს სელატური ნერვის ანთებისას, ტკვილგამაყუჩებელს - კბილის, ქრონიკული ბრონქიტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას, ასევე როგორც შარდმდენსა და ჭისმდენ საშუალებას.

ჯერ კიდევ ვირგილიუსის მიერ ხობტაშესხმული საშუალება დაღლილობის საწინააღმდეგოდ - ეს არის კარგად დანაყილი ნიორი, მარილი, მაგარი ყველი, ტევანისა და ქინძის ფოთლები.

ასევე, ბევრ ქვეყანაში, შორეულ წარსულში, ამ მცენარეს მიიჩნევდნენ სასწაულმოქმედად, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანს მატებდა ჯანმრთელობას, მეომრებს - ძალასა და სიმამაცეს. მასთან დაკავშირებული იყო რიგი რიტუალებისა - ძაფზე აცმული ნივრის ყელზე ტარება სხვადასხვა დაავადებებისაგან თავდაცვის მიზნით.

შუა საუკუნეებში და უფრო მოგვიანებითაც გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში, ასევე რუსეთსა და კავკასიაში ნიორი ითვლებოდა მაღალეფექტურ საშუალებად შავი ჭირის, ქოლერის, მუცლის ტივის ეპიდემიების დროს. ევროპულ ქვეყნებში მისით მკურნალობდნენ ნაწლავებისა და ფილტვების ტუბერკულოზს, დიზენტერიას, ტიფს, ყბაყურას. რუსეთში ნივრის არყის ნაყენი იხმარებოდა თირკმელებისა და შარდის ბუშტში ქვების სამკურნალოდ. ნივრის ეთერზეთებს ევროპასა და კუბაში სიყვითლის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. ტრადიციულია იაპონელებისათვის როგორც ოფლმდენი საშუალება - ნივრის ფაფა ორთქლზე მოხარშულ ვერმიშელთან ერთად.

მიუხედავად მედიცინის მეცნიერების ძლიერი პროგრესისა, ნივრისადმი ნდობა, როგორც პანაცეასადმი, სხვადასხვა ხალხში შენარჩუნებულია ათასწლეულების მანძილზე. კერძოდ: “ნიორი იგივეა, როგორც ათი დედა” (ინდური); “ნიორი შვიდ სატკივარს სპობს” (რუსული); რუსეთში დიდი მარხვის დროს ამბობდნენ: “ნიორი და ბოლოკი - მუცელია მაგარი”. ხოლო დამამშვიდებელი საშუალება, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ შრი-ლანკას მოძღვრები ხალხურ მკურნალობაში - ნიორის ნახარშია.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში მოხსენებულია ნიორი, ნივრის ქერქი, თესლი, ყვავილი, წყალი. ქართველი ხალხი მას იყენებდა როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას ამა თუ იმ გადამდები სენისაგან დასაცავად და ცოფიანი ძაღლის ნაკბენის დროს; იხმარებოდა თავის ტკივილის, საერთო სისუსტის, სიმსივნის, კბილის ტკივილის, კუჭნაწლავის დაავადებების, ბუასილის, თავზე მღიერის გაჩენისას და სხვა შემთხვევაში. ხშირადაა მოხსენიებული ჩვენს კარაბადინებში, როგორც სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი, ცხვირის დაავადებათა და სიმსივნეთა საწინააღმდეგო საშუალება. საქართველს სხვადასხვა კუთხეში ნიორს იყენებდნენ ჭიების გამოსადევნად, ძაღლის ნაკბენის, ნაღობის სამკურნალოდ, სირსველიან კანზე საფენებისათვის; პანარიციის

დროს; ხმარობდნენ ბნედის, ფალარათის, ძლიერი ნერწყვის დენის, თმის გაცვენის, ძალღის ნაკუნისას.

ნივრის არყის ნაყენი ხელს უწყობს ნიკრისის ქარების, რევმატიზმის, თირკმელებსა და შარდის ბუშტში ქვებისაგან განკურნებას. ასუფთავებს ორგანიზმს ცხიმოვანი და კირქვიანი დანალექებისაგან, მკვეთრად აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ორგანიზმში ყველა ძარღვი, განსაკუთრებით - სისხლძარღვები ხდება ელასტიური; თავიდან აცილებს ჰიპერტონიას, მიოკარდიუმის ინფარქტს, სტენოკარდიას, სკლეროზს, სხვადასხვა სიმსივნის წარმოქმნას; ხსნის თავის ტკივილებს, ყურებში ხმაურს, აღადგენს მხედველობას. მწვავე სურდოს პროფილაქტიკისათვის სასარგებლოა ახლად დანაყილი ნივრის შესუნთქვა.

უსიამოვნო სუნის მიუხედავად, ნივრის წვენი ძალზე სასარგებლოა ორგანიზმის სწრაფი განმედიანებისათვის. ასუფთავებს ფილტვებსა და ბრონქებს დაგროვილი ლორწოსაგან, ხელს უწყობს ორგანიზმიდან შხამების გამოდენას; ეფექტურია ასევე ნაწლავების პარაზიტების წინააღმდეგ, დიზენტერიის დროს.

ფარმაცევტიული მრეწველობის მიერ გამოიცემა ალოხოლის აბები, რომელიც შეიცავს ნივრის მშრალ ექსტრაქტს და გამოიყენება როგორც ნაღველმდენი საშუალება ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლანგიტისა და ქოლეცისტიტისას; იხმარება ასევე ყაბზობისას, როგორც სასაქმებელი საშუალება.

ისტორია და კულტურის გავრცელება: ველურად არ გვხვდება; ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა, რამდენიმე ათასწლეულია, რაც კულტურაშია ცნობილი. კულტივირებულია სადღაც შუა ან სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. უკვე უძველეს დროში მოჰყავდათ ეგვიპტეში, საბერძნეთში, ძველ რომში, უფრო მოგვიანებით - ჩინეთში. ძველი ბერძნები, რომაელები და ფინიკელები თანაბრად აფასებდნენ სანელებელი და სამკურნალო მნიშვნელობის გამო. სადღესოდ ნიორი მოშენებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, არსებობს ათასობით ნაირგვაროვანი ჯიშები, რომლებიც მრავალი პარამეტრით განირჩევა.

ასევე უძველესი დროიდანაა ცნობილი საქართველოშიც, რაზეც მრავალი ისტორიული წყარო მიუთითებს. საქართველოში ნივრის შესახებ პირველი წერილობითი ცნობები გვხვდება დაბადების ქართულ ფრაგ-

მენტსა და ხოჯა-ყოფილის “სააქიმო წიგნის” ქართულ თარგმანებში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აღნიშნული კულტურა მხოლოდ ამ საუკუნეში იყო შემოტანილი. ქართველმა ტომებმა კავკასიაში დასახლებისთანავე შემოიტანეს, რასაც ამტკიცებს ერთის მხრივ, გავლურებული ფორმების სიმრავლე, მეორეს მხრივ, გეოგრაფიული სახელწოდებები, როგორცაა: სანიორეს ქედი - ქართლში, სოფ. სანიორე - კახეთში, ნიორხევი - მესხეთში და სხვ. (ბიძინაშვილი, 2013).

Allium ursinum L. – ლანძილი
Fam. Amaryllidaceae - ოჯ. ამარილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. ბოლქვი თავისუფალია, წვრილი, მოგრძო, თეთრი, დაფარულია გამჭვირვალე, სიფრიფანა, ბადისებრ ბოჭკოებად დაშლილი ქერქლებით. ღერო თითქმის სამწახნაგოვანია, 15-40 სმ-მდე სიგრძის. ღეროს ფუძესთან ვითარდება ღეროზე მცირეოდენ მოკლე ორი გრძელყუნწიანი ფოთოლი, მათი ფირფიტა ელიფსურ-ლანცეტაა, თავწანვეტილი, ზედა მხარე - უფრო მუქი, მწვანე შეფერილობისაა. ყვავილი რძისებრ-თეთრია, 6 ფოთოლაკიანი მარტივი ყვავილსაფრით, შეკრებილია ნახევრად სფერულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი სფერული, სამწახნაგოვანი კოლოფია, ხშირად თითო თესლით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI. ნაყ. VI-VII.

მნიშვნელობა: ლანძილის მწვანე მასა გაზაფხულზე წარმოადგენს ვიტამინ C-ს ბუნებრივ წყაროს.

საკვებად გამოიყენება ღერო, ფოთლები, ბოლქვები. ძვირფასი კვებითი ღირებულების გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი აპრილ-მაისში, ყვავილობამდე მასიურად აგროვებს მცენარის მინისზედა ნაწილებს, ხშირ შემთხვევაში ფოთლებთან ერთად ფესურების ნადგურდება, რის

გამოც, ბუნებრივ პირობებში მისი მარაგი მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

ბალახს იყენებენ ნედლი სახით სალათებში, წვნიანებში სხვა ბოსტნეულებთან ერთად, ამარილებენ, ამწნილებენ; მისი გაშრობა არ არის რეკომენდირებული, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში სასარგებლო თვისებებს კარგავს. შეიცავს გლიკოზიდ ალიინსა და ეთერზეთებს, დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას (ფოთლებში - 0,73 მგ%, ბოლქვებში - 0,10 მგ%); რაც უფრო მაღალ მთებში იზრდება, მით უფრო მეტია მათში C ვიტამინის შემცველობა. ეთერზეთების შემადგენლობაში (რომელიც ნივრის ეთერზეთების იდენტურია), შედის ალილსულფიდები და ალილპოლისულფიდები, ვინისულფიდი, მერკაპტანი და დაუდგენელი აგებულების ალდეჰიდი; აღინიშნება ცილები, ნახშირწყლები (ფრუქტოზა), მინერალური მარილები, ფიტონციდები, ლიზოციმი, კაროტინი.

უძველესი სამკურნალო და საკვები მცენარეა; არქეოლოგიური გამკვლევებით, ნეოლითის ეპოქის დასახლებებში ალპების წინამთიანეთში ხშირად ნახულობენ ღანძილის კვალს, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მას 5000 წლის წინათ იყენებდნენ.

ხასიათდება ბაქტერიციდული, ფუნგიციდური, ანტიმიკრობული, პროტისტოციდული, ბაქტერიოსტატიკური და ძლიერი ანტიბიოტიკური, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი, ჭიისმდენი მოქმედებით.

ძველ სამედიცინო ტრაქტატებში ნახსენებია, როგორც კარგი დამცავი საშუალება შავი ჭირის, ქოლერისა და სხვა გადამდები ინფექციური დაავადებებისას. ძველ რომში და შუა საუკუნეებში მიიჩნევდნენ სისხლის გამწმენდად, ასევე ძველი დროიდანვე ცნობილი იყო ანტიკლეროზული მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ათასეული წლების მანძილზე გამოიყენება ნივრის მსგავსად. ღანძილის მწვანე მასა გაზაფხულზე წარმოადგენს ასკორბინის მჟავის ბუნებრივ წყაროს; რეკომენდირებულია სურავანდის, ავიტამინოზის, კოლიტის, კვების მონელების დარღვევის, უმადობისა და კუჭის აშლილობის, კუჭ-ნაწლავის კატარის, განსაკუთრებით ინფექციური ბუნების, ფილტვის ტუბერკულოზის, ათეროსკლეროზის, მაღალი არტერიალური წნევისა და მასთან დაკავშირებული ნუხილის

დროს - თავბრუსხვევა, უძილობა. კარგად მოქმედებს გაციებისას, ხვე-
ლების, ბრონქიტის დროს, ხასიათდება ჭისმდენი მოქმედებითაც.

მზადდება პრეპარატი “ურზალი” და მალამო “ურზალინი”, რომლებიც
გამოიყენება ტრიქომონადული კოლპიტების, ნაწოლების, ჩირქოვანი
ჭრილობების, წყლულების დროს.

უკუქმედება: დიდი რაოდენობით მიღება (15-20 ფოთოლი) იწვევს თა-
ვის ტკივილებს, უძილობას, კუჭის აშლილობას, წყლულის გამწვავებას
(ბიძინაშვილი, 2013).

ბორეალური, დასავლეთ-ევრაზიული სახეობაა. აწერილია ევროპიდან.

ჰაბიტატი: ტყის, ჰემიჰიგროფილური, ჩრდილის მოყვარული სახეობაა.
გვხვდება ჭალის ტყეებიდან მთის შუა სარტყელამდე, მუხნარ, რცხი-
ლნარ და წიფლნარ ტყეებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში, ზღვ. დ.
150-1500 მ სიმაღლემდე, შედის ტყის ცენოზების შემადგენლობაში გა-
ზაფხულის (IV-V) სინუზიების სახით. ეტანება შედარებით ღრმა და ტე-
ნიან, ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებს, ირჩევს ჩრდილოეთ და ჩრდილო-
აღმოსავლეთ ფერდობებს; უპირატესობას ანიჭებს აზოტით მდიდარ
ნიადაგებს.

Allium victorialis L. – მთის ლანძილი

Fam. Amaryllidaceae - ოჯ. ამარილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი ბოლქვიან-
ფესურიანი მცენარეა. ბოლქვები კონუსურ-ცილინდრულია, მიმაგრებუ-
ლია ირიბად ზევით მიმართულ ფესურაზე, სისქით 1-1,5 სმ-ია, შემო-
ხვეულია რუხი-მურა ფერის ბალისებრი გარსით. საყვავილე ღერო 30-

60 სმ სიმაღლისაა, დაღარული. ფოთოლი 2-3, ლანცეტა ან ელიფსურია, სიმეტრიულად დაძარღვეული, წანვეტებული, კაშკაშა მწვანე, 10-20 სმ სიგრძისა და 2-8 სმ სიგანის, თანდათან ყუნწადაა შევიწროებული, რომელიც ფირფიტაზე 2-4 ჯერ ნაკლებია. ყვავილი თეთრი ან მოყვითალო-მომწვანო შეფერილობისაა, ვარსკვლავისებრ გადაშლილი ფოთოლაკებით, შეკრებილია სფერულ ქოლგისებრ ყვავილედეზად. ნაყოფი სფეროსებრ-სამწახნაგოვანი კოლოფია, სფერული თესლებით.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. IX.

მნიშვნელობა: საკვები და სამკურნალო მცენარეა. საკვებად გამოიყენება ყვავილობამდე შეგროვილი მცენარის მიწისზედა ნაწილები, ნელლი, დამარილებული და მწნილის სახით. მათში აღინიშნება ეთერზეთები, რომლის შემადგენლობაშია დივინილსულფიდი, პინეკოლინის მჟავა, ალინი; შეიცავს ანტიბიოტიკ - ლიზოციმს, ვიტამინ C-ს (ფოთლებში - 0,73 მგ%, ბოლქვებში - 50-100 მგ%), მდიდარია მაკროელემენტებით (მგ%): K-37,0, Ca-15,8, Mg-3,3, Fe-0,03; მიკროელემენტებით (მგ%): Mn-0,17, Cu-0,78, Zn-0,44, Co-0,03, Mo-0,25, Cr-0,05, Al-0,16, Ba-0,02, Se-13,3, Ni-0,16, Sr-0,65, Pb-0,07, B-31,2, კაროტინითა და ფიტონციდებით; ბოლქვებში აღინიშნება: ცილები, ნახშირწყლები, ორგანული მჟავები, კაროტინი, B ჯგუფის ვიტამინები, უჯრედისი.

ხასიათდება მატონიზირებელი, მადის მომგვრელი, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ჯირკვლების სეკრეციის და ნაწლავების მოტორული ფუნქციის გამაძლიერებელი, ბაქტერიციდული, ბაქტერიოსტატიკური, შარდმდენი, ფუნგიციდური, ანთების საწინააღმდეგო, ჭისმდენი, ტკივილგამომწვევი მიკრობების საწინააღმდეგო მოქმედებით.

მედიცინაში ნელლი წვენი, ნაყენი და ნახარშები გამოიყენება ათეროსკლეროზის, სურავანდის, ტრიქომონადული კოლპიტების, ნაწილების, დიზენტერიის, ჩირქოვანი ჭრილობების, ტროფიკული წყლულების, ნიკრისის ქარებისა და რევმატიზმის, საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს, როგორც ჭრილობების შემახორცებელი საშუალება. ექსპერიმენტებით დამტკიცებულია, რომ მისი პრეპარატების ვენაში შეყვანა იწვევს სისხლის წნევის დაქვეითებას. ავიტამინოზის დროს რეკომენდირებულია დღეში 5-10 გ ფოთლის მიღება. ხასიათდება მატონიზირებელი მოქმედებით. ხელს უწყობს მადის გაძლიერებას,

აუმჯობესებს კვების მონელებას, აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას, ხასიათდება ჭისმდენი ეფექტით.

მზადდება პრეპარატი “ურსალი.” (ბიძინაშვილი, 2018).

ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარება როგორც სისხლის დენის შემაჩერებელი და ჭიების საწინააღმდეგო საშუალება (ბარნაბიშვილი, 1965).

გავრცელება: ცენტრალური (ავსტრია, ჩეხეთი, გერმანია, უნგრეთი, სლოვაკეთი, შვეიცარია) და სამხრეთ ევროპა (ბულგარეთი, სერბეთი, იტალია, რუმინეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი), ინდოეთი, ნეპალი, ყაზახეთი, მონღოლეთი, ჩინეთი, კორეა, იაპონია, ალიასკა და კანადა, ჩრდ. კავკ.; სამხრ. კავკ.: აზერბაიჯანი.

საქართველო: აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, ქართლი, კახეთი (ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი), მთიულეთი (ხევი), თუმცა ფშავ-ხევსურეთი, თრიალეთი, ქვ. ქართლი, ჯავახეთი (ჭობარეთი).

ჰაბიტატი: იზრდება მთის შუა და სუბალპურ სარტყელში, მდელოებსა და ნაკადულების გასწვრივ, ტყეებსა და ტყის პირებზე. ჩრდილის ამტანი, მეზოფიტი მცენარეა. უპირატესობას ანიჭებს ჰუმუსიან, ტენიან ნიადაგებს.

კულტივირება: ხახვის სახეობები უმთავრესად ვითარდებიან ღია, კარგად განათებულ ადგილებში (გამონაკლისია ღანძილი - *Allium ursinum*), რის გამოც კულტურაში დანერგვისას გათვალისწინებული უნდა იყვეს მათი ეს თვისებები. ნიადაგისადმი ნაკლებად მომთხოვნია, თუმცა მათი დარგვა მიზანშეწონილია წყალგამტარ, ფხვიერ, ნაყოფიერ, ნეიტრალურ ან სუსტი ტუტე რეაქციის, არამყავე ნიადაგებზე, ვინაიდან ძალიან მგრძნობიარეა ნიადაგის მჟავიანობისადმი. ვერ იტანენ გადაჭარბებულ დატენიანებას. დარგვის წინ ნიადაგის გადაბარვას ატარებენ არა უმცირეს 20 სმ სიღრმით. საუკეთესო სასუქს წარმოადგენს ორგანული, ანგარიშით 5 კგ 1 მ² ზე. ბოლქვებს რგავენ აგვისტოს ბოლოს, მთელი სექტემბრის განმავლობაში. ბოლქვების დარგვის სიღრმე ზომებიდან გამომდინარე, ვარირებს 5-8 სმ-დან 10-15 სმ-მდე, ირგვება 10-30 სმ-ის დაცილებით. ერთ ადგილას მათი გამოზრდა შესაძლებელია რამდენიმე წლის განმავლობაში, წარმოქმნის დაჯგუფებებს სხვადასხვა ასაკის ბოლქვებისაგან. გაზაფხულზე ატარებენ რიგთაშორისებში გაფხვიერებას და განოციერებას მინერალური სასუქებით, მაგ.: ნიტროფოსით, ანგარიშით 30 გ/მ². შემდგომი მოვლა მდგო-

მარეობს გაფხვიერებასა და გამარგვლაში, აგრეთვე ყვავილობის წინ მათ გამოკვებაში სრული მინერალური სასუქებით. ხახვის სახეობების მორწყვას აწარმოებენ მხოლოდ გვალვის დროს. ყვავილობის შემდეგ ყვავილელები უნდა გადაიჭრას. სასურველია ზამთრის განმავლობაში ნარეგობების მულჩირება ტორფით ან ნეშომპალით.

ხახვის სახეობები მრავლდება თესლით, ბოლქვებით, შვილეული ბოლქვაკებით და ფესურების დაყოფით. თესვას ატარებენ გაზაფხულზე და შემოდგომით. აღმონაცენის ჯგუთვა ხდება კარგად განათებულ ადგილებში, უშუალოდ ღია გრუნტში, რიგთაშორისებში. სახეობების უმრავლესობა ყვავილობს მეორე-მესამე წელს. არსებობს მნიშვნელოვანი დეტალი. ხახვის მრავალწლოვანი სახეობები ვერ უწევენ კონკურენციას მრავალწლოვან სარეველებს, რის გამოც სათესი კვლები სრულად განთავისუფლებული უნდა იყვეს სარეველებისაგან.

ბრძოლის ღონისძიებებიდან ყველაზე მარტივია რიგთაშორისების დროული გაფხვიერება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი გაფხვიერება ხახვის აღმონაცენების წარმოქმნამდე. ხშირი გაფხვიერება, ამავდროულად მორწყვის შემცველიცაა.

მაწებლები და დაავადებები:

ხახვის სახეობები ავადდებიან - **ოვალური ფორმის ნაცრისფერი ხოჭოთი** (*Ceuthorrhynchus jakovlevi* Schultze), რომლებიც სახლდებიან ფოთლებზე, ახდენენ მათი რბილობის ამოჭმას, ძლიერ დაზიანებული ფოთლები ხმება. ხოჭოებს ანადგურებენ ვეგეტაციის საწყის პერიოდში ქლოროფოსის შესხურებით.

თეთრი სიღამპლით, სკლეროტინიოზი (*Sklerotinia cepivorum* Berk) - ინვეს ბოლქვების ლპობას, რის შედეგადაც მცენარეები ყვითლდება და ხმება. ინფექცია შენარჩუნდება მცენარეულ ნარჩენებზე და დაზიანებულ ბოლქვებზე. რეკომენდირებულია ვეგეტაციის პერიოდში მცენარეების 3-ჯერადი შესხურება ზუპარენით, ფუნდაზოლით, ტოპსინით, ცინებომით.

ხახვის ყვითელი ჯუჯასებრი ვირუსით (*Allium virus 1*) - პირველი ფოთლების ძირებში და საყვავილე ისრებზე წარმოიქმნება მოკლე ყვითელი ზოლები, რომლებიც მოგვიანებით ერთიანდება. დაავადებული ეგზემპლარები ჯუჯა ფორმისაა, გაყვითლებული ფოთლებით, ისრები იკრუნჩხება. აუცილებელია დაავადებული ეგზემპლარების განადგურება.

აფელენხოიდესით (*Aphelenchoides subtenius* (cob.) St. et Buhr) - ბოლქვებისა და მცენარის მიწისზედა ნაწილის პარაზიტი. ბოლქვების ძირაკზე შესამჩნევია ნეკროტული, ბაცი ან მუქი მურა ფერის ლაქების წარმოქმნა. ინვეს ბოლქვებისა და ფოთლების სიდამპლეს. აუცილებელია დაზიანებული მცენარეების განადგურება, კულტურების მორიგეობა, ნიადაგის კარბატიონებით შესხურება.

ღეროსეული ნემატოდებით (*Ditylenchus dipsaci* (Kuhn) Filip.) – ბოლქვებისა და მცენარის მიწისზედა ნაწილების პარაზიტი. ვრცელდება დაავადებული ბოლქვებისა და ფოთლების საშუალებით. დაზიანებული მცენარეები დაკნინებულია. დაავადება ძლიერ პროგრესირდება ტენიან ნიადაგებზე და ზომიერად თბილ ამინდებში. აავადებული ეგზემპლარების განადგურება, სარეველებთან ბრძოლა, მარცვლოვნებთან მორიგეობა, ნიადაგის დამუშავება კარბატიონით (Вредители и болезни цветочно-декор. раст., 1982).

Asparagus officinalis L. - ბალის სატაცური
Fam. Asparagaceae – ოჯ.სატაცურისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სქელი, მოკლე, ჰორიზონტალური ფესურით, რომელიც ხშირი, თასმისებრი ფესვებითაა მოფენილი; ღერო 50-150 სმ სიმაღლისაა, სწორი, გლუვი ან დაკუთხული, გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლები რედუცირებულია ოდნავ შესამჩნევ ქერქლებად, რომელთა უბეებში კონებად (3-6) სხედან კლადოდიუმები – სახეცვლილი ყლორტები, რომლებიც ფოთლების მსგავსია, წვრილი, ნემსისებრ-ძაფისებრი. ყვავილები მომწვანო-მოთეთროა ან მოყვითალო-მწვანე, ერთსქესიანი და ორსახლი-

ანი, ორ-ორი ან მეტი მთავარ ღეროზე და გვერდით ტოტებზეა განლაგებული; მამრობითი ყვავილები 5 მმ სიგრძისაა, მდებარეობით – ორჯერ წვრილი, ძირში ყვავილსათარის შებრძლი ფოთლებით; ნაყოფი მონათალო-ნარინჯისფერი, სფერული კენკრაა, რამდენიმე წვრილი, შავი თესლით.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX.

მნიშვნელობა: გამოირჩევა საკვები, დეკორატიული და სამკურნალო მნიშვნელობით. სამკურნალო ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ და ნორჩი ყლორტები (კლადოდიუმები) წარმოადგენს.

ფესურა შეიცავს ასპარაგინსა და არგინინს, ჰელეიდონის მჟავას, სტეროიდულ საპონინებს, კუმარინს, ნახშირწყლებს, ეთერზეთებს კვალის სახით, კაროტინს; ყლორტებში აღმოჩენილია ასპარაგინი და უმნიშვნელო რაოდენობით კაროტინი, ასკორბინის მჟავა, ვიტამინები (A, B₁, B₂, B₆, C, PP). თ. კვებლის (1966) მიერ ჩატარებული გამოკვლევებით გაზაფხულზე შეგროვილი სატაცურის ნედლი ფოთლები შეიცავს (მგ %) B₁ - 0,046, B₂ - 0,017, C - 45,9, კაროტინს - 4,3.

ჩინურ მედიცინაში სატაცურის ფესვების ნახარშს შინაგანად იყენებენ როგორც შარდმდენ, მატონიზირებელ და სიცხის დამწვე საშუალებას. ასევე სისხლის მიმოქცევისა და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, დიაბეტის, ფილტვების დაავადებების, ყივანახველის, იმპოტენციის დროს; გარეგანად - საფენების სახით - ეგზემის საწინააღმდეგოდ.

მედიცინაში სატაცურის ფესვების ნახარშს შინაგანად იყენებენ როგორც შარდმდენ, მატონიზირებელ და სიცხის დამწვე საშუალებას. ასევე სისხლის მიმოქცევისა და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, დიაბეტის, ფილტვების დაავადებების, ყივანახველის, იმპოტენციის დროს; გარეგანად - საფენების სახით - ეგზემის საწინააღმდეგოდ.

სათრანგეთში სატაცურის ფესურა და ნორჩი ყლორტები იხმარება როგორც კარგი შარდმდენი საშუალება, რომელიც ამავე დროს არ არის რეკომენდირებული საშარდე არხის ანთებისას, ვინაიდან შეიძლება გამოიწვიოს ეპითელიარული ქსოვილის გაღიზიანება.

რუსულ ხალხურ მედიცინაში ფესურების ნახარში გამოიყენება წყალმანკის, შარდის ბუშტის ანთების, გაძნელებული შარდვის, რევმატიზმისა

და ეპილეფსიის სამკურნალოდ; გარეგანად - სხვადასხვა გამონაყარების საწინააღმდეგოდ; ნაყოფების ნაყენს კი ლებულობენ იმპოტენციის შემთხვევაში. ბალახის ნახარშს იყენებენ გულის ტკივილების, თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებებისას.

ბულგარულ მედიცინაში სატაცურის ფესვები ასევე გამოიყენება თირკმელებისა და შარდის ბუშტში ქვების შემთხვევაში.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა როგორც შარდმდენი საშუალება თირკმელების დაავადებებისას.

სატაცურის პრეპარატების ძირითადი მოქმედება შარდმდენია. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ასპარაგინი და სატაცურის ექსტრაქტი ვენაში შეყვანისას ინვევს არტერიალური წნევის დანევას, აძლიერებს გულის მოქმედებას და ამცირებს მის რიტმს, აფართოებს პერიფერიულ სისხლძარღვებს, ზრდის დიურეზს და აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციას. ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება ნევროზისა და თირკმელების დაავადებებისას. ასევე იხმარება ნიკრისის ქარის, წყალმანკისა და დიაბეტის სამკურნალოდ.

სატაცურის წვენი ეფექტური შარდმდენი საშუალებაა, განსაკუთრებით სტაფილოს წვენიდან ერთად, ვინაიდან ცალკე სმის შემთხვევაში, შეიძლება ძლიერი რეაქცია მოახდინოს თირკმელებზე. სასარგებლოა რევმატიზმით, ნევროზით, სისხლნაკლებობისა და დიაბეტის დროს. ახალი მონაცემებით დამტკიცებულია ამ მცენარის დადებითი ეფექტი სიმსივნური წარმონაქმნების საწინააღმდეგოდ (ბიძინაშვილი, 2016; 2017).

ბორეალური, დასავლეთ პალეარქტიკული სახეობაა. აწერილია ევროპიდან.

ჰაბიტატი: მებოფიტია, სინათლის მოყვარული, თუმცა კარგად ვითარდება ნახევრად დაჩრდილულ ადგილებშიც, ნოტიო, მაგრამ არაჭარბ ტენიან ნიადაგებზე, სტეპებსა და დატბორილ მდელოებზე, ქვიშიან ნიადაგებზე, ღორღიან ველებზე, მეჩხერ ბუჩქნარ რაყებში, მუხნარებში, ჭალის ტყეებსა და მისი დერივატების გავრცელების არეში, ზღვისპირა ზოლსა და მთისწინებზე, ზღვ. დ. 1200 მ სიმაღლემდე.

კულტივირება: სატაცური მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ბოსტნეული კულტურაა. კულტურაში შეყვანილია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში დიდი ხნით ადრე ჩვენს ერამდე. ბევრად ადრე, ძველ ბერძულ და რომაულ ცივილიზაციებამდე, სატაცური ეგვიპტეში ყოფილა გავრ-

ცელებული, რასაც მოწმობს ეგვიპტელი ფარაონების სარკოფაგებზე მისი გამოსახულება. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია სწორედ იმ დროიდან მოდის გამოთქმა “მეფის ბოსტნეული” ან შესაძლებელია XV-XVIII საუკუნიდან, როდესაც დაიწყო მისი მოშენება საფრანგეთსა და გერმანიაში. მაშინ სატაცურის ნედლეულის ყიდვა ყველას არ შეეძლო, სიძვირის კი არა, სპეციალური ბრძანებულების გამო, ვინაიდან მისი მოსავალი მხოლოდ მეფის სუფრისათვის იყო განკუთვნილი. სადღეისოდ ფართოდაა კულტივირებული დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. ყლორტების მოსავლიანობა შეადგენს 40-100 ც/ჰა.

მიეკუთვნება სითბოს მოყვარულ, ძლიერ ყინვაგამძლე მცენარეთა რიცხვს. ლიტერატურული მონაცემებით უძლებს – 30° ცინვას: გაზაფხულის წაყინვებზე ახლად განვითარებული ყლორტები იღუპება, თუმცა ვეგეტაციის შემდგომ პერიოდში მათ ნაცვლად ახლები წარმოიქმნება. ყლორტების ზრდა-განვითარება იწყება აპრილის პირველი რიცხვებიდან, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა 10-12° აღემატება. მცენარეთა კოკრიანობა აღინიშნება მაისის პირველ ან შუა რიცხვებში, ყვავილობა მაისის შუა ან ბოლო რიცხვებში: ყვავილობის პერიოდი 22-26 დღე გრძელდება; პირველი მწიფე ნაყოფები წარმოიქმნება საშუალოდ 2-2,5 თვის შემდეგ ყვავილობის დაწყებიდან; ნაყოფების მასობრივი სიმწიფე აღინიშნება აგვისტოს ბოლოს. სავეგეტაციო პერიოდი 180-185 დღე გრძელდება, მცენარეებს ვეგეტაცია უმთავრდება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

კარგად ვითარდებიან როგორც მზიან, ასევე ნახევრად დაჩრდილულ ადგილებში, ნოტიო, მაგრამ არაჭარბტენიან ნიადაგებზე.

ჯვარედინდამტვერიანებული მცენარეებია. მტვრის გადატანა მწერების საშუალებით ხდება, უმთავრესად ფუტკრების, მაგრამ შესაძლებელია ქართლ დამტვერიანებაც.

ამრავლებენ თესლით (ჩითილებით) და ვეგეტატიურად: 3-5 წლიანი ასაკის მცენარეების ფესურების ცალ-ცალკე ნაწილებად დაყოფით, რაც სასურველია ჩატარდეს შემოდგომით: სექტემბერ-ოქტომბერში.

ჩვეულებრივ ამრავლებენ თესლით. თესვა შესაძლებელია როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში. თესვები ცუდად აღმოცენდებიან, მასობრივი აღმონაცენის მიღების მიზნით, დათესვამდე 3-4 დღით ადრე აღბობენ თბილ წყალში, რომელსაც დღეში 1-2-ჯერ ცვლიან. შემდეგ

ყრიან ტომარაზე ან ფილტრიან ქალაღდბე. მას შემდეგ რაც თესლები დასკდებიან, მათ თესავენ რიგთაშორისებში 20-30 სმ დაცილებით, ხოლო რიგებში 3-5 სმ დაშორებით. თესვის სიღრმე 2,5-3 სმ. აღმონაცენი წარმოიქმნება 15-18 დღის შემდეგ; სიცოცხლის პირველი წლის შემოდგომაზე ვითარდება 2-3 ლერო და ფესვთა სისტემა. ზაფხულის განმავლობაში ნიადაგს რეგულარულად აფხვიერებენ, ანოყიერებენ ნაკელის უიჟათი, მშრალ ამინდში რწყავენ. ზამთრის წინ აღმონაცენს ფარავენ ფოთლებით ან გადამწვარი ნაკელით. ნაკვეთებზე ჩითილების დარგვამდე, ერთი წლით ადრე სათბურებში, კვლებში კარგად გადამწვარ სასუქებთან ნიადაგებზე ხდება მათი გამოზრდა.

მეორე წელს სანერგიდან აცილებენ მდედრობით მცენარეებს (ნაყოფე ბიანი). მათი გამოყენება შეიძლება დეკორატიული მიზნებისათვის. მამრობით ეგზემპლარებს ტოვებენ სანერგეში მომავალი წლის გაზაფხულამდე. შემოდგომით სატაცურისათვის გამოყოფილ ნიადაგს ღრმად (2-3 ბარის პირი) ბარავენ და შეაქვთ გადამწვარი ნაკელი ან კომპოსტი. სატაცურის ჩითილების მუდმივ ადგილზე გადარგვისას იყენებენ თხრილების მეთოდს. ერთმანეთისაგან 120-150 სმ-ის დაცილებით თხრიან 40 სმ-ის სიგანისა და 25-30 სმ სიღრმის თხრილებს, რომელთა ფსკერზე ყოველ 40 მმ-ში ყრიან ნაკელთან შეზავებულ მიწას ბორცვების სახით; ჩითილებს ათავსებენ ამ ბორცვებზე, თანაბარზომიერად უსწორებენ ფესვებს, შემდეგ აყრიან 5-8 სმ სისქის მიწას და სათანადოდ ტკეპნიან. ასეთი წესით დარგული ჩითილები იმყოფებიან გრუნტის დონესთან შედარებით 15-20 სმ-ით უფრო დაბლა.

პირველ წელს რიგებს აფხვიერებენ, აცილებენ სარეველებსა და აუცილებლად რწყავენ, სეზონზე 2-3-ჯერ ანოყიერებენ კომპლექსური სასუქებით. შემოდგომით აცილებენ დაავადებულ და სუსტ მცენარეებს, უმატებენ ნაკელს ან კომპოსტს 6-9 მ სისქით. შემდგომ წელს აგრძელებენ მიწის დამატებას, ხოლო შემოდგომით აცილებენ რა მცენარის გამხმარ ნაწილებს, თხრილებს მიწით ავსებენ ნიადაგის დონეზე. ოქტომბერში სატაცურის გამხმარი ყლორტები ფრთხილად უნდა მოიჭრას ნიადაგთან ახლოს და დაინვას.

მესამე წლის გაზაფხულზე თხრილებზე ყრიან 20-25 სმ სისქის ნაკელს, კომპოსტს ან კარგად განოყიერებულ ფხვიერ ნიადაგს, რის შემდეგაც თანაბარზომიერად ასწორებენ და სუსტად ტკეპნიან. სამკურნალო სა-

ტაცურის მოსავლიანობა და ხარისხი ყოველწლიურად მოიმატებს თუ გავზრდით ორგანული სასუქების ნორმას.

ორივე სახეობა მეტად მგრძობიარეა ნიადაგის ნაყოფიერებისადმი. უხვად ვითარდება მსუბუქ, ნაყოფიერ, ნეიტრალურ ნიადაგებზე, ვერ იტანს მაღალ მჟავიანობას. მიღებული ნორმებით ინდივიდუალურ ნაკვეთებზე 1 კვ. მ ფართობზე შეაქვთ 10-15 კვ ნემომპალა ან ორგანული სასუქი, რასაც უმატებენ 20-25 გ კალიუმის, ფოსფორისა და აზოტოვან სასუქებს.

ერთ ადგილზე მცენარის გამოზრდა შესაძლებელია 15-20 წლის განმავლობაში, მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებაში, სარეველებთან ბრძოლასა და ზომიერ რწყვაში

სადღეისოდ საქართველოში სამკურნალო სატაცურის კულტურის წარმოებას სათანადო ყურადღება არ ექცევა, მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები ამის საშუალებას იძლევა. საქართველოს პირობებისათვის შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები და რეკომენდაციები, ხელს შეუწყობს კულტურის ფართოდ დანერგვას. ცნობილია სამკურნალო სატაცურის 100-ზე მეტი ჯიში, რომლებიც განსხვავდებიან მინისქვემა ყლორტების შეფერილობის მიხედვით: მწვანე თავიანები - ყლორტები მწვანე ფერის წვეროებით ხასიათდებიან (თავთოვლა, ჰოლანდიური მწვანე, ვენის, ადრეული ბურგუნდული, ესპანური და სხვ.); წითელთავიანები - მონითალო წვეროებით (არჟანტეილი, გიგანტი, მაღალმოსავლანი და სხვ.); თეთრთავიანები - თეთრი წვეროებით (სპილო, თეთრი მამონტი და სხვ.)

სატაცურის ძირითადი დაავადებებია: ჟანგა, ფესვის სიღამპლე, გვხვდება აგრეთვე თეთრლაქიანობა და ფომოზი.

ჟანგას გამომწვევია - სოკო. გაზაფხულზე ნორჩ ღეროებსა და ტოტებზე წარმოიქმნება ყვითელი ლაქები, რომელთა კიდევზე განლაგებული ოვალური ბორცვაკები, თუმცა დაავადების ეს ფორმა იშვიათია. ზაფხულში ჟანგა ვლინდება მურა-ჟანგისფერი ამობურცული ბორცვაკების სახით ასევე ნორჩ ღეროებზე, რომელთა რაოდენობა თანდათანობით იზრდება, ისინი ერთიანდება გრძელი ზოლების სახით. მოგვიანებით ბორცვაკები შავ შეფერილობას იძენს. დაავადებული მცენარეების ზრდა ფერხდება, მომდევნო წელს სატაცურის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მცირდება. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მძიმე

ნიადაგები, გრუნტის წყლების ახლო მდებარეობა, აზოტიანი სასუქების გადაჭარბებული მოხმარება. ბრძოლის ღონისძიებები - მცენარეების ოპტიმალური მოვლა, დაავადებული ყლორტების მოჭრა და მოცილება, მცენარეული ნაშთების მოშორება. მოსავლის აღების შემდეგ ხდება 1%-იანი ბორდოს სითხით შესხურება.

სატაცურის წითელი სიღამპლე. დაავადების გამომწვევია - ნიადაგის სოკო. ზიანდება ფესვის ყელი და ფესვები. დაავადებული ქსოვილი მუქდება და იფარება მურა აბლაბუდისებრი ნაფიფქით. ქსოვილები ლპება და იშლება, მცენარეები ჭკნება. ბრძოლის ღონისძიებებია - დაავადებული მცენარეების მოშორება, კარგი მოვლა, ვეგეტაციის პერიოდში მინერალური და ორგანული სასუქებით გამოკვება, დროული მორწყვა და ნიადაგის გაფხვიერება. დაავადებული მცენარეების ამოთხრა და მოშორება.

მაგნებლებიდან ყველაზე სახიფათოა სატაცურის ბუზი, ხოჭოები, სატაცურის ფოთლოლჭამია მატლები. ბრძოლის ღონისძიებებიდან უმთავრესი პრევენციულია - ნარგაობებში სისუფთავის დაცვა, შემოდგომით ნაკვეთებიდან მცენარეული ნარჩენების მოშორება. ბრძოლის ქიმიურ საშუალებებს მიმართავენ მხოლოდ სათესლე ნარგაობებში, ყლორტების შეგროვების დასრულების ბოლოს.

/ბიძინაშვილი, 2007; 2018;

<http://www.botanichka.ru/blog/2009/12/16/asparagus>

Bambusa vulgaris Schrad. ex Wendl. - ჩვეულებრივი ბამბუკი
Fam. Poaceae (Bambusoideae) - ოჯ. მარცვლოვანნი (ქვ. ოჯ. ბამბუკისებრნი)



ბოტანიკური დახასიათება: მარადმწვანე მრავალწლოვანი ერთლებნიანი ფესურიანი მცენარეა მრავალრიცხოვანი ყლორტებით; ღერო გამერქნებულია, ჯერ მწვანე, შემდეგ ოქროსფერ-ჩაღისფერი, დამუხლული. ფოთლები შუბისებრია, ბუსუსით დაფარული. რამდენიმე ათეულ წელიწადში ერთხელ, ბამბუკის მთელი პოპულაცია ყვავილობს ერთდროულად. ყვავილები უხვად ფარავენ ღეროებს.

ფენოლოგია: ყვავილობს იშვიათად, თესლს არ იძლევა.

მნიშვნელობა: ბამბუკის გამოყენების შესაძლებლობები თითქმის განუსაზღვრელია; მისგან აკეთებენ ტივებს, ხიდებს, სახლის ყველა ნაწილს, წყალსადენ მილებს, ავეჯს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, თხევადი და ფხვიერი სხეულების ჭურჭელს, ქალაღდს, ნორჩ ყლორტებს ხმარობენ როგორც ბოსტნეულს და ა.შ.

გამოირჩევა ანტიბაქტერიული თვისებებით, რაც გამონვეულია ბოჭკოში არსებული ძლიერი ანტისეპტიკის არსებობით. ხშირად გამოიყენება ანთების სანინაალმდეგო და საერთო გამაჯანსაღებელ საშუალებად, კერძოდ გაციებისა და გრიპის შემთხვევაში; მწვანე ბამბუკი ჯანმრთელობის უნიკალური წყაროა, მისი ბოჭკოდან დამზადებული ნახელები სასარგებლოა ასთმით შეწუხებული და ალერგიული რეაქციის მქონე პირთათვის.

ბამბუკის ძალის სიძლიერეს განსაზღვრავს კრემნიუმის მუყავის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური მოქმედებისათვის; როგორც ცნობილია ასწორებს კანს, ხელს უწყობს შეხორცებას, ძვლების, ფრჩხილებისა და თმების გამაგრებას, ასევე ხასიათდება დეპრესიული მდგომარეობის დროს დამამშვიდებელი ეფექტით, რის გამოც ფართოდ გამოიყენება აღმოსავლურ ტრადიციულ მედიცინაში.

მდიდარია ანტიოქსიდანტებით, ფლავონოიდებით, ლაქტონით, ფენოლური მუყავებით, პოლიოზით, უჯრედისით, ცილებითა და სხვა არაორგანული შენაერთებით. ნედლი ყლორტები შეიცავს 92,4% წყალს, 4% უჯრედის, 1,9% ცილებს, 0,7% ნახშირწყლებს, 0,7% არაორგანულ ნივთიერებებსა და 0,2% ცხიმებს.

აქედან გამომდინარე მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ითვლება შესანიშნავ მატონიზირებელ, შარდმდენ, ამოსახველებელ, მასტიმულირებელ და ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებად.

ბად; აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა მოქმედებას, რეკომენდირებულია კუნთოვანი ქსოვილების სპაზმის, ამენორეის და ძალის დაკარგვისას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმის საკვებმომწოდებელი სისტემის დარღვევების, წყლულოვანი დაავადებებისა და ღია რეის დროს; მრავალ აზიურ ქვეყანაში მას იყენებენ ტუბერკულოზის, სიყვითლის, დიზენტერიის, ციებ-ცხელების სამკურნალოდ, ხოლო ევროპელი ჰომეოპატები თვლიან, რომ კარგად უმკლავდება შაქრიან დიაბეტს.

ფაქტიურად ამ უნიკალური მცენარის თითოეული ნაწილი ჯანმრთელობის წყაროა. მისი ფოთლები ხასიათდება ამოსახველებელი და სიცხისდამწვევი მოქმედებით; ფესვები - ორგანიზმის გამაძლიერებელი საშუალებაა, ხოლო წვენი ეპილეფსიისა და აპოპლეფსიის საუკეთესო წამალია.

ბრძენი ჩინელები უძველესი დროიდან ამზადებდნენ ბამბუკის ექსტრაქტს, მდიდარია რა მინერალებით, პოლისახარიდებით, ორგანული და ამინომჟავებით ელექსირი ინვეეს სისხლძარღვების კედლების გამაგრებას, ამაღლებს ტონუსსა და ელასტიურობას, აუმჯობესებს ქსოვილებში სისხლისმოძრაობას და აქვეითებს კაპილარების გამტარუნარიანობას.

თანახმად ძველი აღმოსაღური ტრადიციებისა, ბამბუკი ხასიათდება მრავალრიცხოვანი სამკურნალო თვისებებით, არის უნიკალური მცენარე, აღადგენს ადამიანის ორგანიზმში ენერჯის ბალანსს, არის საოცრად პლასტიური და ერთდროულად მეტად გამძლე. მასთან დაკავშირებულია მრავალი დადებითი სიმბოლური მნიშვნელობები; მიაჩნდათ, რომ წარმოადგენს სიტურფის, მდგრადობის, მუდმივობის, მოქნილობის, კარგი აღზრდისა და მეგობრობის მაგალითს. ჩინეთში მცენარე განასახიერებს დღევრძელობასა და შვილებისადმი კეთილდამოკიდებულებას, ინდოეთში - მეგობრობას. ფილიპინელები თილისმის სახით პლანტაციებში ბამბუკის ჯვრებს არჭობენ, ბედნიერების მოზიდვის ნიშნად.

მცენარის გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო, ვინაიდან ნორჩი ყლორტები შეიცავს შხამიან ციანოგენურ გლიკოზიდს, რომელიც იშლება კულინარული დამუშავებისას.

გავრცელება: სახეობის სამშობლო უცნობია. მიიჩნევენ აზიის ტროპიკებს, სამხრეთ ჩინეთიდან მადაგასკარამდე.

ჰაბიტატები: იზრდება დაბლობიდან 1500 მ სიმაღლემდე; მდინარეების ნაპირებზე, გზის პირებსა და უშენ ადგილებზე. კარგად ვითარდება ტენიანი კლიმატის პირობებში, თუმცა უძლებს დაბალ ტემპერატურას და გვალვებს.

კულტივირება: ცნობილია ძირითადად მოშინაურებული სახით. მოჰყავთ მთელ აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში, აფრიკისა და მადაგასკარის ტროპიკებში. იზრდება ინდომალაის წვიმიან ტყეებში. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეობაა პაკისტანში, ტანზანიასა და ბრაზილიაში. XVIII ს-ის დასაწყისში ბამბუკი პოპულარული ხდება ევროპაში, ძირითადად ქოთნის კულტურის სახით. ითვლება, რომ ჰავაის კუნძულებზე შეყვანილ იქნა ჯეიმს კუკის მიერ XVIII ს-ის ბოლოს, სადაც ყველაზე პოპულარულ მცენარედ რჩება. კულტივირებულია აშშ-ში და პუერტო-რიკაზე, სადაც 1840 წელს იქნა შეყვანილი ესპანელების მიერ, ითვლება პირველ ბიოლოგიურ სახეობად ამერიკაში ინტროდუცირებულ მცენარეებს შორის.

კულტივირებულია საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში (აჭარა) ბამბუკის მთავარ მავნებლებს წარმოადგენს „*Dinoderus minutus*“ და *Cyrtotrachelus longimanus*“. სხვა დაავადებებიდან აღსანიშნავია - ცერკოსპოროზი, ქვედა ფოთლების ვაგინის ფუზარიუმი, ეპიდერმისის სილამპლე, ფოთლისეული ჟანგა, ფოთლის ლაქიანობა.

https://ru.wikipedia.org/wiki/Бамбук_обыкновенный;

<https://rastenievod.com/bambuk.html>

Colchicum speciosum Stev. – უცუნა

Fam.Colchicaceae - ოჯ. სათოვლიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40 სმ-მდე სიმაღლის მიწისზედა ყლორტებით. ტუბერბოლქვი 4-4,5 სმ სიგრძისა და 3-4 სმ სიგანისაა, მომრგვალო, გამონაზარდს მოკლებული, დაფარულია ყავისფერი, უხეში ქერქლით, ივითარებს გამსხვილებულ ფესვებს. ფოთოლი 3-4 (6), ფართო ლანცეტა, წვერში მობლაგვო, 18-25 სმ სიგრძისა და 3,5-5 სმ სიგანის, შიშველი, გრძელვაგინიანი. ჩვეულებრივ ვითარდება ერთი, იშვიათად 3 იისფერ-ვარდისფერი, უსუნო ყვავილი; ყვავილსაფარი მილისებრ-ძაბრისებრია, მისი ფოთლები 6-ია, ორ წრედ განლაგებული, ძირიდანვე შეზრდილი გრძელ ცილინდრულ მილად. ყვავილები შემოდგომაზე ვითარდება, ხოლო ფოთლები და ნაყოფები – გაზაფხულზე. ნაყოფი ელიფსური, მრავალთესლიანი კოლოფია; თესლი სფერულია, დანაოჭებული, მსხვილი, ყავისფერი, ხორცოვანი არილუსით.

ფენოლოგია: ტყის სარტყელში ვეგეტაციას იწყებს თებერვლის ბოლოს და ამთავრებს ივნისის პირველ ნახევარში, თესლი მწიფდება მაისის ბოლოს; ხოლო სუბალპურ სარტყელში – მაისის ბოლოს და ივლისში. ყვავილობა შესაბამისად მიმდინარეობს აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის პირველ ნახევარში ან სექტემბერ-ოქტომბერში.

მნიშვნელობა: დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. სამკურნალო ნედლეულს ძირითადად ტუბერბოლქვები წარმოადგენს, რომელსაც აგროვებენ ყვავილობის პერიოდში, აგვისტოს ბოლოდან შუა ოქტომბრამდე. ნედლეული სამკურნალო თვისებებს 3 თვეს ინარჩუნებს.

გვ. Colchicum-ის წარმომადგენლები უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნებიან. გალენი, ძველი რომის ცნობილი ექიმი უცუნას თესლებს კარგ საშუალებად თვლიდა ნიკრისის ქარის საწინააღმდეგოდ. აქედან ცნობები მის შესახებ გავრცელდა ევროპაშიც. XIII ს-ში გამოვიდა ბერძენი ექიმის დიმიტრი პაპაგენოსის ტრაქტატი, რომელიც სპეციალურად ნიკრისის ქარებს მიეძღვნა და იქ სხვა მცენარეებთან ერთად უცუნას თესლებიც იყო აღნიშნული. შუა საუკუნეებში დიდი სახელი მოიხვეჭა ფრანგი ოფიცრის ჰუსონის სამკურნალო საშუალებამ, რომელიც “ჰუსონის წყლის” სახელწოდებით იყო ცნობილი და პანაცეად ითვლებოდა. წამლის შემადგენლობა გასაიდუმლოებული იყო, ვიდრე ერთმა ინგლისელმა ფარმაცევტმა არ გამოიკვლია, რომ უცუნას

ღენის ნაყენს წარმოადგენდა (Сало, 1975; Атлас ареалов и рес. лекарст. раст., 1976; Йорданов и др., 1976; Кортиков и др., 1990; ბიძინაშვილი, 2018). კავკასიაში უცუნას ტუბერბოლქვის ფხვნილს ხმარობდნენ ჩირქოვანი ჭრილობებისა და განგრენული წყლულების სამკურნალოდ (წუნუნავა, 1961).

შუა საუკუნეების სომხეთში მოღვაწე ექიმ ამირდოვლათის სიმსივნის საწინააღმდეგო ფიტოთერაპიის არსენალში ნახსენებია შროშანისებრთა (*Liliaceae*) ოჯახის წარმომადგენლები. მათ შორის განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა უცუნას სამკურნალო მნიშვნელობას პოლიპებისა და ავთვისებიანი წყლულების დროს და მას „საოცარს“ უწოდებდა. ექიმი რეკომენდაციას უწევდა სიმსივნის დროს, როგორც გარეგან საშუალებას, უცუნას პრეპარატების მაღამოს სახით გამოყენებას <http://www.aif.ru/archive/1670825>.

ახალმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათი მაღალი სამკურნალო აქტივობა განპირობებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, კერძოდ ალკალოიდების მაღალი შემცველობით, რომელთა შორის ძირითადია - კოლხიცინი (ძლიერ ტოქსიკურია, ითვლება მიტოზურ შხამად), კოლხამინი, სპეციოზინი და კოლხიციკრინი. კოლხამინი ხასიათდება კოლხიცინის მსგავსი მოქმედებით, მაგრამ ნაკლებ შხამიანია. ორივე ნივთიერება მიეკუთვნება კარიოკლასტურ შხამებს, ხასიათებიან უჯრედის ბირთვის დაყოფის (მიტოზი) შეჩერების უნარით. აღნიშნული ალკალოიდები განსაზღვრავს მცენარის საერთო ფარმაკოლოგიურ მიმართულებას. ანტიმიტოზური აქტივობიდან გამომდინარე გამოირჩევიან ავთვისებიანი სიმსივნეების საწინააღმდეგო მოქმედებით. ტუბერბოლქვების გარდა სამკურნალოდ თესლებიც გამოიყენება, რომლებიც ასევე მდიდარია ალკალოიდებით.

მცენარეული წარმოშობის ერთ-ერთი პირველი სამკურნალო საშუალება რომელსაც თანამედროვე ონკოლოგიაში, სიმსივნის სამკურნალოდ იყენებენ უცუნაა (*Colchicum speciosum*).

მიღებულია პრეპარატები: 0,5% კოლხამინის მაღამო, იხმარება კანის კიბოს ენდოფიტური და ეგზოფიტური ფორმების I და II სტადიის დროს; პრეპარატ კოლხამინის (დემოკოლაცინი, ომინი) პერორალური გამოყენების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ლეიკოზი და კუჭ-ნაწლავის კიბო. პრეპარატი ამუხრუჭებს სიმსივნური უჯრედების გამ-

რავლებას და ახდენს მათ ლიზის (დამლას); ამასთან ავთვისებიანი უჯრედები ილუპება, ხოლო ეპითელიუმის ნორმალური უჯრედები თითქმის არ ზიანდება. ციტოსტატიკის გამოკვეთილი სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება აღინიშნება საცლაპავი მილისა და კუჭის კიბოს დროს, რომელიც არ ეფექტდება ოპერატიულ მკურნალობას. კოლხამინი ეფექტურია ქრონიკული მიელოიდური ლეიკემიის სამკურნალოდაც. ხოლო კოლხიციანი ავლენს ინგიბირულ მოქმედებას მეტასტაზებზე.

მცირე დოზებით მიღებისას აფართოებს სისხლძარღვებს, სწორედ ამითაა გამოწვეული მისი თერაპიული ეფექტი ნიკრისის ქარის, რევმატიული დაავადებებისა და ნევრალგიის დროს. კოლხიციანის შემცველი პრეპარატების მიღება ამ შემთხვევაში შედეგანია, მაგრამ გაბედული, ვინაიდან დიაპაზონი მკურნალობასა და მის ტოქსიკურობასთან დოზებში ძალიან მცირეა. იგი არ უნდა აჭარბებდეს 0,001 გ 3-4 ჯერ დღეში.

უცუნას ალკალოიდები ფართოდ გამოიყენება გენეტიკურ გამოკვლევებშიც. აგრეთვე სელექციაში პოლიპლოიდური ფორმების მისაღებად. **კავკასიის სუბენდემია**, ატროპატანურ-კავკასიური ელემენტი. კლასიკური ადგილი საქართველოა.

საერთო გავრცელება: მცირე აზია (აღმ. ანატოლია); ჩრდ. ირანი.

საქართველო: აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, აჭარა, შივა ქართლი, ქართლი, მთიულეთი, კახეთი, თრიალეთი, ჭავჭავეთი, მესხეთი.

ჰაბიტატი: უცუნა სინათლისმოყვარული მეზოფიტია, ფართო ეკოლოგიური ამპლიტუდით; კარგად ვითარდება წვრილ-ღორღიან ნიადაგებზე, გაურბის ჭარბტენიან ადგილებს, იზრდება წიფლნარ-ნაბლნარ, წიფლნარ-რცხილნარ-ნეკერჩხლიან ტყეებში, მდინარისპირა მურყნარებში, ბუჩქნარების რაყებში, ტყეკაფებზე, ფიჭვნარი და ნაძვნარი ტყეების პირებზე, განსაკუთრებით ჭარბადაა მთის შუა სარტყლის ნატყევარ მდელოებზე. არეალის დასავლეთით უმთავრესად გვხვდება ტყის მეზოფილურ მცენარეებთან, მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე, ზ. დ. 2500 (3000) მ-მდე. ფართო რაყები დამახასიათებელია სუბალპური სარტყლის შემდეგი ფორმაციებისათვის: მაღალბალახეულობა და სუბალპური მდელოები; მთის შუა და ზედა სარტყელში უცუნას პოპულაციები ტყის სარტყელში გვხვდება. არეალის აღ-

მოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში დაკავშირებულია მთამდგლოს ფორმაციებთან, ტყის ზედა სარტყლის მეჩხერ ტყეებთან და სუბალპურ მდელოებთან, სადაც ფართო დაჯგუფებებს ქმნის. (Шорина, 1965; Шре-тер и др., 1979; Колаковский, 1985).

კულტივირება: გვ. Colchicum-ის სახეობები, რომელთათვისაც დამახასიათებელია სიმპოდიალური ზრდა და ყოველწლიურად ტუბერბოლქვების ცვლა, მიეკუთვნება ე.წ. ვეგეტატიურ მცირეწლოვანთა ტიპს (Шорина, 1967). ლუბარსკის კლასიფიკაციის თანახმად (1967) გეოფიტები (სტოლონურ-ტუბეროვანი და სტოლონურ-ბოლქვოვანი ბიომორფები) შეტანილია ვეგეტატიურად მოძრავ მცენარეთა ჯგუფში, რომლებსაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, ვეგეტატიური გამრავლება ნამდვილად აქვთ გამოხატული და ფიტოცენოტიკურ მნიშვნელობას იძენს.

ბუნებრივ პირობებსა და კულტურაში გვ. Colchicum-ის სახეობები წარმატებით მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. თესლი გროვდება შეყვითლებული კოლოფების გახსნის დასაწყისში, ვინაიდან მათ მოგვიანებით ჭიანჭველები საკვებად იყენებენ. კოლოფებს აშრობენ გაშავებამდე, რის შემდეგაც მათგან გადმოყრიან თესლებს, რომლებსაც მალევე თესავენ. ზედმეტად გადამშრალებული თესლების დათესვისას კლებულობს აღმონაცენის რიცხვი და ხშირად აღმოცენებაც მოგვიანებით, დათესვიდან 1 წლის შემდეგ იწყება. თესლების ღია გრუნტში აღმოცენება 70-80%-ია. ლიტერატურული მონაცემები, რომ უცუნას თესლები დათესვიდან მესამე წელს აღმოცენდება (Шорина, 1955) ჩვენს მიერ არ დასტურდება. თესლები ღივდება ორ პერიოდში: შემოდგომით და გაზაფხულზე. შემოდგომით, როგორც წესი, ახლადშეგროვილი თესლების დათესვისას, აღმონაცენი გაზაფხულზე, მარტის ბოლოს-აპრილის დასაწყისში წარმოიქმნება; გაზაფხულზე კი აუცილებელია სტრატეფიცირებული თესლების თესვა, რომელთა აღმონაცენი 4-4,5 თვეში წარმოიქმნება. აღმონაცენის ლეხანი დიფერენცირებულია ვაგინად, დამაკავშირებლად და ჰაუსტორიად, რომელიც თესლის ენდოსპერმშია ჩალრმავებული. ჰიპოკოტილე სუსტადაა განვითარებული, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება ლეხნის ვაგინის უშუალოდ გადასვლისა მთავარ ფესვად, რომელიც ვერტიკალურად ქვევით იზრდება. პირველი მწვანე ფოთოლი ცილინდრულია, მილისებრი. პირველი ფოთლის ვაგინის ძირში საგაზაფხულო ვეგეტაციის დამთავ-

რებისას ფორმირდება 1 მცირე ზომის ტუბერბოლქვი, მკვეთრად გამოხატული დეზით. დეზი სპეციალიზირებული ორგანოა, რომელიც ემსახურება ნიადაგში განახლების კვირტის ჩაღრმავებას. ზრდასრულ მცენარეებს, როგორც წესი, დეზი არა აქვთ. ეს მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება გათვალისწინებულ უნდა იქნეს მცენარის გადარგვისას. ვეგეტატიური მცენარეები შეიძლება გადაირგას იმგვარად, რომ არ მივდიოთ მკაცრად განსაზღვრულ სიღრმეს, ვინაიდან ახალგაზრდა ტუბერბოლქვები თანდათანობით მონახავენ თავიანთ ადგილს ნიადაგში და ნორმალურად გაიზრდებიან და განვითარდებიან.

ვინაიდან გეოფიტები ვეგეტატიურად მოძრავ მცენარეებს მიეკუთვნება, მრავალი ბოლქვოვანისა და ტუბერ-ბოლქვოვნებისათვის ვეგეტატიური გამრავლება (შვილეული) წარმოადგენს ძირითად საფუძველს მათი მასობრივი გამრავლებისათვის, როგორც ბუნებრივ პირობებში, ისე კულტურაში. ამ მცენარეებში ვეგეტატიური გამრავლების უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ დროის მოკლე პერიოდში შესაძლებელია მიღებულ იქნეს მოზრდილი მცენარეები, რაც არ შეიძლება ითქვას თესლით წარმოქმნილ ინდივიდებზე, რომელთათვისაც დიდი სასიცოცხლო ციკლის ვირგინალური პერიოდი გრძელდება ათეულწლობით. ასე მაგ., ლიტერატურული მონაცემების თანახმად, ბუნებრივ პირობებში *Colchicum speciosum*-ისთვის, ყვავილობის ფაზა დგება მე-15-18 სავეგეტაციო წელს (Шорина, 1967), ხოლო კულტურის პირობებში ეს სახეობა ყვავილობს მე-6-7 წელს. იმ დროს, როდესაც გენერაციულ მდგომარეობას უფრო სწრაფად აღწევენ ვეგეტატიური წარმოშობის ინდივიდები და არა თესლით წარმოქმნილები.

ბუნებრივი ზრდის ადგილებში *Colchicum speciosum*-ში ვითარდება ბუდობრივი კლონები, რომელიც 8-15-მდე ინდივიდს ითვლის, ზოგჯერ კი მათი რიცხვი 30-35-ს აღწევს.

ბუნებრივ ადგილსამყოფელში კლონური ბუდეები შედგება 6-15-მდე ტუბერბოლქვისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსიური ვეგეტატიური გამრავლება, რომელიც დამახასიათებელია უკუნასათვის (*Colchicum speciosum*), არ არის დამახასიათებელი სათოვლიასათვის (*Colchicum umbrosum*); მის ველურად მოზარდ ინდივიდებში (კოჭორი, ზღ. დ. 1400 მ; ტაბახმელა, ზღ. დ. 900 მ) ვეგეტაციური წარმოშობის ინდივიდების წარმოქმნა მეტად შეზღუდულია (2-3 ინდივიდი). მცენარეთა ვეგეტა-

ტიურ გამრავლებაზე არსებითად მოქმედებს ზამთრის დაბალი ტემპერატურა და ნიადაგის ტენიანობა. კარგი აერაციისა და ნიადაგის ნორმალური ტენიანობის პირობებში ვითარდება დამატებითი კვირტები, ჭარბმა ტენმა ნიადაგში შეიძლება დაჩაგროს არა მხოლოდ ყლორტ-წარმოქმნა, არამედ ვეგეტატიური მრავალწლოვნების მინისქვემა ორგანოების - ტუბერების, ტუბერ-ბოლქვების, ფესურების განვითარება.

ამგვარად, იმ განმსაზღვრელი ფაქტორებიდან, რომლებიც არეგულირებენ გვ. *Colchicum*-ის სახეობების ვეგეტატიურ გამრავლებას, უპირველესად უნდა ჩაითვალოს დედისეული მცენარის განვითარების ხარისხი, მისი სახეობრივი სპეციფიურობა და მეორეს მხრივ, ეკოლოგიური პირობები.

შემოდგომით მოყვავილე გვ. *Colchicum*-ის სახეობების (უცუნა, სათოვლია) დარგვა ღია ან ნახევრად დაჩრდილულ ნაკვეთებზეა საჭირო. ისინი კარგად იზრდებიან ყველანაირ დამუშავებულ, ფხვიერ და საკმაოდ განოყიერებულ ნიადაგებზე, რომელიც არ უნდა იყოს დატენიანებული. საუკეთესო სასუქს წარმოადგენს ნეშომპალა ან კომპოსტის მიწა, რომელიც შეაქვთ 10-15 კგ/1მ² ოდენობით. წვრილტუბერბოლქვიანი სახეობისათვის (*C. umbrosum*) ნიადაგი 20 სმ სიღრმეზე უნდა დამუშავდეს, ხოლო მსხვილბოლქვიანებისათვის (*C. speciosum*) არა უმცირეს 25 სმ. შემოდგომით ტუბერ-ბოლქვებს რგავენ აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის შუა რიცხვებამდე; წვრილ ბოლქვებს - 8-12 სმ სიღრმეზე, 10-15 სმ დაცილებით; მსხვილ ტუბერ-ბოლქვიან სახეობას (*C. speciosum*) 18-22 სმ სიღრმით, 25 სმ დაშორებით. შეილეულ ტუბერ-ბოლქვებს რგავენ 6-10 სმ სიღრმეზე. უფრო ნაკლები სიღრმით დარგვის შემთხვევაში, მცენარეები სწრაფად ამთავრებენ გაზაფხულის ვეგეტაციას და უფრო სუსტად ვითარდებიან. გენერაციული ეგზემპლარების ტუბერბოლქვებს უკვე დაკარგული აქვთ დეგის წარმოქმნის უნარი და ყოველწლიური განახლებისას არ შესწევთ ნიადაგში შესაბამის სიღრმეზე ჩაღრმავების უნარი.

სავეგეტაციო პერიოდში მცენარეთა მოვლა მდგომარეობს განოყიერებაში, სარეველების მოცილებასა და საჭიროებისამებრ მორწყვაში.

სამრეწველო თვალსაზრისით პერსპექტიულია უცუნას კულტივირება, რომელიც სათოვლიასთან შედარებით დიდი ზომებით გამოირჩევა,

რის გამოც სამკურნალო ნედლეულის დამზადება რენტაბელურია (ბი-
ძინაშვილი, 2018).

***Convallaria majalis* L. subsp. *transcaucasica* (Utkin ex Grossh.) Bordz. (*C. transcaucasica* Utkin ex Grossh.) - შროშანა**



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი დაბალი ბალახოვანი მცენარეა გრძელი, მხოხავი, დატოტვილი წვრილი ფესურით. მცენარე შიშველია, შედგება 2 (იშვიათად 3) პრიალა, მწვანე ფოთლისაგან, რომლებიც ყუნწიანია, მოგრძო-კვერცხისებრი ან ელიფსურ-ლანცეტა, წანვეტილი, ვაგინიანი; ძირში უვითარდებათ ქერქლისებრი ღერომხვევი ფოთლები ჩაკეტილი მილისებრი ვაგინით (მუქი იისფერი, ყავისფერი ან მწვანე შეფერილობის). საყვავილე ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, ივითარებს ცალგვერდა ფარჩხატ მტევნისებრ ყვავილედს 6-8 ჩაქინდრული, ნახევრადსფერული, ზარისებრი, სურნელოვანი, გრძელყუნწიანი ყვავილით; თუმცა საყვავილე ყუნწები ისრის სხვადსხვა მხარეს ვითარდებიან, ყვავილები მაინც ცალ მხარესა მიმართული, ვინაიდან ღეროა სპირალურად დახვეული. მტვრიანა 6, ყვითელი წაგრძელებული სამტვრეები მოკლე ძაფებით სეგმენტების ძირზეა მიმაგრებული. სვეტი მოკლეა, სამად გაყოფილი დინგით. შროშანას ყვავილები სუსტად პროტანდრიულია. დამამტვრიანებლებია მწერები (ფუტკარი, კრაზანა, ბუზი), რომლებსაც იზიდავენ ძლიერი არომატული სუნითა და მტვრით. ნაყოფი ნარინჯისფერ-მოწითალო კენკრაა 2-8 თესლით, რომლებიც ჩიტების მეშვეობით ვრცელდება.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII.

მნიშვნელობა: მცენარე შხამიანია!!! შროშანას სახეობებიდან გამოყოფილია 42 კარდიოტონური ნივთიერება, რომლებიც მიეკუთვნება კარ-

დენოლიდური ბუნების სხვადასხვა ჯგუფს: პერიპლოგენინის, სტროფანტილოლის, სტროფანტიდინის, სარმენტოგენინის, ბიპინდოგენინის, სარმენტოლოგენინის, სარმენტოზიგენინის (ნიგრესციგენინის), 19-ჰიდროქსისარმენტოგენინის, კანოგენოლისას. ძირითად გლიკოზიდებს წარმოადგენს: კონვალატოქსინი, რომლის გენი იდენტურია K-სტროფანტინის გენტან. ცნობილია ასევე კონვალატოქსოლი, კონვალაზოზიდი, კონვალაროტოქსინი და ლოკუნდები. სტეროიდული გლიკოზიდების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სპიროსტანის რიგის საპონინები.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს აღნიშნული ჯგუფების გლიკოზიდებს, ყველაზე მეტი კი ნედლე ყვავილებშია.

ფოთლებში აღინიშნება 15-ზე მეტი ფლავონოიდური ბუნების შენაერთები, რომელთა შორის იდენტიფიცირებულია იზორამნეტინი, კვერცეტინი, ლულეოლინი, აპეგინინი, კემფეროლი და სხვ. გარდა ამისა შეიცავს ეთერზეთებს, ორგანულ მჟავებს, ალკალოიდ მაიალინს, სახამებელსა და სხვ. შრომანას გლიკოზიდები სწრაფად იშლება და ორგანიზმში არ ხდება კუმულირება.

შრომანას სხვადასხვაგვარი პრეპარატები (ნაყენი, ექსტრაქტები, აბები, ამპულები) მედიცინაში ფართოდაა გამოყენებული და მითითებები მათი გამოყენების შესახებ მოიპოვება შესაბამის ლიტერატურაში.

შრომანასგან გამოყოფილი გულის გლიკოზიდები გამოირჩევიან მაღალი კარდიოტონური და ბიოლოგიური აქტივობით, მოქმედების სწრაფი განვითარებით და სუსტად გამოხატული კუმულიატორული თვისებებით. სამედიცინო პრაქტიკაში შრომანას პრეპარატები ფართოდ ცნობილი საგულე საშუალებებია. მათ იყენებენ მწვავე და ქრონიკული გულის უკმარისობის, კომპენსირებული და სუბკომპენსირებული გულის მანკის, კარდიოსკლეროზისა და გულის ნევროზის, კარდიალური ტიპით მიმდინარე ნეიროსირკულატორული დისტონიის, ისტერიის, დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს. შრომანას გამოყენებისას ავადმყოფებში აღინიშნება გულის კუნთის კუმშვის რიტმის შენელება, პულსაციის გაუმჯობესება, შეგუბების მოვლენების, ციანოზის და სულის ხუთვის შემცირება, აგრეთვე დიურეზის მომატება.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გულის დაავადებებისას, განსაკუთრებით ტახიკარდიის დროს, გულის რიტმის რეგულირებისათვის; მუშუპების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, ეპილეპსიის, ციებ-

ცხელების, ყელის ტკივილებისას; როგორც დამამშვიდებელი და დიურეზული საშუალება; ნაყენი გარეგანად (საფეხების სახით) იხმარება თვალის დაავადებებისა და რევმატიზმის საწინააღმდეგოდ.

კავკასიის ხალხურ მედიცინაში შრომანას ფესვები გამოიყენებოდა ციებ-ციხელებისას; ნედლი ყვავილების ნაყენი – ბავშვებში კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ; ფოთლების ნახარშს კი გულის დაავადებებისას ხმარობდნენ. გამშრალ ყვავილებს იყენებდნენ დასაცემინებელ საშუალებად მშრალი სურდოს დროს (ბიძინაშვილი, 2017).

სუბენდემური და რელიქტური სახეობაა, კოლხური, ფართო ირადიაციებით. კლასიკური ადგილსამყოფელია სამხრ. კავკასია, საიდანაცაა აღწერილი.

საერთო გავრცელება: ლაზისტანი, ყარსი.

საქართველო: აფხაზეთი, სვანეთი, იმერეთი, აჭარა, ქართლი, მთიულეთი, ქიზიყი, გარე კახეთი, თრიალეთი, მესხეთი.

ჰაბიტატი: ტყის ტიპური მეზოფილური მცენარეა, იზრდება მთის ქვემო და შუა სარტყელში. უმთავრესად გვხვდება მუხნარებში, ნაბლნარ-მუხნარებში, რცხილნარებსა და წიფლნარებში, ნაკლებად ჭალის ტყეებში, სადაც ძირითადად იზრდება ჩრდილო და დასავლეთის ექსპოზიციებზე. კარგად ვითარდება საშუალო ტენიან ადგილებში, თუმცა ერთეულებად გვხვდება უფრო ფართო ეკოლოგიურ დიაპაზონში მდელოდან ჭაობიან მდელოებამდე. არეალის სხვადასხვა ნაწილში მისი სინათლისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია. ჩრდილოეთ ნაწილში შრომანა სინათლის მოყვარული მცენარეა და უმთავრესად ღია ადგილებისთვისაა დამახასიათებელი; ხოლო სამხრეთში ტიპური სციოფიტია; იზრდება ისეთ განათებულ ადგილებში, რომელიც შეადგენს ფიზიოლოგიურად აქტიური რადიაციის 1,7%-ს. ძლიერი დაჩრდილვის დროს მცირდება გენერაციული ციკორტების ზომები, რაც იწვევს მისი ბიომასის შემცირებას.

კულტივირება: შრომანა გეოფიტია, ზომიერი ან სუსტი აციდოფილური მცენარე; ნიადაგები, რომელზედაც ბუნებრივ პირობებში იზრდება ცვალებადია, ძლიერი ენერიდან ყომრალ და ტორფიან ჭაობნარამდე; მექანიკური შემადგენლობის მიხედვით მძიმე თიხნარებიდან ქვიშნარებამდე. დას. საქართველოში, კერძოდ - აფხაზეთში განსა-

კუთრებით ჭარბადაა წარმოდგენილი კირქვიანებზე, სადაც ზოგჯერ ემნის კარგად ჩამოყალიბებულ სინუზიას.

ძლიერ მომთხოვნია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი. მწირ ნიადაგებზე მისი ყლორტების ზომები მნიშვნელოვნად მცირდება, რასაც მიყვავართ გენერაციული ყლორტების შემცირებასთან და პოპულაციების დაკნინებასთან.

შროშანა მიეკუთვნება გვიან გაზაფხულ-ადრე ზაფხულის განვითარების რიტმის მცენარეებს, ვეგეტაციის ხანგრძლივი პერიოდით. ხოლო გადაზამთრების ხასიათის მიხედვით – ზაფხულმწვანე ჯგუფს, ვინაიდან თოვლის საფარქვეშ შედის მწვანე ორგანოების გარეშე.

თბილისის სემიარიდული კლიმატის პირობებში შროშანას ვეგეტაცია იწყება მარტის ბოლოს-აპრილის დასაწყისში; ყვავილობს საშუალოდ აპრილის ბოლოს-მაისის პირველ რიცხვებში; ადრეულ გაზაფხულზე ყვავილობა აღინიშნება აპრილის მეორე დეკადაში, გვიან გაზაფხულზე მაისის პირველ დეკადაში; ყვავილობის საშუალო ხანგრძლივობა 25-28 დღეს შეადგენს. მშრალ წლებში ყვავილობის ხანგრძლივობა მცირდება 14-16 დღემდე, ხოლო ტენიან, გრილ ამინდში მატულობს 26-28 დღემდე.

შროშანა მიეკუთვნება იმ მცენარეთა რიცხვს, რომლებიც ნაყოფმსხმოიარობის ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდებიან. მშრალ წლებში ნაყოფმსხმოიარობის ხანგრძლივობა მცირდება 60-65 დღემდე, ხოლო ნოტიო, გრილი ზაფხულის წლებში იზრდება 85-90 დღემდე.

ნაყოფების მომწიფების შემდეგ - აგვისტოს მესამე დეკადიდან სექტემბრის მეორე დეკადამდე, იწყება საყვავილე ღეროს ხმობა.

მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. თესლი სქელი ენდოსპერმით ხასიათდება, მომრგვალო ან ოვალურია, ხშირად გვერდიდან მიტკეცილი, მუქი, მსხვილი 3,5-4,5 მმ სიგრძისა და სიგანის, 2,5-2,2 მმ სისქის; ჩანასახი არადიფერენცირებულია, თითქმის ცილინდრული, თესლში ცენტრალური ნაწილი უკავია. დიფერენცირებული ჩანასახი ვითარდება ტენიან ნიადაგებში ზაფხულის თვეების მაღალი ტემპერატურის პირობებში გაღივებისას. შემოდგომით თესვისას ან თვითნათესის შემთხვევაში ჩანასახი მომავალი წლის ზაფხულში (ივნისი-ივლისი) ღებულობს მინისქვეშა აღმოცენების ხასიათს.

თესლის გაღივებისას პირველად ვითარდება ფესვი, შემდეგ ლეზნის ვაგინის ბოლოსთან ერთად გამოდის ზრდის წერტილი. სამარაგო ნივთიერებების მარაგი გადაედინება ენდოსპერმიდან ზრდის წერტილში ლეზნის წვერისკენ; მისი დამოკლებული ყუნწის საშუალებით ზრდის წერტილში უჯრედების ინტენსიური დაყოფის შედეგად, ლეზნის მილისებრი ვაგინის უბეში წარმოიქმნება კვირტი, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში აღწევს 5-6 მმ-ს. შემოდგომისთვის კვირტი იზრდება 7,5-9,0 მმ-მდე, სისქით 1,5 მმ და შედგება სამი ქერქლისაგან, ჩანასახოვანი ფოთლითა და ძირში ზრდის წერტილით. ასევე სწრაფად გრძელდება ფესვი, რომელიც ხშირად, ნიადაგის სტრუქტურიდან გამომდინარე, იცვლის ფორმას და იგრიხება, ამავე დროს უვითარდება მეორე ფესვიც, რომლის სიგრძე მნიშვნელოვნად ნაკლებია პირველ ფესვზე. შროშანას დროული და მასობრივი აღმოცენებისათვის ზაფხულის თვეებში მაღალი ტემპერატურების გარდა, აუცილებელია ნიადაგის საკმაო ტენიანობა.

შროშანასათვის დამახასიათებელია მიწისქვეშა აღმოცენება. შემოდგომით დათესილი თესლების მიწისქვეშა გაღივება აღინიშნება მომავალი წლის გაზაფხულზე, ხოლო მიწისზედა - ივლის-აგვისტოში.

თესლით გამრავლებისას მცენარეები ნელა ვითარდებიან. გაღივებიდან გენერაციული ორგანოების ფორმირებამდე (ანუ თესლის წარმოქმნამდე) 4-5 წელია საჭირო, რაც პრაქტიკულად წამგებიანია (უპერსპექტივოა), რის გამოც კულტივირებისას ძირითადად მიმართავენ ვეგეტატიურ გამრავლებას - ფესურების დაყოფას. ფესურებს ყოფენ 5-6 სმ სიგრძის ნაწილებად, განვითარებული 1-2 კვირტით. რგავენ შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე, 3-5 სმ სიღრმეზე, მცენარეთა შორის 4-5 სმ და რიგთშორისებში 15-20 სმ-ის დაცილებით. ფესვთა სისტემის აღდგენა მიწისპირის პირობებში შენელებულია.

ჩვენს პირობებში აუცილებელია მისი ჩრდილში დარგვა. პირდაპირი მზის სხივები ასუსტებენ მცენარის განვითარებას. ასეთ პირობებში შროშანას ფოთლები ყვითლდება. მცენარე თანდათანობით კნინდება და ილუპება. განსაკუთრებით მგრძნობიარეა ნოყიერი ნიადაგის მიმართ. მიღებული ნორმების მიხედვით, ნიადაგის ყოველ 1 მ²-ზე შეაქვთ 4 კგ გადამწვარი ნაკელი, მინერალური სასუქების ერთდროული შეტანით - 40 გრ სუპერფოსფატი და 20 გრ კალიუმის მარილი, რათა კარგად გა-

ნუვითარდეთ საყვავილე კვირტები, მცენარეებს განვითარების მეორე და მესამე წლებში ანოციერებენ სრული მინერალური სასუქებით, მაგრამ მეორე წელს აზოტის მცირე შემცველობით და მესამე წელს კიდევ უფრო მცირე რაოდენობით, ანოციერებენ 50-70 გ სასუქების ნარევით 1 მ²-ზე (Киселев, 1964).

შრომანა განსაკუთრებით კარგად ვითარდება ტენიან, მსუბუქ, სტრუქტურულ, ღრმა, ფხვიერ და ჰუმუსიან ნიადაგებზე.


სავეგეტაციო პერიოდში მცენარეთა მოვლა მდგომარეობს: სარეველებისაგან გასუფთავებაში, ნიადაგის გაფხვიერებაში, განოციერებასა და მორწყვაში (ბიძინაშვილი, 2011; 2018)

შრომანას დაავადებებიდან უფრო მეტად გავრცელებულია ნაცრისფერი და თეთრი სიღამპლე, რომლებიც წარმოიქმნება სუბსტრატში ტენის სიჭარბის დროს.

შემჩნეულია ლაქოვანი დაავადება, რომელიც საგრძნობლად ასუსტებს მცენარეებს. ფოთლები ზიანდება მოლუსკებით, რომელთაგან უფრო ხშირად ვხვდებით *Helix lucorum taurica*-ს.

მავნებლებისა და დაავადებების გამომწვევთა წინააღმდეგ გამოიყენება: აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური ბრძოლის მეთოდები, რომლებიც მოიცავენ როგორც პროფილაქტიკურ, ისე გამანადგურებელ ღონისძიებათა მთლიან კომპლექსს. რაც ითვალისწინებს ბრძოლის ყველა მეთოდის შეხამებულად, დროულად და ხარისხიანად გამოყენებას / ბალათურია, 1973/.

Crocus sativus L. – ჩვეულებრივი ზაფრანა
Fam. Iridaceae - ოჯ. ზამბახისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, კულტურული, 15-20 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, თითქმის სფერული, ძირში შებრტყელებული 2,5 სმ სიგანის, ბაცი-მურა, მშრალი ქერქლებით შემოვლებული ტუბეროლქვით. ფოთლები ყვავილებთან ერთად ან მათი გადაყვავილების შემდეგ ვითარდება; ფოთოლი ვიწრო ხაზურია, მუქი მწვანე, პრიალა, ორი თეთრი ზოლითა და ბაცი შუა ნაკვითთ, 15-20 სმ სიგრძისა და 0,2-0,3 სმ სიგანის, 6-9 ცალი. საყვავილე ისარი მარტოულია, იშვიათად ორი; ყვავილი 1-2, სურნელოვანი, ორსქესიანი; ყვავილსათარი გვირგვინისებრია, ისფერი ან ლილისფერი, მუქი ძარღვებით, სწორი, ძაბრისებრი, ფურცლებშებრდილი, 6 გადანაღუნითა და გრძელი ცილინდრული მილით, რომელიც ნიადაგში ნახევრადაა ჩაფლული; მტვრიანა - 3, მუქი ნარინჯისფერი. ნაყოფი სამუდღიანი კოლოფია, წვრილი, თითქმის სფერული თესლით.

ფენოლოგია: ყვ. IX-X. იშვიათად თესლმსხმოიარობს.

მნიშვნელობა: ოფიცინალურ სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. სანელებელი და სამკურნალო ნედლეულია ყვავილის დიხვი (Flores Croci, Stigmata Croci), რომელსაც გაშლილი ყვავილებიდან დილის 10-11 საათზე აგროვებენ; აშრობენ სპეციალურ საშრობებში 45-50° ტემპერატურაზე. დამზადება შრომატევადია, 1 კგ ნედლეულის მისაღებად 200000 დინგია საჭირო. კაშკაშა ნარინჯისფერ-წითელი დინგი ხასიათდება ძლიერი სუნითა და გემოთი. შეიცავს კროცინს - გლიკოზიდური ხასიათის ყვითელ საღებავ ნივთიერებას, რომელიც იხსნება წყალსა და სპირტში. იხმარება კვებით მრეწველობაში.

უძველესი დროიდანვე მას იყენებდნენ არა მხოლოდ კულინარიაში; გამოთვლილია, რომ შედის აღმოსავლეთ მედიცინის 300-ზე მეტ რეცეპტში. ხასიათდება საგულე, შარდმდენი, ანტისეპტიკური, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, ანტიკარცნოგენული და ანტიმუტაგენური, ნერვული სისტემის მატონიზირებელი, სასქესო პოტენციის გამაძლიერებელი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. მას იყენებენ გულისა და თირკმელების, შარდის ბუშტისა და საშარდე გზების ანთებითი პროცესების, თირკმელკენჭოვანი დაავადებების, ეპილეფსიის, კრუნჩხვების პროფილაქტიკის, ლეიკემიის კერატიტების, კონიუნქტივითების, ჩირქოვანი ჭრილობების, ხველებისა და ყვიანახველის დროს. სადღეისოდ რჩება აქტუალურად რიგი დაავადებების სამკურნალოდ -

თვალის, გინეკოლოგიურის, შედის სხვადასხვა სამკურნალო საფენების შემადგენლობაში; მცირე რაოდენობით აუქტობესებს კანის ფერსა და მდგომარეობას, აძლიერებს მადას და ხელს უწყობს საკვებმომწოდებელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას, ასუფთავებს თირკმელებსა და შარდის ბუშტს, ხსნის ნაბახუსევის სინდრომს. ხოლო არომათერაპიაში ზაფრანის ეთერზეთები გამოიყენება სასუნთქი ორგანოების სამკურნალოდ, ძილის პრობლემების დროს (Кортиков, 1998; ოდიშარია, საბახტარაშვილი, 1993; ბიძინაშვილი, 2017).

საერთო გავრცელება: მიეკუთვნება უძველეს მცენარეთა რიცხვს. სამშობლო აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვეთია (საბერძნეთი, არქიპელაგი, კრიტი, სმირნა). ველურად არ გვხვდება. წინაპარ ფორმებად ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთის ოლქებში მოზარდ სახეობებს *Crocus cartwrightianus* Herbert და *C. pallasi* Gold.-ს მიიჩნევენ. კულტურაში ცნობილია ახ.წ.აღ.-მდე 2000 წლით ადრე წინა ამიის (სირია, პალესტინა და სხვ.) ხალხებში. ჯვაროსნული ომების შემდგომ მისი კულტურა ვრცელდება სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში; განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ინდოეთში, პაკისტანში, ჩინეთსა და სამხრეთ ევროპაში. ასევე უძველესი დროიდანაა კულტივირებული აზერბაიჯანში, აფშერონის ნახევარკუნძულზე, სადაც ირანიდან იქნა შეტანილი.

მიღებულია ზაფრანის ჯიშები: *Crocus 'Golden Yellow'*, *Crocus 'Blue Pearl'*, *Crocus 'Prins Claus'*.


კულტივირება: კულტურაში ნაკლებ მომთხოვნია. კარგი განვითარებისა და უხვი ყვავილობისათვის აუცილებელია ტუბერბოლქვეები დაირგას მსუბუქ, საკმაოდ ნოყიერ ნიადაგებზე.

გაზაფხულზე მოყვავილე სახეობა (*Crocus adamii*) სასურველია დაირგას ჯგუფებად ბუჩქების წინ ან გაზონებში. უხვად ყვავილობენ და კარგად ვითარდებიან როგორც ღია, ისე ნახევარდღაჩრდილულ ადგილებში, ბუჩქებს ან ხეებს შორის. ამ დროისათვის მერქნიან მცენარეებზე ფოთლები ახლად იწყებენ განვითარებას, ხოლო როდესაც სრულად განვითარდებიან, ზაფრანის მიწისზედა ნაწილი უკვე ხმება. შემოდგომით მოყვავილე ზაფრანა გაზაფხულზე მოყვავილესაგან განსხვავებით, აუცილებელია დაირგას ღია, მზიან, მშრალ ნაკვეთებზე. ტენიან ნიადაგებში მათი ტუბერები ხშირად ლპება და მცენარეები იღუპება.

ზაფრანისათვის ნიადაგი უნდა იყოს კარგად დამუშავებული 15-20 სმ სიღრმეზე, ფოცხით მოსწორებული და ყოველგვარი ნარჩენებისაგან და სარეველებისაგან განთავისუფლებული.

ნიადაგს ანოყიერებენ ნაკელით, ნემომპალით და ფოთლოვანი მიწით 20კგ/1მ² გაანგარიშებით. დამატებით სასუქების სახით უმატებენ მინერალებს N, P და K არაუმეტეს 100-150 გრ. ყველა სასუქი ნიადაგში შეაქვთ დარგვის წინ. ასეთი დამუშავების შემდეგ ნიადაგი ნოყიერებას ინარჩუნებს 3-4 წლის განმავლობაში.

გაზაფხულზე მოყვავილე ეფემეროიდებს რგავენ სექტემბერში, შემოდგომაზე მოყვავილებს – აგვისტოში. დარგვისას ტუბერბოლქვებს შორის მანძილი 5-7 სმ, სიღრმე 8 სმ. მოვლა მარტივია: ნიადაგი მუდმივად ფხვიერ მდგომარეობაში და სარეველებისაგან განთავისუფლებული უნდა იყოს. ზაფრანის ტუბერბოლქვების ამოთხრა და გადარგვა არ არის რეკომენდირებული 4-5 წლის განმავლობაში. ასეთ პირობებში ყოველი ბუდიდან ერთდროულად წარმოიქმნება 10 და უფრო მეტი ყვავილი.



ზაფრანას ტუბერბოლქვი

ნახ. 1. ტუბერბოლქვი შვილეული ტუბერბოლქვაკებით; 2. ტუბერბოლქვის განაჭერის სქემა; 3. ერთწლოვანი ტუბერბოლქვი; 4. ოთხწლოვანი ტუბერბოლქვი; 5. შვილეული ტუბერბოლქვი ჩამორევი ფესვით.

<http://flower.onego.ru/lukov/crocus.html>

ზაფრანას ვეგეტაცია ადრე, დაახლოებით მაისის პირველ რიცხვებში, ფესურის გახმობისთანავე უმთავრდება. თუ საჭიროება მოითხოვს, თხრიან; ამოთხრის შემდეგ 5-10 დღის განმავლობაში ტუბერბოლქვებს ჰაერზე აშრობენ მზის პირდაპირი სხივებისგან დაცულ ადგილებში, რის შემდეგაც აწყობენ ყუთებში ან კალათებში და დარგვამდე სარდაფებში ინახავენ.

ამრავლებენ შვილეული ტუბერბოლქვებით და თესლით. სწრაფად გამრავლებისათვის მათ თხრიან ყოველწლიურად ან ყოველ მეორე წელს, აცლიან შვილეულ ტუბერბოლქვაებს და მათ ცალკეულ კვლებში რგავენ. თითქმის ყოველი მსხვილი ტუბერბოლქვი მომდევნო წელს იძლევა 2, იშვიათად 3-4 ტუბერბოლქვს, რომლებიც საყვავილედ არიან მზად და 5-10 შვილეულ ტუბერბოლქვს. შვილეული ტუბერბოლქვების დარგვას გრუნტში აწარმოებენ მსხვილ ტუბერბოლქვებთან ერთად.

თესვა წარმოებს თესლის აღებისთანავე, გაზაფხულზე მოყვავილე სახეობის ზაფხულში, ხოლო შემოდგომით მოყვავილე სახეობების - იმავე წელს შემოდგომით ფხვიერ, განოციერებულ ნიადაგში, 0,5-1,0 სმ სიღრმეზე. აღმონაცენის ჯგუფა რომ არ ჩატარდეს, თესლები მეჩხერად უნდა დაითესოს. რიგებს შორის მანძილი 10 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. მე-2-3 წლის მაისში ტუბერებს თხრიან და სექტემბერში რგავენ მუდმივ ადგილებში. აღმონაცენი ყვავილობს მე-3 წელს.

აღსანიშნავია, რომ გაზაფხულზე მოყვავილე ზაფრანას სახეობების თესლები კარგად ინასკვებიან, მაგრამ შემოდგომით მოყვავილეებში ნაყოფმსხმოიარობა არარეგულარულია, ვინაიდან ცივი შემოდგომა და ნაადრევი წაყინვები ხელს უშლის თესლების განასკვას.

ზაფრანას რგავენ გაზონებში მცირე ლაქებად, ასევე ალპურ გორაკებსა და ქვიან ადგილებში.

ზაფრანას სახეობები მიდრეკილია ბაქტერიული დაავადებებისადმი, განსაკუთრებით *Pseudomonas marginale* - მიერ გამოწვეულით, რომლისგანაც რთულია აცილება; დაავადებისას ტუბერბოლქვებზე წარმოიქმნება შავი ლაქები. ნეკროტული შავი ლაქები წარმოიქმნება *Stomatia gladioli*-ით დაზიანებისას, დაავადება ვითარდება ფოთლების მიმაგრების ადგილას, თვით ფოთლები ყვითლდება და ძირში ლპება.

მავნებლებიდან უფრო ხშირად ზიანდება თხუნელებისაგან, რომლისგანაც ათავისუფლებენ მონამლული მისატყუებლით. აღინიშნება აგრეთვე ნემატოდები, მღილი, ტკიპები. მათი დამუშავება სპეციალური პრეპარატებით წარმოებს <http://ladybee.ru/flowers/plant/123/4023>; (ბიძინაშვილი, 2018).

Dioscorea caucasica Lipsky. - კავკასიური დიოსკორეა
Fam. Dioscoreaceae - ოჯ. დიოსკორეასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი ცალსქესიანი და ორბინიანი ლიანაა. ფესურა პლაგიოტროპულია, სუსტად დატოტვილი, 1,5-2 სმ სისქის, იზრდება მონოპოდიალურად; ბუნებრივ პირობებში ყოველწლიურად წარმოიქმნება 1-2 ყლორტი. ფესურის ზედა ნაწილზე ჯგუფ-ჯგუფად განლაგებულია ღეროების ძირების ნარჩენები და მძინარე კვირტები. ამ ჯგუფების რაოდენობით შეიძლება განისაზღვროს დიოსკორეის ასაკი. ფესურა დაფარულია ეპიდერმისის თხელი მურა-მოყვითალო შრით (ფენით). დანამატი ფესვების გრძელია, წვრილი, ღრეკადი. ღეროები მხვიარა, ფოთლების განლაგება ღეროს ქვედა ნაწილში რგოლურია, ზედაზე – მორიგეობითი. ფოთოლი ყუნწიანია, კვერცხისებრ-გულისებრი წანვეტებული წვერით, კიდემთლიანი. ფოთლის ფირფიტა ქვედა მხარეს სუსტადაა შებუსუსლი; მამრობითი ყვავილები განლაგებულია მარტივ ან სუსტად დატოტვილი თავთავის უბეებში, მჯდომარეა, მომწვანო-ყვითელი, ზარისებრი ექვსაღვყოფილ ყვავილსაფარით, 3-4 მმ დიამეტრის. მდედრობითი ყვავილები ზომითა და შეფერილობით მამრობითის მსგავსია, განლაგებულია მარტივ უბისეულ თავთავებად ან მტევნებად. ნაყოფი – სამწახნაგოვანი, თავსა და ძირში ამოკვეთილი, შიშველი, ფრთიანი კოლოფია სამი

ნაბლისფერი, ბრტყელი, სიფრიფანა ფრთით შემოვლებული, ოვა-
ლურ-გულისებრი თესლით.

ფენოლოგია: ყვ. V-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ფესურა ფესვები-
თურთ.

ფესურა შეიცავს 25%-მდე სტეროიდული საპონინების ჯამს. მათ ძი-
რითად ნაწილს შეადგენს დიოსკინი, რომელიც იხლიჩება გლუკოზად,
რამნოზად და დიოსგენინად. უკანასკნელი შეიძლება გამოყენებული
იქნას კორტიზონის ტიპის რიგ ჰორმონად, მაგრამ დაბალი შემცვე-
ლობის გამო სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება პრეპარატი დიოს-
პონინი, რომელიც შეიცავს არა უმცირეს 30% წყალხსნადი საპონინების
ჯამს.

დიოსკორეის პრეპარატები ამცირებენ სისხლში ქოლესტერინის შემ-
ცველობას და ადაბლებს არტერიულ წნევას. გამოიყენება თავის ტვინის
სისხლძარღვების ათეროსკლეროზის სამკურნალოდ, ასევე კარდიო-
სკლეროზისა და საერთო ათეროსკლეროზის, სტენოკარდიის, რევმა-
ტოიდული ართრიტის, ნიკრისის ქარის დროს. დიოსკორეას შესწევს
უნარი მოახდინოს ინფარქტის და ინსულტის არიდება (აცლიება),
ალმოფხვრას მათი შედეგი. ხელს უწყობს სისხლძარღვების კედლების
გამაგრებას, აუმჯობესებს მახსოვრობას, მხედველობას, სმენას და
განწყობას. სამკურნალოდ გამოიყენება შაქრის დიაბეტის, ადისონის
დაავადების, ართრიტის, ვირუსული და სოკოვანი დაავადებების, ალ-
ერგიული დერმატიტების დროსაც.

მცენარის თვისებები ხელს უწყობს ნალღლის გაძლიერებულ გამო-
ყოფას, ამცირებს სისხლის შედედების ღონეს, შეიძლება გამოყენებული
იქნეს, როგორც შარდმდენი საშუალებაც. ამცირებს ეპილეპსიისა და
სტენოკარდიის შეტევების სიხშირეს, ანელებს პულსს, აფართოებს პერი-
ფერიულ სისხლძარღვებს. კურნავს სამწვერა ნერვის ანთებას.

მიიღება აბების სახით 0,1 გ დიოსპონინი. ნედლი ფესვების ნაყენი შე-
დიოდა ქოლელიტინის შემადგენლობაში, რომელსაც იყენებენ ნალვე-
ლკენჭოვანი დაავადებებისას, კალკულემური ქოლევსტიტის გამწვა-
ვებისას, ჰეპატო-ქოლევსტიტისა და რეციდიური სიყვითლისას. არსე-
ბობს მონაცემები დიოსკორეის ქრონიკული გასტრიტის მკურნალო-
ბისას.

Dioscorea caucasica მიიჩნევა ამ გვარის სახეობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან და პერსპექტიულ სახეობად, ვინაიდან მისი ფესურა შეიცავს სამჯერ მეტ სტეროიდულ გლიკოზიდებს (25 %-მდე) *Dioscorea nipponica* Makino-სთან შედარებით.

<http://lektrava.ru/encyclopedia/dioskoreya-kavkazskaya/>

ათხაზეთ-ჩერქეზეთის ენდემია. კოლხეთის ფლორის რელიქტი. ანგრილია საქართველოდან – აფხაზეთიდან (ახალი ათონი).

საქართველოში მხოლოდ აფხაზეთშია გავრცელებული.

ჰაბიტატი: იზრდება მთის ალუვიალურ-ლორღიან თიხნარ ფიქალეებზე, ქვიან ნაშალებზე.

სციოფიტია, იტანს საკმაოდ ძლიერ დაჩრდილვას, თუმცა მარადმწვანე ქვეტყეში არ გვხვდება. გავრცელებულია მთის ქვედა და შუა სარტყლების ფართოფოთლოვან ტყეებში, უმთავრესად მუხნარებსა და მუხნარ-რცხილნარებში, სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, უმთავრესად განათებულ ადგილებში. დაბალი კონკურენტული უნარის გამო ხშირად იზრდება დარღვეულ ადგილსამყოფლებში: ნაკაფებზე, ჩამონაზვავებზე, ბუჩქნარების (ჯავრცხილა, კუნელი, ძეძვი) რაყებში, რომლებიც წარმოიქმნება მუხნარების გაკაფვის შემდგომ.

კულტივირება: კვლავწარმოების აგროტექნიკის ღონისძიებების შესამუშავებლად დადგენილია, რომ მისთვის ყველაზე ხელსაყრელია სტრუქტურული, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის ნიადაგები; ნიადაგის ძირითადი დამუშავება წარმოებს ნახევრად ანეულის ტიპზე; ნაწვერალის აჩეჩვა (აოშვა) 8-12 სმ; მოხვნა ტარდება აჩეჩვიდან 2-3 კვირის შემდეგ 27-32 სმ სიღრმეზე, ერთდროული დაფარცხვით. ნიადაგი აუცილებელია გაჭერდეს ორგანული და მინერალური სასუქებით, ანგარიშით 30 ტ/ჰა, P₆₀N₅₀K₆₀.

დიოსკორეის მოშენებისათვის ძირითადი ხერხია ვეგეტატიური გამრავლება – ფესურების დაყოფით.

სარგავი მასალის უკმარისობისას მიმართავენ თესლით გამრავლებასაც. ამასთან, თუ ვეგეტატიური გამრავლება სასაქონლო პროდუქციას იძლევა უკვე მე-3-4 წელს, თესლით – მხოლოდ მე-6-7 წელს. დარგვის საუკეთესო პერიოდად ითვლება სექტემბერ-ოქტომბერი.

ადრე გაზაფხულთან შედარებით საშემოდგომო დარგვა უზრუნველყოფს მცენარეთა ნაადრევ და ერთიან განვითარებას და იძლევა ფესურების მოსავლიანობის ორჯერ მეტად გაზრდას.

დიოსკორეის ვეგეტატიური გამრავლება ახლად შევროვილი ფესურების დანაწევრებით წარმოებს; ყველაზე ოპტიმალურია – 6 სმ სიგრძის 2-3 კვირტიანი ფესურების ნაწილები, საერთო მასით 32 გ, რაც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალ მოსავლიანობას. ფესურების ჩამონაჭრების შემცირება 4 სმ-მდე (16 გ) იწვევს მოსავლის შემცირებას 35,5%-მდე, ხოლო 8 სმ-მდე მისი გაზრდა მიზანშეწონილია, ვინაიდან მოსავლის მატება არ ამართლებს სარგავი მასალის გაზრდილ წარმოების ხარჯებს.

მიზანშეწონილია მათი დარგვა 10 სმ-მდე სიღრმით. უფრო ნაკლებ სიღრმეზე დარგვისას, დაფარცხვის დროს ფესურების ნაწილის ამოთხრა ხდება, ხოლო 10 სმ-ზე უფრო ღრმად დარგვა იწვევს მოსავლის რამდენადმე შემცირებას.

დადგენილია განსაზღვრული კორელაციური დამოკიდებულება ფესურების მჭიდრო დარგვასთან. დარგვის სიხშირე ამცირებს ფესურების ზრდას, მაგრამ ზრდის მათ გამოსავლიანობას ფართობის ერთეულიდან.

ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღება მცენარეთა განლაგების 60 x 10 სმ სქემით. ამასთან, სიცოცხლის პირველ წელს პლანტაციის მოვლა მდგომარეობს დარგვის შემდგომ დაფარცხვაში და რიგთაშორის 3-4-ჯერ დამუშავებაში.

სიცოცხლის მეორე და შემდგომ წლებში მოვლა მდგომარეობს ადრე გაზაფხულზე დაფარცხვაში, სასუქების შეტანაში – შემდგომი ანგარიშით: NPK₄₅ კგ/ჰა-ზე და რიგთაშორისებში დამუშავებაში.

ერთ-ერთ უმთავრეს აგროლონისძიებას დიოსკორეის მოშენებაში წარმოადგენს სარეველებთან ბრძოლა. დაწყებული სიცოცხლის მეორე და მესამე წლებიდან პლანტაციებში ფაქტიურად გამორიცხულია არა მხოლოდ მექანიკური დამუშავების შესაძლებლობები, არამედ ხელით დამუშავებისაც, ერთმანეთში გადახლართული ლიანების მსგავსი ღეროების დაზიანების გამო. ამიტომ ეფექტური ქიმიური ღონისძიებები სარეველების საწინააღმდეგოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ამ მცენარის წარმოებაში.

გამოვლენილია დიოსკორიისათვის უფრო ეფექტური ჰერბიციდები – კოტორანი და სინაბარი, რომლებიც გამოირჩევიან სარეველების მიმართ მაღალი ჰერბიციდული აქტიურობით, როგორც ორლებნიანების, ასევე მარცვლოვანების. კერძოდ, სინაბარი წარმატებით გამოიყენება ისეთი ურჩი სარეველების მიმართ – როგორცაა ჭანგა და სხვ.

მითითებული ჰერბიციდების შეტანა რეკომენდირებულია ადრე გაზაფხულზე. წყალში გახსნილი (ემულსიის) სახით. წინასწარ ნაკვეთი უნდა მოიფოცხოს და გასუფთავდეს მცენარეული ნარჩენებისაგან (ბიძინა-შვილი, 2018).

დიოსკორეას მავნებლები და დაავადებები არც თუ მრავალრიცხოვანია; მავნებლებიდან მას აზიანებს ლორწო (გვ. *Agrolimax*) და ობობასნაერი ტკიპა (*Tetranychus urticae* Koch).

ლორწო აზიანებს ჩვეულებრივ სიცოცხლის პირველ წელს, იწვევს რა ფოთლების დაძარღვას შორის სკლერეტირებას. ტენიან წლებში ლორწოვნება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ახალგაზრდა მცენარეებს.

ობობასნაირი ტკიპა დიოსკორეაზე ვითარდება შუა ზაფხულიდან, აზიანებს რა უმთავრესად ქვედა და შუა იარუსის ფოთლებს. ტკიპით დაზიანება შესამჩნევია ფოთლების მარმარილოს შეფერილობით, შემდგომ ეს ფოთლები ყვითლდება და ხმება. ტკიპები იზამთრებენ მცენარეულ ნარჩენებზე, გროვდება რა წლიდან წლამდე პლანტაციებში, ამიტომ მრავალწლოვანი მცენარეები ამ მავნებლით უფრო ძლიერ ზიანდება, ვიდრე ნორჩი ნარგავები.

ცხელი, მშრალი ამინდი, ისევე როგორც ძლიერ ტენიანობა ამცირებს ტკიპების განვითარებას.

კავკასიური დიოსკორეა დაავადებებიდან ზიანდება სოკოებით გვ. *Ascophyta* და *Cylindrosporium*.

დაავადებების განვითარება, რომელიც გამოწვეულია სოკო *Cylindrosporium dioscoreae* Miyabe მიმდინარეობს შემდეგნაირად. პირველად წარმოიქმნება მცირე ზომის ლაქები ივნისის მეორე ნახევარში ქვედა ფოთლებზე, ივლისის შუა რიცხვებში ლაქიანობა ვრცელდება მთელ მცენარეზე და ქვედა ფოთლები იწყებენ ხმობას. აგვისტოში მცენარეები სრულად ხმებიან. დაავადება აზიანებს მცენარის 70-100%.

ლაქიანობის მავნებლობა ვლინდება მცენარის სრულად დასუსტებაში, მათ ცუდ გადაზამთრებაში, აგრეთვე ფესურებში დიოსგენინის შემად-

გენლობის შემცირებაში 25-30%-ით, ჯანმრთელ მცენარეებთან შედარებით.

დასაწყისში ლაქები წვრილი ყავისფერი, ყვითელი ელფერით კვადრატების სახით წარმოიქმნება ფოთლების ძარღვების გასწვრივ. ძალიან სწრაფად იზრდება, ერთიანდება, თითქმის შავდება, არიან რამდენადმე ამობურცულები, კარგადაა შესამჩნევი ფოთლის ორივე მხრიდან. ტენიან პირობებში ლაქები ქვედა მხრიდან იფარება ნაცრისფერი ნაფიფქით, რომელიც შედგება კონიდიუმებისაგან და სპორებისაგან.

კონიდიუმები უფერულია, დაუტოტავი, სწორი ან მოლუნული, ზომით 18-30x3-3,5 მ. სპორები (კონიდიისი) ცილინდრულია მომრგვალებული ან წაწვეტებული ბოლოებით, შევსებულია მარცვლოვანი პროტოპლაზმით. სპორებს უნარი შესწევთ გალივდნენ წვეთოვან-თხიერ წყალში, რის გამოც დაავადება ძლიერ ვითარდება ნოტიო წლებში და ხშირად მრავალწლოვან ნარგაობებში; ინფექცია შენარჩუნდება დაცვენილ, დაავადებულ ფოთლებზე. ფესურებითა და თესლებით დაავადება არ ვრცელდება.

გარდა ამისა კავკასიური დიოსკორეა შეიძლება დაზიანდეს ჟანგათი, გამომწვევია – *Puccinia dioscoreae*. ძირითადად ამ დაავადებით ავადდება *Dioscorea niponnica*.

დაკვირვებებით დადგენილია, თუ ამ სახეობასთან ერთად იზრდება კავკასიური დიოსკორეა, ისიც ზიანდება ამ დაავადებით.

მავნებლებისაგან და დაავადებებისაგან თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია კულტურების მორიგეობის დანსება. პლანტაციებზე ასევე აუცილებელია მცენარეული ნარჩენების ყოველწლიური განადგურება, რომელიც წარმოადგენს ობობასებრი ტკიპის ინფექციის და რეზერვაციის წყაროს.

ობობასებრი ტკიპების მნიშვნელოვანი გავრცელებისას მიმართავენ მშრალი გოგირდით შეფრქვევას, ანგარიშით 30-50 კგ/ჰა-ზე ან 1%-იანი კოლოიდური გოგირდით.

ლაქიანობასთან საბრძოლველად მიმართავენ 1%-იანი ბორდოს ხსნარს. კავკასიურ დიოსკორეაზე გამოყვანილი იყო ბორდოს სითხის შემცველები – ცინები, ხომეცინი, ბენლატი, რომლებმაც აჩვენეს კარგი ეფექტურობა დაავადებასთან საბრძოლველად და გამოსაყენებლად

უფრო მოხერხებულია. ქიმიური ღონისძიებების ჩატარებისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ერთჯერადი დამუშავება არასაკმარისია, როგორც წესი აუცილებელია 2-3-ჯერად შესხურება 15-20 დღის ინტერვალით. პროფილაქტიკური შესხურება, ან შესხურება დაავადების დასაწყისში უფრო ეფექტურია, ვიდრე მნიშვნელოვნად დაზიანებული მცენარეებისა.

მოსავლის აღება წარმოებს შემოდგომით ვეგეტაციის მე-4 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ დიოსგენინის შემცველობა ნედლეულში არ იცვლება მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და განვითარების ფაზაში. მთავარ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს დიოსგენინის გამოსავლიანობას, არის ფესურების მოსავლიანობის რაოდენობა ფართობის ერთეულზე, რაც დამტკიცებულია ჩატარებული სამკურნალო მცენარეთა კრასნოდარის ზონალურ სადგურში გამოკვლევებით. გაზაფხულზე მოსავლის აღება ტარდება მცენარეთა ვეგეტაციის დაწყებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყლორტების მეორადი ზრდისა და თესლების მომწიფების დასაწყისში წარმოებს პლასტიკური ნივთიერებების ფესურებიდან გამოდევნა, მათი წონის შემცირება და რა თქმა უნდა დიოსგენინის გამოსავლიანობის შემცირებაც /Вердинов, 1978/.

Eremurus spectabilis M. Bieb. – შესანიშნავი შრები
Fam. Asphodelaceae - ოჯ. ასფოდელოსებრნი



ბოტანიკური დახასიათება: დიდი ზომის პოლიკარპული მცენარეა, თითისტარისებრი გამსხვილებული ხორცოვანი ფესვებით. ფოთლები ფესვთანურია, ფართო-ხაზური, წვეტიანი, კიდევხაოიანი, იშვიათად გლუვი, ღეროზე მოკლე. ინვითარებს 1 მ-მდე სიმაღლის მარტივ, უფოთლო საყვავილე ღეროს. ყვავილები მრავალრიცხოვანია, მოთეთრო-მოყ-

ვითალო, თითო-თითოდ სიფრიფანა, ხაზურ-სადგისისებრ თანაყვავილებების ილღიებში განლაგებული და წვეროსეულ, მტევან ყვავილედად შეკრებილი. ყვავილსათარი გვირგვინისებრია, 6-ფოთლიანი, ზარისებრი. ნაყოფი სფეროსებრი, თავწვეტიანი, სამბუდიანი კოლოფია, მისი საგდულები სიგანეზე დანაოჭებულია. თესლი მუქია, სამწახნაგოვანი, ოდნავ ფრთიანი, თითოეულ ბუდეში სამ-სამია.

ფენოლოგია: ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII.

მნიშვნელობა: შრემის სახეობები მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა: სამკურნალო, საკვები, ტექნიკური და სამღებრო; ამავე დროულად ყველა სახეობა წარმოსადეგია და ლამაზად მოყვავილე.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს. შეიცავს პოლისაქარიდებს ერემურიის, გუმიარაბიკის შემცვლელს, გლუკომანანებს. სადღეისოდ ცნობილია გლუკომანანების გამოყენების შემდეგი შესაძლებლობები: 1. მანობის მიღების წყარო; 2. ემულგატორი ფარმაცისა და მსუბუქ მრეწველობაში; 3. მედიცინაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სახით გამოყენება (Степаненко и др., 1956; Шцербухин и др., 1984).

არის მონაცემები შრემის ექსპერიმენტალურ მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოყენებისა: თირკმელებისა და შარდის სადინარების, კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედების, ფურუნკულების განსაკურნავად (ფესურა და თესლები); ტრავმების – მოტეხილობისას (ფესურა); ექსპერიმენტში ასევე ერთ-ერთი სახეობა (*Eremurus inderiensis* (Steven) Regel) ამულავენებს ანტიბაქტერიულ თვისებებს. ქალაქის წარმოებაში გამოიყენება სხვადასხვა სახეობები, მათ შორის *Eremurus spectabilis* (Waiting for [http://survinat, ru /2011/04/ rod eremurus m bieb e ren](http://survinat.ru/2011/04/rod-eremurus-m-bieb-e-ren)).

ნ. წუნუნავას (1966) თანახმად შრემის ბალახის გუმფისი თვისებებით არ ჩამოუვარდება არაბული აკაციის გუმფისს.

ა. გროსჰეიმის (Гроссгейм, 1946) მიხედვით ამ მცენარის ფოთლები C ვიტამინს შეიცავს.

ქველ ქართულ მედიცინაში იხმარებოდა შრემის ფოთლები, ყვავილი და ძირი. თანახმად ქანანელისა (1940) მას იყენებდნენ სასქესო ორგანოების (სათესლე ჯირკვლის) გასიების დროს; ხოჯა-ყოფილი (1936)

მას ხმარობდა საზარდულის თიაქარის შემთხვევაში; ხოლო დავით ბაგრატიონი (1985) მის სხვადასხვა – დანიშნულებას მოიხსენიებს, კერძოდ: “შრემის ბალახი მხურვალი და ცხარია, ვინცა ამის ძირი დანაყოს და მოხარშოს და მტკივანსა კბილზე წაისვას კბილის ტკივილს უშველოს”.

. . . “შრემის ბალახი მხურვალი და ცხარე არის, თუ დედაკაცსა ანუ ძუძუსა და ან ზურგზე სიმსივნე ქონდეს და ესე შრემის ძირი კაცმან მანამდის ხარშოს, რომე კარგად მოსქელდეს, მერმე სიმსივნეზედაც დაიდვას, სიმსივნე და ტკივილი უსათუოდ ორივე უშველოს”.

. . . “თუ კაცსა ფრჩხილები მრუდედ ესხას, მოიტანე შრემის ბალახი, მარილი თვალი, ძმარი და ძმრის ტლე. ესე ოთხთავე კარგად დანაყონ და ფრჩხილზედა დაადვან და შეუხვიონ და უსათუოდ ფრჩხილსა გააკეთებს” (ციტ.: ნუნუნავა, 1966).

XVIII საუკუნეში, თანახმად ფემბას ხელნაწერისა, აჭარაში მას იყენებდნენ მსგავსად ქანანელისა სათესლე ჯირკვლების გასიების შემთხვევაში:

. . . “შრემის ფესვი მოადუღეთ კარგად, ფათასავით გასქელდეს; რომ სასირცხო უსივდეს ან კაცს სპარცავი (საზარდული), დაადევით ერთჯერ, ორჯერ და გააპარებს უთუოთ” (ციტ.: სურმანიძე, 1991).

თანახმად ი. ბარნაბიშვილისა (1965) ხალხურ მედიცინაში ფოთლებისა და ფესვებისაგან ამზადებენ ემპლასტროსა და მალამოს მუწუკების წინააღმდეგ.

ირანულ-თურანული ფლორის დამახასიათებელი წარმომადგენელია, მესამეული პერიოდის რელიქტი. კლასიკური ადგილსამყოფელია ჩრდ. კავკასია,

საერთო გავრცელება: ევროპა: სამხრეთ-აღმოსავლეთი (ყირიმი); რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთი: სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეები, როსტოვის ოლქი, რომელიც სახეობის არეალის ყველაზე ჩრდილოეთი მონაკვეთია; აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის მხარე (ლიბანი, სირია, პალესტინა); მცირე აზია; ირანი; ერაყი; ავღანეთი; აღმ. პაკისტანი; კოპეტდაგი; ცენტრ. აზია.

საქართველო: შიდა ქართლი, ქართლი, მთიულეთი (ხევი), თრიალეთი, ჯავახეთი.

ჰაბიტატი: მეზოქსეროფიტია, სინათლის მოყვარული ეფემეროიდული გეოფიტი, ჰელიოფიტი, იტანს მცირე დაშრდილვას. იკავებს ქსეროფიტულ ადგილსამყოფლებს მშრალ, გამთბარ ქვიან კირქვნარებსა და კირიან ქვიშაქვებში, მერგერულ თიხებსა და მერგერული ფიქლების მთის კალთებზე, სტეპებზე, მშრალ ქვიან, კლდოვან, ხრიოკ ღორღიან ეკოტოპებზე, ხევისპირა ფერდობებზე, მეჩხერ ტყეებში, ბუჩქნარებში, შიბლიაკებზე. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე, გავრცელების ოპტიმუმა ზღვ. დ. 500-800 მ.

კულტივირება: გვარის ბიოლოგია მთლიანად ჩამოყალიბდა სიმშრალისა და ზაფხულის პერიოდის მაღალი ტემპერატურით, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე არიდული ადგილსამყოფელისათვის, რაც ჭარბობს გვარის არეალში. ამ ფაქტმა განსაზღვრა შრეშის ყველა სახეობის ეფემეროიდულობა. გვარისათვის დამახასიათებელია გასქელებული ტუბერისმაგვარი ფესვები, რის გამოც ლიტერატურაში ხშირადაა აღნიშნული, როგორც ტუბერფესვი რადიალური აგებულებით; ფესვის ღერძული ნაწილი გადადის შემოკლებულ ფესურაში, რომელზედაც განახლების კვირტი ვითარდება. გასქელებული პარენქიმული ფესვები წარმოადგენენ სამარაგო პლასტიკური ნივთიერებების საცავს, რომლებიც ადრე გაზაფხულზე მცენარის მიერ მსხვილი ხაზური ფოთლების როზეტისა და ძლიერი საყვავილე ღეროს წარმოსაქმნელად გამოიყენება. ფოთლების ჩასახვა ხდება დამოკლებული ფესურის ზედა ნაწილში, სწორი წრეებით სპირალურადაა განწყობილი მომავალი საყვავილე ღეროს ირგვლივ.

გაზაფხულზე შრეში მოკლე დროით წარმოქმნის მძლავრ მიწისზედა და ფესვთანურ მასას, იყენებს რა საშუალო რაოდენობის ტენსა და საკვებ ნივთიერებებს. მისი ფესვტუბერები, რომლებიც ზაფხულ-შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში იმყოფებიან მოსვენების მდგომარეობაში, მეტად მგრძნობიარენი არიან ტენის სიჭარბისა და ნიადაგის სუსტი აერაციის მიმართ. ასეთი პირობები იწვევს ფესვების მაცერაციას და მცენარეთა ამოვარდნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ფენოლოგიური სპექტრი გვიჩვენებს, რომ შრეშის ყვავილობის საერთო ხანგრძლივობა 22-25 დღეს აღწევს.

ფოთლების ყველაზე ინტენსიური განვითარება კოკრიანობის ფაზაში აღინიშნება (აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში), შემდეგ კი იწყება მათი თანდათანობითი ხმოზა სხვადასხვა ხარისხის ინტენსივობით.

ცხელი კონტინენტალური კლიმატის პირობებში შრეშის კულტურა როგორც წესი არართულია, ხოლო ევროპული ნაწილის ზომიერ ზონებში მისი გამოზრდა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული ზაფხულის ხანგრძლივი წვიმების გამო, რაც ადვილად იწვევს განახლების ახალი კვირტების დაზიანებასა და ღვებობას. ვერ იტანს ზამთრის დაბალ ტემპერატურას ($-18, -20^{\circ}$), აგრეთვე გაზაფხულის წყინეებს, რის გამოც ზამთარში სასურველია მათი დაფარვა თივით, ნემომპალით და სხვა.

შრეშის კულტურისათვის არჩევენ განათებულ, მზიან გამობარ (დაჩრდილულ ადგილებში მცენარე იწვევს მხოლოდ ვეგეტაციურ ორგანოებს), კარგი დრენაჟის მქონე, ნაყოფიერ, ზომიერად ტენიან ადგილებს; კარგად ვითარდებიან ყველანაირ თიხნარ, ორგანული ნაერთებით მდიდარ, ნეიტრალურ ან სუსტი ტუტე რეაქციის ნიადაგებზე, სადაც დაფენილ ფენად გამოყენებული უნდა იქნეს ხრეში ან მსხვილი ქვიშა, კირიანი ღორღები და კომპოსტი. შრეში რადგან ვერ იტანს ნიადაგის მუავიანობას, ყოველწლიურად, გაზაფხულზე მცენარეს ირგვლივ აყრიან ნაცარს (0,5 % ლ) ან ნიადაგს რწყავენ კირიანი რძით (1 ჭიქა კირი 10 ლ წყალზე), თითოეულ მცენარეზე 2-3 ლ-ის ანგარიშით.

კულტურაში შრეშის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია სავეგეტაციო პერიოდში მათი ორგანული და არაორგანული სასუქებით გამოკვება; ზამთრის წინ ნიადაგში შეაქვთ 30-40 გ/კვ.მ სუპერფოსფატი, გაზაფხულზე, ფოთლების აქტიური ზრდის პერიოდში კი სასუქების კომპლექსი NPK - ანგარიშით 40 - 60 გ/კვ.მ, ასევე სრულად გადამწვარი ნაკელი ან კომპოსტი - 5-10 კვ/კვ.მ მწირ ნიადაგებზე, ყვავილობის წინ უმატებენ 20 გ/კვ.მ ამონიუმის გვარჯილას. მაგრამ არ უნდა დავუშვათ ჭარბი ოდენობით აზოტისა და ნაკელის შეტანა, რაც აქვეითებს მცენარეთა მდგრადობას დაავადებებისა და ყინვაგამძლეობისადმი.

შრეშისათვის დამახასიათებელია წყლის რეჟიმის ზომიერ-ლაბილური ტიპი. მათი ბუნებრივი ზრდის ადგილსამყოფლებში საკმარისი წყალმომარაგების, ტრანსპირაციის ინტენსიური მსვლელობა სრულადაა დაკავშირებული ტემპერატურის დღიურ ცვალებადობასთან, განათებასა და ტენიანობასთან. წყლის დაგუბება და ახლოს მდებარე გრუნტის

ნყლები ხელს უწყობს მცენარის სწრაფ დაღუპვას, რის გამოც დასარგავად არჩევენ განათებულ და ცხელ ადგილებს.

თუ მცენარეთა აქტიური ზრდისა და ყვავილობის პერიოდში, გაზაფხულიდან ზაფხულის შუა პერიოდამდე მდგრადი მშრალი და ცხელი ამინდებია, მორწყვა აუცილებელია; ყვავილობის შემდგომ, როდესაც სრულად ხმება მიწისზედა ორგანოები და მცენარეები გადადიან ე.წ. ზაფხულის მოსვენების პერიოდში მეტად მგრძნობიარენი ხდებიან ნიადაგის ტენისადმი, ხოლო ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისის ხანგრძლივი წვიმები მათი განვითარებისათვის არახელსაყრელ მდგომარეობას ქმნის.

მცენარეთა გადაყვავილების შემდეგ, მათი მიწისზედა ნაწილი ხმება, რის გამოც მათ მაშინვე ჭრან მიწის ზედაპირამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში წვიმიან ამინდში გადამხმარი ფოთლები ინვევს ფესვის ყელის ლპობას. ზამთრის წინ სასურველია ჩატარდეს მულჩირება ძირითადად ტორფით. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად.

ვეგეტატიური გამრავლებისას მცენარეთა ცალკეული, ბუდობრივი დაყოფა წარმოებს 4 – 5 წელიწადში ერთხელ; დასარგავად მზადდება მაღალი და კარგი დრენაჟის მქონე კვლები, სადაც ნიადაგის ფენა არ უნდა იყოს 20 სმ-ზე ნაკლები. დარგვა შემოდგომით წარმოებს, როდესაც წარმოქმნილია განახლების ახალი კვირტები და ახალი ფესვები. დაყოფა ფრთხილად უნდა ჩატარდეს, რათა არ დაზიანდეს ლეროსეული ფესვ-ტუბერები, რომლებიც ამ შემთხვევაში ადვილად იღუპებიან. აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ფესვტუბერები იყოფა ნაწილებად იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანზე შენარჩუნებული იქნეს თითო განახლების კვირტი და რამდენიმე ფესვი; შესაბამისად დედისეული მცენარის ფესურის დაყოფა შესაძლებელია 2,3,4,5 – ნაწილად, ფესურების გადანაჭრებს აფრქვევენ ნაცარს, აშრობენ და რგავენ წინასწარ მომზადებულ ფართობებზე. ფართო, 10-15 სმ სიღრმის ორმოში ფესვებს ფრთხილად შლიან, რათა არ დაზიანდეს ადვილად მტკრევადი, სქელი ფესურა ფესვებითურთ; კვირტის ჩაფლვა 5-7 სმ სიღრმეზე ხდება; ირგვება რიგებში მცენარეთა შორის 30-35 სმ-ის, ხოლო რიგთაშორის 40-45 სმ დაშორებით. დაცვის მიზნით სასურველია მცენარეები დაიფაროს დამატებითი, 10 სმ-მდე სისქის კომპოსტის ან ტორფის შრით.

დაყოფილი მცენარეებიდან ნაწილი იღუპება ფესვტუბერების ღეროსეული ნაწილის მაცერაციის შედეგად.

შრეში კარგად მრავლდება თესლითაც. თესვა წარმოებს შემოდგომით თესლის ადების პირველსავე წელს. სასურველია თესვა 12 სმ სიღრმის ყუთებში ჩატარდეს. ითესება 1-1,5 სმ სიღრმით. თესლი საშუალო აღმოცენების უნარით ხასიათდება. აღმონაცენის უმრავლესობა წარმოიქმნება მომავალი წლის გაზაფხულზე აპრილის დასაწყისში, დარჩენილი თესლების აღმოცენება კი 1-2 წელს გრძელდება. აღმონაცენი ზრდასრულ მცენარეებთან შედარებით უფრო მეტ მორწყვას მოითხოვს; აღმონაცენის მიწისზედა ვეგეტაცია სიცოცხლის პირველ წელს მთავრდება ივნისის პირველ რიცხვებში, ხოლო ფოთლების ხმოზა იწყება უკვე მაისის შუა რიცხვებიდან. მეორე წლის გაზაფხულზე (მარტის ბოლო, აპრილის I დეკადა) წარმოებს აღმონაცენის ვეგეტაციის მიწისზედა განახლება, რომელიც ასევე წყდება ცხელი ამინდების დადგომისთანავე. ვინაიდან აღმონაცენები ზრდასრულ მცენარეებთან შედარებით უფრო მგრძობიარენი არიან ზამთრის ყინვებისა და გაზაფხულის წყინვების მიმართ და ადვილად ზიანდებიან, ყუთებს ფარავენ 10-20 სმ სისქის კომპოსტის ან ფოთლების შრით. დათესვიდან მესამე წელს, როდესაც წარმოიქმნება მეტ-ნაკლებად მსხვილი ფესურა, გადარგვა უკვე შესაძლებელია პირდაპირ ღია გრუნტში, რის შემდეგაც მათი მოვლა მიმდინარეობს მსგავსად ზრდასრული მცენარეებისა. თესლიდან განვითარებული მცენარეები ყვავილობენ V-VI წელს.

მცენარეთა მოვლა უმთავრესად გამოიხატება ნიადაგის ორჯერად გაფხვიერებაში, სარეველების მოცილებაში და როგორც უკვე აღვნიშნეთ საჭიროებისამებრ მორწყვაში.

მაწენებლები და დაავადებები: მინდვრის თავგები და თხუნელები აზიანებენ ფესვებს მიწისქვეშა სოროებისა და ხვრელების გათხრისას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ფესვების ლჰობას, რისი დამადასტურებელიცაა გაზაფხულზე განვითარებული მცენარეების სუსტი ზრდა და დაკნინებული მდგომარეობა; ასეთ დროს აუცილებელია ფესურის ამოთხრა, დაზიანებული ნაწილების მოჭრა, ნაცარში ამოვლება და გასაშრობად რამდენიმე საათით მშრალ ადგილზე დატოვება. ასევე იქცევიან ფესვების სხვა მექანიკური დაზიანებისას. დაცვის ძირითადი საშუალებაა აგროტექნიკური ღონისძიებების დროული ჩატარება, შრე-

შის კვლების მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავება გამხმარი ბალახისაგან და სხვა ნარჩენებისაგან. მიმართავენ ხაფანგების დაყენებასაც.

ქლოროზი. ფოთლების მკრთალი ყვითელი შეფერილობა მიუთითებს არა კვების ელემენტების ნაკლებობაზე, არამედ ფესვების დაზიანებაზე, რაც გამოწვეულია ნიადაგის ცუდი ღრენაჟით ან მცენარეთა ზრდის პირობებით. ამ შემთხვევაშიც ხდება მათი ამოთხრა და დამუშავება თავველებით დაზიანებული მცენარეების მსგავსად.

ვირუსები. ფოთლების ზედაპირზე აღინიშნება მკრთალი ყვითელი, ბაცი მწვანე ნაჭდევეები ან მათი ბუჯრისებრი დახუჭუჭება. ვირუსული დაავადება გადადის დაავადებული მცენარის უჯრედის წველის ჯანმრთელ მცენარეში მოხვედრისას – ერთი და იგივე იარაღით ჯერ დაავადებული და შემდეგ ჯანსაღი მცენარეების ყვავილების მოჭრისას, უნებლიეთ მცენარის დაზიანებისას და სხვ. მაგრამ მთავარ როლს დაავადების გადატანაში თამაშობს მწუნწავი და მჩხვლეტავი მავნე მწერები (ბუჯრები, თრიფსები, ჭრიჭინობელები, ბალღინჯოები და სხვ.). ვირუსული დაავადება ძლიერ აქვეითებს მცენარის დეკორატიულობას, თანდათანობით წყობიდან გამოჰყავს იგი დაკნინების გამო; იშვიათი არ არის, როცა შრემის ზოგიერთი ძვირფასი ჯიში მთლიანად ნადგურდება და კოლექციიდან ვარდება, რაც დიდ ეკონომიურ ზარალთანაა დაკავშირებული. დაზიანებული მცენარეები უკეთესია სასწრაფოდ განადგურდნენ, რათა არ გახდეს სხვების დაავადების წყარო.

ბრძოლა ვირუსულ დაავადებათა წინააღმდეგ გაძნელებულია, რადგან ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი ვირუსული დაავადების გამომწვევი ორგანიზმების პარაზიტული ცხოვრება. ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა უმთავრესად გამაფრთხილებელი ღონისძიებებით ამოინურება; კერძოდ: კულტურის მოვლა-მოყვანის წესების – აგროტექნიკის მაღალი დონე (კვების რეჟიმის რეგულირება, სანიტარულ-ჰიგიენური, აგრო-კლიმატური, აგრო-ეკოლოგიური და პროფილაქტიკური ექიმური ღონისძიებები) უზრუნველყოფს ჯანსაღი მცენარის მიღებას, რომელსაც უნარი შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს ვირუსული წარმოშობის ინფექციურ დაავადებას. აღსანიშნავია, რომ ჯერ-ჯერობით თესლები ვირუსით არ ავადდებიან, ასე რომ დაავადებული სახეობის განახლება დათესვით ხდება.

ჟანგა აზიანებს შრემის ყველა სახეობას; ასნებოვნებს მცენარის მიწის-ზედა ორგანოებს – ფოთოლს, საყვავილე ღეროს; ძლიერი დასენიანების დროს ვხვდებით კოკრებზე, ყვავილთანებზე და ნაყოფზე. ჟანგას მოცვლიუმი მცენარის ქსოვილში ღრმად იჭრება, დაავადებულ ნაწილზე ჩნდება ეპიდერმისით დაფარული ამობურცული ადგილები, რომლებიც შემდეგ სკდება და ჩნდება ნაბლისფერი მტვრისებრი მასით სავსე ბუშტუკები და ბზარები, რომელთა ირგვლივ მოყვითალო ლაქებია. მტვრისებრი მასა სპორებია, რომლებიც ქარის საშუალებით იფანტება. დაზიანების ადგილი თანდათან ღრმად ჩადის მცენარის ქსოვილში; ძლიერ დაზიანებული მცენარე სუსტად ვითარდება, ჟანგისფერია, ფოთლები დეფორმირებულია, ღერო დაბზარული და ადვილად მსხვრევადაა, ყვავილები არასრულფასოვანია, ხშირად ცალგვერდა – დეფორმირებული. დაავადების გაძლიერებასთან ერთად მცირდება ყვავილების წარმოქმნა ან კოკრები სრულად ხმება, საბოლოოდ მცენარე იღუპება.

ვინაიდან ჟანგას განვითარებას ხელს უწყობს მუავე ნიადაგები, სუსტი განათება, მოჩრდილვის პირობებში უხვი რწყვა, ამოტის შემცველი სასუქების (განსაკუთრებით გადაუწვავი ნაკელის) ჭარბი გამოყენება და სხვ., ამიტომ ბრძოლის ღონისძიებანი პირველ რიგში ამ ნაკლოვანთა აღმოსაფხვრელად უნდა იქნეს მიმართული. შედეგიანია მხოლოდ პროფილაქტიკური ღონისძიებანი: ვეგეტაციის პერიოდში შემხმარი და გადაყვავილებული ღეროების მოცილება, შეგროვება და დანვა; გაზაფხულზე ვეგეტაციის დანყების წინ და სავეგეტაციო პერიოდში ერთხელ ფუნგიციდებით (შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად) დამუშავება. ვინაიდან ინფექცია შეიძლება თესლსაც მოჰყვეს, საჭიროა ასევე თესლის დამუშავება მისი გაუსნებოვნების მიზნით (ბალათურია, 1973; ბიძინაშვილი, 2012; 2018; www.naturalflover.ru/eremurus.html).

Galantulus woronowii Losinsk. - ვორონოვის თეთრყვავილა
Fam. Amaryllidaceae – ოჯ. ამარილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლიანი ეფემეროიდული მცენარეა, 2-3 სმ სიგრძისა და 2-2,5 სმ დიამეტრის ბოლქვით. ფოთოლი ორია, ფართო ხაზური, წანვეტებული, ღარიანი, კაშკაშა-მწვანე, ყვითელი ელფერით, პრიალა, ყვავილობისას 8 – 10 სმ სიგრძისაა, ყვავილობის შემდეგ 18-22 სმ. ყვავილი ტეტრია, დიდი ზომისაა, სასიამოვნო სუნით; საყვავილე ისარი 10-15 სმ სიგრძისაა, საყვავილე ყუნწი 2-3 სმ სიგრძის; ყვავილსაფარის გარეთა ფურცლები უკუკვერცხისებრია, სუსტად ჩაზნექილი, შიგა – მოგრძოა, ზედა მხარეს გაფართოებული, წვერამოკვეთილი და მწვანე ლაქით. ნაყოფი კოლოფია, იხსნება 3 საგდულით. თესლი ოდნავ წახნაგოვანია, ფართოელიფსური, მუქი ყავისფერი, პატარა მოლუწული თანათესლით.

ფენოლოგია: ყვ. I-III. ნაყ. 1V-V.

მნიშვნელობა: სამკურნალო მნიშვნელობასთან ერთად ფრიად დეკორატიულია. სამკურნალო ნელლეულს ბოლქვები წარმოადგენს, რომლებიც სამედიცინო ალკალოიდების (გალანტამინი, გალანტიდინი, გალანტინი, გალანტამიდინი და სხვ.) მიღების ძირითადი წყაროა.

ფარმაკოლოგიურმა და კლინიკურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ამ ალკალოიდებიდან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს გალანტამინი, რომელიც ხასიათდება ძლიერი ფიზიოლოგიური აქტივობით და ფართო თერაპიული მოქმედებით. აღნიშნული ალკალოიდი აღიარებულ იქნა როგორც მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალება (Сokolov, 1952; Шретер и др., 1979).

დადგინდა, რომ თავისი მოქმედებით გალანტამინი ახლოა ებერინთან და პროზერინთან. იგი ამცირებს ქოლინესტერაზის აქტივობას და ამით აძლიერებს აცეტილქოლინით ორგანიზმში გამოწვეულ ეფექტს, ზრდის

ნერწყვის გამოყოფის სეკრეციას სველეთური მუსკულატურისას აცეტილქოლინზე, დაბლა სწევს არტერიალურ წნევას ცხოველებში, აფართოებს პერიფერიულ ძარღვებს, ამალღებს იზოლირებული ორგანოების გლუვი მუსკულატურის კონუსს, ინვევს ნანღავების სპაზმს და სხვ., თვალში ჩანვეთებისას ინვევს თვალის გუვის შევიწროებას (Машковский, 1960).

ალკალიიდი გაღანტამინი წარმოადგენს ქოლინესტერაზის შეუქცევად მაღალაქტიურ ინჰიბიტორს. ის აუმჯობესებს ან აღადგენს ნერვეულ-კუნთოვან გამტარიანობას, ამალღებს გლუვი მუსკულატურის ტონუსს, აფართოებს პერიფერიულ სისხლძარღვებს, იჭრება ცენტრალურ ნერვეულ სისტემაში და ხელს უწყობს იმპულსების გატარებას ცენტრალურ ქოლინერგიულ სინაპსებზე. ამასათან დაკავშირებით გაღანტამინი ფართოდ გამოიყენება როგორც ანტაგონისტი მიორელაქსანტების, მამოძრავებელი და სენსორული დარღვევების სამკურნალოდ, რაც დაკავშირებულია ნევრიტებთან, პოლინევრიტებთან, ტვინის პარეზებთან (ნახევრადღამბლა). გამოიყენება პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმების, ნევროდერმატიტების დროს, რენდგენოლიაგნოსტიკაში და სხვ. (Соколаев, Замотаев, 1990).

სადღისოდ მოთხოვნილება გაღანტამინზე იმდენად გაიზარდა, რომ აუცილებელი ხდება ვორონოვის თეთრყვავილას (*Galanthus woronowii*) კულტურაში შეყვანა და ამ თვალსაზრისით სხვა სახეობების შესწავლა-გამოვლენა.

მეტად საინტერესო მონაცემებია თეთრყვავილას შესახებ “სალერნის ჯანმრთელობის კოდექსში”, რომელიც ეკუთვნის XIV საუკუნის ფილოსოფოსსა და ექიმს არნოლდის ვილანოვიდან (1970).

“მიღებ თეთრყვავილას და ის დაშლის კუჭის ფლეგმონას”.

“თუ ფლეგმატიკია, მაშინ მას ძალ-ღონე მოემატება”.

“მისი მიღება, ორგანიზმის შიგნით მყოფ ქარებს გამოდევნის”.

“მისი დაღეჭვისას, პირიდან სასიამოვნო სუნი გამოიყვება”.

“მიღებული, იგი ამრავლებს თირკმელების სურვილსა და მოქმედებას”.

კოლხური წარმოშობის სამხრეთ კავკასიის სუბენდემური სახეობაა ირადიაციებით (ამიერკავკასიურ-ლაზისტანური).

საერთო გავრცელება: მცირე აზია (ლაზისტანი).

საქართველო: ხასიათდება დიზუნქციური არეალით. გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთში, აჭარასა და ქართლში.

ჰაბიტატი: იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელის ფოთლოვანი ტყეების ეკოსისტემებში – შერეულფოთლოვან, წიფლნარ-რცხილნარ ტყეებში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში, ტყის ფარჯრებში, ზღვ. დ. 150-1200 მ სიმაღლემდე. ტიპური მეზოფიტია.

კულტივირება: მებაღეობის კლასიფიკაციის მიხედვით თეთრყვავილა (*Galanthus L.*) მიეკუთვნება წვრილბოლქვოვან მცენარეთა ნაკრებს. ამ გვარის სახეობების ვეგეტაცია ბუნებრივ პირობებსა და კულტურაში (თბილისის ბოტანიკური ბაღის პირობებში) შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობს. ფესვები ზრდას იწყებენ აგვისტოში, ფოთლები კი – ოქტომბერში. ამასთან პირველად ფოთლები ნიადაგში ვითარდება, იანვარ-თებერვალში (ზოგჯერ მარტში) კი მიწის ზედაპირზე წარმოიქმნება.

ბოლქვში ყვავილები ვითარდება ფოთლების ფორმირების შემდეგ, საყვავილე ღეროზე წინ. ყვავილების განვითარების ტემპი მიწისქვეშა ცხოვრებაში ბოლქვოვნების სხვადასხვა სახეობისათვის სპეციფიკურია. ასე მაგ.: ვორონოვის თეთრყვავილას (*Galanthus woronowii*) ვეგეტაციის დაწყება თბილისის სემიარიდული კლიმატის პირობებში ცვალებადობს ტემპერატურის მიხედვით. 2-5° ტემპერატურის დადგომისთანავე აღინიშნება მათი ყვავილობის დაწყება, რაც თებერვალ-მარტის პირველ რიცხვებთანაა დაკავშირებული (იშვიათად იანვარში). ნიადაგიდან ფოთლებთან ერთად გამოდიან კოკრები, რომლებიც იზრდებიან 3-6 დღის შემდეგ. მასიური ყვავილობა აღინიშნება თებერვლის ბოლოს-მარტის პირველ ნახევარში. მცენარეები ყვავილობენ 22-26 დღეს. გადაყვავილების შემდეგ ფოთლები სწრაფად იწყებენ განვითარებას და უსწრებენ საყვავილე ისრებს. აპრილის შუა რიცხვებში იწყება ფოთლებისა და საყვავილე ისრების შეყვითლება, მათის პირველ რიცხვებში კი მცენარის მიწისზედა ნაწილები მთლიანად ხმება. ნაყოფები ამავე პერიოდში მწიფდება. ამ დროს ბოლქვში მიმდინარეობს აქტიური ფორმანარმოქმნა, ხოლო ზრდის პროცესები ძლიერ შეწყვეტილია. სექტემბრის დასაწყისში ძველი ფესვების ნაცვლად წარმოიქმნება ახალი ფესვები, რომელთა ინტენსიური ზრდა ოქტომბერ-ნოემბერში აღინიშ-

ნება. ასევე ამავე პერიოდში იწყება ყლორტების ზრდაც, მაგრამ ისინი ნიადაგის ზედაპირის ზევით არ ამოლიან.

ამგვარად თეთრყვავილას განვითარებაში ორი მოსვენების პერიოდი აღინიშნება: ზაფხულისა და ზამთრის. აქტიური ზრდა-განვითარება კი თებერვალ-მარტში მიმდინარეობს.

თეთრყვავილეებისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გენერაციული ორგანოების ძალიან ადრე განვითარება ვეგეტატიურთან შედარებით, ფოთოლთა შემცირებული რიცხვი, ღეროს (საყვავილე ისრის) პატარა ზომები, ყვავილების მცირე რაოდენობა, მათი უნარი გადაიტანონ დაბალი ტემპერატურა და ზოგჯერ წაყინვებიც, საყვავილე კვირტების განვითარება წინა წლის ზაფხულში.

თეთრყვავილას სახეობებისათვის, ისევე როგორც სხვა ევემეროიდებისათვის, მკვეთრად კონსტიტუციურია ზაფხულის მოსვენების პერიოდი და ვეგეტაციის ადრეული დამთავრება. ამასთან ყურადსაღებია, რომ ფესვებისა და განახლების კვირტების სწრაფი ზრდა-განვითარება იწყება ზაფხულის ბოლოს და მაქსიმალურს აღწევს სექტემბერ-ოქტომბერში, ძლიერ ნელდება ან მთლიანად წყდება ზამთარში.

თბილისის პირობებში თეთრყვავილას სახეობების ვეგეტაცია მიმდინარეობს 3-3,5 თვის განმავლობაში. ზაფხულის მოსვენების პერიოდი იწყება აპრილის ბოლოდან და გრძელდება აგვისტოს ბოლომდე. თესვები მნიფდება 40-55 დღეში.

თეთრყვავილები უძველესი დროიდანაა კულტივირებული, თვით მისი ბუთხუზა ფორმა “Flore Pleno” ცნობილია 1703 წლიდან. სადღეისოდ თანამედროვე მებაღეობაში თეთრყვავილას სახეობებიდან მიღებულია 500-მდე ბალური ფორმა, რომელთა რიცხვშია მეტად ეფექტური ბუთხუზა კულტივარებიც.

XIX ს-ში შოტლანდიელი მებაღის ედვარდ ბოულზის (1865-1954) წყალობით წარმოიშვა ტერმინი “**გალანტოფილია**” და მას შემდეგ სიყვარული ამ ყვავილების მიმართ არ შესუსტებულა.

ინგლისში არსებობობენ მოყვარული კოლექციონერები, რომლებსაც შეგროვილი აქვთ ამ მცენარეების 200-ზე მეტი განსხვავებული ფორმა.

(<http://www.plantopedia.ru/garden plants/>;

<http://Gardenweb.ru/podsnezhnik – galanthus>.)

თეთრყვავილას სახეობები მეზოფიტებია, სციოჰელიოფიტები, კარგად ვითარდებიან ხეებისა და ბუჩქნარების საფარქვეშ, მზით გამოთბარ ადგილებში; ვერ იტანენ მალლობებსა და დაგუბებულ წყლიან დაბლობებს. თეთრყვავილას ყველა სახეობა სასურველია დაირგას დაჩრდილულ ადგილებში. ტენიანი ან მდგრადი წყლიანი ნაკვეთები მათთვის გამოუსადეგარია. კარგად ვითარდებიან და უხვად ყვავილობენ, როდესაც ბოლქვები დარგულია ფხვიერ, მსუბუქ, ნაკელით და ნეშომპალით განოციერებულ ნიადაგებზე. 1 მ²-ზე შეაქვთ 20-25 კგ ორგანული სასუქი. ნიადაგს ამუშავებენ 20 სმ სიღრმეზე და ერთროულად ყრიან სასუქს. ამის შემდეგ ფარცხავენ, აცილებენ სარეველებს და სხვა ბალახოვანი მცენარეების ფესვებს. დარგვის საუკეთესო დრო ივლის-სექტემბერია, როდესაც მცენარეები მოსვენების მდგომარეობაში იმყოფებიან. ხანგრძლივი და თბილი შემოდგომის შემთხვევაში დარგვის ვადა გრძელდება ნოემბრის დასაწყისამდე. თეთრყვავილების ბოლქვების ყვავილობის პერიოდში გადარგვა არასასურველია, ვინაიდან დარგვისთანავე ფოთლები ჭკნება, ყვითლდება, შემდეგ კი მთლიანად ხმება, ბოლქვი სუსტდება, თუმცა ცოცხალი რჩება. ხოლო შემდგომ წელს ასეთი მცენარეები ან სუსტად, ან საერთოდ არ ყვავილობენ.

ბოლქვებს რგავენ ჩვეული წესით: ფხვიერ ნიადაგზე ორი ბოლქვის, ხოლო მძიმე ნიადაგებზე ერთი ბოლქვის სიღრმით; ნებისმიერ შემთხვევაში არა უმცირეს 5 სმ სიღრმით. თეთრყვავილები თვითონ არეგულირებენ დარგვის სიღრმეს; ღრმად დარგვის შემთხვევაში ახალ ბოლქვი წარმოიქმნება საყვავლე ღეროზე, მათთვის საჭირო სიღრმეზე. საერთოდ, წვრილბოლქვიანებისათვის დარგვის სიღრმის მკაცრად დაცვა არ არის აუცილებელი. უბრალოდ დაბალი სიღრმით დარგვისას ბოლქვები ნიადაგში წვრილდება, მაგრამ აქტიურად წარმოქმნის შვილეულ ბოლქვაკებს; ღრმად დარგვისას კი ბოლქვები მსხვილდება.

თეთრყვავილას ბოლქვები ვერ იტანს ხანგრძლივ გამოშრობას, თვეზე მეტხანს მათი გაჩერება არ არის რეკომენდირებული, ხოლო თუ დარგვის საშუალება არ არის, მაშინ აუცილებელია მათი ნახერხით დაფარვა.

მოვლა მდგომარეობს სარეველებისაგან გასუფთავებასა და ნიადაგის გაფხვიერებაში, ხშირი გადარგვა არ არის სასურველი, ერთ ადგილზე

მათი ყოფნა შესაძლებელია არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. თერთყავილების ფოთლების შეჭრა მათ სრულ გახმობამდე არ შეიძლება, ამით ბოლქვები კნინდება. აქტიური ზრდის პერიოდში შეაქვთ თხევადი არაორგანული სასუქი; არ არის სასურველი აზოტის მაღალი შემცველობის სასუქებით განოციერება; დიდი რაოდენობის აზოტი იწვევს ფოთლების ჭარბ განვითარებას, რომლებიც ნოტიო ამინდში შეიძლება გახდეს სოკოვანი დაავადების საფუძველი. უკეთესია კალიუმისა და ფოსფატების შემცველი სასუქების გამოყენება; კალიუმში ხელს უწყობს ჯანმრთელი, კარგად მოზამთრე ბოლქვების ფორმირებას, ხოლო ფოსფორი განსაკუთრებით სასარგებლოა უხვი ყვავილობისათვის. წვრილბოლქვიანი ინდივიდები აქტიური ზრდის პერიოდში იყენებენ ბევრ წყალს. ვეგეტაციის დასაწყისში მცენარები უზრუნველყოფილია საკმარისი ტენით, ხოლო თუ ზამთარი მცირეთოვლიანია, გაზაფხული კი მშრალი, საჭიროა ხელოვნური რწყვის ჩატარება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წვრილბოლქვიანი მცენარეები საკმაოდ მდგრადია სიმშრალის მიმართ, თუმცა ვითარდებიან მცირე ზომის ინდივიდებად. თესლების შეგროვების შემდეგ, სეზონის ბოლომდე აღარ საჭიროებენ აგროტექნიკურ სამუშაოებს.

მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად – შვილეული ბოლქვაკების დაყოფით. თესლებს გრუნტში თესავენ, თესლის შეგროვებისთანავე, უკიდურეს შემთხვევაში შემოდგომით. გვიანი თესვა იწვევს მათი გაღივების 1 წლით გახანგრძლივებას. აღებისთანავე დათესილი თესლი, როგორც წესი, მასობრივად აღმოცენდება გაზაფხულზე. თესვა წარმოებს ფხვიერ, ნეშომშალათი კარგად გაფხვიერებულ ნიადაგში. ითესება 1 სმ სიღრმეზე. აღმონაცენის ჯგუთვა პირველ წელს რომ არ ჩავატაროთ, უნდა დაითესოს მეჩხრად, 1-2 სმ-ის დაცილებით. ზაფხულში, როდესაც აღმონაცენს ფოთლები უხმებათ, ბოლქვაკებს თხრიან, ინახავენ და შემოდგომით რგავენ 3-5 სმ-ის დაცილებით. მე-4 წელს რგავენ მუდმივ ადგილას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შემოდგომით დათესილი თესლები გაზაფხულის ნათესართან შედარებით აღმოცენების მაღალი უნარით ხასიათდება, რაც ვფიქრობთ, იმის მაჩვენებელია, რომ ამ სახეობათა თესლები საჭიროებენ სტრატეფიკაციას დაბალ ტემპერატურაზე. როგორც ცნობილია, ყველა თესლი, რომელიც სტრატეფიკაციას საჭი-

როებს, მიეკუთვნება დაბალ ტემპერატურაზე გაღივების უნარის მქონე თესლეების ტიპს, რისთვისაც აუცილებელია განისაზღვროს იმყოფება თუ არა ჩანასახი მოსვენების მდგომარეობაში. განსაკუთრებით კარგად აღმოცენდებიან ის თესლები, რომლებმაც გაიარეს სტრატეფიკაცია ერთი თვის განმავლობაში 5°C ტემპერატურაზე.

მოუმნიფებელი თესლების გაღივებაზე ჩატარებული ცდებით ირკვევა, რომ მწვანე თესლები, რომლებიც მომნიფებამდე 2 კვირით ადრე იყვნენ შევროვილნი და რბილი ენდოსპერმი ჰქონდათ, არ ღივდებიან; თესლები, რომელთაც დაწყებული ჰქონდათ გაყვითლება – ღივდებიან 50-52%-ით.

თესლების გაღივების ტემპები და აღმონაცენის რაოდენობა დაკავშირებულია მოცემული წლის ამინდის პირობებთან.

ისევე როგორც ბუნებრივ პირობებში, კულტურაში თესლების გარდა ბოლქვოვნების განახლება ვეგეტატიურადაც ხდება, რაც ბუნებაში, როგორც წესი, გენერაციული პერიოდის შუალედში იწყება. ივნისის შუა რიცხვებში, ან მის ბოლოს, ასიმილირებული ფოთლების უბეებში ისახება 1 ან 2 გვერდითა ვეგეტატიური კვირტი, იშვიათ შემთხვევაში – 3. შემდგომ წელს ისინი წარმოქმნიან გვერდითა – შვილეულ ყლორტებს. შემდეგ მათში ვითარდება 1-2 ქვედა და 2-3, იშვიათად 4 ასიმილირებული ფოთალი. დაახლოებით 3 წლის შემდეგ შვილეული ყლორტი ყვავილობს და თანდათანობით, სცილდება რა დედისეულ ბოლქვებს, ხდება დამოუკიდებელი და შემდგომში აქვს უნარი მრავალჯერადი განმეორებითი ყვავილობისა და ვეგეტატიური გამრავლებისა. მრავალჯერადი დაყოფის შემდეგ მცენარე თანდათან სუსტდება; მასში აღინიშნება ყვავილობის პერიოდულობა და ძლიერ დაკნინებული ვეგეტატიური შთამომავლობა, რომლებიც მორფოლოგიური ნიშნების მსგავსებით იუვენილურ ინდივიდებს მიეკუთვნება.

გვერდითი ვეგეტატიური ყლორტები შეიძლება წარმოიქმნას ყოველწლიურად, ან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. რამდენადაც თეთრყვავილებში ფოთოლგანწყობა ორ რიგიანია, ამ რიტმულობას გვერდითა ტოტების ჩასახვაში მივყავართ იმისკენ, რომ შვილეული ბოლქვაკები განწყობიან ერთ სიბრტყეში დედისეული ბოლქვის ორივე მხრიდან.

თეთრყვავილა ვეგეტატიურად ნაკლებად მოძრავი მცენარეა. მისი ვეგეტატიური გამრავლების პროცესში წარმოიქმნება მჭიდროდ მოზარდი ინდივიდების ჯგუფები, რომელთა ურთიერთგანწყობით შეიძლება მათი წარმოშობის შესახებ მსჯელობა. დედისეული და შვილეული ეგზემპლარების ზომები დაახლოებით ერთნაირია. ვეგეტატიური წარმოშობის მცენარეები თავის შემდგომ განვითარებაში იმეორებენ დედისეულის – ონტოგენებს, მაგრამ ეს მეტად სწრაფ ტემპში ხდება.

ჩვეულებრივ დედისეული ბოლქვიდან გამოყოფიდან 2-3 წლის შემდეგ ისინი თავის მხრივ იწყებენ ვეგეტატიურ გამრავლებას, მეორდება ყველა ზემოთ აღნიშნული ნიშანი, რის შედეგადაც იზრდება დატოტვის რიგი ან გვერდითა ყლორტები ვითარდება გრძელ ღერძზე I, II, III და ა.შ. რიგებად.

კულტურაში ვეგეტატიური გამრავლება სასურველია ჩატარდეს მცენარეთა ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ (მაისი, ივნისი), ასევე შესაძლებელია ზაფხულის ბოლოს, შემოდგომის დასაწყისში. ბოლქვები ირგვება კვლებში 12-16 სმ დაცილებით; წვრილი ბოლქვები 1,5-2 სმ, მსხვილი ბოლქვები კი 6-8 სმ სიღრმით. ბოლქვები ვითარდებიან დარგვიდან 20-25 დღის შემდეგ. შემოდგომით დაყოფილი მცენარეები გაზაფხულს მომძლავრებული ხვდებიან და უხვად ყვავილობენ.

დეკორატიულ მებაღეობაში თეთრყვავილეს რგავენ ნელამზარდ მრავალწლოვან მცენარეებს შორის, მაგ.: ხოსტა, იორდასალამი, გვიმრები და სხვ. აღრემოყვავილე სხვა მინიატურულ მცენარეებთან (ცისთვალა, ფურისულა, ყოჩივარდა, ზაფრანა, პუშკინია და სხვ.) ერთად. მთავარია, რომ თეთრყვავილები განათებული იყვეს ვეგეტაციის პერიოდში, თუნდაც დღის გარკვეულ მონაკვეთში. მოსვენების სტადიაში მათ შეუძლიათ გადაიტანონ ნებისმიერი დაჩრდილება. ხეებიდან დაცვნილი ფოთლები უკეთესია არ მოცილდეს, გაზაფხულზე ისინი ადვილად არღვევენ ზედაპირს და მათ განვითარებას სრულიად არ უშლის ხელს. ამასთან გადამწვარი ფოთლები კარგი ნატურალური გამოკვებაა, ამავე დროს ხელს უწყობს ნიადაგის ზედა ფენაში ტენის შენარჩუნებას.

მაწენებლები და დაავადებები:

მინდვრის თავგები და თხუნელები. მინისქვეშა სოროებისა და ხვრელების გათხრისას მათ შეუძლიათ ბოლქვების დაზიანება. მღრღნელე-

ბის მიერ დაზიანებული ბოლქვები ხშირ შემთხვევაში ღვებდა, რისი დამადასტურებელია მცენარის სუსტი ზრდა და დაკნინებული მდგომარეობა. ასეთ დროს ამოთხრიან ბოლქვებს, აჭრიან დამშალ ნაწილებს, დაზიანებულ ადგილებზე აყრიან ნაცარს და გაშრობის მიზნით რამდენიმე საათს ტოვებენ ღია ადგილას. დაცვის ძირითადი საშუალებაა აგროტექნიკური ღონისძიებების დროული ჩატარება, თეთრყვავილების კვლების მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავება გამხმარი ბალახებისაგან და სხვ.

შეშლები და მათი მუხლებებიც ასევე დიდ ზიანს აყენებენ ბოლქვებს. მათი განადგურება შესაძლებელია შემოდგომით მწერების დაჭურვის პერიოდში.

მინისქვეშა ლოქორა - გვხვდება ნოყიერ და მძიმე თიხნარ ნიადაგებზე, მისგან თავის დასხნის მიზნით საჭიროა ბოლქვები ქვიშის სქელ ფენაში დაირვას.

ბოლქვის ნემატოდები - აზიანებენ თეთრყვავილას ბოლქვებსაც; ფოთლის კიდებზე აღინიშნება უსწორო ფორმის მოყვითალო სიმსივნეები, ხოლო ბოლქვის გადანაჭერზე ჩანს მუქი რგოლი, რომელიც ჯანმრთელ ნაწილს დაავადებულისაგან გამოარჩევს.

ვირუსები - ფოთლების ზედაპირზე აღინიშნება მკრთალი-ყვითელი, ბაცი მწვანე ნაჭდევი ან მათი არაზუნებრივი დახუჭუჭება. დაავადებული მცენარეები სასწრაფოდ უნდა განადგურდეს, რათა არ გახდეს სხვების დაავადების წყარო.

სოკოვანი დაავადებები - აღინიშნება ყავისფერი ან შავი ნაჭდევი ფოთლებზე რბილი ნაცრისფერი ნაფიფქით, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოიქმნება თბილ და ნესტიან ამინდში მინის ღონეზე, შემდგომ თანდათან ზევით მიიწევენ და იზრდებიან, მანიშნებელია სოკოვანი დაავადებების - ჟანგასი და ნაცრისფერი ობის წარმოქმნის. დაზიანებული ნაწილები სასწრაფოდ უნდა შეგროვდეს და დაინვას, ხოლო დაავადებული მცენარეები უნდა დამუშავდეს ფუნგიციდებით ინსტრუქციის თანახმად.

ელორიზი - ფოთლების გაყვითლება ჩვეულებრივ გამოწვეულია ბოლქვის დაზიანებით, დაავადებით, ცუდი დრენაჟით ან ზრდის პირობებით და არა ნიადაგში კვების რომელიმე ელემენტის ნაკლებობით (ბინაშვილი, 1995; 2012).

Iris germanica L. – ლურჯი ზამბახი
Fam. Iridaceae - ოჯ. ზამბახისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: ბალახოვანი მცენარეა ძლიერი მხოხავი ფესურით. ღერო სწორმდგომია, 60-100 სმ სიმაღლის. ფოთლები ბრტყელია, ლევა-მწვანე, ხმლისებრი ფორმის, ბოლოში წაწვეტებული. ყვავილი ორსქესიანია, მარტოული, მუქი- იისფერი შეფერილობის, ძირში ყვითელი, მურა-იისფერი დაძარღვით. ნაყოფი კოლოფია. თესლი ყვისფერია, მსხვილი.

ფენოლოგია: ყვ. V-VI. ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: დეკორატიულია. ფესურიდან მიიღება ეთერზეთები, რომელიც მცირე დოზებში იხმარება მაღალხარისხოვანი პარფიუმერიის დასამზადებლად, აგრეთვე ისეთი პროდუქტების არომატიზაციისათვის, როგორცაა ლიქიორები საკონდიტრო და პურფუნთუშეულის დასამზადებლად. მცენარე გამოიყენება რესპირატორული დაავადებების (ბრონქიტი, ასთმა, და ხველევა), თავის ტკივილების, შაკიკისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების სამკურნალოდ.

ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. აწერილია გერმანიის მთიანეთიდან.

საერთო გავრცელება: ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნები, ბალყარეთი, მცირე აზია; მითითებულია კანარის კუნძულებიც და არაბეთის სამხრეთი რაიონები.

საქართველო: ფართოდაა კულტივირებული დეკორატიულ მებაღეობაში, ზოგჯერ ველურდება.

ჰაბიტატი: ადგილსამყოფელი ანთროპოგენურია: გაზონი, პარკები ან ბაღები, საკარმიდამო ნაკვეთები, ბოსტნები. მეზოფიტია, მეზოტროფი, სინათლის მოყვარული.

კულტივირება: გერმანული ზამბახი ამტან (მცირე მოთხოვნების) მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნებიან. კარგად იზრდება როგორც ღია, ისე

დაწრდილოელ ადგილზე. ამ კულტურისათვის გამოუსადეგარია ტენიანი ნიადაგები. ასეთ ადგილებში ფესურები ადვილად ლპება, ფოთლები ყვითლდება და მცენარე იღუპება. დამაკმაყოფილებლად ვითარდება ყველა დამუშავებულ ნიადაგზე. უკეთ განვითარებისათვის ნიადაგი უნდა გადაიბაროს არა უმცირეს 20 სმ სიღრმეზე. ერთნაირი წარმატებით ვითარდება თიხნარ, ქვიშნარ და სხვა ნიადაგებზე, თუ საკმარისად არიან განოყიერებული და სარგავად სწორად მომზადებული. კარგად იზრდება ისეთ ნიადაგებზე, სადაც შეტანილია 10-15 კგ ნეშომჟალა 1 მ²-ზე. სასურველია მინერალური სასუქები შეტანილ იქნეს ორგანულთან ერთად შემდეგი თანაფარდობით: კალიუმიანი და ფოსფორიანი - 15-20 გ, აზოტი - 10 გ, ხოლო ნეშომჟალა 5-8 კგ 1 მ²-ზე. ასეთ ნიადაგებზე ზამბახის კულტივირება განოყიერების გარეშე შესაძლებელია 5 წელზე მეტ ხანს. დარგვა წარმოებს გაზაფხულზე და შემოდგომით. უკეთესია შემოდგომით ოქტომბრის ბოლოს-ნოემბრის დასაწყისში ან გაზაფხულზე - მარტში. შემოდგომით დარგვისას ზამბახს ფოთლებს არ აჭრიან. გადარგვას უმტკივნეულოდ იტანს, ირგვება 50-60 სმ-ის დაცილებით, დარგვის სიღრმე -10 სმ-მდე. განსაკუთრებულ მოვლას არ საჭიროებს. მორწყვას იშვიათად, თითქმის არ აწარმოებენ. მათთვის საკმარისია ის ტენი, რომელიც ნიადაგშია. მხოლოდ მაშინ, თუ ხანგრძლივი მშრალი და ცხელი ამინდია, საჭიროა კვირაში ერთხელ მაინც მოიწიწიან. თუ თესლის შეგროვება არ გვინდა, ყვავილობის შემდეგ უნდა შეიჭრას გადაყვავილებული ღეროები. ნაკვეთები სარეველებისაგან (განსაკუთრებით ჭანგასაგან) უნდა განთავისუფლდეს. ზამბახს უფრო მეტად ვეგეტატიურად ამრავლებენ; დაყოფას აწარმოებენ სექტემბრის ბოლოს - ოქტომბრის პირველ ნახევარში ან ადრე გაზაფხულზე. ყოფენ ცალ;ეულ ნაწილებად; თითოეულ მათგანს განვითარებული უნდა ჰქონდეს 3-5 კვირტი და ფესვები;

ამრავლებენ თესლითაც. თესლი სასურველია აღებისთანავე იქნეს დათესილი, ამ შემთხვევაში მასიური აღმონაცენი წარმოიქმნება მომავალი წლის გაზაფხულზე. აღმონაცენის ჯგუფვას რიგებში აწარმოებენ 10-15 სმ-ის დაცილებით; 2 წლის შემდეგ აღმონაცენს რგავენ მუდმივ ადგილას. ყვავილობას იწყებენ 4-5 წლის შემდეგ.

აუცილებელია მუდმივი ყურადღების მიქცევა, მაგნებლებისა და დაავადებების თავიდან აცილების მიზნით.

დაავადებებიდან აღსანიშნავია სოკოვანი დაავადება - ფუზარიოზი, რომელიც ვითარდება ნიადაგის ზედმეტი დატენიანებისას; აუცილებელია დაავადებული მცენარის ამოთხრა და დანვა. დანარჩენი მცენარეები უნდა დამუშავდეს ფუნდალოზის ორპროცენტის ხსნარით.

ზამბახების ჰეტეროსპოროზით დაზიანებისას, ფოთლებზე აღინიშნება ლაქიანობა, ყველა დაავადებული ფოთოლი სიფრთხილით იჭრება, ხოლო თვით მცენარეს ასხურებენ სპილენძის სულფატს.

ზამბახების საშიშ მავნებლებად მიიჩნევენ - ხმალას თრიფსებს, რომლებიც იწვევენ ფოთლების ფოტოსინთეზის რღვევას. იცვლება მათი ფერი, ისინი ხმება, კოკრები უფერულდება და ჭკნება. ამ შემთხვევაში აუცილებელია მცენარეების კარბოფოსით დამუშავება.

თუ ზამბახზე ლოკოკინები გაჩნდა, მათგან ეფექტურია კალციუმის ჰიდრომუავით და თამბაქოს მტვრით შეფრვევა (1:1). რიგთაშორისებში იყრება სუპერფოსფატი.

ზამბახები - გამორჩეული ულამაზესი და უმშვენიერესი მცენარეებია, ნაკლებად მომთხონი გარემო პირობებისადმი, ადვილად მრავლდებიან, დიდხანს ინარჩუნებენ სილამაზესა და დეკორატიულობას მოჭრილი სახითაც.

<http://www.orchis.ru/irisy-posadka-uhod-vyrashhivanie-razmnojenie.html>.

Iris pseudacorus L. - წყლის ზამბახი

Fam. Iridaceae - ოჯ. ზამბახისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სქელი დატოტვილი ფესურითა და 150 სმ-მდე სიმაღლის ცილინ-

დრული ღეროთი. ფოთოლი მწვანეა, ფართო ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა, მკაფიოდ გამოხატული შუა ძარღვით. ყვავილსაფარი კაშკაშა ყვითელია, ყვავილსაფარის ფოთლები შიშველია, გარეთა მათვანი კვერცხისებრია, მოგრძო-კვერცხისებრი ან უკუ-კვერცხისებრი, ძირში გულისებრი მუქი ყვითელი ან ნარინჯისფერი ლაქით; ყვავილსაფარის შიგნითა ფოთლები დაპატარავებულია, უკუ-ლანცეტაა, გარეთებზე მოკლე და ძირში ბიბილოებადაა გაფართოებული. ნაყოფი მრავალთესლიანი, ბლაგვ-სამწახნავოვანი, მოგრძო ოვალური კოლოფია, მოკლე ნისკარტიანი ან უნისკარტო. თესლი ბრტყელია, ბაცი ყავისფერი და პრიალა.

ფენოლოგია: ყვ. V-VII; ნაყ. VIII-IX.

მნიშვნელობა: ხასიათდება სამკურნალო და დეკორატიული მნიშვნელობით. სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს. შეიცავს ირიდინს - იზოფლავონ ირგენინის გლიკოზიდს, ეთერზეთებს, სახამებელს, კეტონ ირონს, რომელსაც იის სურნელი ახასიათებს, ასკორბინის მჟავას, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (Кортиков, 1998). ფესურა შედის მ. ზღრენკოს ნაკრებში, რომელიც ნებადართულია ონკოლოგიურ პრაქტიკაში, როგორც სიმპტომატიკური საშუალება.

ხალხურ მედიცინაში ფესურას იყენებენ როგორც ტკივილ გამაყუჩებელ საშუალებას კბილის ტკივილის, კუჭის კატარის, კუჭ-ნაწლავის ჭვლეების, ანგინის, სპაზმების, ტრიქომონადული კოლპიტის, გასტრიტის, ბრონქიტის, ფილტვების ანთების, შარდის ბუშტის პაპილომატომის დროს. ხასიათდება შემკვრელი და შარდმდენი მოქმედებით წყალმანკის შემთხვევაში; წარმოადგენს თმის ზრდის მასტიმულირებელ საშუალებას (Соколов, 1952; Гаммерман, Юркевич, 1968; Гаммерман и др., 1970; Иванин и др., 1972).

უკრაინის ხალხურ მედიცინაში მკურნალობენ ბუასილს, კუჭის აშლილობას, სისხლდენებს, მრგვალ ჭიებს, ქავილს, საკვერცხეების ანთებას. მის ნახარშს იყენებენ აგრეთვე პირის ღრუს გამოსავლებად, ღრძილებიდან სისხლდენისას (Гүбєргриц, Соломченко, 1971).

ა. როლოვის თანახმად (1908) წყლის ზამბახის ფესურას კავკასიის ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ ქრონიკული სისხლიანი ფალარათის, წყალმანკის, სიმსივნეების, თავის ტკივილის სამკურნალოდ. თესლებს - ციებ-ცხელებისას და როგორც ყავის სუროგატს.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ გამოიყენებოდა ზამბახის ძირი და ზეთი. სხვა კეთილსურნელოვანი მცენარეების მსგავსად, ზამბახის ყვავილებსა და ფესურას იყენებდნენ მძიმე ავადმყოფების ან ახლად გამოჯანსაღებული, ნაავადმყოფარი ადამიანებისათვის როგორც საყნოსავ საშუალებას; იხმარებოდა აგრეთვე თვალის დაავადებების სამკურნალოდ. ტკივილების დასამშვიდებელ სხვადასხვა მალამოების შემადგენლობაში ხშირად ვხვდებით ზამბახის ზეთს (წუნუნავა, 1960).

მშრალი ფესურის ფხვნილი, რომელიც ხასიათდება იის სურნელით და ცვლის ე.წ. იის ფესვს (*Iris florentina*) ითვლება კარგ კოსმეტიკურ საშუალებად პუდრებისა და კბილის ფხვნილის დასამზადებლად, ხოლო ნახარშს იყენებენ სახის დასაბანად და ქერტლის საწინააღმდეგოდ (Кортиков, 1998).

ბორეალური, დასავლეთ-პალეარქტიკული სახეობაა. აწერილია ევროპიდან.

საერთო გავრცელება: ევროპა, ხმელთაშუა ზღვის მხარე, მცირე აზია, ირანი, ჩრდ. აზია.

საქართველო: აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, აჭარა, ქართლი.

ჰაბიტატი: ჰიდრომეზოფიტია, სინათლის მოყვარული; იზრდება ჭაობებში, მდინარეების, ტბების, ტბორების, არხების გასწვრივ, ტენიან მდელოებსა და დაჭაობებულ ადგილებში, დაბლობებსა და მთისწინებზე, ზღვ. დ. 500 მ-მდე.

გამრავლება: მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად, ძირების დაყოფით.

***Leucojum aestivum* L. - ზაფხულის ცხენისკბილა**

Fam. Amaryllidaceae – ოჯ. ამარილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა. ფოთლები ბოლქვის ფუძედან ვითარდება. ცალკეულ მცენარეზე წარმოიქმნება 6-10 ფოთოლი, ფართო ხაზური ფორმის, 45 სმ-მდე სიგრძისა და 2-4 სმ სიგანის, წვეროსკენ წანვეტებული, კაშკაშა მწვანე, პრილა ზედაპირით, საყვავილე ღეროზე მნიშვნელოვნად მოკლეა. საყვავილე ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, უფოთლო, წახნაგებიანი; ღეროს ზედა ნაწილში განლაგებულია 1-7-მდე ყვავილი, რომლებიც ცალკვერდა მტევნისებრ ყვავილედადაა შეკრებილი. ყვავილსაფარი თეთრია, მისი ფოთლები ბოლოგასქელებულია და მწვანე ლაქიანი. ნაყოფი მსხლის მოყვანილობის კოლოფია, 3-16-მდე თესლით. თესლი მომრგვალოა, წახნაგოვანი, სქელი შავი გარსით.

ფენოლოგია: ყვ. III-IV; ნაყ. V.

მნიშვნელობა: დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა.

სამკურნალო ნედლეულია ბოლქვები და მცენარის მიწისზედა ნაწილები, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს ალკალოიდებს (გალანტამინს, ლიკორინს, ლიკორენინს, ტაცეტინს, იზოტაცეტინს). ბოლო წლებში გამოიყო უნგერინი და ახალი ალკალოიდი სტივინი. ყვავილებში აღმოჩენილია ფლავონოიდები (ლეიკოზიდი, ლეიკოვერნიდი და სხვ.), კაროტინოიდები (ქსანთოფილი, α-კაროტინი, β-კაროტინი), მიწისქვეშა ნაწილებში - ნახშირწყლები, ამოტისმემცველი შენაერთები (ლექტინები).

მცენარის სამკურნალო მოქმედება განპირობებულია ალკალოიდების შემცველობით, კერძოდ გალანტამინით. მის საფუძველზე დამზადებული პრეპარატები, კერძოდ ნივალინი, ნივალერი და სხვ. ავინროებს ქოლინესტერაზის აქტივობას, ამტკიცებს აცეტილქოლინის შემცველობას, ამჟღავნებს ქოლინომიმეტიკულ ეფექტს, ამალლებს გლუვი მუსკულატურის ტონუსს და სხვ. გარდა ამისა ხასიათდება ამოსახველებელი მოქმედებითაც.

<http://lektrava.ru/encyclopedia/belotsvetnik/>

სადღეისოდ სამედიცინო პრაქტიკაში გალანტამინი ფართოდ გამოიყენება დამბლის, პოლიომეღლიტისა და პარალიზირებული ორგანოების სამკურნალოდ იხმარება აგრეთვე ნერვული აშლილობის, ენცეფალოპათიის, ბავშვების ცერებრალური დამბლის, ნევრალგიის, ოპიუმით მოწამლვისას, როგორც ანტიდოტი (Илиева, 1971).

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნახარშს იყენებენ ასთმის, ნერვული აღგზნებადობის, ეპილეპსიის სამკურნალოდ.

მცენარე შხამიანია, რის გამოც გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო.

საერთო გავრცელება: შუა და სამხრეთ ევროპა, ყირიმი, ხმელთაშუა ზღვის მხარე, (დას.), მცირე აზია (ჩრდ.), ჩრდ. და დას. ირანი.

საქართველო: გავრცელებულია დასავლეთ რეგიონებში: აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, აჭარა.

ჰაბიტატი: იზრდება ზღვის სანაპირო ჭაობებსა და დატბორილ მდელოებზე, დაბლობში ტენიან დაჭაობებულ მდელოებზე, ბუჩქნარებში, მურყნარში, მდინარეების გასწვრივ.

კულტივირება: ბუნებრივ პირობებში იზრდება დაჭაობებულ, ნოტიო ადგილებში. კულტურაშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული. დარგვისათვის საჭიროა შეირჩეს ოდნავ დაჩრდილული ადგილები, ფხვიერი, სტრუქტურული, მსუბუქი, ორგანული სასუქით მდიდარი ნიადაგები. 1 მ²-ზე შეაქვთ არა უმცირეს 40 კგ ნემომპალა, უკეთესია კომპოსტიანი მიწა, კარგად შერევის შემდეგ ახდენენ 20 სმ სიღრმით მიწის გადაბარვას. თუ ნიადაგი ძლიერმჟავიანია, საჭიროა კირის დამატება. გაზაფხულზე, აქტიური კოკრიანობის პერიოდში მცენარეები საჭიროებენ ორგანული და კომპლექსური მინერალური სასუქებით გამოკვებას. უმჯობესია ფოსფორ-კალიუმიანი ნარევი.

მრავლდება ვეგეტატიურად (შვილეული ბოლქვაკების დაყოფით) და თესლით. ვინაიდან თესლით გამრავლება შენელებულია, უპირატესობა ენიჭება ბოლქვებით გამრავლებას. მათ თხრიან ივლისში /როდესაც ფოთლები უყვითლდებათ/, ერთმანეთისაგან ანცალკეებენ და რგავენ კვლებში, რიგთაშორის 20-25 სმ -ის, ხოლო რიგებში მცენარეთა შორის 15-20 სმ-ის დაცილებით. დარგვას აწარმოებენ აგვისტო-სექტემბერში, წინასწარ დამზადებულ ორმოებში 10-12 სმ სიღრმით.

თუ თესლებს იყენებენ გასამრავლებლად, საჭიროა მათი წინასწარი სტრატეფიცირება, შეიძლება მათი დათესვა შემოდგომით რიგთაშორისებში, რომლებიც მუდმივად ტენიან მდგომარეობაში უნდა იყვეს, აყრიან 0,5-1 სმ სისქის მიწას. შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში დაბალი ტემპერატურისა და ტენის გავლენით თესლის გარსი სკდება და გაზაფხულზე ამინდის გათბობისთანავე და ნიადაგის ტემპერატურის 10-15⁰ ამაღლებისას აღმოცენდებიან; იმავე წლის შემოდგომამდე ფო-

რმირდება პატარა ბოლქვაკები. ნორჩ მცენარეებს რიგებში ტოვებენ 2-3 წლის მანძილზე, მანამაღვ ვიდრე ბოლქვების ზომა კაკლის ზომის არ ხდება, რის შემდეგაც მათ იღებენ და მუდმივ ადგილას რგავენ. 5 წლის შემდეგ ხდება მცენარეთა გადახლართვა, რაც ხელს უშლის მათ განვითარებას. ასეთ ნარგაობებს თხრიან, ბოლქვებს ერთმანეთისაგან ანცალკევებენ და რგავენ ახალ ადგილას. წვრილ ბოლქვებს ცალკე რგავენ. თესლით გამრავლებას იშვიათად მიმართავენ, ვინაიდან გულმოდგინე და ღიდ შრომას მოითხოვს, საერთო ეფექტი კი გვიან მიიღწევა, ღმონაცენი ყვავილობს 4-5 წლის შემდეგ.

ცხენისკბილას საშიშ მავნებლად ითვლება ბოლქვოვნების ნემატოდა. მისი პროფილაქტიკის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ჯანსაღი სარგავი მასალის შექცნა. მავნებლის აღმოჩენისას, დაავადებული ბოლქვები უნდა განადგურდეს, ხოლო გადარჩენილები - მოთავსდეს თბილ, 40-45⁰ ტემპერატურის წყალში რამდენიმე საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ირგვება ისეთ ადგილებში, სადაც აღრე არ იზრდებოდნენ ბოლქვოვნები.

არა ნაკლებ საშიშია თრიფსები, ძალიან წვრილი, არა უმეტეს 2 მმ-ის მავნებლები, რომლებიც ბინადრობენ ბოლქვების ქერქლებს შორის. მათ საწინააღმდეგოდ გამოიყენება პრეპარატები: ინტავირი, კარბოფოსი, აქტელიკი; ბოლქვების დასამუშავებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თამბაქოს, მდოგვის ნახარშიც.

ბოლქვებს აზიანებს ფუზარიოზის სიღამპლევც. მისი მიცელიუმი ვრცელდება ბოლქვის ქერქლებს შორის და ინვევს მათ დაღუპვას. ფუნგიციდების გამოყენება და ახალ ადგილებში გადარგვა ამცირებს დაავადების გავრცელებას.

თეთრი ზოლისებრი - ვირუსული დაავადებაა, რომელიც აზიანებს ფოთლებს, ინვევს მათ სრულ ხმობას. ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები არ არსებობს, მხოლოდ სრულად უნდა განადგურდეს დაავადებული მცენარეები.

<http://ogorodsadovod.com/entry/2268-belotsvetnik-letnii-nezhnoe-ukrashenie-sada; Илиева, 1971/>

Lilium candidum L. – ქათქათა შროშანი
Fam. Liliaceae - ოჯ. შროშანისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილბოლქვიანი მცენარეა. ღერო 70-100 სმ სიმაღლისაა. ფოთოლოვანლაგება მორიგეობითია, განწყობილია ღეროს სივრცეზე. ფოთოლი მარტივია, მახვილწვერიანი, გლუვი, სოლისებრი.

ორსქესიანი ყვავილები, 5-20 რაოდენობით შეკრებილია მოკლე მტევნებად, ფორმით ფართო ძაბრისებრია, სწორი, დიდი ზომის, მიმართულია ზევით ან ირიბად ზევით, შეფერილობით თეთრია, ძირში მოყვითალო, ძლიერ არომატული. ნაყოფი მშრალი კოლოფია, თესლი მსხვილია.

ფენოლოგია: ყვ. VI-VII; ნაყ. VIII.

მნიშვნელობა: დეკორატიული მცენარეა, ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში.

სამკურნალოდ იხმარება მცენარის ყველა ნაწილი. ყვავილები და ფოთლები გროვდება ყვავილობის პერიოდში (ივნის-ივლისში), ბოლქვები - შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე.

ყვავილები შეიცავს ეთერზეთებს, ვანილინს, p-ჰიდროქინს და m-მეტროქიტოლუენს, p - კრემოლს, ლინალოლს, ტერპინეოლს, ფენილეთილის სპირტს და მის წარმოებულებს, ძმრის, პალმიტინის, ბენზოინის, პროპიონის მჟავებს, ფლავონოიდებს, კაროტინოიდებს. ბოლქვებში აღინიშნება ვიტამინები, შაქარი, ლორწოვანი ნივთიერებები. ხასიათდება სისხლშემაჩერებელი, ჭრილობებისშემახორცებელი, გამაუმტკივნეზებელი, მატონიზირებელი, შარდმდენი, ამოსახველებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ბოლქვების სპირტიან ნაყენს წარმატებით იყენებენ როგორც შარდმდენს და მატონიზირებელ საშუალებას, მეტად ეფექტურია ქრონიკული ბრონქიტის, რადიკულიტის დროს, წელის, კუნთებისა და სახსრების ტკივილისას. დაქუცმაცებულ ბოლქვებს გარეგანად ხმარობენ ფურუნკულების, დაჩირქებული სიმსივნის, ჩირქოვანი მუწუკების სამკურნალოდ. ყვავილების ექსტრაქტი გამოიყენება კოსმეტიკაში კუპეროზის (დაავადება ხასიათდება სისხლის მიკროცირკულაციის დარღვევით) განსაკურნავად. ყვავილების ნაყენი ხელს უწყობს სახის პიგმენტებისაგან გასუფთავებას (ჭორფლი, ხალი, სიბერის ლაქები), ამშვიდებს გაღიზიანებულ და დაზიანებულ კანს.

<https://kiberis.ru/?p=3833>;

<https://ok.ru/group/54722178121759/topic/62847197621023>

საერთო გავრცელება: გავრცელებულია ბალკანეთსა და დასავლეთ აზიაში. ფართოდაა კულტივირებული ზომიერი სარტყლის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

ჰაბიტატი: მეზოფიტია, ჰელიოფიტი.



წმინდა მარიაში შრომანის ყვავილით

კულტივირება: შრომანების კულტივირება უძველეს წარსულიდან იწყება, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ქათქათა შრომანი, რომელიც ყურადღებას იპყრობს ლამაზი თეთრი, არომატული ყვავილებისა და მისგან მიღებული სურნელოვანი ზეთების და ნაირგვარი მალამოების გამო. მას უმღეროდნენ ძველბერძენი ფილოსოფოსები და პოეტები - დიოსკორიდი, პლინიუს დიდი, ჰომეროსი. „მადონას შრომანს“, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ, მიიჩნევდნენ სინმინდისა და კეთილშობილების სიმბოლოდ, სწორედ ამის გამო, მისი გამოსახულება ხშირად გვხვდება სახვით ხელოვნებაში, აღორძინების ეპოქის მოქანდაკეების, მხატვრების, არქიტექტორების ნამუშევრებში, თვით წმინდა მარიამის ხატებზე.

შრომანის კულტურის გამოზრდა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს, თუ გვეცოდინება მათი თავისებურებები და დავიცავთ უმთავრეს აგროტექნიკურ ღონისძიებებს. მათთვის განკუთვნილი ნაკვეთები დაცული უნდა იყოს ქარისა და ჭარბი ტენისაგან. მოითხოვს ნაყოფიერ, წყალგამტარ, ნეიტრალური რეაქციის ნიადაგებს. ირგვება დაჩრდილულ ან ნახევრადგანათებულ ადგილებში. მზის პირდაპირი სხივები მათ აკნინებს.

ასევე მგრძობიარენი არიან ზაფხულის მაღალი ტემპერატურის მიმართ, ხშირ შემთხვევაში ფოთლები უყვითლდებათ და ცვივა. კარგად იტანენ როგორც ზამთრის დაბალ ტემპერატურას, ასევე გაზაფხულისა და შემოდგომის წაყინვებს.

ღია გრუნტში ერთ ადგილას შრომანი მოჰყავთ რამდენიმე წლის განმავლობაში, რის გამოც ბოლქვების დასარგავად ნიადაგის მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მათი წარმატებული გამოზრდისათვის. დარგვის წინ ნიადაგს ბარავენ 40-50 სმ სიღრმეზე, შეაქვთ ნეშომპალა ან ტორფი - 8-10 კგ მ²-, კირი - 200-500 გ მ²-ზე, მინერალური სასუქები - 100 გ მ²-ზე.

დარგვისა და გადარგვის ოპტიმალური ვადა თბილისის პირობებისათვის შემოდგომაა (სექტემბრის ბოლო-ოქტომბრის შუა რიცხვებამდე). უფრო ნაკვიანებ დარგვას მიუყვართ ბოლქვების სუსტ დაფესვიანებასთან და, ხშირ შემთხვევაში, მათ დალუპვასთან. გაზაფხულზე დარგვის შემთხვევაში მცენარეები სუსტად და დაკნინებულად ვითარდება. ბოლქვებს ჩვეულებრივ რგავენ იმ სიღრმეზე, რომელიც საშუალოა აღე-

მატება მათ დიამეტრს; უფრო ღრმად დარგვას რიგი უპირატესობა აქვს, დიდ სიღრმეში მეტი ტენია და შრომანები თავს უკეთ გრძნობენ. ასევე შემოდგომით უფრო მაღალია ტემპერატურა, რაც ხელს უწყობს ფესვების სწრაფად წარმოქმნა-განვითარებას; ხოლო გაზაფხულზე ღრმად დარგული ბოლქვებიდან საყვავილე ყლორტების ზრდა შენელებულად მიმდინარეობს, რაც მათ გაზაფხულის წაყინებისაგან იცავს. დარგვის შემდეგ აუცილებელია საფუძვლიანი მორწყვა, რაც ხელს უწყობს ბოლქვის ნიადაგში გამავრებას, ფესვთა სისტემის მოწესრიგებას და მათ ინტენსიურ ზრდას.

ვეგეტაციის პერიოდში მცენარეთა მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებაში, სარეველების მოცილებაში, მორწყვასა და გაფხვიერებაში, მცენარეთა პროფილაქტიკურ დამუშავებაში მავნებლებისა და დაავადებების მიმართ. ვეგეტაციის დასასრულს, შემოდგომით აუცილებელია საყვავილე ყლორტების გადაჭრა და ჩამოცვენილი ფოთლების გადაყრა.

მრავლდება როგორც ვეგეტატიურად, ასევე თესლით. თესლით გამრავლების შემთხვევაში რეკომენდირებულია თესვა ჩატარდეს ახლად-შეგროვილი თესლით შემოდგომაზე; ამ შემთხვევაში აღმონაცენი მომავალი წლის გაზაფხულზე წარმოიქმნება. გაღვივების დაჩქარებისა და მოსვენების პერიოდის დარღვევისათვის მიმართავენ ცივ სტრატეფიკაციას 0° -დან 10° -მდე ტემპერატურაზე ან 16-18 საათის განმავლობაში გამდინარე წყალში გარეცხვას; ეს ღონისძიებები იწვევს ჩანასახის დიფერენციაციის დაჩქარებას და შრომანის თესლების აღმოცენების ამაღლებას (Николаенко, 1951).

თესლების მცირე რაოდენობას თესავენ კეცებში ან სათეს ყუთებში მიწის მსუბუქ ნაზავში, რომელიც შედგება 2 წილი კარგად გარეცხილი ქვიში-საგან, 1 წილი ნემომპალისა და 1 წილი კორდის მიწისაგან. ყუთებს მჭიდროდ ტკეპნიან და ათავსებენ სათბურებში $18-20^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე; საჭიროებს ზომიერ რწყვას, რადგან ჭარბი ტენი თესლების ლჰობას იწვევს. როდესაც წარმოიქმნება აღმონაცენი და განვითარდება პირველი ნამდვილი ფოთოლი, წარმოებს ჯგუთვა უფრო ნაყოფიერ ნიადაგში, ასევე ყუთებში 4-5 სმ დაშორებით. დარგვის სიღრმე 6-8 სმ-ია. ტენის შენარჩუნების მიზნით ჩითილებს აყრიან დაქუცმაცებულ ტორფს.

თესლების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ჩვენს პირობებში შესაძლებელია მათი უშუალოდ ღია გრუნტში თესვა. ამ შემთხვევაში უნდა შეირჩეს ნახევრად დაჩრდილული და ქარისაგან დაცული ადგილები. თესვენ ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომით. საჭიროებს ზომიერ რწყვას; განვითარებულ აღმონაცენს ტოვებენ გადაურგველად მომავალი წლის გაზაფხულამდე. გაზაფხულზე – აპრილის დასაწყისში ნორჩ ბოლქვაკებს თხრიან და რგავენ კარგად გაფხვიერებულ და განოყიერებულ ნიადაგში, ისეთივე დაშორებითა და სიღრმით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. პირველ წლებში აუცილებელია აღმონაცენის გულმოდგინედ მოვლა, ნიადაგის ხშირი გაფხვიერება, სარეველების მოსპობა, თხევადი ორგანული სასუქით განოყიერება და ზომიერი რწყვა.

თესლიდან მიღებული მცენარეები ყვავილობენ მხოლოდ მესამე-მეოთხე წელს.

შროშანების ვეგეტატიური გამრავლება მეყვავილეობის პრაქტიკაში ფართოდაა დანერგილი. გასამრავლებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მცენარის ყველა ვეგეტატიური ნაწილი (ბოლქვის ქერქლები, შვილეული ბოლქვაკები, საყვავილე ყლორტები და ფოთლებიც კი) (Базилевская и др., 1959).

თუ მცენარეს დიდი ხნით დავტოვებთ ერთ ადგილზე, ბოლქვის ირგვლივ მრავალი შვილეული ბოლქვაკი წარმოიქმნება, რომელიც მცენარის დაკნინებას იწვევს. ისინი ჩნდებიან ძველი ბოლქვის კვირტებიდან, ქერქლების ძირში, აგრეთვე სტოლონებზე – მიწისქვეშა ღეროებზე. მსხვილი შვილეული ბოლქვაკების მცენარეებმა შეიძლება პირველსავე წელს იყვავილონ, მაგრამ უმრავლესობა მეორე, ზოგჯერ მესამე წელსაც ყვავილობს.

ბოლქვაკების დახარისხება ზომების მიხედვით ხდება. მათ რგავენ გასამრავლებელ რიგებში, უფრო ფოთლის წარმოქმნის შემდეგ; წვრილ ბოლქვაკებს ყუთებში რგავენ; სადაც უნდა იყოს შემდეგი შემადგენლობის მიწის ნაზავი: 1 წილი კორდის, 1 წილი ფოთლის, ქვიშის მცირე მინარევით და სტოვებენ გადასაზამთრებლად სარდაფში ან ცივ სათბურში; ყვავილობა იწყება მე-2-3 წელს.

დარგვის სიღრმე დამოკიდებულია ბოლქვის სიმსხოზე, აგრეთვე ნიადაგის შემადგენლობაზე; როგორც წესი, ბოლქვებს რგავენ ისეთ სიღრმეზე, რომელიც 3-ჯერ აღემატება მის ბოლქვების დიამეტრს. ინდი-

ვიდებს, რომლებსაც განვითარებული აქვთ დამატებითი, ბოლქვის ზედა ფესვები, რგავენ 15-20 სმ სიღრმეზე; ხოლო როდესაც ბოლქვებზე ქვედა ფესვებია განვითარებული – 10-15 სმ სიღრმეზე. შროშანების გადარგვა ახალ ადგილზე სასურველია არა უგვიანეს 4-5 წლის შემდეგ, ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში, როგორც კი ღერო გახმება. საგაზაფხულო გადარგვას ცუდად იტანენ. შროშანის მორწყვა სასურველია უმთავრესად საგაზაფხულო ვეგეტაციის დროს, ზაფხულის მორწყვა რეკომენდირებულია მხოლოდ ხანგრძლივი მშრალი ზაფხულის პერიოდში. ვეგეტაციის დროს ატარებენ სასუქიან (უმთავრესად აზოტიან) რწყვებს.

შროშანებზე დარეგისტრირებულია 10-ზე მეტი სახეობის მავნებლები: შროშანის ბუზი, თრიფსები, ბოლქვოვანთა ტკიპა, ბუგრები, ხოჭოები, შროშანის ფოთოლჭამია, ღეროსეული და გალური ნემატოდები, ცხვირგრძელა, მოლუსკები და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით ზიანის მომტანია შროშანის ფოთოლჭამია - ფოთლების შემოდრღნას იწყებს კიდებიდან, გადადის შუაგულში, ტოვებს მომრგვალო-მოგრძო ნახვრეტებს;

ბრძოლის ღონისძიებები: სარეველების რეგულარული განადგურება, ბუგრებისა და ხოჭოების ხელით შეგროვება, მცენარეების შესხურება ქლოროფოსით (0,1-0,15%) ან ბალახების ნაყენით - (აბზინდა, მაღალი დეზურა), ინსექტიციდების გამოყენება.

შროშანების ყველაზე გავრცელებულ დაავადებას ფუზარიოზი წარმოადგენს, რომელიც გამოწვეულია გვარი *Fusarium*-ის სოკოებით. მცენარე უმთავრესად ზიანდება ფესვებიდან, საიდანაც ვრცელდება მიწისზედა ნაწილში. სოკოები გადადის აგრეთვე ნემატოდებისა და ზოგიერთი მწერების საშუალებით. სპორები ვრცელდება ქარით ან წვიმის წვეთებით, ხდება რა მცენარეზე, იწყებს გაღივებას, წარმოიქმნება მიცელიუმი, რომელიც იჭრება ქსოვილების შიგთავსში. ფუზარიოზით დაზიანებისას აღინიშნება ფესვებისა და ბოლქვის ფუძის ლპობა, სიღამპლე გადადის ბოლქვის ცენტრალურ ნაწილში და საყვავილე ღეროს ძირში. დაავადებას ხელს უწყობს მაღალი ტემპერატურა და ტენი. დაზიანებული მცენარეები ნადგურდება.

ნაცრისფერი სიღამპლე - აზიანებს მცენარის თითქმის ყველა ნაწილს - ფოთლებს, ღეროებს, კოკრებსა და ყვავილებს. მათზე წარმოიქმნება

მრგვალი, ყავისფერი ლაქები, მონიტალო-ყავისფერი არშიით. დაავადების განვითარებასთან ერთად ლაქები ერთიანდება, ვითარდება შავი, გლუვი სკლეროციუმები და ქსოვილების დიდი მონაკვეთები ნაცრისფერი ნაფიფქითა დაფარული. ავადმყოფობის გამომწვევი სოკო იზამთრებს ნიადაგში, ბოლქვებზე და მცენარეულ ნარჩენებზე.

სკლეროტიული სიღამპლე- დაავადებული მცენარის ბოლქვები ღვება, იფარება თეთრი მიცელიუმით შავი სკლეროციუმებით. დაავადება კერების სახით ვითარდება, მის განვითარებას ხელს უწყობს მაღალი ტენიანობა და ნიადაგის მჟავიანობა.

ჟანგა - ფოთლებზე წარმოიქმნება უფერო წვრილი ლაქები, რომლებიც თანდათანობით ზომებში მატულობს და ყვითლდება; ამ ადგილებში ეპიდერმისის ქვეშ წარმოიქმნება ზაფხულის ურედოსპორები. ღეროზე შემოდგომით შეინიშნება მუქი ყავისფერი სხეულები, რომლებიც ამოიბურცება ეპიდერმისზე, სადაც ვითარდება ზამთრის სპორები, გაზაფხულზე ისინი აზიანებენ ნორჩ მცენარეებს.

პენიცილები - საშიში, საკმაოდ ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც იწვევს გვარი *Penicillium*-ის სოკოები. საყვავილე ღეროები, ყვავილები და ბოლქვები ღვება და იფარება მწვანე ნაფიფქით.

ბრძოლის ღონისძიებები: მინიმუმამდე რომ შევამციროთ შროშანების სოკოვანი დაავადებებით გამოწვეული ზარალი, აუცილებელია ჩატარდეს როორც აგროტექნიკური, ასევე გამანადგურებელი ღონისძიებები - მცენარეების შესხურება და ბოლქვების შეწამლვა ფუნგიციდებით.

ფუზარიოზის საწინააღმდეგოდ რეკომენდირებულია ნიადაგის დეზინფექცია ფორმალინით, 250 მლ 40 %-იანი ხსნარის 10 ლ წყალში, დარგვამდე 2-3 კვირით ადრე. ძლიერ დაზიანებული მცენარეები ნადგურდება. შესხურებისათვის გამოიყენება: ეუპარინი (0,2%), ფუნდოზოლი (0,05-0,1%), ტოპსინი - (0,05-0,2%), ბავისტინი (0,05-0,1%).

ნაცრისფერი სიღამპლის საწინააღმდეგოდაც იგივე პრეპარატები გამოიყენება როგორც ფუზარიოზის დროს, მაგრამ დარგვის წინ აუცილებელია ბოლქვების შეწამლვა TMTD (0,5-1%) -ის სუსპენზიაში 30-60 წუთის განმავლობაში. ასევე გამოიყენება ფუნგიციდები - ფენტიურამი (8-10 გ/კგ), ფუნდოზოლი (0,2-0,5%-იანი სუსპენზია).

რათა თავიდან იქნეს აცილებული სკლეროტიული სიღამპლე, შროშანებისთვის არჩევენ ნაყოფიერ, ფხვიერ და კარგი დრენაჟის მქონე

ნეიტრალური ან სუსტმჟავე რეაქციის ნაკვეთებს ნაკვეთებს, არ არის რეკომენდირებული ხშირი დარგვები. დაავადებების აღმოჩენისას, მცენარეების დარგვა ძველ ადგილებში მხოლოდ არა უმცირეს 5 წლის შემდეგაა შესაძლებელი. აავადებული მცენარეები ნადგურდება მიწასთან ერთად, ხოლო ინფექციის კერებში ყრიან ქლორიან კირს ან ნაცარს. დაავადებებს ხელს უწყობს აგრეთვე მოჭარბებული რწყვა და მცენარეების დაჩრდილვა. მნიშვნელოვანია ბოლქვების დაცვა დარტყმებისა და მექანიკური დაზიანებებისაგან.

შროშანები ზიანდებიან ვირუსული დაავადებებისაგანაც, მათი გამომწვევია უჯრედის შიდა პარაზიტები. დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე რეკომენდირებულია მისი განადგურება.

http://flower.onego.ru/lukov/lilium_il.html

შროშანის სახეობების კულტივირება თავისუფლადაა შესაძლებელი თბილისის სემიარიდული კლიმატის პირობებში, თუ შესაბამისად იქნება დაცული ყველა აგროტექნიკური ღონისძიება (ბიძინაშვილი, 2006; 2018).

Orchis sp - ჯადვარი

Fam. Orchidaceae - ოჯ. ჯადვარისებრნი



Orchis purpurea - მენამული ჯადვარი



O. simia - მაიმუნის ჯადვარი

ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი, უაღრესად დეკორატიული ბალახოვანი მცენარეებია სხვადასხვა ფორმის ტუბერებით. საქართველოში ბუნებრივად იზრდება 14 სახეობა, ბევრი მათგანი იშვიათია და საქართველოს „წითელი წიგნის“ ობიექტია, საჭიროებს დაცვას, რის გამოც მათი შეგროვება ბუნებაში კატეგორიულად იკრძალება.

მნიშვნელობა: სამკურნალო მიზნებისათვის გამოიყენება ტუბერები, რომლებიც „სალეპის“ სახელითაცაა ცნობილი. შეიცავს: პექტინოვან და მწარე ნივთიერებებს, ფისებს, ლორწოს, მინერალურ მარილებს, სახამებელს, გლიკოზიდებს, ეთერზეთებს, ცილებს.

მეცნიერულ მედიცინაში უნიშნავენ მძიმე მონამღვის შემთხვევაში, როგორც შემომგარსავ საშუალებას კუჭ-ნაწლავის კატარისა და სისხლიანი ფლარათის დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის. ხასიათდება მატონიზირებელი და საერთო გამაძლიერებელი მოქმედებით; ეფექტურია ნერვული გამოფიტვის, მძიმე დაავადებების შემდგომი სისუსტის, ქრონიკული პროსტატისა და სქესობრივი უძლურობის დროს, ქიმიური და ბაქტერიალური ტოქსინებით ინტოქსიკაციის, ყვლისა და პირის ღრუს ანთების, ხველების სამკურნალოდ. კომპრესების სახით გამოიყენება დაჩირქებული სიმსივნეების შემთხვევაში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან იყენებენ, განსაკუთრებით სიმსივნეებისა და მოშხამულ ჭრილობათა სამკურნალოდ, ძალების აღსადგენად, სასქესო ორგანოთა აღმგზნებ საშუალებად, კუჭ-ნაწლავის აშლილობის, სისხლიანი ფლარათის შემთხვევაში; გამოიყენებოდა უშვილობის დროსაც.

სიფრთხილის ღონისძიებები: პრეპარატების მიღებისას დაცული უნდა იყვეს ღოზები, მათი დიდი რაოდენობით მიღება იწვევს გადაჭარბებულ სქესობრივ აღგზნებას.

**Tamus communis L. (*Dioscorea communis* (L.) Caddick & Wilkin) -
ძაღლის სატაცური**

Fam. Dioscoriaceae - ოჯ. დიოსკორიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი ლიანაა ერთი ან რამდენიმე წვრილი ღეროთი. ფესურა მსხვილია, მრავალი გვერდითი ფესვით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, კვერცხისებრი, გულისებრი ფუძითა და წვეტიანი ბოლოთი. მცენარე ორსახლიანია; ყვავილები წვრილია, ყუნწიანი, მომწვანო, თითო-თითოდ ან ყვავილედად შეკრებილი. მდედრობითი ყვავილები მოკლე ყუნწებზეა და მარტივ მტევნადაა შეკრებილი, მამრობითი - გრძელ ყუნწებზეა დატოტვილ ილლიურ მტევნად შეკრებილი; მდედრობითი ყვავილების ყვავილსაფარი ზარისებრია, ვიწრო ფოთლებად 6-ად გაყოფილი; მამრობითი ყვავილების ყვავილსაფარი ვიწრო-ზარისებრია, 6-ად ღრმად გაყოფილი. ნაყოფი კენკრაა, სფეროსებრი, წითელი, 3-6 თესლიანი. თესლი სფერულია, მოწითალო-მოყავისფრო. მთელი მცენარე შხამიანია.

ფენოლოგია: ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII..

მნიშვნელობა: რელიქტური სახეობაა; ყურადღებას იპყრობს სამკურნალო, დეკორატიული მნიშვნელობითა და ფლორის ისტორიზმის თვალსაზრისით.

კავკასიის ტრადიციული მედიცინის ცნობილი სამკურნალო მცენარეა. სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოდგენს, იშვიათად ფოთლები, ნორჩი ყლორტების წვეროები და თესლები (Роллов, 1908).

მიუხედავად ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოყენებისა აღნიშნული სახეობა ქიმიურად და სხვა თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი. წვენი შეიცავს ჯერ შეუსწავლელ ძლიერმოქმედ და დამშლელ ნივთიერებას; ფესვები – ჭიანჭველასა და მჟაუნამჟავეებს, გლიკოზიდებს, საპონინებს, მთრიმლავე ნივთიერებებს და სხვ. (Кортиков, 1998). ზო-

გიერთი მონაცემებით გლიკოზიდები ბრიონინის (*Bryonia alba*) ტიპის მსგავსია; ქერქში აღინიშნება საპონინები და მცირე რაოდენობით ალკალოიდების მსგავსი ნივთიერებები; ნაყოფები – ლორწოსა და კაროტინოიდებს, რომელთა შორის აღმოჩენილია ლიკოპინი და ლიკოქსანტინი (Гаммерман и др., 1976).

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნედლი ფესურის წვენი, როგორც რევულსიური საშუალება მტკივანი სახსრების დასაზღვლად რევმატიზმის, იშიაზის, ართრიტის, ჩალურჯებული ადგილებისა და სისხლჩაქცევების, ჩირქოვანი ჭრილობების, განგრენული წყლულებისას (შენგელია, 1983; Гоммерман, Гром, 1976).

კლინიკური დაკვირვებებით დადასტურებულია ამ მცენარის ეფექტურობა რევმატიული დაავადებებისას (ხიდაშელი, პაპუნიძე, 1985).

უკუქმედება: შინაგანად მიღებისას ინვევს გამაღიზიანებელ მოქმედებას საკვებ-მომწელებელ ტრაქტზე, უფრო მაღალ დოზებში - გულის რევას და კუჭის აშლილობას (შენგელია, 1983).

ხმელთაშუაზღვეთის მთიანეთის, ევროპულ-კავკასიური, ჩრდ. აფრიკული სახეობაა. აწერილია სამხრეთ ევროპიდან, ტიპი ლონდონში.

საერთო გავრცელება: დას., ცენტრ., სამხ. ევროპა, ყირიმი, ხმელთაშუაზღვის მხარე, ბალყარეთი-მცირე აზია, ერაყი, ირანი.

საქართველო: აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, აჭარა, შიგა ქართლი, ქართლი, კახეთი, თრიალეთი, მესხეთი.

ჰაბიტატი: ტიპური მეზოფიტია, იზრდება დაჩრდილულ და მცირედ განათებულ ადგილებში, ტყეებში, ტყის პირებზე, უმთავრესად ნიფუნარებში, მუხნარ-ნიფუნარებში, რცხილნარ-იფუნარებსა და მუხნარ ტყეებში, ბუჩქნარების რაყებში, მთის წინა და ტყის ზედა სარტყლის ჩათვლით, ზღვ.დ. 2000 მ სიმაღლემდე; გავრცელების ოპტიმუმი 350-1200 მ.

კულტივირება: ყინვაგამძლე მცენარეა. მოჰყავთ ფხვიერ, ნოტიო, კარგი დრენაჟის მქონე კირნარ ნიადაგებზე, დაჩრდილულ ადგილებში, ხოლო ყლორტებისათვის სასურველია საყრდენები. ირგვება 20-25 სმ-ის დაცილებით. ამრავლებენ თესლით და ვეგეტატიურად. თესლები დაფარულია მყარი მერქნისებრი გარსით, რომელიც ხელს უშლის თესლის აღმოცენებას. ბუნებაში აღმოცენდებიან კენკრის მომწიფებიდან 2-3 წლის შემდეგ. აღმოცენების დაჩქარების მიზნით, ხელოვნურად მიმართავენ რამდენიმე საათით გოგირდის მუჟავის 3 %-იან ხსნარში და-

მუშავებას. აღნიშნული დიდი სიფრთხილით ჩატარებას მოითხოვს. თესვა ტარდება ზამთრის წინა პერიოდში, აღმონაცენი წარმოიქმნება აპრილის დასაწყისში, ჯგუფვას ატარებენ აპრილის ბოლოს, მაისის შუა რიცხვებში, შესაბამის ყუთებში, რომლებსაც ჩრდილში ათავსებენ. მუდმივი ტენის შენარჩუნების მიზნით, მორწყვას საჭიროებისამებრ ახდენენ. ჩითილები მუდმივ ადგილას გადააქვთ მომავალი წლის გაზაფხულზე. ვეგეტატიურ გამრავლებას - ფესურების დაყოფას (ერთი ან ორი კვირტით) მიმართავენ, როგორც გაზაფხულზე, მცენარეების ვეგეტაციის დაწყებამდე, ისე გვიან შემოდგომით, მცენარის მიწისზედა ნაწილის გახმობის შემდეგ.

მცენარეების მოვლა მდგომარეობს განოციერებაში (ორგანული და მინერალური სასუქების კომპლექსი), გამარგვლაში, ნიადაგის გაფხვიერებასა და მორწყვაში (ბიძინაშვილი, 2018).

Tulipa biebersteiniana Shult. et Shult. – ბიბერშტეინის ტიტა
Fam. Liliaceae - ოჯ. შროშანისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, კვერცხისებრი ბოლქვით. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, 2-3 ფოთლიანი. ფოთოლი უფრო ხშირად ორია, იშვიათად სამი, ვიწრო ხაზური ან ლანცეტა, ლევა შეფერილობის, 15-25 სმ სიგრძის. ყვავილი ჩვეულებრივ მარტოულია, ორსქესიანი, ყვითელი, 3-3,5 სმ სიგრძის, გაშლამდე თავდაღუნული, შემდეგ სწორმდგომი ხდება. ყვავილსაფურის ფოთლები 2-3 სმ სიგრძისაა, კვერცხისებრ-ლანცეტა, თავნანვეტებული, ძირში წამწამაკიდებიანი. ნაყოფი სამწახნაგოვანი კოლოფია. თესლი ბრტყელია, მუქი ყავისფერი.

ფენოლოგია: ყვ. IV; ნაყ. V-VI.

მნიშვნელობა: დეკორატიული და თაფლოვანი მცენარეა. გამოიყენებოდა ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში. მნიშვნელოვანია ფლორის ისტორიის თვალსაზრისით.

სამხრეთ პალეარქტიკის სახეობაა. აწერილია ჩრდ. კავკასიიდან.

საერთო გავრცელება: ევროპა, ხმელთაშუაზღვის მხარე, მცირე აზია, ჩრდ. და შუა აზია.

საქართველო: ქართლი.

ჰაბიტატი: მეზოფიტია, სინათლის მოყვარული გეოფიტი, გაზაფხულის ეფემეროიდი. იზრდება მშრალ ველებზე, ფერდობებზე, გრაკლის, კონახურის, ძეძვისა და ჯორის ძუას ბუჩქნარებში, ბუჩქნართა შორის, გამეჩხერებულ ანთროპოგენურ ტყეებში, ტყის პირებზე, მშრალ ხევებში, ქვა-ლორღიან ნიადაგებზე, ზ.დ. 400-700 მ-ის ფარგლებში.

ბიბერშტეინის ტიტა კულტურაში პირველად 1875 წელს პეტერბურგის ბოტანიკურ ბაღში იქნა შეყვანილი. ამჟამად ფართოდაა კულტივირებული ამერიკაში, ევროპაში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და სხვ. მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია ლანდშაფტური გაფორმებისა და ალპინარიუმებისათვის.

Tulipa eichleri Regel - ეიხლერის ტიტა, წითელი ტიტა

Fam. Liliaceae - ოჯ. შროშანისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი ბოლქეცოვანი მცენარეა. ღერო 10-45 სმ სიმაღლისაა, შეფოთლილი. ფოთოლი

ჩვეულებრივ 3-ია, ხუჭუჭა-ნაპირებიანი. ყვავილი ერთია, ორსქესიანი, საკმაოდ მსხვილი, 4-7 სმ სიგრძის, ალისფერი. ყვავილსაფურის ფოთლები თავწაწვეტებულია, შიგნიდან შავი ლაქით, რომელიც ყვითელი არშიითაა გარშემოვლებული. ნაყოფი სამწახნაგოვანი კოლოფია, ბრტყელი თესლებით.

ფენოლოგია: ყვ. IV; ნაყ. VI.

მნიშვნელობა: წითელი ტიტა ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში ვირის ბოლოკის სახელითაცაა მოხსენიებული. “იადიგარ დაუღში” (1985) წერია: “ვირის ბოლოკი ვითამცა და ტიტაო”... სამკურნალოდ იხმარებოდა ტიტას თესლი და წვენი. მას შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: “ტიტა მხურვალი და ხმელია, ვინც ორი დანგი ამ ტიტის თესლი ჭამოს სისხლისათვის მონედ კარგი არის და რაც კაცისა ტანშიგა ყვითელი წყალი და წალა დგას, ყველას გასწმენდს და გააქარვებს” (წუწუნავა, 1966).

იყენებდნენ ასევე ფაღარათისა და კბილის ტკივილის დროს (სურმანიძე, 1991).

მნიშვნელობა აქვს მეყვავილეობაშიც როგორც იშვიათ, ფრიად დეკორატიულ მცენარეს, საწყის სასელექციო მასალას. ყურადსაღებია ფლორის ისტორიის თვალსაზრისით.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემური სახეობაა.

გავრცელება: საქართველო - ქართლი, ქიზიყი, ქვ. ქართლი.

კულტივირება: წითელი ტიტა კულტურაში პირველად 1872 წელს პეტერბურგის ბოტანიკურ ბაღში იქნა შეყვანილი. ერთ-ერთი საუკეთესო სახეობაა ბაღში გამოზრდისათვის.

ტიტას სახეობები გაზაფხულის ეფემეროიდებს მიეკუთვნებიან. ბუნებრივ პირობებში გავრცელებულია უმთავრესად მშრალ, ცხელ რაიონებში – ველებზე, უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოებში. მცენარეები შეგუებულია ჩქარ განვითარებას მოკლე გაზაფხულის პირობებში და მოსვენებას მშრალი და ცხელი ზაფხულის პერიოდში. ამიტომ ტიტასთვის აუცილებელია შეირჩეს მზიანი, კარგი დრენაჟის მქონე და ქარებისაგან დაცული ნაკვეთები, ვინაიდან ეს უკანასკნელი იწვევს გვირგვინის ფურცლების ნაადრევ ცვენას. ნიადაგი უნდა იყოს მსუბუქი, ქვიშანარევი, ღრმად დამუშავებული; სასურველია მას დაემატოს, ფოთლის ნემომპალა ან გადამწვარი ნაკელი. აზოტით ღარიბ ნიადაგებში შემოდგომით

დარგვისას რეკომენდირებულია შეტანილ იქნას ამონიუმის გვარჯილა 30გ/1მ² ფართობზე, ამდენივე რაოდენობის სუპერფოსფატი. გაზაფხულზე, თოვლის დადნობისთანავე საჭიროა შეტანილ იქნეს ამავე დოზით გვარჯილა.

ტიტების დარგვა ჩვეულებრივ შემოდგომით ხდება. გადაყვავილებისა და ფოთლების გახმობის შემდეგ ბოლქვებს თხრიან, აშრობენ, ათავისუფლებენ ძველი ფესვებისაგან და დარგვამდე გრილ შენობაში ინახავენ. ნაადრევი დარგვა არ არის რეკომენდირებული, ვინაიდან გახანგრძლივებული შემოდგომის დროს ბოლქვებმა შეიძლება განვითარება დაიწყონ. ჩვენს პირობებში ყველაზე კარგ პერიოდად ითვლება ოქტომბერი-ნოემბერის დასაწყისი. უფრო ხანგრძლივი შენახვისას ხდება ბოლქვების გამოშრობა და მცენარეები ყვავილობენ მხოლოდ მომდევნო წელს. დარგვის სიღრმე ბოლქვის ზომამზე დამოკიდებული: რაც უფრო მცირე ზომისაა ბოლქვი – მით უფრო ნაკლებ სიღრმეზე რგავენ. წვრილი ბოლქვები ირგება 7-8 სმ სიღრმეზე, მსხვილი არაუღრმეს 15 სმ-ისა. უფრო ღრმად დარგვის შემთხვევაში მცირდება ბოლქვაკების წარმოქმნა. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ტიტას ბოლქვებს უვითარდებათ სტოლონები – ჩამთრევი ფესვები, რომლებიც ბოლქვებს ნიადაგში ღრმად ითრევენ და გვერდით გადაადგილებენ. ბოლქვების გადახურებისაგან დაცვის მიზნით, აუცილებელია ნიადაგის მულჩირება.

ვეგეტაციის პერიოდში ტიტები საჭიროებენ რწყვას. მშრალ რაიონებშიც კი მორწყვა რეკომენდირებულია კვირაში არა უმეტეს 3-ჯერ. ყვავილობის პერიოდში საჭიროა ტიტები კიდევ ერთხელ გამოიკვებოს ამონიუმის გვარჯილით. გადაყვავილების შემდეგ, გვირგვინის ფურცლების ჩამოყრის შემდეგ, აუცილებელია ნასკვი შეიჭრას მჭრელი დანით; საყვავილე ღეროსა და ფოთლების შეჭრა მანამ არ შეიძლება, ვიდრე მათი ბუნებრივი ხმობა არ მოხდება, რის შემდეგაც ბოლქვები უნდა ამოითხაროს გასაშრობად. ტიტების ჯიშებისგან განსხვავებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი ბუნებრივი სახეობების ნიადაგში დატოვება 2-3 წლით. ტიტების გამრავლებას აწარმოებენ შვილეული ბოლქვაკებით. მათ რგავენ შემოდგომით კვლებში ან ყუთებში. მსხვილი ბოლქვები, რომლებიც 3-4 სმ-ს აღწევენ დიამეტრში (I-II გადარჩევის), ჩვეულებრივ ყვავილობენ მომდევნო წელს. უფრო

ნვრილი ბოლქვები (III და IV გადარჩევის) ყვავილობენ ერთი წლის შემდეგ, ზოგჯერ კი მესამე წელს. ამგვარად, დეკორატიულ ნარგაობებში გამოსაყენებლად შესაძლებელია მხოლოდ I და II გადარჩევის ბოლქვების შეგროვება. უფრო ნვრილები აუცილებელია პირველად გამოვზარდოთ გასამრავლებელ კვლებში.

სელექციური მიზნებისათვის მიმართავენ ასევე თესლით გამრავლებას. აღმონაცენი ძალიან ნელა ვითარდება და კულტურული ჯიშები ყვავილობენ 4-5 წლის შემდეგ, ველურად მოზარდის _ მე-7-10 წელს, ზოგჯერ კი უფრო მოგვიანებითაც. თესვა აუცილებელია ჩატარდეს შემოდგომით ყუთებში, დაეყაროს ქვიშა ან ნეშომპალა. აღმონაცენს ბოლქვის ჩანასახი უჩნდება პირველ წელს, ლეხნის ფოთოლოთან ერთად, მაგრამ ბოლქვის ფორმირება ხდება მხოლოდ მეორე წელს. ამიტომ აღმონაცენის პირველი გადარგვა საჭიროა 2 სავეგეტაციო პერიოდის შემდეგ. ირგვება ჯგუფებად

ტიტას ბოლქვები, ფოთლები და ყვავილები ვეგეტაციის პერიოდში ზიანდება სოკოვანი დაავადებებით: ნაცრისფერი სიდამპლით, ფუზარიოზული სიდამპლით, სკლეროციული სიდამპლით და პენიცილეზით. ტიტას აზიანებს ვირუსული დაავადებებიც - ყვავილსაფრის სიჭრელე, ასტერის სიყვითლე (ყვავილსაფრის გამწვანება), ხაზურლაქიანობა და თამბაქოს ნეკროზი; თითოეული მათგანი ძლიერ უქვეითებს დეკორატიულობას და იწვევს ტიტას ჯიშების გადაგვარება-დაკნინებას.

ტიტას საშიშ მავნებლად ითვლება ჩვეულებრივი მახრა (ბოსტანა), რომელსაც ძალუქს რამდენიმე დღის განმავლობაში სრულად გაანადგუროს ბოლქვები. ტიტას ბოლქვს, როგორც შენახვის, ისე ღია გრუნტის პირობებში აზიანებს აგრეთვე ბოლქვოვანთა ტკიპა, სახლისა და მინდვრის თავგები, მავთულა ჭიები, შავი და ხახვის ბუზის მატლები. ტიტას მიწისზედა ნაწილებს აზიანებს ატმის ბუერი, ცერცვის ბუერი, თრიფსი, ზოლიანი, მწვანე და ღუჟიანა ჭიჭინობელები. დასარეველიანებული ნაკვეთების საზღვრებზე ტიტას ხშირად აზიანებს ხვატარების მატლები, დიდი ზომის ხოჭოები და სხვ.

ტიტას დაავადებების ბრძოლის ღონისძიებებს მოიცავს აგროტექნიკური სამუშაოები, სანიტარული ხერხები და ქიმიური დამუშავება.

აგროტექნიკური ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია ნაკვეთის ყოველწლიური ცვალებადობა, ხოლო ძველ ადგილას დაბრუნება მხოლოდ

5-6 წლის შემდეგაა შესაძლებელი. რეკომენდირებულია მინერალური სასუქებით - მიკროელემენტებით გამოკვება, რაც უზრუნველყოფს მცენარეების ოპტიმალურ განვითარებას.

ფუზარიოზისა და სხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ, აუცილებელია ბოლქვების ამოღება ხდებოდეს რაც შეიძლება ადრეულ ვადებში. მიძიმე ნიადაგებიდან ამოთხრის შემდეგ მიზანშეწონილია ბოლქვების გარეცხვა გამდინარე წყლით და მაშინვე მათი გაშრობა. ბოლქვების ამოთხრისა და დარგვის წინ ახდენენ მათ შენამღვას, გამოიყენება 0,2%-იანი ფუნდაზოლი ან ტოპსინი-მ, რომელთა ხსნარში ბოლქვებს აჩერებენ 30 წთ-ის განმავლობაში.

მცენარეების ვეგეტაციის პერიოდში აუცილებელია სარეველების მოშორება, რომლებიც დაავადებების გადამტანია. ღია გრუნტში პროფილაქტიკისა და დაცვის მიზნით ახდენენ ნარგავობების შესხურებას ბორდოს 1%-იანი სითხით, კაპტანით (0,3-0,5%), ტოპსინ-მ-ით (0,1%), ფუნდაზოლით (0,2%), ზუპარენით (0,2-0,5%).

ნიადაგის დეზინფექციისათვის რეკომენდირებულია კარბატიონის ფუმიგანტის ან თიაზონის გამოყენება. კარბატიონის 2-3%-იანი ხსნარით (10 ლ/მ²) ნიადაგის შესხურებას ატარებენ ბოლქვების დარგვამდე ერთი თვით ადრე. მეტად მნიშვნელოვანია დაავადებების აღმოჩენისთანავე დაზიანებული მცენარეების მოშორება და მათი დანვა (ბალათურია, 1973; ასიეშვილი, 2001; БЫЛОВ, Зайцева, 1990).

Veratrum lobelianum Bernh. - შხაშა
Fam. Melanthiaceae - ოჯ. მელანთიასებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი 15-160 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მოკლე ვერტიკალური ფესურით და მრავალრიცხოვანი გვერდითი ფესვებით. ღერო სწორმდგომია, მრგვალი, სქელი. ფოთლები ღერომხვევია, მორიგეობითი, მრავალრიცხოვანი, ქვედა-ფართო ელიფსური მოკლე ვაგინით, ზედა - თანდათანობით ვიწროვდება ლანცეტა ფორმამდე. ყვავილები 6 წვერიანია, მოყვითალო ან მოთეთრო შეფერილობის, შეკრებილია წვეროსეულ პირამიდალურ საგველა ყვავილედად. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია; თესლი მოყვითალო-მურაა, ბრტყელი, ელიფსური, ფართოფრთხანი.

ფენოლოგია: ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX

მნიშვნელობა: ძლიერ შხამიანი მცენარეა; ფესურა შეიცავს 5-6 დასახელების ალკალოიდს, მათ შორის მაღალი შხამიანობით პროტოვერატრინი გამოირჩევა, რომელიც თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს და გულ-სისხლძარღვთა სისტემას. სამკურნალო მიზნით ფესურები გამოიყენება. მიეკუთვნება ოფიცინალურ მცენარეთა რიცხვს, დაშვებულია შხამას წყალ-სპირტიანი ნაყენი მხოლოდ გარეგანი გამოყენებისათვის, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ნევრალგიის, ართრიტების, რევმატიზმის სამკურნალოდ. ფესვების ექსტრაქტი პარაზიტების საწინააღმდეგო მოქმედებით ხასიათდება. ფართოდ გამოიყენება ვეტერინარიაში, პარაზიტების საწინააღმდეგოდ, შინაგანად საქონლის საკვების მონელების გასაუმჯობესებლად, მსხვილფეხა საქონლის ჰიპოდერმატოზის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ეგზემის საწინააღმდეგოდ, შინაგანად - ფილტვების ანთებისას სიცხის დამწვევად, რევმატიზმისა და ტიფისგან განსაკურნავად. ძველ დროში შხამათი მკურნალობდნენ შიზოფრენიას, მელანქოლიას, ეპილეპსიას, ითვლებოდა, რომ ახანგრძლივებს სიცოცხლეს, წმინდავს სისხლს. ნახარშს იყენებდნენ ქერტლის საწინააღმდეგოდ; უნგრეთში - ჰიპერტონიის შემთხვევაში, არყიან ნაყენს წვეთების სახით ღებულობდნენ მუცლის ტკივილების, სედატური ნერვის ანთებითი პროცესების დროს. არის ცნობები ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგოდ გამოყენების შესახებ. მალამოს ხმარობდნენ რადიკულიტის სამკურნალოდ. მიღებულია პრეპარატი - პროტოვერატრინი, რომელიც ჰიპოტენზიური მოქმედებისაა, ეფექტურია ეკლამპსიის და მწვავე ეკლამპსიური მდგომარეობის დროს.

სასიკვდილოდ შხამიანია! 2 გ-ის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მონამღვა ლეტალური აღსასრულით.

გავრცელება: ევრ-აზიური სახეობაა.

საქართველოში გავრცელებულია სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

Zingiber officinale Rosc. - კოჭა

Fam. Zingiberaceae - ოჯ. ჯანჯაფილისებრნი



ბოტანიკური დახასიათება: მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რთული, ძლიერ დატოტვილი ჰორიზონტალური ფესურით, საიდანაც ვითარდება რამდენიმე ღერო. ფოთლები მორიგეობითია, ვაგინიანი, მოგრძო-ლანცეტა ფირფიტითა და ქვედა მხარეს მკვეთრად გამოხატული ცენტრალური დაძარღვით. ფოთლის ფირფიტა 18-20 სმ სიგრძისაა, ქვედა ფოთლები მოკლე ვაგინიანია. მოყვავილე (გენერატიული) ღეროები მოკლეა, წვერზე ივითარებს თავთავისებრ ყვავილედს. ყვავილები სხედან ფართო თანაფოთლების უბეებში, ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, მილისებრი. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია.

მნიშვნელობა: კოჭას ფესურა ფართოდ გამოიყენება კვებით მრეწველობაში, საკონდიტრო და ლიქიორ-არყის წარმოებაში.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს. შეიცავს 1-2% ეთერზეთებს, მის მთავარ შემადგენელ ნაწილს ცინეოლის გარდა წარმოადგენს სესკვიტერპენლინგიბერინი (70%), რომლისთვისაც დამახასიათებელია სასიამოვნო სურნელი, აგრეთვე სესკვიტერპენინი-ბიზაბოლენი, ლინალოლი, გერანიოლი და სხვა ტერპენოიდული შენაერთები.

ითვლება, რომ ფესურა ხასიათდება ანთების სანინააღმდეგო მოქმედებით ყელისა და პირის ღრუს დაავადებებისას. ნაყენისა და ნახარშის სახით გამოიყენება მატონიზირებელ საშუალებად, ათეროსკლეროზის, ცხიმოვანი და ქოლესტერინის ცვლის დარღვევების, სისხლძარღვების მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, კუჭის წყლულის დროს, მადის გასაძლიერებლად და საკვებმომწელებელი სისტემის გასაუმჯობესებლად. “კოჭას ჩაის” ნახარში თაფლთან და ლიმონთან ერთად იხმარება გაციებისას. კომპრესების სახით იყენებენ თავისა და ზურგის ტკივილებისა და ქრონიკული რევმატიზმის დროს.

ექსტრაქტი შედის პრეპარატ “ზინაქსინის” შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის ართრიტების სამკურნალოდ.

ეთერზეთები ფართოდ გამოიყენება არომათერაპიაში, ფსიქო-ემოციური დარღვევების, გაციების, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და ვირუსული დაავადებებისას. იხმარება როგორც გარეგანად (ცხელი ინგალიაციების, აბაზანების, მასაჟის სახით), ასევე შინაგანად. ნაყენი შედის კუჭისა და მადის გამაძლიერებელ სხვადასხვა წვეთებში.

დოზის გადაჭარბებისას გვერდითი ეფექტი ტიპურია: ფაღარათი, გულის რევა, პირღებინება, ალერგიული რეაქციები.

<http://www.16gp.by/zdorove-bez-lekarstv/358-imbir-poleznye-svoystva-imbirya>

გავრცელება: ბუნებრივად იზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტენიან ტროპიკულ ტყეებში. უძველესი დროიდანვეა აქვე კულტივირებული. ამრავლებენ აგრეთვე კლიმატთან შესაბამის ადგილებში, ამერიკასა და აფრიკაში https://ru.wikipedia.org/wiki/Имбирь_аптечный .

სამკურნალო მცენარეების რაციონალური გამოყენება

სამკურნალო მცენარეთა რაციონალური გამოყენება ითვალისწინებს უტილიზირებული ცენოზების კვლავწარმოებას. ნედლეულის კლებადობის შესწავლას (როგორც საერთო ბიომასის, ისე ქიმიური შემცველობის მხრივ), ვადების დადგენას ექსპლუატაციიდან კონკრეტული ცენოზის სრულყოფამდე, ეროზიულობის ხარისხის გაზღვენას და სხვ., რაც ჩვენში გეოგრაფიული პირობებისა და ბიოკლიმატური ზონების მიხედვით გაძნელებულია და მცირედ ან თითქმის არ ხდება. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ფართო ეკოლოგიური ამპლიტუდის მცენარეების მიმართ, რომელთა დამზადებაც ყოველწლიურად დიდი რაოდენობით წარმოებს. მაგ., წამწამოვანი სათითურა, კავკასიური ხარისძირა, ხბოშუბლა, ვორონოვის თეთრყვავილა, უცუნა, შროშანა და სხვ. აუცილებელია დადგინდეს მათი ცენოტური ოპტიმუმები, დაწესდეს ექსპლუატაციის პერიოდულობა, განისაზღვროს ცენოზის აღდგენისათვის საჭირო დრო. ხელუხლებელ ცენოზებში ნედლეულის დამზადების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს სრული გეობოტანიკური აღწერა, დასამზადებელი მცენარის რაოდენობისა და ბიომასის აღრიცხვა, რომლის საფუძველზე მოხდება ექსპლუატაციის ვადებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა. პროდუქტიული და სწრაფადაღმდგენი ცენოზების გამოვლენის მიზნით ზუსტად უნდა იქნეს დადგენილი სახეობის გეოგრაფიული და ეკოლოგიური ოპტიმუმი. ნედლეულის დამზადებისას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ კლდენაშალ ღორღიანთა ბიოტოპებს, მცენარეებს გეოგრაფიული გავრცელების უკიდურეს საზღვრებში და არ დავეშვათ ნედლეულის დამზადება მცირე და სუსტ პოპულაციებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცენოზის ფოტოცენოლოგიურ სტატუსს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი სუქცესია, რათა ექსპლუატაციამ არ გამოიწვიოს ცენოზის სწრაფი შეცვლა, სახეობისა და პოპულაციების განადგურება.

საქართველოს ფლორის თავისებურება (გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატურ-ედაფური სიჭრელის გამო) ქმნის მცენარეთა მარაგის დადგენის, ნედლეულის დამზადებისა და ტრანსპორტირების სირთულეს, რაც გამოწვეულია ეკოლოგიური ნიშების მრავალფეროვნებით, მცენარეულ ფორმათა ნაირგვრობით, მათი დიფუზური განაწი-

ლებით. მცენარეთა ბიოლოგიური მხარის გათვალისწინებით და ნედლეულის ინდივიდთა დაზიანების ხარისხის მიხედვით საქართველოში შესაძლებელია მცენარეული რესურსების შემდეგი ბოტანიკური ჯგუფების გამოყოფა: 1. ვინროლოკალური ენდემური და დიზუნქციური სახეობები, რომლებიც ერთეულადაა წარმოდგენილი ფლორაში. ისინი ფლორის რელიქტური ფორმებია და მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ ფლორის ისტორიის საკითხების დასადგენად. ამჟამად ისინი მკაცრად უნდა იქნენ დაცული ბუნებაში და კულტურაში გამრავლების შემდეგ შესაძლებელია მათი ქიმიური მოდელის დადგენა. ასეთებია: *Galanthus lagodechianus*, *G. kemulariae*, *G. ketzkhoveli*, *Paeonia lagodechiana*, *Coluteocarpus vesicaria*, *Astragalus cyri*, *A. schischkinii*, *Tulipa eicheri* და სხვა. 2. მონო-დირეგიონალური ენდემური სახეობები, კავკასიური მონოტიპური გვარები, რომელთა პოპულაციური მდგომარეობა საგრძნობლად შესუსტებულია და თითქმის გაქრობის გზაზე დგას. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ მხოლოდ ქიმიური მოდელის დასადგენად, ასეთებია: *Dioscorea caucasica*, *Gymnospermium smirnovii*, *Campanula paradoxa*, *Paeonia mlocosewitschii*. 3. მულტირეგიონალური, დიფუზური ან უმნიშვნელო ფარგმენტების სახით გავრცელებული სახეობები, რომლებიც ჩვენში მცირე არეალითაა წარმოდგენილი, კერძოდ: *Atropa caucasica*, *Bryonia dioica*, *Veronica officinalis*, *Paeonia caucasica*, *P. carthalinica*, *P. tenuifolia*, *Viola mirabilis* და სხვ. მათი შეგროვება შესაძლებელია მხოლოდ ქიმიური მოდელის დასადგენად. 4. სახეობები, რომელთა მასივები გეოგრაფიულად შემზღუდულია და ერთ ან რამდენიმე ბოტანიკურ რაიონთანაა დაკავშირებული, დამზადება შესაძლებელია მეთოდის გათვალისწინებით ბოტანიკოსის გეომხედველობის პირობებში. ასეთია მაგ.: *Digitalis ciliata*, *Buxus colchica*, *Hedera colchica*, *Vinca herbacea*, *Helleborus caucasicus*, *H. abchasicus*, *Helichrysum graveolens*, *H. polyphyllum*, *Pyrethrum balsamita*, *P. carneum*, *P. coccineum* და სხვ. 5. ფართო გეოგრაფიული გავრცელების სახეობები, რომელთა მასივები მრავლადაა და შესაძლებელია დამზადება. ასეთია მაგ., *Achillea millefolium*, *A. setacea*, *Veratrum lobelianum*, *Inula helenium*, *Lathyrus roseus*, *Tussilago farfara*, *Melissa officinalis*, *Lythrum salicaria*, *Peganum harmala* და სხვ. აგერთვე მრავალი სარეველა სამკურნალო მცენარე: *Artemisia vulgaris*, *A. absinthium*,

Taraxacum officinale, Urtica dioica, Plantago lanceolata, P. major, Arctium lappa, Leonurus quinquelobatus და სხვ.

ურბანიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად წარიმართა ბოლო 25-30 წლის მანძილზე, შესამჩნევი გახდა ბუნებრივი ლანდშაფტებისა და მასთან ერთად ბუნებრივი ფიტოცენოზების რღვევა, რამაც გამოიწვია მთელ რიგ მცენარეთა შემცირება. სამაგიეროდ შეიმჩნევა სინანტროპულ სახეობათა მასიური გავრცელება დასახლებულ პუნქტებთან ახლოს, რომელთა შორის ბევრია სამკურნალო, მაგ., *Lamium album, Datura stramonium, Hyosciamus niger, Cynoglossum officinale, Echinops sphaerocephalus, Leonurus quinquelobatus, Urtica dioica, U. urens, Plantago lanceolata, P. major, Artemisia absinthium* და სხვ.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა ე.წ. „უვარგისი“ და „მავნე“ მცენარე არ არსებობს. ეს ეპითეტები გამართლებას პოულობს მხოლოდ კერძო შემთხვევაში, ასე მაგ., ჩვენ სათიბ-საძოვრებში ფართოდ გავრცელებული მცენარეები - შხამა, მინდვრის გვირილა და სხვ., რომლებიც ხასიათდება სამკურნალო, სამღებრო თვისებებით, მდელისწყების რეკომენდაციებით ნადგურდება, როგორც უვარგისი; მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება. უსისტემო და გადაჭარბებულმა ექსპლუატაციამ, ზოგ შემთხვევაში ბუნებრივადაც პოპულაციურმა სიმცირემ, რიგი სამკურნალო მცენარე საგრძნობლად შეამცირა, ხოლო ზოგიერთის არსებობას გადაშენების საშიშროება შეუქმნა. ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია კავკასიის იშვიათი ენდემები: კავკასიური დიოსკორეა, მრგვალი წამალი, ხბოშუბლა, ვორონოვის თეთრყვავილა და სხვ. მრავალი მცენარე სამკურნალო თვისებებთან ერთად ხასიათდება დეკორატიულობით, ასეთებია კოლხური ბზა, უცუნა, შროშანა, კავკასიური და აფხაზური ხარისძირები, სამკურნალო ტუხტი, თავვისარა, ძმერხლი, ენდრო, იორდასალამი, თეთრყვავილები და სხვ.

საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგია, ოროგრაფია, ნიადაგური და კლიმატური მრავალფეროვნება, გეოგრაფიული მდებარეობა, განსხვავებულ ფლორისტულ ოლქებს შორის და სხვ. აძნელებს სამკურნალო მცენარეთა სრულად შესწავლას და ფაქტების დადგენა-განზოგადოებისათვის ითხოვს დიდ მასალას. დღეისათვის საქართველოს სამკურნალო მცენარეთა შორის მხოლოდ 15-მდე სახეობის

მარგია ბუნებაში მეტ-ნაკლებად ცნობილი (ქუთათელაძე, 1945; ქიქავა, გოგიჩაიშვილი, 1997). ასევე საქართველოს „წითელ წიგნში“ (1982) საქართველოს სამკურნალო მცენარეთაგან მხოლოდ 8 სახეობა ფიგურირებს, მაშინ, როდესაც სადღეისოდ ბევრი მათგანი საჭიროებს სათანადო დაცვას და „წითელ წიგნში“ შეტანას. მიუხედავად იმისა, რომ ბუნების დაცვის შესახებ ბევრი დაინერა და მრავალი საყურადღებო დადგენილება არსებობს, დღეისათვის არ გვაქვს კონკრეტული მონაცემები საქართველოს ფლორის შემცირების, იშვიათი და გადაშენებადი სახეობების შესახებ. დადგენილი არ არის მათი დაცვისა და აღდგენის გზები. ბუნების დაცვის თანამედროვე გაგება კი გულისხმობს, შემუშავდეს კვლევის ისეთი მეცნიერული სისტემა, რითაც მიგნებული იქნება ის გზები და საშუალებები, რომლითაც შესაძლებელია გადაშენებადი სახეობების რეინტროდუქცია და მცირერიცხოვანი პოპულაციების შენარჩუნება-აღწარმოება ბუნებაში (in-situ). უფრო დანვრით უნდა იქნეს შესწავლილი განსაკუთრებით ვინროლოკალური, ენდემური, იშვიათი და გადაშენებადი სახეობები, მოხდეს მათი ტაქსონომიური იდენტიფიკაცია, რაოდენობრივი აღრიცხვა, მსხვილმასშტაბიანი დარეკება, ზოგიერთი პოპულაციის მიმართ გატარდეს დამხმარე ღონისძიებები (სუბტრაქტის გაფხვიერება, სარეველების მოცილება და სხვ.), მცირერიცხოვან და სუსტ პოპულაციებზე დანესდეს მეცნიერული კონტროლი, შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ბუნებაში დაცვის, კვლავწარმოებისა და კონსერვაციისათვის, განისაზღვროს პერსპექტიულ სამკურნალო მცენარეთა კულტურაში დანერგვის შესაძლებლობები. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სამკურნალო მცენარეების დაცვა და მათი რაციონალური გამოყენება ურთიერთდაკავშირებულია და წარმოუდგენელია კომპლექსური შესწავლის გარეშე. აკადემიკოს ა. ტახტაჯიანის აზრით, რომ „დავიცვათ მცენარეული სამყარო, უნდა კარგად გავიცნოთ ის ყოველმხრივ - სრუქტურული, ტაქსონომიური, ფუნქციური და ევოლუციური თვალსაზრისით“. კომპლექსურმა ფლორისტულმა კვლევებმა უნდა მოგვცეს ამომწურავი ცნობები პერსპექტიულ მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებების შესახებ, რაც მოგვცემს საშუალებას მოვანყოთ სახეობების გამოყენების რაციონალური ექსპლუატაცია სამკურნალო ნედლეულის სახით.

სამკურნალო მცენარეების გენოფონდის დაცვის შესაძლებლობები

ბუნების დაცვა დღეისათვის მთელ მსოფლიოში აქტუალურია, რასაც არა მხოლოდ გარკვეული დაცვითი ქმედებები, არამედ სამართლებრივი საფუძველიც ჭირდება, რისი განხორციელების ერთ-ერთი საშუალება კონვენცია, იგივე საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელთა საშუალებითაც ხდება ბუნების დაცვით სფეროში ერთიანი დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და იმ მცენარეთა სახეობებისა და მათი ეკოსისტემების განსაზღვრა, რომელთაც განსაკუთრებული დაცვა ესაჭიროებათ.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საქართველო არის ყველა გლობალური კონვენციის მხარე, მათ შორისაა კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, რომელიც დაფუძნდა 1992 წელს ქ. რიო-დე-ჟანეიროში (აშშ). ეს არის საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც სამი ძირითადი მიზანი გააჩნია:

- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია;
- ბიომრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება;
- გენეტიკური რესურსებიდან მიღებული სარგებლის თანაბარი და ადექვატური განაწილება.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მთავარი ამოცანაა ეროვნული სტრატეგიების შექმნა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისათვის. შეთანხმება მოიცავს ყველა ტიპის ეკოსისტემებს, სახეობებსა და გენეტიკურ რესურსებს. კონვენცია აკავშირებს ტრადიციულ კონსერვაციულ ძალისხმევას ეკონომიკური მიზნით ბიოლოგიური რესურსების მდგრად გამოყენებას, უზრუნველყოფს გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან განაწილებას, მათ შორის კომერციული მიზნებით გამოყენების დროსაც.

საქართველო ბიომრავალფეროვნების კონვენციას მიუერთდა 1994 წელს.

2008 წელს იქნა რატიფიცირებული „საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი“ (ოქმთან მიერთება მნიშვნელოვანია გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგა-

ნიშნების ტრანსსაზღვრო გადაადგილების რეგულირების თვალსაზრისით) და “ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ” კონვენცია. მიმდინარეობს ევროპის ლანდშაფტების კონვენციის რატიფიცირების მოსამზადებელი სამუშაოები.

საქართველო ზომიერი კლიმატის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უმდიდრესია ფლორისტული თვალსაზრისით. საქართველოს ფლორის შემადგენლობაში ჭურჭლოვან მცენარეთა 4100-ზე მეტი სახეობაა (მთელ კავკასიაში 6350-მდე სახეობაა აღწერილი) აღრიცხული, რომლებიც 881 გვარსა და 134 ოჯახს მოიცავს. მათ შორის გვიმრანაირები - 74, მიშველთესლოვანნი - 17, ფარულთესლოვანნი - 4009 (ორლებნიანნი - 3254; ერთლებნიანნი - 755) სახეობითაა წარმოდგენილი. ფლორის დაახლოებით 21%, ანუ 900-მდე სახეობა ენდემურია (600 - კავკასიის, 300 - საქართველოს ენდემი). მაღალია საქართველოს ფლორის გვარობრივი ენდემიზმიც, აღინიშნება 16 ენდემური და სუბენდემური გვარი. სწორედ ამ გლობალურად მნიშვნელოვანი ფაქტორების გამო, საქართველო როგორც კავკასიის შემადგენელი ნაწილი შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის 200 გლობალური ეკორეგიონის ნუსხაში (გაგნიძე, 2000).

მრავალფეროვანია საქართველოს ფლორის სისტემატიკური სტრუქტურაც; იგი ხმელთაშუა-ზღვეთურ-ევქსინურ-სამხრეთევროპულია, ვინაიდან სპექტრში ჭარბობს ხმელთაშუაზღვის-პირეთისა და სამხრეთევროპული მთიანეთის ანუ სუბხმელთაშუა-ზღვისპირეთის ოჯახები და გვარები.

ბიომრავალფეროვნების ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით, დღეისათვის მსოფლიოში გამოყოფენ ბიომრავალფეროვნების 34 “ცხელ წერტილს” (ბიოლოგიურად უმდიდრესი და ამავდროულად, ყველაზე მეტად საფრთხის წინაშე მყოფი ხმელეთის ეკორეგიონები). ამ 34-დან, საქართველოს ტერიტორია შედის ორში – კავკასიის (საქართველოს უმეტესი ნაწილი) და ირან-ანატოლიის (სამხრეთ საქართველო, ჯავახეთი) ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილებში (<http://www.biodiversityhotspots.org>).

კონკრეტული ქვეყნების თუ რეგიონების ბიომრავალფეროვნების დაცვის ძალიან ბევრი მეთოდი არსებობს. ამ მეთოდთაგან ყველაზე ეფექტურად მაინც დაცული ტერიტორიების დაარსება მიიჩნევა. დაცული

ტერიტორიების კატეგორიებია: ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი.

დაცული ტერიტორია – ტერიტორია, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი, რათა დაცულ იქნეს როგორც აღნიშნული ტერიტორიის ფიზიკური მახასიათებლები, ასევე კულტურული მემკვიდრეობა. დაცულ ტერიტორიებს მიეკუთვნება სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი ან მიწის სხვა ფართობი.



ნაკრძალი – ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც დაცულია მთლიანი ბუნებრივი კომპლექსები. ნაკრძალად ცხადდება ის ადგილი, რომელიც ტიპობრივია ამა თუ იმ გეოგრაფიული ზონისათვის, ან შეიცავს სამეცნიერო თვალსაზრისით ძვირფას ბუნებრივ ობიექტებს. სახელმწიფო ნაკრძალისათვის უნდა შეირჩეს ისეთი სიდიდისა და მდგომარეობის სახელმწიფო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე.

საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალია, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 139,048 ათას ჰა-ს. პირველი ნაკრძალი დაარსდა 1912 წელს ლაგოდეხის რაიონში. ასეთი კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე შესვლა ნებადართულია მხოლოდ საგანმანათლებლო და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით.

სახელმწიფო ნაკრძალებია:

- ბანარის სახელმწიფო ნაკრძალი
- ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი
- ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი
- ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი
- ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი
- თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი
- კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი
- ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი
- ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი
- სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი

- მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი
- რინის სახელმწიფო ნაკრძალი
- ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი
- ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი

<https://apa.gov.ge/ge/protected-areas/reserve>

ეროვნული პარკი

ეროვნული პარკი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. შეესაბამება IUCN II კატეგორიას. ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამოჩეული ეკოსისტემების დასაცავად და არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით.

საქართველოში პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც „თბილისის ეროვნული პარკი“ ეწოდა, შეიქმნა 1973 წელს.

1995 წელს დაარსდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“ ეწოდა. 1998 წელს დაარსდა კოლხეთის, 2003 წელს - თუშეთისა და ვაშლოვანის, ხოლო 2006 წელს - მტირალას ეროვნული პარკები. ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა მაჭახელასა და ჯავახეთის ეროვნული პარკები, ხოლო ალგეთის, საგურამოსა და ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალებს ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭათ.

ამჟამად, საქართველოში 13 ეროვნული პარკია, რომელთა საერთო ფართობი 445 767 ჰა-ს შეადგენს. ეს პარკებია:

- ალგეთის ეროვნული პარკი
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
- ვაშლოვანის ეროვნული პარკი
- თბილისის ეროვნული პარკი
- თუშეთის ეროვნული პარკი
- კინტრიშის ეროვნული პარკი
- კოლხეთის ეროვნული პარკი
- მაჭახელას ეროვნული პარკი

- მტირალას ეროვნული პარკი
- ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი
- ყაზბეგის ეროვნული პარკი
- ჯავახეთის ეროვნული პარკი
- ერუშეთის ეროვნული პარკი*

* 2020 წელს დაცულ ტერიტორიებს დაემატა ერუშეთის ეროვნული პარკი, რომლის შექმნისა და მართვის შესახებ კანონი მიღებულია და ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი იანვრიდან.

<https://apa.gov.ge/ge/protected-areas/national-park>

ბუნების ძეგლი

ბუნების ძეგლი არის ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები. ბუნების ძეგლი შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვ. პირველი სამი ბუნების ძეგლი საქართველოში დაარსდა 2003 წელს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. დღეს მათი საერთო ფართობი 309 ჰა-ს შეადგენს. ესენია: ალაზნის ჭალის (201 ჰა), არწივის ხეობისა (98 ჰა) და ტახტი-თეფას (10 ჰა) ბუნების ძეგლები. დღეისათვის ქვეყანაში უკვე 40 ბუნების ძეგლს აქვს მინიჭებული ეს სტატუსი, მათ შორის: 3 - ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მდებარეობს, 5 - ყაზბეგის ეროვნული პარკში, 10 - მათგანს მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია მართავს, 16 - ბუნების ძეგლი კი იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შემადგენილობაშია. 3 - ბუნების ძეგლი ალგეთის ეროვნული პარკის, თითო-თითო კი თბილისის, ფშავ-ხევსურეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების დაქვემდებარებაშია.

2020 წლის მდგომარეობით, სულ ბუნების ძეგლების საერთო ფართობი 2748.99 ჰა-ს შეადგენს.

ბუნების ძეგლებია:

- აბანოს მინერალური ტბის ბუნების ძეგლი
- ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი
- არწივის ხეობის ბუნების ძეგლი
- ბაღდადის კანიონის ბუნების ძეგლი
- ბირთვისის ბუნების ძეგლი
- ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლი
- ბლერის მღვიმის ბუნების ძეგლი
- გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი
- გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი
- დაშაშის კანიონის ბუნების ძეგლი
- დიდღელის მღვიმის ბუნების ძეგლი
- თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი
- თრუსოს ტრავერტინების ბუნების ძეგლი
- იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი
- მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი
- მდ. აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- მელაურის მღვიმის ბუნების ძეგლი
- მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი
- ნაზოდელავოს მღვიმის ბუნების ძეგლი
- ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი
- ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- ონიორეს ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლები
- ოჩხომურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი
- როშკის ლოდების ბუნების ძეგლი
- საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი
- სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი
- სანურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი
- სახიზარის კლდის ბუნების ძეგლი
- სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი
- ტახტი-თეფას ბუნების ძეგლი

- ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლები
 - ქეთერისის მინერალური ვოკლუზის ბუნების ძეგლი
 - ლლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი
 - ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი
 - წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი
 - ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი
 - ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინის ბუნების ძეგლი
 - ჯორწყუს მღვიმის ბუნების ძეგლი
- <https://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>

აღკვეთილი

1996 წლამდე საქართველოში აღკვეთილის კატეგორია არ არსებობდა. იმ პერიოდში შექმნილი იყო სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობები, რომელთაც მართავდა საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო. პირველი სამონადირეო მეურნეობა დაარსდა 1957 წელს გარდაბნის რაიონში. 1997 წლიდან საქართველოს კანონის „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ თანახმად, არსებული სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა აღკვეთილები.

ამუამად, იმ აღკვეთილებში, სადაც ადრე სატყეო-სამონადირეო მეურნეობები მოქმედებდა, სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე, დაარსებულია სამონადირეო მეურნეობები. ეს აღკვეთილებია - გარდაბნის, ივრის, ჭაჭუნისა და ყორულის. აღკვეთილის კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს სპეციალური აღდგენითი და მოვლითი ღონისძიებები. დღესდღეობით საქართველოში 23 აღკვეთილია და მათი საერთო ფართობი 75 207 ჰა-ს შეადგენს.

- ასას აღკვეთილი
- აჯამეთის აღკვეთილი
- ბულდაშენის აღკვეთილი
- გარდაბნის აღკვეთილი

- თეთრობის აღკვეთილი
- ილტოს აღკვეთილი
- იორის აღკვეთილი
- კარწახის აღკვეთილი
- კაცობურის აღკვეთილი
- ლაგოდების აღკვეთილი
- მადატაფას აღკვეთილი
- ნეძვის აღკვეთილი
- სათაფლიას აღკვეთილი
- სულდის აღკვეთილი
- ქობულეთის აღკვეთილი
- ყორულის აღკვეთილი
- ქცია-ტაბანყურის აღკვეთილი
- ჭაჭუნას აღკვეთილი
- ხანჩალის აღკვეთილი
- პონტოს მუხის აღკვეთილი
- ფარავნის ტბის აღკვეთილი
- სალამოს ტბის აღკვეთილი
- აბულის ტბის აღკვეთილი

<https://apa.gov.ge/ge/protected-areas/managedReserve>

დაცული ლანდშაფტი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. შეესაბამება IUCN V კატეგორიას. დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამოირჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრაციულ-ტურისტული, და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო ტერიტორიას და/ან აკვატორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოირჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით.

თუშეთის დასუფლებული ლანდშაფტი - მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მისი ფართობია 27,903 ჰა. დაარსდა 2003 წელს, მოიცავს თუშეთის ყველა სოფელს. შექმნის მიზანია - თუშური სოფლების ტრადიციული იერსახის, ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნება.

კინტრიშის დასუფლებული ტერიტორია

კინტრიშის დასუფლებული ტერიტორია მდებარეობს აჭარაში, ქობულეთის რაიონში. მისი საერთო ფართობი 13514 ჰა-ს შეადგენს. მოქცეულია მდინარე კინტრიშის ხეობაში, სოფ. ცხემეანსა და ხინოს მთებს შორის, ზღ.დ.-დან 300-2500 მ-ის სიმაღლეზე. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა 1959 წელს შუამთის რელიქტური ტყეებისა და ენდემური სახეობების, ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით.

დასუფლებული ტერიტორიების ეფექტური მართვის საბოლოო მიზანი მდგრადი, გარანტირებული განვითარებაა, რომელიც ჰარმონიულ კავშირს ამყარებს ბუნებას, სოციალურ სფეროსა და ეკონომიკას შორის.

მდგრადი განვითარების მთავარი პრინციპებია: სიცოცხლის ყველა ფორმის პატივისცემა, ადამიანის ცნობიერების ამაღლება, ბუნების პროდუქტიულობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნება, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების მინიმალურად მოხმარება, ბუნებრივი ტევადობის ჩარჩოებში ჩატევა, პიროვნული ჩვევების, მიდგომების გაუმჯობესება, გარემოზე ზრუნვა ყველა დონეზე, გარემოს დაცვის ხელშეწყობი მექანიზმები, გლობალური ალიანსების წახალისება.

საქართველოში დასუფლებული ტერიტორიების საერთო ფართობი 495892 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია.

სახეობების ბუნებრივ პირობებში (in-situ) შენარჩუნებაში იგულისხმება დაცვის პირობების შექმნა მცენარეთა მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად ადამიანის გარეშე, იმ ეკოსისტემის ფარგლებში, რომელსაც ის ეკუთვნის. მიზანი მთელი პოპულაციის in-situ შენარჩუნებისა არის მოცემული პოპულაციის თვითგანახლების უზრუნველყოფა ევოლუციის გასაგრძელებლად. ბუნებრივ პირობებში კონსერვაციისათვის საჭირო რეჟიმს უზრუნველყოფს დასუფლებული ტერიტორიების ადექვატური ქსელი, რომლის ფარგლებში სახეობებისათვის იქმნება პირვანდელი ადგილ-

სამყოფლის საზღვრებს გარეთ გავრცელებისა და მდგრადი არსებობის პირობები.

https://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_დაცული_ტერიტორიები.

P. S. ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, ფარმაკოპეაში ფართოდ დანერგილი და ხალხურ მედიცინაში ინტენსიურად გამოყენებული მცენარეების დაცვის მიზნით, საქართველოში უნდა გავრძიდეს იმ ტერიტორიების, რომლებიც სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, აღკვეთილებად გამოცხადება და მცენარეების შეგროვების სრული აკრძალვა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია თელეთის ქედი, დიდგორის მთა, არმაზისა და მართაზის ხეობები და მრავალი სხვა პუნქტები, სადაც თავმოყრილია მრავალი უნიკალური ენდემური და რელიქტური სახეობები, „წითელი წიგნის“ ობიექტები, რომლებიც სათანადო დაცვას და გაფართოვებას საჭიროებენ.

საქართველოს მცენარეების ბიომრავალფეროვნების ხელოვნური (ex-situ) შენარჩუნება

ბუნებრივ პირობებში (in-situ) ფლორისტული მრავალფეროვნების შენარჩუნების პარალელურად აუცილებელი ხდება მცენარეების ხელოვნური (ex-situ) შენარჩუნება კულტურის პირობებში. ბოტანიკურ ორგანიზაციებს და უპირველესად ბოტანიკურ ბაღებს ხელეწიფებათ ველური ფლორის მცენარეების გამრავლება და მათი განადგურების საშიშროების ფაქტორის მოხსნა. ეს არის ერთ-ერთი სტრატეგიული ღონისძიება მცენარეთა შენარჩუნებისა და დაცვის თვალსაზრისით, რამაც რა თქმა უნდა, არ უნდა გამორიცხოს ბუნებრივი რესურსების დაცვის სხვა ფორმებიც.

ბოტანიკური ბაღების საქმიანობა ამ მიმართულებით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მცენარეთა სახეობებისა და მათი გენეტიკური ნაირსახეობების დანაკარგების შეჩერება მთელ მსოფლიოში.

- გარემოს შემდგომი დეგრადაციის ასაცილებლად მთელი ძალების კონცენტრაცია.
- საზოგადოების ცნობიერების ფორმირება მცენარეული ნაირგვარობის ფასეულობებისა და იმ საშიშროების წინაშე, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან.
- პრაქტიკული ღონისძიებების რეალიზაცია გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების შესახებ.
- პროპაგანდა და ხანგრძლივი ვადით ბუნებრივი რესურსების გამოყენების უზრუნველყოფა ახლანდელი და მომავალი თაობების მიერ. იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეების დაცვის ღონისძიებებიდან ასევე მნიშვნელოვანია :
 - არეალის მთელ ფართობზე მცენარის ხელშეუხებლობა და დაცვის უზრუნველყოფა (სახეობის სრული დაცვა). ეს აქცია არსებითად კომპლექსურია და უნდა მოიცავდეს სახეობის დაცვას ნაკრძალებსა და აღკვეთილების პირობებში. მისი დამზადებისა და გაყიდვის აკრძალვას, აგრეთვე სხვა ხელოვნურ ღონისძიებებს (შემოღობვები, გამრავლება, ფრთხილი გამოკვება და ა.შ.).
 - მუდმივი ან დროებითი აღკვეთილების შექმნა გადაშენებადი სახეობების პოპულაციების რიცხოვნობის აღსადგენად მის ბუნებრივ ადგილსამყოფლებში.
 - კერძო პირების მიერ იშვიათი ველურად მოზარდი მცენარეების შეგროვება-გაყიდვის აკრძალვა.
 - საკვები, სამკურნალო, ტექნიკური და დეკორატიული მცენარეების შეგროვების შეზღუდვა და მათი დამზადებისათვის ლიცენზიების შემოღება.
 - რეგულარული კონტროლის (კვალიფიცირებული ბოტანიკოსების სახით) ორგანიზება, იშვიათი და გადაშენებადი მცენარეების ლოკალური პოულაციების მდგომარეობის შეფასებისათვის და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დაცვის ღონისძიებების მიღება.
 - იშვიათი მცენარეების ბოტანიკურ ბაღებში კულტივირება მათი გენოფონდის დაცვისა და მარაგის აღდგენის მიზნით, რიგ შემთხვევაში შემდგომი რეპატრიაციით ბუნებრივ ადგილებში და რეკულტივირებულ ფართობებზე.

მცენარეების *ex-situ* შენარჩუნების პროგრამაში შემდეგი კატეგორიის მცენარეები უნდა იქნეს შეტანილი:

- სახეობები და ტაქსონები, რომლებიც არიან რეგიონში, ქვეყანაში ან მთელ მსოფლიოში გადაშენების საშიშროების წინაშე.
- სახეობები და ტაქსონები, რომლებიც რეგიონისათვის წარმოადგენენ ეკონომიკურ ფასეულობას, მაგალითად: საკვები, სამკურნალო, არომატული, ეთერზეთოვანი, სამღებრო, ინსექტიციდური, დეკორატიული მცენარეები, აგრეთვე ბუნებრივი ფლორის ის მცენარეები, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში.
- სახეობები და ტაქსონები, რომლებიც ადგილობრივ ეკოტიპებს წარმოადგენენ, აუცილებელი არიან რეინტროდუქციის განსაკუთრებული შემთხვევებისათვის, ადგილსამყოფლის აღსადგენად და სხვა მიზნებისათვის.
- ადგილობრივი ფლორის ძირითადი სახეობები და ქვესახეობები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამებში.
- სახეობები და ტაქსონები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ მეცნიერებისათვის, მაგალითად: ენდემური და რელიქტური სახეობები.

დღესდღეობით იშვიათი სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესაძლებლობები სერიოზული საფრთხის წინაშეა. უამრავ საერთაშორისო ორგანიზაციას სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა კონვენციებს დაემატა ახალი პარაგრაფი, რომელიც მხედველობაში იღებს და სხვადასხვა ფორმით აქტიურად იღწვის რათა დარეგულირდეს მცენარეების კომერციული მიზნებით გამოყენება. დღის წესრიგში დგას გენეტიკური რესურსების გონივრული და ზომიერი გამოყენება, ხოლო ბიომრავალფეროვნების *in situ* და *ex situ* კონსერვაცია მიჩნეულია თანმიმდევრული განვითარების ქვაკუთხედად.

ათასობით მეცნიერის მიერ მომზადებული მსოფლიოს წითელი ნუსხის მონაცემები უზრუნველყოფენ მცენარეთა სახეობრივი კატეგორიებისა და კრიტერიუმების მიხედვით ინფორმაციას მათი ტაქსონომიის, კონსერვაციული სტატუსისა და გავრცელების შესახებ. ეს არის უმთავრესი

სტრუქტურა სახეობის კლასიფიკაციისათვის მათი გადაშენების რისკის მიხედვით.

ამ დრომდე 4000-მდე ასეთი სახეობა დადგინდა, რომელთა შორის 12000 მცენარეა. რთულია იმის დადგენა, თუ რა პროპორციით არის სამკურნალო მცენარეები წარმოდგენილი IUCN -ის (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი) წითელი ნუსხის მიხედვით, თუმცა ზოგადად მიჩნეულია, რომ პროპორციულობის დაბალი მაჩვენებელია.

ცხოველთა, მცენარეთა და ბუნებრივი ძეგლების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“ (1982), სადაც თავმოყრილია საქართველოს ფარგლებში გავრცელებულ ცხოველთა და მცენარეთა ის იშვიათი სახეობები, რომლებიც გადაშენების საფრთხის წინაშეა და რომელთა გადარჩენისათვის განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო. წიგნში შესულია ამ კატეგორიის 161 სახეობის მცენარე. საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე „წითელ წიგნში“ შეტანილი სახეობების მოპოვება და ხელყოფა აკრძალულია.

2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის №303 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს „იშვიათი სახეობების წითელი ნუსხა“, რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების" კომისიის მიერ. მასში შესულია მერქნიანი მცენარეების 56 სახეობა (მათ შორის ფარულთესლოვანთა 52 და შიშველთესლოვანთა 4 სახეობა). ამჟამად მიმდინარეობს მცენარეთა დანარჩენი სახეობების შეფასება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) კრიტერიუმების მიხედვით, რის შემდეგაც წარმოდგენილი იქნება მცენარეთა დამატებითი ნუსხა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შესატანად.

წითელი წიგნი, ისევე როგორც წითელი სიები (წითელი ნუსხა) არ წარმოადგენენ იურიდიულ დოკუმენტებს და ატარებენ მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს. ისინი მოიცავენ გლობალურ მამტაბებს და მიმართულია იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. აღნიშნული რეკომენდაციების მნიშვნელობა უდიდესია მსოფლიო მასშტაბით.

მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი

- Abies balsamea* Mill. 209
Abies nordmaniana (Stev.) Spach
Hist. 211
Achillea millefolium L. 227
Acorus calamus L. 524
Actinidia kolomikta (Maxim)
Maxim 230
Aesculus hippocastanum L. 233
Agaricus campestris (L.) Fr. 196
Agrimonia eupatoria L. 235
Allium cepa L. 526
Allium porrum L. 530
Allium sativum L. 531
Allium ursinum L. 536
Allium victorialis L. 538
Althaea officinalis L. 236
Amanita muscaria (L.) Lam. 197
Anisum vulgare Gaertn.
(*Pimpinella anisum* L.) 238
Apocynum cannabinum L. 241
Aralia elata (Miq.) Seem. 243
Archangelica officinalis (Moench)
Hoffm. (= *Angelica*
archangelica L.) 244
Arctium lappa L. 247
Armoracia rusticana Gaertn., Mey.
et Scherb. 248
Aronia melanocarpa Michx. 251
Artemisia absinthium L. 253
Artemisia vulgaris L. 256
Asarum europaeum L. 258
Asparagus officinalis L. 542
Atropa caucasica Kreyer. 259
Bambusa vulgaris Schrad. ex
Wendl. 548
Berberis vulgaris L. 263
Bergenia crassifolia (L.) Fritsch 265
Betonica officinalis L. 267
Betula pendula Roth. 269
Bidens tripartita L. 271
Boswellia serrata Triana &
Planch. 273
Calendula officinalis L. 279
Calisia fragrans (Lindl.)
Woods. 281
Camellia sinensis (L.) Kuntze 283
Cannabis ruderalis Janisch. 275
Capsella bursa-pastoris (L.)
Medik. 278
Cassia acutifolia Del. 286
Catharanthus roseus (L.) C.
Don. 289
Cedrus deodara (Roxb. ex D. Don)
G. Don 214
Chelidonium majus L. 303
Cichorium intybus L. 291
Cicuta virosa L. 293
Cinchona officinalis L. 301
Cinnamomum camphora (L.) I.
Presl. 299
Cinnamomum cassia Blume 298
Cinnamomum zeylanicum
Nees. 296
Claviceps purpurea (Fr.) Tul. 192
Cola vera K. Schum. 305
Colchicum speciosum Stev. 556

Conium maculatum L. 306
Convallaria majalis L. subsp. *transcaucasica* (Utkin ex Grossh.) Bordz. (*C. transcaucasica* Utkin ex Grossh.) 559
Crataegus sanguinea Pallas 308
Crocus sativus L. 563
Curcuma longa L. 310
Datura stramonium L. 312
Digitalis ciliata Trautv. 315
Digitalis ferruginea L. 316
Digitalis lanata Ehrh. 317
Digitalis purpurea L. 318
Dioscorea caucasica Lipsky. 568
Dryopteris filix-mas (L.) Schott 204
Echinacea purpurea (L.) Moench 320
Echinopanax elatum Nakai 323
Echinops sphaerocephalus L. 324
Eguisetum arvense L. 202
Elettaria cardamomum White et Maton 326
Eleutherococcus senticosus (Rupr. et Maxim.) Maxim 328
Ephedra distachya L. 225
Eremurus spectabilis M. Bieb. 574
Erythroxylon coca Lam. 330
Eucaliptus L. 332
Eucommia ulmoides Oliver 334
Ferula assafoetida L. 336
Filipendula ulmaria (L.) Maxim. 338
Foeniculum vulgare L. 340
Fragaria vesca L. 342
Frangula alnus Mill. 344
Fumaria officinalis L. 346
Galantulus woronowii Losinsk. 583
Ginkgo biloba L. 206
Glaucium flavum Crantz. 348
Glycyrriza glabra L. 350
Hamamelis virginiana L. 353
Helichrysum arenarium (L.) Moench. 356
Helleborus caucasicus A.Br. 354
Hippophae rhamnoides L. 358
Humulus lupulus L. 368
Hydnocarpus kurzii (King) Warb. 360
Hyosciamus niger L. 363
Hypericum perforatum L. 365
Inonotus obliquus (Ach. ex Pers.) Pil. 194
Inula helenium L. 370
Iris germanica L. 592
Iris pseudacorus L. 594
Jasminum grandiflorum L. 373
Lamium album L. 375
Laurus nobilis L. 377
Lavandula officinalis 379
Ledum palustre L. 381
Leonurus quinquelobatus Gilib. 383
Leucojum aestivum L. 596
Leuzea carthamoides D. C. (*Rhaponticum carthamoides* (Willd.) Iljin) 385
Lilium candidum L. 600
Lycopodium clavatum L. 200
Maclura pomifera (Raf.) Schneid (= *M. aurantiaca* Nutt.) 387

Mahonia aquifolium
(Pursh) Nutt. 389
Malva sylvestris L. 391
Mandragora officinarum L. 393
Matricaria recutita L. 395
Melilotus officinalis (L.) Desr. 398
Melissa officinalis L. 400
Mentha longifolia L. 402
Mentha piperita L. 405
Myristica fragrans Houtt 408
Myrtus communis L. 410
Nerium oleander L. 412
Ocimum basilicum L. 413
Olea europae L. 416
Orchis sp 607
Origanum vulgare L. 418
Orthosiphon stamineus Benth 421
Oxycoccus macrocarpus Pers. 422
Panax ginseng C. A. Mey 425
Papaver somniferum 428
Pastinaca sativa L. 430
Peganum harmala L. 432
Periploca graeca L. 435
Phytolacca americana L. 436
Pinus sylvestris L.. 218
Plantago major L. 438
Platycladus orientalis (L.) Franco
(= *Biota orientalis* (L.) Endl.) 221
Polygonum aviculare L. 441
Pyrethrum coccineum (Willd.)
Worosch. 443
Quercus robur L. 445
Rauwolfia serpentina Benth. 447
Rheum palmatum L. 449
Rhodiola rosea L. 451
Rosa canina L. 453
Rosmarinus officinalis L. 455
Rubia tinctorum L. 457
Ruta graveolens L. 459
Salvia officinalis L. 461
Salvia sclarea L. 464
Sambucus ebulus L. 467
Sambucus nigra L. 468
Schisandra chinensis (Turcz.)
Baill. 470
Scopolia carniolica Jacq. 475
Silybum marianum (L.)
Gaertn. 472
Solanum laciniatum Ait. 476
Sorbus graeca (Spach) Heldr. 479
Stephania glabra (Roxb.)
Miers. 483
Stevia rebaudiana Bertoni 481
Strophanthus combe Oliv. 485
Strychnos nux- vomica L. 486
Syzygium aromaticum (L.) Mercii
et Perry (= *Caryophyllus*
aromaticus L.) 488
Tamus communis L.
(*Dioscorea communis* (L.) Caddick
& Wilkin) 609
Tanacetum vulgare L. 489
Taraxacum officinale L. 491
Taxus baccata L. 223
Thea sinensis L. 493
Thermopsis lanceolata R. Br. 495
Thymus vulgaris L. 497
Tilia cordata Amill 499
Tribulus terrestris L. 501
Trigonella foenum- graecum L. 502
Tulipa biebersteiniana Shult. et
Shult. 611

Tulipa eichleri Regel 612
Tussilago farfara L. 505
Urtica dioica L. 506
Valeriana officinalis L. 508
Veratrum lobelianum Bernh. 616
Viburnum opulus L. 512

Vinca minor L. 515
Viola tricolor L. 517
Viscum album L 518
Vitex agnus-castus L. 520
Zingiber officinale Rosc. 618

მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი

- აბზინდა 253
ამპურა 479
ანგელოზა 244
ანწლი 467
არონია (შაენაცოფა ცირცელი) 251
ასკილი 453
ასფურცელა 489
აქტინიდია, კივი 230
ალმოსავლური ბიოტა 221
ბალზამის სოჭი 209
ბარამბო 400
ბარისპირა 267
ბალის პიტნა 405
ბალის სატაცური 542
ბაყაყურა 472
ბიბერშტეინის ტიტა 611
ბირკავა 235
ბურბუშელა, ბაბუაწვერა 491
გველის სურო 515
გინკგო 206
გრძელი კოჭა 310
გულყვითელა 279
დაუნა 377
დიდგულა 468
დიდი კამა 340
დიდი მრავალძარღვა 438
ევკალიპტი 332
ევკომია 334
ეიხლერის ტიტა, ნითელი ტიტა 612
ელეუტერაკოკი 328
ენდრო 457
ეხინაცეა 320
ეხინოპანაქსი 323
ვარდისფერი კატარანტუსი 289
ვარდისფერი როდიოლა, „ოქროს ფესვი“, „ციმბირული უენშენი“ 451
ვარდკაჭაჭა 291
ველური კანაფი 275
ვირისტერფა 505
ვორონოვის თეთრყვავილა 583
ზაფხულის ცხენისკბილა 596
ზეთისხილი, ზეთის ხე 416
თავკომბალა 324
თავშავა 418
თელისფოთოლა ქაფურა 338
თირკმლის ჩაი 421
კავკასიური დიოსკორეა 568
კავკასიური შმაგა 259
კავკასიური ხარისძირა 354
კალიზია, ოქროს უღვაში 281
კანაფისებრი ქენდირი 241
კოთხუჯი 524
კოკა, კოკაინის ბუჩქი 330
კონიო 306
კოჭა 618
კრამანა 365
კულმუხო 370
კუროსთავი 501

ლანკოფა 362
ლანცეტა თერმოფისისი 495
ლევგზა 385
ლემა 312
ლიკოპოდიუმი 200
ლურჯი ზამბახი 592
მაკლურა 387
მამულა 256
მანდრაგორა 393
მანჯურისის არალაია 243
მარიამსაკმელა 432
მაჰონია 389
მენამული ან წითელი
ფუტკარა 318
მეჭეჭიანი არყი 269
მთის ლანძილი 538
მთის ჩადუნა 204
მინდვრის შვიტა 202
მირტი 410
მიხაკის ხე 488
მსხვილნაყოფა შტოში 422
მსხვილყვავილა უასმინი 373
მწვანე ჩაი (კამელია) 283
ნამდვილი კარდამონი 326
ნამდვილი რევანდი 449
ნიორი 531
ნორდმანის სოჭი 211
ოლეანდრე 412
ორთავთავა ჯორისძეა
(ორთავთავა ეფედრა) 225
ორკბილა 271
ოროვანდი 247
პირშუშხა 248
პრასა 530

ჟანგისფერი ფუტკარა 316
ჟენშენი 425
რაუფოლოფა 447
რეჰანი 413
საკმლის ხე 273
საკპინაჭი 336
სამკურნალო გვირილა 395
სამკურნალო კატაბალახა 508
სამკურნალო ლავანდი 379
სამკურნალო როზმარინი 455
სამკურნალო სალბი 461
სამკურნალო ტუხტი 236
სამკურნალო ძიძო 398
სამფეფრა ია 517
სვია 368
სინამაქის ხე 286
სკოპოლია 475
სტეფია, თაფლოვანი
ბალახი 481
სტეფანია 483
სტროფანტი 485
ტეგანი 459
ტყის ბალბა 391
ტყის მარწყვი 342
ტყის პიტნა, გრძელფოთოლოლა
პიტნა 402
უკვდავა, ნეგო 356
ურთხელი, უთხოვარი 223
უცუნა 556
ფარსმანდუკი 227
ფითრი 518
ქათქათა შროშანი 600
ქამა-სოკო 196
ქაფურის ხე 299

ქაცვი 358
ქინაქინის ხე 301
ქრისტესისხლა 303
ქუჩულა 486
ლანძილი 536
ღვეღვეცი 435
ყვითელი ყაყაჩურა 348
შავბალახა 383
შავთარა 346
შამბალილა, უღობო 502
შესანიშნავე შრეში 574
შროშანა 559
შხამა 616
ჩაგა 194
ჩაგირი 265
ჩვეულებრივი კონახური 263
ჩვეულებრივი ანისული 238
ჩვეულებრივი ბამბუკი 548
ჩვეულებრივი ბეგქონდარა 497
ჩვეულებრივი ზაფრანა 563
ჩვეულებრივი მათიტელა 441
ჩვეულებრივი მუხა 445
ჩვეულებრივი ფიჭვი 218
ჩინური ჩაის ბუჩქი 493
ჩინური ღარიჩინის ხე 298
ჩინური ლიმონურა 470
ცაცხვი 499
ცილონის ღარიჩინის ხე 296
ციკუტა 293
ცხენისწაბლა 233
ძალღის სატაცური 609

ძალღყურძენა 476
ძახველი 512
ძირთეთრა 430
ძირტკბილა 350
წამწამოვანი ფუტკარა
(წამწამოვანი სათითურა) 315
წითელი გვირილა 443
წითელი კუნელი 308
წითელი შხამა-სოკო 197
წინშატურა 278
წყლის ზამბახი 594
წყლის იელი 381
ჭვავის რქა, ჭვავილა 192
ჭიაფერა 436
ხაოიანი ფუტკარა 317
ხარისვარდა 464
ხარისჩლიქა 258
ხამხაში 428
ხახვი 526
ხეკოლა 305
ხეპილპილა 520
ხეჭრელი 344
ჯადვარი 607
ჯავზი 408
ჯინჯარი, ჯინჯარი 506
ჯინჯრის-ღედა 375
ჰამამელისი 353
ჰიდნოკარპუსი ან
ჩაულმეგრე 360
ჰიმალაური კეღარი 214

ლიტერატურა:

- აპოლონის როდოსელი** არგონავტიკა. „მეცნიერება“, თბილისი, 1975.
- არნოლდ ვილანოველი** სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი (თარგმანი, ნარკვევი, შენიშვნები აკაკი გელოვანის). თბილისი, 1989.
- ასიეშვილი ლ.** ტიტას კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. „მეცნიერება“, თბილისი, 2001.
- ასიეშვილი ლ., ჯ. კერესელიძე, ნ. ერაძე, მ. სირაძე** აღმოსავლეთ საქართველოს ზამბახები. თბილისი, 2010.
- ასიეშვილი ლ., რ. ბიძინაშვილი, ნ. ერაძე, მ. სირაძე, ნ. ცხადაძე** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორა. „კენტავრი“. თბილისი, 2014.
- ბაგრატიონი დ.** იადიგარ-დაუდი, თბილისი, 1938.
- ბარნაბიშვილი ი.** ბორჯომის ხეობის მცენარეულობა. თბილისი, 1965.
- ბაღათურია ვ.** ბალახოვან დეკორაციულ მცენარეთა მავნებელ-ავადმყოფობანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა თბილისსა და მის შემოგარენში. „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
- ბიძინაშვილი რ., თ. გაჩეჩილაძე** ადრე გაზაფხულზე მოყვავილე საქართველოს ფლორის ზოგიერთი გეოფიტის (გვ. ენძელას, ცისთვალასა და ყაზახას წარმომადგენლები) ქიმიური შემადგენლობა და სამკურნალო მნიშვნელობა. მცენარეთა ინტროდუქცია და მწვანე მშენებლობა 21 (90). „მეცნიერება“. თბილისი, 2000.
- ბიძინაშვილი რ., ელბაქიძე მ.** თბილისის მიდამოების იშვიათი სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 2008.
- ბიძინაშვილი რ.** თბილისის მიდამოების ფლორის სამკურნალო გეოფიტები. „ბასიანი“. თბილისი, 2009.
- ბიძინაშვილი რ., მ. ელბაქიძე, ნ. ცხადაძე, ხ.ხაიკაშვილი** თბილისის მიდამოებში მოზარდი სამკურნალო სარეველა მცენარეები. თბილისი, 2009.
- ბიძინაშვილი რ., ნ. ცხადაძე, ხ. ხაიკაშვილი** თბილისის მიდამოების სამკურნალო მცენარეები. „ბასიანი“. თბილისი, 2010.
- ბიძინაშვილი რ.** შრომანას კულტივირების პერსპექტივები. „ბასიანი“. თბილისი, 2011

ბიძინაშვილი რ. სამკურნალო მცენარეები (წარსული, აწმყო და მომავალი). „ბასიანი“, თბილისი, 2011.

ბიძინაშვილი რ. წითელი ანუ კავკასიური გვირილა. „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

ბიძინაშვილი რ. გაზაფხულის მახარობლები-თეთრყვავილები. “უნივერსალი”. თბილისი, 2012.

ბიძინაშვილი რ. მშვენიერი შრეში .”უნივერსალი”. თბილისი, 2012.

ბიძინაშვილი რ. სამკურნალო მცენარეები და ბოტანიკური ბაღები. “უნივერსალი”. თბილისი, 2012. “უნივერსალი”. თბილისი, 2012.

ბიძინაშვილი რ. საკვები და ხილკენკროვანი მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. “კენტავრი”. თბილისი, 2013.

ბიძინაშვილი რ. ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. წიგნი ორ ნაწილად. “კენტავრი”. თბილისი, 2013.

ბიძინაშვილი რ. სანელებელ-არომატული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. “კენტავრი”. თბილისი, 2013.

ბიძინაშვილი რ. “მედვას ბალის” მცენარეები: მითი და რეალობა. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ნაწილი 2. ბათუმი, 2013.

ბიძინაშვილი რ., ჯ. გიორგბერიძე „მედვას ბალის“ ექსპოზიცია საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები. 100. თბილისი, 2014.

ბიძინაშვილი რ. კავკასიური დიოსკორეას (*Dioscorea caucasica* Lipsky) კულტურა საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში. საქ. ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები, 101, 2015. გვ.

ბიძინაშვილი რ. ადრე გაზაფხულზე მოყვავილე ეფემეროიდული გეოფიტების ბიომორფოლოგიური თავისებურებები. ბიომრავალფეროვნება და საქართველო. ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი II სამეცნიერო კონფერენციის მასალები (19-20 მაისი, 2016 წ., თბილისი). გვ. 89-92

ბიძინაშვილი რ. ეფემეროიდული გეოფიტების ბიომორფოლოგიური თავისებურებები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე #2 (38). თბილისი, 2017.

ბიძინაშვილი რ. ავი სენი და სამკურნალო მცენარეები. „მნიგნობარი“. თბილისი, 2016.

ბიძინაშვილი რ. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ფიტოთერაპია. „მნიგნობარი“. თბილისი, 2017.

ბიძინაშვილი რ. ერთლებნიანი სამკურნალო გეოფიტების კულტივირების პერსპექტივები. „მნიგნობარი“. თბილისი, 2018.

ბიძინაშვილი რ. ეფემეროიდული გეოფიტების ბიომორფოლოგიური თავისებურებები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე #2 (38). თბილისი, 2017.

ბიძინაშვილი რ. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული ერთლებნიანი სამკურნალო გეოფიტები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე #3 (39). თბილისი, 2018.

ბიძინაშვილი რ. თბილისის მიდამოების ფლოროცენტრურ კომპლექსებში წარმოდგენილი ერთლებნიანი ბალახოვანი გეოფიტები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე #3 (39). თბილისი, 2018.

ბიძინაშვილი რ. შხამიანი მცენარეების როლი ფიტოთერაპიაში. „მნიგნობარი“. თბილისი, 2020.

ბიძინაშვილი რ. საერთო ცნობები კანაფის კულტურის ავ-კარგიანობაზე. „მნიგნობარი“. თბილისი, 2020.

ბიძინაშვილი რ. გაზაფხულის ფლორის სამკურნალო მცენარეები. „მნიგნობარი“, თბილისი, 2021.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წითელი ნუსხის (I R) კატეგორიები და კრიტერიუმები. ვერსია 3,0 IUCN Redd List Categories and Criteria. Version 3,0.

გაგნიძე რ. საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება (I ეროვნული კონფერენციის მასალები, 1999 წლის 28-29 მაისი, თბილისი). ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს ოფისის გამოცემა, თბილისი. 2000 წ.

გაგნიძე რ. საქართველოს ფლორის კონსპექტი. თბილისი, 2005.

გაგნიძე რ., ხელაია ნ., მარგალიტაძე ნ., ბაცაცაშვილი ე., ჭურაძე მ., ჭეიშვილი თ. მედეას სამკურნალო ბალის ბოტანიკურ-გეოგრაფიული

ასპექტები. მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები, ნაკვ. 46-47. „უნივერსალი“, თბილისი, 2009.

თოდუა ვაჟა, ბერიკაშვილი დალი, ცქვიტაია სოფიო ფიტოთერაპია, მკურნალობა მცენარეებით. თბილისი, 2016.

იოანე ბაგრატიონი საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. „მეცნიერება“. თბილისი, 1986.

კერესელიძე ჯ. ამერიკული მსხვილნაყოფა შტოშის (*Oxycoccus macrocarpus* Pers.) ინტროდუქცია და მისი კულტივირების შესაძლებლობები კოლხეთის დაბლობზე. თბილისი, 2001.

კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1959.

ლაჩაშვილი ნ., ერაძე ნ., ხაჩიძე მ. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ველურად მოზარდი კავკასიისა და საქართველოს ენდემური სახეობები. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები. 99. თბილისი, 2013.

ლორთქიფანიძე ა. ბოტანიკა, II ნაწილი, მეორე გამოცემა. “განათლება”. თბილისი, 1975

მაცაშვილი ა. თბილისის მიდამოების ფლორა. I- II ტ., თბილისი. 1952 - 1953 წ.წ.

მაცაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. “საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1961.

მაცაშვილი ზურაბ მცენარეთა სახელდება. “მეცნიერება”. თბილისი, 1996.

მინდაძე ნ. ქართული ხალხური მედიცინა. თბილისი, 1981.

ოდიშარია თ., საბახტარიშვილი შ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და ფიტოთერაპიული რეცეპტურა. თბილისი, 1993.

ორთიკული არგონავტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა. თბილისი, 1977.

პაპუნძიძე ვ. კივი (*Actinidia*). ბათუმი, 1998.

სალუქვაძე ს. წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. „ხელოვნება“, თბილისი, 1987.

სასუქების ცნობარი აგრონომებისათვის. “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1960.

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ თბილისი, 1996.

საქართველოს კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ. თბილისი, 2003.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, თბილისი, 2005.

საქართველოს სსრ წითელი წიგნი. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1982.

საქართველოს „წითელი ნუსხა“. თბილისი, 2006.

საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხა [შემდგენლები: მალვინა დავლიანიძე, ციალა ღვინიაშვილი, მელანია მუცხანიანი, ლია ჯონჭოლია-იმნაძე, თამარ ჯუღელი]. „უნივერსალი“. თბილისი, 2018.

საქართველოს ფლორა, ტ. I-XVI, II გამოცემა, თბილისი. 1971 - 2011.

საქართველოს მცენარეების სარკვევი, „მეცნიერება“, ტ. I-II, თბილისი, 1964-1969.

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული, წიგნი I. “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1966.

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული, წიგნი II. “მერანი”, თბილისი, 1993.

სურმანიძე რ. მცირე კარაბადინი, II ნაწ., “აჭარა”. ბათუმი, 1991.

ფანასკერტელი-ციციშვილი ზ. სამკურნალო წიგნი “კარაბადინი”. თბილისი, 1978.

ქანანელი უსწორო კარაბადინი (XI ს.). თბილისი, 1940.

ქვაჩაკიძე რ. საქართველოს ბუნებრივი მცენარეული რესურსები. თბილისი, 2003.

ქიქავა გ., გოგიჩაიშვილი ლ. ველური სამკურნალო მცენარეების რესურსები და კვლევის მეთოდიკა. “კუნა გეორგიკა”, თბილისი, 1997.

ქიქოძე დ., თავართქილაძე მ., სვანიძე თ. საქართველოს მცენარეები. საველე მეგზური. “წიგნის სახელოსნო”. თბილისი, 2007.

ქუთათელაძე იოველ. სამკურნალონამლო და ზოგიერთ ტყეწიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში. საქმედგამი, თბილისი, 1945.

შარაშენიძე პ. ნიორი. თბილისი, 1963.

შენგელია ზ. სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 1946.

შენგელია ზ. საქართველოს ზოგიერთი შხამიანი მცენარე. თბილისი, 1954.

შენგელია ზ. სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში. „სახ-
ჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983.

შენგელია მ. უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა. თბილისი, 1979.

ხიდაშელი შ., ვ. შაპუნძე საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეე-
ბი. ბათუმი, 1985.

ჩოთალიშვილი ლ. ლათინურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი.
პროგრამა „ლოგოსი“. თბილისი, 2011.

წუნუნავა ნ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები. „მეცნიერება“. II
გამოც. თბილისი, 1966.

Атлас ареалов и ресурсов лекарственных растений СССР, М., 1976.

Базилевская Н.А., Г.П. Олисевиц, А.Г. Марков, А.П. Радицев Много-
летние цветы открытого грунта. Изд. Министерства коммунального
хозяйства РСФСР. М. 1959.

Березной И.М., Капцинель М.А., Нестеренко Г.А. Субтропические
культуры. М., 1951.

Бидзინაშვილი Р.С. Биологические особенности подснежников в усло-
виях культуры. XVII Н/С СБС Закавказья по вопросам интродукции,
зеленого строительства, физиологии и защиты растений. Тбилиси,
1981.

Бидзინაშვილი Р.С. Ромашки Грузии. «Мецნიერება», Тбилиси, 1986.

Бидзინაშვილი Р.С. Биоэкологические особенности представителей
семейства амариллисовых в ЦБС Грузии. XXIII Н/С СБС закавказья по
вопросам интродукции, селекции, физиологии, биохимии и защиты
растений. Батуми, 1988.

Бидзინაშვილი Р.С., Элбакидзе М.Г. Ресурсы лекарственных растений
Грузии. III Международная научная конференция. Украина, Белая
Церковь . 2008.

Бидзინაშვილი Р.С. Перспектива культивирования редких и исчеза-
ющих лекарственных растений Грузии. IV Международная научная
конференция. Украина, Донецк, 2011.

Буюкли М. Лаванда и ее культура в СССР. Кишинев, 1969.

Вопросы агротехники возделывания лекарственных растений Л., 1978.

Вопросы интродукции растений и зеленого строительства. 19/88, 1990.

- Вехов В.Н., Губанов И.А., Лебедева Е.Ф.**, Культурные растения СССР, 1978, М.
- Вульф Е.В., Малеева О.Ф.** Мировые ресурсы полезных растений. Л., 1969.
- Гаммерман А.Ф., Г.Н.Кадаев, М.Д. Щупинская, А.А. Яценко-Хмелевский**, Лекарственные растения (растения целители), 1976, М.
- Гаммерман А.Ф., Юркевич И.Д.** Лекарственные растения. Минск, 1965.
- Глобальная стратегия сохранения растений.** Опубликовано секретариатом конвенции о биологическом разнообразии. М., 2002.
- Гроссгейм А.А.** Дикие съедобные растения Кавказа. Баку, 1942.
- Гроссгейм А.А.** Растительные ресурсы Кавказа. Баку, 1946.
- Европейская стратегия сохранения растений.** Свет Европы и Planta Europa. ISBN
- Землинский С.Е.**, Лекарственные растения СССР, 1951, М.
- Золотницкая С.Я.** Лекарственные ресурсы флоры Армении. т.1. Изд. АН Арм. ССР, Ереван, 1958.
- Ибрагимов Ф. И., Ибрагимова В.С.** Основные лекарственные средства Китайской медицины. М., 1960.
- Ивашин Д.С., Катина З.Ф., Рывачук Л.З., Иванов В.С., Бутенко А.Т.** Лекарственные растения Украины. «Урожай», Киев. 1972.
- Илиева С.** Лекарственные культуры. Госуд. изд. Земиздат. София, 1971.
- Йорданов Д., Николов П., Бойчинов А.,** Фитотерапия. София, 1970.
- Йирасек В., Стары Ф.** Лекарственные растения. Прага, 1982.
- Карпович В.Н., Беспалова Е.И.** Фармакогнозия. М., 1977.
- Ковалева И.Г.** Лечение растениями. М., 1972.
- Кортиков В.Н., Кортиков А. В.** Энциклопедия. Лекарственные растения, М., 1998.
- Котуков Г.Н.** Культивируемые и дикорастущие лекарственные растения. Справочник. Киев, 1975.
- Ладынина Е.А, Морозова Р.С.** Фитотерапия Л., 1987.
- Мазнев Н.** Энциклопедия лекарственных растений “Мартин”, М. 2003.
- Машковский М.Д.** Лекарственные средства. М., 1967.

- Махлюк В.П.** Лекарственные растения в народной медицине. Саратов, 1967.
- Международная программа ботанических садов по охране растений.** Международный Совет ботанических садов по охране растений. М., 2000.
- Минаева В. Г.** Лекарственные растения Сибири. Новосибирск, 1970.
- Муравьева Д.А.** Фармакогнозия, «Медицина». М., 1978
- Муравьева Д.А., Гаммерман А.Ф.** Тропические и субтропические лекарственные растения. М., 1974.
- Носаль М. И., Носаль И.М.** Лекарственные растения и способы их применения в народе. Киев, 1960.
- Оголевец Г.С.** Возделывание лекарственных растений. Огиз-Сельхозгиз. М., 1948.
- Полная энциклопедия народной медицины**, т. I-III. М., 2001.
- Ролловъ А.Х.** Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применения. Тифлисъ, 1908.
- Салернский кодекс здоровья.** Написанный в четырнадцатом столетии философом и врачом Арнольдом из Вилановы. М. 1970.
- Сало В.М.** Зеленые друзья человека. М., 1975.
- Священник Александр Жуков**, Божий лекарь. М., 2008.
- Современная фитотерапия.** Под редакцией чл.-корр. Проф. д-ра Веселина Петкова. Медицина и физкультура. София, 1988.
- Соколов В.С.** Алкалоидные растения СССР. «АН СССР», М.-Л., 1952.
- Соколов С.Я., Замотаев И.П.** Справочник по лекарственным растениям. Фитотерапия. Изд. III. «Металлургия», М., 1990.
- Турова А.Д.** Лекарственные растения СССР и их применение. «Медицина». М., 1974.
- Турова А.Д., Сапожникова Э.Н.** Лекарственные растения СССР и их применение. II Изд. М., 1982.
- Чиков П. С.** Лекарственные растения. Справочник. М., 1989.
- Шестаков А. К., Кирееенко М. Г.** Женшень и другие лекарственные растения. Минск, 1977.

Шорина Н.И. Характеристика природных зарослей безвременника великолепного в Западном Закавказье и возможности их эксплуатации. Растительные ресурсы

Шретер А.И., Муравьева Д.А., Поскалн Д.А., Ефимова Ф.В. Лекарственная флора Кавказа. М., 1979.

Энциклопедический словарь лекарственных, эфиромасличных и ядовитых растений. М., 1951.

Эристави К.Д., Гелбахиани П.Г., Саакашвили М.Г., Гелашвили А.П. Медицина Грузии. «Ганатлеба». Тбилиси, 1967.

Яшвили А.О. Народная медицина в Закавказском крае. Тифлиси, 1904.

<http://med-otzyv.ru/travnik/>.

<http://hnb.com.ua/articles/>.

<http://yourlifestyle.ru/polza/>.

<http://ast752.ru/poleznii-sovet.php/>.

<http://ru.wikipedia.org/wiki/>.

<http://hnb.com.ua>; onwomen.rumissfit.ru/food/soy.

<http://www.medicinalplants.ru/>.

<http://healt.wild-mistress.ru/>.

<http://www.bestgardener.ru>; vk.com/.

<http://hnb.com.ua/articles/s-zdorovie/>.

<http://nelechim.ru/index.php/>.

<http://www.rastenia-lecarstvennie.ru/>.

<http://www.gippokrat.by>.

<http://woman.delfi.ua/>.

<http://svoistva.ru/>.

<http://www.likfoods.ru/>.

<http://mir-yagod.ru/>.

<http://rabotex.ru/>.

<http://kaplaninternational.com/>.

<http://inflora.ru/>.

<http://www.travoved.ru/>.

<http://hnb.com.ua/>.

<http://med-otzyv.ru/travnik/>.

შინაარსი

წინასიტყვაობა -----	3
შესავალი -----	5
ნაწილი I	
საერთო ცნობები სამკურნალო მცენარეებზე	
მცენარეების გამოყენების და კულტივირების ისტორია -----	8
სამკურნალო მცენარეების კულტურა საქართველოში -----	47
ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა	
სამკურნალო მცენარეებში -----	79
ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო	
მცენარეების დაჯგუფება ბიოლოგიურად აქტიური	
ნივთიერებების შემცველობის მიხედვით -----	101
შხამიანი მცენარეები და მათი როლი ფიტოთერაპიაში -----	107
შხამიანი მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა -----	112
სამკურნალო მცენარეების მნიშვნელობა ჩვენ დროში	
და მათი გამოყენების ასპექტები -----	117
თანამედროვე მედიცინის მოთხოვნები და ფიტოთერაპია -----	127
ახალი სამკურნალო მცენარეების გამოვლენის გზები	
და მეთოდები -----	132
სამკურნალო მცენარეების სისტემატიზაცია ძირითადი	
დაავადებების მიხედვით -----	135
ცნება ფარმაკოპეის შესახებ -----	147
სამკურნალო მცენარეების დამზადების ორგანიზაციის სწორი	
პრინციპები -----	152
ზოგიერთი სამკურნალო ნედლეულის შენახვის ვადები (წლები) ---	160
სამკურნალო საშუალებების მომზადება სახლის პირობებში -----	161
ნაწილი II	
სამკურნალო მცენარეების კულტურა	
სამკურნალო მცენარეების მოყვანა პლანტაციებზე -----	172
სამკურნალო მცენარეების კულტივირების ძირითადი პრინციპები --	181
სამკურნალო მცენარეების ჩართვა თესლბრუნვაში და მათი	
დარაიონება -----	182

ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში გამოყენებული ძირითადი სამკურნალო მცენარეების საერთო მაჩვენებლები -----	190
სამკურნალო მცენარეების რაციონალური გამოყენება -----	620
სამკურნალო მცენარეების გენოფონდის დაცვის შესაძლებლობები -----	624
საქართველოს მცენარეების ბიომრავალფეროვნების ხელოვნური (ex situ) შენარჩუნება -----	633
მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი -----	637
მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი -----	641
ლიტერატურა -----	644

**როზა ბიძინაშვილი, ნინო ერაძე
სამკურნალო მცენარეების კულტურა
(სალექციო კურსი)**

**გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2021**

**Roza Bidzinashvili, Nino Eradze
Cultivation of Medicinal Plants
(Lecture course)**

**Publishing house “Mtsignobari”
Tbilisi, 2021**

სამკურნალო მცენარეების სალექციო კურსი მოიცავს საერთო ცნობებს სამკურნალო მცენარეებზე; მათი გამოყენებისა და კულტივირების ისტორიას, სამკურნალო მცენარეთა კულტურას საქართველოში, მათ რაციონალურ გამოყენებას, ქიმიურ შემადგენლობას, სამკურნალო მცენარეთა სისტემატიზაციას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობისა და დაავადებების მიხედვით, შამიან მცენარეებს და მათ როლს ფიტოთერაპიაში, თანამედროვე მედიცინის მოთხოვნებს ფიტოთერაპიის მიმართ, ცნებას ფარმაკოპეაზე, სამკურნალო მცენარეთა შეგროვებისა და დამზადების ორგანიზაციის სწორ პრინციპებს, სამკურნალო საშუალებების მომზადებას სახლის პირობებში.

მეორე ნაწილი ეთმობა სამკურნალო მცენარეების კულტივირების ძირითად პრინციპებს, იმ სამკურნალო მცენარეების გამრავლებისა და მოშენების შესაძლებლობების შესწავლას, რომლებიც უძველესი წარსულიდან ფართოდ გამოიყენება როგორც შეცნიერულ, ასევე არატრადიციულ მედიცინაში, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და მათზე მოთხოვნილება დიდია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ფარმაცევტულ წარმოებაში, განხილულია 181 სახეობის სამკურნალო მცენარე, მოცემულია მათი ბოტანიკური დახასიათება, არეალი, ჰაბიტატები, სამკურნალო მნიშვნელობა, მცენარის უკუჩვენებები. ტექსტში ყურადღება გამახვილებულია მათი დაცვის შესაძლებლობებზე ბუნებრივ და კულტურის პირობებში.

წიგნში თავმოყრილი ინფორმაცია ეფუძნება ჩვენს მიერ ადრეულ წლებში გამოცემულ შრომებს და წიგნებს, შესაბამის ლიტერატურას, ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებულ მონაცემებს.

